



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

გაერთიანებული
ერების გნათლების,
მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

იბეჭდება საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

აკაკი ნერეთელი

თხზულებათა სრული კრებული
ოც ტომად

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი 2015

აკაკი წერეთელი

ტომი VIII

დრამატული ნაწერები

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი 2015

**აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის
სარედაქტო კოლეგია**

ირმა რატიანი
ზაზა აბზიანიძე
მაკა ელბაქიძე
ნანა ფრუიძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე
თამაზ ჯოლოგუა
ჯულიეტა გაბოძე

მთავარი რედაქტორი
პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი:

ნანა ფრუიძე


ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები,
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს
მაია არველაძემ და ქეთევან ნინიძემ

ტომი გამოსაცემად მომზადდა
რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-16-440-8 (მერვე ტომის)

უაკ(UDC) 821.353.1-2
ნ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



ლიტერატურის
Literature Museum

Layman's

2212. 152

Люблю я заповеди.

jeoff. eel! gelobt den zentralen!

App. 2. *Le rosgo*, les deux derniers vers de la chanson de l'App. 1.

зрп. под сюжетом, то есть. то же
имеет в себе некоторую ясность...

83-56 223 gr. f. 3.
Lip ~~6-270~~ 6-270 weight?

320. Յաշ-Եղիսաբետ Տարոնյանը և լուսապատճենութեանը, և առաջարկացնեած աշխատանքները. Հարավա

My. ~~for~~ & we're ~~as good as you!!~~ To
the highest bid we're going to go. - May 25-

• 7000-502 274926.

3520- to wife, son and, brother's and son
3521.

prok. prok. ³ prok. abor; syn. hypogynous
hypogynous, syn. wh.

Mr. ~~John~~ John! We ~~want~~ ~~need~~ ~~to~~ ~~get~~ ~~you~~ ~~back~~.
We ~~want~~ ~~need~~ ~~to~~ ~~get~~ ~~you~~ ~~back~~.

зда. в заслугу, раз думаю. Ставлю на вас заслуги, ибо
— это не... Языком оназыком оназыком оназыком.

WY. 13 June 1948, 2000 feet above 40-1702
waterfall, 2 miles S. Laramie River

зап. крън, зоръчан, личинков, агълчан, зъб
зъб застъпен. зоръчан и зъбъчан с
личинков. агълчан и зоръчан

pp. 22 add 3 pp-ppr 2.?

ქორამატული ნაწერები

၆၅။ စာတမ္မစွဲဝါက္ခန

სცენა საპატიმროში

(სცენა წარმოადგენს საპატიმროში ბნელსა და მეტად მყრალ ოთახს, სადაც ტუსაღები სხედან იატაკზე და დაბალი ხმით „ჩაი-რამას“ მღერიან; ერთი სათვალავს ამბობს და სხვები ბანს აძლევენ)

აქედან და ციმბირამდე
დიდი ბიჯი იქნება,
ვინც იმას გადმოაბიჯებს,
მარჯვე ბიჭი იქნება!..
მაგრამ იქით წასულები
ალარვინ დაგვბრუნებია...
ეტყობა, რომ იმერეთი
ყველას დაუწუნებია!..
ტუსალს რომ მოიკითხავენ,
წაუკითხვენ დავთარსაო,
ეტყვიან: „სიცხე გახურვებს
აქ? იქ წახავ ზამთარსაო!
ცოტა დაუდგრომელი ხარ,
ჩქარი ხარ და ფეხმალიო,
მაგრამ მაგაზე ნუ ფიქრობ,
ვიცით მაგის წამალიო“.
რკინის საცმელს მოართმევენ,
რბილათ ფეხებში უყრიან,
ზურგზე საგზალს მოჰკიდებენ,
თავსაც მძიმეთ დაუხრიან.
მოახსენებენ: „გავწმინდეთ
ჩვენ ჩვენი ანგარიშიო!
ჩვენ შენი ხათრი ალარ გვაქვს,
და ნუღარც შენ გაქვს შიშიო!
სიცილით დაადექ გზასა!
რაღა გაქვს მოსაწყენიო?
ქვეითათ მისთვის გისტუმრებთ,
რომ არ დაღალო ცხენიო.
თოფიან ჯარსაც გაახლებთ,

სცენა საპატიმროში

სარდლობა დაგშვენდებაო!
გზაზე, სად დაგილამდება,
იქ არ გაგითენდებაო.
ახლა გვიპოძე სალაში,
გამოგვეთხოვე ყველასო!
ნურც შენს მსაჯულებს დაწყევლი,
თორემ აუტებ ხველასო!
გამოეთხოვე ცოლ-შვილსა,
გამოეთხოვე მოყვრებსო!
ესალმე ადვოკატებსაც,
თქვენსა ვერაფრათ მომხრებსო!”

(ათავებენ სიმღერას და დიდხანს ყველა ჩაფიქრებულია, ხმას არავინ იღებს. ერთი ტუსალი, რომელიც აქამდე ფანჯარასთან იდგა და არაფერ მონაწილეობას არ იღებდა სხვების სიმღერაში, ამოიოხვრებს და იტყვის):

— მაგაზე უტყბესი და უსიმოვნესი არაფერი გამღერათ ჩემმა გამჩენმა!.. რაღა თქვენი გულის ხეთქვა მეჭირვება? მაგრამ ეს სულ შენი ბრალია, იაკობაშვილო! გარეთაც ჩემი მტერი იყავი და აქაც ალარ მასვენებ! არ იცი, რომ ხვალ ჩემი განკითხვის დღეა?

ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი — რომ ვიცით, ჩემო ხარაიშვილო, კიდეც მიტომ გიმღერით გამოსათხოვარს. რაც წესათ გვაქვს დადებული, შენთვის ხომ ველარ მოვშლით? ზასედანის წინა დღეს ყველას ვუმ-ლერით ხოლმე ამ ძილისპირებს. მეც მიმღერეს, მაგრამ შენსავით კი არ მიკვინტავს!

მ ო ხ უ ც ი ტ უ ს ა ღ ი — შენ, ეგება, არა გწყინდა, ჩემო ძმაო! ყველა ხომ ერთი არ არის? ხომ გაგიგონია: „კაცია და გუნებაო, თორემ სამოცი წლის ბებერს რაღა ეხრაგუნებაო?”

ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი — ეჺ, ჩემო ძმაო, ბევრს არ ეხრაგუნება, მარამ ძალათი ახრაგუნებიებენ! შენ, ჰეი, ხარაიშვილო, დამიჯერე, ჭკუას მოეგე! ჯავრმა თავი არ წაგართვას, თორემ ცუდათ მოგივა საქმე! მოდი აქ, ჩვენ ვიმღერებთ და შენ მოგვბანე.

ს ა რ ა ი შ ვ ი ლ ი — შენს ყველაყას მობანე შენ!

ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი — რა გულზე ხარ, შე ოხერო? გეუბნები: ბანი გვითხარითქო! მეტი ხომ არა მითქვამსრა? მოიცა, შვილო, და ხვალ ნახავ შენ სეირს: ბანსაც გათქმევინებენ და მოძახილსაც! მაგრე ალარ გადიდგულებენ!

სცენა საპატიმროში

მ ო ხ უ ც ი – დაანებებე, ბიჭო, თავი! ხომ ხედავ, რომ შენი ხუნ-ტრუცის გუნებაზე არ არის? (წამოდგება და მივა ხარაიშვილთან) რა გემართება, ბიჭო? მე მეგონა, თუ კაცი იყავი და ქუდი გეხურა, მაგრამ დედაბერი ყოფილხარ და თავზედაც ლეჩაქი გხურებია! მან-გრე როგორ წავხდე?! შენი საქმე ჯერ კიდევ ღმერთზე ჰკიდია. მე მაშ უნდა ვირეოდე, რომ ოცი წლით კარტეუში მაკვრევიეს თავი?

ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი – შენი საქმე, ჩემმ ძმაო, სულ სხვა არის! შენი საქმე გათავებულია და იმედიც დანძმნდილი გაქვს. საბრალო მაშინ არის კაცი, როდესაც მის გულში უიმედობა და იმედი ერთმანეთს ეჭიდებიან! მაშინ შფოთავს კაცის გული, თორემ, რაკი იმედი გადუ-წყდება, მაშინ რაღა აქვს საშფოთავი?

მ ო ხ უ ც ი – ეგ კი მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ ფიქრი არ არის, ღმერთი მოწყალეა!

ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი – ხედავ ამ ქალალდს პროკუროვისას, რავა კიბესავით გაუგძელებია?

მ ო ხ უ ც ი – მაგის ფიქრი ნუ გაქვს. ბარე ორი მინახავს პროკუ-როვის ქალალდი, რომ იმ ერთ რამესავით ძალიან გაგძელებული ყოფილიყოს, მაგრამ მალე დამოკლებულიყოს ისევე! ადვოკატი ვინა გყავს? ზეპირი ადვოკატი ხომ არა? ის კარგია, ბიჭო, ყველა კანონი თურმე ზეპირად იცის!

ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი – ვთხოვე, მაგრამ ჯერ კი არსადა ჩანს! ვაი თუ, უარი მითხრას! მადლობა ღმერთს! არ გამიკვირდება ჩემი ბედისაგან! ერთი ეს მითხარი, ძამიაშვილობას, შენ გამოცდილი ხარ და მინდა, შენგან მეც ვისნავლო და ხამათ არ წარვდგე სუდში: შენ რომ მოგიყვანეს, როგორ მოგექცენ და რაები გკითხეს?

მ ო ხ უ ც ი – მომიყვანეს თუ არა, შემაგდეს ხარიხებიან გალიაში და მიბძანეს: აქ დაჯექიო! ზალა სულ მაყურებლებით გაივსო. ცოტა ხნის შემდეგ გამობდანდნენ მსაჯულები და სამივე წითელი სტო-ლის უკან დაბძანდნენ. ერთი, რომელიც უფრო მოყვანილი იყო და საშიში შესახედავი, შუაში დასვეს. პროკუროვი ცალკე დაბძანდა, მარჯვნივ, საკუთარ სტოლზე, და თავისი საკუთარი კანონებიც წინ დაიწყო. ჩემი ატუნებატი კი შუაში გამოიჯგიმა ფალავანივით და ხან მე მანიშნებდა თვალით: „ნუ გეშინია, აქა ვარო!“ და ხან პროკუროვს უყვრიალებდა თვალებს: „მაცა მე შენო!“ ემუქრებოდა. ბოლოს, შუაში რომ მსაჯული იჯდა, იმან მკითხა ჩემი ვინაობა, გაცნობა მოინდომა, მამის სახელიც მკითხა და, ყველა რომ მოვახსენე, ისიც

სცენა საპატიმროში

მკითხა: დამნაშავე ხარ თუ არაო? რასაკვირველია, იმას არავინ იტყვის, რომ დედაჩემი კუდიანიაო! რათ ვეტყოდი: დანაშაული მაქვს-მეთქი?! მაშინ წამიკითხეს პროკუროვის განჩინება, კითხეს მოწმეებს და, რომ გაათავეს, წამოდგა ის ჩემი ცოდვით სავსე პროკუროვი და მოახსენა მსაჯულებს: „ამ ჩემს მოჭედილს საყელოს ხომ ხედავთ, ნამსახური კაცი ვარ, პატივსაცემიო, – და ახლა ეს ერთი თხოვნა ამისრულეთ და ეგ კაცი მე მაჩუქეთო! აქ ხალხი მაინც ბევრია და მაგას იქ გავგზავნი, სადაც ხალხი ცოტაა და მინა კი ბევრიო“. ამაზე ჩემმა ატუნკატმა მიაძახა: „ვერ მოგართვიო!“ და მერე მიუბრუნდა მსაჯულებს ამ სიტყვებით: „მართალია, მე არ მაქვს მოჭედილი საყელო, მაგრამ ცოტაოდენი პატივი მეც დამდევით და ეგ კაცი აქ დატოვეთ, ნუ გაგზავნით ნურსად, მე მაჩუქეთო!“ ამაზე მსაჯულებმა გამოაცხადეს მოლაპარაკების შემდეგ, რომ რა ვქნათ, ორივე საპატივო კაცები ხართო და გულს ვერც ერთს ვერ დაგწყვეტთო! თქვენ ერთმანეთს შეებაასეთ და, რომელიც აჯობებთ კანონებით, ღმერთმა იმას მოგახმაროსთ ეგ ტუსალიო! აბა, სეირი მათი ბრძოლა იყო, ბიჭო! პროკუროვმა ჩემი გასამტყუნი ორი სტატია ათიანი მოიყვანა, ატუნკატმა კი პასუხად ასიანი უთხრა! ცოტა შერცხვა პროკუროვს და იმდენი გაიჭიმა, რომ ძლივს გაჭირვებით მოიგონა, როგორც იქნა, და ათასიანი უთხრა. მაშინ ჩემმა ატუნკატმა ათიათასიანი სტატია მიახალა გულზე! სადღა წოუვიდოდა? პროკუროვი ისე შეწუხდა, რომ სირცხვილით ხმა ველარ ამოიღო და გაჩუმდა! მაშინ მსაჯულებმა ჩახედეს კანონის წიგნში და ნახეს, რომ თურმე, ათიათასიანი სტატია როდი წერებულა მათს წიგნში და ეს განჩინება შეადგინეს: რადგანაც აქაურ კანონის წიგნებში ამისთანა სტატია არ წერია, ეს ტუსალი გაიგზავნოს იქ, სადაც ის ათიათასიანი სტატიის წიგნი იყოს და იქიდან გამოუშვან გამართლებულიო. ახლა გაგზავნით კი გამგზავნიან, ვიცი, მაგრამ იქიდან კი დამაბრუნებულია! ატუნკატიც ასე მეუბნება... (ამ დროს შემოდის ადვოკატი და ყველა იმას ეხვევა გარს).

ა დ ვ ო კ ა ტ ი – გამარჯობა თქვენი! ხარაშვილი რომელია თქვენში?

ს ა რ ა ი შ ვ ი ლ ი – მე გახლავარ, შენი ჭირიმე, ღმერთსავით თქვენი მომლოდინე!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – შენა ხარ? ჰო!.. აქამდის მოვიდოდი, მაგრამ სუდში ზასედანია მქონდა. ერთი ქურდის ადვოკატი ვიყავი და იმან

სცენა საპატიმროში

დამაგვიანა. იმას კი ვუშველე, როგორც იქნა, მაგრამ მისი უხეირობით კინალამ თავიც გაიუბედურა და მეც შემარცხვინა! კიდევ კარგი, რომ მოხერხებული ვარ, თორემ, სხვა ადვოკატი რომ ყოფილიყო, ვეღარას გაარიგებდა.

ტ უ ს ა ღ ე ბ ი – როგორ, შენი ჭირიმე?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – როგორა და, უხეირო რომ გამოვა ზოგიერთი კაცი: ცხენის მოპარვას ეწამებოდენ და იმან არ დაძიჯერა, გამოტყდა! ჯერ-კი შევჩერდი, მაგრამ მერე-კი მაინც მოვუხერხე გამართლება.

ტ უ ს ა ღ ე ბ ი – იმე! რასა ბრძანებთ!.. როგორლა მოუხერხდებოდა გამართლება?! როგორც გამოტეხილა, განწყრომია ღმერთი და ის არი! გათავებულა მისი ალიან-ჩალიანი! ადვოკატმა რაღა ჰქინას!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – როგორ თუ რა ჰქინას? ადვოკატი მიტომ ჰქვიან ადვოკატს, რომ ყოლიფერი უნდა მოახერხოს, დამნაშავე უნდა გაამართლოს, თორემ მართალი თავისითაც გამართლდება.

ტ უ ს ა ღ ე ბ ი – ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, ჩემო ბატონო! ეგ ბეჯითი ბრძანება!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რასაკვირველია. აი, ეხლა ის ქურდი რომ გამოტყდა, გამოძიებას თავი დაანებეს და განჩინების წერა დაიწყეს. ჰკარგავდენ ციმბირში, მაგრამ მე აღარ ვქენი: ვამტკიცებდი, რომ ეს არ არის ქურდიმეთქი. როგორ არ არის, თვითონ გამოტყდა? არა-მეთქი, ვუთხარი, ჯერ ეს მიბრძანეთ: ცხენი აიკიდა ამ კაცმა ზურგზე და ისე მოჰქონდა, თუ ცხენს აჯდა ზურგზემეთქი, ცხენს მოჰყავდა-მეთქი? – ვკითხე მსაჯულებს. – რა თქმა უნდა, რომ ცხენს მიჰყავდაო, – მიპასუხეს. მაშ ცხენს მოუპარავს ეგ და არა მაგას ცხენ-იმეთქი, და გასაჯეთ და გაასამართლეთ ცხენი და ამ კაცს თავი დაანებეთმეთქი. ამ სიტყვაზე მსაჯულებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, პროკურორმა ხმა ვეღარ ამოილო. შევიდენ მსაჯულები მეორე ოთახში, მოილაპარაკეს და გაამართლეს ჩემი კლიენტი.

ტ უ ს ა ღ ე ბ ი – ქრისტემ დიდი დღე მოგცესთ! ჰო, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! სხვისგან შველას შენს ხელში გაფუჭება გვირჩევნია! შენს იქით გზა არც ერთს არა გვაქვს! მოისმინეთ თქვენ ჩვენი გაჭირვება და, თუ ხელმოსაკიდებელი ვიყოთ, ნუ დაგვანებებთ თავს! სხვის ხელში ნუ ჩაგვყრით! და, თუ აღარა გაგვეწყობოდეს რა, წინდანინვე მაინც გვიბძანეთ, რომ თავი მაინც აღარ შევიწუხოთ, ტყუილი ხარჯი აღარა ვქინათ!..

სცენა საპატიმროში

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კარგი! მაში, მოდით, დასხედით ყველანი და თითო-თითოდ გამოგვითხავთ ყველას და გადაწყვეტილს გეტყვით. მაგრამ მოძღვარსავით კი უნდა მითხრათ: ისე, როგორც ყოფილა თქვენი საქმე.

ტ უ ს ა ღ ე ბ ი – კი, ჩემი ბატონი! რაღა დღისთვის დავფაროთ?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მაში, კარგი. აბა, შენიდან დავიწყოთ. ვინა ხარ შენ?

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, ვინც გახლავართ, შენი ჭირიმე!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მე რა ვიცი! თუ მომეხსენებოდეს, აღარც კი გვითხავდი!

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – მე, შენი ჭირიმე, მეურმე გახლავარ, გოგიტაბასილიძე.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რათა ხარ დაჭერილი?

ქ ა რ. – მაგას კი ნუღარ მკითხავთ, – ღმერთი გადლეგრძელებსთ, ნუღა მომაგონებთ მაგ საქმეს!..

ა დ. – აბა, როგორლა გავიგოთ, თუ შენ არ გვეტყვი, რათ დაგიჭირეს?

ქ ა რ. – რაზედ დამიჭირეს, ა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და იმაზედა, ი, ჩემი ცოდვით სამსე, ი ბიჭი, რომ შამომაკვდა! აი, იმას ჰერითხოს ჩემმა ცოდვამ.

ა დ. – მაღედან კიდევ ვერა გამიგია რა! ვინ ბიჭი?

ქ ა რ. – ვინა და ი ბიჭი – ნინიკაზე მოგახსენებ, შენი ჭირიმე.

ა დ. – გარკვევით მითხარი, ვინ იყო ის ნინიკა და რათ მოჰკალი?

ქ ა რ. – ნინიკაი?

ა დ. – ჴო, ნინიკა! ის ნინიკა, შენ რომ მოგიკლავს, ვინ იყო?

ქ ა რ. – აკი მოგახსენეთ, ჩვენი ნინიკა გახდათქო!

ა დ. – ახა ღმერთო! არ ვიცი და მითხარი, ვინ იყო და ან რა იყო შენი? დაგიჯინია: ჩვენი, ჩვენი, ვინ თქვენი?!

ქ ც ა რ. – ჴო, მიხვდი, შენი ჭირიმე! ნინიკა ძმა გახლდათ ჩემი!

ა დ. – მერე რათ მოჰკალი? მტრობა გქონდათ ერთმანეთში?

ქ ა რ. – არა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მტრობა კი არა და ჩვენითანა მოყვარული ერთმანეთის ძმანი სულაც არა გხლებიათ ჩვენს კუთხეში.

ა დ. – აბა, რათ მოჰკალი?

სცენა საპატიმროში

ქ ა რ. – ღმერთმა ნუ იცის დედაკაცის თავი და ტანი! ჩემი დედა-კაცის ბრალია, იმასა ჰყითხეთ! ჰოპე, ჰოპე, რა მახეში მე იმან ჩამაგდო!

ა დ. – შენ, ჰეი, ჩემო ძმაო, თუ გინდა თქმა, მალე მითხარი და გაათავე! სხვებსაც აცდენ და მეც დროს მაკარგვინებ, თორემ მე სად უნდა ვძებნო შენი დედაკაცი! შენ უნდა მითხრა: რათ მოჰკალი და როგორ?

ქ ა რ. – მოგახსენებთ დალაგებით, შეი ჭიიმე. ხუთშაბათი დღე იყო. არა, არა, ხუთშაბათი კი არ გახდათ, პარასკევი იყო... მგონია, ხუთშაბათი იყო და აღარ მახსოვს კარგათ. ფუ, დალაზვროს ღმერთმა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ეგ სულ ერთია, რა დღეც უნდა ყოფილიყო. შენ ის მიამბე, რა იყო?

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – კარგი, შეი ჭიიმე, ერთ დღეს პურის ჭამათ დავსხედით მე და ნინიკაი. ვუთხარით დედაკაცს: დედაკაცო, ცოტა შეჭამანდი გექნება და პირი გაგვისველეთქო! წავიდა, ი, ღვთისაგან შეჩვენებული და ერთი ჯამი მახოხი მოგვიტანა ორთავ ზიარათ. მართალი ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დედაკაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია, ეშმაკმა გააჩინაო, თორემ რა ენალვლებოდა, ი, ჩემი ცოდვით სავსეს, ორ ჯამზე დაესხა და ისე მოეტანა ორივესთვის? თითო ორ-ორი ტაქანი რომ დავლიეთ, ი, ბიჭს გავუზუმრე; ნინიკა, ჩემზე მეტს ნუ სჭამ მახოხსთქო. იმან იწყინა და გინება დამიწყო, მეც შევაგინე; იმან აიღო და არკი ზე ცხვირ-პირზე შამა-მასხა ი მახოხი. მეც, ვერ დავფიცავ, ცოტა ავგული გახლავარ და ამოვილე ხანჯალი და ერთი წაუქნიე წვერით ნელა... ი, ჩემი ცოდვით სავსე ისე წამოეგო ზე, როგორც გოჭი შანფურზე... ზიარებაც ველარ მოვასწარით, ი, ჩემი ცოდვით სავსეს! მერე მეც ბევრი ვიყ-ვირე, მარამ ვინდა გააცოცხლებდა, შენი ჭიიმე? კაცის სიცოცხლე ერთი წამისააო, მოგეხსენებათ.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ოხ, ეგ დიდი დანაშაულობა არის, ეგ არის კაე-ნის ცოდვა!

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – რა ვიცი, შენი ჭიიმე, ყეენის ცოდვაა, თუ სვანთქრისა? მე კი ამ უბედურებაში ჩამაგდო ი ცოდვიშვილმა და თითონაც გაფუჭდა და მეც მაფუჭებს... ორივეს ცოლ-შვილი ოხრად გვირჩება! ამ საქმიდან რომ ვინმე მიხსნიდეს, ხუთი თუმანი მიბარია ამ ჩვენს მოტრიტელს და იმას მივართმევ.

სცენა საპატიომროში

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რას ამბობ, ჩემო ძმაო? ხუთ თუმნათ ხელის
მოკიდება ძნელია მაგ საქმისა!

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – ათი იყოს, შენი ჭიმე, რა გაეწყობა! რაღა
დღისთვის მინდა ფული?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მაგ ფულით მოჰკიდებს საქმეს ხელს გლახა
ადვოკატი და კარგი კი...

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – ოღონდა თქვენ კი იკისრეთ და მეტსაც მოგ-
ართმევთ, შენი ჭიმე! გუთნეულს გავყიდი და შეგისრულებთ ოცათა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი! – კარგი, კარგი, რაღა გაეწყობა, მე ფულის
სიხარბე არა მაქვს, მაგრამ კარგ კაცს გეგხარ, უნდა მოგიწყო ხელი.
შეგიძლია ამირჩიო ადვოკატათ! ახლა შენ მითხარი შენი ვინაობა!
(მიუბრუნდა მეორე ტუსალს).

რ ა ჭ ვ ე ლ ი – მე რაჭველი გახლავარ, არჩუაძე, ქვე ჭირი
მოგჭამე! ჩემისთანა უბედური საქმე, ჭი, ჯერ ადამიანს, ქრისტია-
ნის შვილს არ მოსვლია, ჭი! ცოტა ფულის მოსაგებათ გადმოვდგი,
ჭი, ფეხი შინიდან და ერთი აღა-ხაზანი ევიჩემე, თვეში თუმნათ,
ჭი. ყოლიფერი თანამდებობა ჩემ ხელათ იყო, ჭი: ლაქია-მსახური,
პოვარ-მზარეული და ხაბაზიც სულ მე ვიყავი. გატყდებოდა რამე, მე
გადამხდებოდა, ჭი, და თუ რამე დეიკარქებოდა, იმის მოპასუხეც მე
ვიყავი. ერთ ღამეს ვინდაცა მგზავრები შემოვუშვი შინ, ღამე გავათ-
ევინე, იმათ კი გოუწყრათ ჩემი ბრავალძის პირ-ყვითელი და ხელე-
ბგაშლილი წმინდა გიორგი, ჭი! თურმე აკი, ბატონო, რაზმონიკები
იყვენ! მე რას შევატყობდი? ცხვირ-პირზე კი არ ეწერათ, ჭი! იმ
ღამეს ჩემი აღა-ხაზანი სულ ერთიანათ გაქურდეს და მოორე დღეს
მე მტაცეს ხელი: შენ თუ არ ერიეო, ქვე რატომ არ უყურეო, ჭი? რა
რკული სამართალია ეს, ჭირი მოგჭამე! რომელი ქურდი აყურებიებს
სხვას ქურდობას?! თუ აყურებია, ქურდი ქვე კი აღარ იქნება, ჭი,
პატრონი იქნება! ქვე თუ რამეს მიშველით, ახლა თქვენ იცით, ჭი...

ა დ ვ ო კ ა ტ ი – არა გიშავს შენ. აბა, ახლა შენ მოჰყევი!
(მიუბრუნდება მესამეს).

ო ს ი – მე, სენი ჭილიმე, ოსი ხარ კუდალოელი. მე, სენი ჭილიმე,
ელთი ბინი მოკალი, ძალიან კაი ბინი.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რათა? რა დანაშაული ჰქონდა?

ო ს ი – ლა დანასაული გექნებოდა, სენი ჭილიმე, ისე მოკალი,
ტყვილა. სეხედე, რომ სოლს მოდიოდა და ძალიან კაი ნისანსი ამო-
სალები იყო; უნისნე ე ცემი სასხანა, სი წიპი გკარი! ძალიან, ბატონო.

საცენა საპატიმროში

ეს ცემი პატალა სასხანა ნისანი გიყვარს: ბუზი არ აცილდება, მას-ინვე მოგკლამს!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მაგ ერთის მეტი ხომ არავინ მოგიკლავს?

ო ს ი – რასა ბრძანებ, ბატონო, რამდენმა სხვებმაც სენი ჭილი ნაიღეს! ოხ, ბევრი კაი ბიწობა ქენი! ბევლი მოვკოხნე თავი!

რ ა ჭ ვ ე ლ ი – იმე! ქვე რას ამბობს ეს ურჯულო?! შენ კი გაგი-ნყრა ჩემი ყოვლად წმინდა ხვთისმშობელი და დაგლახვროს ჩემმა სამასსამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ ქვე რა გიქნია, შე ურჯულო?! ქრისტიანები მოგიკლავს თუ ურჯულოები?

ო ს ი – ალა, სენი წილიმე, სულ კაი-კაი სენისთანა იმელელი, კოლტოხელი დაგოხნე თავი აი ბეცა, ბევლი კაი ბიწობა ქენი ცემი ყმაწვილობა!

რ ა ჭ ვ ე ლ ი – ქვე არ შეგხვდენია, ჭი, ჩემისთანა ბიჭი, თვარა ის-კი მოგიგრეხდა მაგ ცოდვილ კისერს, ჭი, ლელერჭივით... ბევრს არ გალაპარაკებდა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კარგი, კარგი, კმარა! რადგანც გამოტეხილხარ, შენ ალარ გეჭირვება ადვოკატი, ტყვილა ნუ ამირჩევ. შენ ვინდა ხარ? (მიუბრუნდა სხვას).

მ ე გ რ ე ლ ი – მე, პატონი? მერგელი გოხოლო, ხუხუა სულგავა.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – უთუოთ ცხენის ქურდობაზე იქნები დაჭერილი, ამას კითხვა ალარ უნდა.

მ ე გ რ ე ლ ი – ვარ (არა), პატონი! მაგისთანა გაშლილ ქურდო-ბაზე კაცი რავა დამიჭერდა? დიხაში მუდუსავით ჩავძრები, წყალში ბატივით გავცურავ, ღობეს კატასავით გისხაპამ, ტყეში ტურასავით ვიძვრენ და გაქცეულს დადიანს წევარიც ვერ მომეწევა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – აბა, როგორ დაგიჭირეს?

მ ე გ რ ე ლ ი – რავა, პატონი, და ერთ სომეხს დუქანი გოუხ-ვრიტე და შევძვერი შიდ; რაც საშოვარი იყო, მოვამგროვე, მარამ ამ დროს, პატონი, ხმაურობა მომექმა; დავაპირე გამოძრომა, მარამ ორივე ნახვრეტებთან კაცები იდგენ!.. წინიდან აფხოტები მოდგო-მოდენ და უკანიდან სომეხი, და მე შუაში გამაკვეტეს... სად წევი-დოდი, პატონი?

ს ო მ ე ხ ი – მახლას! რა გინდოდა სომეხის დუქანში?! ანგრე გიორჩევნია, აი, ჩემმა მზემ!

მ ე გ რ ე ლ ი – კი, პატონი, თუ მე ასთე მირჩევნია, არც შენ გაწყენის მასთე ყოფა, ჩემმა მთვარემ! შენც ჩემისთანა ტყვე ხარ, გაბერილო სომეხო.

სცენა საპატიომროში

ა დ ვ ო კ ა ტ ი – შენ რაღათა ხარ დაჭერილი?

ს ო მ ე ხ ი – პუსტოი, კნიაზჯან, სულ პუსტო! სხვილ-სხვილი ასიგნაცი წვრილზედ აბმენიატი ვეენი! და მითხრეს, ყალბია! ვაი, კნიაზჯან, მე რა ვიცოდი, თუ ყალბმა იყო, მე ხომ არ მოვჭერი! მე ლეოლრაფია-ზოოლოლიამ რა ვიცი, რომ გამეკეთებია!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ადვოკატი გყავს?

ს ო მ ე ხ ი – გახლავსთ, კნიაზ!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ვინ არის? კარგია?

ს ო მ ე ხ ი – ძალიან, კნიაზის მზემ! როგორც უნდა, კანონი ისე ათამაშებს. ისე ჭიკიკობს, როგორც ბულბულმა! მე სხვა ადვოკატმა არ მინდა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – სადა გყავს ეგ ადვოკატი? ვინ არის?

ს ო მ ე ხ ი – აი, აქ არის, კნიაზჯან! (ჯიბეზე იკრავს ხელს) აი, კნიაზ, სწორი ადვოკატი.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კი, მაგრამ, თუ მაგ შენმა ადვოკატმა ჩემ-თან ბეჯითად არ მოილაპარაკა, ისე მარტო თავისთავად ვერაფერს გაარიგებს! ებრაელო, შენ რაღა გინდოდა აქა? ვინ ებრაელი და ვინ აქ ყოფნა? რაზე მოუწვევიხართ?

უ რ ი ა – ჩემი დაბადების მადლმა – ე, სულ ტყვილაუბრალოდ დამიჭირეს – ე! ღორთა იცოდეს – ე, უსამართლობა მიყვეს – ე, რჯულის მადლმა – ე, არა დამეშავებიოს რა – ე, ერთ საღამოს – ე, კნეინებს დავებარებიე – ე; მეც ვიახელი – ე, მიბძანეს – ე, საქონელი გვიჩვენეო; ერთმა კნეინამაც – ე, თავისი საჯდომი დამითმო – ე, დაჯექი და ისე გაშალე საქონელი, გვიჩვენეო; მეც მადლი მოვახსენე – ე, დავჯექი და უჩვენე – ე, ბოლოს მიბძანეს – ე, თეთრი საქონელი – ე, მიტკალი გვიჩვენეო. მე მოვახსენე: თეთრი საქონელი ერთი კარგი შტუქა გახლავსთ – ე, ცოტა თავი კი აქვს – ე, წაჭრილითქო, თორემ სხვებ – ე, დასაწუნი არ იყოს – ე, რჯულის მადლმათქო. იმათაც ნახეს, მოენონათ – ე, იყიდეს, მიმაზომინეს და გამომიშვეს – ე, თურმე ნუ ბძანებთ – ე, ზომა შემშლოდა – ე, და არშინზე თითო გოჯა დამეკლო – ე, მეორე დღეს – ე, მისმა ქმარმა მიჩივლა – ე, ცოლი გამიბრიყვა, არშინშიაც მოატყუა – ე, და საქონელიც დამპალი შემოაპარაო – ე, ამისთვინ, დამიჭირეს შვიდი დღის ვადით – ე, რჯუ-ლის მადლმა, ღორთა იცოდეს, სულ უბრალოთ – ე!..

სცენა საპატიმროში

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მეორეზე ნულა დააკლებ თითო გოჯას, თორეგმუციმბიროთაც ვერ მორჩები! ახლა კი კიდევ კარგათ გადარჩენილხარ! შენ ვინდა ხარ? (სხვას).

ი მ ე რ ე ლ ი – მე, შენი ჭირიმე, იმერელი გახლავარ, ივანიკა ხვლიკიაშვილი, ქვემოური ყაბახი!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კაცი მოჰკალი შენცა?

ი მ ე რ ე ლ ი – იმე! რას მიბრძანებთ, ღმერთი გადლეგრძელებს, ბატონო, კაცს ქე რავა მოვკლავდი, შე დალოცვილო, ქათამი ხომ არ იყო?! ფარსაგი სული, მონათლული ქრისტიანი, კაცს რავა გამოიმეტებს სასიკვტილოთ? ეშმაკი, კუდიანი ქაჯი და ჭინკაც არ მოკლავს კაცს, ისთე თუ გააფუჭებს, თვარამ, და მე რავა გევიმტევ ადამიანს?! ჯვარი აქაურობას! (აფურთხებს). ჩვენს სოფელში ერთ წელიწადში დიდი სიკვტილიანობა გახდათ, ჩემო ბატონო. ისთე ეყრებოდა ხალხი, პანტასავით!.. ოჯახი არ დარჩენილა, რომ კვტარი არ ყოლოდეს ერთი მაინც. ხოლვერა არ იყო, ბატონებს არა გავდა, ვენაცვალე მათ ძლიერებას, და ცივებ-ცხელების ნიშან-წყალი სულ არ ჰქონდა იმ ძალვან სწეულებას. დევიბენით – შენი მტერი დაბნეულა! უვეზდის დოქტური კი მოგვივიდა, მარამ მათი ამბავი თქვენც კი მოგეხსენებათ: თავი რომ ტკიოდეს კაცს, ფეხზე ადებენ წამალს და, რომ მოკვტება, „პროჩაითო“, ეტყვიან. იმათი წამლობა ფორმაა და ჩესტი, სხვა არაფერი, თქვენი თავი ნუ მომიკვტება, მე თითვან ვნახე ჩილოქის იმში ერთი კაცი, ორივე ხელები გაგდებული ქონდა და, დოქტური რომ მოვიდა, მაჯის ნახვა მოუნდომა! ფორმაა მათი, თვარა ისთე კი არა. არა, ბატონო, თუ კაცს თავი არ აქ გამომეტებული, იმათ რავა მიიკარებს საჭირბოროტო! ჩვენ დავანებეთ თავი დოქტურს და დევეკითხეთ მეკითხავს. იმან, მოგეცა ღვთის წყალობა, მართალი გვითხრა: თქვენს სოფელში კუდიანები ყოფილან გახშირებული და ისინი ართმევენ კაცებს გულ-ღვიძლს და ბრუსაბძელაზე მიაქვთ ზაკუშკათ როკაპთანაო; ისინი დადალეთ და აღარავინ მოკვტებაო! დაგპრუნდით ჩვენ სოფელში, მოვაგროვეთ, რაც იმ სოფელში ბებერი იყო, წევიყვანეთ წყალზე, შოუკარით ბანრით ხელ-ფეხი და ისთე შევაცურეთ მორევში; რომელიც დაძირა, ის არ იყო კუდიანი და რომელიც კი ეიფირფიტა, ის კი სწორეთ, ბეჯითად კუდიანობის ნიშანი იყო. ისინი გამოვიყვანეთ, გავახურვეთ რკინის ჯვარი და დავდალეთ. ბევრი უძახეს თავის კუდიანებს: „გვიშველეთო“, მარა არა, ჯვარის ეშინიათ კუდიანებს!

სცენა საპატიმროში

ა დ ვ ო კ ა ტ ი – სხვა რკინეულით რამეთი არ შეიძლებოდა დადაღვა?

ი მ ე რ ე ლ ი – ევეი პლაჩ! უჯვეროთ არ იქნება, მაშინვე კამპეჩის ტყავს გადააფარებდენ კუდიანები უხილავათ და როდი დეინოდენ. ახლა, ბატონო, როცა დადაღვა გავათავეთ, გაუშვით ის კუდიანი ბებრები; მერე ისინიც გამოტყდენ და ახლა მკითხავები არიან. ამ საქმისათვის დამიჭირეს!.. მართებლობამ იწყინა: „შენ პუტოვჩიკი ხარო“... და განა ქრისტიანული საქმე პუტოვჩიკობა არი?! ახლა, შენი ჭირი შემეყაროს, თუ მიშველი – ყმათ დაგესახლები!...

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კარგი! კარგი! შეგიძლია, ამირჩიო. შენ ვინა ხარ? მეგრელი ხარ?

გ უ რ უ ლ ი – ვაი, წავხდი, კილავ! რა მიგავს თხაპარია მეგრელს?

მ ე გ რ ე ლ ი – რა მოგპარა, წიე, მეგრელმა?

გ უ რ უ ლ ი – დედაგ! რავა აბდლურათ ჩივი შენ! შენ სხვას მოპარავ, თვარა გურულს რავა გუუბედავ მოპარვას! ჩემ კონახში რომ შეხვიდე, იცი, რას გიზამ, ყაზილარო? ნიფხავს გაგხდი და მითი შეგიკოჭავ ხელებს!

მ ე გ რ ე ლ ი – თუ მაგრე ვაშკაცები იყოთ, პატონი, დადიანი რათ ერეოდა გურიელს?

გ უ რ უ ლ ი – ვინ გითხრა მაი საჯაყი! იგი დაგავიწყდა, ოცდახუთმა გურულმა რომ ათასი მეგრელი დეიფრინა წინ, ისე რომ ერთი ყურშუმიც არ გაუსვრიათ?

ი მ ე რ ე ლ ი – ეს ისე მართალია, თქვენ ნუ მომიკვტებით, როგორც ალდებომა! მას აქეთ არის ჩევენში დარჩენილი სიმღერა: „ოცდახუთსა მეგრელ კაცსა მაკე ტურა შეუყარათ, სანამ ტურათ გეიცნობდენ, სული ხორცათ გეეყარათ!“

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – ეგ ყველა კარგი, გურულო, მაგრამ ე თოკი რომ უკან ჩამოგიკიდებია მელის კუდივით, რათ გინდა ეგა?

გ უ რ უ ლ ი – რაიზა და იმიზა, რომ, შენისთანა ყაზილარს თუ შევხვდი, შევკოჭავ ამით და ქობულეთში ამოვაყოფიერ თავს! და მაშინ მკითხე, თუ გულს გერჩის!

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – შენმა მზემა, ასეთი არა ჰქნა, ღომით არ მიმიტყუო!

გ უ რ უ ლ ი – ქართველმა რომ ღომის ჭამა არ იცოდეს, იგი ღომის რა ბრალია? მაჭუტაძეს ერთი ქართლელი თავადი ესტუმრა. სადილათ ღომი მიართვეს; თურმე იმ აბდალამ ღომის ჭამა არ

სცენა საპატიმროში

იცოდა, ჩაქრა ხელი ღომში – თითები დეენვა, პირში ჩაიდვა – იგიც დეენვა, გადაყლაპა – ყელი დეენვა, კუჭში ჩაუვიდა – იგიც დანვა და ბოლოს ქართლელმა ნაბადი აიღო, რომელზედაც იჯდა: აგი ნაბადიც არ დამენვასო! აგია თქვენი ცოდნა, ა?!

ი მ ე რ ე ლ ი – მაგისთანები გურულებზედაც კია, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, ნათევამი: გურული დაპატიჟა ქართლელმა. მარხვა დღე იყო და მუხუდო მოუტანა; გურულმა დახედა ჯამზე, ნახა, რომ თურმე, ცარიელი წვენია, ფორჩი არსად არი; ერთი-ორი მარცვალი კი დაცურამდა თურმე. მუხუდოს კაკალი წვენში. წამოვარდა გურული, გეიკრა ფიშტოს ხელი და შეაყენა ჩახმახი! – „რათა მელავო?!“ – უთხრა მასპინძელმა. – შენ კი არა გყლავო, უთხრა გურულმა, აგი დედაგაგლეჯილი მუხუდოს მარცვალი ცურავს, ვერ დევიმორჩილე და ეგება იგი მოვჰკლა ფიმტოთიო!

ქ ა რ თ ლ ე ლ ი – შენი კი რაღა მეცოდინება, კორტოხელო, შენა! შენ რომ ხიზილალას უწრუნუნებდი ქალაქშია, ის აღარ გახსომს?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კარგია, ანი კმარა! ღლაბუცს თავი დაანებეთ და საქმეს მიჰყავით ხელი. რათ დაუჭერიხართ, გურულო?

გ უ რ უ ლ ი – რაიზა და მიზა, იგი ყაზილარი რომ მოვკალი ქალაქში!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რათ მოკალი?

გ უ რ უ ლ ი – მე კი არ მოვკალი, მან მომაკვლევია თავი ტყვილა-თე! ჩემდა მოვიდოდი გზაზე, დამხვდა ი ყაზილარი და დამინყო ყვირილი: „გურულო, უჰ! გურულო! ო, გურულო!“ და მანამდი მიყვირა, სანამდი კუჭი არ მომაყვანია, არ გევეცი ხმა! ვთქვი: აბდალეეა – ვიცი. თავი რეიზა გუუცვალომეთქი? მარა ბოლოს ხელიც მიბიძგა! მაშინ მეც კუჭი მომივიდა: ბიძგება მასთე არ უნდამეთქინ – უთხარი, ვბიძგე ჩემი მაჭახელა, ვრეხვე გაბერილ მუცელზე და ქეჩხოსავით გადავაგორე! ერთი! „ვაი, დედაც“ ვეღარ მოასწრო იმ ყაზილარმა და, თუ მეტი არ შეეძლო, რეიზა მაკუჭიანებდა, ი, დედაგაგლეჯილი!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ადვოკატი გყავს?

გ უ რ უ ლ ი – ადუკატი რეიზა მინდა! კი აღარ ვფიცავ მის სიკვდილს!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მაშ, გაგგზავნიან!

გ უ რ უ ლ ი – გამგზავნიან და ვეღარ გამოვბრუნდები? ისევ ჩამოვალ, რა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ვინ გამოგიშვებს ნებით?

სცენა საპატიმროში

გ უ რ უ ლ ი – ძალით გავშები!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მერე ყარაულები?

გ უ რ უ ლ ი – ყარაულები! მე კი გავშები გზიდან და იქ კი აღარ დაუწყებ ყარაულებს ყუნცულს! სანამდი იგინი გეიმძრეო-დენ, მაქამდი მე დავტრაკავ და ქობულეთში ამოვყოფ თავს! იქ კი ვირჩენ თავს. ფირალათ ერთი ბიჭი ვერ მაჯობებს და, მართალია, ჩემს სოფელს კი მოშორებული ვიქნები, მარა იმ დედაგაგლეჯილის სიკვდილს კიდე ჩემი ფირალობა აჯობებს!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რომ მოგენიონ და დაგიჭირონ?

გ უ რ უ ლ ი – დედავ, რას ჩივი, კილავ! ჩემმა მტერმა თქვა მაი! თუ იგინიც მე დამიჭერენ და მთლათ პილწი და წამხთარი ვიქნები და იგი იქნება! მაშინ მეც აღარ ვიქნები შესაბრალი და ანასუნი ჩემ საქმეს!

[1867]

ქართველის და
ახალის შენა

კომედია 5-თ მოქმედებად

მოქმედი პირი:

თ.ზურაბ გატენილიძე

ალექანდრე – მისი შვილი

თ. გრიგოლ დიდყურაძე

ნიკო

ნინო

სამსონ ხეპრიაშვილი – აფიცერი

დემიანა – ამის დენშჩიკი

ივანიკა – ზურაბის მსახურმი, იმერელი

გოგია – გურული

დათიკა – დიდყურაძის მსახური

მოქმედება 1-ლი

სცენა 1-ლი

(ევროპიულად მორთული პატარა ოთახი)

გამოსვლა პირველი

ი ვ ა ნ ი კ ა – (წამოწყოლილია გულალმა დივანზედ და ხანგრძლივ „გვეგონას“ იმღერის; რომ გაათავეს სიმღერას, ოცნებაში შედის და მერე ტებილის ღიმილით, ნებიერად ამბობს) ვაი, ბერა საყვარელო, რა კაი ყოფილა ბატონობა! თურმე ქე ხარ შენთვის წამოწყოლი მდივანზედ, გვერდებში ქარი არ გიბერამს, ზეიდან წუმა არ ჩამოდის და ქვეშიდან ბედნიერის აყოლის არ გეშინია... ვაი, საყვარელო!.. დედა, დედა, ეს ყოფილა თურმე ცხონება! (დაფიქრდება). იქნება, მეც ერთხელ ბატონი გავხდე. თუ ეს მართლა ასრულდა, მაშინ მნახეთ, რავარ ვიზამ: წამოვწობი სულ ასე, აჲ, და აქიდან კაცი ველარ ამაგდებს; ქე ვიგორებ ასე ჩემი ბატონის ბაჩასავით. თქვენ არ მომიკვდეთ, მე მაშინ ტყემლის წუას და ღომს აღარ დავუწყო ჭამა!.. ამას მე სხვებს ვაჭმევ და მე სულ ხიზალალით და მდოშებით ჩევიგემრიელებ პირს, ვაი, საყვარელო! (პირს აწლაქუნებს). აჲ, შენ არ მომიკვტე, არ შევიბრალებ სხვას, უბედური დღის შვილებს. (სიცილით) გავაჩერებ ეგერ ე იქანა, ისთე, ვაყურებიებ ჭამას და, როცა ძალიან მოუნდება, შევატყოფ, ში გაუძახებ კარში, ვეტყვი: „პოშოლ, ზურაბიათქო“. მეც დოუძახებ მაშინ, რავარც მე მეძახიან ახლა ივანიკას; მე კი ვიგემებ ხიზალალას და კაი-კაი მთართლის მდოშებს. (დაჩუმდება და ცოტახნის უკან) ხიზალალა რომ მომაგონდა, წყალი მომწყურდა, ვახ, დედაჩემო, რავა მწყურია... ეგერ ყოფილა წყლიანი დოქი, მარა ქე ვინ ადგება ახლა მაგისტვის? ვინ გეიმძრევა? ნეტაი, ნატვრის თვალი მომცა!.. ვინატრებდი ახლა: „დოქოთქვო – ვეტყოდი ამ დოქს – ახტი, დახტი, აქ მომახტი, პირს გაგიღებ, ზედ დამახტი-თქო“ და ზე მომახტებოდა ის დოქი, მეც წყურულს მოვიკლავდი. მაშინ ვეტყოდი ისევ დოქს: „ჩაფარ, ჩაფარ, დოქ“ და გაჩერდებოდა დოქიც. მერე ვეტყოდი კიდომ: „ახტი-დახტი! ისევ შენს ადგილას გადახტითქო“

ძველსა და ახალს შუა

და მომშორდებოდა დოქიც. ვაი, საყვარელო, რა კაი იქნებოდა! მერე ქე დევიძინებდი... ახლაც ქე მეძინება, მარა წყურული მკლამს და მიშლის დაძინებას... ეჭ, მოდი, ერთი თვალებს დავხუჭამ, დავიძინებ და არ გადამივარდება ეს ოხერი წყურული, არ გადამივლის, აპა, რა ჭირს მამჭამს, არ მოულიტება მაგას ყელთან, რაღა გზა ექნება? (გადაბრუნდება მეორე გვერდზედ, პირს კედლისკენ იზამს და ცოტა ხნის შემდეგ ამოუშვებს მადიანათ ხვრინვას).

გამოსვლა 2-რე

ისივე და ზურაბ გატენილიძე

(შემოდის ოთახში, თავზედ ხურავს რუსული ქუდი წითელ ოკოლოშეიანი და დიდყოზიროკიანი; ტანზედ აცვია ქართული ჩოხა, რომლისაც წითელი საყვარელი ყურებამდის უწევს, წითელ აბრეშუმის პერაზედ შავი ყელსახვევი, მოჭერილი ლვლერჭივით. დიდ განიერ შარვალსა, ცოტათი მოკლეს, სიგრძეზედ წითელი კანტი აქვს ჩაყოლებული და პოიკის ჩექმებზედ ეცნევიან ტომარასავით განიერი წითელი ნიფხვის ტოტები. ხელში უჭირავს ბზის ჯოხი. დაინახავს თუ არა ივანიკას, დიდხანს გაკუირვებით მიჩრებია, ხან იმას უყურებს, ხან პუბლიკას, ბოლოს გაკვირვებით იტყვის)

ზურაბ – იმე! ამას ვერ ჰქონდავთ, თქვენი ჭირიმეთ! ეს სიზ-მარია თუ მეჩვენება? თუ მართლა ბიჭი წევს! (წაიშენს თავში ხელს). ამისთანა ოჯახის დაქცევასაც მოვესწარით?! ვაი, ჩემო სიბერევ, რა დღე მოგადგა! (პუბლიკისკენ) მამაჩემი წუ წამიწყდება, ამ დივანში ხუთი თუმანი მივეცი სვიმონა კაპეცს! შეჩვენებული ვიყო, თუ მე უსტუმროთ ამაზედ ვჯდებოდე, და სტუმრებთან კი, რაღა გაეწყობა, ხათრით უნდა დავჯდე, მაგრამ მაშინაც ისე ვხელოვნობ, რომ ტანს ავიმჩატებ ხოლმე და ისე ეშმაკურად ჩამოვჯდები ხოლმე, არ იზნიქოს, ღმერთი არ გამიწყრესთქო! სულ ასე ვხელოვნობ და ასე ვიკომონაობ, თვარა არ იქნება. ამას ოჯახობა მოითხოვს. ეს შეჩვენებული კი არა მზოგავს! ისე თავიან-ფეხებიანად გადაღლაშულა უმონყალოთ, იმე! მადლი არ იქნება, რომ ისევ ძველებურად გადაუჭირო ეს ჩემი ბზის ჯოხი, მაგრამ ვინდა გვაბედვინებს? ახლა ეს ხომ ივანიკა აღარ არის. დიდი იოანე ბძანდება... მამას ამისს რა ერქვა? ჰო, გოგიტა! გოგიტა ერქვა! ახლა ეს ბძანდება ივან გოგიტიჩი და არა ივანიკა. (სარკასტიკური დაცინებით მოუბრუნდება

ძველსა და ახალს შუა

მძინარ ივანიკას და მძიმედ თავს უკრაგს). უკაცრავათ, ჩემო ბატონი, ივან გოგიტიჩ! იძინეთ, თქვენი ჭირიმე, ნება გაქვსთ! (პუბლიკისენ) იმე, მაგრამ რას თავს ვიგდებ, რა მაყვირებს ასე მწარედ? რომ ღმერთი გამიწყრეს და გამოიღვიძოს ამ ჩემს ყვირილზედ, ხომ წავა და პოსლედნიკთან მიჩილებს და შტრაფს გადამახდევინებენ! არა, სჯობია, რომ დავჩემდე. (ირტყავს ტუჩებზედ ხელს) დაჩუმდით! არც ახლა დაჩუმდებით, თქვენ დასამიწებო ტუჩებო? და სანამ ეს ბატონი არ ინებებს გამოღვიძებას, აგერ დავჯდები ჩემთვის ამოფარებული. (ტუჩებდამუჭული, ფეხებაკრეფით წავა და დაჯდება სკამზედ, კამოდს მოეფარება, პირი პუბლიკისაკენ აქვს და ნალვლიანად აქნევს თავს).

გამოსვლა 3-ით

ისინივე და გოგია შემოდის

გ ო გ ი ა – კილავ, წავხდი! აგი რა მხარ-თეძოზედ წამოვორებულა ეს ყაზილარი! ამ დედაგაგლეჯილს საქმე გამოლევია! ივანიკა! ივანიკა! ადე ზეზე!

ი ვ ა ნ ი კ ა – (წამოვარდება ზეზედ) აა! აა! ვინ იყო? რა ამბავია?

გ ო გ ი ა – აგი რა დაგემართა, შე მხთალო! რას წახდი? რას შეშინდი? მე ვარ, მე! გოგია ვარ! გამარჯობა! (ხელს აძლევს).

ი ვ ა ნ ი კ ა – უჟ! შენა ხარ, გოგია? ვაი, დედაჩემო, რავა ტკბილად მეძინა (ხელს აძლევს) ზდრავი უელიმ, ბრატიც! დაჯექი, პოჟოლუსტა! ახალი ამბავი რა იცი?

გ ო გ ი ა – რაი უნდა მეცოდინოს სხვა? ჩვენ რომ ვიცით, იმათი წახთენა და ჩვენი გამარჯვება! არა კმარა?

ზ უ რ ა ბ – (პუბლიკისაკენ) ვაი, დედათქვენს! ვაი დედათქვენს! (გულზე მუჭს ირტყამს). რატომ ეგ ენა არ ჩაგივარდებათ. მაგრამ ღმერთი გვირისხდება...

ი ვ ა ნ ი კ ა – რაო, კიდომ შეიტყე რამე, შე კაცო? ერთი ჩვენც გვითხარი, გაგვახარე!

გ ო გ ი ა – რაი და იგი, რომ ამ ცოტა ხნის იქით ჩვენც იქნება წინ წავიდეთ, გავმდიდრდეთ და ბატონებად ვიქცეთ.

ი ვ ა ნ ი კ ა – ეი, ბრატიც! ეგ ხომ მეც ვიცოდი! რაღაც სხვა მეგონა.

გ ო გ ი ა – აგი რა იცოდი? თუ იცი, ვითამ, ორივემ რომ ვიცოდეთ, ცოდვაა თუ?

ძველსა და ახალს შუა

ზ უ რ ა ბ – (თავისთვის) ვაი, დედათქვენს! ნეტა ვინ არის ერთი ის, ვიცოდე, ის ლვთისაგან შეჩვენებული, ამ ხალხს რომ გვიბრიყვებს და გვირევს? ამისთანა ტყუილებს ვინ აგონებს?

ი ვ ა ნ ი კ ა – აბა, ახლა მე გეტყვი ძალიან ახალ კაი ამბავს, ეს მაინც არ გექნება გაგონული, მე საიდუმლოდ ჩუმათ კი შევიტყე. ასე ამბობენ: ჩვენ რომ ვიცით, ისინიც ჩვენ დაგვრჩებიან და მათი ცხოვრებაცა! ვაი, საყვარელო, რავა ზურგზედ მოვევლები ჩემი ბატონის ბაჩას და გავაცურებ ცხენისწყალში. მაშინ ღამე კი აღარ დამჭირდება ქურდივით წაყვანა – დღე ვიზამ ამ საქმეს; ღამე ფურცელს ის არა ჯობია? აღარც ტურებს მოვერიდები და აღარც კუდიანებს.

ზ უ რ ა ბ – (პუბლიკისკენ) შეხედეთ ამ წუნკის შვილს! დაზოგვა-საც აღარ მიპირებს: ერთი ცხენი მყავს, ისიც უნდა წამართვას?

გ ო გ ი ა – ვაი, შენი ბრალი, შე ყაზილარო! რავა აბდლურათ უბნობს! რეგვენი ხომ არა ხარ? რათ გინდა ცხენი, უკეთესი ვერაფერი მოიძიე? მე მანგრე რეგვნათ არ მოვიქცევი. ჯერ ვედარდიმანდები, ვედარდიმანდები ლამაზ ქალებს და მერე ზე ვეპტყვნები გულზედ შევარდენივით, მისი ჭირიმე! თუ აბდალე არა ხარ, შენც ისე უნდა ქნა!

ზ უ რ ა ბ – (წამოვარდება) უჟ! რას ბედვენ ეს წუნკიშვილები! ამას მაინც არ მევითმენ, რო საპოსუდოდ გავხდე. (ბიჭებს) არა, ბიჭებო, გატყუებენ, არავინ დაგრჩებათ. გადით აქედან, თქვე ოხრებო, თქვენ! (გოგიას) ჩემო ძმაო, შენ მაინც რაღას მირევ და მიგიჟებ ამ ბიჭებს! გამეცალე ჩემი სახლიდგან! (ბიჭები გარეთ გაცვივდებიან).

გამოსვლა მე-4

ისივე და ალექსანდრე

(შემოიჭრება, მივარდება უცებ მამას და სიჩქარით ჰკითხავს)

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – რა ამბავია, მამა-ბატონო!

ზ უ რ ა ბ – (მიჩრებია გაკვირვებით) ხომ არ გადარეულხარ, შვილო? მე ოჯახი მექცევა და შენ კიდევ შტო ტაკო მკითხავ? განა ვერა მხედავ, რაც დღე დამადგა? სახლი მექცევა! სახლი! სახლი!

ძველსა და ახალს შუა

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (ცოტა შეშინებით) სადა, მამაჩემო? გდე? გდე? (ჯერ ჭერს შეხედავს და მერე პოლს) აბა, სადა, სად ინგრევა?

ზ უ რ. – შენი მამაბატონიც ღმერთმა შეარცხვინოს და მისი შვილიც, შენი შექმნისათვის! მაგიტომ გაგზავნე რუსეთში, რომ ცარიელი მამაბატონი ისწავლეთქო? ჩემი უბედურებისგან სულიან-ხორციანად დავიდუპე, და შენ ესეები არაფრათ მიგაჩნია? შემოსულიყო ივანიკა, გადაწოლილიყო ჩემ დივანზედ...

ა ღ ე ქ ს ა ნ. – მერე? მეტი არაფერი?

ზ უ რ ა ბ – იმე! რალა მეტი, რომ ამ ჩემს დივანზედ ეძინა!

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ეტო ნიჩევო, პაპენკა! რა უყოთ, ბატონო, ეს ძალიან კარგია! ტკბილათ მოსვენება ჰყვარებია! (სიამოვნებით პუბლიკისაკენ) სასიამოვნო არის ჭემარიტად ამისთანა ანბის გაგონება! ჩვენს ხალხს საზოგადოთ არ უყვარს ბინძურობა, პოლზედ არ გაგორდება, თუ კი დივანი ცარიელი იქვე ეგულება ჩვენს ხალხს...

ზ უ რ. – (გაკვირებით მისჩერებია) შვილო, პირჯვარი გამოისახე! ხომ არ გადარეულხარ, შვილო! ჯერ გაიგონე რა გითხრა, და მერე შეიტყოფ, თუ სასიხარულოა. შემოვიდა ერთი ვიღაცა გურული, გააღვიძა ივანიკა და ერთი საათი მეტი იღაპარაკეს თავის განთავისუფლებაზედ; რა პლანები არ დააწყეს თავის მომავალი ცხოვრებისა. რატომ ყურები არ დამიდგა მის გამგონს!.. მე იქ ვიყავი ჩემთვის მოფარებული და მესმოდა...

ა ღ ე ქ ს ა ნ დ. – (სიხარულით) მართალს ბძანებთ?

ზ უ რ. – მართალს, ჩემი გამჩენის მადლმა.

ა ღ ე ქ ს ა ნ. – (სიხარულით ტაშს უკრავს პუბლიკისაკენ) ბრავო! ბრავო! (წამოვარდება ზეზე) ადრევე ვამბობდი: ჩვენი გლეხი ხალხი საკვირველი ხალხიათქ, იმას თანაშობილად არა აქვს ბუნებაში მონება, და ახლა, განთავისუფლდენ თუ არა, მაშინვე თავის მომავალზედ დაიწყეს სკა. რალა თქმა უნდა, რომ ამისთანა ხალხი ნინ წავა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გლეხკაცობავ! ღმერთი იყოს თქვენი შემწე! ვპერიოდ, ვპერიოდ!..

ზ უ რ ა ბ – (გაკვირვებით) ხომ არ გადირიე, შვილო? თუ ხუმრობ? მე მაჯავრებ?

ა ღ ე ქ ს ა ნ. – მართლა მოგახსენებ! აქ რა არის ცუდი?

ზ უ რ ა ბ – (გულმოსული) მაშ, ეგ გრძნობაც შეგირცხვინოს ღმერთმა და კაცობაც! მაგიტომ იყავ სხვა ქვეყნებში. ეგ ისწავლე? ეგ ჩამოიტანე, სხვა ვერაფერი? გადი, გადი ჩემი სახლიდგან, შეჩვენებული და წყეული იყო ჩემგან; შენ რა გიგავს ჩემ შვილს? გლეხი კაცის

ძელსა და ახალს შუა

ბუნება გაქვს, რაღაც ყაზახური. შენ მამობაზედაც ხელი ამიღია... გამეცალე, ჩემმა თვალის კაკლებმა აღარ დაგინახონ! გამეცალე!..

ა ლ ე ქ ს ა ნ. – რათა, რა დაგიშავეთ, ბატონო! (პუბლიკისაკენ) საკვირველია, მართალი სიტყვა ეჯავრება... მე ვუმტკიცებ ჭკვის ძალით და ეს კი მაგდებს კარში მუშტის ძალით! ჩემს მამობაზედაც ხელს იღებს და რა გაეწყობა! ჩვენ მაინც მსხვერპლი უნდა ვიყოთ საზოგადოებისა! მშვიდობით ბძანდებოდეთ, მამა-ბატონო! (თავს უკრავს და მიდის).

ზ უ რ. – (შეწუხებული მიაყოლებს თვალებს) ვაი, ჩემს უბედურებას, რა სიბერეს შევესწარი! (პუბლიკისკენ) გაზარდეთ, გაზარდეთ, შვილები და თქვენც ასე ჩემსავით დაგიდგებათ თვალები! ჯერ-კი მე მომიტირეთ, მე გებრალებოდეთ!..

მოქმედება 2-რე

სცენა 1-ლი

გამოსვლა პირველი

ს ა მ ს ო ნ ი – (წიგნს კითხულობს ჩუმათ წამოწოლილი გულალმა დივაზედ, ერთი შეჩერდება და დაფიქტდება, მერე წამოდგება ზეზე და ალტაცებული) ურა! ურა! მხედართმთავარო პრუდონი! აი, მართალი ამბავი. ეს ჭეშმარიტება ყოველს ჭეშმარიტებაზედ უჭეშმარიტესია! აქ ღენერალი პრუდონი ამტკიცებს, რომ ქვეყნიერებაზედ ჩეუბი უნდა გაუწყვეტელი იყოს, უმისოთ კაცობრიობის ბედნიერება მხოლოდ ხმლის პირზედ არის დამოკიდებული, რომ ჩეუბები და ომიანობა არ ყოფილიყო, წარმოიდგინეთ, რა საცოდაობა მოხდებოდა დედამიწის ზურგზედ: ხალხი იბარტყებდა და გამრავლდებოდა, საზრდო კი სამყოფი აღარ ექნებოდათ, შიმშილით გაბრაზიანდებოდნენ და ერთმანერთს დასჭამდნენ, როგორც ზოგიერთს პარაზოდებზედ! ცხადია!.. ამას რა დიდი მოფიქრება უნდა! მაგრამ კი ვერავინ მოიფიქრა ღენერალი პრუდონის მეტმა! სამჯერ გადავკრავ დღეს მის სადღეგრძელოს!.. მოიცა ერთი, არ დამავიზუდეს (ჩასწერს ბუმაჟნიერი). ამ წიგნის საგანი ფილოსოფიურათაც რომ არ განვიხილოთ, ესეც პრაქტიკურათაც ჭკვაზედ ახლოს არის ომიანობის საჭიროება: ერთხელ ხომ მაინც უნდა მოკვდეს კაცი: ან სიბერით, ან სწეულებით, ან მარცხით და ან სიკვდილით, მერე რა პატიოსნება იქნება ამგვარი

ძველსა და ახალსა შუა

სიკვდილი! ღლუპოსტ!.. ტო ლი დელო ომში სიკვდილი! წარმოიდგინეთ, ბატონებო, სამხედრო ხმა, ომის კიუინა, ათასი ტყვიის ბზუილი, ზარბაზნების ქუხილი, იარაღის ჩახა-ჩუხი, კავალერიის თქიფინი და პეხოტის ერთპირი მოხდენილი „ურა“! მაშინ ყოველი კაცი მამაცია! გინდა, რომ ყველაზედ წინ იყო, მირბიხარ და გგონია, თუ ტყე და ველი თან მიგაქვსო!.. არა, ჭეშმარიტად, ომში სიკვდილი... სანატ-რელია! (დაფიქრდება) ნუთუ, ომიანობა აღარ ასტყდეს! ლმერთმა ნუ ჰქნას. ბრალი არ იქნება, რომ ჩემისთანა კაცი უსაქმობით კვდებოდას... ეს ერთი წელიწადია, რაც ომიანობა გათავდა, მე უსაქმობით ლამის გავგიუდე... დემიან, ეი, სიუდა!

გამოსვლა მეორე

ისივე და დემიან

ს ა მ ს ო ნ – ეტო ტი!

დ ე მ ი ა ნ ი – ნიკაკ ნიატუს! გოსტ!

ს ა მ ს ო ნ ი – ქტო?

დ ე მ ი ა ნ ე – ნემოგიმ ზნათ.

ს. – დურაქ!

დ. – ნიკაკ ნიატ! დალუნო ბით კნიაზ კაკოი...ი.

ს. – გდე?

დ. – ნა დვარე. ვას შპროშევატ, ვაშე სიატელსტო.

ს. – პრასი, დურაქ!

დ. – სლუშაიუს! (მიდის).

ს. – (მარტო) თუ არის, გრიგოლ იქნება დიდყურაძე. ვიცი, რათაც მეკურკურება. ნუ ჩტო უე... პოსმოტრიმ.

გამოსვლა 3-ეთ

ისივე და გრიგოლ

გ რ ი გ ო ლ – კნიაზ სამონს ვახლავარ! მოგვილოცამს! ჭეშმარიტად ყველას ძალიან გვეამა.

ს ა მ ს ო ნ ი – გმადლობთ, დაბრძანდით. რაო? რას მილოცავთ?

ძველსა და ახალს შუა

გ. – დღეს ღუბენატარი თავის ფეხით მოსულა თქვენთან, პოსლედ-ნიკობა მიიღო!

ს. – ჰო, მართლა! აღარ მეშვება და არ ვიცი, რა ვქნა.

გ. – იმე! იმე! უარი არ უთხრათ, შენი ჭირიმე! რაღა ღმერთი გაგვიწყრა და გლეხებიან გაგვასწორეს და ორივეს აპეკუნს გვინიშ-ნავენ, ვიღაც ოხერის ხელში ნულა ჩაგვყრი! ისევ შენ ხელში გვირჩევ-ნია, რაც უნდა იყოს, დიდი კაცის სისხლი გაქვსთ.

ს. – გუბენატორიც მანგრე მირჩევს, გავლენიანი კაცი ხარო.

გ. – ოლონდაც! ოლონდაც!

ს. – ჯერ პრიკამანდიროვკით იყავიო და თუ არ მოგეწონოს, მერეც შეგიძლია, თავი დაანებოთ.

გ. – რაღა პრიკამანდიროვკა! ახლავე პირდაპირ გადმოდით. მეფის ადგილია, ხუმრობა კი არ არის მაგისთან უფლება!

ს. – კი, მაგრამ ერთხელვე მიჩვეული ვარ პოლკში. გასულია, ახლა ომიანობა აღარ არის, მაგრამ ვინ იცის, რა იქნება მომავალში...

გ. – თუ იქნება და მაშინ კი უკან რა გაკავებსთ! მერეც შეგი-ძლიათ თავი დაგვანებოთ.

ს. – თუთხმეტი წელიწადი როტას ვკამანდობდი, ბატონი ვიყავი მათი.

გ. – ჰმ! როტაში რამდენი კაცია?

ს. – ომიანობის დროს სამოცდაათი და ისე კი ასოცდახუთი.

გ. – მეტი არა? აბა, მაგდენი მარტო თავად-აზნაური გეყოლობა აქ და გლეხობას ხომ ანგარიშიც არ ექნება.

ს. – ეგ მართალია, მაგრამ აქ უფრო სახლაფოთო იქნება!

გ. – სახლაფოთო რა უნდა იქნეს? მე მოგახსენებ, ბანებას არ აგისრულებენ!.. თავად-აზნაურობაც და გლეხობაც სულ ერთად შენ ხელში არ ვიქნებით? ერთი პოსლედნიკი მთელი მაზრის თავად-აზნაურობის ადგილს იჭერს. მეტი დიდაცობა კიდევ შეიძლება!.. ჯამაგირი და ხელმწიფის ჯილდო კიდევ სხვა არის. რა ბძანებაა, ეხუმრებით პოსლედნიკობას? სხვები ნატრობენ და ვერ ლირსებიან და თქვენ კი პირაქეთ გეხვეწებიან.

ს. – ხვალამდი კიდევ მოვიფიქრებ.

გ. – რაღა მოფიქრება უნდა? (სიჩუმე) მინები ხომ ბატონს დარჩა.

ს. – სულ? არა!.. სულზე ოთხი ქცევა გლეხს ეძლევა, უნდა დაიმუშაოს და მეოთხედი ბატონს მიართვას. ასეა პოლოუენიაში.

გ. – ეგ კიდევ კარგია! ქცევა ჩვენებურათ ქცევა თვალდათვალ აღებული თუ რუსულად გამოზომილი?

ს. – გამოზომილი. უთუოდ უნდა გამოზომოს.

ძველსა და ახალსა შუა

გ. – უნდა სომხები ან ურიები მოვიხმაროთ. არშინი იმათ უჭირავსთ ხელში, თვარა ჩვენებმა რა იციან?

ს. – აბა, კნიაზო, რა საჭიროა ეგ? განა მე თვითონ კი ვერ გამოვზომავ? ცხრაასი საუენია ერთი ქცევა.

გ. – კი მაგრამ საუენიანი არშინი რომ არსად არი ჩვენში?

ს. – (იცინის) სამი არშინი ერთი საუენია. არშინი კი – ჩემი ერთი ნაბიჯი. სამ ბიჯს რომ გადავდგამ, საუენი იქნება. (ზომავს) და ცხრა ასჯერ სამ ბიჯს რომ გადავდგამ, ერთი ქცევა ის იქნება. აქ ძნელი საანგარიშმ არა არისრა!

გ. – ეგ სიგძე, ეხლა განი?

ს. – განიც მაგდენივე.

გ. – უჰ! ეს ძალიან შორს წავა. ჩვენებურ ქცევაზე ბევრათ მეტი ყოფილა.

ს. – ასე კია პოლოუენიაში და.

გ. – მაგდენი ვის ექნება?

ს. – ვისაც არ ექნება, რაც ექნება, იმას უნდა დასჯერდეს.

გ. – თუ მეტი გამოუვიდა?

ს. – ბატონი ჩამოიჭრის თავისთვის საკუთრებად.

გ. – რომ ჩამოიჭრათ, რათ გვინდა? ვერ დავხნავთ და ვერ მოვმკით, ტყვილა უნდა გაუშვათ. არ შეიძლება, რომ ისაც სამეოთხედოთ გადაეცეს გლეხს?

ს. – ეგ თანხმობაზე იქნება დამოკიდებული, მაგისთანა საწვრილ-მანო რამ საჩხიკინო ბევრი გამოჩნდება და მიტომ მექნელება, ერთ საქმეს შეჩვეული ვარ და ახლა კიდევ მეორეს გამოვუდგე, პირველ ხანებში გამიძნელდება.

გ. – მაგაზე თქვენ რათ შეინტერებთ თავს?! ერთი გადამდგარი ჩინოვნიკი გამოქებნეთ სადმე და იმას აკეთებით საქმე. თქვენ მხოლოდ დაამოწმეთ ხოლმე. ასე შვრებიან ყველა პოსლედნიკები, თვარა, ვინ რა იცის!

ს. – რომ არავინ მეგულება?

გ. – თუ მიბძანებ, მე ვიშოვნი და გაახლებ მისთანს, რომ ღუბე-რნიაში ტოლი არა ჰყავდეს. ნიკაკნიატუ ჩინოვნიკი აიყვანეთ.

ს. – რუსია ვინმე?

გ. – ქართველია. ნიკაკნიატუს მეტსახელად ეძახიან.. საქმე ძალიან იცის. მისი ნაწერი არძა პირდაპირ ხელმწიფეს მიერთმევაო, ასე ამბობენ, თვარა მე რა ვიცი!

ს. – მერე და თუ მანგრეა, რატომ სამსახურში აღარ არი?

ძველსა და ახალს შუა

გ. – გამოაგდეს.

ს. – მოქრთამე იქნებოდა.

გ. – მოქრთამე ვინ არ არის? მაგისტვის ვინ დაითხოვდა?

ს. – მაშ, ლოთი იყო?

გ. – განა რუსია? უფროსი გაარისხა! ცოტა პრიყვია, მაგრამ თქვენთან კი ვერას გაბეჭდავს იმისთანა სიბრიყვეს.

ს. – რა ქნა მაგისტანა?

გ. – მეტს რაღას იზამდა? თურმე მისი უფროსი კარგ გუნებაზე ბძანდებოდა და უთხრა: „დურაქო!“ იმან თურმე იწყინა და სიტყვა შეუბრუნა „ნიკაკნიატო!“ და ვინდა დააყენებდა სამსახურში? გამოაბუზურეს ულუკმაპუროდ და მას უკან დაარქვეს „ნიკაკნიატუც“.

ს. – ეგ უსამართლობა! ვოენები ხომ არ იყვენ? ვის გაუგონია მაგისტანა დისციპლინა შტაცკებში?

გ. – ასე კი დაემართა და... თუ ინებებთ, გაახლებთ... ჩემის აზრით, უნდა გამოგადგესთ.

ს. – დიდათ დამავალებთ. ჯამაგირსაც კარგს მივსცემ.

გ. – ბატონი ბძანდებით. (დგება) მაშ კარგი, ან კი გაახლებთ. მშვიდობით ბძანდებოდეთ. (მოუბრუნდება) შენი ჭირიმე, მართლა უარი არ უთხრათ ლუბერნატორს, არ გამოგვჭრათ ყელი (მიდის).

ს. – (მარტო) ეს ერთი წალინადია, რაც პახოდობა ალარ არის და ლამის სული ამომხდეს. ნუ ელო კ ჩორტი, ავიღებ პოსრედიკობას, ძნელი კია ვოენობას გადაჩვევა. ეი! დემიან!

გამოსვლა ვე-4

ისიცე და დემიანა

ს ა მ ს ო ნ – დემიან!

დ ე მ ი ა ნ – ჩავო ზვოლიტეს?

ს ა მ ს. – ჩტო ტი დელაეშ?

დ ე მ. – საპოლი შიუს!

ს ა მ ს. – ჩექმებსა ჰყერავს! დლემდის შტიკს უყრიდა ჩერქეზის ტყავში და დლეს კი ხარის კანს სადგისს უჩუჩხუნებს!.. ტი ნე სკუ-ჩაეშ?

დ ე მ. – ნიკაკ ნეტ, ვაშე სიატელსტვო!

ძველსა და ახალსა შუა

ს ა მ ს. – ა, პახოდი სპომინაეშ? ა!

დ ე მ. – ტოჩნო ტაკ, ვაშე სიატელსტვო!

ს ა მ ს. – პოჟალუი ტი ი სლუჟბუ ზაბუდეშ?

დ ე მ. – ნიკაკ ნეტ, ვაშე სიატელტსვო!

ს ა მ ს. – პოსმოტრიმ! ვაზმი პალკუ!

დ ე მ. – სლუჟბაიუს! (ჯოხს იღებს).

ს ა მ ს. – ნუ, სტოი პოსერედინე: ია ბუდუ კომანდოვატ.

დ ე მ. – სლუჟბაიუს!

ს ა მ ს. – (კომანდობს. დემიანა ასრულებს ბძანებას) სტოი! რავნიასია! სმირნა! ნა პლეჩო! ნა კრაულ! ტიხიმ შალემ, ნა ლევა, კრულომ მარშ! რაზ, დვა! რაზ... დვა! რაზ... დვა! სტოი! ბელლიმ შაგომ, მარშ! (მუზიკას უკრავს პირით და ფეხებს აბრაგუნებს) ხოროშო, რეპიატა!

დ ე მ. – რადი სტარატსია, ვაშე სიატელსტვო!!

ს ა მ. – სტოი, დოვოლნო! სპრიაჩ პალკუ!

დ ე მ. – სლუჟბაიუს! (ჯოხს დასდებს).

ს ა მ ს. – ახლა ევროპიულად მოვექცევი, სამოქალაქო საქმებზე დაუწყებ სჯას! დემიან! ტი ზნაეშ, ჩტო ი ია, ი ტი, მი ობა ლრაჟდანე?

დ ე მ. – ნიკაკ ნეტ, ვაშე სიატელსტვო!

ს ა მ. – კაკ! ნე ხოჩეშ ბიტ ლრაჟდანინომ?

დ ე მ. – ნე მოლუს!

ს ა მ. – პოჩემუ ჟე?

დ ე მ. – დენელ ნეტს, ჩემ ბუდუ ტორლოვატს, ვაშე სიატელსტვო!

ს ა მ ს. – დურაკ, ტი ნე ტაკ პონიმაეშ! პასტოი, ია ტებე ობიას-ნიუ: ტი ზნაეშ ჩტო ტაკოი ლარიბალდი?

დ ე მ. – ნე მოლუ ზნატს!

ს ა მ ს. – ია ზნაიუ, ჩტო ნე მოჟეშ, ეტო – ჩელოვეკ რაზბოინიკ! იტალიანსკი რაზბოინიკ!

დ ე მ. – სტალო ბიტ, ვაშე სიატელსტვო, ეტო შამილ? ჩუჟოი შამილ?

ს ა მ. – ნუ და, ტაკოი ჟე კაკ შამილ.

დ ე მ. – ტეპერჩა ნადო პოლალატ, ვაშე სიატელსტვო, ჩტო უ ნელო ნე ნაში, ა ნემეციე ჩერქეზი პოდ კომანდონი!..

ს ა მ ს. – ნეტ! უ ნელო ზუავი! ა, ზნაეშ ჩტო ტაკოი ზუავი?

დ ე მ. – ნე მოლუ ზნატსია!

ს ა მ ს. – ეტო სტრაშნო ი ვიღოვორიტ! დუშელუბეც! ლოლოვო-რეზ! ოტჩააიანნი ბანდიტ!.. სლიშიშ?

ძველსა და ახალს შუა

დ ე მ. – სლუშაიუს! ა, ჩტო, სუდარ, ეტოტ ხარიაპალტო პოხოუნა ნაშეღო შამილია.

ს ა მ ს. – ტო ესტ ღარიბალდი? და! ტოლკო უნელო ბოროდა ჩორნაია. ა უ შამილია – რიჟაია, პონიმაეჭ ტეპერ?

დ ე მ. – სლუშაიუს!

ს ა მ ს. – ნუ ტაკ, ვონ, დოვოლნო ს ტებია.

დ ე მ. – სლუშაიუს! (გავა).

ს ა მ ს. – (ეძახის) დემიან!

დ ე მ. – (შემოვა ისევ) ჩავო იზვოლიტეს!

ს ა მ ს. – (დაფიქრდება და დემიანა ატუზულია, კარებში გამოჭიმული. შემდეგ რამდენიმე ხნისა თავს დაუქნევს) პოშოლ! (დემიან მიტრიალდება და გავა).

გამოსვლა გვ-5

ს ა მ ს. – (დადის) სასიამოვნო არის კაცისათვის, როდესაც იმას თავისი სწავლა გადააქვს სხვაზედ და სწროვის. ჯერ კიდევ ვასწავლი ხოლმე დემიანს, მაგრამ ცოლს რომ შევირთავ, მაშინ კი დავანებებ თავს. მე ცოლის გაწვრთნას მოუნდები. რად მინდოდა ცოლი, მაგრამ რა ვქნა, სკურნობამ შემჭამა, ლამის გამაგიუოს! ძალიან კარგ ქალს კი ვირთავ, ცოტა არ ვუყვარვარ, მაგრამ ეტა ნიჩევო, მოვარჯულები, როგორც იქნება; ბარე ორი მათუშკა მომირჯულებია პოლკში... (დადის და იმლერის)

სალდატუშკი, რებიატუშკი!

ლდეუე ვაში უონი?

ნაში უონი – პული ჯონი,

ვოტ ლდე ნაში ჯონი.

სალდატუშკი, რებ...

გამოსვლა გვ-6

ისვე და ჩინოვნიკი (შემოდის კრძალვით)

ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ი – მაქვს პატივი გამოცხადებად წინაშე თქვენის ბრწყინვალებისა, ბრძანებისამებრ თ-დ გრიგოლ დიდყურაძისა. კოლეჟსკი რელისტრატორი ვარლამ პავლოვიჩ კაკანაძე!

ძველსა და ახალს შუა

- ს. – თ-დ გრიგოლს კი ჩემთან ვიღაც ნიკანიატუ უნდა გამოეგზავნა?
ჩ. – ეგეც მე გახლავარ (გულზე იდებს ხელს). ონუე ნიკანიატუ.
ხუმრობით დამერქევა ეგ მეტი სახელი.
- ს. – ააა! უკაცრავად, დაბძანდით!
- ჩ. – გმადლობთ! (ჩამოჯდება მოწინებით).
- ს. – თქვენ სამსახურში აღარა ხართ?
- ჩ. – დიდი ხანია და რაღაი დამითხოვეს, მერე აღარც კი მიძებნია.
- ს. – რისთვის დაგითხოვეს?
- ჩ. – ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი!.. ჩვენ უფროსს სმა უყვარდა და რომ დათვრებოდა ხოლმე, ჯერ იტირებდა ერთ ხანს, მერე დაგვიძარებდა ხელქვეითებს, შეგვყრიდა ყველას ერთად. დაგვაპნერივებდა და დაგვიწყებდა ხუმრობას: „შენ ვირი ხარო“, ერთს ეტყოდა, „შენ ძალლო!“, მეორეს, „შენ დურაქიო!“, მესამეს და ამგვარად ჩინოვნიკებსაც უნდა თავის ქნევითა და სიცილით მოეხ-სენებიათ: „ტოჩნო ტაკო! ტოჩნო ტაკო. ვაშე პრევოსხოდიტელსტვო!“
- ს. – ე რა შტაცკური დურაქიობა ყოფილა?
- ჩ. – საშინელი, თქვენო ბრწყინვალებავ!.. მე ცოტა თავმომ-ნონე გახლდით, მოგეხსენებათ, ყმაწვილი კაცი! ახალი ცოლშერ-თული! ღვთისა და თქვენის წყალობით გული საგულესა მქონდა. ცოტა კალამიც მესმოდა... სეკრეტრობაზე წარდგენილი ვიყავი, ვეღარ მოვუთმინე და გამიწყრა ღმერთი: „დურაქი“ რომ მიპრძანა, „ნიკანიატუ“-თქო მოვახსენე!
- ს. – ნუ ი მაღადეც! ძალიან კარგად გიქნია. ტოუე შტაცკურა!
- ჩ. – რაღა მაღადეც, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ მეორე დღესვე ულუკმაპუროდ გამომაბუზურეს სამსახურიდან, „ვოლნოდუმეცო“.
- ს. – მერე?
- ჩ. – რაღა მერე? ატსტავნო ჩინოვნიკად დავხეტიალობ აქეთ-იქით, არძების ნერით ვარჩენ ცოლ-შვილს. იმასაც ჩუმათა ვსწერ, თვარა თუ გამიგეს.
- ს. – კრესტიანსკი პოლოუენიე წაგირითხავს?
- ჩ. – ჯერ არ გამოსულიყო, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ზეპირად ვიცოდი.
- ს. – მაღადეც! სად გისწავლია?
- ჩ. – ვ შკოლე ვოენნის ვოსპიტანიკოვ! კანტანისტათ.
- ს. – ნეუჟელი? მერე და რატომ ვაენში არ წადი და შტაცკად გაიფუჭე თავი?
- ჩ. – ბედმა მიღალატა. მამა მომიკვდა და სახლში დავბრუნდი.
- ს. – ჟალ! ვაენში გამოდგებოდი, მოსული ხარ, მხარბეჭიანი!

ძველსა და ახალს შუა

ჩ. – (ამოიოხრებს) ეჰ, ერთ დროს მართლა რომ არა მიჭირდარა! ვივარებებდი ვოენათ და მეც დიდი სურვილი მქონდა, რომ ღმერთი არ გამწყრომოდა და ხელი არ შემშლოდა. გულით ახლაც ვოენი გახლავარ, ვაშე სიატელსტვო! დიდი პატივისცემა და სიყვარული მაქვს ვოენების.

ს. – მაღლადეც!

ჩ. – ახლაც რამდენი შტაცეკი პოსრედნიერი მეხვენება ჩემთან იყავიო. მაგრამ იმათთან სამსახურს, თქვენთან რომ სულ უჯამაგიროდ ვიყო, ის მირჩევნია... ამიტომ რომ მესახელება!

ს. – უჯამაგიროთ რათ იქნები? რომ აგიყვანო, რას დამჯერდები?

ჩ. – რაც თქვენი ნება იქნება!

ს. – ეტო ხარაშო! მე პირველ ხანებში ოცდახუთ მანეთს გაგიჩენ თვეში და თუ დავინახავ, საჩუქარი კიდევ სხვა იქნება.

ჩ. – თქვენი ნება იყოს! მე თქვენი ყურადღება თუ დავიმსახურე, ასი დიდია ჩემთვის.

ს. – საქმე ბევრი გვექნება. უსტავნი გრამატიკაც უნდა შევადგინოთ.

ჩ. – თქვენ რათა, ბატონო! ის მებატონებმა უნდა შეადგინონ და თქვენ მხოლოდ უნდა დაამტკიცოთ ხოლმე.

ს. – რაზვე? იმათ რომ კარგად ვერ შეადგინონ?

ჩ. – დავუბრუნებთ და ხელახლა უნდა გააკეთონ.

ს. – რომ გვთხოვონ?

ჩ. – ჩემზე მიუთითეთ და მე შეუდგენ ყველას.

ს. – ქირა უნდა გადაიხადონ?

ჩ. – რასაკვირელია.

ს. – რამდენი?

ჩ. – ბევრი არაფერი. კერძო საქმეა და ჩვენ გამოვრიგდებით, თუ თქვენი ნებაც მექნება. თქვენ სამსახურს არ მოვცდები. ღამ-ღამობით ძილს გავიტეს და შევადგენ ვინც მთხოვს.

ს. – ნუ ეტო მოუნო! მაში კარგი, იცოდე, რომ ხვალიდან ჩემთან ხარ.

ჩ. – სლუშაუს... მშვიდობით ბძანდებოდეთ, ვაშე სიატელსტო! (მობრუნდება) კანცელარიას მომზადება უნდა. ბევრი რამ დაგვჭირდება: ურნალები, კნიშკები, ქაღალდი, საწერკალმები, მელანი, ქარანდაშები, ლინეიკები და სხვანი...

ს. – ზნაიუ! ზნაიუ! შენ სმეტა შემიდგინე, მომიტანე.

ჩ. – სლუშაუს! (დაბლად თავს უკრავს და მიდის).

ს. – (მარტო) პლუტ კაკ ვიდო! მაგრა ეტყობა, საქმე იცის. ჩემთან რა პლუტობას გაბედავს? ერთი შევნიშნონ და მერე მე ვიცი. ფარსიროვანი მარშით დავიფრენ წინ...

სცენა პირველი

მდიდრულად მორთული ოთახი დიდყურაძის სახლში

გამოსვლა პირველი

ნ ი ნ ო – (შემოდის დაფიქრებული, ხელში უჭირავს ერთი ლიმინი და ერთი ვაშლი და გაჩერდება შუა სცენაზე) აჲა, ეს ჩემგან ამორჩეული ჩემი გულის ვარდი. ჩემი საქმრო ალექსანდრე (უჩვენებს ვაშლს) და ეს კი ჩემი მშობლისაგან ჩემ საქმროდ დანიშნული – ჩემი გულის ყვავილი, სამსონ! ვნახოთ, რომელს ერთს დამარჩენს ჩემი ბედი (შეისვრის ორივეს მაღლა, ვაშლს სტაცებს ორივე ხელებს და ლიმინი კი დაეცემა ძირს) ეჲ! ვაშლი!.. (სიამოვნებით) ნუთუ მართლა!.. აბა, ერთი ქალალდ-საცა ვყითხო: გავშლი, რას მეტყვის? პანიონში პოპენიერკებმა მას-წავლეს ქალალდის გაშლა... ღამ-ღამე ჩუმათ ბალიშქვეშ გვედვა ხოლმე თითო კოლოდა ქალალდი (სტოლიდგან გამოიღებს ქალალდს და დაუწყებს შლას). ტრეფის ხელმწიფე იყოს ალექსანდრე, და პიკი – სამსონ. ჩუ! ჯვრის ხელმწიფე გამოვიდა! (აიღებს და ჰეოცნის, ბოლოს შეჩერდება და ცოტა ფიქრს შემდეგ ამოხვრით) ვიშ! რაღას ვსულელობ, სიტყვა მიუცია მამას სამსონისათვის და მე კიდევ არ მინდა დავი-ჯერო? ქალალდებს ვეკითხები, ჩემს თავს დავცინი და თითქოს ქალალდებიც მე დამცინიან. (ნაღვლიანად დაახლის ქალალდს პოლზედ, წამოდგება და ალმწოთებული დადის). მაგრამ მეც კი კარგი შვილი ვარ: ჩვენში ზოგიერთს სულიერებს არა გაეგებათრა ეხლანდელისა და მე უსულო სურათებს ვეკითხები მომავალზედ?! ან კი რა ვქნა! ვიცი, ესეები ყოველითერი ტყვილია, მაგრამ მინდა, თავი მოვატყუო და ერთ წამის მაინც სევდა გავიქარვო! ერთსა და იმავე დროს მტერიცა ვარ ჩემი თავისა და მოყვარეც: მინდა, ვანუგეშო, როგორც მოყვა-რემ, და ვატყუებ კი, როგორც მტერი! აბა, ეს არის უბედური მდგო-მარეობა! ჩუ! ფეხის ხმა მესმის! ეს სწორეთ ნიკოა. მხოლოდ იმის სიტყვა ედება მალამოსავით ამ ჩემ გულის წყლულს! მხოლოდ იმის ნინ შემიძლიან დავათხიო ჩემს გულში დაგუბებული ნაღველი! იმან უნდა მომიტანოს ამბავი და ვნახოთ, რას მეტყვის: ყორანივით დამძ-ახებს სასიკვდინოს „არა“, თუ ბულბულივით დამსტვენს „დიახ“?

ძველსა და ახალს შუა

გამოსვლა 2

ისივე და ნიკო შემოდის მოწყენილის სახით

6 ი 6 ო – (უცებ მივარდება) ნიკო! რას მეტყვი? მითხარი მალე!.. არა, მოიცადე, ნუ მეტყვი! სახეზედ გაწერია, რაც გინდა და რაც გაქვს სათქმელად!.. ჰო, თუ არა? ან საუკუნოდ გამკურნე და ან ისარივით გამგმირე! ნუღარ მზოგავ! მზათა ვარ!..

6 ი კ ო – (თანაგრძნობით მივა და ხელს მოჰკიდებს) ნინო! რა დაგმართვია, რათ შფოთავ მაგრე? შენგან მე არ ველოდი სულმოკლეობას! ჯერ ვერც ავს გეტყვი და ვერც კარგს; მოთმინება იქმნიე!.. ხომ გაგიგონია: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“? მოულოდნელი ლხინი ხშირად ჭირზედაც უარესა, ჩემი საყვარელო დაო.

6 ი 6 ო – რპ, საკმაოა შენი ხმა, რომ დამაბშვიდო! მხოლოდ შენთან სძგერს ჩემი გული თავისუფლად და დამშვიდებით; შენ სიტყვებში ვხედავ რაღაცა თილისმურ ძალას, რომელიც ძალაუნებურად კეთილ გზისაკენ გამიტაცებს ხოლმე.

6 ი კ ო – (ტებილად) თილისმა? არა! უფრო მართალი იქნება, რომ სთქვა: ჭეშმარიტება და მეგობრული სიყვარულითქ! მხოლოდ ჭეშმარიტებასა აქვს უზებურად გამტაცებელი ძალა... მაგრამ თავი დავანებოთ ამას, ჯერ ეს მითხარი: ეს ქალალდები აქ ვინ დაყარა?

6 ი 6 ო – მე... (სიცილით) ჩემი ბედი ვიკითხე და მომატყუუს!.. და მეც გულმოსულმა ძირს დავახალე მთელი კოლოდი.

6 ი კ ო – (თავს იქნევს) ამაოდ მორნმუნება უგუნურების ნაყოფის უბედური თესლია და შენთან რა უნდა ჯერ!

6 ი 6 ო – განა ჩემზედ უბედური კიდევ შეიძლება?

6 ი კ ო – ეპ, ჩემო დაო! ვინც ტყვიით არა ყოფილა განგმირული, იმას კოლოს კბენაც დიდ დაჭრილობად მიაჩნია; ვარიას ყველაზედ უფრო პირველი კვერცხი აკაკანებს. ჯერ შენ რა გინახავს უბედურებისა?

6 ი 6 ო – შენი სიტყვები როგორლაც მანუგეშებენ. გაარიგე რამე მამასთან? უთუოთ კარგი ამბავი იცი!

6 ი კ ო – რას გავარიგებდი? თვითონაც იცი, რა კაციც არის! ტყუილად მოვიღალე იმასთან რჩევით და ვედრებითა; იმან ეს პასუხი მითხრა: კვირამდის კიდევ უცდი ამ ჩემს გიუს ქალსაო და, მერე თუ კიდევ უარი სთქვაო, მაშინ ძალით წავიყვან ეკკლესიაში და დავაყენებ გვირგვინ ქვეშაო!

ძველსა და ახალს შუა

ნ ი ნ ო – ნიკო! ნუთუ ჩემი ტანჯვა შენც გიხარია? კიდევ მეუბნები მაგის შემდეგ, რომ სხვაც იყოს ჩემისთანა უბედურ მდგომარეობაში?

ნ ი კ ო – უბედური? ოჳ, ბევრი, ბევრი! შენ ღმერთმა გაშოროს უბედურებას, ჩემო და! მე მხოლოდ ერთი უბედურება მწამს ქვეყანაზედ, მეტი არა: ჭკუის დაკარგვა, სადამდისაც ჯერ ჩვენ არ მივსულვართ.

ნ ი ნ ო – განა შორსლა ვარ? ნუთუ უბედურებას არ შეეძლოს, რომ კაცს დაუკარგოს ჭკუა? გააგიუოს?

ნ ი კ ო – ის ჭკვა აღარ არის! ჭკვა უნდა ერეოდეს და უკარგავდეს კაცს უბედურებას და არა უბედურება ჭკვას.

ნ ი ნ ო – შენ მხოლოდ თავი გალაპარაკებს და არა გული! შენ არ შეგიძლიან ჩემი თანაგრძნობა; შენ შენიშნავ ჩემ ტანჯვას მხოლოდ სახეზედ, და გულში კი ვერ მხედავ, თუ რა ამბავია? (ტირის) ვხედავ, ცხადია, რომ არც შენ გებრალები! საკირეში რომ დასაწვავათ კაცს აგდებდნენ და შენ ის კაცი შველას გევედრებოდეს, ნუთუ შენ ცივით სიტყვებით დაუწყებ ქადაგებას და ეტყვი ურცხვათ „ნუ ჩავარდები! ნუ დაიწვი“. განა ამასა ჰქვიან, ეს არის თანაგრძნობა? ეს იქნება შველა?..

ნ ი კ ო – ურიგოდ და ძალიან გაუსჯელად გალაპარკებს მწუხარება!.. რომ ტირილს შეეძლოს საქმის გაკეთება, მაშინ მეც არ დავიზოგავდი თავს, ცრემლებით მოვრწყავდი არემარეს... მაგრამ ეს რას გვიშველის? ჩვენ უნდა სხვა გზას შეუდგეთ: იმედს ნუ დავიკარგავთ და ცდას ნუ მოვიშლით! ვაი მას, ვინც უიმედოა! ის ცოცხლადვე მკვდარია და ზეზეულად გულში ატარებს ჯოჯოხეთს!..

ნ ი ნ ო – მაშ, მირჩიე, რა ვქნა? განა იცი კიდევ რამე საშუალება?

ნ ი კ ო – დიახ! ჯერ სიტკბოებით ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება. და, თუ აღარა გაეწყობარა, მაშინ ძალაც მიუმატოთ.

ნ ი ნ ო – (შეშინებით) ძალა?! რა სთქვი, გენაცვალე!

ნ ი კ ო – რა და უარი უთხარი მამას... ნუ შეირთავ! გაექცი სახლიდან!

ნ ი ნ ო – მერე, ქვეყანაში აღარ მინდა, თავი გამოვყო? ხომ თითოთ საჩვენებელი გავხდები! არა, ეს არ იქნება, ჩვენში უმაგალითო მოქცევა, უმაგალითო საქმეა.

ნ ი კ ო – დიახ. მართალია, ის იქნება პირველი და სამაგალითო საქმე; მაგრამ რომ შენზედ უნინ სხვას ეთქვა უარი, მაშინ ის იქნებოდა პირველი და შენ კი აღარა, და რომ ხშირი ყოფილიყო ამისთანა მაგალითები, შენი მაშინ აღარ გაუკვირდებოდათ და ხალხიც მიჩვეული

ძველსა და ახალს შუა

იქნებოდა. მხოლოდ პირველი ბიჯი, პირველი მაგალითი ეხამუშებათ, და ხშირი მაგალითი კი კანონად ურჩება საზოგადოებას. ეს პირველი ბიჯი გერგო შენ. ძნელია, ვინ ამბობს, რომ არაო, მაგრამ რა ვქნათ, ჩემო დაო? ორ აუცილებელ უბედურებისაგან ერთი უმცირესი უნდა აირჩიო.

6 ი 6 ო – რა გაეწყობა? ისევ გაქცევას ვირჩევ! უმჯობესია, ხალხმა გამკიცხოს და მივაჩნდე იმას უბედურად და მე კი ბედნიერი ვიყო, ვიდრე ხალხს ბედნიერი ვეგონო და მე კი ვიტანჯებოდე, (დაფიქრდება) ჩვენში ვინა თხოვდება სიყვარულით? ვის გაუგონია ქალისაგან საქმროს გამორჩევა? ისინი ასრულებენ მოთმინებით დედ-მამის ნებას და ისე თხოვდებიან. მაშ მე ვიღა ვარ? რათ მერცხვინება სხვის ბძანებით გათხოვება? განა მათზედ უკეთესი ვარ? მათზედ უმფრო მგძნობარე და ჭკვიანი?! რათ არ მომწონს სამსონ, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ტაშს უკრავს? რა აკლია სამოსნს? სილამაზე, ხარისხი, ჩინი, გვარიშვილობა, სიმდიდრე თუ ვაუკაციობა, რომელი ქალი ეტყვის უარს? და ან რომელი დედ-მამა გააბედვინებს უარს, რომ კიდეც იფიქროს ვინმერ? მე კი ვერ მიმითვისებია მისთვის გული... მის ნაცვლად ვინ მიყვარს? ალექსანდრე! ღარიბი, უხარისხო! საზოგადოებისაგან გაკიცხული! რომელსაც გიშს ეძახიან და უღმთოებას სწამებენ! რომელიც მამისაგანაც კი გამოგდებულია და შეძულებულია! მაგრამ არა, არა... გული არ ეკითხება თავს... (დაფიქრდება) ეჰ, ან ის იყოს და ან სიკვდილი ჩემი ხვედრი! ამ ორში ერთს ვერ ავცდები.

6 ი კ ო – დაუჯერე, დაუჯერე შენს გულს! ნუ ეკითხები ამჟამად თავს! გული არ გატყუებს! იქ ჩაგვარდნია კეთილი თესლი, მშენიერს ყვავილებათ გაშლილა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამწიფებულა და მისთვის ვერ აძლევ თავს ანგარიშს. ახლა მე აგიხსნი, თუ რათ გეჯავრება უსიყვარულოდ გათხოვება და რათ არ მოგწონს სამსონი? სიყვარული აგვამაღლებს პირუტყვებზედ, და ის ქალი, რომელიც თხოვდება უსიყვარულოდ, ჯერ კიდევ არ არის, ამ შემთხვევაში, პირუტყვობიდგან გამოსული. შენ არ მოგწონს და არ გინდა, შეირთო სამსონი ამავე მიზეზით, მგონია. და ახლა იმასაც გეტყვი, თუ რათ არ მოგწონს სამსონი: სამსონს არა აქვს არც ჭკვა მომატებული და არც სწავლა, რომლითაც მას შესძლებოდა წინ ნაწევა, განსხვავდა სამსახურში ისე, როგორც ზოგიერთი სხვებიც, და თუ რით, ამის გამოძიებაში ნუ შევალთ, თორემ შეგვარცხვენს; იმას შეუძლიან საზოგადოების თვალი მოატყუოს, მაგრამ შენ კი ვერ შეგაცდენს, რადგანაც ავისა და კარგის გარჩევა შეგიტყვია! ახლა ალექსანდრეც ავიღოთ.

ძველსა და ახალსა შუა

ნ ი ნ ო – აბ, მამა მოდის, მგონია, ხმა მომესმა... გავიქცევი, არ მნახოს. ჩემი თუ გკითხოს, უთხარი: ავათ არისთქო... (მედის მეორე თოაბში).

ნ ი კ ო – რას მირბიხარ, ქალო! ხომ არ შეგჭამს? (პუბლიკისაკენ) აბა, მამაც ამისთანა უნდა: შვილი ერიდება და გარბის... შობილი მშობელს ვერ შესთვისებია!

გამოსვლა მე-3

ნ ი კ ო – ოჳ, ალექსანდრე! საიდგან გაგვიჩნდი? გამარჯობა! (ხელს აძლევს).

ა ლ ე ქ. – გაგიმარჯოს! შინიდგან!.. იცი, ახლა სად არის ჩემი ბინა, ჩემი სახლი?

ნ ი კ ო – როგორ? გადახვედი სადმე? იქ აღარ სდგეხარ, სადაც იდექი?

ა ლ ე ქ. – გადავედი! იაფადაც დავიჭირე სახლი, დიდი და სრული!

ნ ი კ ო – ვისი სახლი?

ა ლ ე ქ. – ღვთის.

ნ ი კ ო – ეკკლესია? როგორ თუ ღვთისა, რას ამბობ?

ა ლ ე ქ. – (სიცილით) ახლა მე ვდგევარ ცასა და დედამიწის შუა! მამამ სახლიდგან გამაგდო დაწყევლილი და შეჩვენებული!

ნ ი კ ო – (გაკვირვებით) რათა?

ა ლ ე ქ. – რა ვიცი! წადი და შენ ჰეთხე! რატომ ჩემი თავი არ გაბიაო და მართლათა სჯიო! სხვაზედ არაფერზედ...

ნ ი კ ო – მამაშენი ძალიან კეთილი კაცია, უთუოთ გააჯავრებდი, როგორმე, თორემ სხვებრ როგორ დავიჯერო?! არ ვიცი... მე სხვა არა გამეგებარა...

ა ლ ე ქ. – (გულს მოსული) შენის აზრით, მტყუანი აღარავინ არის, შენ ყველას გაამართლებ: უგუნურს უგუნურობისათვის, ავ კაცს ავკაცობისათვის, და უსინდისოს მისთვის, რომ პატიოსნება დაუ-კარგავს.

ნ ი კ ო – (დაცინებით) ეგრე მალე რათ გაათავე? ჩაჰყევ კიდევ. სხვა აღარა იცირა?.. აბა, კიდევ...

ა ლ ე ქ ს ა ნ. – ის, რომ დიდიხანია შენ დაემონე საზოგადოების აზრს, გადააბიჯე ნიახურზედ და არათუ გულგრილად შეჰყურებ საზოგადოების აზრს და მათს ცუდს, იმათაც კი დასცინი, ვინც ეწინააღმდეგებიან.

ძველსა და ახალს შუა

ნ ი კ ო – ჯერ კიდევ წვრილთვალებიანია შენი სათვალე და მიტომ მაგრე მიგაჩინივარ.

ა ლ ე ქ. – ისე კი არის და! გგონია, ისა ხარ შენ, რაც ადრე იყავი?..

ნ ი კ ო – არა, ადრე ბევრს ვკავანებდი და ახლა კი ჩუმათა ვარ.

ა ლ ე ქ ს ა ნ. – (ზეზე ნამოვარდება) ღმერთო, ეს რა მესმის? პატიოსან პირდაპირობას საზოგადოებისადმი, მის ცუდის დაურიდებლად მხილებას და თავგანწირულ შრომას შენ კავანს ეძახი? (დადის) არა, მაშინ შენ გედგა თავზედ ჭეშმარიტების გვირგვინი, რომელიც კაფიობდა ბერები. ჩვენც იმან მიგვაგნებინა ჭეშმარიტების გზას და გამოგვაბრუნა ეკლიან შარისაგან. რათ დაგიკარგავს დღეს ის გვირგვინი? არ შეიძლება არა გკითხო, რა უყავ ის ნიშანი?

ნ ი კ ო – (ხელით აჩვენებს შუბლზედ) აქ გახლავს! მაგრამ უფრო მშვენიერია ადრინდელზედ! მაშინ იმ გვირგვინს აკლდა ერთი ძვირფასი ქვა და ახლა კი მოვიპოვე და მით დავიშვენე. ახლა შენც გირჩევ, თუ გინდა, რომ მაგ შენს ჯილდოსაც ჰქონდეს ფასი, შენც მოძებნე იმისთანა ქვა. უიმისოთ თავს გატკენს ეგ გვირგვინი – მძიმეა.

ა ლ ე ქ ს ა ნ. – რა ბრილიანტია? რა ძვირფასი სამკურნალო ქვა არის მაგისთანა?

ნ ი კ ო – გა...მო...ცდი...ლე...ბა... მიხვდი?

ა ლ ე ქ ს ა ნ. – მაშ, ეგ ყოფილა ახალგაზიდობის მტერი. შერცხვენილი იყოს მაგის მაძებარი ჩემთავად!.. არა, არა! მე არ დავიწყებ მაგის ძებნას, სანამ სული მედგმება და არ დავაგდებ ამ ჩემს გზას! უშიშრად გადავევლები ამ ეკლიან გზაზედ, ერთს ორ ეკალს მაინც ამოვგლეჯ ძირიანად ამ გაუმარგვლელ გზიდგან, რომ ჩვენმა შვილებმაც ნახონ, რომ შეძლებისგვარად მეც აღმისრულებია ჩემი მოვალეობა. ალარ [შემოგყვ] შეჩვენება, მაგრამ შენ რაღას ეტყვი შთამომავლრობას?

ნ ი კ ო – ჭეშმარიტებას. იმას, რასაც შენ... მოდი და დამშვიდებით დამიგდე ყური... ის, რასაც ახლა მე შენ გეტყვი, ჩემთვის არავის უთქვამს. მე ჩემით მივაგენი და ისე გამოვედი შეცოთომილებისაგან, ცოტა კი დავიგვიანე. შენ კი ადრე შეგიძლიან აიცდინო ეს შეცოთმილება, რომლის მაგალითსაც ჩემს თავზედ დაგანახვებ. მამების შეცოთმა მითი არის კარგი, რომ შვილებს გაკვეთილებად გამოადგებათ ხოლმე. მოდი, აბა, და მომისმინე ჩემი თავსგარდასავალი.

ა ლ ე ქ ს ა ნ. – (ჯდება) გვიბძანეთ, რითი გინდათ იმართლით თავი?

ნ ი კ ო – ამ რამოდენიმე წლის წინეთ თუ როგორ ვირჯებოდი, შენც კარგად იცი. აშკარად უკითხავდი საზოგადოებას ნაკლულე-

ვანების საპირდაპიროდ. თავს არ ვიზოგავდი, სულ გრიალი ქარივით ვსტრიალებდი, მეც შენსავით გამოვედი ეკლიან გზაზედ, წინ გადაველობს გამლელებს და პირუთნეველად ვამხილე: „ნუ მოდიხ-ართ ამ ცუდ გზაზედ, ვერა ჰქედავთ, ბირკები გედებიან, ეკლები გესობიან და ჩირქი გსვრისთმეთქი!“ მაგრამ ვინ დამიჯერა ჩემი რჩევა? ჩემი ხმა დარჩა მათში ხმად მღალადებლის უდაბნოსა შინა. მადლობის მაგიერ, ამის შემდეგ ზოგნი გამინურნენ, ზოგნი მერიდებოდნენ და გარბოდნენ ჩემგან, როგორც გიუისაგან; არც მაშინ გავიტეხე გული: ნავიკაპინე და შიშველის ხელებით დავიწყე ეკლების თხრა; მაგრამ აქაც ეს ნამომძახეს: ნუ გვიხდენ მაგ გზას, გიუ! ეგ ეკალი ჩვენი მამა-პაპისაგან დათესილია, ჩვენ მაგ ეკლებთან თანაშეზრდილნი ვართ, ეხლაც მაგაში ვთამაშობთ მალულაობას და შენ, გადარეულო, გინდა, მოგვიშალო ჩვენი ძველი ჩვეულება! არც ყაყანს მოვერიდებოდი, მაგრამ ვნახე, რომ ჩემი შრომა უბარაქო იყო. ერთი ძირი ეკლის ამოთხრას ძალი და ღონე გავატანე. ეკალმა ხელები დამისურა, ხელებში წყლული გამიჩნდა; შევხვივ ხელები, ჩავიწყე უბეში და დაღონებული გამოვბრუნდი; დიდხანს ვიყავი დაღონებული, პირდაპირობას თავი დავანებე, სანამ არ მომაგონდნენ რუსთველის სიტყვები: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაპერნდეს და გმოპერნდეს“, – მეც მოვიპოვე ხერხი და იმ ეკლებს ხერხვა დავუწყე. მე ძველბურად წინააღმდეგად აღარ მოვიქეც, მხოლოდ ვცდილობდი, ამეხსნა საზოგადოებისათვის ჩვენი შინაური ნაკლულოვანება და ამგვარად, მოვიპოვე მათგან ნდობა და შემდეგ არა თუ თვითონ აღარ მერიდებოდნენ, არამედ თავიანთ შვილებსაც კია ურჩევდნენ ჩემს მიბაძვას. ახლა, თუ შენც ასრე ჩემსავით მოიქცევი, მაშინ შენი პატიოსნური მოქმედება და შრომა უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას.

ა ლ ე ქ. – (მიდის და ხელს აძლევს ნიკოს) შენ მართალი ხარ! მაგრამ მოვესწრებით კი იმ დროს, რომ ჩვენი საზოგადოების ნაკლულევ-ანება მოისპოს?

ნ ი კ ო – ჩვენ თუ ვერ მოვესწრობით, ჩვენი შვილები ხომ მოესწრებიან და პოეტის თქმისა არ იყოს: „გზა უვალი, ჩვენგან თელილი, ჩვენსა შვილებსა გაუადვილდესთ, და შეუბოვრად მათ პუნე მათი შავის ბედის წინ გამოუქროლდესთ“... ჩვენ კი შეუდგეთ შვილების გამოზდას და... რას დაღონდი? გახალისდი!..

ა ლ ე ქ. – შენმა ჭეშმარიტმა სიტყვებმა დამაღონეს! ცოტა გვიან მეუბნები, თორემ ადრევ რომ ეგენი მცოდნებოდა, მაშინ იმას აღარ

ძველსა და ახალს შუა

დავკარგავდი, რისაც დაკარგვა დღეს სახვნეშათ მრჩება... ან ვამტყუნებ მხოლოდ ჩემს თავს და არა მამაჩემს...

6 ი კ ო – დავანებოთ თავი მაგას! ნულარ შევდივართ მაგის გამოძიებაში! უმჯობესი იქნება ვეცადოთ, როგორმე და დაკარგული ამოვიგოთ (მოისმის ზარის წკარუნი, წამოდგებიან ზეზე).

ა ლ ე ქ. – მშვიდობით! არ მინდა, რომ მამაშენმა მნახოს. (მიდის იმ ოთაბში, სადაც ნინოა).

6 ი კ ო – (სიცილით) იცის კატამ, საიდამაც მოდის ძეხვის სუნი... ძალიან პატიოსანი ყმაწვილია! ბეჭნიერი იქნებოდა ნინო მაგის ხელში!..

გამოსვლა ვე-4

ისივე და ზურაბ შემოდის

6 ი კ ო – ოჳ, მობძანდით! (ხელს აძლევს) როგორ მშვიდობით ბძანდებით?

ზ უ რ ა ბ. – (დაბლა თავს დაუკრავს) ღმერთმა ნუ მოგიშალოსთ მშვიდობა და გამარჯობა!.. მაგრამ რაღა დროს ჩემი მშვიდობაა?

6 ი კ ო – როგორ, კრიზო, რა გემიზეზებათ?

ზ უ რ ა ბ. – რაც მემიზეზება, ის კი ეყოფა ჩემს მოხუცებულებას, მაგრამ თქვენ რათ განუხებთ და რათ განწყენთ თავს. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ჩემი ჭკვის კოლოფი ხომ არსად გინახავთ?

6 ი კ ო – მე არ კი შემიტყვია, თუ დაჭკარგეთ! რა ჭკვის კოლოფი გახლდათ?

ზ უ რ ა ბ. – იმ ჩემ გიუ შვილზედ მოგახსენებთ. (ესვენება) მიჰ-მადლე ღმერთს! ავასხე შენს იქსო ქრისტეს და ის ჩემი შვილი დაარიგეთ, თქვენ უფრო დაგიჯერებთ; ერთი რიგიანად გაისარჯოს, ნუ მამარებს, მტრის სასაცილოდ ნუ ხდის ჩემს მოხუცებულებას, ნუ მჭრის ხალხში თავს! სხვებიც კი გვინახავს რუსეთიდამ მოსულები, აგრე გიუ და გადარეული კი არავინ გვინახავს. თქვენც კი ბძანდებით იქიდან, მაგრამ ვინ იტყვის თქვენზედ ცუდს: სიბრძნით, სწავლით, ჭკვით, გონებით...

6 ი კ ო – (ანცვეტინებს) გმადლობთ ქების შესხმისათვის, მაგრამ ჯერ ეს მიბძანეთ: რას უნუნებთ თქვენს შვილს? რაზე უნდა დავარიგო?

ზ უ რ ა ბ. – იმე! რავა რას უნუნებ? მამაჩემი ნუ წამიწყდება, უკაცრავათ გახლავარ ამ გლეხურ ფიცზედ, სწორედ ჩხარის წმინ-

ძველსა და ახალსა შუა

დის გიორგის ეკულესის გალავანშია გიუჟბთან დასაბმელი! ღმერთი იმას არა სწავლის და ხატი; მარხვა იმან არ იცის, მღვდელი და ბერი!.. უფროსი ჩალად არ მიაჩნია და უნცროსებთან კი თავს მდაბლობს. იმე! მეტი კიდევ იქნება რამე?.. ამქეყნის წესა და რიგს აღარ უყურებს!..

ნ ი კ ო – ქრისტიანი არ არისო, ბძანებთ!.. ჰმ!.. მაშ შეგინიშნავთ თქვენი შვილისათვის ბევრი ცოდვები: ბოროტება, შური, უსიყვარულობა, ამპარტავნება, ძმის მტრობა და სხვა ამგვარი ცუდკაცობა ბევრი?

ზ უ რ ა ბ. – აჲ, არა! მაგის ცილს ვერ შეუწამებ. სულ მაგას ძრახავს სხვებსაც; მაგრამ ეს არის მისი დიდი ცოდვა, რომ მარხვას არ ზოგავს და წირვა-ლოცვაზედ ძვირათ დაიარება...

ნ ი კ ო – ისემც კარგი დაგემართოსთ, მაგრამ ერთი ესეც მიბძანეთ ახლა: სხვები, რომელნიც ალექსანდრეს ურჯულოს ეძახიან, მოკლებულნი არიან ამ ცოდვებს, რომელნიც ეხლა მოვიხსენიეთ?

ზ უ რ ა ბ. – ვერც მაგას დაუფიცავ, რომ არა ვთქო. მაგრამ წირვა-ლოცვით კაცს ბევრი მიეტევება.

ნ ი კ ო – ეგ ვინ მოგახსენათ? „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს!“ ქრისტიანობა უნდა გამოცხადდეს საქმით და არა ცარიელი სიტყვით. ის არ არის ქრისტიანი, ვინც შურს, ბოროტებას და გაუტანლობას ჰქონდება ზოგიერთი დაწესებული კანონების აღსრულებით! არა, ამგვარ კაცებს უწოდებენ ფარისევლებად, და ხომ გახსოვთ ქრისტეს იგავი ფარისევლებზე?

ზ უ რ ა ბ. – იმე! აბა, მამაჩემი ნუ წამინდება, აღარაფერი ყოფილა ლოცვა და წირვა?!

ნ ი კ ო – მაგას ვინ მოგახსენებთ? ჩვენ, დიახ, გვესმის მაგის მნიშვნელობაც, მაგრამ მხოლოდ ეგენი არ შეადგენენ ქრისტეს მოძღვრებას, რომლის საფუძველი არის ეს ჭეშმარიტი სიტყვები: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ისინი არიან მხოლოდ გარეებანი სამოსი სარწმუნოებისა... ახლა, მაგალითად, ავიღოთ... ვინ... აი, გნებავთ, მე ვინა ვარ და რა ხალხს ვეკუთვნი თქვენის აზრით ფრანცუზს თუ თათარს?

ზ უ რ ა ბ. – იმე! რავა, ქვე მცდი თუ? ეს რა საკითხავია? ქართველი ხარ, აბა, ქვე ვინ იქნები?

ნ ი კ ო – რითი შეგიძლიანთ, რომ დამიმტკიცოთ?

ზ უ რ ა ბ. – მითი, რომ ქართულს ლაპარაკობთ, ქართულად ირჯებით! რალა ბევრი ჩამოვთვალო, მიტომ, მამაჩემი ნუ წამინდება, რომ სულიც და გულიც ქართველისა გაქვსთ.

ძველსა და ახალს შუა

ნ ი კ ო – არა, რასა ბძანებთ? ქართველი რაღათ ვიქწები! ვერა მხედავთ, ქართული ტანისამოსი რომ აღარ მაცვია?

ზ უ რ ა ბ. – იმე! ტანისამოსით ქვე რავა იქნება?!

ნ ი კ ო – მაშ, ეგ თქვენი ქართული ტანისამოსი რომ თათარს ჩავაცვათ, გაქართველდება?

ზ უ რ ა ბ. – თუ გვამიც ქართველისა არ ექნება, ტყუილია, რავა იქნება?

ნ ი კ ო – ნუ ხუმრობთ, თქვენი ჭირიმე! აბა, თქვენის აზრით მე, რომელსაც ევროპიული ტანისამოსი მაცვია, მე უფრო ქართველი ვარ, თუ ის თათარი, ქართულ ტანისამოსში?

ზ უ რ ა ბ. – რას ხუმრობთ, მამაჩემი ნუ წამინტყდება, მგონია, საცინლად მიგდებთ, თვარამ რავა იკითხავთ მაგას?

ნ ი კ ო – და იმ თათარმა რომ გამკიცხოს და მითხრას: მე ვარ და შენ კი არაო ქართველი, რაღა უნდა ვუთხრა?

ზ უ რ ა ბ. – ქვე რა უნდა უთხრა? გიში იქნება და გადარეული!

ნ ი კ ო – მაშ, ახლა ეგვევე აზრი იქონიეთ თქვენს შვილზედ და იმათზედაც, ვინც იმას დასცინიან.

ზ უ რ ა ბ. – (თავის ქნევით) ჰო, ჰო, ახლა კი მივხვდი, რაზედაც მაჩერჩეტეთ აქამდის!

ნ ი კ ო – ახლა ხომ გენიშნათ?

ზ უ რ ა ბ. – (გაკვირვებით) იმე! მართლა მკითხავთ? მენიშნა კი არა, ის მამაჩემი ნუ წამინტყდება, ისარივით მომხვდა ში კაკალ გულში!.. (თავისთვის) ცოტა ხანს თუ კიდევ მალაპარაკა, სწორედ გამატუდენტებს, მამაჩემი ნუ წამინტყდება, აქამდის წვერებს გამომაშვებინებს, თავზედ ლარაბლას დამახურვინებს და ისე მატარებს ხალხში! სულ გამაგიუებს ამ სიბერის დროს, (ნიკოს) ეს, ისემც კარგი დაგემართოსთ, მაგრე დამშვიდებით რომ ბძანეთ, მეც ქვე გევიგე, მაგრამ რატომ ჩემი შვილი არ ირჯება მაგრე თქვენსავით დამშვიდებით, რატომ ისე ფუცხუნობს, თუ ის ჭკვიანი იყოს და მე ღმერთი არ მიწყრებოდეს?

ნ ი კ ო – მაგასაც მოგახსენებთ. ღვინო ბევრი მოგდისთ?

ზ უ რ. – უი! იმდენი წელინადი გასძელი, მეტი ნუ, რამდენი კოკა მე ის მომდიოდეს.

ნ ი კ ო – როგორ აკეთებთ ხოლმე იმ ღვინოს?

ზ უ რ ა ბ. – ქვე რა ვიცი? ისე, როგორც სხვები, მოვაკრებინებ, ჩავური საწნახელში, დავაწურვინებ და ტკბილს ჩავასხამ ხოლმე ჭურში.

ძველსა და ახალს შუა

ნ ი კ ო – მერე ისე დარჩება ხოლმე ჭურში ტკბილად?

ზ უ რ. – ისე რავა დარჩება? ჯერ უნდა კარგად ადუღდეს, დამაჭრდეს, მერე უკვე დაძველდება და კაი ღვინო დადგება.

ნ ი კ ო – რომ არ იდუღოს, არ იშუშუხნოს, არ შეიძლება? ან რათა დუღს, ნეტავი?

ზ უ რ ა ბ. – მიტომ, რომ ახალია; ისეა ახლის ბუნება: უნდა იდუღოს.

ნ ი კ ო – ისემც კარგი დაგემართოსთ! მაშ, ერთი ესეც მიბძანეთ: რათ არ გეჯავრებათ იმის დუღილი?

ზ უ რ ა ბ. – იმე! მეჯავრება კი არა, კიდეც მიხარია! გადუღუღებელი რას ივარგებს? თუ სასულე არ გაუკეთდა და ნება არ მიეცა თავისუფლად ადუღების – ან ჭურჭელს გასტებს და ან მოიმლება შიგ ჭურჭელში და რალას ივარგებს? აყროლდება!

ნ ი კ ო – მაშ, აგრე გახლავსთ კაცის ბუნებაც. თქვენი შვილი ჯერ ყმაწვილი არის, სისხლი უდუღს მაჭარსავით, და, როდესაც სისხლი დაუღუღდება, დაუწყნარდება, მაშინ დადარბაისლდება და შეიქნება საქები შვილი.

ზ უ რ ა ბ. – (სიხარულით) ეს რა მესმის?! ქრისტემ აკურთხოს ის ნიგნები, სადაც ეგ შენ ამოგიკითხავს და გისწავლია! შერცხვენილი იყოს, ვინც თავის დღეში ტუდენტების ცუდი სთქვას!.. იმე, ჩვენ ქვე რალა ვყოფილვართ! ავიც ამათ სცოდნიათ და კარგიც!.. წავალ ახლავე და ჩემ შვილს მოვძებნი და ვეტყვი: „შვილო, შენ იქადაგე და მე მოვისმენ, და, თუ ხანდისხან გალობას მათქმევინებ, ხომ კარგი, და, თუ არა, და არც იმაზედ დაგემდურები-თქო“. მამა ნუ წამი-წყდება, მეც ამ სიბერის დროს გავტუდენტდები!.. (მიდის).

გამოსვლა გვ-5

მარტო ნიკო (წამოდგება და დადის დაფიქრებული)

ნ ი კ ო – აი, ჩვენი მოხუცებულები! ოლონდ კი რიგიანად აუხსნას და გააგებინოს კაცმა და ყოველ ჭეშმარიტების თანაგრძნობას უჩვენებენ ხოლმე... მაგრამ ბევრნი კი აღარ არიან ჩვენში ამისთანა მოხუცებულები, ესენი ისე შერჩენილან ჩვენ საზოგადოებას, როგორც ზამთრის პირზედ კეთილი ნაყოფი ხეხილს, რომელიც, ჰა, თუ აგერ მოსწყდეს და ჩამოვარდესო და, ჰა, თუ აგერო... ისინი გულმტკივნეუ-

ლად შეჩერებიან ჭიან პანტებს, რომელიც ამპარტავნულად, ამაყად და თამამად იჭერენ იმათ ადგილს და ჯერ კი ვერ შეუნიშნავთ ის ახალ-ახალი კოკრები, რომლებიც აპირებენ გაშლას, აყვავებას და ნაყოფის მოტანას საზოგადო სარგებლობისათვის! ღმერთო! მალე მოგვასწარ მათ გახარებას და გვიხსენი ჭიანი პანტებისაგან... (გავა).

მოქმედება მოთხე

სცენა პირველი

ოთახი დიდყურაბის სახლში

გამოსვლა 1-ლი

გ რ ი გ ო ლ. – (გამოდის მეორე ოთახიდგან ხარხარით) რა დროება მოვიდა! ქვეყანა უკულმა ტრიალობს, დრო გადაირია და ხალხიც გაგიჟდა! (პუბლიკას) არ გაგეცინოსთ კი და ერთს რამეს გეტყვით. თქვენი რისხვა მქონდეს, თუ მოგატყუოთ. ალექსანდრემ (იცინის) დღეს მამამისი მომიგზავნა მოციქულათ: „შენი ქალი მომეციო!“ იმე! ამას გიჟის მეტი იფიქრებდა ვინმე?! სამსონს წაართვიო. უყურეთ ქვეყნის გიუსა და გადარეულსა! იმე! თუ გინდა კი იფიქრა, ეს მის-გან გეჯეროსთ, თერგის წყალი ჩაუყლაპავს, მაგრამ გამოყრუებული მამამისი როგორ დაეთანხმა? არა, სწორეთ ისიც გაუგიჟებია შვილს! მართალი ნათქვამია: „ხარი ხართან დააბიო და ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. ახლა კიდევ ნინოც ამტეხია – ის რაღა ჩემმა უბე-დურებამ გადამირია? – „არ შევირთამ სამსონს, უნდა ალექსანდრე შევირთოვო“. იმე! დიდება შენს სახელს, ღმერთო! სწორეთ ცუდი დროება მოვიდა, მეორედ მოსვლის ნიშნებია! ან მე ვარ გიჟი და ან ისინი! ბიჭო, ისე როგორ დამაბრმაოს ცოდვამ, რომ ავისა და კარ-გის გარჩევა აღარა მქონდეს! სად ალექსანდრე და სად სამსონ? იმ კაცს დიდი ადგილი უჭირავს სამსახურში, კაპიტანი კაცია, დღეს თუ ხვალ მაიორობას მიიღებს, მხრებზედ დიდ, უშველებელ ეპოლეტებს დაიკრავს, ჯვრებით და კავადიებით ყელამდის გაჩურჩხლულია, კაი ორასი თუმანი ჯამაგირი აქვს, ერთი იმოდენსაც ისეც იშოვნის; ახლა ისე უბრალო შემოსავალი: პური, ღვინო, ყველი, კვერცხი, ქათამი, ინდაური, თხა, ბატი, იხვი, ცხვარი, ღორი, ხანდიხან კარგი მსუქანი

ძველსა და ახალს შუა

ხბოებიც, იმდენი წელინადი გასძელით, რამდენი აუარებელი იმას შემოუვიდეს... იმე! შენი ჭირიმეთ, ქვე რაღა სჯობია ამას? სწორეთ მეფურათ იცხოვრებს ის კაცი, დაჯექი და ჭამე, სანამდის არ მოგ-წყინდეს, რა ბძანებაა, ბატონი, როდი ავყები ნინოს! მაშინ გიუი ვიქები! თუ ქალია და გაბედავს უარს, ამდენს არ ვალაპარაკებ, ჯერ იტიროს, რამდენიც ერჩიოს თავისითვის!.. ჩემმა ცოლმა ბევრი იკურ-ცხალა, მაგრამ, ძალიანი რომ მოარტყეს, ქვე გაჩუმდა და ვიფსკვე-ნით გვირგვინი; პატარა ხანს მებუტებოდა, მაგრამ დილას კოცნაც დამიწყო, სიცილით მითხრა: „შე გიუო, რათ გაალახვინე ჩემი თავიო? მაინც და მაინც უარს ვამბობდი, თორემ მე უფრო სული მიმდიოდა შენზედაო.“ ეჰ, ასე ყოფილა თურმე ქალის ბუნება!..

გამოსვლა 2-რა

ისიცე და ნიკო

(შემოდის დალონებული და ჩუმათ დადის ჩქარის ნაბიჯით; ცოტა ხნის შემდგომ თავადი დიდყურაძე მისძახებს)

გ რ ი გ ო ლ. – ყმაწვილო! სულ მაგრე იტრიალებ ახლა შესაწვავ გოჭივით?

ნ ი კ ო – (შეჩერდება) რა გნებავთ?

გ რ ი გ ო ლ. – ის, რომ ერთ წუთს ფეხები შეაჩერე, შეასვენე, ქვე არ გეხიმხრება უთავბოლოდ ტრიალი? არ გეჯავრება ეგ რახა-რუხი? დადიხარ, ხმას არ იღებ მთელი დღე, ისმის მხოლოდ ცარიელი „პრაკ, პრუკ, პრაკ, პრუჭ!“ დილას აღარ მაძინებ და ნასადილევს. ეგ არის თქვენი დიდი სწავლა, მაგისთვის მოიარე ქვეყანა? მაგას ჩემი გადიაც კი გასწავლიდა; მარტო მაგისთვის, ან შენ რათ მოიარე იმ სიშორეს და ან მე რათ შემიყვანე უბრალო ხარჯში?

ნ ი კ ო – თუ საქმე გაქვსთ, მიბძანეთ.

გ რ ი გ ო ლ. – დიახ, საქმე მაქვს! დიახაც გიბძანებ! დაჯექი და გამიგონე: გესლაძე მიჩივის, ნასყიდობის წერილი გამოჩენია და მამა-პაპეულს მამულს მართმევს, სენატში გაუქანებია აპელაცია. რომ მოიგოს, ხომ სულიან-ხორციანა დავილუპები, ხომ ჩემი დანით უნდა გამოვიჭრა გოჭივით ყელი და შენ კი ამაების დარდი არა გაქვსრა; ამდენი ხანია, გეხვეწები და შენ კი ერთ არზას მამადლი? მე მიტომ გამოგზარდე და მიტომ გაგაგზავნე რუსეთში, რომ ვფიქრობდი:

ძველსა და ახალს შუა

აგერ რუსეთიდამ სწავლული შვილი ჩამომივა და იმისთანა აპელაცია ეცოდინება, რომ მეზობლებს მათს საკუთრებაზედ ხელს ააღბინებს და ჩემს მამულს შემოუმატებსთქო, და ახლა არათუ სხვისას, ჩემსასაც მტაცებენ, უსამართლოთ მერევიან და შენ ყურსაც არ აპარტყუნებ.

ნ ი კ ო – თუ სამართალი გაქცესთ, მაშინ ჩემი არზაც აღარ იქნება საჭირო, ისეც ვერავინ ნაგართმევსთ და, თუ უსამართლოთა გაქვსთ მითვისებული, რომ შემექლოს მოგება, მაინც არ გავერევი მაგისთანა საქმეში.

გ რ ი გ ო ლ. – რაო, რაო? რა სთქვი ეგა? არა, მართლა ამბობ, თუ ხუმრობ?

ნ ი კ ო – სასიხარულოსა და სახუმროს მე დღეს აქ ვერაფერსა ვხედავ.

გ რ ი გ ო ლ. – მერე და რომ მართლა უსამართლოთაც მქონოდა მითვისებული, მანვრე მომექცეოდი, დამიკარგვავდი მამულს? მერე ვიღას უნდა ვერჩინე?

ნ ი კ ო – რა ვქნათ, პატონო, პატიოსნების დაკარგვას ყოველიფერის დაკარგვა სჯობია!..

გ რ ი გ ო ლ. – რაო? (გაჯავრებული წამოხტება ზეზე) რას წაგიგდია ენა და რალაცას ტყიპინებთ, თქვენ თითონაც არ გაგეგებათ! თქვენც ლმერთმა შეგარცხვინოსთ და შენი პატიოსნებაცა! არა, ვინ გინახავს, რომ პატიოსნებით კუჭი გაეძლოს? მამაჩემი ნუ წამინცდება, გულს ნუ მომაყვაინებ, თორემ ასეთ საქმეს გიზამ, რომ სამაგალითო იქნეს! ისე, შენს ნებაზედ აღარ გატლიკინებ, აქამდის რომ გიტლიკინებია, მამულზედ ხელს აგაღებინებ, გაგაგდებ კარში და მაშინ გნახავ, დარჩები თუ არა მაგ შენის პატიოსნებით!

ნ ი კ ო – ეგ თქვენი ნება გახლავსთ, მაგაზედ არც ყვედრებას დაგინცებთ და არც ვედრებას, ჩემი სათხოვარი მხოლოდ ის არის და ახლაც იმისთვის მოველი თქვენთან, რომ გთხოვთ: ნუ აუბედურებთ იმ ქალს, ნუ აძლევთ სამსონს, მიეცით ალექსანდრეს...

გ რ ი გ ო ლ. – (გაჯავრებული) კი, სწორეთ მაგრე მიქნია, შენი ჭკუის ვიქნები მაშინ! მომშორდი ამ სახლიდგან, სახლიც ჩემია და კარიც. ჯერ შენ არა აგიშენებიარა, ქალს ნუ გადამირევ და შენ ჯანდაბამდინაც გზა გქონია. ერთი შვილი, თუ გინდა მომკდომოდეს, რავა ვერ შეგელევი? მამნარებ მოხუცებულობას, მაგრამ მეც გაგამნარებ: კაი ხუთი ათასი თუმნის ვექსილს მივცემ სამსონს, მამულს ის წაიღებს და შენ კი იტლიკინებ მანვრე!

ძველსა და ახალსა შუა

ნ ი კ ო – უკანასკნელად გეუბნებით, შეხედეთ ღმერთს, ნუ აუბედურებთ იმ ქალს! ვიცი, სიყვარულით მოგდით ეგა, მაგრამ ეგ სიყვარული მტრობაზედაც უარესი. მე ჩემთვის ხომ არაფერს გეხვეწებით! არ გესმისთ ნინოს ტირილი? (მეორე ოთახიდამ მოისმის ნინოს ტირილი).

გ რ ი გ ო ლ. – გადი აქედამ!.. შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი დამჯერიც, (გაპყვირებს მეორე ოთახში) შენი კი რაღა მეცოდინება, ქალბატონო, იმას ნუ ჰფიქრობ, რომ შენ ვინმე სხვა შეირთო სამსონს გარდა! ამოიცილე გულიდგან ალექსანდრე... ეხლანდელი ბავშვების პლუტობისა კი რაღა მეცოდინება! (გადის გულმოსული).

ნ ი კ ო – ეჲ, უგუნურებავ!.. ნინო მეცოდება, თორემ ანკი რათ ვერევი მე ამ საქმეში? (იხედება ფანჯარაში) ის დურაკიც აგერ მოდის! ეგება იმას შევაგონო როგორმე ან რჩევით, ან შიშით, ან შერცხვენით და დავატოვებინო ჩემი და: „ცდა ბედის მონახევრეაო“, ნათქვამია.

გამოსვლა 3-ით

ნ ი კ ო – (მუხლამდის თავს უკრავს) „დიდება თქვენს მობძანებასა, ბედნიერებავ დიდის ცდისაო!“ მობძანდით, დაბძანდით! გვიამბეთ რამე, სიძის კუ...

ს ა მ ს ო ნ. – (ჯდება) გმადლობთ!... ნინო რასა იქს?

ნ ი კ ო – ავათ თქვენი მტერი გახდეს, ავს გუნებაზედ ახლა ის იყოს! მთელი დღე საცოდავათ ტირის და მოსთქვამს.

ს ა მ ს ო ნ. – (გაოცებით) რა ემიზეზება?

ნ ი კ ო – იმისი და გეტყვით, ჩემი ვალია, რომ არ დავფარო: თქვენი შერთვა არ უნდა თურმე, სხვისთვის არის გაშმაგებული, და, ჩემის აზრით, აღარ არის რიგი, რომ თქვენ კიდევ ინდომოთ მისი შერთვა!

ს ა მ ს ო ნ. – ეტო ნე ხარაში!.. ვპროჩემ ნიჩელო!.. ჯერ შევირთო და, არაფერია, მიეჩვევა! (მუშტს აკეთებს). ამას რომ ვუთავაზებ, არ შემიყვარებს, აბა, რა გზა ექნება?!

ნ ი კ ო – მაგას პატიოსნების ნაპერწეკალი არ ექნება! გეტყობათ, რომ ანგარიშით ირთავთ და არა სიყვარულით და მაგგვარ ცოლქმ-რობას აღარ ჰქვიან ცოლქმრობა...

ს ა მ ს ო ნ. – (გულმოსული) ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ! გთხოვთ, რომ ენას კბილები მოუჭიროთ.

ძველსა და ახალს შუა

ნ ი კ ო – როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? ძმა არა ვარ? უპატი-ოსნო კაცს უნდა ჩაუგდო ხელში ჩემი და სატანჯავად?!

ს ა მ ს ო ნ. – ვიზედ ამბობთ მაგას? ჩემზედ?!

ნ ი კ ო – დიახ, თქვენზედ; მოგახსენებთ პირში და არა ზურგს უკან, თქვენ ისე დაგიკარგავთ სინიდისი, რომ ძმასთანაც აღარა ჰყარავთ ურიგობას და მუშტებს აკეთებთ. დაუფარავათ გეტყვით, რომ თქვენ ძალიან საძაგელი კაცი ჰყოფილხართ!.. გინდათ, დუელ-შიაც გამოგითხოვთ; თუმცა დუელი, ჩემის აზრით, მხეცობაა, და მეც წინააღმდეგი ვარ დუელისა, მაგრამ ოღონდ ჩემს დას უშველო რამე და აღარ დაგერიდები ამ შემთხვევაში: ან მოგკლავ და ან შეგაკვდები, და ორივე შემთხვევაში გადარჩება ჩემი და უბედურებას.

ს ა მ ს ო ნ. – ჯერ თქვენ ყმაწვილი ხართ, მე თქვენთან დუელი არ შემფერის. (აპირებს წასვლას).

ნ ი კ ო – (მიეწევა და მიაფურთხებს) ესეც შენ და, თუ არც ეს შეგარ-ცხვენს, ესეც კიდევ ზედნადებად მომირთმევიაა (ჯოხს დაავლებს ხელს და შეუტევებს. სამსონ მოჰყვება ღრიალს).

გამოსვლა 4-ხე

ისინვე და დიდურაძე შემოიჭრება ყვირილის ხმაზედ შეშინებული

გ რ ი გ ო ლ. – რა ამბავია? რა ამბავია? რა დაგემართათ?

ს ა მ ს ო ნ. – თქვენმა სიცოცხლემ, კნიაზო, რომ თქვენი შვილი არ იყოს და ნინოს ძმა, სწორედ ძალლის ლეკვივით დავარჩინებდი ორის თითით! ისე უმიზეზოთ ამიტყდა და მოთმიწებისაგან გამომიყვანა. მაგრამ რაღა გაეწყობა, თქვენთვის მიპატიებია, თქვენ გიმად-ლოდესთ...

ნ ი კ ო – აი, საძაგელო! შე მხთალო, შენ! ვინ უნდა მოგეკლა? შიშით სული ამოგხდა და ღრიალი გააბი!.. გაშინებდი, თორემ ეგება გეგონა, რომ შენისთანა უგუნურზედ ხელს შევისვრიდი?

ს ა მ ს ო ნ. – ამდენი მოთმიწება აღარ შეიძლება, კნიაზო! მშვი-დობით ბძანდებოდეთ! მე შესარცხვენათ და გასათრევათ არ გამიზ-დია ჩემი თავი... ღმერთმა თქვენც მშვიდობა მოგქცესთ და თქვენს ქალსაც! (აპირებს წასვლას, გრიგოლ აბრუნებს).

ძველსა და ახალს შუა

გ რ ი გ ო ლ. – არ გეკადრება გიუის აყოლა! მთელმა ქვეყანამ იცის: რომ კაცი ჰეყავდეს, ჩხარის წმინდა გიორგის ეკკლესიის გავლა-ვანშია გიუებთან დასაბმელი! და თქვენ როგორ გეკადრებათ მაგის აყოლა! რა ხელი აქვს მაგის ან ჩემთან, ან ნინოსთან და ან თქვენ-თან?

ს ა მ ს ო ნ. – ეჭ, რაღა გაეწყობა, კრიაზო, თქვენი პატივისცემა და ნინოსადმი აღტაცებული სიყვარული ბევრს მომათმენინებს, მაგრამ ამას გთხოვთ: თუ ეს აქ დამიხვდა ხოლმე, მე აქ ვეღარ ვივლი!

გ რ ი გ ო ლ. – კი, ბატონო! კი, ჩემო ხელმწიფევ! ოლონდ თქვენ კი ნუ აჰყვებით ამას! (ნიკოს) კაცო, ქრისტიანო! რას ამტეხიხარ! რა გინდა ჩემგან? ამას წინეთაც დაგითხოვე, ალარ მომშორდები?..

ნ ი კ ო – მოგშორდებით, მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემს დას გამოვიხსნი უბედურებისაგან; შენ ამ შემთხვევაში დაბრმავებული ხარ: ჰყიდი შენს ქალს და კიდეც გექება! დიდი ბედნიერება გვინია?

გ რ ი გ ო ლ. – (გაკვირვებით მისჩერებია) ხომ არ გადარეულხარ? პირველი გამოისახე! (სამსონს) ახლა კი ნუღარ გეწყინებათ რა ამის-აგან: ნურც ავი და ნურც კარგი!.. ღმერთსა ვფიცავ, შერეულია, გრძნობა დაუკარგავს. ვაი, ამ ჩემს თავს! (წაიშენს თავში) გადამერია შვილი!..

ს ა მ ს ო ნ. – ნესჩასტიე, ცხადია! უნდა მეც შემეტყო წელანვე, ისე ტყუილად, უმიზეზოთ რომ ამიტყდა; ჯოხით მოსაკლავად ალარა მზოგავდა!.. ნადა დოქტორა! ექიმზედ გავაფრინოთ კაცი.

გ რ ი გ ო ლ. – კი, ჭეშმარიტად! სწორეთ კარგი იქნება! შეხედეთ, რავა პრანავს თვალებს! ვაი, ამ დღის მომსწრეს! ასე იცოდა უცხო ქვეყნებმა, ეს ბოლო ექნება ყველა იქ გამოზდილებს, (ყვირის) ბიჭი! ბიჭი! არავინა ხართ, აქ შემოღით! ვაი, ამ ჩემს თავს! გადამერია! (ბიჭი შემოვარდება გაფეთებული, ხელში უჭირავს ხელკეტი).

ნ ი კ ო – (ნაღვლიანად იცინის და დიდხანს მისჩერებია) მე ვარ გიუი? მე დავჰკარგე გრძნობა? მე მეჭირვება ექიმი? მგონია, უფრო თქვენ! ჭვას თავი დავანებოთ, მაგრამ მამობრივი გრძნობა, ეგ გული მაინც ალარ გამხილებსთ, თუ რას ჩადიხართ? ვის აძლევ შენს ქალს? ვის? იმ კაცს, რომელიც მხოლოდ მზითვისათვის ირთავს ქალს? არ გებრალება შვილი? რათ აუბედურებ? გამოახილე თვალები! სამუ-დამოდ ნუ აუბედურებ ნინოს.

გ რ ი გ ო ლ. – გავეცალოთ აქედამ, თორემ იქნება კეტიც დაგვიშინოს (ორივე საჩქაროთ გადიან).

გამოსვლა 5-თა

ნიკო და დათიშვა პიში

ნ ი კ ო – შენც გჯერა, ჩემო ძმაო, ჩემი სიგიჟე?

დ ა თ ი კ ა – არა, ბატონო, შენი ჭირიმე! რას მიბძანებთ, ღმერთი გადლეგრძელებთ!

ნ ი კ ო – მაშ, ხომ გაიგონე, რასაც ველაპარაკებოდი და მომაყვანია გული? შენმა შვილმა რომ გირჩიოს ის, როგორც მე ახლა ურჩევდი მამაჩემს, ხომ დაუჯერებდი რჩევას?

დ ა თ ი კ ა – კი, ჭეშმარიტად, ბატონო! კი, შენი ჭირიმე! ვიღას უკეთეს დავუჯერებდი?

ნ ი კ ო – განა, არ გამოიმეტებდი გასაყიდათ შენს ქალს ისე, როგორც მამაჩემი უპირებს გაყიდვას?

დ ა თ ი კ ა – რავა, შენი ჭირიმე! ვინ ჰყიდის? ვინ მოგახსენათ? ტყუიღი მოგხსენებიათ! გაყიდვა როგორ შეიძლება? ქვე კი არა ჰყიდან, აგრე, კაი კაცს... პომპოლიკს აძლევენ ცოლად.

ნ ი კ ო – ჴ და კიდეც ეს არის გაყიდვა!.. როგორ გაკვირვებით მომჩერებიხარ? შენც ხომ გადარეული არა გგონივარ? მოდი და დაჯექი აქ, ჩემთან, და მე შენ დაგიმტკიცებ ამას; შენი გაურყვნელი გული უნდა მიხვდეს ამას. ჩვენში გლეეხები ძალიან გულისხმიერები არიან... მოდი, გაიგონე...

დ ა თ ი კ ა – (გაკვირვებით) არა, ბატონო! ნუ მიბძანებთ, შენი ჭირიმე, ასე ვიქნები არა მიჭირსრა, შენი ჭირიმე, კარგათ გახლავარ!..

ნ ი კ ო – განა მაგრე გირჩევნია? არ გინდა დაჯდომა?

დ ა თ ი კ ა – კი, ბატონო, მარა რავა იქნება, შენი ჭირიმე?

ნ ი კ ო – რატომ, მე თუ კი ვზივარ, შენ რა გიჭირს, რომ დაჯდე ჩემთან?

დ ა თ ი კ ა – (სიცილით) კი, ბატონო, მაგრამ თქვენ ბატონი ბძანდებით და მე თქვენი მოსამსახურე. სულელი კი არა ვარ, რომ ეგეც ალარ მესმოდეს, თქვენ გინდათ, რომ შემაცდინოთ და მერე გამინერეთ, ბატონო.

ნ ი კ ო – არა, ჩემო ძმავ, ეგ ვინ გითხრა? მოუტყუებიხარ... (პატარახნის სიჩუმის შემდეგ) მაგრამ მეც გიუი ვარ, რომ უდაბნოში ვღალადებ ჭეშმარიტებას!.. განა სხვა საშუალება აღარა დამრჩენიარა? (დიდხანს დაფიქრებული დადის და ბოლოს უცებ შეჩერდება) ევრიკა! მივაგენი! სუდის სეკრეტარი სტუდენტაგანია, არ შეიძ-

ძველსა და ახალსა შუა

ლება, რომ არ მომექმაროს! (სიხარულით) აბა, ვნახოთ, გიუი რას უზამს ჭკვიანებს! დაგვიანება კი არ უნდა ამ საქმეს... ეს იქნება უკანასკნელი საშუალება, ამითი უნდა გადაწყდეს ნინოს ბედიცა და უბედურებაც (მიღის).

და თიკა – (შენუხებული) ვაი, დალუპულს! აბა, მართლა გაგი-უბულა! ეს სახუმრო ალარ არის! მერე რა კაცი და რა კაცი! როგორ ებრალებოდა მდაბალი ხალხი... ესეც ჩვენი უბედურება!.. ეჲ, წავიდე ერთი, გამოვუდგები, წყალში არ გადავარდეს, ბრალია ამისთანა კაცის გაფუჭება!.. (მიღის).

მოქმედება 5-ით

სცენა 1-ლი

გამოსვლა 1-ლი

მარტო სამსონ დადის მხიარულად

სამსონ. – ძალიან ყოჩალი რამე ვარ, ჩესტნი სლოვო! სწორედ გეროი ვარ, ძალიან კი მოვარჯულე ეს ხალხი: როტასავით გარშიდ დამყავს! იმ დურაკს თერგდალებულს ხმა ჩავანყვეტინე. შევაშინე... ნინოსაც ახლა შეუყვარდი, თუ შევუყვარდი, თითქო ჯადო მექმიოს, ისე მექცევა... მამამისი, რაღა, სულ ჩემი მაქებარია, ჩემს მეტი აღარა ახსოვსრა. ჩემი სტარი ფელდფებელივით თვალებში შემომჩერებია!.. კაი ხუთი ათასი თუმანი ამ ჩემს ჯიბეს, მასთანაც კაი ლამაზი, კრასავ-იცა ცოლი. ერიპა! ცოტა ჩემი ვკუსის არ არის ნინო, ჩემი ვკუსის ქალი გრენადერივით მოყვანილი უნდა იყოს... ვაი, საყვარელო! ზოგი-ერთი მათუმკები რომ ვიცოდი პოლკში!.. ოჲ, შენი ჭირიმე, მაჩვებსა ჰევანდნენ სიმსხოთი: მათ სისქეში ტყვიაც ვერ გაატანდა... ნინო ამი-თია კარგი, რომ ძალიან ლამაზია და, თუმც ჩემი ვკუსისა არ არის, მაგრამ სხვებს კი მოეწონება... ერთიც ვნახოთ, მე სადმე კამანდ-იროვკაში გამაქანებენ – აბა, მაშინ იქნება ჯილდოების ალო! ერთ-ორ წელიწადს პოლკოვნიკი გავხდები: მანამდის კი ყველას გაუკეთებ ჩესტს: ასე (აკეთებს ხელს) გამოვეჭიმები უფროსებს და მერე კი, როცა პოლკს მომცემენ, მე გამომეჭიმებიან ყველანი, გავუვლი და გამოუ-ვლი პოლკს წინ და მივაძახებ მაღალის ხმით (ლრიალებს) სმირნა! (ამ ხმაზედ ნინო შეშინებული გამოვარდება მეორე ოთახიდგან).

ძველსა და ახალს შუა

გამოსვლა 2-რე

ისიცვე და ნიცვ

ნ ი ნ ო – რა იყო? რა დაგემართა? რამ შეგაშინათ?

ს ა მ ს ო ნ. – (ხარხარებს) უკაცრავათ! მხთალი ჰყოფილხართ, როგორ გეკადრებათ? დღეს თუ ხვალ ვოენი კაცის ცოლი გახდებით!

ნ ი ნ ო – იპ, მე კი გული გადამიტრიალეთ და!..

ს ა მ ს ო ნ. – ფიქრებმა გამიტაცეს: თქვენმა სიყვარულმა წარმომიდგინა მომავალი ჩვენის ბედნიერის ცხოვრების სურათი, როდესაც მე თქვენ გაგხდით პოლკის კომანდირამათ; და ისე ნათლათაც კი წარმოვიდგინე, რომ თავი მართლა პოლკის კომანდირი მეგონა, ეს მებლები სულ აფიცრებათ მომეჩვენენ და შპალერები რაზმათ და კამანდობა წამცდა!.. უკაცრავათ! (ხარხარებს) მომიტევეთ!

ნ ი ნ ო – (სიცილს იჭერს) მაშ, თქვენ პოეტი ბრძანებულხართ!

ს ა მ ს ო ნ. – (შეფერებით) დიახ, ცოტაოდენი! მაგრამ ვოენური პოეტი გახლავარ, პატიოსნური და არა შტაცკური, სასაცილოს... თქვენც მოგეხსენებათ: ვსიო ვოენნოე ბლალოროდნო, ა ვსიო შტაცკოე – სბეჭნო! (ხარხარებს).

ნ ი ნ ო – არ შეიძლება, ერთი რამ წაგვიკითხოთ თქვენი თხზულებათაგანი?

ს ა მ ს ო ნ. – დიდის სიამოვნებით! ნება მიბოძეთ, რომ წაგვიკითხოთ ერთი ვოენური რეჩი, რომელიც თქვენმა სიყვარულმა დამაწერინა.

ნ ი ნ ო – (შეფერებით, მორცხვათ) თქვენი ნება გახლდესთ!

ს ა მ ს ო ნ. – (ახველებს) მე არ მინდა, რომ შეგადაროთ თქვენ კოკოშსა ვარდსა და თავი ესე ჩემი ბულბულსა მომღერალსა! ამგვარი შედარება იქნება შტაცკური! ნება მიბოძეთ, რომ მოგახსენოთ ვოენურად! (ახველებს) „ჩემთვის თუთუზზედ უტკბესო და ჩინზედ უსასურველესო, მშვენიერო მარსავ!“ მარსი ვოენის ღმერთი გახლდათ და მარსა, უეჭველია, იმისი ცოლი იქნებოდა!..

ნ ი ნ ო – დიახ, მესმის! (სიცილს იჭერს).

ს ა მ ს ო ნ. – (ახველებს) მაშ, ხელახლა მოგახსენებთ: „ჩემთვის თუთუზზედ უტკბესო და ჩინზედ უსასურველესო, მშვენიერო მარსავ! სიყვარულმა თქვენდამი უეცრად იფეთქა გულსა შინა ამა ჩემსა, ვითარცა წამალმან თოფისამან და აღმინთო ტრფიალებისა ალი, ვითარცა არტილლერიის ცეცხლი, და, აპა, მზა ვარ, რომ მოუთ-

ძველსა და ახალს შუა

მენლად ზარბაზნივით გამოვიქცხო: „მიყვარხარ!“ (ღრიალებს. ნინო სიცილს ველარ დაიჭერს და გარბის მეორე ოთახში). ეს როგორ დროს გამაწყვეტინა რეჩი? ის-ის იყო შევდიოდი ვოენურ ვდოხნოვენიეში! არა!.. მოენონა, იამა და შერცხვა! მიტომ გაიქცა. ჯერ ცხოვრებაში რეკრუტია, საცოდავი, მაგრამ ნიჩელო! მალე ვასწავლი ნაპლეჩის, მალე გამოიცდება, მალე, სულ მალე გავწვრთნი ჩემქურათ, ვოგ-ნურათ.

გამოსვლა 3-ეთ

ისინივე და ივანიქა შემოდის

ს ა მ ს ო ნ. – ვისთანა ხარ?

ი ვ ა ნ ი. – ბატონთან, შენი ჭირიმე! სუდის სეკრეტარმა ქალალდი მოგართვათ.

ს ა მ ს ო ნ ი – რაო?

ი ვ ა ნ ი კ ა – რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! გახსნილია და თქვენ უკეთ გაიგებთ, თუ ინებებთ წაკითხვას. (აძლევს ბარათს. წაიკითხავს და შეწუხდება).

ს ა მ ს ო ნ. – ვოტ, ტებე ი ნა! ეტო სკვერნო: აკი მამული ჩამოურთმევიათ ჩემი სასიმაროსთვის!.. (ვსტვენს) ამას კი ვერ მოვიფიქრებდი... კარგი, რომ ადრე შევიტყე; შეიძლება კიდევ კაცმა თავს უშველოს... ან მზითევი კი არა, პირიქით სარჩენათ გამიხდებიან... აქ სიძობა მე ხელს აღარ მომცემს, უმჯობესია, წინდაწინვე დავასწრო, ვითომ არა შემიტყვიარათქმ, სხვა მიზეზი მოვიგონო და ვარი უთხრა – ეს უფრო ჩესტნობა იქნება! (ბიჭს აძლევს წიგნს და ხუთ მანეთს). ჰა, ეს შენთვის მიჩუქებია.

ი ვ ა ნ ი კ ა – გმადლობ, შენი ჭირიმე.

ს ა მ ს ო ნ ი – მაშ, წადი აქედან, მიიმალე სადმე ერთი-ორი საათი და მერე მოიტანე ეგ წიგნი. ვაი, შენს ტყავს, თუ არ დაგიჯერებია!

ი ვ ა ნ ი კ ა – (ღრეჭით) კი, ბატონო, თქვენი ნება გახლდესთ. (მიდის).

ს ა მ ს ო ნ. – ეტო ნე ხოროშო!.. უმჯობესია, ისევ ძველ საცოლოს დავუტრიალდე: ქვრივობით არა უშავსრა... ვდოუშკობით ქალი დაინუნება? აქედან კი ნალევა, კრუგომ მარშ! (მოტრიალდება და მიდის).

ძველსა და ახალს შუა

სცენა 2-რე

ოთახი დიდყურაძის სახლში

გამოსვლა 1-ლი

თავადი დიდყურაძი

(მეტად შეწუხებული, თავდახრილია სტოლზედ; ორივე ხელში უჭირავს წიგნები; ნინო გვერდით უდგას და ანუგეშებს)

გ რ ი გ ო ლ. – ვაი, ჩემს სიბერეს! რა უბედურ დღეს მოესწარი!
ასე უეცრათ რომ ღვთის რისხვა კაცს მოსდგომოდეს, ჯერ არსად
გაგონილა!..

ნ ი ნ ო – კარგი, ბატონი, ნუ იკლავთ თავს! ნუ იწუხებთ...

გ რ ი გ ო ლ. – ჩემმა გიუმა შვილმა ერთი არზაც კი დამამადლა!
ან რაღამ გვარჩინოს? შიმშილით რომ დავიხოცოთ, დამმარხავიც
არავინ გვეყოლება!..

ნ ი ნ ო – ჯერ მაგისტანა არა დაგვმართნიარა... რათ შეშინდე-
ბით? ისე გაცხოვრებთ მე და ჩემი ქმარი სამსონი, რომ ცივ ნიავსაც
არ მოგაკარებთ.

გ რ ი გ ო ლ. – ვაი, რომ ვერა!.. იცი, რომ სამსონ შეგირთავს
უმზითვოთ?

ნ ი ნ ო – უმიე! ეგ როგორ იფიქრე? სამსონი მაგისტანა კაცი არ
არის, რომ მზითევს გამოუდგეს! ბევრჯერ შემოუფიცნია ჩემთვის:
მხოლოდ სიყვარულით გირთავო, და... თქვენც ისე არ მარწმუნებ-
დით?

გ რ ი გ ო ლ. – კი, შვილო, მაგრამ თურმე ორივეს გვატყუებდა!
მეტად უბატიოსნო კაცი ყოფილა! არა გვერა? მაშ, აჲა, წაიკითხე
მისი წიგნი და გაიგებ, რასაცა მწერს.

ნ ი ნ ო – (წაიკითხავს ბარათს და ვითომც ძალიან შეწუხდება) აი, შე
დალოცვილო! ხომ მომეჭრა ახლა თავი და გავიკიცხე ქვეყანაში! რომ
დაგეჯერებინათ ნიკოსთვის, ეს ალარ დამემართებოდა!

გ რ ი გ ო ლ. – ვის ეგონა? ახლა მეც ვხედავ, შვილო: დავისხი
თავს ლაფი, შევირცხვინე თავი, გამინყრა ჩემი წმინდა გიორგი,
დამიდგა თვალები და არ დავუჯერე მე ცოდვის შვილმა...

ნ ი ნ ო – მაშ, ახლა მაინც ვკითხოთ რამე: ან აეს გვირჩევს, ან
კარგს... მტერი ხომ არ არის: თქვენი შვილია და ჩემი ძმაა...

ძველსა და ახალს შუა

გ რ ი გ ო ლ. – კი, შვილო, მაგრამ რაღა პირით შევხედო! შევარცხვინე, გავკიცხე ის კაცი, მამულზედ, რომელიც თურმე მეც მეკარგებოდა, ხელი ავალებინე მტერივით და გავაგდე გარეთ...

ნ ი ნ ო – რამდენი რამე მამა და შვილში მოხდება, ეგ რაღა მოსაგონებელია? დარწმუნებული ვარ, რომ ნიკო მაგეებს არ მისდევს, არც-კი ეხსოვნება ქლა...

გ რ ი გ. – ეგ შენ იცი, შვილო; მაგრამ ან რაღას გვიშველის?..

ნ ი ნ ო – ვნახოთ მაინც. (გაძახებს მეორე ითახში) ნიკო, ნიკო, თუ მანდ იყო, ერთი აქ შემოდი, შენს გაზდას!..

გამოსვლა 2-რე

ისინივე და ნიკო შემოდის

გ რ ი გ ო ლ. – მოდი, შვილო, მომიტირე! მომიტირე ამ სიბერის დროს!

ნ ი კ ო – რასა სწუხართ, მამა-ბატონო? ჯერ მაგისი ფასი რა დაგვმართნია?

გ რ ი გ ო ლ. – მეტი რაღა დამემართება, შვილო? რაღა ღონისძიება მოვაგვარო, რომ თავი ვირჩინოთ? მინის ხელი მე არ ვიცი და ცულისა, ფული მე არა მაქვს და მამული!..

ნ ი კ ო – რა გვიჭრის! ახლა იმ კაპიტალს მივყოთ ხელი, რომელიც თქვენ ადრევე მოიმზადეთ. ის დავხარჯოთ.

გ რ ი გ ო ლ. – რა კაპიტალია, შვილო! საცინლად მიგდებ? ღთი-საგან შეჩვენებული ვიყო, თუ ერთი გახვრეტილი აბაზი მქონდეს შენახული...

ნ ი კ ო – მაშ, მე რომ გამომზარდეთ, ის რა იყო? ჩემი სწავლა კაპიტალი არ არის? რათ არ იცოდით, რომ ამ დღისათვის გამო-გადგებოდით და არა არზების საწერათ...

გ რ ი გ ო ლ. – რავა, შვილო? ვერ გავიგე, რაზე მეუბნები?..

ნ ი კ ო – ადრევე რომ ადგილს მაძლევდნენ, ორასთუმნიანს, და მე არ ვიღებდი, ახლა თანახმა ვარ და შევდივარ სამსახურში. ორასი თუმნით უზრუნველად გაცხოვრებთ! თქვენი გულისათვის მე არ დავერიდები პატიოსან ოფლის ღვრას! შვილის ვალია, რომ დაუტკბოს მამას მოხუცებულობა!.. (მოეხვევა) ნუ ჯავრობთ, გულს ნუ გაიტეხთ!.. მოთმინება იქონიეთ...

ძველსა და ახალს შუა

გ რ ი გ ო ლ. – (მოხევევა შვილს) ქრისტემ გაკურთხოს, შვილო! სიყვარულიც თქვენა გცოდნიათ და კაცებიც თქვენა ყოფილხართ! პასუხისგებაში იქნება ის მამა, რომელსაც შვილი ეყოლოს და მისი სწავლა და განათლება არ ეძიოს!.. შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენ ტუდენტებზედ ძვირს გვეუბნებოდეს!.. შვილო, ჩემი თავისათვის აღარასა ვწუხვარ, მაგრამ ამ შენს საცოდავ დას რაღა ვუყოთ, ხომ დაგვირჩეს გაუთხოვარი! ნეტაი, შენი სიტყვა დამეჯერებინა და ალე-ქსანდრესათვის მაინც მიმეცა.

ნ ი კ ო – ეგ ეხლაც შეიძლება მოხერხდეს...

გ რ ი გ ო ლ. – რაღა დღროსია? ის კაცები, მამაც და შვილიც, გავთათხე, გავათრიე და ჩემი სახლიდგან დავითხოვე და ახლა, გიუჟები ხომ არ არიან, უმზითოდ ქალი მთხოვონ.

ნ ი კ ო – ალექსანდრეს სიყვარული არა ჰგავს სამსონისას! ალე-ქსანდრეს მე კარგათ ვიცნობ, რა კაცი არის: ნინოს სიყვარული ბევრს მოათმენინებს... გნებავს, კიდევაც დაგიმტკიცებთ ამას. (გაჰაბის მეორე ოთახში) ან დრო არის, გამოხვიდეთ!.. გამობძანდით...

გამოსვლა 3-ეთი

ისინივე და ალექსანდრე და...

ნ ი კ ო – ალექსანდრე! მოდი, მოჰკიდე ხელი ნინოს და მიდით, ნება გამოსთხოვეთ მამას.

გ რ ი გ ო ლ. – იმე! მართლა ამბობთ, თუ მეხუმრებით! ამაზე უფრო სასიამოვნო რაღა იქნება ჩემთვის? ჩემი უბედურება ან უბედურებად აღარ მიმაჩნია! ქრისტემ გაკურთხოსთ! ადრევე ჰყოფილხართ ერთმანერთის წერა, მე რაღა უნდა მეთქმოდეს, ან აქამდი რათ ვამბობდი უარს? გვირგვინს თურმე ზეცა ნიშნავს და ხორციელი როგორლა შეცვლის! დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!..

გამოსვლა 4-ეთი

ისინივე და სამსონ შემოიჭრება გახარებული

ს ა მ ს ო ნ. – მომილოცავს, კნიაზო! მომილოცავს!

გ რ ი გ ო ლ. – (ზეზე წამოხტება) რას მილოცავთ! ქორწილ?

ძველსა და ახალსა შუა

ს ა მ ს ო ნ ი – იმას, რომ საქმე თქვენ მოგიგიათ! სუდის გადაწყვეტით მამული თქვენ დაგრჩენიათ!. მომილოცავს!

გ რ ი გ ო ლ. – (სიხარულით) ნუ ხუმრობთ! მაშ, ეს სეკრეტრის წიგნი რაღა არის?

ს ა მ ს ო ნ. – ეგ არაფერი! გიხუმრეთ, რადგან დღეს პირველი აპრილია.

გ რ ი გ ო ლ. – იმე! უმადური ამყოფოს ღმერთმა და უგვერდული მაგისთანა ხუმრობისათვის, მე კი გული გადამიტრიალდა და!.. (სიხარულით) ეჰ, რა გაეწყობა, მადლობა ჩემს იესო ქრისტეს! მე ეს ყოველივე სასწაულად მიმაჩნია! ვენაცვალე მის ძლიერებას, მე ამის ლირსიც არა ვარ!.. ახლა, შვილო, ყოველივე შენ იცოდე, შენი დის მზითევიც შენზედ მომინდვია, შენ იცოდე და ალექსანდრემ... მე აღარაში გავერევი.

ს ა მ ს ო ნ. – როგორ თუ მზითევი? რაზედ ბრძანებთ მაგას?

გ რ ი გ ო ლ. – რაღაც თქვენი წიგნი მებოძა, რომლითაც უარს მითვლიდით ნინოზე, აგე იმ კაცს მივეცი ჩემი ქალი. ისემც ღმერთმა ბედნიერება თქვენ მოგცეთ, საბედნიეროთ ახლა მე ის მიმაჩნდეს და ესენიც გახარებულნი იყვნენ... (თავისთვის) აცა! აცა! ვერ მოგიწანკლე გული, შე პლუტო?

ს ა მ ს ო ნ. – (შენუხებით) რასა ბძანებთ? როგორ ვერ მიხვდით, რომ ვიხუმრე, რადგანაც პირველი აპრილი არის დღეს და ასე მალე როგორ მოვიფიქრებდი... მასთანაც ნინოს ასე უყვარვარ... რა ვიცი... როგორ დაიკუჯერო?

გ რ ი გ ო ლ. – (პუბლიკას) ოჳ, ოჳ, ოჳ, ოჳ! რა პლუტი ყოფილა, შენი ჭირიმეთ! კიდევ უნდა, რომ თვალსა და ხელშუა მომატყუოს!.. (სამსონს) რაღა გაეწყობა! ყოველივე ღვთის ნება ყოფილა, ვენაცვალე მისს ძლიერებას! უმისოთ ხის ფოთოლიც არ ჩამოვარდება, არა თუ ქალი გათხოვდეს.

ნ ი კ ო – ხუმრობა კი არ გეგონოსთ, ბატონო კაპიტანო! (დაცინებით) პირველი აპრილი რომ არის? გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთ, – უთქვენოთ კი უკეთესი იქნება (თავს უკრავს).

ს ა მ ს ო ნ. – მე არა მგონია, რომ ნინოს გული შეცვლილიყოს!

ნ ი ნ ო – დიახაც, არა! დარწმუნდით, რომ ეს გული არაოდეს არა ყოფილა თქვენი ერთგული და ამის მოღალატე (ხელს ადებს ალექსანდრეს, დაცინებით) უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გამცვლით თუთუნში, ნურც ჯილდოებში! (თავს უკრავს. ყველანი თავს უკვრენ და მიდიან მეორე ოთახში).

ძველსა და ახალს შუა

გამოსვლა 5-თვე

მარტი სამსონი

ს ა მ ს ო ნ. – (დიდხანს დაფიქრებული და შეწუხებული მიშჩერებია პუბლიკას). ვოტ სკვერნოე პოლოუენიე! აბა, ეს არის ახირებული მდგომარეობა! აპა! ზაბრაკოვალი, კაკ კავალერიისკუიუ ლოშად! ურგები ცხენივით დამიწუნეს!.. ეს სულ ის თერგდალეულის ბრალია!.. ეტო პოდლო!.. რა ამბავი მომაყენეს!.. (დაფიქრდება). ეჰ, გულს რათ ვიტებ? ჩტოჟ ტაკოე? ქალს ვინ დამიკავებს, ცოლს როგორ ვერ შევირთავ? ნინო თუ არ იყოს, კატო იყოს! კატო ნუ იქნება, სალომე ხომ იქნება? ქალი ყველა ქალია, სულერთია... მე დღეს ჩვენში ქალი ძვირათ მეგულება, რომ ცოლობაზედ უარი მითხრას. პირიქითაც, შემესვენებიან მათი დედ-მამები... მაგრამ დღეს კი ამომაძუებიეს, დამაბრუნეს შტურმიდამ. ატბოი დამაკვრევინეს, რაღა გზა მაქვს, რომ არ წავიდე? ნალევა, კრულომ მარშ! (დატრიალდება, მუზიკას დაუკრავს პირით და მარშით მიდის. ფარდა დაეშვება).

დასასრული

თ. აკ. წერეთელი [1867-1868]

ჩემი ნაცვანი ქუები,
ანუ თქი ვინის თავი

ვოდევილი ორ მოქმედებად

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

მოქმედი პირები:

მუზაძე – პოეტი-რედაქტორი

გოგიელა – მისი მესტამბე, მისივე მზარეული

თათია – ბებერი მკითხავი

და

ხუთი ნაცარქექია

მოქმედება 1-ლი

სცენა 1-ლი

ქართულათ ტახტებით და ზედ ქეჩა-მუთაქაებით მორთული პატარა ოთახი; ერთ კედელზედ თარი, ჩინგური, ჭიანური, სალამური და სხვა საკრავების ჩამოკიდებული, მეორეზედ კი – უცხო ქვეყნის პოეტი და ქალების ნახატებია; ერთს სტოლზედ ჰყანი, თასი, აზარფეშა და სხვადასხვა მრავალგვარი კათხები, მეორეზედ – წიგნები, ქაღალდები, საწერებალაში და ჯაყვა-დანა, პოლზედ ქაღალდების ნაკვეცები ჰყანია.

გამოსვლა 1-ლი

მ უ ზ ა ძ ე – (ტახტზედ სძინავს და ძილში პბოდავს) პოეზია... ერთი გირვანქა ხორცი... ცხრა კაპეიკი... ზეგარდმო-შთაგონება. ბიჭო! ბიჭო! არ გესმის შენ, გოგიელა?.. ჯერ ქოთანში წყალი ჩაასხი, ლობიო არ ამოიხრაკოს და მერე სტანბასაც მიხედე. (გადაბრუნდება მეორე გვერდზედ) აქში!.. მუზებო! რას ჩამციებიხართ! აღარც ძილში გინდათ, მომასვენოთ? რა მემღერება? შიმშილით კუჭი მიხმება. ლობიოთი გაბერილს, კარგს მუზიკასაც კი დამაკვრევინებთ, თქვენმა სიცოცხლემ... (გადაბრუნდება) მაინცდამაინც აღარ იძლით? მაშ კარგი, მოდით, შვილებო! მოდით, ჩემო დებო! მოდით, საყვარლებო! მოდით და ვიმღეროთ! მე ვინა ვარ? ჭია, მატლი, თქვენი ყურ-მოჭრილი მონა. თქვენ კი ზეციერი სტუმრები... მაშ ვიმღეროთ!.. (იმღერის):

„მაღალია იალბუზი,
სადაც ბუდობს ჩემი მუზი,
და სიდგანაც ჩემთან ხოლმე
მოფრინდება, ვითა ბუზი.

ჩემი გრძნობა და გონება
მაშინ იმას ემონება,

—— ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი ——

და უნებურად გამსჭვალავს
ზეგარდმო-შთაგონება.

მაშინ ტურფას ხელს შევახებ,
თვალთ დავხუჭავ, პირს დავალებ,
და რასაც ის ჩამჩულჩულებს,
მეცა იმას შემოვსძახებ!

როცა მძინავს, პოეტი ვარ,
გამოვიღვიძებ, ცეტი ვარ;
ერთ კაცათ არ ჩავვარდები,
ნახევარ კაცათ მეტი ვარ.“

გაათავეთ? ჰე, მაშ ან მშვიდობით... წადით, ახლა სხვა პოეტებთან
მიდით! ისინიც ასე ამღერეთ. გულს ნუ დასწყვეტ! მშვიდობით!..
მშვიდობით! (გადაბრუნდება და ამოუშვებს ხვრინვას).

გამოსვლა 2-რე

ისვე და გოგილა შემოდის; ხელში უჭირავს რაღაც სალფეთქში
გამოხვეული; მიიხედ-მოიხედავს

გ ო გ ო ე ლ ო – (მიჩერებია გაკვირვებით) ქვე რამ დააძინა ასთე
მალე ეს ოჯახქორი?! ახლა, ეს-ეს იყო, ძილისპირებს გალობდა...
აი, ჯვარი აქაურობას! დალახეროს ღმერთმა ეშმაქი და კუდიანი!
თუ ძილში იმღეროდა, ამას სწორებ ფარცაგი სული არ შეჯდომია
რაღაცა. აი, ჯვარი აქაურობას!.. ეშმაქს თვალს არ უჩანს... დალახვ-
როს, დასწეულოს, შეაჩვენოს სამასასამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ,
რაც ქვეყანაზედ კუდიანი იყოს, ჭინკები და ქაჯები. ეს მაინც წანყ-
მენდულია, ეს უბედური დღის შევილი, ში კაკალ შუაგულ ჯოჯოხეთში
შეარგვევინებენ თავს, ისთე ჭამს ოთხშაბათ-პარასკევს, თუ იშონა,
ხორცს, როგორც ხარი კაი თივა-ბზეს! რავა ვქნა ახლა მე? ამას ქვე
ძინავს, ურის ტიკორასავით გორამს აგერ, და ქალბატონი კი შინ
არ არი: დაგლიჯინობს იქით-აქეთ! ბორკილი რომ შოუყარო ფეხებში,
მაინც ვერ გაჩერებ სახში... მანდილოსანი ყველა პილნია, ყველა
ღმერთმა დასწეულოს, მაგრამ ამის ცოლისთანა აშარი კი არსად

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

გაგონილა! საარაკოა სწორეთ, საარაკო! რა პასუხი ვუთხრა მაინც ამის მომტანს? ვნახო ერთი, გავშალო, რა უნდა იყოს, (სტოლზედ დგამს და შლის) უიმე, საყვარელო, ლობიო ყოფილა მისთანა, რომ ამის შექმა მადლია, ერთ ცხენათ ლირს! ვაი, საყვარელო, დედა, დედა, რა კაი სული უდის, ვუსუნებ ერთს მაინც, თვარამ მერე კი ზედაც ალარ მასუნებიებენ, ისე ჩათანთქლენ ეს ოხრები, არ შეარგოსთ ჩემმა გამჩენმა! (სუნავს) ვაი, საყვარელო! არ კი ნერწყვები წამომადინა პირიდგან! ვნახავ გემოს მაინც, ერთ-ორ მარცვალს ევილებ, არავინ მიყურებს და რა მიზეზი აქვს?.. (მიიხედ-მოიხედავს და შეჭამს ცოტას) ახლა სუნელი არა ვარ მე? სუნელი კი არა, სუნელზედ მეტი ვარ: დურაქი ვარ, თვარამ მეტი რომ ევილო, ერთი-ორი კვანჩხიც რომ შევჭამო, ვინ შემატყობს? მუცელში მე ვეღარავინ ჩამხედავს და ეს ლობიო კი მარცვლა-მარცვლა არავის ექნება დათვლილი. (დაუწყებს ჭამას, ტუჩებს მოიწმენდს და ისევე შეკრავს სალფეთქს) კაი ვქენი... ქვე ჩევიგემრიელე პირი ლამაზათ. ასთე ჯობია... ახლა ქვე გავალვიძებ ემ გოდორსაც, (მივა და ალვიძებს) ალა! ალა! ადე ზეზე, ამას შემოხედე!

მ უ ზ ა ძ ე – (თვალებდახუჭული) ვიცი, ვიცი! ვხედავ, ვხედავ!

გ ო გ ი ე ლ ა – (თავისთვის) იმე, ქვე რავა ხედამს ეს ოჯახ-ქორი? წავხდი კაკალი კაცი, თუ ეს ახლა მართალს ამბობს, სწორედ დევიფსე და დამინახა, ლობიოს რომ ვიპარავდი, (მუზაძეს) ალა, რას მეტყვი? რა უთხრა იმ კაცს?

მ უ ზ ა ძ ე – ვიცი, ვიცი! წალი და მერე მომიტანე!

გ ო გ ი ე ლ ა – გაცივდება, ბატონო!

მ უ ზ. – გაცივდეს, საჩქარო არ არის! ხომ მარცვლა-მარცვლათ არ არის ანყობილი?

გ ო გ. – კი, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, კირკაჟი ლობიო გახლავსთ.

მ უ ზ. – (წამოჯდება უცბად) გადირიე, ბიჭო?

გ ო გ. – მე კი არ გადვირიე, თქვენ ბოდავთ, ალა!

მ უ ზ ა ძ ე – (დაწვება ისევ) გასწი, გენაცალე! წუხანდელი უმძილარი ვარ, ჯერ ერთი კარგათ გამოვიძინო და მერე მომიტანე ეგ კორეკტურა, მერე გავასწორებ!

გ ო გ. – (თავისთვის) თურმე კოლეკტურა გონებია ამ საწყალს! (მუზაძეს) არა, ბატონო, კოლეკტურა არ გახლამსთ, ძლვენია, ძლვენი!

მ უ ზ. – (უცბათ წამოვარდება) ძლვენი? რა ძლვენი? ვინ გამოგზავნა? აბა, სად არის?

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

გ ო გ ი ე ლ ა – (თავისთვის) რავა უცფათ წამოვარდა ზეზე დამ-შეული მგელივით ეს საცოდავი? (მუზაძეს) აგერ გახლამსთ, ბატონო! კირკაჟი ლობიო არის, ჩვენ მეზობელ ქალს გამოუგზავნია თქვენთვის.

მ უ ზ ა ძ ე – ქრისტემ აკურთხოს! მხოლოდ მაგან იცის პოეტის ფასი. წადი, მადლი უთხარი: ამისთვის შენ შთამომავლობა დაგა-ფასებსთქო (გოგიელა მიდის).

გამოსვლა 3-ეთ

მარტო მუზაძე

მ უ ზ ა ძ ე – ღმერთმა უშველოს ამის გამომგზავნს, კარგს დროს მომივიდა დღეს არაფერი მიჭამია, (სჭამს) ვიჰ, ვიჰ, ვიჰ! საუცხოვო ლობიო არის! რათ მინდა კოვზი? ამ ლვთისაგან კურთხეულს, რომ-ელი იარალი სჯობია? (ხელს უჩვენებს) დანაც არის, ჩანგალიც და კოვზიც... არა, მე სხვებს არ მივბაძავ და მაიმუნივით წამხედურო-ბით არ ვიხმარ კობზს, სანამ ეს ჩემი დალოცვილი თითები ამ ჩემს მარჯვენაზედ მაბიან; მაშინ პატრიოტიც აღარ ვიქნები და მეძულება ჩემი სამშობლო. და, როცა ხელი აღარ მექნება, მაშინ კი დანა-ჩან-გალი უნდა ვიხმარო, მეტი გზა არ იქნება! (სჭამს გამნარებით) ეჲ, ახლა კი კარგათ გამოვსძეხი, (გაათავებს ჭამას და ჩქარის ბიჯებით დადის) ეს რა მემართება? მეტათ გავხურდი, მგონია ზეგარდმო-შთაგონება მიპირებს წვევას! ეტყობა, რომ მიხაკ-დარიჩინიანი შეჭამანდი ჰყვა-რებიათ მუზებს. (აღტაცებით მივა, დავდება სტოლზედ, მოავლებს ხელს კალაშს, ერთს ფურცელს ქალალდს წინ დაიდებს და ეპირება წერას).

გამოსვლა მე-4

ისვე და თათის ბებერი შემოიპარება წყნარათ და კარებთან გაჩერდება

მ უ ზ ა ძ ე – (ცერ შენიშნავს, სწერს და კითხულობს) „ვინა ხარ შენა, მშვენიერო უცხო სტუმარო!“

თ ა თ ი ა – მე გახლავარ, გენაცვალოს თათია!

მ უ ზ ა ძ ე – (არ ესმის) „პირად მთვარეო, საროსტანისავ ტკბილ-მომლიმარო!“

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

თ ა თ ი ა – უიმე, რაღა დროს ჩემი სილამაზეა, ბეჭრისა!

მ უ ზ ა ძ ე – „მინდა, გეტრფოდე, შენ გმონებდე და შენ გიმლერო!“

თ ა თ ი ა – უიმე, საცინლათ მიგდებს მგონია!

მ უ ზ ა ძ ე – „შენის ეშხით ვსთვრე და ტკბილგრძნობით გული ვიძგერო!“

თ ა თ ი ა – უიმე, გენაცვალეთ! ეს აღარც კი ხუმრობს. სწორეთ დამთვრალა და მშვენიერათ ვერჩენები. (ხენეშით) და ან რა გასაკვირალია: ერთ დროს მეც ვიყავი მშვენიერი.

მ უ ზ ა ძ ე – „რადგან შენა ხარ ჩემი ხვედრი და ბედისწერა, მოდი, მაკოცე და დამიცხრე გლახ-გულისძგერა...“

თ ა თ ი ა – უიმე, გენაცვალე! თუკი შენ გიამება, მე როგორ ვეტყვი უარს შენისთანა ლამაზ ბიჭს.

მ უ ზ ა ძ ე – „ორნივ მარტო ვართ, ამ ღამეში ვერავინ გვჭვრეტს, ვერა!“

თ ა თ ი ა – მართლა მარტო ვართ! მართლა ვერავინ გვჭვრეტს, მაგრამ მაინც სჯობია, რომ ეს კარები გადმოვკეტო, არავინ გამოგვესწროს. (გადმოირაზავს კარებს) სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, მართალი ნათქვამია. თურმე ამიტომ მიხმო, ამას კი ვენაცვალე!

მ უ ზ ა ძ ე – „მოდი, ლამაზო, ხელი მომხვივი, რამ შეგაჩერა?“

თ ა თ ი ა – ახლა კი მოვალ, გენაცვალოს ჩემი თავი! (მივარდა, მოქევია).

მ უ ზ ა ძ ე – (შეშინებული წამოვარდება ზეზედ) ვინა ხარ შენა?!?

თ ა თ ი ა – მე ვარ შენი მშვენიერი, შენი საყვარელი, გენაცვალე!

მ უ ზ ა ძ ე – (ხელს ჰკრავს) რა გიგავს შენ ჩემ საყვარელს? რა გიგავს მშვენიერს, შენ ბებერო? შენა ხარ ეშმაკი ჯოჯოხეთით გამოგზავნილი ჩემდა შესაცდენათ! შენ მომიშალე ზეგარდმო შთაგონება და მომიწამლე ტკბილი წამები. შენ გამიდევნე ნეტარი ოცნებები?! ვინა ხარ მაინც, მითხარი?

თ ა თ ი ა – (კუთხეში მიკუნჭული შიშით) მე ვარ, შვილო, თათია!

მ უ ზ ა ძ ე – მერე რა გინდა? რისთვის მოსულხარ?

თ ა თ ი ა – დაგებარებიე და მოვედი, შვილო!

მ უ ზ ა ძ ე – ჰო, ახლა კი ვიცი, ვინცა ხარ: მარჩიელი! მართალია, მე დაგიბარე საკითხავათ, მაგრამ ცუდ დროს შემომქესნარი: წელან მე ამქვეყნიერი ალარ ვიყავი, ზეცას დავფრინავდი... ჩემს საყვარელს უმღეროდი და შენ რათ მეხვეოდი?

თ ა თ ი ა – (თავისთვის) უიმე, გენაცვალეთ! მე კინელამ სულიც წავიწყმიდე ამ სიბერის დროს და ეს თურმე თავის საყვარელზედ

—— ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი ——

ამბობდა! (მუზაქეს) ისე უნდა მყითხაობის წინეთ, შვილო, უფრო ნამ-დვილად შევიტყობ შენი გულის სიყვარულს.

მ უ ზ ა ძ ე – პო, მე ეგეები რა ვიცოდი, თორემ არ შემეშინდებოდა. მაშ კარგი, მიმკითხავე. რაზედ მყითხაობ, ლობიოზედ თუ ქალალდზედ?

თ ა თ ი ა – სულერთია, შვილო, მაგრამ ლობიო უფრო მართალს იტყვის. (ჰყრის ლობიოს. თავისთვის) რადგანაც ახლა ამას გადამარჩინა ღმერთმა, ან მე მიყურეთ მყითხაობა! (მუზაქეს) რაცა გვითხო, ტყვილი არ მითხრა, თორემ ძალა წაერთმევა მყითხაობას.

მ უ ზ ა ძ ე – კარგი, კარგი! აბა, რას ანბობენ ლობიოს მარცვლები?

თ ა თ ი ა – არაფერს სანუგეშოს, შვილო! შენ გიყვარს ერთი ქალი გაგიუბით, მაგრამ ის კი გატყუებს და გლალატობს, მაგრამ არაფერია, ისევე შენთან მოვა... .

მ უ ზ ა ძ ე – აი, დასწყევლოს ღმერთმა, რა იცოდა? რაც მითხრა, სულ მართალია.

თ ა თ ი ა – შენა გყავს ბევრი მტრები, რომელნიც საქმეში ხელს გიშლიან. უნდათ, რომ გაზარალონ.

მ უ ზ ა ძ ე – მართალს ანბობ, დედაშვილობამ, მყვანან მტრები, იმათ უნდათ, რომ ჩემი უურნალი დაეცეს.

თ ა თ ი ა – ხომ გენიშნა? ტყვილს არაოდეს არ ვიტყვი, დედაშვილობამ; სულს როგორ წავიწყმენდ! შენი მტრები რაღაცას გიწუნებები...

მ უ ზ ა ძ ე – მართალია, მიწუნებენ, მაგრამ სულ შურითა და მტრობით; აი, ახლაც მამივიდა რუსეთიდგან წიგნი: „შენს უურნალს მიმართულება აკლიაო!“ რას ეძახიან მიმართულებას, ვერ გამიგია. აქამდის ხმელეთით ვგზავნიდი რუსეთში უურნალებს და ახლა კი სხვა გზით მივმართე, ზღვით გავგზავნი და არ გამოიცვლება მიმართულება, აბა, რა იქნება?

თ ა თ ი ა – კი, შვილო, გამოიცვლებაო, ლობიოს მარცვლებიც ამბობენ.

მუ ზ ა ძ ე – მაშ, მაშინ ხელის მომწერლებიც მომემატებიან? აბა, ერთი ესეც მიკითხე, ბევრი მეყოლებიან ხელის მომწერლები წრეულს თუ არა?

თ ა თ ი ა – ერთი ლოცვა არის, თუ ის შეულოცე, ბევრი გეყოლება, უიმისობა არ იქნება.

მ უ ზ ა ძ ე – ვინ იცის ეგ ლოცვა?

თ ა თ ი ა – მე ვიცი!

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

მ უ ზ ა ძ ე – მაშ, მასწავლე.

თ ა თ ი ა – რას მომცემ, შვილო?

მ უ ზ ა ძ ე – რა უნდა მოგცე? განა მაგაშიაც ქირას ითხოვ?
ქვეყნის სასარგებლო საქმეში!..

თ ა თ ი ა – რა ვქნათ, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის, მაგითი
ვრჩებით.

მ უ ზ ა ძ ე – კარგი, რაღაც გაეწყობა, ერთ ჩინებულ ლექსს დაგი-
ნერავ, ქვეყანაში გამოგაჩენ. შენი სახელი საშვილიშვილოთ გადავა.

თ ა თ ი ა – არ მინდა, გენაცვალე, შვილო, მაგისთანა გამოჩენა.
მე ერთი აბაზიც კი მირჩევნია, შვილო!

მ უ ზ ა ძ ე – ოჟ, უგნურებავ! მაგრე აფასებ შენ პოეზიას? მაგრამ
რა გაეწყობა, მარტო შენ ხომ არა ხარ? ჩვენში ბევრი აფასებს მაგ-
გვარად ჩვენი პოეტების მღერას, (ამოხვნეშით) რა გაეწყობა! ჯანი
გაგვარდეს. აჟა, წაიღე ეს ერთი აბაზი და კიდეც მასწავლე, რა უნდა
ვქნა!

თ ა თ ი ა – წადი, შვილო, ორი ვირის თავი იშოვნე გამხმარი,
ერთმანეთზე მიაკარი, მერე მე მომიტანე. მე შეულოცავ, შენ ის
ჩემი შელოცვილი წაიღე და კლდის ძირში სადმე ჩაფალი და გულის
წადილიც აგისრულდება, ახლა კი მშვიდობით (მიდის).

გამოსვლა გვ-5

მარტო მუზაძე

მ უ ზ ა ძ ე – დიდება შენს სახელს, ღმერთო! ცხადათ ვერ ვამხელ,
თორემ გულში კი მჯერა მკითხაობა!.. რაც ახლა ამან გამოიცნო, მოდი
და ნუ დაიჯერებ შენ... რომ მენიშნა?! ცხადია!.. ვნახოთ, რას იზამს
გადალოცვა, ეგება მართლა ვირის თავებმა მიშველონ... ვნახოთ...
იმედი კი მაქვს! მჯერ!.. სად ვიშოვნო ორი თავი? (ფიქრდება) იჟ,
ვირების მეტი რაღა არის ჩვენში? ერთს ორ თავს როგორ ვერ ვიშო-
ვნი? იმასაც კიდევ გამხმარს? დღეს მე სიზრმებიც მისთანა ვნახე,
რომ უთუოდ კარგათ წავა ჩემი საქმე!.. წავიდე, ერთი, მალე მაინც
მოვნახო ვირის თავები! (მიდის).

ფარდა დაეშვება

—— ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი ——

მოქმედება 2-რე

სცენა 1-ლი

უბრალოთ მორთული პატარა ოთახი, მარჯვნივ და მარცხნივ პატარა სტოლები დგანან. ერთზედ სამოვარი დგას მისის იარალით და მეორეზედ წიგნები ჰყორია. ერთს სტოლზე პირველი ნაცარქექია ზის დაფიქრებული და მეორეზედ – მეორე. მესამე და მეოთხე ნაცარქექიები თავხელებშამოჭრილი, ღრმა ფიქრებისაგან გატაცებულები დადიან ჩქარის ბიჯებით და ბოლოს ერთმანეთს უეცრათ შუბლებით შეეხლებიან.

გამოსვლა 1-ლი

3. 6. – რა შვები, კაცო? ხომ არ გადარეულხარ? შენ არაფერს აკეთებ და სხვებსაც უშლი?

4. 6. – გიშლი თორებ, შენმა სიცოცხლემ, ქვეყნის საქმეს არიგებ! რას აკეთებ, რომ გიშლი? მე კი არა, შენ შემიშალე ფიქრები.

3. 6. – მოდი და ახლა ნუ გენყინება! (თავისთვის) რატომ ღმერთი არ გაწყრება, რომ ესეც საქმეს ჩემობდეს? (მეოთხეს) რაი უნივერსიტეტიდან გამოსულვარ, სულ ერთი ფიქრისაგან ვარ გატაცებული; ეს ფიქრები თანდათან გროვდებიან და მნიშვნელიან ამ ჩემს თავში და, ადრე იქნება თუ გვიან, სახუმრო ნამყოფს არ მოიტანებენ; დარწმუნებული ვარ, ეს აზრი, რომელიც დღეს მე თავში მიბრნეინავს, მეც მასახელებს და ჩემს სამშობლოსაც გააბედნიერებს: „მე მინდა, შევიტან პროექტი, რომლითაც დავამტკიცებ კასპიისა და შავი ზღვის შეერთების სარგებლობას, ამასთანაც ავხსნი საშუალობას, თუ რაგვარათ უნდა გაიჭრას თხრილი ამ ორი ზღვის შემაერთებლის. ესენი ყოლიფერი მოაზრებული მაქვს და ახლა მხოლოდ ამაზედ შევჩერდი: რომელი უფრო ადვილი იქნება, რომლიდგან დავიწყო, შავი ზღვა შევუერთო კასპის ზღვას, თუ კასპიის ზღვა შავს ზღვას? ამას კარგი მოფიქრება უნდა. აჩქარებით საქმე არ იქნება! (დაფიქრდება და დადის).

4. 6. – (თავისთვის) ხა, ხა, ხა, ხა, ხა! მოდი ახლა და ნუ გაგეცინება! რომ გამოუდგა გიოგრაფიას და მათემატიკის სწავლას, რათ არ იცოდა, რომ ასე დაემართებოდა, სულ გამოტვინდებოდა? არა, შენ, ჩემის აზრით, არაფერი საგანი არ სჯობია პოლიტიკურ იკო-

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

ნომიას! მხოლოდ პოლიტიკო-იკონოვებს ესმისთ რამე ამქვეყნათ, თორემ სხვები სულ სულელები არიან; აი, ახლა მე ამ პოლიტიკური იკონომის წყალობით ასეთმა აზრებმა გამიაღეს თავში, რომ ჩემი სამშობლო უმოწყალოთ უნდა გავამდიდრო. აი, ეს საშუალობა: ყოველმა გლეხმა საქართველოში აიყვანოს თითო დამსმელი ღორი და აშენოს; პირველ წელინადს ღორი იძედებს ორჯერ, თითო მოგებაზედ საშუალო რიცხვით მოიგებს ხუთს გოჭს, მაშასადამე, ორ გზობისათ, ესე იგი, ერთ წელინადს ათს, აქიდგან ჩანს, რომ ღორი იგებს წელინადში ათ გოჭს; მეორეს წელინადს ის გოჭებიც დასმენ ათა-ათს, ეს შეიქნება ასი გოჭი, მერე ის ასი გოჭიც თითოთო ათ-ათას იზამს – შეიქნება ათასი, ამგვარათ ჩაყვეს, ნუ დაკლავს გოჭებს, აშენოს და ექვსის წლის განმავლობაში ეყოლება ერთი მილიონი ღორი; მაშინ ადგეს და ის გოჭები გაყიდოს; თითო მანეთის მეტიც რომ არ მისცენ ღორში, მაინც თითო მილიონს შეიძენენ: ამგვარათ, ექვსის წლის განმავლობაშიდ ჩემს სამშობლოში ყოველი კაცი მილიონერი შეიქნება. ეს საქმე გათავებული მაქვს და მხოლოდ იმაზედ ვარ გაჩერებული: სად უფრო გაიყიდებიან ეს ღორები – სტანბოლში თუ იერუსალიმს? (მემოიქერს თავზედ ხელს და დაფიქრებული დადის).

1. 6. – (დაფიქრებული დაჩერებია პურის ლუკმას, რომელიც ხელში უჭირავს) „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაოთა“. თვინიერ ფილოსოფიისა ყოველივე ფუჭე არს სოფელსა ამა შინა! „მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიცი“, სთქვა ძველ დროს ფილოსოფოსმა, გამლელს მრავალთა საუკუნეთა და ახლა ძალმიძს მე თქმად: „ის ვიცი, რომ ცოტა ვიცი!“ მსგავსად ამისა ჩაშთქებიან მრავალი საუკუნენი უფსკრულსა შინა საუკუნისასა, გამოჩნთება მესამე ფილოსოფოსი და იტყვის: „ის ვიცი, რომ ბევრი ვიცი!“ მაგრამ მაშინ მე ვიქნები ჭია ანუ მცენარე რომელიმე, რადგანაც ხრნნილებანი ბარე ესე ჩემი კანონისაებრ ბუნებისა, გარდაიქნების სხვა რამე ნივთათ, მაგრამ ჯერ კი მე, თუმცა დამტკიცებით არ შემიძლიან ვსთქვა, რომ ვარ: მე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვარ მე და ამჟამად ვასრულებ დიდ საიდუმლოს! აი, ეს პურის ნატეხი! ნარმოიდგინეთ, რომ ეს მცირე ნატეხი ორი საათის განმავლობაშიდ დაიწყებს სჯას და ფიქრობას, რადგანაც ამის ნაწილები გადავლენ სისხლში და ტვინებს ასარგებლებენ.

2. 6. – ხა, ხა, ხა, ხა, ხა! აი, როგორ და რაზედ ჰყარგავენ დროს ფილოსოფოსები! არა, ამქვეყნად ყოველი ფერი სისულელეა, გარდა ისტორიისა! რომ ისტორია არა გვქონდა, ჩვენ არ გვეცოდინებოდა

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

ჩვენი წინაპრების ანბავი. კარგი ვქენი, რომ მე ისტორიკოსი გავხთი და სასარგებლოთ ჩემის სამშობლოისა ვსწერ ისტორიას, რომლითაც ვამტკიცებ სხვადასხვა ახალ გამოჩენილ წყაროებით, ჩვენის ხალხის ყოველს ხალხზედ უძველესობას; ჩვენი ხალხი არ არის ადამის ნაშიერი, ისა სცხოვრებდა ადამს წინეთ და არის ნაშიერი ჯანი ბეჟანისა.

გამოსვლა 2-რი

ისინივე და მეცუთი ნაცარქები (შამოვარდება სიხარულით დაფეხებული, ხელში უჭირავს ერთმანეთზედ მიწეპებული ორი ვირის თავი)

5. 6. – ფოხტი! ფოხტი! ანუ ლუისი! ლუისი! ვისა გაქვს, მათ-ხოვეთ!

ყ ვ ე ლ ა – (ერთად მისცვივდებიან) რა არის? რა არის?

5. 6. – როგორ თუ რა არის? ურა, ბუნებითს საგნებს! აი, დღეს რა ამოვიღე მიწიდგან: ეს გამხმარი თავები – ერთ თავათ შექმნილი! ამგვარ პირუტყვს დღეს ჩვენ ვეღარსად ვხედავთ! ეს თავი ეკუთ-ნის იმ ძველი დროის პირუტყვს, რომელიც წალვნამდი ყოფილა, და ახლა კი გადაშენებულა! მე სულ ვფიქრობდი, რომ ჩემი შრომა ამ ნამყოფს მოიტანდა და ცვლილებას მოახთენდა მეცნიერებაში! ეს არის ისეთი ფენომენი, რომ ბუნებით საგნებს სულ უკუღმა მოატრი-ალებს და დარღვევს ძველს ტეორიას. (ყველანი გაკვირვებით სინჯავენ), მათხოვეთ, მათხოვეთ, თუ ვისმეს გაქვსთ, ან ფოხტი ან ლუისი და ან დარვინი. ეგება იქიდგან გავიგო რამე! (დაიწყებს წიგნის კითხვას).

3. 6. – არა, მე გარწმუნებთ თქვენ, რომ ეგ ფენომენი ამქვეყნიური არ უნდა იყოს! ეგ იქნება ზეციდგან ჩამოვარდნილი აერეროლი-ტის მსგავსად და ამ საგანზედ უმჯობესია, მე ვიფიქრო, წავიკითხო ნიუტონი და გალილეი (გაშლის წიგნსა და კითხულობს).

4. 6. – თქვენ რაც გერჩიოსთ, ის შეიტყვეთ! მე მხოლოდ იმა-ზედ ვიფიქრებ, რომ ეგებო ეს ვირის თავი გამოვიყენო როგორმე და ხალხის გასამდიდრებელ წყაროთ გამოვაჩინო (დაფიქრდება).

1. 6. – არა, მაგას მხოლოდ ერთი ფილოსოფია მიხვდება, რომ-ლისათვისაც გასაკვირალი არა არისრა! წავიკითხავ ძველსა და ახალს ფილოსოფოსებს და ეგებო იმათგან გავიგო რამე! საკვირველი კი არა არის-რა, ვიცი! (კითხულობს).

_____ ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი _____

2. 6. – არა, არა, ტყვილა ნუ ეძებთ! მაგას ისევ ისტორია აგვიხ-სნის. თუ ბოკლს არ ექნა, შლოსერს მაინც ექნება მოხსენებული (კითხულობს).

გამოსვლა 3-ეთ

ისინივე და შუზაძე (შემოდის)

მ უ ზ ა ძ ე – ბიჭო! რას შვებიან ესენი? კაცი ხმას არ იღებს! დაბრმავებულან და დაყრუებულან! ამქვეყნის არა ესმისთ რა! ერთი წავიკითხო, რა თავზედ არის ლაპარაკი (ამოილებს და კითხულობს გაზოთს): „ამ დღეებში ერთი საკვირველება მოხთა: მიწიდგან ამო-იღეს ერთი შესანიშნავი თავი ისეთის პირუტყვის, რომელიც ახლა ქვეყანაზედ აღარ არსებობს“. ნეტაი, სად არის ეს თავი, ერთი მივენა (მიხედ-მოიხედავს და დაინახავს სტოლზედ ვირის თავს). ბიჭო, ეს ის თავებია, მე რომ გავაკეთე, აი, ასე მპარავენ ყოველიფერს! ცხა-დია, მემტერებიან! დაქცევას მიპირობენ! ამოუთხრიათ ჩემი გადა-ლოცვილი თავი და გაზეთშიდაც აცხადებენ, საკვირველი ხელობა არისო! აი, როგორ აფასებენ ჩემს ხელობას! მართალია, ნათქვამია, პოეტმა თავის ხელობის ფასი თითონ არ იცისო! მე არ მივაწეპე? რომ ასე მგონებოდა, აღარავის არ დავანებებდი. (ყვირის) ყმაწვილებო, ყმაწვილებო! ეს თავი სად გიშოვიათ? ვისია?

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ე ბ ი – ჩვენია! ჩვენ ამოვთხარეთ მიწიდგან! ჩვენ დავიმსახურეთ ეს ორი ვირის თავი და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.

მუ ზ ა ძ ე – არა, ეგ ვირის თავი ჩემია! მე გავაკეთე და მე დავ-ფალი და თუ გამოსაყენებელია, მე უნდა გამოვიყენო! (აფრინდებიან თავებს, ერთს ეს სწერს აქეთ, მეორეს ნაცარქექიება სწევენ იქით, თავები გაიშლებიან, ერთი მუზაქს შერჩება ხელში და მეორე ნაცარქექიებს). ეს რა ქენით? ჩემგან შეწებებული ორი ვირის თავი! ჩემი საკუთრება! ჩემი ხელოვნება, განა მტერობით გამიფუჭეთ!

ყ ვ ე ლ ა ნ ა ც ა რ ქ ე ქ. – (გაკვირდებიან) რას ანბობ? როგორ თუ შენი შეწებებული?

მ უ ზ ა ძ ე – დიახ, ჩემი შეწებებული! ბებერმა მასწავლა და მე გადავაბი ორი ვირის თავი და მინაში დავმარხე, გადაულოცე... თქვენ მტერობით წამიხდინეთ, მაგრამ მე ისევ მივაწეპებ ორივეს, (გააქვს ორივე თავი და გარბის).

—— ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირის თავი ——

გამოსვლა 4-ხე

მარტო ნაცარქიები

ყველა ნი ერთ ადა — ეს რა სირცხვილი დაგვემართა! ხალხში გამოვწყდით. ნეტაი, გამოცხადებული არ ყოფილიყოს!

- 1) ნაც. — არაფერია! ხუმრობა არისთქო ასე ვსთქვათ.
- 2) ნაც. — ვინ დაგვიჯერებს?
- 3) ნაც. — ყოველივე ამაოა!
- 4) ნაც. — ვინ არ დაგვიჯერებს? ჩვენს წვერებს ყოველივე დაეჯერება.

გამოსვლა 5-თა

ისინივე და დალაძი შემოიტანს ვერცხლის ფოდნოსით სამართებელს

ყველა ერთ ადა — რა გინდა?

დალა ქი — ეს-ეს არი, გიახლენ უცხო ქვეყნებიდან ახალი წვეროსნები და რადგანაც იმათი წვერები სჯობია, თქვენ ხომ არ ინებებთ, ან მაინც წვერების მოპარსვას?

დასასრული

[1868]

ତାଙ୍କିଲେନା

ଫରାମା 5-ସ ମନ୍ଦିରରେଣୁକାଳ

მოქმედი პირები:

ხერხაძე – ხელჯოხიანი	და	მაკრინეს აპეკუნი
კუდურაძე – ხერხაძის თანაშემწევე	და	შემდეგ ხელჯოხიანი
მაკრინე – გოჩუნაძის ქალი		
ელისაბედ – მწყემსი, მესალამურე		
გიორგი – მაკრინეს საქმრო		
არსენა – ავაზაკი		
კვერაძე – არსენას მკვლელი იმერელი		
იმერელი		
ოსი		
გურული		
რაჭველი		
ქართლელი		
კახელი		
და ბევრი სხვები		
სომეხი		
ქართველი თავადი		
ურია		
ქალი		
ტუსალები		
ყარაულები		
ორი სოფლელი		
მსახურები		

მოქმედება 1-ლი

სცენა 1-ლი

სცენა წარმოადგენს ერთს ბალს, რომლისაც მხოლოდ ერთი ტალავერი მოსჩანს გარკვევით. ლამეა.

გამოსვლა 1-ლი

კულტურაში შემოდის ტალავერში დაღონებული; დაფიქრდება და დიდხანს გაშტერებით რაღაცას იგონებს.

კ უ დ უ რ ა ძ ე – როგორათაც ორის მზის ერთად ამობრნყინება და ორის სულის ერთს გვამში მოთავსება შეუძლებელია, ისე მე და იმის ერთად ყოფა ალარ მოხერხდება! ან მე უნდა ვიყო და ან ის! ამას ისიც მიმხვდარია, არ იმჩნევს კი დრომდის; ჯერ უნდა, რომ მისის თვალთმაქცობით მომატყუოს, ყინვაზედ გამაცუროს, მაგრამ ვერა! ნიკაპამ დღესაც რომ ჩამოიჭმუხნოს წარბები და კოკასავით ცრემლები ღვაროს, ასე რომ მისის ცოდვით ქვებიც სკდებოდნენ, მე კი მაშინაც ვერ შემაცდენს! ვიცნობ, რა შვილიც არის, ის მთელის ხალხის მომხიბლავი... დიდი ხანია, ვატყობ, რომ ის ჩემგანაც კი ფარავს რაღაცა საიდუმლოს, მაგრამ ვერა მგონია, მოახერხოს, მისი ოსტატი ჩემი შეგირდი იყო!.. დროც ამისთანა უნდა, როგორიც დღეს მე მაქვს! ვანიშნო კი მაინცა ჩემი აქ მოსვლა. (ახველებს) გულის ძეგრით მომაშურებს ახლა! დიდს საშოგარს ელის, დაჩვეულია, მაგრამ დაუშაბავს! ყოველთვის რომ კოკა წყალს ვერ მოიტანს? (ახველებს და გაპყურებს ბალის ბოლოს) ჩუ! მობრძანდება სიჩქარით! რა ყურების პატრონია! საიდგან სად გაიგონა?

გამოსვლა 2-რი

ისიცე და ხერხაძე

კ უ დ უ რ ა ძ ე – (დაბლათ თავს დაუკრავს) გამარჯობა, ჩემო დიდო
მნათობო!

ხ ე რ ხ ა ძ ე – ომ! გაგიმარჯოს, ჩემო თანამსრბოლო! ხმამაღალი
ლაპარაკი მომესმა; ვის ემუსაიფებოლი?

კ უ დ უ რ ა ძ ე – ჩემს ერთგულს და სანდო მეგობარს: ე.ი. ისევ
ჩემს თავს.

ხ ე რ ხ ა ძ ე – რა ქენი? ისე მალე მოიარე ცოდვის ადგილი?

კ უ დ უ რ ა ძ ე – (ლიმილით) სადაც კი თქვენის ბძანებით მე
წავალ, ის ადგილი, მართლად ცოდვის ადგილიც რომ იყოს, ჭკუის
მაელნათ გარდაიქცევა.

ხ ე რ ხ ა ძ ე – (სიამოვნებით) მოიარე ჯერ თუ არა?

კ უ დ. – გახლდით!

ხ ე რ. – ასე მალე? იმ სიშორედგან ასე მსწრაფლად აქ ვინ გად-
მოგაგდო? ანგელოზმა მოგაფრინა თვისის ნეტარის ნათელმოსილის
ფრთხებით, თუ ეშმაკმა მოგაჩანჩალა მისის ცოდვილის ჭლინკებით?

კ უ დ. – (სიცილით ხელს აშვერს ხერხაძეს) მე, როგორც ელჩი ბელ-
ზებელისა, ეშმაკების ურემით მოვრინიდნი...

ხ ე რ. – ესემც კარგი დაგემართოს. ვაჟი თუ ქალი?

კ უ დ. – არც ერთი!

ხ ე რ. – (შეკრთმით) როგორ თუ არც ერთი?

კ უ დ. – საქმე მობერნდა!

ხ ე რ. – ნუ ხუმრობ!

კ უ დ. – მე თქვენთან ხუმრობით ბევრს არას გამოველი!

ხ ე რ. – (გულმოსული) მაშ მოგიბერნდეს ნაშიერი! მაგ პასუხს
ველოდი შენგან?

კ უ დ. – (მრისხანეთ) ფრთხილად, ბატონო! ფრთხილად! სიტყვები
ჩაჰყლაპეთ.

ხ ე რ. – რაო? მემუქრები? შენ უნდა ჩამაწყვეტინო ხმა? შენ!

კ უ დ. – რა ვიცი? ყოველთვის ერთი დრო არ შეხვთება კაცს;
ხანდახან, ნათქვამია, მამალიც კი დასდებს ხოლმე კვერცხს.

ხ ე რ. – შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კვერცხებიც! რას
მიქვიან შენი მუქარა, შე უღონო მხდალო, შენა!.. ერთ ფეხს დაგკრავ
და გაგსრეს!

კ უ დ. – უფრთხილდით კი, რომ იმ ჭიამ სიკვდილის წინათ არ
გიკბინოსთ და სასიკვდინო გესლი არ შემოგასხათ!

არსენა

ს ე რ. – (გაკვირებით) შენ, გეტყობა, მარცხენა ფეხზედ წამომდგარხარ! ალარა ხუმრობ! რალაც სხვა სიზმარი გინახავს?!

კ უ დ. – სახუმრო კბილები დიდი ხანია მოვიცვალე!.. დიახ, სულ სხვა სიზმარსა ვხედავ! ის დრო გამოიცვალა, რომ შენ ბატონათ ალგიარებდი!

ს ე რ. – მერე! მემართლები კი მაგას შენ, უბედურო! ვისგან ხარ გაბეჭდინერებული? ადრევ რა იყავ? აბა, ერთი მოიგონე! მელნის ფუმფლა, მეტი არაფერი! ვის არ შეეძლო შენი გასრესა? და დღეს კი ჩემის წყალობით ხალხში გამოერიე! მე რომ არ ამეყვანე ჩემთან შემწედ, რა იქნებოდი?

კ უ დ. – მაგას ტყვილათ მაყვედრებთ; შენ შემმატე ხარისხი და მეც მის ნაცვლად სიმდიდრე და ქონება და მით დიდი ხანია, გავს-ნორდით, გავპარდაპარდით.

ს ე რ. – (დაცინებით) შენ გამამდიდრე? რას ანბობ! სიზმარში ხომ არა!

კ უ დ. – არა, ცხადათ! დიახაც მე გაგამდიდრეთ! მაშინ ვინ დაპ-ფარა თავისის ხერხიანობით . . . ამდენი ბოროტმოქმედება: . . . თურმე? და ერთიც მყითხეთ: ვისთვის წავიწყმინდე სული და ვინ ვასარგებლე, თუ არ შენ?

ს ე რ. – ეჲ, იქ ხომ შენც წილი გედვა? არც შენ დარჩენილხარ ხელცარიელი, მაგრამ აქ სხვა რალაც მიზეზია! უნდა შეგვატყობინო კი ეს ამდენი ანბავი რაზედ მოაყოლე?

კ. – გულში ჩახტომა თქვენისთანა ვინ იცის? მოინდომეთ და შეიტყობთ!

ს. – ჭეშმარიტათ ვერა გამიგიარა! მხოლოდ ეს ვიცი, რომ მაგ ანბავს შენ მე არ მემართლები. აბა, თვითონ გამოტყდი, ადრევ რა იყავ და ახლა რა ხარ!

კ. – ადრევ რაც ვიყავ და ვინც ვიყავ. იმისი კი რა მოგახსენოთ და ახლა რაცა ვარ თქვენს ხელში, ეს კი ვიცი, იმას კი ვხედავ!

ს. – (გაკვირვებით) რაი?

კ. – მდიდრათ მოჭედილი იარალი გამოცდილის მამაცის ხელში!

ს. – თუ კი მდიდრათ მოჭედილი ხარ, მაშ, საყვედური ალარა გმართებს!

კ. – ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო, ნათქვამია და მეც მეშინია, ერთხელაც არის, არ იქნება, რომ მართლმსაჯულების სხივები არ მიეფინონ იმ ბნელს და ეს კი [გამოაჩენს] დაფახულს ადგილს, სადაც იმდენი ცოდვა დაგვიმარხავს და მაშინ...

ს. – რაო, მაშინ, რომ კიდეც ახდეს ეგ შენი ცრუ წინასწარმეტყველება?

კ. – ეს რომ, მაშინ თქვენისთანა მამაცი, ოღონდ თავი თავს კი უშევლოს, და იარაღის ჯავრი აღარ ექნება, მდევარს გადაუგდებს, შესწირავს.

ხ. – ვინ მეუბნები მაგას? და ვის? შენ, რომელთანაც ჭირიც და ლხინიც თანასწორ გაზიარებული გქონია? განა არ კმარიყო ჩემგან შენთვის მეგობრობის დამტკიცება...

კ. – მეგობრობა ქონების გაზიარებით არ დამტკიცდება! მე მაშინ უფრო ვერწმუნები მეგობრობას, როდესაც კაცი მის გულის პასუხ-საც შემიტყოფს და თანასწორ მიზიარებს.

ხ. – მე კი მაგის წინააღმდეგ ვირჯებოდი შენთან?

კ. – დღემდის არა, მაგრამ დღეს კი!

ხ. – (ჩაფიქრდება) ჰო! ჰო! ახლა კი მივხვდი, რაზედაც მეუბნები მაგას, შენ მატყობ, ვითომოც დიდს საიდუმლოს რამეს ვფარავდე შენგან?

კ. – დიახ, ეს თვალდათვალ სახილველია.

ხ. – მართალია, მაგრამ იცი კი, რომ არ გეტყოდი, როცა იქნებოდა!

კ. – მაგისი კი რა მოგახსენო? ჯერ კი დაფარულია და!..

ხ. – მაშ, გარწმუნებ, რომ ადრე იქნებოდა და თუ გვიან, შენც მეტყოდი; მაგრამ ჯერ კი არ მინდოდა ასრულებამდის გამხელა და ახლა, რადგანაც მანგრე მოუთმენელი ყოფილხარ, ჩემო ერთგულო მეგობარო, ბატონი ხარ! არც ახლა დაგითარავ. (ხელს მოჰკიდებს და ზეზე ნამოაყენებს) აბა, მიიხედ-მოიხედე ერთი! ეს სახლი, ეს კარი, ეს ბალი და ასი ამდენი სხვაც, რასაც კი შენი თვალი ხედავს, სულ ჩემია!

კ. – რას მიბრძანებთ? (გაშტერებით მიჩერებია).

ხ. – რათ მანგრე გაგიკვირდა? არა გჯერა? აბა, ჯერ ეს მითხარი, დღემდის ვის ეკუთვნოდა?

კ. – თავადს გორუნიძეს, ან გარდაცვალებულს, ღმერთმა საუკუ-ნოთ განუსვენოს!..

ხ. – ანგრე იყოს, ღმერთმა აცხოვნოს! საწყალი, ძალიან უწყინარი კაცი იყო! ეს ხომ გაგიგონია, თუ რანაირათ მოკვდა?

კ. – ამბობენ, ვითომოც ფიცს ეწიოს და სისხლად გახეთქილიყოს?

ხ. – (სიცილით) მართალია! ჩემთან იყო მოწვეული ჩაიზედ და გამოცალა თუ არა ერთი სტაქანი ჩაი, მაშინვე პირიდგან სისხლი წასქდა და მოკვდა; საღამომდის კიდევ ტანჯვით ეცოცხლა, ბევრი ეჯლავლა, თურმე ფიცს ისე სცოდნია: ჯერ აჯლავლებს, აჯლავლებს და მერე სულსაც ამოხდის! რას ვანბობდით? ჰო, ეხლა ვიღას ეკუთ-ვნის მისი საცხოვრებელი?

კ. – ვიღას უნდა ეკუთვნოდეს? ერთი ქალიშვილი დარჩა და იმას, მისი ქვრივიც კი წაიღებს ცოტაოდენს წილს, თორებ სხვა სულ მაკრი-ნესი იქნება! რათა მკითხავთ? აპეკუნი თქვენა ხართ და უკეთ არ იცით!

არსენა

ხ. – ვერა გცოდნია კარგათ! არც ერთის არ იქნება! სულ მე დამრჩება!

კ. – გუჯარი ხომ არა გამოგჩენიათრა?

ხ. – როგორ არა! ცოცხალი გუჯარი: მაკრინე! (იცინის) მე მინდა, მაკრინე შევირთო! ეხლა ხომ მიხვდი? ყოველს ღონისძიებას ვიხმარ და შენც უნდა, ჩემო კეთილო მეგობარო, შემწიო ჩვეულებრივ!

კ. – ესემც კარგი დაგემართოსთ, მაგრამ მერე მის დედინაცვალს რაღას უზამთ? სად გაგონილა: მაკრინე გინდათ შეირთოთ ცოლად და დედისნაცვალს კი ეაშიყებით?

ხ. – ეგ არაფერი! მაღლა კოშკები რომ მოხვიდოდე, ჯერ კიბეს უნდა მოავლო ხელები!.. ხე, ხე, ხე! ასე, ჩემო მეგობარო!

კ. – უჰ, ჭეშმარიტათ, რომ თქვენზედ უჭკუიანესი და მოხერხებული კაცი ჩვენში არ იყოს, სამართლათ გაქებენ და პატივს გცემენ.

ხ. – კარგი! ვიცით, რა შვილიც ხარ! ბევრში არც შენ ჩამომრჩები... ახლა, აბა, წადი ერთი და შენ იმ საქმეს შეუდექი, წელან რომ მეუბნებოდი! ეს მდიდარი კაცია, ხელი ჩაავლე! ოც თუმანსაც მოგცემს, ნაკლებ არ გაუშვა! . . . შეაშინე!..

კ. – ბატონი ხართ (მიდის სიჩქარით). ჩვენი საქმე ჩვენ ვიცით!

გამოსვლა 3-ით

მარტო ხერხები

ოჳ, თავმოყვარებავ! რა კმაყოფილი დარჩა, რომ ველარ გაუმაგრა ჩემმა გულმა თვისი საიდუმლო იმის ჭკუისა და ენამჭერვობის ძალას! ძალიან გულით კი უნდა, რომ დამიახლოვდეს და ჩემს გულში მასპინძელათ იყოს, მაგრამ, ჭკუის კოლოფო, ეს რატომ აღარ იცი, რომ რამდენსაც მე მიახლოვდები, იმოდენით სიკვდილი შენ გიახლოვდება. ჯერ კიდევ საჭირო ხარ ჩემთვის და მერე კი შენც უნდა გინიოს ფიცმა, უთუოთ უნდა გამოგიყენო განსვენებულის კვალს და გაგასეირნი ბეწვის გზა... (დაფიქრდება) დღეს უნდა გადაწყდეს ჩემი ბედიცა და უბედურობაც! ნუთუ უქმათ ჩამიაროს ამდენმა ცდამ? (პირზე ხელებს მიიფარებს და ჩაფიქრდება; ამ დროს ელისაბედი შავით მოსილი მოუახლოვდება).

გამოსვლა 4-ხე

ისივე და ელისაბედი

ე ლ ი ს ა ბ ე დ. – (მივა და ხელებს ამოაფარებს თვალებზედ და ხმაგამოცვლით ჰქითხავს) ვინ არის, გამოიცან!...

ხ ე რ ხ ა ძ ე – ჩემი სულის ბატკანი! ჩემი თაიგული, ჩემი მზე-თუნახავი! ჩ...

ე ლ. – კარგი! კარგი! ნუ ჰყვირი, არავინ გაგვიგონოს, შენს გაზ-დას. რათ ისე იყვავი დაფიქრებული, შენ გენაცვალოს ელისაბედ?

ხ. – (ხელზედ ჰქოცნის) სიყვარული კაპასია, ჩემო მშვენიერო; მარტათ გადაჰქმნის კაცს: ხან უმიზეზოთ აცინებს და ხან უმიზეზოთვე ატირებს.

ე ლ. – (სიცილით) ვინ გიყვარს მანგრე გიუურათ, ყმაწვილო!

ხ. – (ენა მოჩლექით) კუდიანი! ერთი მშვენიერი და გაუტანელი ქალი, ურნმუნო, უგულო და დაუნდობელი, ისე, როგორც შენ (უპირებს მოხვევას).

ე ლ. – დაიცა, შენ გაზდას. (ხელებს ჰქრავს) არავინ დაგვინახოს! სინათლეა! აგერ, სადაც არის მთვარე თავს ამოჰყობს! (წასვლას აპირებს) ამოდი ამელამ ჩვენთან.

ხ ე. – მოითმინეთ! მე მიტომ გთხოვთ აქა ჩამოსვლა, რომ საქმე მაქვს თქვენთან., დაბძანდით, მოვილაპარაკოთ, სახუმრო საქმე არ არის!

ე ლ. – (ჯდება) ბატონი ხარ, მალე კი გაათავე!

ხ. – ბატონი ბრძანდებით!.. წელან თქვენვე შემნიშნეთ, რომ ღრმა ფიქრებისაგან ვიყავი გატაცებული, იმ ფიქრების მიზეზი თქვენა ხართ; ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, ერთმანეთის ტრფიალი, თუმც ჩემთვის სანეტაროა, მაგრამ თქვენი სიყვარული კი მამხილებს მე, რომ ბოლო მოელოს ჩვენს ამგვარ კავშირს.

ე ლ. – (შეშინებით) როგორ თუ ბოლო! განა შეგძულდი?

ხ. – არა, მშვენიერო! მაშინ მე ღმერთი შემიძულებს! ჩემი მწარე სიცოცხლე მხოლოდ შენი სიყვარულით მაქვს ჩამტკბარ-ჩაშარბათე-ბული.

ე ლ. – მაშ, ეგ უცნაური ფიქრები რამ მოგაგონა?

ხ. – შენმა სიყვარულმა; დედაკაცის სიყვარულშიდ მხოლოდ გული მუშაობს, და მამაკაცის სიყვარულში კი გულს თავიც ეხმარება, ამისათვის თქვენი სიყვარული უმფრო ბრმა არის და ჩვენი კი წინდახედული.

ე ლ. – ნუ მაშფოთებ, ყმაწვილო! გამორკვევით მითხარი, რას ნიშნავენ ეს სიტყვები, რომელიც გულმოსაწამლავათ მიწივიან ყურე-

არსენა

ბში, მაგრამ აზრს მაინც ვერ მივმხვდარვარ ჩემით. ვის ეჭირვება ამ შემთხვევაში მოფრთხილება, მე თუ შენ?

ს. – შენი სიყვარული თავმოყვარეა! მე მსურს, რომ შენი პატი-ოსნება მხოლოდ ჩემი სიყვარულის ბუდით იყოს დაფარული და შენ-ზედ, ჩემი მშვენიერო, ეჭვის ვერავინ ბედავდეს!..

ე. ლ. – განა შენ კი შეგიძლია ჩემზედ ეჭვი შემოიტანო რამე? განა საკმაოთ ვერ დაგიმტკიცე სიყვარული? არა თუ შენგან, ჩემი აღტა-ცებითი სიყვარული შენდამი, ვგონებ, გარეშებისაგანაც აღარა იყოს დაფარული.

ს. – ჰოდა, კიდეც ეგ არის ჩვენი უბედურების მიზეზი, მაგან უნდა მოშალოს ჩვენი კავშირი! იცი, რას ანბობს ჩვენზედ ხალხი და რა თვალით გვიყურებენ ორივეს?

ე. ლ. – ეჲ, მეტი არაფერი? ძალიან მცირე მიზეზისათვის მიგიქცევია ყურადღება! ეგ ხმა შენთვის ქებაც არის, ჩემო საყვარელო, რადგან კაცი ხარ, და მე კი... ჩემთვის სულერთია იმ დღიდგან, რა რომ პირველათ მე და შენ ერთმანეთს შევფიცეთ სიყვარულზედ, აი, აქა, ამ ბაღში, ყოვე-ლივე შევუწონე შენს სიყვარულს, ყოველივე შევსწირე შენს სიყვარულს! თვიზიერ შენი სიყვარულისა, ჩალად მიღირს ჩემი სიცოცხლე! მხოლოდ შენც კი გიყვარდე და ხალხთან მე რა საქმე მაქს?

ს. – (ხელზედ ჰკოცნის) კიდეც ეს არის... კიდეც მიტომ მიფრთხილ-დები, ჩემო მზეთუნახაო, რომ ვიცი, ანგრე გიყვარვარ, მაგრამ შენ რომ ფიქრობ, მარტო იმას არ აღიარებს ხალხი.

ე. ლ. – მაშ, მაგაზე მეტი რაღა შეუძლია, რომ კიდევ სთქვას?

ს. – (საიდუმლოთ დაბალის ხმით ეჩურჩულება) იცი, რას ანბობენ კიდევ? ვითომც დიდი ხანიდგან გვქონდეს ჩვენ ეს წინა განძრახვები და შენი ქმრისათვის შენ მოგესწრაფებიოს სიკვდილი...

ე. ლ. – (შეშინებით) უიმე, რას ანბობ! ეგ ვინ იფიქრა, იმ ღვთისაგან შეჩვენებულმა? ვინ გაბედა მაგის თქმა?

ს. ე. რ. – ხალხმა! და, ვაითუ, ამ უგუნურმა ქორებმა გვაზიანოს! ერთი გამოიგონებს, ათასი დაიჯერებს და მაშინ თავს აღარსად გამოგვაყოფინებენ. თითოთ საჩვენებელი გავხდებით, თუ ღონისძიება არაფერი ვიხმარეთ და ხალხს არ ჩავაწყვეტით ხმა...

ე. ლ. – მაშ, მეტი გზა აღარ არის, რა გაენყობა, ნუღარ მოუცდით წლის თავს, დავაჩქაროთ ჩვენი ქორნილი, მალე დავიწეროთ ჯვარი და ამითი უფრო შევარცხვენთ ხალხს და პირს დაგაყოფინებთ.

ს. – რას ანბობ! მაშინ უფრო არ დარჩმუნდება ხალხი? ამას არ იტყვის, რომ ადრევე ნდომებიათ ცოლ-ქრმობაო, პირობა შეუკრავთ და მისთვის მოუწამლავს ის კაციო? ეგ თავის გამართლება კი არ იქნება, თავის გამტყუნება არის!..

ე ლ. – მაშ, რა ვქნათ? ყოველიფერი ღონისძიება მოვისხლეტია?

ხ. – თითქმის! კიდევ დარჩა ერთი საშუალობა, იმის მეტი ღონე არა გვაქვს; ეს საშუალობა, თუმც ნახევარი წლის სიცოცხლეს გვართმევს და ნახევარსაც გვიმზარებს, მაგრამ რა გაეწყობა! შენს სიყვარულს მეც უნდა მსხვერპლი შევსწირო, შენთვის ტანჯვა ჩემი გულის სიხარულია.

ე ლ. – თქვი, გენაცვალე, რა არის მაგისთანა საშუალობა?

ხ ე რ. – რაი და ქორწილი! უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმარო და მაკრინე შევირთო.

ე ლ. – (ნამოდგება ზეზე გაგიჟებული, ხელს მოავლებს) რაო? რაო? რა სთქვი ეგ, შენ მოღალატე, შენ გაუტანელო? ფიცს რას უშვრები? გინდა, ფიცი გასტეხო და მერე კი სხვა შეირთო? მაშ, სიცოცხლე მოგყირჭებია: ჩემის ხელით გამოგპოტნი ყელს და ჩემი კბილებით დაგკლავ, თუ სხვა ვეღარ მოვახერხერა...

ხ. – ელისაბედ! ელისაბედ! დამშვიდი! განა არ იცი, თუ შენ თვითონ ამიხსნი ფიცს, მე გატეხა არ შემიძლია! აკი ვანბობდი, ქალის სიყვარული ბრმა არისმეტქი! ეს საშუალობა მე შენმა სიყვარულმა მომაგონებია და შენ საყვედურს მეგართლები?

ე ლ. – (ძალადატანებით იცინის) ხა! ხა! ხა! ჩემმა სიყვარულმა შეგაყვარა სხვა? კარგი თავის მართლება არის! სად გაგონილა, რომ სხვის სიყვარულს კაცი ძველ საყვარელს ამადლიდეს შენსავით? მადლობას მოგახსენებ, რომ ჩემს სიყვარულს მაკრინეს შეყვარებით მიმტკიცებ!

ხ. – ეგ ვინ მოგახსენათ, რომ მე მაკრინე მიყვარს?

ე ლ. – მაშ, ცოლათ არ გინდა, შეირთო?

ხ. – ეგ სხვა არის! მიტომ კი არ მინდა, შევირთო, რომ ის მიყვარს, მაგრამ მიტომ, რომ შენ მიყვარხარ.

ე ლ. – ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, ეს არის.

ხ. – აკი ვანბობდი, რომ დედაკაცის სიყვარული ბრმა არისთქო. აჩქარებული რომ არ იყო და კარგათ გეფიქრა ეს საქმე, მაშინ, ბარე, აღარ მისაყვედურებდი. არა, როგორ არა გრცხვენია, რომ ჩემზედ მაგისთანა ეჭვები შამოგაქვს? აი, რა აზრით მინდა მაკრინე შევირთო: ერთი, რომ ხალხი იფიქრებს, რომ მე ის მყვარებია და შენ მირიგებდი საცოლლოთ და ამითი ჩვენზედ ეჭვს დაჰკარგავდა და მეორეთ – ესეცა მქონდა სახეში, დღეს თუ ხვალ მაკრინე გათხოვდება და მე, ვითარცა აპეკუნს, და შენ, ვითარცა დედინაცვალს, კარში გაგვაგდებს.

ე ლ. – მაგას ვერ გაბედავს! ნებას არ მივსცემთ!

ხ. – კარგი შენ, თუ ჩვენ გვითხრეს, მაგრამ ჩვენ ვინდა გვეითხავს! კანონი ნებას მისცემს და, შენმა სიყვარულმა, მგონია, ვერ შეა-

არსენა

ჩეროს ამ საქმისაგან, დიდათ არ ეპიტნავები შენს გერს! ეს სიმ-დიდრე, ყოფა-ცხოვრება დაგეკარგება და შეიქნები ლარიბი; მაშინ ყველა დაგცინებს!

ე ლ. – (გაანჩხლებული) ეგ მართალია! ოხ, ღმერთო, რა დღე მომე-ლის! იმ უნამუსომ უნდა საცინლათ ამიგდოს!

ს. – უთუოთ, მაშ, მეც მაგასა ვფიქრობდი, და რომ მე შემერთო, მაშინ ეს სახლ-კარობა შენ გექნებოდა, რადგანაც შენ ხარ და შენვე იქნებოდი ჩემის გულის მეფა: ის იქნებოდა ცოლი და შენ კი საყვა-რელი.

ე ლ. – (დაფიქრდება) კარგი, ახლა არ გიყვარს, მაგრამ რომ მერე შეგიყვარდეს?

ს. – მიკვირს, მაგას როგორ ფიქრობ ჩემზედ? მომიტანე ხატი და განგიმეორებ ფიცს.

ე ლ. – (დამშვიდებით) არა, არა, მჯერა, მჯერა შენი სიყვარული! მაგრამ იმ ქალს რომ საქმრო ჰყაუს?

ს. – ეგ არაფერია, შენ თუ მოინდომებ, მოვახერხებთ! ელოდე, შენი ბედი მაგითი გადაწყდება.

ე. – კარგი, მოვიფიქროთ და მოვილაპარაკოთ! წავიდეთ აქედამ. აი, მთვარეც ამოდის. (მიდიან. მთვარე ამოდის თანდათან. ბულბული სტვენს. გამოჩნდება მთელი ბალი და სახლი თავისის აივანით).

გამოსვლა გვ-5

მაპრინე ზის აივანზედ დაფიქრებული და ოცნებობს

მ ა კ რ ი ნ ე – ვიშ, მშვენიერო ბუნებავ! რა ნეტარი ლამეა! ა჊ა, ალმო-ბრწყინდა გავსილი მთვარე, ლამის ნათობი და უხვათ ჰეჭებს სხივებს ამ მშვენიერს არემარეს! შეხედეთ, რა თავმონონებით დედოფლუ-ლად ნაზად მოსცურავს მოწმენდილ, ლაუვარდოვან ცაზედ! ურიცხვი ვარსკლავები, ნახეთ, როგორ ცელექობენ, როგორ ნავარდობენ უმფროსის ნათობის წინ! ქვეყნითაც ათასგვარი ყვავილები სუნელე-ბას უკმერენ და წყნარი ნიავიცა აბნევს ამ სუნელებას დედის მინის ზურგზედ, რომ განფანტოს მავნებელი და უსიამოვნო სუნელება! ბულბულიცა ჩვეულებრივათ შეპყეფს, უგალიბს ტკბილს ბუნებას აღტაცებით. (დაფიქრდება, ამ დროს მოისმის სალამურის ხმა) ვიშ! ვიშ! საყვარელო! ნოშრევან მწყესმაც ააკვნესა თავისი მაცდური სალამ-ური; ოჸ, რა თანხმობა არის, ღმერთო, შენს ქმნილებაებში: მთვარე, ვარსკლავები, ცხოველი და მცენარე ერთბაშად მოილენენ ამ წყნარ

ღამეში და მით გადიდებენ, შემოქმედო! (დაფიქრდება) რა უმადურია, ლმერთო, შენი შექმნილი კაცი! შენ გაგიჩნია ეს ამქვეყნად საბედნიეროთ, მიგიცია ყოველიფერი საკმავოდ, მაგრამ ის უმადური, ხარბი, გაუმაძლარი არა ჰჯერდება ამ შენს წყალიბას; ის თავისთავათ ეძებს კიდევ მეტს ამ ძებნაში და რამოლენს უბედურებას შეემთხვევა თავის უგნურებით; ძებნაშიდვე დალევს თავის წუთის სოფელს და ბოლოს, როთ გაძლება? ერთი მუჭა შავი მინით. (დაფიქრდება) რატომ ჩემ-სავით ბედნიერი არ არის ამ წამს სუყოველი კაცი? რამდენი დედა თმაგანენილი ზის თავის საყვარელ შვილზედ, რამდენი ცოლი პირს იხოვას თავის ქმარზედ, დები ძმებსა იგლოვენ, შვილები მამებს და საყვარლები საყვარლების დაკარგვით გულდაბნელებული სხე-დან ამ ომიანობის შემდეგ! მე კი უვნებლად მომივა ჩემი გიორგი გამარჯვებული; არა ვლირსვარ შენგან, ლმერთო, ამდენ წყალო-ბას! თვალები ცრემლებით მევსებიან, მაგრამ ეს ცრემლები არიან ნიშანი ნეტარებისა, ნაშობი რაღაც უცნაურის უკვდავი გრძნობის! ოხ, გადმოსცვინდით ჩემი თვალითგან სასუფლეველის წვეთებო! ოჳ, რა ბედნიერი ვარ: მინდა, რომ მთელი ქვეყანა სიყვარულით მივიკრა ამ ჩემს გულშიდ, ანდა არა! არა! უმჯობესი იქნება, რომ მე ჩაუდვა ვისმე თავი კალთაშიდ და ნეტარების ცრემლები ვლვარო, მაგრამ ვინა მყავს მე ობოლს?

გამოსვლა გვ-6

ისივე და ელისაბედ, რომელიც იქ იდგა ჩუმათ შემოსული და
უკანასკნელი სიტყვა ესმოდა

ე ლ. – მე (მოეხვევა) დაგავიწყდი, შვილო, შენი ერთგული დედა, შენი ელისაბედი?

მ ა კ. – (შექრთება) ოჳ, შენა ხარ, დედაო? გული გადამიტრიალდა.

ე ლ. – რამ შეგაშინა, შვილო, გენაცვალოს დედაშენი? აბა, ვინ გაგიბედავდა ჩემს მეტი სხვა მოხვევას!

მ ა კ. – დიდი ხანია, აქა ბრძანდებით? განა ჩემი სიტყვები ყველა გაიგონეთ?

ე ლ. – კი, შვილო, გენაცვალოს ელისაბედ, მაგრამ რათა სწითლ-დები? ეგ გრძნობა სირცხვილი არ არი, შვილო! (ჯდება) მეც რომ შენი ხენის ვიყავი, მეც მანგრე ვგრძნობდი, მეც მანგრე ვიყავი გატაცე-ბული ოცნებაებითა, მაგრამ დღეს კი ყოველიფერი დამამწარა ჩემმა

უბედურებამ, (ვითომიც ტირის, პირზედ ხელებს მიიფარებს) შენს მეტი ნუგეში აღარა დამჩენია, შვილო, მაგრამ შენთვისაც ვეღარ შემო-მიჩივლია ჩემი ნაღველი; ღმერთი არის მოწამე, რომ დედას ჩემზე უფრო არ ეყვარებოდი, მაგრამ შენ კი მერიდები და სხვა დედინაცვა-ლებივით მიგაჩნივარ...

მ ა კ. – (გულზედ ჰქოცნის) ღმერთია გულთამხილველი, რომ... ჩუ, ვიღაც მოადგა კარებზედ.

გამოსვლა მე-7

ისივე და გიორგის პიში შამოდის, თავს უკრავს ორივეს

მ ა კ. – (უცბად მივარდება ბიჭს) ოჳ, გიორგის მსახური! გიორგი რასა იქს?

ბ ი ჭ ი ი – (ყოყმობს) რა მოგახსენო, შენი ჭირიმე! კარგათ გახლავს, შენი ჭირიმე! დიახ, ჩემო ბატონო (ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს).

მ ა კ. – უი, ჩემს სიცოცხლეს! რათ ასე იბნევა ეს ბიჭი? (ზეზე წამოვარდება და მივარდება ბიჭს) თქვი, კაცო, ხომ ცოცხალი არის?

ბ ი ჭ. – კი, შენი ჭირიმე, მაგრამ...

მ ა კ. – რაო მაგრამ? სთქვი მალე! სთქვი, ავათ არის?

ბ ი ჭ. – მშვიდობით გახლავსთ, შენი ჭირიმე, მაგრამ, მაგრამ... წიგნი გახლავსთ აგერ ქალბატონთან და იქიდგან გაიგებთ ყოველიფერს, შენი ჭირიმე, (ამოილებს ბარათს და მიართმევს ელისაბედს).

მ ა კ. – ღმერთი ჩემო! გული მიკანკალებს! დედა, გახსენი ჩქარა!

ე ლ. – (გახსნის და კითხულობს ჩუმათ და ვითომ აღშფოთებული) არაფერი! ჩემთან არის! არაფერი!

მ ა კ რ ი ნ ე – ღმერთო! შენც აგაშფოთა, მითხარი, რა არის?

ე ლ. – არაფერი! არაფერი ჩემთვის უთხოვია! არა, არა, ჩემთვის არ უთხოვია! არაფერი! მე მწერს... ვერ გეტყვი.

მ ა კ. – (გამოგლეჯს ბარათს ხელიდგან) მაშ, მევე წავიკითხავ, თუ შენ არ მეტყვი (კითხულობს ჩუმათ).

ე ლ. – ოჳ, შე უბედურო! ძალიან კარგ სასიმოვნო რამეს წაიკითხავ.

მ ა კ. – უი, მაკრინეს სიცოცხლეს და მოსწრებას! (დაჯდება სკამზედ, პირზედ ხელებს მიიფარებს და თავს დადებს ხარისაზედ).

ე ლ. – ნუ შენუხდები, მაკრინე! ეგ არ იქნება! აქ უთუოთ სხვა ანბავია! უნდა შავიტყოთ ახლავე! აქ წამოდი, ბიჭო! (ლიმილით მიდის და ბიჭიც თან მიყვება შენუხებული).

გამოსვლა მე-8

მარტინ მარტო

მ ა კ. – (თავს აიღებს მაღლა) ეს რა უბედურება მომადგა? აი, სულ ასე არიან კაცები: შეგვიტყუებენ, შეგვაყვარებენ თავს და მერე მოულოდნელათ გვიღალატებენ, გულს მოგვსწყვეტენ და გვტანჯვენ და საქებათაც მიაჩინიათ... ეგება, მართლა დაათვრეს, თორემ გიორგი როგორ მიღალატებდა? (ხელახლა კითხულობს წიგნს) „მოწყალეო ხელმწიფავ, ბატონო ელისაბედ! მომავალს პახოდიდგან, მე შემემთხვა უბედურება, რომელმაც სიკვდილამდე მომინამლა სიცოცხლე: ერთ ჩემ ამხანაგისას გამოვიარე, სადაც დამათვრეს და გრძნობადა-კარგულს დამზერეს ჯვარი მის დაზედ. რა გაეწყობა! ასე ყოფილა ლვთის ნება და მეც უნდა დავემორჩილო მის ნებას! ან გთხოვთ ეს ჩემი უბედურობის ანბავი სიფრთხილით გაუმცხადოთ მაკრინეს, ღმერთმა აპედნიეროს სხვა ქმართან! ჩემის დაუხედველობით მე გავიმწარე ჩემი სიცოცხლე, თორემ ეგ მაღლე დამივიწყებს უბედურს!“

დახეთ, რას ანბობს, ის უგულო, ის დამივიწყებსო, სხვა ქმართან იქნება ბეჭნიერიო? არა, ის მუხთალი არა გრძნობს, რომ ის სხვა ქმარი იქნება მხოლოდ სიკვდილი! (ტირის) ოპ, რა საძაგელია ქვეყანა! არაფერი კეთილი არ არისრა ამ ქვეყანაზედ, ყოველიფერი მუხთალია! დაბნელდი მთვარე და ვარსკვლავებო! განა ჩემი მწუხარების ნახვა გიხარიათ და მიტომ ანათებთ? ჩაიწყვიტე, ბულბულო, ეგ საძაგელი ხმა! განა პირობა შეგიკრავსთ და მე დამცინით? (ტირის, ხელებს პირზე მიიფარებს, ამ დროს ჩუმათ შემოიპარება გიორგის ბიჭი და დაიჩოქებს მაკრინეს წინ).

გამოსვლა მე-9

ისივე და გიორგის პიჭი

ბ ი ჭ ი – მაპატივეთ, ღმერთი გაპატივებსთ!

მ ა კ. – რა გინდა? განა შენც გინდა დამცინო?

ბ. – არა, შენი ჭირიმე, მაპატივეთ, ღმერთი გადლეგრძელებსთ! ჩემი დასადგომი თვალები მოიყიდეს, თორემ გული ვერა...

მ ა კ. – რას ანბობ, მითხარი, გამაგებინე! როგორ, მოგიყიდეს? ვინ მოგიყიდა?

ბ. – თქვენმა დედინაცვალმა, შენი ჭირიმე! ეგ წიგნი გიორგის არ გახლავსთ, გამოცვლილია, თქვენი დედინაცვალიდგან: მეც დამარიგეს და თქვენც მოტყუებას გიპირებენ.

მ ა კ. – როგორ თუ მოტყუებას! მართლა ანბობ? მაშ, გიორგის ცოლი არ შეურთავს?

ბ. – არა, შენი ჭირიმე, თქვენს მეტს ვის შეირთავს? თავი დაგიკრათ; შვიდობით მოვიარეთ ვახოდი.

მ ა კ. – მაშ, ჩემ დედინაცვალს რა აზრი აქვს, რომ მატყუებს?

ბ. – რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! თქვენი აპეკუნიც იქ გახლდათ, წიგნი რომ მომცეს.

მ ა კ. – აქ უთუოდ რაღაც ანბავი უნდა იყოს; უთუოთ უნდა შევიტყო: გასწი, უთხარი გიორგის, რაც დრო უნდა იყოს, მაინც მოვიდეს, მომეშველოს, მე კი ვეცდები შევიტყო, თუ რა ანბავია (მიდიან ორვე).

სცენა მე-2

მდიდრულად მორთული პატარა ოთახი

გამოსვლა 1-ლი

მაპრინე შეწუხებულია და ელისაბედ ანუგეშებს

მ ა კ. – ოჟ, ღმერთო ჩემო! მწუხარებას გავუძლო თუ სირცე-ვილს? რომელ ერთს..

ე ლ. – კარგია, შვილო, ნუ იყლავ თავს! სჩანს მანგრე ყოფილა დავთის ნება... მე უფრო სირცებილი მანუხებს, თორემ ის სახ-სენებელიც ალარ არის!.. კაცები სულ მანგრე არიან... მე ადრევე ვგრძნობდი, რომ შენ იმას არ უყვარდი; მხოლოდ უნდოდა, რომ შეეცდინე როგორმე, გაეუპატიურებინე და მერე განზედ გაეგდე. კაცები სულ ასე არიან დაუნდობლები და გაუტანლები...

მ ა კ. – არა, დედა, ცილს ნუ ვსწამებთ!.. გიორგი მაგგვარი არ არის, არა მგონია, ჩემ გარდა იმას სხვაც ვინმე ჰყვარებოდეს!

ე ლ. – უი, ქა.. რას ანბობ? მას ჰყვარებია კი არა, მიწერ-მოწ-ერაც ადრიდგანვე ჰქონებიათ, დედაშვილობამ...

მ ა კ. – თქვენ რითო იცით? ვინ მოგახსენათ ეგ ანბები?

ე ლ. – მთელმა ქვეყანამ იცის, შვილო! საიდუმლო ალარ არის, მაგრამ მე კი დღემდის არა მჯეროდა. და ახლა ეს ბიჭი საიდუმლოთ გავიხმე და ვკითხე!.. იმანაც დაწვრილებით მიანბო. არც მთვრალი

თურმე ყოფილა და არც ნაღვინევი... დიდის ხნით ჰქონოდა განძ-რახვა, სიტყვა მიეცა და შენ კი თურმე საცინლათ გიგდებდა, გაპრი-ყვებდა და ჩვენ რას მიუხვდებოდით.

მ ა კ. – მაშ, გიორგი ცუდი კაცი ყოფილა?

ე ლ. – კი, შვილო! კი, დედაშვილობამ. ის შენი ლირსი არ იყოს! მე მხოლოდ სირცხვილი მწვავს, თორემ იმის დაკარგვას არაფრათა ვსწუხვარ! სასიხარულოც არის!..

მ ა კ. – მეც ეგ არ მკლავს, დედა!.. სირცხვილით თავს ვეღარსად გამოვყოფ! ქვეყანაში გავიკიცხები!..

ე ლ. – ეგა სთქვი, შვილო!.. ვინ იცის, ის მუხთალი რამდენს დაგ-ცინის ახლა! სულ თითო კაკლათ მოუყვებოდა თავის ცოლს, რაც რომ კი შენ და იმას საიდუმლოთ გილაპარაკნიათ!.. ათ იმდენსაც ტყუილებს დაუმატებდა და მითი აცინებდა და ახარხარებდა შენ-ზედ მის ცოლს! ოხ, რა განცხრომაში იქნებოდა! დედაკაცის ბუნებას ცოტა გაახარებს. სუსტია!..

მ ა კ. – (ცდილობს, რომ თავი შეწუხებული უჩვენოს) კარგია! კარგი! ნუდა მიწყლავ გულს! შენ მაინც შემიბრალე, ნუდა მარცხვენ, დედავ!

ე ლ. – (უფრო შებრალებით) რა ვქნა, შვილო! მართალს გეუბნები. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ უფრო ძნელი ის არის, რომ ხალხში თავი მოგეჭრება, თითოთ დაგიწყებუნ ჩვენებას! შენი ტოლი ყმაწვილეალები თვალს აგარიდებენ, შვილო, საქმროსაგან დატოებულიაო და ამას კი არ იკითხავენ, თუ რათაო? მარტო კუდს გამოაბმენ და იქორვენ... საუკუნოდ მოგჭრიან თავს, ასე, რომ სხვა ვეღარავინ გაბედავს შენს შერთვას (მაკრინე ხელებს მიიფარებს და ქვითქვინებს) კარგია, შვილო, გულს ნუ გამიხეთქ! ტირილი და მწუხარება რაღას გვარგებს? სხვებ როგორმე შეუდგეთ საქმეს.

მ ა კ. – მაშ, მირჩიეთ, დედავ, და მე ყოლიფერზედ თანახმა ვარ!

ე ლ. – სანამ ეს ხმა სახალხო შეიქმნებოდეს, შენვე დაასწარი და შეირთე სხვა ქმარი!

მა კ. – კარგი, მაგრამ ასე მალე ვინ მოვძებნო და ვინ შევირთო? და ან ვინდა შემირთავს?

ე ლ. – უი, ქა, გენაცვალოს ელისაბედ, რათ მანგრე იმცირებ შენს თავს? თუ შენისთანა ქალები გაუთხოვარი რჩებოდენ, მაშ სულ ვეღარავინ გათხოვილა ქვეყანაზედ?! ვის შეუძლია შენი დაწუნება, ოლონდ შენ კი დამეთანხმე და მე, გიორგის და მისის ცოლის უინ-აზედ, მათდა გულგასახეთქელად, იმისთანა ქმარს გიშოვი, რომ სამაგალითო და სახარბო იყოს, შვილო!

მ ა კ. – მე მინახავს ის კაცი?

არსენა

ე ლ. – გინახავს და იმასაც გაგიუებით უყვარხარ! არ ემგვანება იმისი სიყვარული გიორგის სიყვარულს!..

მ ა კ. – ვიცოდე მაინც, ნეტათ, ვინ უნდა იყოს ეგა?.. (ამ სიტყვებზედ კარები გაიღება, უეცრად შემოიჭრება ხერხაძე და დაუჩინქებს მაკრინეს).

გამოსვლა 2-რი

ისინივე და ცერხაძე

ს ე რ. – მე, ჩემო სიცოცხლევ!.. დღემდის ვითმინე და ჩემს გულში საიდუმლოდ მოვჰკალი შენი სიყვარული, მაგრამ, დღეს რადგანაც ზეცას ჩემთვის მოუციხარ და განგებას შეუშლია შენი და გიორგის კავშირი, მე უშენოთ გზა ალარა მაქვს: ან მომკალი და ან მაცოცხლე!..

მ ა კ. – (წამოდგება ზეზედ მრისანედ) სტყუ! განგება არ ერევა თქვენს უპატიოსნობაში. (მოუბრუნდება ელისაბედს) ახლა კი მივხვდი, რათ მატყუებლი, მაგრამ მე შენ გამოგააშკარავებ, კუდიანო, თავს მოგქრი ხალხში! ალარ დაგზოგავ!

ე ლ. – უი, შენს ელისაბედს, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! მიშველეთ! უნდა ახლავე თავი დავილრჩი! წყალში გადავარდე! (გავარდება კარში და გადაკეტავს გარედგან კარებს).

გამოსვლა 3-ით

ისივე, გარდა ელისაბედისა

ს. – რა ჰქენით ეგა! ხომ მოკალით დედათქვენი!..

მ ა კ. – სად არის დედა? დედაჩემი საიქიოს არის ეხლა! დღეს ჭეშმარიტათ მისმა ლოცვამ გამომიხსნა თქვენი ხელისაგან. ეგ არ არის დედაჩემი! ეგ არის ერთი მეძავი დედაკაცთაგანი, რომელმაც ჯერ თავის პატიოსნება გაჲყიდა და მერე ჩემი პატიოსნების შეხებაც სურდა! ღმერთმა და დედიჩემის ლოცვამ გამომიხსნა თქვენი ხელიდამ.

ს. – ჯერ ადრე ანბობთ მაგ სიტყვებსა: არ იცით, რომ ჩემ ხელშიდა ხართ და მე, ვითარცა აპეკუნი, ნებას არ მოგცემთ დედი- თქვენის შეურაცხყოფას და მანგრე გაუპატიურებისა.

მ ა კ. – მაგასაც ვნახავთ, მაგრამ ჯერ კი გაბრძანდით აქედგან! დამანებეთ თავი! გაბრძანდით.

ხ. – (დაცინებით) გიახლებოდით, მაგრამ კარი გახლავს გადაკეტილი გარედგან.

მ ა კ. – როგორ თუ გადაკეტილი! (დაფეთებული მივარდება კარებს და დაუწყებს რახუნს ყვირილით) ბიჭო! გოგო! ქრისტიანო! არავინ ხართ? მიშველეთ, გამიღეთ კარი!

ხ. – (დაცინებით) ქალბატონო, ტყვილა ნუ ჩაიწყვეტ მაგ მშვენიერ ბულბულის ხმას ყვირილით! მაგ ლამაზ ხელებზედ ბებერს ნუ დაიჯენთ მეტის ცემით! ვერავინ გაგვიგონებს: ზოგი იქით არიან გაგზავნილი და ზოგი აქეთ. ერთი სულიც ალარ დარჩენილა შინ და თქვენი დედინაცვალი თქვენვე გააგდეთ კარში; და მაინც რა გაშფოთებსთ? რისა გეშინიათ ჩემთან?.. აპეკუნის გაგდება ვის გაუგონია? მხეცი ხომ არა ხართ? განათლებული ქალი ბრძანდებით.

მ ა კ. – მაშ, რა გნებავსთ, მიბრძანეთ?

ხ. – ცუდი არაფერი! მობრძანდით, დაბრძანდით აგერ ჩემთან დივანზედ! დამშვიდდით და მოგახსენებთ. (მაკრინე შორიახლოს ჯდება კანკალით. ცოტა სიჩუმის შემდეგ) ან უნდა მოკვდე და ან უნდა ცოლათ შეგირთოთ, ამ ორში ერთი უნდა ვჰქნა! კარგათ მოიფიქრე, ნუღარ კაპასობ! ხომ იცი, რომ შენი თავი ახლა ჩემ ხელშია. მიყვარხარ გაგიჟებით და, არ იცით, რომ სიყვარული კაცს გრძნობას უკარგავს და ბევრს ცუდს საქმეს ჩაადენინებს? მხოლოდ შენ კი დამეთანხმე და შენზედ უბედნიერესი ქალი ალარ იქნება; გიორგი ჩემსავით შენ ვერ შეგიყვარებს! რას იტყვი?

მ ა კ. – არ მიყვარხარ!

ხ. – მე სიყვარულს არ გკითხავ და არცა გთხოვ! ჯერ კი დამეთანხმე ცოლობაზედ და სიყვარულით... მერე მე ვეცდები, შეგაყვარო თავი.

მ ა კ. – არ შემიძლია, ვერ შეგირთავ!

ხ. – (მრისხანეთ) ნუ დაივინებ, რომ ჩემ ხელშიდა ხარ! იქ თხოვნა შეისმინე, სადაც მე ძალაც შემიძლია ვიხმარო.

მ ა კ. – არ შემიძლია, მომკალი, მზათა ვარ!

ხ ე რ. – (ბოროტულის დაცინებით) არა, ჩემო სიცოცხლევ, შენისთანა მშვენიერებს ვინ გამოიმეტებს სასიკვდილოდ? უნინამც კი დამიმოკლდეს სიცოცხლე! (მოეხვევა და სურს კოცნა, ქალი კივილით გამოუძრება ხელიდან, გაიქცევა და ხან ფენჯერს მივარდება და ხან კარებს: ხერხაძე დასდევეს დასაჭერად) ტყვილად გარბიხარ! ჩემის ხელიდგან ვერსად წახვალ!

მ ა კ. – (ვითომც დამშვიდდება) მაშ, კარგი, ახლა მეც ვატყობ, რომ ღმერთს გამოუმეტებივარ და ბედსაც შენთვის უნდებვარ! რაღა გაეწყობა! თანახმა ვარ შენის ცოლობის!..

არსენა

ს. – ოჰ, შენი ჭირიმე! (სიხარულით) ადრევე გეთქვა ანგრე, ან შენ რაღათ იწუხებდი თავს და ან მე რათ მაჯავრებდი?.. მაშ, ახლა დამტკიცებაც მომეცი მაგ შენი სიტყვების: დაიჩოქე და შემომზიცე ამ ხატზედ, რომ მერე აღარ მიღალატო, აღარ გადათქვა!

მ ა კ. – (შეშინებით) მაგის ფიცი არ შემიძლია!..

ს ე რ. – თურმე მატყუებდა?! შენი მოსატყუარიცა ვარ?! მაშ, რადგანაც ფიცი აღარ გინდა სხვაგვარად დაგამტკიცებიებ შენს სიტყვას ჩემს ცოლობაზედ! (წავლებს ხელს, მაკრინე კიდევ დაძვრება ხელებიდაგან და თავგადაგლევილი, თმაგაშლილი დაუჩინქებს).

მ ა კ. – თუ ნამუსი გაქვს, პატივი ეცი შენს კაცობას! შეიბრალე ჩემი ქალიშვილობა! მოიგონე დედაშენი! გამოისახე, რომ შენ მამა ხარ ჩემი და მე შენი შვილი! და გამიშვი! ნუ მტანჯავ! რაც გინდა, შემოგვიცავ!

ს ე რ. – ახლა აღარც ფიცი მჯერა შენი! სხვაგვარად დამიმტკიცე და მაშინ უფრო დაჯერებული ვიქწები.

მ ა კ. – მაშ, კარგი. (გაიცევა დიჩოქებს ხატის წინ და ლოცულობს).

ს. – კარგი, ან გაათავე ეგ ლოცვა! მეშინია, ვინიცობაა, ლმერთმა არ მოგივლინოს მიხაილ მთავარანგელოზი და არ გამოგიხსნას ჩემი ხელიდგან.

მ ა კ. – (წამოდგება დაშვიდებული და მიგა ხერხაძესთან) კარგი, თანახმა ვარ! იყავ ნება უფლისა! მაგრამ ცოდვა კი შენი იყოს!

ს. – ანგრე იყოს! ცოდვაც ჩემი იყოს და სატკიცარიც!

მ ა კ. – ხომ იცი, რომ იმ ... ოთახს ამის მეტი კარები არა აქვს? ჯერ მე შევალ და მერე დაგიძახებ, შამოდი და მაშინ შამოგვიცავ.

ს. – (ხელზედ ჰკოცნის) ჰო, ჩემო სიცოცხლევ! კი, ჩემო ხელმწიფავ, მაგის უარს როგორ გეტყვი?

მ ა კ. – (შედის მეორე ოთახში).

ს. – (აღტაცებით) ახლა კი ჩემი ხარ! სულ ასე არიან ქალები: ჯერ გაჭირვეულდა და ეხლა კი ნამეტარსაც აპირებს.

მ ა კ. – (ხმა მეორე ოთახიდგან) შამობრძანდით! შამობრძანდით!

ს. – (სიხარულით) ეჭვი აღარ მაქვს, შემირთავს და შემირთავს! სულ ასე არიან ქალები! გიახლებით ეხლავე (გააქრობს სანთელს, შევა იმ ოთახში).

გამოსვლა 4-ეტე

გ ი ო რ გ ი – (შამოდის და დაფოთარობს ბნელაში) ეს რა ანბა-
ვია?.. აქა აღარავინ აღარ არის! მგონია, თვალებმაც მომატყუეს და
ყურებმაც: ახლა, რომ მოვდიოდი, სინათლეს ვხედავდი იმ ოთახში
და ლაპარაკიც გამოისმოდა და ეხლა სულ ყველა გამქრალა: აღარც
ვინმე გარეთ არის და არცა შიგნით! ეს კარებიც გადაკეტილი იყო
გარედან! აქ რაღაც ანბავია...

კ ა ც ი ს ხ მ ა – (მეორე ოთახში) „ოი, მოვედი“.

ქ ა ლ ი ს ხ მ ა – „მოჰკვედი, ავაზაკო! მაგის ლირსი ხარ“. გიორგი
(დაფეხული ამოილებს ხმალს და შექმნის ღრიალს): ჰეი! ჰეი! ვინ ხართ!
სანთელი! ცეცხლი! (ამ ხმაზედ გარედგან შემოცვივდებიან მსახურება:
ზოგი უინულილით, ზოგს სანთელი უჭირავს ხელშიდ, ზოგს კეტი და ზოგს
ცული).

ე ლ. – (დაფეხული შემოიჭრება) რა ანბავია, ბიჭებო? სახლს
ცეცხლი ხომ არ ეკიდება? (ამ დროს თმაგშანენინილი გამოვარდება
მეორე ოთახიდგან მაკრინე, ხელში უჭირავს სისხლიანი ხანჯალი).

გ ი ო რ გ ი – (შეშინებით მივარდება მაკრინეს) ქალო, ეგ რა ანბავია?
სისხლი რისია მაგ ხანჯალზედ?

მ ა კ. – ნუ მოდიხარ, გიორგი! მე აღარა ვარ შენი ლირსი! ბედს
არ უნდივარ შენთვის!

გ ი. – რას ანბობ, ქალო, ხომ არ გადარეულხარ, როგორა თუ ჩემი
ლირსი არა ხარ?

მ ა კ. – მისთვის, რომ მე კაცისმკვლელი ვარ! მე მოვკალი ამ ხან-
ჯლით ჩემი აპეკუნი ხერხაძე, მაგრამ მითი დავიცევი ჩემი პატიოსნება...

ე ლ. – უი, შენს ელისაბედს, რა გიქნია ეგა, ვინ მოგიკლავს,
მიშველეთ, ქრისტიანები! (შეარდება საწოლ ოთაში).

მ ა კ. – (მიაყვირებს) რად გაიქეცი, ეგება გეგონოს, შენ კუდურო
დედინაცვალო, რომ შენც მოგკლაა? არა, შენ ლირსი არა ხარ ჩემგან
სიკვდილის! (გადააგდებს საწოლი კარებისაკენ ხანჯალს და თითონ გულს
შემოეყრება და დაეცემა ძირს).

გ ი ო რ გ ი – (რომელიც აქამდინ გიუივით გაშტერებით მისჩერებოდა
ამ სცენას) ამ უბედურობის მიზეზო, აშარო დედაკაცო, შენმა გერმა
შეგიბრალა შენ, მაგრამ რათ ასე იცი, რომ მისი საქრმოს ხელი არ
დაგზოგავს შენ. ლუკმა-ლუკმათ დაგკებს შენი საყვარელის გულ-
ზედ! (ხმალამოღებული შევარდება საწოლ ოთახში).

(დასასრული პირველის მოქმედებისა)

[1868]

ଶ୍ରୀକୃତ୍ସମ
ଦିଲ୍ଲା

ა დ ვ ი კ ა ტ ი – (დადის გაჯავრებული) დალახვროს ღმერთმა ჩემი უხეირობა!.. ეს რა მემართება?! როცა საჭირო არ არის, საზოგადოთ, მაშინ კი ეს ჩემი ენა ჩემ ნეპაზე პირში ველარ დამიკავებია: წალმა-უკულმა, მინდა თუ არა, მაინც, საათის გუგულივით, პირიდან მიხტება; და, როცა საჭიროა, მაშინ კი სასას მიეკვრის ხოლმე!.. ეს სულ მიუჩვევლობის ბრალია. გამიგონია: კარგი მონადირე ჯერ უბრალო ნიშანზე დაგეშავს ძალლებს და მერე ნამდვილ მხეცებსაც მოუტე-ვებსო, მოდი ერთი, მეც ისე მოვიქცევი. (სტოლის უკან დადგამს სამ კრესლას, შეგ მუთაქებს ჩააყუდებს, თვითონ წინ დაუდგბა და მოჰყება): ბატონო მსაჯულებო! თქვენი გულმოდგინება და ბეჯითობა, როგორც საზოგადოთ ყოველ შემთხვევაში, ისე დღესაც ამ საქმეში მით უფრო მოსაწონი და შესანიშნავია, რომ დღევანდელი დღის გამოძიებას თქვენ გუშინდელი განჩინებითვე წინ უსწრობთ, უსწრობთ, მაგრამ მოთმინება კი მაინც იმდენი გაქვთ, რომ დღესაც, თუმცა საჭირო კი აღარ გახლავთ, მაგრამ მაინც კიდევ ყურს უგდებთ გამოძიებას და დიდი მონდომებითა ასრულებთ ფორმებს. მეც, ამ შემთხვევაში თქვენი მიმბაძავი, ჩემი ჯიბის საწყლის ფულებით გამტენი და თანვე სრულად დარწმუნებული ჩემს „გინდ-ვიყო-გინდ-არაობაზე“, მაინც-მაინც „გიტყიაპინ-სიტყვაობებ“, რადგანაც მითი ნუგეში ეძლევა ჩემ კლიენტს. დევ, მოტყუვდეს ცოტა ხნის იმედით მაინც, რადგანაც საზოგადო ბეტნიერება მომატყუებელი იმედია. მეც, ბატონო მსაჯულებო, იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ ლაპარაკს ყურს დაუგდებთ და ჩვეულებრივ არ მოინდომებთ დამ... (შემოდის მსახური).

მ ს ა ხ უ რ ი – ბატონო! მთხოვნელები გიახლენ და დიდი ხანია, იცდიან, მიიღებთ, თუ დავითხოვო?

ა დ ვ ი კ ა ტ ი – სულელო! დათხოვა როგორ შეიძლება? ჯერ ეს მუთაქები მიალაგე და მერე თვითო-თვითოთ შემომგვარე! წადი!..

მ ს ა ხ უ რ ი – ერთის მეტი არავინ დარჩენილა. ბატონო! იცადეს, იცადეს და ბოლოს, რომ მოეწყინათ, გაუდგენ გზას შინისაკენ. ხვალ კი გიახლებიან. ერთი ვილაც მღვდელიც გახლდათ, მაგრამ იუკად-რისა: მეფურნე თათართან ერთად მოცდა არ მეკადრებაო და იმანაც გასწია... თათარსაც პურის ცხობა უგვიანდებოდა. ერთიც ქალი გახლდათ. ქალს, ბატონო, საყვარელი ჰყოლია, იმ საყვარელსა კიდევ

ადვოკატის დილა

სხვა საყვარელი, იმ საყვარელსაც კიდევ სხვა და ამასაც კიდევ სხვა, გვიანობამდის ვერ შეუტყვიათ; დღეს კი მოსვლიათ ერთმანეთში ხარხაზი და ერთმანეთი აუწიაქებიათ! ახლა, ბატონო, იმ საწყალმა ქალმა ყველას დაასწრო თქვენთან ხლება, თორემ ხვალ ყველა ერთად აპირობს მოსვლას და თქვენ უნდა...

ა დ ვ ო კ. – ოჳ! ოჳ! კარგი! კარგი! შენ თუ სალაპარაკო იშოვე, ხომ აღარ გაათავებ? გადი და შემოიყვანე ის ერთი ვიღაც არის!

მ ს ა ხ უ რ ი – ვინცლა კი არა, ჩინებული აზნაურშვილია, შედალოცვილო! ფულებიც ბლომათ მოიტანა. მეო, ასე მოგახსენათ, ოღონდ კი ნუ...

ა დ ვ ო კ. – ოჳ! ოჳ! გაათავე! მორჩი! თვითონ მეტყვის, რაც უნდა.

მ ს ა ხ უ რ ი – თქვენი ნება გახლდესთ! მე მხოლოთ იმას მოგახსენებ...

ა დ ვ ო კ. – კაცო! ქრისტიანო! დამანებე თავი! არ გესმის?!

მ ს ა ხ უ რ ი – კი, ბატონო, გიახლებით, მაგრამ მე ვითომ მინდოდა ადრევე მომეხსენებია თქვენთვის, თორემ მე ხომ ჩემთვის...

ა დ ვ ო კ ა ტ ი – აღარ მომშორდები? ვერ ხედავ, რომ შენს გუნებაზე არა ვარ?

მ ს ა ხ უ რ ი – (მიდის) ეს დალოცვილი ხმას რომ არ ამოაღებინებს კაცს! სანამდი სიტყვას იტყოდე, მანამვე გაჩუმებს!..

ა დ ვ ო კ ა ტ ი – (მარტო) ამდენი ლაპარაკი რომ კაცს არ მოწყინდეს, გაგონილა?! მთელი დღე მთხოვნელებთან ქაქანებს და მაინც ვერა ძლება ლაპარაკით; მოდის და აქაც მანუხებს! ეს რა სნეულებაა?! ვგონებ, სადღაც ქადაგადა მჯდარა!.. (შემოდის მოხუცებული აზნაური).

მ ო ხ უ ც ი – (მინამდი თავს უკრავს) ბატონი ჩემი აცოცხლა ღმერთა!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – გმადლობთ! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი თავი! დაბძანდით!

მ ო ხ უ ც ი – რატომ იკადრებთ, შენი ჭირიმე?.. გიახლებით! (ჯდება, სიჩუმეა) როგორ მშვიდობით ბძანდებით, ჩემო ხელმწიფე ბატონო?..

ა დ ვ ო კ ა ტ ი – გმადლობთ!.. თქვენ ვინ ბრძანდებით?

მ ო ხ უ ც ი – თქვენი მონა-მოსამსახურე! ბრეგვაძე გახლავართ, ჩემო ბატონო!..

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რა საქმე გაქვთ? ხომ საქმეზე ბრძანდებით!..

ადგომუატის დილა

მ ო ხ უ ც ი – გახლავთ ცოტაოდენი საქმეც! მე, ჩემო ბატონო, ისეც უნდა გხლებოდით თქვენის ბრწყინვალების სანახავათ, უსაქმურათაც, მაგრამ ღმერთმან ჰკითხოს ჩემს უძლურებას... (ცოტა ხნის შემდეგ) დედათქვენი და მამათქვენი ხომ მშვიდობით სუფევენ?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – გმადლობთ, გახლავან ისინიცა!..

მ ო ხ უ ც ი – კეთილი!.. თქვენი დები? თქვენი ძმები? როგორ ბძანდებიან?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – გმადლობთ, ისინიც კარგათ გახლავან! თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, საქმე თუ რამე გაქვთ, მიბრძანეთ, თორებ ამდენი დროც აღარა მაქვს.

მ ო ხ უ ც ი – მოგახსენებთ, კი, შენი ჭირიმე! მისი რიგიც ვიცით! (ცოტა ხნის შემდეგ) თქვენი ბატონი მეუღლე და შვილებიც ხომ ღვთის მადლით ბედნიერათ სუფევენ?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – გმადლობთ! გმადლობთ!

მ ო ხ უ ც ი – ხომ კი გყავსთ, ბატონო, ცოლ-შვილი?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – (სიცილით) როგორ არა!..

მ ო ხ უ ც ი – კეთილი! ისემც კარგი დაგემართოსთ!.. ბედნიერი ბძანდებით. კარგი ცოლ-შვილი გყავთ, ღმერთმა ნუ მოგიშალოს მათი თავი და...

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ბატონო, თუ საქმე გაქვთ, მიბრძანეთ!..

მ ო ხ უ ც ი – მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, იმასაც თავის დრო ექნება!..

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კი, ბატონო, მაგრამ მე არა მაქვს მაგოდენი დრო!

მ ო ხ უ ც ი – მოგახსენებთ!.. ჯერ მინდა, თავი გაგაცნოთ! მე თქვენ ვერ მიცნობთ, თორემ მამათქვენი დიდი მწყალობელი გახლავთ ჩემი. იმდენი წელიწადი თქვენ გასძელით, რამდენი ყანნი ღვინო თქვენს ღამისთევაში ჩვენ სირისკუდზე დავლიეთ! თხუთმეტი დამე გავათენეთ მოლხენით!.. იმდენი სიცოცხლე თქვენ, რამდენი ცხონებულმა თინათინ გამდელმა ჩვენ გვაცინა!.. მან ხომ სახელის დამახსოვრება არ იცოდა და მე ბრეგვაძის მაგიერ რეხვაძეს მეძახდა და ვიხოცებოდით სიცილით! ძალიან მოლხენაში გახლდით. ერთობ!.. ერთობ!..

ა დ ვ ო კ ა ტ ი – კარგია ძველი ამბების მოგონება, როცა კი უსაქმურათ არის და...

მ ო ხ უ ც ი – ისემც კარგი დაგემართოს!.. ცხონებული ბები-ათქვენი რა გახარებული იყო, თავზე რომ დაგჩერებოდათ და კიდე-

ადვოკატის დილა

ვაც ემართლებოდა: თქვენმა სიცოცხლემ, ბევრს მოვსწორებივარ და თქვენისთანა მშვენიერი ყმანვილი ამ ჩემს თვალის კაკლებს არ უნახას!.. მაშინვე გეტყობოდათ, რომ დიდი კაცი შეიქნებოდით!.. კი, ჭეშმარიტად!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – (ცითომ იცინის) ჰო! ან სხვა მიბძანეთ რამე! რაღა მოსაგონია ეგეები!..

მ ო ხ უ ც ი – აჲ, თქვენმა სიცოცხლემ, ღირს; მოსაგონათ კი არა, დაუკინებარი საქმეა! იმე, დიდება შენს სახელს, ღმერთო! ამხელა იყავი (ხელით უჩვენებს) და ყვიროდი: „ალუ! ალუ!“ ვინ იფიქრებდა, თუ ერთს დროს მე თქვენ მოგეხვევოდით მუხლებზე და თქვენი წყალობით საქმეს გავირიგებდი.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – (სიცილით) ჯერ რა იცით, გაგირიგებთ, თუ არა? ეგება ვერ გაგირიგოთ!

მ ო ხ უ ც ი – აჲ, მაგას ნუ მიბრძანებთ, ღმერთი გადლეგრძელებსთ! რაკი ღმერთმა თქვენისთანა კაცი კი მომაგნებია...

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მაში, მიბძანეთ, რაში მდგომარეობს თქვენი საქმე? რამ გაგსარჯათ?

მ ო ხ უ ც ი – (აჩველებს) მოგახსენებთ, შენი ჭირიმე! (ზეზე წამოდგება და ათვალიერებს იქითაქეთ) თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, საიდუმლოა და მეორე ოთახში გავიდეთ!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – რა საჭიროა? არც არავინ აქ არის ამ ოთახში და არც არავინ იქ; ორივე ცალიერია და სულერთი არ არის, სადაც უნდა მითხრათ? ვერავინ გაიგებს!

მ ო ხ უ ც ი – კი, ბატონო, მაგრამ იმ ოთახში უფრო მოხერხებული იქნება!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – უკაცრავათ, მაგრამ საქმის ოთახათ ესა მაქვს დანიშნული და აქ ბრძანეთ!

მ ო ხ უ ც ი – რა გაეწყობა! (მიიხედ-მოიხედავს) თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, ეს ისეთი საიდუმლოა, რომ საჭიროა, ჩვენს მეტმა არ იცოდეს სხვამ და, თუ შეიძლებოდეს, ჯერ შემომფიცეთ!

ა დ ვ ო კ ა ტ ი – როგორ თუ შემოგვიცოთ? რაზე უნდა შემოგვიცოთ? ეგ სად გაგონილა?!

მ ო ხ უ ც ი – უკაცრავათ ნუ ვიქნები და ხუთიც დამიფიცებია ადვოკატი ხატზე, მაგრამ თქვენ ვერ შემოგვადრებთ იმ ფიცს და იმ ხატს, ე.ი. წმინდა გიორგის! თქვენ სხვა ფიცსაც დაგჯერდებით, ე.ი. ჩესტნი სლოვას ხატზე თუ სიტყვას მომცემთ...

ადგომების დილა

ა დ ვ ი კ ა ტ ი – (იცინის) თუმცა სხვას კი არ გავაძედვინებდი, მაგრამ თქვენს მოხუცებულებას ვდებ პატივს და ამასთანაც, რადგანაც ჩემი ლამის მთეველი ბრძანებულხართ, გეთაშემებით: მე გამიწყრეს ჩესტნი სლოვას ხატის მადლი, თუ თქვენი საიდუმლო გაგამხილოთ!.. ახლა ბრძანეთ!

მ ო ს უ ც ი – ლმერთმა დიდი დღე მოგცეთ, ჩემო დიდო ხელმ-ნიფევ ბატონო!.. მე, ბატონო, ერთი გიუი ძმა მყავდა. ეს თორმეტი წელინადია, რაც რუსეთში იყო პოლკში; ჩვენ თითქმის გადავიწყებულიცა გვყავდა; შარშან ჩამოვიდა და ახლა მამულს მედავება!..

ა დ ვ ი კ ა ტ ი – როგორ თუ გედავება? თორმეტის წლის შემოსავლის წილს, თუ რას?

მ ო ს უ ც ი – არა, ბატონო, მაგას რავა მთხოვს! „მამული გამიყვიო!“

ა დ ვ ი კ ა ტ ი – მერე რას ეუბნებით?

მ ო ს უ ც ი – არ მინდა, რომ მივსცე, ლვთისა და თქვენის წყალობით!..

ა დ ვ ი კ ა ტ ი – რათა? განა მკვიდრი ძმა არ არის?

მ ო ს უ ც ი – კი, ბატონო, მაგრამ მაინც არ მივცემ, თუ თქვენც მწყალობელი მეყოლეოთ!

ა დ ვ ი კ ა ტ ი – რას ემართლებით?

მ ო ს უ ც ი – როგორ, რას ვემართლები, შენი ჭირიმე? თორმეტი წელინადი ჩემი საკუთრება მეგონა, შევეჩვიე და ახლა კი გული როგორ დავიწყვიტო? ცოდვა ვარ!

ა დ ვ ი კ ა ტ ი – ის კი განა არ არის საცოდავი?

მ ო ს უ ც ი – ის რათ იქნება, შენი ჭირიმე? იმან რუსული ლაპარაკი იცის!..

ა დ ვ ი კ ა ტ ი – მერე რა გაარიგოს იმ რუსულით? შეწვას, თუ მოხარშოს?

მ ო ს უ ც ი – მაგას ნუ ბრძანებთ!.. ნეტაი, თქვენი კარგათ ყოფნით, ის ვიცოდე და კვირაში ერთი ჯერის მეტს არა ვჭამ!

ა დ ვ ი კ ა ტ ი – იმასაც პარასკეობით მხოლოდ! განა?

მ ო ს უ ც ი – აგრე იქნება, შენი ჭირიმე!.. ახლა რას ბძანებთ, შენი ჭირიმე?

ა დ ვ ი კ ა ტ ი – იმას, რომ კანონის წინააღმდეგი საქმე გიფიქრინიათ!..

ადვოკატის დილა

მ ო ხ უ ც ი – კანონით რომ ის მართალია, ეს მეც ვიცი, მაგრამ თქვენისთანა სწავლული ატუნკატი, როგორც იქნება, მოაკვარაჭინებს საქმეს სხვებს...

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ვერა, მგონია!.. ტყუილათ ნუ ჰეთიქრობთ!.. ძმას უფლება აქვს...

მ ო ხ უ ც ი – კი ბატონო, მაგრამ, აი, ახლა, რა უნდა მოგახსენოთ (მიიწევს სკამს და საიდუმლო ხმით): იმ ჩემ ძმას მეტრიჩევი არა აქვს და მე ქალალდს შევიტან, რომ უკანონო შვილიამეთქი და, თუ საჭირო იქნება ამის დამტკიცება, იმასაც მოვახერხებ.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – როგორ? როგორ?

მ ო ხ უ ც ი – როგორ და ბარემ თორმეტი კაცი და ერთი მღვდელიც მზათა მყავს; დაიფიცებენ, რომ უკანონო შვილიაო და მაძინ ხომ მოვიგებ საქმეს?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – უკაცრავათ, მაგრამ მაგგვარ საქმეს მე ხელს არ მოვკიდებ; ეგ ძალიან უკანონო და უსინდისო საქმეა.

მ ო ხ უ ც ი – კი, ბატონი! უკანონი რომ გახლავთ, მიტომაც გიახელით თქვენისთანა ატუკანტთან, თორემ მართალ საქმეზე რაღა ატუკანტი მეჭირვება?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – მე არ ავიღებ მაგ საქმეს!..

მ ო ხ უ ც ი – რატომ, ჩემო ხელმწიფევ? ხელცალიერი კი ნუ გონივართ! აი, ესეც თქვენი გასამრჯელო ამ თავით და მერე სხვა იყოს! აქ ოცი თუმანია.

ა დ ვ ო კ ა ტ ი – სხვასთან მიბრძანდით და მე კი არაფრის გულისათვის არ მოვკიდებ ხელს მაგგვარ საქმეს!

მ ო ხ უ ც ი – აბა, მე დალოცვილო, ტყვილათ გვიხარია თქვენი გამოზრდა?

ა დ ვ ო კ ა ტ ი – ეგ თქვენ იცით, მაგრამ მე კი მაგგვარ საქმეში არ გავერევი.

მ ო ხ უ ც ი – თქვენი ნება გახლავთ! სხვები პირაქეთაც შემო-მეხვენებიან. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! უკაცრავათ, რომ თავი შეგანყინეთ!

[1871]

ଶ୍ରୀରାମ
ପଦ୍ମବିନାରାତ୍ରି

სასამართლოში სხედან მსაჯულები: შუაში ჭირნახული და მრავალჭრი-ლობიანი მოხუცი ქართლოს; გვერდით, იქით და აქეთ, უფრო ახალგაზდები: იმეროს და ამეროს. შემოაქვსთ სამი ენა: ერთი უთავბოლოთ მრგვალია, ასლიტრიან ლანგარზედ ძევს და წინ, ხელში ნოეს ყავარჯინით, ერთი ახმახი ადვოკატი მოუძლვის. მეორე უშნოთ ბრტყელია, გაუშალაშინებელ ხონჩაზედ ძევს და თან ვიღაც ახალნამძინარევი, ნებიერი ადვოკატი მოჰყვება. მესამე წერილია, პატარა ფინჯანზედ აგდია და გველის კუდივით საქსაქებს; უკან მოსდევს ჯარასავით მბრუნავი ადვოკატი.

მ ს ა ჯ უ ლ ი – დღეს უნდა მოვისმინოთ თქვენი საჩივარი და გადასწყვიტოთ, თქვენ სამში თუ რომელს უნდა დარჩის უპირატესობა და, გთხოვთ, თვითეულმა თქვენგანმა წარმოგვიდგინოს თავთავისი საბუთები!.. პირველი სიტყვა თქვენია, უფ. ახმახო!

ა ხ მ ა ხ ი – ჰოი, შენ ბრძენო, სიბრძნისა ტახტსა ზედა სოლომონისასა, ზე თხემთა, თხემთა მახვილგანმაწონად აყვანილო! მანუკელი თქვენ მიერ სამართლისა, მოვილტვი კვარცხბეკისადმი ფერხთა თქვენთა, და ნატერფალთა ნაწილად მიმღები გილალადებ, და ყურადიხვენ ვედრებანი ჩემნი!..

მ ს ა ჯ უ ლ ი – ბრძანეთ!.. ნუდა აგვიანებთ სიტყვის შესავალით! დრო ბევრად გვიღირს.

ა ხ მ ა ხ ი – მოთმინებითა სულისა მომპოებელი, ვიწყებ უბნობად: ორღანო იგი, სახმარ გამოსამეტყველებლად ჰაზრთა და ვნებათა ჩვენისა გულისათა, რომელიცა წოდებულ არს ენად, შეურაცხყოფილ იქმნა ხელთა შინა ივერიელთასა: წარმოსდგნენ ორნიცა სხვანი ენანი, დღეს აქა, თქვენს წინამე მდებარენი, საშულლოდ ამა ენისა (თითოთ ანიშნებს მრგვალ ენაზე), რომელიცა გამოელვარებულ არს ბრძმედისაგან მეტყველებისა ირისებრ, გნომ არს ენათა შორის ორღანო ესე. ენითა ამით მეტყველიყო შავთელ ჩახრუხითურთ მშვენიერ ლექსად. ამავე ენითა ღალადებდა ბრძენ, რიტორ, პიტიკიოს ანტონ გაიოსითურთ...

მ ს ა ჯ უ ლ ი – სხვაგვარი თვისება?

ა ხ მ ა ხ ი – განსხვავებითი თვისება ამა ენისა არს ერთის ხმითა მრავალ ჰაზრთა გამოსთქმად.

მ ს ა ჯ უ ლ ი – გამოარკვიეთ, რა გსურთ, მაგითი რომ სთქვათ?

ენების გასამართლება

ა ხ მ ა ხ ი – ერთი ლექსი შეიცავს მრავალთა ჰაზრთა, რომელთ-აცა წარმოდგენით ახსნიან.

მ ს ა ჯ უ ლ ი – კიდევ სხვა ლირსება?

ა ხ მ ა ხ ი – ის, რომ ენა ესე გასაგონ არს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ. ოდესცა, შემდეგ ლიტურლიისა, დღესა ერთსა უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდბელმა, ერი ვერა გამგები ვერცა ერთისა მარცვლისა მათ მიერ თქმულისა, სდუმდა საკვირველებითა, ამგვართა მაგალითთა ძალგვიძს წარმოდგენად ლეგეონი, გარნა მრავალმეტყველებითა არა სცხონდინ. მცირითაცა მით, რაცა თქმულ იქმნა ჩვენ მიერ, საგულისხმო არს, რათა ენანი ესენი, უკანონოდ შობილნი ნიადაგსა ზედა ქართლოსიანთასა, განდევნილ და განკიცხულ იქმნენ ამერითგან.

მ ს ა ჯ უ ლ ი – (მიუბრუნდება წებიერს ადგომკატს) რა პასუხს აგებთ?

ნ ე ბ ი ე რ ი – (ზარმაცად) ამოდენი ხანია, ყურს უგდებ, მაგრამ თქვენმა მზემა, ჯერეც ვერ შავიტყე, თუ რა ჰენბავს, რომ გვიპრძანოს მაგ დალოცვილმა. თქვენმა მზემაცა, კათალიკოზი აღარ მაასვენა და შავთველი. ეჭ, ტიალი, რაღაც ჯანი ბეჟანის დროს, მოგეხსენებათ, ადამის წინეთ რომ ი პირველი კაცი გხლებიათ, თქვენ კი უნდა მოგეხსენებოდეთ, იმ კაცის ენა ყოფილა! ეხლა რაღა მოსაგონებელა! ე, მაგ ენისა ხელახლად დანწყობა მურვან ყრუობა არ იქნება, მა, რა? მე მაგის თავი არა მაქვს! რაც გენებოს, ის უყავით!

მ ს ა ჯ უ ლ ი – (მბრუნვს) შენ რაღას იტყვი?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – რა უნდა მოგახსენო, ბატონო!.. მოცლია მაგ დალოცვილს და ღომის საცემვივით ბაყა-ბუყი გააქვს, თვარა საფლავის ენა რაღა გასაცოცხლებელია, ერთს ლექსში ბევრი აზრი გამოვა, თუ კაცი წარმოიდგენსო და, კი, ბატონო, მარა წარმოიდგენით რავა იქნება? რასაც წარმოიდგენს კაცი ტყვილა ხმაში, ის გამოუა. აბა, ბატონო, თქვენ დაუგდეთ ყური ზარის რეკას, თუ იმაში: „წადი, წადიც!“ არ გაიგონოთ და „მოდი, მოდიც!“ არ გაიგონოთ, ასე ყოფილა ეგ ენაც. და ან რაღასთვის და ვიღასთვის არის საჭირო ის ენა, რომელსაც ვერც ბერი გაიგონებს და ვერც ერი?!

მ ს ა ჯ უ ლ ი – კიდევ თუ რამე გაქვსთ დასამატებელი, დაამატეთ, თორემ ან განჩინებას შევადგენთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი – შეადგინეთ.

მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი – (ადგენენ შემდეგს განჩინებას): „რადგანაც ეგ მშვენიერი ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისთვის უმჯობესია, საიქაოს გაიგზავნოს! გაიყვანეთ! მშვიდობით წარვედინ!..“ მრგვალი ენა გააქვსთ და ახმახი

ენების გასამართლება

თვალცრუმლიანი მისდევს უკან ბუტყუფით: „ჰო, უამნო და, ჰო, ზეობანი!.. მშვიდობით!.. აქ ჩვენ უცხონი ვართ!“ მაყურებლები აცილებენ გალობით: „განუსვენოს იქ, სადაცა მართალთა სულნი განისვენებენ“.

მ ს ა ჯ უ ლ ი – (მიუბრუნდება ნებიერსა და მბრუნავს) რახანც რომ ის ახირებული მათუსალა გავისტუმრეთ, ან თქვენ ორზედ მოდგა საქმე: რომელი რომელს უჩივით და რას?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – მე, ბატონო, არც არავის უჩივი და ტყვილა ნურც ვინმე მიჩივა.

მ ს ა ჯ უ ლ ი – მაშ თქვენ სჩივით?

ნ ე ბ ი ე რ ი – დი....ა...ხ! მე გახლახარ გულნაკლებათა და მე ვჩივი!

მ ს ა ჯ უ ლ ი – რას?

ნ ე ბ ი ე რ ი – რასადა, აი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ამასა, რომა გადმოეხეტა კორტოხსა იმერული ენა და აღარ გვასვენებს, იმერულათ უქცევს კილოსა!

მ ს ა ჯ უ ლ ი – მართალია? (მიუბრუნდება მბრუნავს).

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – კი, ბატონო! მაგას რაღა კითხვა უნდა: თუ იმერული ენაა, იმერულათ უნდა უქციოს კილო, აბა, როგორ იქნება! ეგ იმას ჰგავს, რომ ავიჩემოთ: მტრედი, იმერეთიდამ მოფრენილი თფილისში, რატომ მტრედობს და არა ყვავობსო.

ნ ე ბ ი ე რ ი – აი, ბატონო, არკი მოგახსენეთ, რომ ენა ქართული წარყვნებს იმერულითამეთქი! ეხლა ხომ თქვენცა ხედამთ, თვითონაც გამოტეხილია!..

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – იმე, ვაჟო! ქვე რა უყოთ მერე! შენ ეს გვიპრძანე, თუ რითია ცუდი ენა იმერული! რას უწუნებ?

ნ ე ბ ი ე რ ი – (სიცილით) როგორ თუ რას უენუნებთ! იმასა, რომა არ არის ქართული და არც მწერლობაში შემოსალებია, მაგალითად, სასაცინონი არ არიან ეს ლექსები: „კი, ქვე, იმე, ვაჟო, შუკა, ყვინთი, ყე, ცხიკვება“ და სხვ?..

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – მაგ სიტყვების დაწუნების კი რაღა უნდა მოგახსენოთ. ეგები რუსთველსა აქეს ნახმარები თავის „ვეფხვისტყაოსანში“ და იმას გარდაც სხვა ძველი დროს მწერლებიც ხმარობენ.

ნ ე ბ ი ე რ ი – რა უყოთ მერე, და! ეგ კიდევ არაფერ შეადგენს. მართალია, ე, ეგ სიტყვები უხმარია რუსთველსა, მაგრამა ეგ იმასა ნიშნავს, რომა იმას კარგათ სცოდნია ყველა მაზრების ენა და ხმარობს მათ ისე, სხვათა შორის, და არა ვითარცა ნამდვილ ენასა და ენის სამკაულსა.

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – ვინ მოგახსენათ? აი, ეგ რას ნიშნავს: იმ დროს, როდესაც რუსთველი არსებობდა, საქართველო შეადგენდა

ენების გასამართლება

ერთს სამეფოს და არ იყო განაწილებული სხვადასხვა სამთავროებათ; ენაც ერთი ჰქონდათ, ე.ი. ის ენა, რომელიც რუსთველს უხმარია. შემდეგ საქართველო დაეცა, განაწილდა სამთავროებათ სამეფო; ხშირად ერთი სამთავრო იყო ხოლმე გარეშე მტრის მონებისა და გავლენის ქვეშ მაშინ, როდესაც მეორე თავისუფლათ რჩებოდა. ამგვარად დამონბებულს სამთავროში რომელიმე ქართული ლექსები იკარგებოდა და მის ნაცვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდიოდა მაშინ, როდესაც დაუმონებელ სამთავროში კი რჩებოდა ის სიტყვა. ასე, ამგვარად, შეიფარეს თავი სხვადასხვა სიტყვებმა სხვადასხვა საქართველოს კუთხებში და სამთავროებში. დღეს ჩვენი ვალია, რომ ის სიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არა გავსდევნოთ მხოლოდ მისთვის, რომ იმ ლექსს ქალაქში კინტოები არ ხმარობენ...

ნ ე ბ ი ე რ ი – (გაცხარებით სიტყვას აწყვეტინებს) მაგას ჩვენ არ დავსდევთ! აბა, რა სიტყვაა, თქვენს მზესა, „კი!“ მაშინ, როდესაც ჩვენ ვხმარობთ უკეთესს ლექსს: „დიახს?“?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – ვინ მოგახსენათ, რომ უკეთესიაო? ცუდი მაშინ იქნებოდა სიტყვა „კარგი“, რომ ქართული ენის კანონებს ეწინააღმდეგებოდეს... სიტყვა „დიახ“ ნიშნავს დასტურის მიცემას. აგრეთვე, სიტყვა „კი“ ხშირად ნიშნავს ლაპარაკის დროს დათანხმებას და დასტურს. ქართული სიტყვები ხშირად მოითხოვენ დაქარაგმებას შესამოკლებელად; ასე, რომ მრავალმარცლოვანი ლექსი ხდება ერთმარცვლოვანად. ეს ენის თვისება არის. ამავე ენის თვისების ძალით, სიტყვა „კარგი“ მოკლდება და იცვლება ჯერ „კაი“ და კიდევ უფრო შემოკლებით „კი“. აქედამ სჩანს, რომ სიტყვა „კარგი“ უქარაგმოთ და ქარაგმიანი „კაი“ და „კი“ ერთი არიან. მაშასადამე, იმერული „კიც“ ისეთი დასტური ყოფილა, როგორც თქვენი „დიახი“ და მაშ გაჭიაყელებულს სიტყვას „დიო...ახ...ს“ რითი ვერ უტოლდება იმერული „კი“, მაშინ, როდესაც დანიშნულება ორივეს ერთი და იგივეა და ძალაც ერთი აქვთ? ამნაირათვე შემოკლებული არიან: „ქვე“, ე. ი. „ქვეშე“, „ყე“, ე.ი. „ყოველივე“ და სხვანი; მაგალითად, თუ ერთს კაცს აგზავნიან სადმე, მთიული იტყვის: „გავგზავნე“ და თუ მრავლობითი რიცხვით უნდათ სთქვან, რომ ბევრი გავგზავნეო, მაშინ იტყვის: „გავგზავნე-ყე“, ე. ი. ყველა გავგზავნეო.

ნ ე ბ ი ე რ ი – „იმე“ რაღა არის?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – თუკი „აჟმე“ შეიძლება ითქვას, „უიმე“, „ოჟმე“ რატომ „იჟმე“ ანუ „იმე“ აღარ ითქმის?

ნ ე ბ ი ე რ ი – „ვაჟო“ რაღა სიტყვაა?

ენების გასამართლება

ბ რ უ ნ ა ვ ი – ის, რაც „შვილო“, ანუ „ბიჭო!“ „ბიჭო“ არის ფარ-სული ლექსი, ნიშნავს ჩვენებურათ „შვილოს“ და, თუ კი თქვენ ბიჭოს ხმარობთ, ე. ი. შვილოს, რატომ ჩვენც არ ვიხმაროთ უფრო ნამდ-ვილი სიტყვა „ვაჟო“, მაშინ როდესაც ეს ნიშნავს შვილს მამრობითი სქესისას?..

ნ ე ბ ი ე რ ი – თქვენ რომ ცხვირის დაცემინებას „ცხიკვებას“ ეძახით, რა არის?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – ის, რომ ცხვირის დაცემის დროს კაცი ცხვირი-დამ უშვებს ისეთ ხმას, რომელშიდაც ისმის „ცხი“ და აქედამ ხმის მიბაძვით შესდგა ლექსი „ცხიკვება“.

ნ ე ბ ი ე რ ი – კარგი და „თვლემს“ მაგიერ რომ „ყვინთავს“ ამბობთ, კარგია?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი – რატომ არა? ჩვენ ორივეს ვხმარობთ, როგორც „ყვინთავს“ ისე „თვლემას“; თვლემას მაშინ ვიტყვით, როდესაც კაცს თავი უძევს რამეზედ და მარტო თვალებსა ჰქონდავს, და როცა ზის, თავს ველარ იმაგრებს ძილმოსვლაზედ და ხშირად ჩაპერიდებს ხოლმე თავს, იმას ვეძახით „ყვინთავს“. აი, ეს საიდამ წამოდგა: როდესაც წყლის ფრინველი წყალში ჩაპერავს უეცრად თავს, იმას ყვინთი ჰქვიან და, მის შედარებით, ძილმოსული კაცი რომ თავს ჩაპერიდევს, „ყვინთავსო“ იტყვიან, ე. ი. როგორც ბატი ან იხვი წყალში, ისე ჩაპყოფს ხოლმე ძირს თავსაო...

მ ს ა ჯ უ ლ ი – თუ შეიძლებოდეს, გაჩუმდით! აյ მაგგვარი ბაასის დღო აღარ არის, გარედამ რაღაც ხმაურობა მოისმის და უმჯობესია, ჯერ იმას დაუუგდოთ ყური... (ყველანი ზეზე წამოდგებიან და უგდებენ ყურს მესტვირის ხმას. მესტვირე სტვირს უერავს და ზედ ამღერებს):

მუხრანიდამ ჯარი მოდის, წყალივითა იწყო დენა,
მუხრან-ბატონი სარდლათ ჰყავს, უნდა თავის გამოჩენა,
ქართლ-ბატონს შემოწყორმია, უფიცნია მაღლა ზენა:
რომ მოყვრობით არ დაზოგავს, უნდა ამოგლიჯოს ენა!
მისი რისხვა და მუქარი ქართველ ბატონს მოეხსენა.

გაჯავრდა და თან გაპევირდა: „რა გვაქვს საჩხუბარი ჩვენა?
თავის გვარი როგორ დაპერი, რჯული როგორ შეაჩვენა?
რა ფათერავს შეხვდომია! რა ეშმაკი მოეჩვენა?..
რომ სულ უმიზეზოთ შფოთავს და აღარც ჩვენ მოგვასვენა?
შემიგროვეთ, რაც მყავს ჯარი, მივეგებო ცხენდაცხენა.
რომ გავჩუმდეთ, არ ივარგებს, რადგანც უნდა ჩვენი წყენა!“

ენების გასამართლება

ასე ბრძანა ქართლ-ბატონმა და ზედ ცხენი მიაჭენა!
მოეგება მომავლისა, თავს უჩვენებს ან დამხვდურად.
მიაძახა: მოღალატევ! ფუ, ვერ გხედავ ძმასა ძმურად!
გული გესლით აგივსია, ნათესავის დასამდურად!
მოძმის სისხლში ხელს თუ ისვრი, მაშ დაგხვდები მეც მეფურად.
სასიკვდილიდ გაგიმეტებ, ნულა გიყვირს ჩემგან ნურად;
ერთს ანდაზას მოგაგონებ, საგულისხმოდ იხვენ ყურად!
ძმის გაწირვა, მტრის მიდგომა არ გეთვლება სამსახურად.
ტყუულა ნუ ვსწყვეტთ მაგდენ ჯარსა, ცუდად სისხლის
მოსაწყურად.

თუ გულს გერჩის, ჩვენ შევებათ ერთმანეთსა, სჯობს, კახურად“. მუხრან-ბატონს გაეცინა და უთხრა: „ეგ რა სჩმახეო!
მეც ქვეყნის ტოლი კაცი ვარ, და სუსტად ვით დამსძრახეო?
რაც დღეს შენ ჭირი მოგადგეს, ის შენს თავსვე დასძახეო.
რათ მაგზავნიდი სხვა ქვეყნად, რათ შემიცვალე სახეო?
იქ მე მასწავლეს ხერხები და ათასგვარი მახეო;
ვერ შემაშინებ მუქარით, გირჩევ, სხვა ვინმე ჰუცახეო,
თორემ ვერ მომამლევინებ, რაც გულით განვიძრახეო.
სასაცინოა ეგ თქვენი რაღაც სიტყვები მკვახეო...
უმჯობესია, რომ დამრჩე... სხვა ენით დაიძახეო!“
ქართლ-ბატონს ფერი ეცვალა, შეიქნა დალონებული!
რა ექნა, ჯარი არ ჰყვანდა: მან დაუჩაგრა მას გული,
რომ მომხრეთ ვერვის ხედავდა, ყველასგან დავიწყებული!
დაჯდა, საკინძი შეიხსნა, მოსთქვამდა გამწარებული:
„ვაი, გავჰქონტრდი, კრეზივით მე, ერთს დღეს გამდიდრებული.
და ან სიცოცხლე რათ მინდა, დამმარხეთ გაშავდლებული!“
ამ მოთქმაზედ მთლად შეიძრა ქართლ, კახეთი, იმერეთი,
მოვიდნენ და მოახსენეს: „ბატონო, დაგვეცა რეტი;
მართალია, თქვენ მომხრეთ დღეს არ ვარგივარო ჩვენ არც ერთი,
მაგრამ შვილებს გამოგიზდით, თუ ხელს მოგვიმართავს ღმერთი.
მანამდი კი მოითმინეთ, ჭირს როგორმე გაუძელით;
თორემ ჩვენ ყველას ყელს დაგვჭრით და თქვენც გამოიჭრით ხელით;
სჯობს, ჯერეთ ცოტას დასჯერდით, იმერლები იახელით!
მართალია, მათგან შველას და კურნებას მოლათ ნუ ელით,
მაგრამ არაობას ხომ სჯობს, რომ დავრჩებით ცალულელით?!”

[1874]

၆၄၅၇၁၀

პირველი სცენა

(ნაშუადღევია, ბულვარში ორმოებს მიწით ავსებენ. ორი ქალი სკამზედ ზის)

პ ი რ ვ ე ლ ი – მართალია, ქალო, რომ რაც ორმოებია, უნდა ამოავსონო?

მ ე ო რ ე – კი, გენაცვალე, განა ვერა ჰქედავ?

– შენს პირს შაქარი!..

– ქა, შენ რა გიხარია?

– გენაცვა, გასახარელი არ არის? გული წაილო ამდენმა შიშმა და სიფრთხილემ. დღეს თამამად მაინც გაივლის ადამიანი.

– რა ვქნა?! შენ რისა გეშინდა?

– ყმაწვილების, გეთაყვა: ხომ მოგეხსენება, ყმაწვილი ცელქია, მუდამ ფეხზედა სდგას... ორჯერ-სამჯერ უნებურად ჩამივარდნენ ორმოში და გაწუნწული ამოიღეს!

– უიმე, დამიდგა თვალება! ხომ არა დამართნიათ რა?

– ღვთის მადლით, გადარჩენ!

– რამდენი გყავს, ქალო?

– სამი!

– სამი? ნეტავი შენ!.. როგორ უვლი თავს? მე ერთმაც შემაწუხა!

– რამხელა არის შენი?

– გვარიანი მოზდილია, გენაცვალე, მაგრამ უხეიროა!

– როგორ?

– შენმა სიცოცხლემ. ჩუჩხურს არ ვაკლებდე, მაგრამ არ იქნა, ვერ გადავიდა მეორე კლასში, სულ პირველში აგდია.

– უთუოთ ბერძნულსა და ლათინურში არ იქნება გასწავლული და უმისოთ, თუ იმაში არ გაიმართა, არ გადაიყვანებენ.

– მაშ რა ვქნა?

– მიაბარე ვისმეს და მოგიმზადებენ.

– ბევრს თხოულობენ და ვისა აქვს მისი თავი!

– აი, ახლა რომ გახსნეს სამმა ამხანაგებმა, იქ მიეცი.

– ბევრს თხოულობენ; ვის აქვს სამასი მანეთის თავი! ასს რომ დამჯერდებოდნენ, მზათა ვარ...

სცენები

- კი, მაგრამ სამი არიან.
- ერთი რომ მიიღებდეს და ასა იქმარებდეს...
- მერე ის ორი კი მოიშოროს?
- მისი ნება იქნება...
- არა!... რალას ივარგებს? მაშინ ნამყოფი აღარა გამოვა რა!
- მაშ, რა ვქნა, რა მეშვეოლება?
- გაბედე სამასი...
- ეჱ, მეტი რა ღონეა, მე მესმის, თუ რა არის დედის ვალი! გადა-ვიხდი! გავიჭირვებ და მივსცებ.

მეორე სცენა

(შემოდიან ბულვარში ერთი მოხუცებული და მეორე ახლგაზდა)

მ ო ხ უ ც ი – დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი!

- ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა – რა ამბავია?
- საკვირველება! რა ვნახე და სად ვიყავი?!
- სად იყავი?
- ძალლთან.
- ჰმ!
- დიახ, ნასწავლი ძალლი რომ ჩამოუყვანიათ!.. ფორტოფიანს უკრავს.
- უკრავს? ბარიშნა იქნება!
- ბარიშნა კი არა, ძალლია კანკურზი!.. კიდეც იმღერის.
- იმღერის?
- მერე როგორ?.. ამ დღეებში თფილისს ოპერაში ვიყავი და იქ ამაზედ უკეთ ვეღარ იმღერენ...
- რას ამბობ?
- ახლა სხვას აღარ იკითხავ? ანგარიშობს!..
- მართლა? მაშ აქ ტყვეილა მოუყვანიათ: აქ საანგარიშო აღარ დაგვრჩნია რა, რაც იყო, გავათავეთ, გავწმინდეთ!
- ქალალდს თამაშობს, და თამაშობს ისე, რომ კაცი ვერ მოუგებს!
- შულერია? ტყუილათ მოუყვანიათ: აქედამ რას გაიტანს?
- ერთის სიტყვით, მეცნიერია, მეცნიერი! მასწავლებლათ ივარ-გებს რალა!

- ნუ ხუმრობ! კიდევ ლოთობს? არაყს თუ სვამს?
- ეგ კი აღარ მიკითხავს!
- მაშ, წავიდეთ, შევიტყოთ (მიღიან).

სცენა მესამე

(შემოღიან ადვოკატი და კლიენტი)

- ა დ ვ ო კ ა ტ ი – მომილოცავს! მოიგე!
- კ ლ ი ე ნ ტ ი – გარჩევა ხვალ არის და რა ვიცი!
- მე გეუბნები მომილოცავსთქო! მოიგე და გათავდა!
- რა იცი!
- როგორ თუ რა ვიცი!
- თქვენს პირს შაქარი!...
- არა, შაქარზედ ნუ შესწორდებით: შაქრის ფასი კი მოაზიადეთ...
- ვაი, ამისთანა მოგებასაც! ამ შაქარმა ჩვენ დაგვადნო და რაღა გამოვიდა.

(ის მიდის და მის მაგიერ ერთი პოლიციის მოსამსახურე მიუხლოვდება ადვოკატს)

- პ ო ლ ი ც ი ე ლ ი – მადლობა ლმერთს, რომ მოგაგენი!..
- ა დ ვ ოკ ა ტ ი – საქმე გაქვს?
- მაშ, უსაქმურათ!...
- რა გნებავს?
- აბა, ერთი ლაპორტი გამიჩალე!
- რაზედ?
- აი, რაზედ: 8-ს ამ თვისას გაქურდეს ესა და ეს დუქანითქო.
- რვას? და დღეს რომ შვიდია?!
- ეგ ჩვენ ვიცით! ჩვენი საქმეა! ხუთი მანეთი შენია!
- რამდენი დაიკარგა?
- ორასი მანეთის.
- მაშ, მეტი მერგება! ოცი მანეთი! ადვოკატის ტაქსა! ქურდები იპოვნეთ?
- არა, ვეძებთ! (მიღიან).

მეოთხე სცენა

(ერთი მოხუცი დედაკაცი შემოდის წუნუნით; წინ შეხვდება მეორე)

- პ ი რ ვ ე ლ ი – რა დაგმართნია, დედაო? რას ტირი?
- მ ე ო რ ე – როგორ რას ვსტირი, შვილო, შვილი მიკვდება!..
- უიმე, დამიდგა თვალები!.. ძალიან ავათ არის?
- მიკვდება!
- რითი ატყობ?
- ვაზიარეთ.
- ეგ არაფერია! ბევრი მაგალითი ყოფილა, ზიარების შემდეგაც მორჩილიყოს.
- არა, სულს ებრძვის...
- ნუ გეშინია! ყმაწვილის ახალგაზდა სხეული აჯობებს სულს და დაიბრუნებს; ხშირად მოხდება ხოლმე.
- არა, დოქტორებიც შევჰყარე!
- უი, ჩემს სიცოცხლეს! ახლა კი აღარ არის იმედი! შე საბრალო, რას მოესწრო შენი მოხუცებულობა! რა მოუვიდა?
- გადმომივარდა მაღლიდამ და ფეხი იღრძო...
- ექიმებმა რა ქნეს?
- მავა უნახეს და როგორც იქნა მეხუთე ვიზიტზედ შეიტყვეს, რომ ფეხი უღრძვიაო!
- მერე?
- თავზედ ყინულები ადევს, მაგრამ უარესად შეიქნა (ტირის).
- ახლა?
- ხელი აიღეს, აღარ მორჩიებაო და მოშორდენ!..
- (სიხარულით) მართლა? მომილოცავს, ნუდარ გეშინიან: თუ ის მოკვდეს, მე თავი გამაგდებიე!..

სცენა მეხუთე

(ნათლია და ნათლული მოდიან)

ნ ა თ ლ ი ა – რა არის, რომ ქვეყანა გადაიმტერე!

ნ ა თ ლ უ ლ ი – მე რა ვქნა? მე შევეხვეწე გადამემტერეთთქმ, თუ?

– რა გენალლება, როგორც სხვები იქცევიან, შენც ისე მოიქეცი! ქვეყანას შენ ხომ ვერ მონათლავ?

– რა გაეწყობა!

– არ ივარგებსა!.. ამდენი მტერი ძნელია.

– ღმერთმა ნუ მომცეს ცუდი კაცი მეგობრად და კარგი მტრად.

– კი, მაგრამ ცუდები უზომოთ მეტი არიან.

– რა გაეწყობა!

– არა, არა, ჩემო ნათლულო! ეცადე, მოახერხე, რომ შეგიყვარონ.

– აბა, ჯერ თქვენ შეაყვარეთ მგლებს მეცხვარე და მისი ძალლები და მერე მეც ვეცდები.

– ჩუ! რა ამბავია? რას ჰყენირიან? ხმაურობა გესმის?

– როგორ არა! ცოფიან ძალლს მისდევს ხალხი მოსაკლავად.

– (შეშინებით) აქ არ შემოგვივარდეს! არ დაგვებინოს!..

– არა, ნუ გეშინია... სასოფლო სასამართლოსაკენ წაიფრინეს!

– მართლა?

– იმედია, თუ კეტებს მოჰკიდეს ხელი.

– ნეტავი, რა აბრაზებს ამ ძალლებს? რათ ხელდებიან?

– ის, რომ ვეღარ დაუდგათ კარგი დრო.

– არა, მაინც რა ახელებსთ?

– რა და დროება, ნათლია ჩემო, დროება!

[1875]

ପକ୍ଷମିନ୍ଦୀଆର୍ଜ୍ଞାନିକ
ପକ୍ଷସାହିତ୍ୟ

შუა დღეა. ჯერ მსაჯული არ გამობრძანებულა სამსჯავროში; ხალხი იცდის და ჯავრისაგან გულდახურვებულებს, სიცხე კიდევ უფრო აფიცხებს. ერთი ოთხმოცის წლის მოხუცი მოუბრუნდება თავმოყრილ ხალხს და გულ-მოსული შესჩივის:

— ღმერთმა შეარცხვინოს ამისთანა დრო! უკუდმა მობრუნება, აბა, ესაა! ჩვენს ნებაზედ რომ ალარვინ გვაყენებს, თორემ ჩემის ხნის კაცის საქმე ახლა საყდარ-სალოცავია და არა სამსჯავროები! წამოდგება ერთი ვილაც საქმეგამოლეული ოხერი კაცი და გიჩივ-ლებს. იმას რა ენალვლება? იმას კიდეც ექება ჩემი გვერდში ამოდ-გომა, მაგრამ მე!.. მე კი ბალიკარტიან ყაზახს უნდა გაუცვალო თავი! და ან კი რას იზამ, რომ არ გაუცვალო? მიიღებ თუარა ამდენა უწყე-ბას, თუ ფინთიხივით იქ არ გაჩნდი, იმ წამსვე წაგანერენ კისერზედ სწრაფს. ამ სწრაფმაც შენი ჭირი ნაიღოს: ამ სიცხეში თრევას, მისი გადახდა სჯობია, რომ მითი თავს დაგანებებდენ, მაგრამ რომ არც მითი გემველება რა?.. არა. ვისაც არაფერი აქ, რას წააგებს, თუ მოვიგო, ხომ კარგი! არა, რაი ეს ატუკატობა შამოვიდა, გაბრიყვდა ხალხი! ძალიან გაბრიყვდა! ვინც უკეთეს ტყუილს იტყვის, ის უკეთესი ატუკატია და რალას უნდა ველოდეთ კეთილს? რომ კიდეც მოვიგო აქ საქმე, მით მაინც ხომ არ გამითავდება საქმე, დაწერს ეიპლანის არზას და იქ გადამიტანს, მეორე სასამართლოში; საქმე იქაც თუ მოვუგე, მერე იქ გადავა შორს, დასაქცია რომ ჰქვია. და მე და ჩემმა ღმერთმა, არაა კარგი!.. რავა გულზედ არ გავსქდე: დილას აქეთ ამ სიცხეში აქ ვუცდი და ჯერ სასამართლო არ გვეღირსა, ეს რომ ძველ დროში ყოფილიყო, დავიბარებდი მდივანბეგს ჩემს სახლში და, ვაი, მის გუნებას, თუ არ მოვიდოდა, ტყავს კუდის რიკამდი გავაძ-რობდი. მაგრამ დღეს კი! შერცხვეს ამისთანა დრო! ვის გაუგონია, რომ ლევან დიდთავაძისათვის გეებედნოს როდისმე ჩივილი მიქელია წვრილფეხაშვილს და დღეს კი ნახევარ წისქვილს მედავებს! არა, ბატონო, რა ძმა არის ჩემი, რომ მონახევრე იყოს!.. ვუბრძანე, რომ ჩემთვის წისქვილი გაეკეთებია ჩემს ადგილზედ და ახლა მეუბნება, სანახევროთ ავაშენოთ! იმე, რავა მიბედავს ამას, არ იცის, ვინა ვართ ან მე და ან ის? მაგრამ რა ენალვლება: დრო ნებას აძლევს, რომ საცინლად ამიგდოს, ის არის...

მომრიგებელი მოსამართლე

ერთი იქ მჯდომთაგანი მოხუცი წამოდგება და მიაძახებს:

– ბატონი, მგონია, ჯერ არ შეგიტყვიათ, თანასწორობა შემოვიდა ქვეყანაზედ?.. სასამართლოსთვის რა მე და რა შენ – სულერთია, დაილოცა ეს დრო.

– რა გიჭირს! შენ კი არ დაიწუნებ ამ დროს! ამ დრომ, რაც არ გქონდა, ის მოგცა.

– არც არაფერი თქვენთვის წაურთმევია ამ დროს: სხვების წართმევ-ნაგლეჯის ნებას რომ ალარ გაძლევს, მიტომ ემდური...

– იმე, რავა არ ვემდუროდე, რომ მიჩივი, ეს რა სამართალია! როდის იყავი ჩემი მოზიარე.

– რა მოგახსენო, ამას ბატონი მსაჯული გაარჩევს!

– თუ კარგათ გაარჩევს, გამოდგება, რომ შენ სტყუი და მე კი მართალი ვარ.

– ვნახავთ. აბანოში გამოჩნდება... აბანოში...

ამ დროს გამოდის მსაჯული. ყველანი ზეზედ წამოდგებიან და თავს დაუკვრენ. მსაჯული მიიხედ-მოიხედავს და რომ დაინახავს დიდთავაძეს, აიღებს მის საქმეს და დაიწყებს:

მ ს ა ჯ უ ლ ი - თქვენ, ბატონო დიდთავაძე, მიქელა წვრილფეხ-აშვილი გედავებათ ნახევარ წისქვილს და რას იტყვით?

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე - რა უნდა ვთქვა, ბატონო მსაჯულო? რა მაქვს მიქელასთან გასაყოფი? რომ არაფერი, ჩემი მოზიარეა, მოძმე! ვუპძანე და გავაკეთებინე წისქვილი საკუთრად ჩემთვის და ახლა მეუბნება, რომ წილი მაქვსო.

მ ს ა ჯ უ ლ ი - თქვენ რას იტყვით ამაზედ, უ. წვრილფეხაშვილო?

წ ვ რ ი ლ ფ ე ს ა შ ვ ი ლ ი - რა უნდა მოგახსენოთ!.. თუ ნახევარი წილი არ მეეცეს, ისე რათ აუშენებდი წისქვილს? რა მაგისი მებეგრე ვიყავი? წე ქვე მეხალისება მაგასთან ყოფნა და მაგის ხლება თუ? მე მოვკვდი, ბატონო, და ჩემის ამქვეყნად სიმართლისათვის მიმიყვანეს სასუფეველში; რომ შევედი, მოვიხედე, ვნახე, რომ ეგ ბატონიც თურმე ჩემზედ უმაღ მომკვდარა და შეუყვანიათ სასუფეველში, არ ვიცი კი რათა, ეგება შეცდომაც იყო, მაგრამ მე კი დავღუნე თავი და გამოვედი იქიდამ, ალარ დავდექი სასუფეველში, რადგან ეგეც აქ ბრძანდებოდა.

მ ს ა ჯ უ ლ ი - რას ანბობ? მე რასაც გკითხავთ, მისი პასუხი მომეცით.

მომრიგებელი მოსამართლე

წ ვ რ ი ლ ფ ე ხ ა შ ვ ი ლ ი – დიახ, ბატონო, ვიცი, და მიტომაც მოგახსენებთ ამას პასუხად. აქედან თქვენ თვითონ იგულისხმებთ, რომ თუ კი საიქიოს სასუფეველი არ მინდოდა მაგის საზიარო, აქ სააქაოს რათ მიუდგებოდი გვერდში, თუ სიმართლე არ მქონოდა.

მ ს ა ჯ უ ლ ი – ჰო, ახლა კი მივხვდი! თქვენ რაღას მეტყვით ამაზედ? (მიუბრუნდება დიდთავაძეს).

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე – ვერ ჭამა კატამ ნიორი, ბატონო, ვერ ჭამა!

მ ს ა ჯ უ ლ ი – რაო! რას ბრძანებთ? აქ რა ხელი აქვს ან კატასა და ან ნიორს...

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე – როგორც კატა ვერ შესჭამს ნიორს, ისე ეგ ვერ შევა სასუფეველში!..

მ ს ა ჯ უ ლ ი – ჰო, ახლა კი მივხვდი, მაგრამ ეგ ჩემი საქმე არ არის. თქვენ ეს მიბრძანეთ, მართალია, რომ, თქვენის ნებით დაკეტილი ნისქვილი გაგიტეხიათ და იქიდამ ფქვილი გამოგიტანიათ? ეს რა არის! (უჩვენებს კლიტეს) ხედავთ ამას, სამოუპრავიეა!

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე – ეს, ბატონო, სამოუპრია კი არ გახლავსთ, ბოქლომი გახლავსთ.

მ ს ა ჯ უ ლ ი – თქვენ გასტეხეთ?

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე – დიახ! არ დავიფიცავ, ეგ სწორედ ჩემი გატეხ-ილია.

მ ს ა ჯ უ ლ ი – მერე არ იცით, რომ მაგისთვის დაისჯებით, სისხლის სამართალში მიცემით და ღირსება აგებდებათ...

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე – (იცინის) სწორედ კარგი ხუმარა ხართ! ძველ დროში ციხეებს სტეხდენ... ხახვივით შერჩებოდათ ხოლმე, და ახლა ბოქლომისთვის გამაუბედურებენ? ღმერთმა გიშველოსთ! სწორედ გამაცინეთ... კარგი ხუმარა ბრძანდებით.

მ ს ა ჯ უ ლ ი – (გულმოსული) ხუმარი რომელია? აქ სასაცინო არა არის რა. მე გეუბნებით, რომ ციმბირში უნდა გაგზავნოთ! თქვენ, თქვენ... ადვილი გგონიათ? მანგრე ძველი დრო ხომ არ არის? (ამოილებს ბურნუთის კოლოფს და ეწევა).

დ ი დ თ ა ვ ა ძ ე – კარგი ერთი, ნუ ხუმრობ, მაყურებლებს მართალი ეგონებათ, (გადაუყოფს ხელს სტოლს იქით და ბურნუთს ეპოტინება) მცხარე არის ეგ თქვენი ბურნუთი?

მ ს ა ჯ უ ლ ი – ბითლზია, კნიაზო! პირველი სორტისა. მიირთვით (აძლევს, ბურნუთსა სწევენ ორივე და მსაჯულს ცხვირს აცემინებს).

ხ ა ლ ხ ი – (წამოდგება და თავს დაუკრავს მსაჯულს): ღვთის წყალობა, ბატონო მსაჯულო.

მომრიგებელი მოსამართლე

მ ს ა ჯ უ ლ ი – (შეშინებული იყურება იქით-აქეთ) გმადლობთ! გმადლობთ, მაგრამ, თუ ღმერთი გრწამთ, მეორეთ ეგ აღარ ქნათ, როცა ჯაჭვი გვკიდია... არსად გვიწერია. ახლა, თუ შეიძლებოდეს, თქვენ ყველანი გაბანდით, და ეგება როგორმე ესენი მოვარიგოთ. თქვენ აქ მოიცადეთ, ბატონო დიდთავაძე! (დიდთავაძე უჩურჩულებს) რა გიქნიათ ეგ, ბატონი! ახლა ხომ ძველი დრო აღარ არის! მე და ჩემმა ღმერთმა ციმბირში გაგზავნით, თუ არ მოურიგდით. ახლა მიბანდით გარეთ და წვრილფეხაშვილი შემომიგზავნეთ! (შემოდის წვრილფეხაშვილი, მსაჯული ეჩურჩულება), რა გიქნია შენ ეს? ვის ედავები? იმან თუ მოინდომა, გაგამტყუნებს და წაგახდენს. თუ შენ თავი აღარ გებრალება, ცოლ-შვილს რაღას ერჩი? არა, თუ არ მოურიგდი, ცუდად მოგივა საქმე!.. გასწი ახლავე და მოურიგდი, მომიცია თქვენთვის ერთი საათის ბარჯი. (მარტო რჩება) მე და ჩემმა ღმერთმა, ძნელი თანამდებობა არის ჩვენი თანამდებობა...

[1875]

ଶ୍ରୀପଦକୀର୍ତ୍ତ

ବନ୍ଦର୍ବଳି

მოქმედი პირები:

გიორგი

მაიკო

სოსო – გიორგის ქვისლი

სოფიო – მისი ცოლი, მაიკოს და

არისტო } იმერელი მსახურები
ბაბალე

სცენა წარმოადგენს გიორგის სახლის ზალას, რომელსაც, შუა კარების გარდა, ორი კიდევ სხვა კარებიცა აქვს – ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ

გამოსვლა პირველი

ბაბალე შემოდის სიცილით: ტანზე გიორგის ფრაკი აქვს წამოსხმული და

უკან არისტო მოსდევს ჩიოთქით ხელში)

ბ ა ბ ა ლ ე – ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ა რ ი ს ტ ო – ვაი, შენ და შენს ხითხითს.

ბ ა ბ ა ლ ე – ხი! ხი! ხი! ხი! ხი!

ა რ ი ს ტ ო – იმე! რას სკდები, რომ სკდები! რაა, რომ აგიტებია!
ხი! ხი! ხი! ხი! ხი! ხა! ხა! ხა! ხო! ხო! ხო! ხო! ხუ! ხუ! ხუ! ხუ! აღარ
გამანმენდინებ!

ბ ა ბ ა ლ ე – მოდი და გასწმინდე, ვინ გიშლის?

ა რ ი ს ტ ო – თუკი არ გაჩერდები?

ბ ა ბ ა ლ ე – რა ვქნა, რომ მეხიცინება.

ა რ. – ნუ კვინტავ და აღარ შეგეხიცინება.

ბ ა ბ. – მაშ, კარგი, ჰა! (შუა სცენაზედ გაჩერდება და ზურგს მიუშვერს).

ა რ. – (მივა და ჩიოთქით დაუწყებს წმენდას ფრაკს). აჰა! აგრე არა
სჯობია! ვაცხონე მამის სული! დედა, დედა! რა გშვენის, რა გიხთება
ეს ოხერი. ერთი შემოხედვით უკანიდამ ვაჟბატონსა გავხარ.

ბ ა ბ. – მართლა? წინდამ?

ა რ. – წინადამ ქალბატონს!

ბ ა ბ. – იო! (შეხტება, ფრაკს ძირს დააგდებს და გაიქცევა). ხა! ხა! ხა!
კიდევ მიჩქმიტე. მეტი აღარ შემიძლია ხა! ხა! ხა! ვეღარ გაგიჩერდები
და რაც გინდა, ის ჰქენი! ხა! ხა! ხა! ხა!

ა რ. – რა ეშმაკი გიხიცინებს. მგონია, პილპილი გიჭამია ამ დილას,
თვარა, რას ხტუნამ, რომ ხტუნამ?

ბ ა ბ. – არ შემიძლია და რა ვქნა? მეღიტინება.

ა რ. – აბა, ნუ გავათავეებთ! დაგვრჩეს გაუწმენდელი!

ბ ა ბ. – შენ წამოისხი და მე გავსჩიოთქავ.

ბუტიაობა

ა რ. – კარგი, ბატონი ხარ! მანგრე იყოს, ჰე!.. (წამოისხამს ფრაქს) მაგრამ კარგათ კი.

ბ ა ბ. – (მიიტანს ჩოთქს, გადააბრუნებს და ურტყავს ზურგში) უჱ! უჱ! როგორი მტვერი ავაყენე! ტფუ! (აფურთხებს ზურგში).

ა რ. – თავს ნუ იგდებ თვარა, მე ვიცი, შენ...

ბ ა ბ. – მაშ, როგორ გინდა! ჯერ გავტერტყავ ნოხივით და მერე გავწმენდ. (ჩოთქს უსვამს) აი, ასე, ჰე!..

ა რ. – ჰო, მანგრე ქენი!

ბ ა ბ. – აი, რა კარგად ვსწმინდამ (ჩაჰერავს თავში ჩოთქს, მერე იატაჭე დააგდებს და თითონ გაიქცევა).

ა რ. – ოჱ! (ისვამს თავზე ხელს) შენი ოჯახი კი ამოვარდეს! მაცა მე შენ! თუ არ გადაგახდევინო, შენი წიხლი დამკარი. შენ... შენ...

მ ა ი კ ო – (საწოლი ოთახიდან) ვინ არის მანდა?

ა რ . – მე გახლავარ, ბატონო!

მ ა ი კ ო – არისტო?

ა რ. – კი, ბატონო!

მ ა ი კ ო – რა ამბავია?

ა რ. – არაფერი, ბატონო!

მ ა ი კ ო – მაშ, რა ხმაურობა იყო?

ა რ. – არაფერი, ბატონო, მე გახლდით, კარებს უცებ თავი ვახალე!

მ ა ი კ ო – ტუტუცო! კარები არ გამიფუჭო! ახლა რაღას აკეთებ მანდა?

ა რ. – დალაგება მინდა ბატონო! მტვერი დამდგარა.

მ ა ი კ ო – განა დღეს დილით არ გაგიწმენდია?

ა რ. – კი, ბატონო, მაგრამ ისევ შემოყრილა ის ოხერი მტვერი!

მ ა ი კ ო – ჰო, მაშ, კარგათ მიალაგ-მოალაგე!

ა რ. – (თავისთვის) „მიალაგ-მოალაგე, გაწმინდე!..“ ასე ჰერია, ადვილი იყოს... აბა, ერთი იკადროს და თვითონ სინჯოს!

მ ა ი კ ო – (ოთახიდან) არისტო! თუ ვაჯბატონი მობრძანდეს, აქ არ შემოვიდეს ჩემთან; მოახსენე, რომ ქალბატონი გამწყრალიათქო!

ა რ ი ს. – ბატონი ბძანდები! (თავისთვის) ამათთანა ახირებული ცოლ-ქმარი მე ჩემს დღეში არ მინახავს; გათენდება თუ არა, მაშინვე მოჰყვებიან ჩხუბს და დალამებამდი ერთი ვაიუშველებელი აქვსთ და მაშინ კი ადვილად შერიგდებიან ხოლმე. დალახვროს ღმერთმა, მგონია, ქრთამს აძლევენ ერთმანეთს!

მ ა ი კ ო – (ოთახიდან) არისტო!

ა რ. – ბატონო!

ბუტიაობა

მ ა ი კ ო – მორჩი მანდაურობას?

ა რ. – საწმენდი მაქვს!

მ ა ი კ ო – მალე! მალე!

ა რ. – ბატონი ხარ! (ხალხისკენ) არა, რა პირობაში! სისულელე არ იქნება ახლა, რომ წმენდა დავუწყო? ხომ ისევ დაეყრება მტვერი და ეს სულ ქალბატონის პრალია! ის დალოცვილი კაპასობს დილიდან საღამომდინ! რომ კაპასობს, სიცხე აჭერს! სიცხე რომ აჭერს, სცხელა. და რომ ცხელა, გაგრილება უნდა! გაგრილება რომ უნდა, ფანჯრებს აღებს და გაღებულ ფანჯრებში ქუჩიდან მტვერი იყრება!.. იმას რა ენაღვლება? მოდი და სწორინდე არისტო! ბდლვირს ადენსო, რომ იტყვიან, აბა, სწორეთ ეს არის! არ აამტვერა აქაურობა ამ დალოცვილმა?! (სცენაზე სავარძელს იდგამს, დაჯდება, პირი ხალხისკენ აქვს) სულელია ჩემი ვაჟბატონი, თვარამ ამდენს რავა აბედვინებს! დედაკაცს ხანდახან მოუხთება შეხურვება! გასიამოს, ასიამე! განყენიოს, ანყენიე! ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა! მაგრამ ლობიო რომ გამოვა კაცი, ის არის. (ამ დროს ბაბალე შემოდის და ფეხაკრეფით ეპარება) ჯერ შევირთო ჩემი ბაბალე და მერე მე ვიცი, რასაც ვუზამ. მასიამებს, ტლოში იმ ფუნთულა ლოყაში და თუ გამაჯავრა, ვაი, მის გუნდებას – ტლაშინ, ასე ჰა! (ანიშნება).

ბ ა ბ ა ლ ე – (უცბათ ჩაჰერავს თავში) ჰა, მეხი კი დაგეცა მაგ კორტოხელ თავზე, რაც მე შენ ეგ ვერ გამიბედო!

ა რ ი ს ტ ო – (შერცხვენილი წამოხტება) რატომ, შენ კი გენაცვალე? ცუდი რა არის აქ?

ბ ა ბ. – ტლაშანს ვის უპირებ შენა?

ა რ ი ს ტ ო – ვისა და შენ, შენ კი გენაცვალე.

ბ ა ბ ა ლ ე – მერე და შენი გასალახავი ვარ, შე ლვიტიკელო!

ა რ. – რას ამბობ, გოგო, ხომ არ გაგიჟებულხარ! როგორ თუ გასალახავი.

ბ ა ბ. – მაშ, შენ არა სთქვი, რომ ტლაშანს გავადენო?

ა რ. – ჰო. მერე მანდ რა არის ცუდი?

ბ ა ბ. – როგორ თუ რა არის, არ იცი, ტლაშანი რა არის?

ა რ. – რა არის?

ბ ა ბ. – რა არის და ყბაში სილა!

ა რ. – ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! რა თქვეს ეს, დედაჩემო! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ბ ა ბ. – ჰო, რას იცინი, ტყუილია?

ბუტიაობა

ა რ. – ხა! ხა! ხა! სულ არ იციან კორტოხს აქეთ ქართული! ტლა-შანი ყბაში გარტყმა ჰეგინებია! ხა! ხა! ხა!

ბ ა ბ. – მაშ, რა არის?

ა რ. – რა არის და კოცნა!

ბ ა ბ. – ტლოშანი?

ა რ. – ისიც კოცნაა.

ბ ა ბ. – ორივე როგორ იქნება?

ა რ. – ასე კი არის და...

ბ ა ბ. – მაშ, რაღა განსხვავებაა?

ა რ. – დიდი! მარცხენა ლოყაში კოცნას ტლოშანი ჰქვია და მარჯვენაზე კი ტლაშანი.

ბ ა ბ. – არ მესმის!

ა რ. – მაშ, გინდა გასწავლო? აბა, დახუჭე თვალები!

ბ ა ბ. – (ხუჭავს თვალებს) ესე? აბა, რა უნდა ქნა?

ა რ. – (ჰკოცნის) აი, ამას ჰქვიან ტლოშანი!

ბ ა ბ. – (ჰითომ გაჯავრებით) რა თავს იგდებ?! დახეთ ამ იმერელს! როგორ ჰბედავ?

ა რ. – აბა, არ უნდა მესწავლებია?

ბ ა ბ. – ტუტუცი! ტუტუცი! მეორეთ რომ ეგა ქნა, სილას გაგარტყამ. (სიჩუმეა) აბა, ახლა ტლაშანი რაღა არის?

ა რ. – (ლრეჭით) დახუჭე თვალები და...

ბ ა ბ. (ხუჭავს) არაფერი გაბედო კი.

ა რ. – (მოუვლის მარჯვნით და აკოცებს) აი, ტლაშანი ეს არის!

ბ ა ბ. – (გაჯავრდება) კიდევ?! უზრდელო, უზრდელო, მართლადა, იმერელო. გადის იქით! (ხელსა ჰკრავს).

ა რ. – გწყინს და წუნობს, უკანვე დამიპრუნე.

ბ ა ბ. – გაჩუმდი ერთი, ნუ ნაგიტლეკია ენა! შენი არც ტლაშანი ვარგა და არც ტლოშანი! რომ არც კი გცოდნია, რა არის ტლაშანი!

ა რ. – თუ მე არ მცოდნია, აბა, შენ მასწავლე!

ბ ა ბ. – კარგი, აბა, დახუჭე თვალები.

ა რ. – აბა, ჰე! (ხუჭავს თვალებს).

ბ ა ბ. – (მიაფარებს ლოყაზე ხელს და თავის ხელს ჰკოცნის) აი, ამას ჰქვიან ჩვენში ტლოშანი!..

ა რ. – ეგ არის თქვენი ტლოშანი? არაფერი ყოფილა! ერთ ჩხი-რათაც არ ვიყიდი! შენ რომ შენს ხელზე იკოცნო, მე რაო? მითი მე ფორჩი არ მერგება და წვენი!..

ბ ა ბ. – ასეა და რა ვქნათ! ტლაშანი კი სხვა არის.

ბუტიაობა

ა რ. – აბა, ეგ მაინც რაღა იქნება, ვნახოთ!

ბ ა ბ. – დახუჭე თვალები!

ა რ. – (ხუჭავს თვალებს) ჰა!

ბ ა ბ. – (სილას გაარტყავს). აი, ამას ჰქვიან ტლაშანი!

ა რ ი ს ტ ო – ოჲ! თქვენებური ორივე ღმერთმა შეარცხვინოს, ტლაშანიც და ტლოშანიც! (ლოყაზე ხელს ისვამს).

ბ ა ბ ა ლ ე – იწყინე?.. ეგეთები ხართ იმერლები, აი, ალერსიც არ იცით!

ა რ. – იმე! რას ამბობ, გოგო! კბილების ჩამტვრევა რა ალერსია?

ბ ა ბ. – დაიკარგე იქით, ღვიტიკელო! თქვენ რა გაგეგებათ ალერსია.

ა რ. – იმე! ვერ ხედავთ ამ გომბიოს! ყურის ძირი ამინვა და კიდევ ქვე ჯავრობს!

ბ ა ბ. – რაო? ვის უბედავ მაგას? შენი გომბიოები კორტოხს იქით გეყრება!

ა რ. – კიდევ ქე იღებ ხმას? რა გულზედა ხარ, თუ იცი!

ბ ა ბ. – იწყინე? მაშ, კარგი, მშვიდობით! დღეის იქით შერცხვეს შენი ხმის გამცემი.

ა რ. – მე კი შეგეხვენები, შენმა სიცოცხლემ!

ბ ა ბ. – ვნახოთ, თუ არა!

ა რ. – ა, ალდგომა და ხვალეო! ვნახოთ, რომელი უმალ მივა და გასცემს ხმას.

ბ ა ბ. – უმორჩილესად გთხოვთ, მომშორდეთ და ხმას ნუ გამცემთ. (დაიდგავს სცენაზე სკამს და ზურგშექცევით დაჯდება) ტუტუცი! სუმრობაც არ იცი!

ა რ. – (დაჯდება ზურგშექცევით) ნურც თქვენ გამცემთ ხმას! კაი თქვენ მოგივათ, კაი ალერსი და სიყვარული აქეთ გცოდნიათ ქართლელებს!

ბ ა ბ. – (თავისთვის) შეხედეთ, მართლა იბუტება! მე ეს ქალი ალარ ვყოფილვარ, თუ ვერ შეგიხვეწო.

ა რ. – (თავისთვის) ვერა ხედავთ, პირაქეთ მებუტება! არისტო ალარ ვიყო, თუ არ მოგიყვანო ჩემთან.

ბ ა ბ. – (თავისთვის) ვნახოთ, ვისი ჯინი აჯობებს!

ა რ. – (თავისთვის) ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს!

ბ ა ბ. – (თავისთვის) ნეტავი აქ რას ვუცდი? ერთი წავიდე სამზარეულოში და ვნახოთ, თუ პირიქით არ შევიხვეწო! იქ ვეღარ გაბედავს ბუტიაობას (მიდის).

ბუტიაობა

ა რ. – ერთს შტუკას ვიზამ: ჯერ თავს ჩავკიდებ, ცოტა ხანს, მერე უცბად ტირილს მოვიგონებ და თუ მოვიდა ჩემს სიახლოვეს, ვეცემი და ერთს კარგათ დავბუჯლნი. (ჯერ ჩაჭერდებს თავს და ბოლოს ამოუშებს ზღუქუნს) მე მისი სიყვარულით ვკვდები და ის კი უსამართლოთ მეპყრობა...

გამოსვლა მეორე

არისტო და მაიკო

მ ა ი კ ო – (გამოდის და გაკვირვებული მიდის არისტოსთან) ქა! რა დამართნია ამ უბედურს კორტოხელს? ხომ არავინ მოჰკვდომია! არისტო! რას შვრები, რა დაგემართა? (ხელს ჰკრაგს).

ა რ ი ს ტ ო – (უცბად წამოვარდება და მოეხვევა) ვაი, შენ კი გენაცვალე! დაგიჭირე, დაგიჭირე! ანი შენი გაშვება აღარ შეიძლება.

(ამ დროს შეუ კარებში გამოჩნდება გიორგი; გაკირვებით იყურება. ბოლოს მიიფარებს თვალებზე ხელს და გაბრუნდება)

მ ა ი კ ო – უი, უი! რას შვრები! ბიჭო? გაგიუდი? არისტო, არისტო!

ა რ. – (დაინახავს, დაფეთებული) ვაიმე! არკი ქალბატონი ყოფილა! დევილუპე! (გაიქცევა და გავარდება მარჯვივ კარებში).

მ ა ი კ ო – (შეშინებული) გაგიუებულა ის უბედური! რა დამართნია? (შევარდება საწოლ ოთახში და წამოჰკეტს კარებს).

გამოსვლა მესამე

გიორგი და მაიკო

გ ი ო რ გ ი – (შემოდის თავზარდაცემული) ეს რა ვნახე! სიზმარია თუ ცხადი? რა ამბები ყოფილა ჩემს თავზედ. ესლა მაკლდა!.. თავისი ცუდი ხასიათები რომ აღარ მაკმარა, ლერიაქის გვირგვინიც დამადგა თავზედ! ნეტავი ჩემის თვალით მაინც არ მენახა! რა იქნენ? სად წასულან? (მიდის საწოლის კარებთან და აწვება) ეს კარები ვის დაუკეტია? გააღეთ.

მ ა ი კ ო ს ხ მ ა – რა გნებავსთ?

გ ი ო რ გ ი – კარები გამიღე.

მ ა ი კ ო – ვერა.
გ ი ო რ. – რატომ?
მ ა ი კ ო – არა მცალაბან.
გ ი ო რ. – მე გიპრძანებ, რომ ჩქარა გამიღო!
მ ა ი კ ო – ვერ მოგართვით!
გ ი ო რ. – გამიღე, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!
მ ა ი კ ო – არ შეიძლება, საქმე მაქვს.
გ ი ო რ. – ვიცი, რაც საქმე გაქვსთ.
მ ა ი კ ო – მაშ, რაღათ მოდიხარ?
გ ი ო რ. – მაშ, არ გამიღებ კარებს?
მ ა ი კ ო – არა.
გ ი ო რ. – არა?
მ ა ი კ ო – არა და არა, ვერ შეიტყვე!

გ ი ო რ. – ახ! ვერა ხედავთ, რა მემართება? ჰმ! მისი ოჯახი ამოვარდეს, ვინც კაცს ცოლის შერთვა ურჩიოს! დასწყევლოს ლმერ-თმა ის, ვინც ყმანვილი კაცი ააგულიანოს და ცოლის შერთვა არ მოუშალოს. რა არის ეხლა ჩემი მდგომარეობა? (ცხარობს) სიკვდილი არ მირჩევნია ამ სირცხვილს? არა, არა, ამდენს ვეღარ მოვითბენ! ან ის უნდა იყოს და ან მე! რათ მინდა ამისთანა სიცოცხლე?! უნდა მოვჰკლა! მე და მისი ცოლ-ქმრობა აღარ მოხერხდება! უნდა... (უცბათ დამშვიდება) მაგრამ ან კი რას ვმხეცობ? პირველი არ ვარ და უკანასკნელი; მასთანაც, თითქო საშუალ საუკუნოების კაცი ვიყო. აბა, რა ნება მაქვს, რომ მოვჰკლა? ალბათ მე აღარ მოვწოდვარ. (დაფიქრდება) კი, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ვიზედ გამცვალა! ჩემზედ უკეთესი რომ ვინმე ეპოვნა, კიდევ ჰო, იტყოდა კაცი, მაგრამ ვიღაც იმერელი ბიჭი... ფუ... არა, არა, ეს დიდი შერცხვენაა ჩემი! ეს არის, რომ მელაქა! (დაფიქრდება) არა, ეს სულერთია, აქაც მე ვსტყუი! განა მოსამსახურე კი კაცი არ არის? სირცხვილია ჩემთვის ამისთანა აზრის გამოთქმა... მეცხრამეტე საუკუნის კაცისთვის... მაგრამ რა ვქნა, რომ თავში დამშვიდებული მეცხრამეტე საუკუნეა და გულზედ კი საშვალი საუკუნები შემომაწვნენ....რა ცეცხლში ვარ! (ჩაჯდება სავარძელში) კარგი, თანახმა ვარ... შემიძულა, აღარ მოვწოდვარ, ეს მისი ბრალი არ არის, გულის ბრალია!.. კარგი, მაგრამ რათ მატყუებდა? მაშინ სულ სხვებრ იქნებოდა საქმე! განა მოტყუებით ღალატი ეკადრება მეცხრამეტე საუკუნის ქალს? თუ ჯერ არ დამდგარა მათთვის მეცხრამეტე საუკუნე?! ფერუმარილის ცხებაში გამოეპარათ?! ოხ, ქალებო, ქალებო! თქვენი... თქვენი პროგრესი! (თვალებზე ხელს მიიფარებს და თავს ჩაჰებდებს).

ბუტიაობა

გამოსვლა მოთხე

იგინივე და ბაბალე

ბ ა ბ ა ლ ე – (რომელსაც არისტო ჰერონია სავარძელში ჩამჯდარი, ლიტრით მოაქვს წყალი და წამოეპარება გიორგის) ესეც შენ! არ მოიშლი ბუტიაობას? (ასხავს წყალს).

გ ი ო რ გ ი – (წამოვარდება შეშინებული) რა ამბავია? რა...

ბ ა ბ ა ლ ე – ვაიმე, ბატონი! (გაიქცევა).

გ ი ო რ. – გაგიუდი? (გამოუდგება, შევარდებიან კაბინეთში).

გამოსვლა მახუთა

მაიკო მარტო

მ ა ი კ ო – (რომელიც უყურებდა ამ სცენას) ამას რას ვხედავ! ჩემი ქმარი გოგოს დასდევს? უი, დამიდგეს თვალები! ესლა მაკლდა!.. (მიდის სცენაზე) ეჲ, ეხლა კი ვიცი, თუ რად შემაშინა იმ ბიჭმა. ქმარი რომ გოგოებს დაუწყებს დევნას, რასაკვირველია, მაშინ ბიჭიც გაგიუდება და აირევა ოჯახი; აი, ოჯახის არევა... ვიშ, ვიშ, საყვარელო! ან მე და მაგის ცოლ-ქმრობა აღარ მოხერხდება. ეგ უსინდისო, რას მემართლება? წელიწადი არ არის, რაც ჯვარი დაგვიწერია და ეგ კი გოგოებს დასდევს! მე კი მაგის სიყვარულით ვგიუდებოდი, და ეგ დახეთ, რას ჩადის! მაგრამ სულ ეგეთი არიან კაცები! ოჲ, გასწყდეს თქვენი სახსენებელი, კაცებო! თქვენ გაუტანლებო და მოლა-ლატენო!.. გასწყდეს... სსსუ! მოდის! (გაჩერდება მარცხნივ).

გამოსვლა მეექვე

მაიკო და გიორგი

გ ი ო რ. – (გაჩერდება მარჯვნივ) გაგონილა ამისთანა ოჯახის არევ-დარევა! მაგრამ ქალბატონი რომ თავს ვერ დაიჭერს რიგიანად, მაშინ ვაუბატონსაც იგდებენ! (შენიშნავს ცოლს) გამოპრძანებულა, აშფოთე-

ბუტიაობა

ბული კი არის, ეტყობა. რცხვენია. ვნახოთ, რას იტყვის, როგორ იმართლებს თავს და ან რაღა დროს თავის მართლება?!

მ ა ი კ ო – ძალიან დარცხვენილი კი არის, ეტყობა... წყალიც გადაუსხავს თავზედ, ვითომ და აქ არაფერი ამბავიაო, არაფერი შემატყონო! ვნახოთ, რას მეტყვის ეგ ურცხვი!

გ ი ო რ. – ჰმ! (ახველებს).

მ ა ი კ ო – ჰმ! (ახველებს).

გ ი ო რ. – ვგონებ, რაღაც გნებავთ, რომ მიბრძანოთ?

მ ა ი კ ო – ვგონებ, თქვენა გაქვსთ სათქმელი?

გ ი ო რ. – დიახ... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ცოლ-ქმრობა აღარ მოხერხდება.

მ ა ი კ ო – მეც ეგრე მგონია.

გ ი ო რ. – აქ მგონიაობა აღარ იქნება... როდესაც დაფარვა აღარ მოხერხდება.

მ ა ი კ ო – ცხადია!..

გ ი ო რ. – მოსამსახურეზედ რომ საქმე მივარდება...

მ ა ი კ ო – (თავისთვის) ვეღარ ჰყიცავს! (ხმამაღლა) დიახ, როდე-საც მოსამსახურეზედ მივარდება, მაშინ...

გ ი ო რ. – (თავისთვის) ვეღარ ჰყიცავს, (ხმამაღლა) რადგან ორი-ვესთვის ცხადია, უმჯობესია, ერთმანეთს მოვშორდეთ... ამგვარი ცოლ-ქმრობა რაღა სახმარია?

მ ა ი კ ო – (თავისთვის) დახეთ ამ უსირცხვილოს, რა ადვილად მისტუმრებს?! ერთ გომბიოში მცვლის! მაგრამ ასე ადვილად არ იქნება საქმე! (ხმამაღლა) დიახ, მოვშორდეთ, მე თვითონ აღარ მსურს თქვენთან ცხოვრება... ახლავ გადავალ სხვაგან...

გ ი ო რ. – (თავისთვის) ვერ უყურებთ ამ უნამუსოს, რა გულგრილად მტოვებს? ერთს იმერელ ბიჭზედა მცვლის!.. (ხმამაღლა) მშვიდობით!

მ ა ი კ ო – ბედნიერად! მე ჩემ ბარგს წაგალებინებ და წავალ, მშვიდობით!

გ ი ო რ. – დიახ, თქვენის ბარგით წაბრძანდით. მშვიდობით!.. სინიდისი არას გეუბნებათ?

მ ა ი კ ო – მშვიდობით! სინიდისი არას გამხილებთ? (მიდის თვალ-ცრემლიანი).

გ ი ო რ. – იტანჯება კი, ვატყობ, სინიდისმა დასაჯა... რომ შეინ-ანებდეს, კიდევ შეიძლებს ცოლობას და მეც ვაპატივებ... წავიდე ერთი, მოველაპარაკო (შეჰყვება საწოლ ოთახში).

ბუტიაობა

გამოსვლა მეშვიდე

არისტო შემოვა თავის ბარგით

ა რ ი ს ტ ო – ჩემი აქ დგომა აღარ შეიძლება, უნდა გავიპარო აქედან.

მ ა ი კ ო ს ხ მ ა – რა გინდა, რომ მოდიხარ? ან რაღა საქმე გაქვს ჩემთან? გადი აქედან და როდესაც მე წავალ, ვინც გინდა, შემოიყვანე!

გ ი ო რ. ხ მ ა – აჲა, ღმერთო! პირაქეთაც მიწყრები?

ა რ ი ს ტ ო – (ყურს უგდებს) ჩუ! იქ რაღაცა ამბავია!

მ ა ი კ ო – აბა, როგორ გეგონა? შენს საძაგლობას გულგრილად მოვითმენდი?

გ ი ო რ გ ი – შენი მითხარიო და გული მომიკალიო, ეგ არის. გაგიუდი, თუ დამცინი?

მ ა ი კ ო – არა, შენ ნება არა გაქვს, რომ დამცინო!.. უსინდისოვ, გარყვნილო! გადი, თორემ თრევით გაგიყვანა!

გ ი ო რ გ ი – რაო? შენ ძალიან ნებას აძლევ შენს თავს!

ა რ ი ს ტ ო – აქ სახუმროდ აღარ არის საქმე! თავს ვუშველო, სჯობია.

მ ა ი კ ო – რაო? ხელებსაც მიჭერ? აბა, კარგი, ეს შენ! ეს შენ! ესეც შენ! (ამტვრებს რაღაცაებს) ჩემი მოკვლა გინდა? მომკლეს!.. მიშველეთ!

ა რ ი ს ტ ო – ვეიპლეჩ, გვარიანი ბუნტია!

გ ი ო რ. – ნუ გაგიუდი, ქალო! გამიშვი! (გამოვარდება სცენაზე; ოთახიდან ესვრიან ფოსტლებს და ფეხსაცმელს, თანაც ტირილის ხმა ისმის) უჰ! ესლა მაკლდა! გაგიუდა ჩემი ცოლი! სახუმრო აღარ არის, ისტერიკაც მოუვიდა! იქაურობა დაანგრია, რაც ტყვია-წამალი ჰქონდა, დახარჯა. აჲა, უკანასკნელი ფეხსაცმელიც კი მესროლა! (აიღებს) მადლობა ღმერთს! ეს უკანასკნელი სროლა იყო; ხელში აღარაფერი მოჰყვება ახლა... უკანასკნელი ფეხსაცმელი, ეს არის და ფეხებს ხომ ვეღარ მესვრის? წავიდე ერთი, გიუია, ფეხშიშველა არ გამოვარდეს ამ ზალაში (შედის კაბინეთში).

ბუტიაობა

გამოსვლა მერვე

სოფიო შემოდის ქოლგით ხელში

ს ო ფ ი ო – არავინ არის? უჲ, რა დავიღალე! უჲ! ძლივს არ გამოვეპარე! ასე სჯობია, მართალი მასწავლა დედაჩემმა: ქმრის ხელში დაჭრა თუ გინდა, ყოველთვის ნებაზე ნუ დაჲყვებიო. საბრალო ჩემს ქმარს დღე-დღე ვეჩხუბები და საღამ-საღამოობით შევრიგდებით ხოლმე... ჩხუბის შემდეგ შერიგება გემრიელია, და მართლაც, არ ვარგა ერთგვარობა ბუნებაში! მხოლოდ სხვადასხ-ვაფერობა, სხვადასხვანაირობა არ მოეყირკება ადამიანს, სხვა კი ყველაფერი!...რომ ასე არ მექნა, აქამდი ჩემს ქმარს შეძულებული ვეყოლებოდი და ახლა კი ჩემზედ ლოცულობს.

გამოსვლა მეცხრე

იგივე და არისტო

ს ო ფ ი ო. – ჩემი და შინა ბრძანდება?

ა რ. – სსსუ, ქალბატონო!

ს ო ფ. – რაო? რა ამბავია? ავად ხომ არავინ არის?

ა რ. – არა, ბატონო, მაგრამ საქმეა ცოტა.

ს ო ფ. – ვისა აქვს ეგ საქმე?

ა რ. – მე, შენი ჭირიმე!

ს ო ფ. – ვისთან?

ა რ. – თქვენთან, შენი ჭირიმე!

ს ო ფ. – რაო?

ა რ. – საიდუმლოა, არ მინდა, სხვამ რო გაიგონოს!

ს ო ფ. – რა არის?

ა რ. – ერთს პატარა რამესა გთხოვ და უარს ნუ მეტყვით, თქვენი ჭირიმე!

ს ო ფ. – რასა?

ა რ. – რასა და წელან ქალბატონთან დავაშავე და გავარისხე.

ს ო ფ. – რას ამბობ, ბიჭო?

ა რ. – კი, ბატონო, ბაბალე გოგო მეგონა.

ს ო ფ. – გაგიჟდი?

ბუტიაობა

ა რ ი ს ტ ო – არა, ბატონი! უცბათ მოვეხვიე და ბუჯლნა დავუ-
წყე და მერე, ქალბატონად რომ ვიცანი, შემეშინდა და გავიქეცი.
შემარიგეთ, თქვენი მუხლების ჭირიმე და თქვენი გულისთვის მოვ-
კვდები.

ს ო ფ. – მართლა ამბობ! ხა! ხა! ხა!.. საუცხოოა! მერე შეშინდა
ჩემი და?

ა რ. – შეშინდა კი არა, ნამეტანიც მოუვიდა! მე აქეთ გამოვიქეცი,
და ის იქ შევიდა საწოლში. ახლა ბეჯითად გაჯავრებული იქნება
ჩემზედ და თუ თქვენ არ დამეხმარეთ, დავიღუპები, თქვენი ჭირიმე!
თქვენი მუხლების ჭირიმე, ნუ დაიზარებთ ჩემთვის (მხულებზე ეხვევა,
ამ დროს სოსო კარებზე მოადგება და უყურებს).

ს ო ფ. – კარგი! კარგი! წამოდი, აბა, და ახლავ შეგარიგებ. (მიდიან
საწოლ ოთახში ისე, რომ ვერ შენიშნავენ სოსოს).

გამოსვლა მეთა

ს ო ს ო – (მარტო) ააა! ამას რასა ვხედავ?! გამწყრომია ლმერთი
და შემრცხვენია ულვაშები! ბარემ დამიდგეს თვალები! ეს რა ნახა
ჩემმა თვალებმა?! ა-ა-ა, ახლა კი მესმის, თუ რათ მებუტება ჩემი
ქალბატონი დილიდან საღამომდე! რატომ ალარ დგება ჩემთან და
ან რათ დაცუნცულებს აქეთ-იქით? თურმე საქმე ასე ყოფილა! ხა,
ხა, ხა! ესლა მაკლდა! ერთ ვიღაც იმერელ ბიჭს, ამ... ასე მოურიდე-
ბლობაც გაგონილა? მაგრამ ვნება ფარდა ყოფილა თვალებისათვის.
ვეღარც კი შემნიშნეს! ეს რა ამბავია? სიზმარში ვარ, თუ ცხადია?!.
ჰმ! ცხადია, ამაზედ უცხადესი რა იქნება? (დადის გაშფოთებული).

გამოსვლა მეთართმეთი

იგივე და გიორგი

გ ი ო რ გ ი – რა ამბავია? რას აუშფოთებიხარ? (დასდევს).

ს ო ს ო – სიკვდილი მერჩია ამ სიცოცხლეს!

გ ი ო რ. – რა დაგმართია? რას აუღელვებიხარ!... რა ამბავია,
ძმაო?!

ს ო ს ო – ოჳ, შენა ხარ, გიორგი? სირცხვილი შენთვის, შენს
სახლში მოხდა ეს!

გ ი ო რ გ ი – რა ამბავია?

ს ო ს ო – ის, რომ... იქ არიან ორივე...

გ ი ო რ. – (თავისთვის) ვაი, ჩემს შერცხვენას, ამასაც უნახავს! (ხმამაღლა) მაში, შენც დაინახე? არ გებრალები?

ს ო ს ო – მე კი დავინახე, მაგრამ შენ როგორლა დაინახე, რომ ახლა აქ არ ყოფილხარ?

გ ი ო რ. – ახლა კი არა, წელან დავინახე.

ს ო ს ო – როგორ? წელანაც?.. (თავისთვის) მაში, ეს მეორედ! (ხმამაღლა) წელან კი არა, ეხლა შევიდენ, ეს არის...

გ ი ო რ გ ი – როგორ თუ ახლა? (თავისთვის) მაში, ახლა ხელმეორედ, ეს კი ნამეტანია!

ს ო ს ო – შენს ოჯახში არ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი.

გ ი ო რ. – გიჟია! მაში სხვაგან უფრო არ მომექრებროდა თავი? მაღლიანი ლმერთს, რომ კიდევ აქ მოხდა და ჯერ საქვეყნოდ არ არის საქმე!

ს ო ს ო – ძალიან კარგი ნუგეშია!..

გ ი ო რ. – ისე შენმა მტერმა ინუგეშოს! აგერ გავგიუდები.

ს ო ს ო – (თავისთვის) ვერა ხედავთ ამ ჩემს ქვისლს? ეს რომ ასე ცოლისდაზედ თავს იკლავს, მე რომ სისხლის მაგიერ თხლე არ მედგას ძარღვებში, თავს უნდა ვიკლავდე! (ხმამაღლა) არა, აღარ მინდა თავი ცოცხალი!

გ ი ო რ. – (თავისთვის) დახეთ! ეს რომ ასე მრისხანებს თავის ცოლისდაზედ, მე რომ ძარღვებში მახოხი არ მედგას სისხლის მაგიერ, ერთი ამბავი უნდა მოვახდინო.

ს ო ს ო – აქ თავი უნდა მოვიკლათ და სირცხვილი კი არ უნდა დავსთმოთ!

გ ი ო რ. – შენ რათ ცხარობ მაგრე, ჩემო ძმავ, ჩემი გულისთვის?

ს ო ს ო – როგორ თუ შენი გულისთვის? მე თვითონ მიკვირს, რომ შენ მაგრე გულმურვალედ თანაუგრძნობ ჩემ საქმეს.

გ ი ო რ გ ი – როგორ თუ შენ საქმეს?

ს ო ს ო – მაში? ჩემი ცოლი და ის იმერელი იქ არიან (ხელს უშვერს).

გ ი ო რ. – (გაკვირვებით) შენი ცოლი! მე კი ჩემს ცოლზედ ვამბობ. წელან ის იმას ეხვეოდა, (თავისთვის) დახეთ, იმ იმერელი! ერთ დას რომ აღარ სჯერდება, ორ-ორს ჰკიდებს ხელს.

ს ო ს ო – (გაკვირვებით) შენი ცოლიც? ეგ კიდევ სხვა ამბავია! (თავისთვის) ორივე დები შეურცხვენია!.. ერთს აღარ ჯერდება!

ბუტიაობა

გ ი ო რ. – ვერ ხედავ, რა დღე დაგვდგომია! რალა ვართ ახლა?
ს ო ს ო – სწორედ უბედურები ვართ! ამ ქვეყანაში ალარ დაგ-
ვედგომება.

გ ი ო რ. – მაში, უნდა დავიკარგოთ?

ს ო ს ო – კი, მაგრამ ჯერ უნდა შევიტყოთ, თუ...

გ ი ო რ. – რატომ არ ვიცოდით, რომ ასე დაგვემართებოდა. განა
ცხადი არ იყო, თუ რა დედის შვილები იყვნენ? რათ შევირთეთ?

ს ო ს ო – ვის ეგონა, თუ რაც დედა იქნება, ის შვილები. ვაი,
სირცხვილო!

გ ი ო რ. – რა ცუდი ცოლი გყავს!

ო რ ი ვ ე – რა ცუდი ცოლი გვყოლია!..

ს ო ს ო – რა ცუდი ცოლი გყავს!

გ ი ო რ. – როგორ შერცხვი!

ს ო ს ო – როგორ შერცხვი!

ო რ ი ვ ე – როგორ შევრცხვენილვართ!

გ ი ო რ. – აქ დასადგომი პირი ალარა გაქვს!

ს ო ს ო – აქ დასადგომი პირი ალარა გაქვს!

ო რ ი ვ ე – აქ დასადგომი პირი ალარა გვქონია!.. (მოთქმით
ტირიან).

გამოსვლა ხეთორშეთე

იგივე და არისფო

ა რ. – (გამოდის) მადლობა ღმერთს, რა ადვილად გადავრჩი.

გ ი ო რ გ ი და ს ო ს ო – (ერთად მივარდებიან) რაო? რაო?
გადარჩი? (სტაცებულ ხელს და მოათრევენ).

ა რ. – (შეშინებული) ვაიმე, ბატონო! რას მერჩით? რა დავაშავე?!

გ ი ო რ. – როგორ თუ რა დააშავე? შენ რა გიქნია?

ა რ ი ს ტ ო – (თავისთვის) ვაიმე! ვინ უთხრა ამ ოხერს? ვიცი, მომ-
კლავს, (ხმამალლა) დამნაშავე ვარ, ბატონო, მაპატივე! არ მინდოდა,
მაგრამ შეესცდი, ბაბალე მეგონა!

გ ი ო რ. – რაო! დახეთ ამ საძაგელს, რაებს ბოდავს!

ს ო ს ო – (გამოთხლეულს ხელიდან) აქ მობძანდი! ჩემს ცოლზედ რას
იტყვი?

ბუტიაობა

ა რ. – თქვენ ცოლზედ რა უნდა ვსთქვა, შენი ჭირიმე! მოვეხვიე, შევეხვენე...

ს ო ს ო – მოეხვიე! განა იქაც შესცდი?

ა რ. – არა, ბატონო; განზრახვით მივედი, გულდაგულ... ვიცოდი, ჩემს თხოვნას უარს არ ეტყოდა...

ს ო ს ო – რაო? უნდა მოველა! (ალრჩობს).

ა რ. – ვამე! მიშველეთ! მიშველეთ!

გ ო ო რ. – არა, ჯერ ნუ მოველავთ! ჯერ ალსარებასავით ვათქმე-ვინოთ თავიდან, თუ როგორ იყო ეგ ამბავი და მერეც მოვერე-ვით. (გამოგლეჯს ხელიდან და მიათრევს მარჯვნით) აბა, დაიჩოქე და მომიყევი! შენ, ძმაო, მანდ მოიცა ცოტა ხანს, ჯერ ჩემი ცოლისას ვიკითხავ. (აჩიქებს არისტოს) აბა, ახსენე ღმერთი, პირჯვარი გამოის-ახე და მოჰყევი, რაც იცი!

ა რ. – რა უნდა მოვყვე, შენი ჭირიმე! დანაშაული მაქვს! მაპა-ტივეთ!

გ ო ო რ. – თავიდან მოჰყევი, რაც იცი! თავიდან... ჰმ!..

ა რ. – მე და ბაბალე ვბუტიაობდით; მე თვალებზე ხელი მივიფარე და ზლუქუნი დავიწყე, მისი მოტყუუბა მინდიდა; თურმე ის გაპარუ-ლიყო, და მის მაგიერ ქალბატონი გამოპრძანებულიყო და თავზედ დამდგომოდა; მე გოგო მეგონა, ვსტაცე ხელი და მოვეხვიე.

გ ო ო რ. – მერე? მეტი?

ა რ. – მეტი აღარაფერი. ქალბატონი შეშინდა და შევარდა საწოლში.

გ ო ო რ. – შენ?

ა რ. – კი სამზარეულოში გავიქეცი.

გ ო ო რ. – მე რომ ქალბატონის კარებს ვუბრახუნებდი, შენ სად იყავი?

ა რ. – რა ვიცი, ბატონო... სამზარეულოში ვიყავი დამალული...

გ ო ო რ. – მართლა?

ა რ. – კი, ბატონო! გთხოვთ, მაპატიოთ!

ს ოს ო – (მივარდება და წამოათრევს არისტოს მარცხნივ) ამდენ ხანს როგორ ვერა ჰყითხე? ან მეც უნდა შევიტყო!..

გ ო ო რ. – დაანებე თავი! ნუდა ჰყითხავ! ვიცი, რაც ამბავი ყოფილა!

ს ო ს ო – მერე შენ რომ იცი, მე რაო? მეც მინდა, შევიტყო!..

გ ო ო რ. – (თავისითვის) უჰ, მადლობა ღმერთს! ხელახლა ვიბადები! მე რა მეგონა და რა ყოფილა! თუ სულელი არ ვიყავი, როგორ შევი-

ბუტიაობა

ტანე ეჭვი იმ ანგელოზ ქალზედ! იმას მისი უმანკოება სახეზედ ანერია. განა არ ვიცი, რომ მე ის ხვანთქარზედაც არ გამცვლის? ვინც იმაზე ცუდს იტყვის, თვალითაც რომ ნახოს, ჩემი არ იყოს, ის გარყვნილი იქნება და უსინდისო!

ს. ო ს ო – სთქვა! ნუ ჩაგვარდა ენა! მოჰყევი!

ა. რ. – რა მოვყვე, ბატონო? ყელში მიჭერთ ხელს და მგუდავთ.

გ. – (თავისთვის) გამოჰკითხე, თორემ ბევრს სასიამოს კი გაიგონებ, შენ საბრალოვ! საწყალი ჩემი ქვისლი! რა საქმე მოუვიდა! აბა, როგორ ეკადრებოდა ჩემი ცოლის დას ამისთანა საქმე! არა ჰგავს მისს დას?! მართალი ნათქვამია: „ერთის ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო!“ ფუ!..

ს. – მოჰყევ როგორ იყო!

ა. რ. – რა უნდა ყოფილიყო! ქალბატონთან შერიგება ვთხოვე, იმანაც წამიყვანა და შემარიგა... .

ს. – მეტი არაფერი? (გახარებული).

ა. რ. – რა ვიცოდი, თუ ეს თქვენთვის საწყენი იქნებოდა!

ს. – (ხელს უშვებს) მაშ, კარგი! (მობრუნდება, არისტო დაჩოქილი რჩება) მადლობა ღმერთს! კინალამ ტყვილად არ გადავირიე! არ გამიკვირდა! ჩემს ცოლს ჩემს მეტი ყენიც არ უნდა, თორემ... არა, მეც არა ვსთქვი! იმას მისი უმანკოება თვალებში ეხატება; მაზედ ეჭვის შეტანა უნამუსობაა... დიდი, დიდი!.. მაგრამ, საბრალო ჩემი ქვისლი! ფუ მის ქალობას! როგორი ჩემი ცოლის და არის მისი ცოლი! მაგრამ მართალი ნათქვამია: „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო!“ მივიდე ერთი, ეს საბრალო ვანუგეშო!

გ. – (თავისთვის) აქ სასაცინო არა არისრა! მაგრამ მეცინება კი მისი საქმე. ხა, ხა, ხა, ხა! ძალიან საქმე მოსვლია!..

ს. – (თავისთვის) საწყალს მეტი ჯავრით ისტერიკა მოსდის. რა გულით იცინის! მეც სიცილი მივარდება, ხა, ხა, ხა! ამისთანა... ხა, ხა, ახირებული საქმე...

გ. – ვაი, ამისთანა სიცილს! გაგისდა. (მიდიან ერთმანეთთან) ჭეშ-მარიტად გულითა და სულით ვსწუხვარ და თუ ვიცინი, მეტი მწუხ-არებისაგან.

ს. – მჯერა... ეგ სიცილი მწარეა!

გ. – დარწმუნებული იყავით!.. მაგრამ ვხედავ, რომ თქვენი სიცილი უმწარესია და ის მიკლავს გულს.

ს. – რა გაეწყობა? განათლებულმა კაცმა უნდა მოითმინოს.

გ. – (თავისთვის) თავს ნუგეშს აძლევს. (ხმამალლა) დიახ, მოთმინება ვალია განათლებული კაცისა.

ბუტიაობა

ს. – (თავისითვის) როგორ მალე დამეთანხმა! (ხმამაღლა) მადლობა ღმერთს! რა გაეწყობა?

გ. – რასაკვირველია! რა გაეწყობა? საჭიროა გულის სიმაგრე... დიახ!

ს ო ს ო – მე ვეტყვი ჩემს ცოლს, რომ თქვენი ცოლი დაარიგოს, და თქვენც ურჩიეთ, რომ მისი დის კვალზედ იაროს.

გ. – (შეშინებით) ღმერთმან ნუ ჰქონა! უმჯობესია, რომ შენმა ცოლმა მიჰპაძოს ჩემს ცოლს.

ს. – (შეშინებული) რას ამბობ? რა დროს ხუმრობაა! ღმერთმა დაიფაროს!

გ. – როგორ თუ ღმერთმა დაიფაროს? რა აქვს ჩემს ცოლს დასაწუნი?

ს ო ს ო – ის, რაც თქვენი თვალით ნახეთ, სხვა არაფერი.

გ ო ო რ. – ჰმ! ვნახე, მაგრამ კი ვერ ვნახე კარგად. უბრალო შეცდომა გამოდგა.

ს ო ს ო – მართლა?.. ისე, როგორც ჩემი ცოლისა?

გ. – არა, თქვენი ცოლის საქმე სხვებრ იქნებოდა.

ს. – როგორ თუ სხვებრ? იქაც ცოტა რამ შეცდომა იყო.

გ. – მართლა? მაშ, როგორ არა გრცხვენიანთ, რომ ცილი დასწამეთ...

ს. – თქვენ კი შეამკეთ თქვენი ცოლი თუ?

გ. – ეჭ! მაშ, ამდენი აყალ-მაყალი სულ ტყუილი იყო? არ შევრცხეით?

ს. – მართლა რომ შევრცხით და ეს უბედური ბიჭიც ტყვილად დავტანჯეთ!

ა რ ო ს ტ ო – (წამოვარდება ფეხზე) რასაკვირველია, ტყვილად დამტანჯეთ. (გიორგის) თქვენ რომ მირტყით, მე ჭაჭა ჩამვარდა, ლაზარეთში უნდა წავიდე, მაგრამ ფული არა მაქვს. ვინ მიპატრონებს აქ! დედა არ მყავს და მამა! (ტირის).

გ ო ო რ. – საბრალო იმერელი! კარგია ახლა, რა გაეწყობა! აჲა, ეს შენი იყოს! თავს მოუარე! (აძლევს ფულს).

ა რ. – მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო! ჭაჭებს თქვენი ჭირი წაულია, მაგრამ გული უფრო მანუხებს: ამათ რომ ყელში ხელი წამიჭირეს, გული ამომივარდა მაშინ... ვინ მომივლის? ცოლი მე არ მყავს და შვილი.

ს ო ს ო – კარგი, ახლა რაღა გაეწყობა? არ მომხდარიყო, კარგი იყო! ჲა, ეს შენ! (აძლევს ფულებს) ჩვენ ახლა როგორდა მოვიქცეთ, ჩემო ძმაო?

ბუტიაობა

გ ი ო რ. – რაღა დაგვრჩენია მეტი, წავიდეთ და ბოდიში მოვ-იხადოთ ცოლებთან.

ს ო ს. – კარგი, მაგრამ აქედან რომ არ შეგვიშვებენ? წინა კარები დაკეტილია.

გ. – ეგ ცუდია ძალიან.

ს. – უკანა კარები არა აქვს ამ ოთახს?

გ. – როგორ არა.

ს. – მაში, კარგი, მოვუაროთ (მიდიან).

ა რ ი ს ტ ო – (მარტო) იმე! ჯერ მოკვლას მპირდებოდენ და ახლა კიდეც გამაკეთეს... ახირებული თუ გინდა, ეს არის! თურმე უფრო მარჯვედ რომ ვყოფილიყავი, მეტსაც მაჩუქებდენ.

გამოსვლა მეცამეთე

იგინივე, მაიკო და სოფიო ითახიდან გამოდიან

მ ა ი კ ო – არა, შენმა გაზდამ, არა ვსცდებოდე. ჩემის თვალითა ვნახე და არც ვაპატიებ ჩემს დლეში! იმ უნამუსომ ბაბალეზედ გამ-ცვალა!

ა რ. – რაო? მგონია, ჩემს ბაბალეს ახსენებენ.

ს ო ფ. – გოგოს ვერ უნდა გაებედნა, თორემ კაცები ხომ...

მ ა ი კ ო – გოგო რას დაეძებს! მაგრამ ბატონმა არ უნდა დაიმდ-აბლოს თავი.

ა რ. – ვაიმე! ეს რა მესმის ჩემს ბაბალეზედ! მიღალატა? ვაი, მის დლეს, თუ მართლა მისი ბრალია და მოუკლავს არ გადავარჩენ, და თუ ბატონის, ერთს კარგად შევზურგავ იმ დალოცვილს და ზე მოვევლები ბურთივით კორტოხს.

გამოსვლა მეთოთხეთე

იგინივე და პაპალე

ბ ა ბ ა ლ ე – ქალბატონო, გთხოვთ, გამიშვათ! მე აქ დასადგომი პირი აღარა მაქვს.

მ ა ი კ ო – დიახ, ქალბატონო, მეც ვიცი! მემართლები? ერთი მუჭა ჩემს ხელში გაზდილხარ.

ბ ა ბ. – რა ვქნა, ქალბატონო, შევსცდი!

ს ო ფ. – როგორ თუ შესცდი, შე ურცხვო! როგორ გაბედე?

ბ ა ბ. – რა ვქნა, ბატონო, არისტო მეგონა.

ა რ. – შეხე, რას ამბობს ეგ უნამუსო! მე რავა ვეგონე? ველარ
მიცნო რწყილივით ბიჭი! ჩემი ბატონი კი კოლოოტს ჰერავს!

მ ა ი კ ო – იმიტომ დაასხი თავს ლაფი?

ბ ა ბ. – არა, ბატონო! წმინდა წყალი გახლდათ, ლიტრით.

ს ო ფ. – როგორ?

ბ ა ბ. – არისტო მეგონა ჩამჯდარი, მოვეპარე და თავზედ
გადავასხი ცივი წყალი.

მ ა ი კ ო – მერე?

ბ ა ბ. – მერე, გამინწყარა და გამომიდგა გასალახავად, მე გავექეცი
და სამზარეულოში დავიმალე.

ს ო ფ. – მეტი არაფერი? ეგ იყო? (მაიკოს) ხა, ხა, ხა, ჩემო დაო,
გესმის?

ბ ა ბ. – მეტი რა უნდა გხლებოდათ... გთხოვთ, მაპატიოთ!

ა რ. – იმე! არ გესმისთ? რა ყოფილა და მე კი ტყვილაუბრალოთ
ვწიწმარიტობდი! არ გამიკვირდა, ჩემი ბაბალე, ვენაცვალე იმას,
ბატონში რავა გამცვლიდა? ეს კი მიამა, შენ... (შეხტება).

მ ა ი კ ო – უიმე, დამიდგა თვალები! მაშ ტყვილად გავლანძლე
ჩემი ქმარი? უი, ჩემ თავს! წავალ ახლავე, ბოდიშს მოვიხდი, შენც
მომეხმარე, სოფიო!

გამოსვლა მეთხოთხოვთე

იგინივე, გიორგი და სოსო

გ ი ო რ. – მაიკო, შენ გეთაყვანე, დამნაშავე ვარ, მაპატივე!

ს ო ს ო – დანაშაული გვაქვს, უნდა გვაპატიოთ!

ს ო ფ. – შენც ბოდიშს იხდი?

მ ა ი კ ო – მე ვარ დამნაშავე, თქვენ კი არა. გთხოვთ, მაპატივოთ!

გ ი ო რ. – შენ რათ იქნები, მე ვარ! შევიტყვე, რომ ტყუილი
გამოდგა...

მ ა ი კ ო – მეც ეხლა შევიტყვე, რომ...

გ ი ო რ. – არა, შენ იცოდი, შენი ჭირიმე! ან კი შევრიგდეთ.

მ ა ი კ ო – დიდის სიამოვნებით.

ბუტიაობა

გ ი ო რ. – კი, მაგრამ, რომ არ დაღამებულა?

ბ ა ი კ ო – დაღამებას რას უცდით!

ს ო ს ო – ეჭ, კმარა ამდენი უბრალოდ აყალ-მაყალი! ჩვენც შევრიგდეთ. წავიდეთ, დაღამებას ნულარ მოვუცდით!

ს ო ფ. – თანახმა ვარ, მით უფრო, რომ ხანდახან დღითაც კარგია შერიგება (მიღიან).

გამოსვლა მითეპვეთა

არისტო და ბაბალი

ა რ. – ახლა ჩვენ რაღა ვქნათ, ჩემო ბაბალუკო?

ბ ა ბ. – რაღა უნდა ვქნათ? წავიდეთ სამზარეულოში... რადგან ბატონები აქვე შერიგდნენ, ჩვენ იქ შევრიგდეთ.

ა რ. – აქ რა გვიჭირს, რომ შევრიგდეთ!

ბ ა ბ. – გვიყურებენ!.. დაგვძრახავენ, ჩვენი საქმე სამზარეულოა!

ა რ. – კი, მარა ფარდა ჩამოვაშვებიოთ. ეი, ბიჭო! ფარდა ჩამოუშვი, ბატონის ბრძანებაა! (ფარდას უშვებენ) ოი, შენ კი გენაცვალოს არისტო! (მოუნდომებს ბაბალეს მოხვევნას: ბაბალე გაექცევა და არისტო უკან მისდევს).

(ფარდა დაეშვება)

1879

კინგი

სამმოქმედებიანი კომედია-ხუმრობა

მოქმედი პირები:

ილია

სალომე – მისი ცოლი

ალექსანდრე – სალომეს მეგობარი

სამსონ – ილიას მეგობარი

ალმასხანი – ილიას მოსამსახურე, იმერელი

კინტო

გეო
მანუა
თათუზა
და მეზურნეები

} კინტოები

პირველი მოქმედება

I-ლი სანახავი:

(მდიდრულად მორთული ოთახი ილიას სახლში, სავარძელში ჩასძინებია ალექსანდრეს)

პირველი გამოსვლა

ალექსანდრე და ალმასხენა

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ა – (შემოდის. იქით-აქეთ იხედება და რომ შენიშვნავს მძინარს) იმე! ქვე დაძინებია აგერ ამ მამაცხონებულის შვილს!.. უბოდიშმ სტუმარი, აპა, ეს ყოფილა! ჰმ... ქალბატონმა მიბძანა: „მოახსენე, რომ არსა წაბდანდეს... მომიცადოს“ და რავა ვქნა ახლა? თუ არ მოვახსენე, იმას ეწყინება, და, თუ მოვახსენე, უნდა გავაღვიძო და, ვაითუ, ეს დალოცილი გამიწყრეს, ჰე!... მარა ანკი რა მოხსენება უნდა? სად წავა მძინარი? (დააპირებს წასელას და მერე ისევ მობრუნდება). კი, მარა, რომ გამოიღვიძოს და გამეპაროს, მერე ხომ წავხდი კაცი?! არა, შენ... რად ვიზამ ამას?! თქვენ არ მომიკვდეთ, ფეხიც არ მოვიცვალო აქიდან, სანამდი არ გამოიღვიძოს: დავჯდები და ვუყარაულებ, ისე შევაჩერდები, რავაც გასანაფავ მიმინოს. (ჯდება საგარძელში) ვიფ, საყვარელო, რა კარგია დიდკაცობა! დაბძანდი ასე რბილად, თბილად, ნებიერად და იყავი შენთვის, სანამდი არ მოგეწყიბოს... ამაში რომ კაცს ძილი მოუვიდეს, რავა გეიმტყუნება? თვარა დეეგდები ძალლივით ხმელ ფიცარზე, დაგეუუჟება გვერდები და, რალა თქმა უნდა, რომ ძილი გაგიტყდება და მამლის ყიულს დაასწრებ წამოდგომას!.. ვიფ! საყვარელო! (იზმორება) ბატონების სიზარმაცე სულ ამისთანა სკამ-ლოგინების ბრალია, მე და ჩემმა ღმერთმა! რომ გინდოდეს, მაინც ვერ წაართმევ თავს! (საკრავის ხმა მოესმის) ჩუ! (ყურს მიუგდებს).

იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო,
გაფუზჩულო, ახალ-ნორჩო, შენ პანანინაო!

კინტო

მაგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო!
დაიძინე, იავ-ნანა, ვარდო-ნანინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

ა ლ მ. – ჰე, ბატონო!.. შვილებიც რომ სხვანაირი ებადებათ ამ დიდკაცებს: ერთი ამსიგძე (აჩვენებს თითით) ბალანაა და, თუ ორპირი „ნანინა“ არ მოახსენეს, ისე რავა ინებებს დაძინებას! აი, ბერა, გლეხის შვილები! ვინ გასცემს ხმას, ბევრიც რომ იჭყავლონ? ერთს წაურჩევენ: „აა-აა-აა-აა-აა“ და მიაგდებენ განზე! მაგრამ, რომ ქვე იზდებიან ღვთის მადლით! (კიდევ მოისმის ნანინა);

დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო!
ძუძუებში ჩაგივლია პანანა ხელიო.
შენს ვაშკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო.
აგცილდეს სხვისი მონობა დამამხობელიო,
თავისუფლების სხივები გულს მოგეფინაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო.

ა ლ მ. – არა, რომ თქვას კაცმა, კაი გასაგონი კი არის „ნანინა“. უნდა დახუჭო თვალები ასე და უგდო ყური. (ხანგრძლივი „ნანინა“);

გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო!
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო!
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დალვარეო!..
ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტერი აშინაო...
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..

პანანინა იადონო და ვარდის კონაო,
ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო!
თვალხილულად დაუკვირდი, იცან ქვეყანაო,
რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ გამოცანაო,
მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (იღვივძებს ალმასხანას ხვრინზე) უჲ! რა ტკბილად ჩამძინებია! ეს პირველი შემთხვევაა, რომ ჩემს ხვრინს

კინტო

გამოველვიძებიო. (მოისმის ხვრინი) აჟ?! ეს ვინ წამოპლაკულა აქ? ეი! ვინა ხარ შენ?

ა ლ მ. – (წამოვარდება უცბად და იფშვნეტს თვალებს) ვუი, ამ ჩემს თავს!.. უკაცრავად, შენი ჭირიმე! ჩამყვინთებია ცოტა და...

ა ლ ე ქ. – არაფერია. ვინა ხარ, ჩემო ძმაო?

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ა – ალმასხანა გახლავარ, ბატონო!

ა ლ ე ქ. – ვინ ალმასხანა?

ა ლ მ. – ჰმ!.. ალმასხნა, ბატონო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (თავისთვის) ე რა ცეტი ყოფილა! (ალმასხანას) იმერელი ხარ?

ა ლ მ. – აპა, ვინ უნდა გახდეთ, ბატონო?!

ა ლ ე ქ. – კეთილი! შინაური ხარ, თუ გარეული?

ა ლ მ. – ფხებულუ..

ა ლ ე ქ. – რას იცინი?

ა ლ მ. – ხუმრობთ, ბატონო, და რავა არ გევიცინო?

ა ლ ე ქ. – როგორ თუ ვხუმრობ?

ა ლ მ. – აპა, ბატონო, გარეული რა... ფხებულუ!.. კატა ხომ არა ვარ?!

ა ლ ე ქ. – რას ამბობ, კაცო? მე მინდა, შევიტყო, აქაური ხარ, თუ არა?

ა ლ მ. – რავა, ბატონო, აქაური?

ა ლ ე ქ. – ჰო, აქ მსახურებ, თუ სხვაგან სადმე?

ა ლ მ. – მივხვდი, ბატონო, მივხვდი!.. აქაური!..

ა ლ ე ქ. – მოსამსახურედა ხარ?

ა ლ მ. – აჟ, არა, ბატონო! ლაქიად!

ა ლ ე ქ. – პირველადა გხედავ.

ა ლ მ. – კი, ბატონო! დიდი ხანი არ გახლავსთ, რაც აქ გახლავარ.

ა ლ ე ქ. – ადრე ვისთან იყავ?

ა ლ მ. – ერთ ვაჭარს ვუდექი, ბატონო.

ა ლ ე ქ. – ლაქიად?

ა ლ მ. – ყოლიფრად, ბატონო.

ა ლ ე ქ. – ბევრს გაძლევდა?

ა ლ მ. – თუმანს, ბატონო, თვეში.

ა ლ ე ქ. – აქ?

ა ლ მ. – აქ, ბატონო, ხუთად გახლავარ.

ა ლ ე ქ. – მერე და თუმანი ხუთ მანეთში გასცვალე?

ა ლ მ. – ასე იქნა, ბატონო, და მაინცდამაინც არ ვნალვლობ: იქაურ თუმანს აქაური მანეთი მირჩევნია, თუ მართალს მათქმევინებთ.

ა ლ ე ქ. – რათა?

ა ლ მ. – რათა და მათა, რომ ის თუმანი არც კი მყოფნიდა საჭმელში.

ა ლ ე ქ. – ჟო, შენი ხარჯით იყავი?

ა ლ მ. – არა, ბატონო, მარა სულერთი გამოდიოდა: პურს მისხლობით გვაძლევდენ და ღვინო ზიარებაც არსად იყო და ხორცი ან თებზი... მარა ანკი რავა უნდა მოგახსენოთ? უკაცრავალი პასუხია, მისთანა მყრალი იყო ხოლმე, რომ ძალიან წუნკი კატა არ გაუვლიდა სიახლოვეს, თვარა კბილს რავა დააკარებდა?! უწმინდური პურის ჭამა ჰქონდათ, ტფუ!.. ოხრად დარჩეს კაცს იმისთანა სიმდიდრე!..

ა ლ ე ქ. – აქ?

ა ლ მ. – ჰმ!.. აქ, ბატონო? ყელში ამოგვდის... ოხრათ გვეძლევა ყოლიფერი... ამას გარდაც, ბატონო, ჩემ საქმეს აქ უფრო ვენევი.

ა ლ ე ქ. – რა საქმეს?

ა ლ მ. – განა ფულისათვინ კი არ ჩამოვსულვარ აქ, ბატონო!.. ასეთი აზნაურიშვილი გახლავარ იმერეთში, რომ თქვენი მოწონებული! წიგნის სასწავლებლად გიახელი.

ა ლ ე ქ. – ლაქიობაში?

ა ლ მ. – კი, ბატონო. ჩვენში ვინც კი რამე იცის, სულ ლაქიაობაში არა აქს ნასწავლი?

ა ლ ე ქ. – ბევრსაც მოასწრებდენ.

ა ლ მ. – რატომ, ბატონო? ვისაც კი გულისყური ემარჯვება, იმდენს კიდე ისწავლის, რომ გაზეთებში სწეროს და წიგნები გამოსცეს და, ვინც ლაღანდალაა, არც ის დარჩება ხელცარიელი: სულ რო არა იყოს რა, ადვოკატად კიდევ მაინც გამოდგება.

ა ლ ე ქ. – მართლა? (იცინის) კარგი დაგემართოს!.. მაგრამ, თუ მაგრე სურვილი გაქვსთ სწავლის, რატომ სასწავლებელში არ შედიხართ?

ა ლ მ. – კაი, შენ! მარა ვინ მიგასუნებია?! თუ რუსული არ იცით, ტყვილა ნუ გაუვლით სიახლოვეს სასწავლებელს! და, თუკი ნასწავლი ვიქწები და ყოლიფერი მეცოდინება, მაშინ, მამა უცხონდა, მე რუსს კი მივეკარო!.. ფრანცუუცხან მივალ.

ა ლ ე ქ. – რადგანაც მაგისთანა სურვილი გქონია სწავლის, მოდი ჩემთან და მე გასწავლი.

ა ლ მ. – ვაი, ბატონო, ვინ იქნება მაგისი ღირსი?! ადრე მენახეთ და მცოდნოდა, თქვენ თავს კაცი ველარ მომაშორებდა... მარა, ახლა კი...

ა ლ ე ქ. – ახლა რაიო?

ა ლ მ. – ქალბატონს ველარ ვულალატებ, შენი ჭირიმე.

ა ლ ე ქ. – როგორ?

ა ლ მ. – მის ხელში ვარ, ბატონო, შვილივით მზდის... მასწავლის, რაც შეიძლება!

კინტო

ა ლ ე ქ. – კარგი სწავლება იცის?

ა ლ მ. – ვე! მოგეცათ ლეთის წყალობა!.. მთლათ მოლაყრუ რომ იყოს კაცი, მაინც შეაგონებს.

ა ლ ე ქ. – მაშ, კარგი საქმე მოგსვლია!

ა ლ მ. – ღმერთმა კაი მოგცესთ! არა, ცოტა ახლა ვერ ბძანდება გუნებაზედ ვაჟბატონის გამოისობით.

ა ლ ე ქ. – როგორ?! განა ვაჟბატონი ცუდი კაცია?

ა ლ მ. – არა, ბატონო! ღმერთმა კაი მოგცეს, კაი კაცი ის იყო, მარა...

ა ლ ე ქ. – მარა?

ა ლ მ. – მარა... ნუ მათქმევინებთ, რომ არაფერი წამცდეს, შენი ჭირიმე.

ა ლ ე ქ. – არა უშავს რა! სთქვი!

ა ლ მ. – ნუთ! შენი ჭირიმე, ნუ მათქმევინებთ თვარა არ ივარგებს.

ა ლ ე ქ. – რა უჭირს?

ა ლ მ. – იპ, ჩემათ რომ გახმაურდეს შინაური საქმე, მაშინ ხომ გამიტყდება ნამუსი და გამიშრება პირის წყალი! წყალში თუ გადავ-ვარდები, თვარა ზეზე დასადგომი პირი აღარ მექნება.

ა ლ ე ქ. – არა, ნუ გეშინია! არავინ გაგამხელს!..

ა ლ მ. – ვაითუ, მცდიდეთ, ბატონო?!

ა ლ ე ქ. – არა, ჩემმა მზემ! ეგ როგორ იქნება!

ა ლ მ. – აპა, ბატონო, კაცი კარქია, მარა ცოტა პლუტობა დაჩემდა.

ა ლ ე ქ. – პლუტობა?

ა ლ მ. – კი, ბატონო! არ ვიცი, ჯადონაქნარია, თუ შელოცვილი, მარამ პლუტობს კი... ძალუან პლუტობს!..

ა ლ ე ქ. – როგორ?

ა ლ მ. – რავა, ბატონო, და შინ აღარ დგება. წუნკ კატასავით. ამ დიდებულ ოჯახს, ამ მდიდარ სუფრას მიატოვებს ხოლმე და გარბის სადღაც საპლუტოთ.

ა ლ ე ქ. – რა იცი, რომ საპლუტოთ? ეგებო, საქმე აქვს?

ა ლ მ. – ვნახე, ბატონო ვნახე! ჩემი თვალით ვნახე. ამას წინეთ ორთაჭალისკენ გახდით და იქ ვნახე ბალში.

ა ლ ე ქ. – რა ვუყოთ მერე?

ა ლ მ. – პმ! რავა რა ვუყოთ, შე დალოცვილო?!! ჩამჯდარიყო იმ კოტრებში და ერთი ყოფა პქონდა. დაფა-ზურნის ჭიჭყინით ყურ-თასმენა აღარ იყო... პლუტებში ისე ირჯებოდა, რავარც კაი შინოუ-რობაში. შორიდან მივაფურთხე და წამოვედი ჩემთვინ. არა, რავა ეკადრება დიდკაცის შვილს პლუტებისა და კოტრების აყოლა?.. მე რომ ერთი უბრალო კაცის შვილი ვარ, მეც არ ვიკადრებ იმას!..

ა ლ ე ქ. – მერე?! ქალბატონისათვის ხომ არ მოგიხსენებია?

ა ლ მ. – ჰმ, ბატონო, რა სამახარობლო იქნებოდა!.. ისეც გულ-გახეთქილია.

ა ლ ე ქ. – მაშ, კარგი! ახლა წადი და მოახსენე, რომ აქა ვარ.

ა ლ მ. – კი, ბატონო (მიდის, მერე მობრუნდება) თქვენი ჭირიმე, არ გამცეთ კი! არ გამომჭრათ ყელი, თვარა, თუ ქალბატონმა გეიგო ეს ამბავი, წაგიხდეს მტერი, მე წავხდე და გავფუჭდე, ისე გამიტყდება ნამუსი, რო კორტოხს აქეთ აღარ დამედგომება.

ა ლ ე ქ. – არა! არა, ნუ გემინია!..

ა ლ მ. – ჰა! თქვენ იცით!.. თქვენ ხელშიდა ვარ და... (მიდის. კარებთან შეეფეთება სალომეს. უცბად გახტება განზედ, ვითომ გზას უტევს) ვიჰ, ჩემს თავს! (მიდის).

მეორე გამოსვლა

ალექსანდრე და სალომე

ს ა ლ ო მ ე – (მიუახლოვდება) უკაცრავად, ალექსანდრე, რომ ამდენხანს გაცდევინე! პატარა გამიჭირვეულდა და ეს-ეს არის, ძლივს დავაძინეთ.

ა ლ ე ქ. – (ლიმილით) მესმოდა თქვენი „ნანინა“ ძილში ჩამესმა!.. აგრეა, ჩემო სალომე: ქალი რომ დაქმარშვილდება, „ნანინაც“ უნდა ისწავლოს და „ძილისპირებიც“: ერთი შვილებისათვის დასჭირდება და მეორე კი ქმრისათვის. მაგიერად იმასაც „მზეშინის“ ეტყვიან ხოლმე. ასეა... ადვილი არ არის ოჯახობა.

ს ა ლ. – ადრე მაგრე არ მეუბნებოდი?! შენ არ ამტკიცებდი, რომ ქალი ოჯახის გვირგვინია და ქმარ-შვილი კი ქალისათვის სიტკბოებაო?

ა ლ ე ქ. – განა, მართალი არ არის?

ს ა ლ. – ეჱ, ეგ მართალია, მაგრამ ვაი, რომ ხანდახან ბოლოში გამწარდება ხოლმე.

ა ლ ე ქ. – როგორ? წყალი ხომ არ შემოგპარვიათ შენ და შენს ქმარს, ქალო?

ს ა ლ. – არც უმისობაა. მეზარება თქმა, მაგრამ ვიღას უნდა შევჩივლო ჩემი მწუხარება, თუ არა შენ? აგერ რამდენი თვეა, რაც გული აიცურვა ოჯახზედ, ხელი აგვალო და დასანახავადაც ვეჯა-ვრებით. მისთვის აღარც ცოლია და აღარც შვილი.

ა ლ ე ქ. – ახალი რამ მეგონა!.. ეგ ხომ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ, ნუთუ ამდენ ხანს კიდევ ვერ მოიკლა ჯინი?

ს ა ლ. – რა ბძანებაა?! თავისას არ იშლის!

ა ლ ე ქ. – მერე, შენ ხომ არას ესაყვედურები? ეგებო თავს აბეზ-რებ და აა...
ს ა ლ. – რა პასუხია! ჩემგან ალერსისა და მორჩილების მეტი არა უნახავს რა, მაგრამ რა გამოვიდა?.. რაღაც უცნაური ხასიათები დაიჭირა.

ა ლ ე ქ. – ჰმ! იცი, რას გეტყვი: ძალიან კარგადა შვრები, რომ არაფერს ეუბნები! ყოვლად შეუძლებელია, რომ ჭკვიან ქალს ქმარი ხელიდან წაუვიდეს. სადაც უნდა იყოს, ადრე თუ გვიან, ერთხელაც არის, ოჯახს დაუბრუნდება.

ს ა ლ. – გენაცვა, როდისლა? სიმრთელე და სიჭაბუკე გარედ დახ-არჯოს და სნეულება და სიბერე კი შინ დამიბრუნოს?!
ა ლ ე ქ. – არა, სალომე, შენი ქმარი იმგვარებთაგანი არ არის! იცი, მაგას რა მოუვიდა? იმ ხანში შეგირთო, რომ ჯერ კიდევ არა ჰქონდა მოკლული ჭაბუკობის ჯინი, და ეგ ისეთი აუცილებელი ვალი რამ არის ადამიანის ბუნებაში, რომ, ადრე თუ გვიან, უნდა გამოსცა-დოს კაცმა. ეგეც მალე მოიკლავს მაგ ჯინს, დაგიბრუნდება და, უსაყვედუროსა და ალერსიანს რომ გნახავს, გაგიორკეცებს სიყვარ-ულსა და პატივისცემას.

ს ა ლ. – სანამდე ეგ საძაგელი სამსონ გვერდში ეყოლება, მე იმედი არ მექნება.

ა ლ ე ქ. – როგორ? განა სამსონმა ეგრე ჩაიგდო ხელში?

ს ა ლ. – რა ბრძანება! უმისოდ წყალსაც ვერ აქცევს.

ა ლ ე ქ. – აქამდის აკი მისი მტერი იყო? დღეს რაღა მოსჩვენებია?

ს ა ლ. – დღესაც მტერია, მაგრამ ანგარიში აქვს... უფრო ჩემი მტერობით ირჯება.

ა ლ ე ქ. – განა ადრინდელი სიყვარული მტრობად შესცვალა?

ს ა ლ. – იჸ! იმას სიყვარულის რა გაეგება?.. ადრეც უნი აბრაზე-ბდა და ახლაც ის აბოროტებს. ჩემთან რომ ველარა გააწყორა, ახლა უნდა, რომ ქმარი ჩამომაშოროს.

ა ლ. – მართალს ამბობ?.. ეჰე..

ს ა ლ. – ქა! ილაჯს მიწყვეტს, დღე ერთია და იერიში ათასი! ვეტყოდი ქმარს, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ რარიგია დედაკაცისა-გან ამგვარად მოქცევა და მეორეც ის, რომ განა ჩემი ქმარი დაი-ჯერებს იმაზედ ცუდს რამეს?

ა ლ. – ჰმ! ვერა ჰედავთ იმ საძაგელს?!.. ახლა რას აპირობ? კიდევ არ გინდა, დამიჯერო, რომ ისე მოიქცე, როგორც მე გირჩევ?

ს ა ლ. – მეტი რაღა გზაა, უნდა გავბედო და ისე მოვიქცე, როგორც
მირჩევ; მაგრამ, რომ იცოდე, თუ რად მიღირს მე მაგის გაბედვა...

ა ლ. – გაბედე! მაგას შენი ოჯახის ერთგულება მოითხოვს! მაგაზე
არავინ დაგძრახავს. და ჯერ შენც ისევ ისე ალერსიანად იყავ იმას-
თან. როგორც ყოფილხარ; რაც გითხრას, მოუსმინე! ნურას შეამჩნ-
ევინებ და იმასობაში ჩვენი აზრიც... (უცბად შემოაღებენ კარებს და
შემოვლენ ილია და სამსონ) აი, შენი ქმარიც!..

მესამე გამოსვლა

ისინივე და ილია და სამსონ

ი ლ ი ა – ოჭ, ალექსანდრე! კარგი, რომ აქ მაინც მოგასწავ: დღეს
სულ შენს ძებნაში ვართ.

ა ლ. – ეე! რა ანბავია?

ი ლ. – მერე გეტყვით (შეხედავს ცოლს).

ს ა ლ. – (ალერსიანად) მოხვედი?

ი ლ. – (ცივად) ვერა მხედავთ?

ს ა ლ. – ეგებო პური არ გეჭამოსთ ჯერ! ხომ არ ინებებთ!

ი ლ. – (უკმაყოფილოდ) რაღა დროს პურის ჭამაა?!

ს ა ლ. – აბა, იქნება ჩაი მაინც მიირთვათ?

ი ლ. – (გულმოსული) რას ჩაგვაცივდით?! ცოტა ხანს თავი დაგვანე-
ბეთ, თუ შეიძლებოდეს! მოსახსენებელი რამა გვაქვს.

ს ა ლ. – ბატონი ბძანდებით (მიდის).

ი ლ ი ა – (ნამოვარდება და დადის ჩქარის ნაპიჯით) უჰ! „ხომ არაფერს
ინებებთ“, „მობძანდით“, „ბატონი ბძანდებით“, – უჰ! რა კარგი გასა-
გონია!..

ა ლ. – რა ამბავია? უქეიფოდ ხომ არა ხარ?

ი ლ. – რაღა ამბავი უნდა იყოს? ვერა ჰედავ?.. ის, რომ სიცოცხლე
მომბეზრდა!.. უბედური ვარ!.. უბედური!..

ა ლ. – რას ამბობ? ღმერთმა დაგიფაროს!.. ხომ არ გაგიუდი?!

ი ლ ი ა – აბა, სხვა რაღა დამემართებოდა ჩემი ცოლის ხელში?

ს ა მ. – მართალია, ჭეშმარიტად!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (გაკვირვებით) ცოლის ხელში?

ი ლ. – დაახ, ცოლის ხელში? ნეტავი გულზე ქვა შემება და ეგ კი
არ შემერთო.

ა ლ. – რას ამბობ?! ძალას ვინ გატანდა?

ი ლ. – სიბრიყევე. მაგის ხასიათებს ეშმაკიც ვერ გაუძლებს.

ს ა მ. – ძნელია!

ა ლ. – რაღაც საშინელება უნდა იყოს! უთანხმოება ხომ არ შეგიმჩნევია?

ი ლ. – ნეტავი, მართლა ეგ იყოს, მეტი არაფერი! ეგ ასე არ შემაწუხებდა, მაგრამ განა მაგისთანა ლობიო მოახერხებს კი უთანხმოებას?! უჰ!..

ა ლ. – მაშ, რა უნდა იყოს? არ უყვარხარ?

ი ლ. – ნეტავი მაგას კი მოვესწრებოდე და!.. რად მინდა მაგისი სიყვარული?!

ა ლ. – კაპასია? თავხედობს? არ გემორჩილება? გაწუხებს? თუ...

ი ლ. – არა! არა! არა! და არა!

ა ლ. – მაშ, რაო?

ი ლ. – ის, რომ უხასიათოა: რად მინდა მაგისთანა ცოლი, რომ ოცდაოთხი საათი თვალებში შემომცექეროდეს კატასავით. რა ვუთხრა და რა ვაამო!.. მისმა ალერსმა თავი მომაპეზრა. სიცოცხლე არაფერში არ ეტყობა... რად მინდა მაგისთანა ცოცხალ-მკვდარი ცოლი?!

ს ა მ. – და ეს, ჩემის აზრით, მისი ბრალია, რომ ქმარი არ უყვარს. მუდამ ერთნაირობა გულგრილობის ბრალია და გულგრილობა კი უსიყვარულობამ იცის.

ი ლ. – ხომ გესმის? ე რას ამბობს სამსონი? იმას რომ სიყვარული ჰგონია, ის განა სიყვარულია? ისე სასმელ-საჭმელი უნდა უყვარდეს კაცს, ტანსაცმელი და არა ქმარი. გუგულივით მშვიდობიანი ქალები განა ქალებად ჩაითვლებიან?

ა ლ. – რა ჰქენას, თუ ეგ მისი ბუნებითი ხასიათია?.. თანშობილი!

ი ლ. – და მეც რა ვქნა, თუ არ მომწონს ეგ ხასიათები და ვერ შევეთვისე?

ა ლ. – განა ადრე არ იცნობდი?

ი ლ. – მაშინ... მაშინ სხვა იყო. მაშინ შორიდან მომწონდა და ახლა კი ახლოს აღარ მომწონს.

ს ა მ. – და ხომ შეიძლება, რომ ასე იყოს? კაცი ხომ ყოველთვის ერთს ხასიათზედ არ იქნება: დღეს ერთი რამ მოსწონს და ხვალ მეორე... მანდ დამნაშავე არავინ არის?

ი ლ. – დღის, არავინ არის! არც ჩემი ბრალია, რომ მე მისი ხასიათები არ მომწონს და არც მისი, რომ იმას მისთანა ხასიათები აქვს.

ა ლ. – ეგ ადრევე უნდა გეფიქრა, ახლა გვიანდაა!..

ი ლ. – შევცდი და რაღა გაეწყობა!..

კინტო

ს ა მ. – განა ერთხელ რომ შესცდება კაცი, აღარ უნდა გაასწოროს ის შეცდომილება? თავისი სიცოცხლე სულ ტანჯვაში და სინანულში როგორ უნდა გაატაროს? არა სჯობიან, რომ ერთხელაც არის, გაბედოს და გადარჩეს ჭირს?

ი ლ. – დიახ! პატიოსნება მოითხოვს, რომ არ ვატყუებდე ჩემს ცოლს: მე მისი სიყვარული აღარა მაქვს და აღარც შემიძლიან იმას-თან ცხოვრება. აი, ეს სახლი, ეს კარი, ეს სიმდიდრე, სუყველა ღმერთმა მოახმაროს და ჩემგან კი აიღოს ხელი. ავადაც დამეხსნას და კარგადაც. თუ მაინცადამაინც უნდა, ქვეყნის დასახავად დავრჩეთ ცოლ-ქმრად და ისე კი ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ!.. რაც უნდა, ჰერნა! ვინც უნდა, ის შეიყვაროს! ნება ექნება!

ს ა მ. – აი, პატიოსანი სიტყვა! მეტი რაღა უნდა?

ა ლ ე ქ. – მართლა ამბობთ მაგას? მაში, გადაგინყვეტიათ კიდეცა?

ი ლ. – დიახ. და მიტომაცა გეძებდი, რომ ესეები მეთქვა შეზოვის და ეს წიგნიც გადაგეცა მისთვის.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – რა წიგნია?

ი ლ ი ა – აქ მოკლედ ვეუბნები ყოლიფერს და ვეთხოვები კიდეცა... შენი გაზდილია – შენ უფრო კარგად აუხსნი და შეაგონებ... ყმანვილია... მებრალება კიდეც. მაგრამ რა ვჰქნა, რომ მეტი ღონე აღარ არის!..

ა ლ ე ქ. – (უკმაყოფილოდ) მე მაგვარ მახარობლობას ვერ ვიკისრებ!

ს ა მ. – მე მიბოძეთ!.. მაგისთანა შემთხვევაში უსიამოვნებას განა როგორ უნდა მოერიდოს კაცი?.. მეგობრის გულისათვის, ეგ კი არა, წყალში ვარდებიან.

ა ლ ე ქ. – ისემც კარგი დაგემართოს!.. განა არ ვიცი, რომ მეგობრობა გწამს და იცი. მშვიდობით! (ეპირება ნასვლას).

ი ლ. – მომითმინე! მეც მოვდივარ და ერთად წავიდეთ ბარებ. (სამსონს) აპა, აი, შენ გადაეცი და პირადაც ყოლიფერი უთხარი. ნურას დაუფიცავ. აუხსენი შენებურად!

ა ლ. – მაგაზედ რაღა თხოვნა ეჭირვება?! თავისებურად აუხსნის!

ს ა მ. – კეთილი! ბატონი ხართ, რაღა ბევრი თხოვნა მეჭირვება?!

ი ლ. – მე იქ ბიჭს უუბძანებ, სალომეს მოახსენოს, რომ შენთან გამოვიდეს და მოგელაპარაკოს. საქმეს რომ მორჩე, მოდი, შემატყობინე! ხომ იცი, სადაც ვიქნები?

ს ა მ. – (მარტო) ჰე! თუ ახლაც ველარას გავხდი, მერე კი იმედი აღარაფრის მექნება!.. ფრანცუზები ამბობენ: „ქორწინება სიყვარულის სამარეან“. ეს კი არა და ცოლის შერთვა კი ჭკუის კუბო ყოფილა: რა მაგისთანა ჭკვიანი კაცი იყოს, არ შეიძლება, რომ ცოლის შერთვის შემდეგ არ გამოტვინდეს ცოტაც არის. თვალები ეხვევათ იმ უბედურებს! მადლობა ღმერთს, რომ ასეა, თორემ... თუ ცოლიანებს

თვალები არ ჰქონდესთ ახვეული, მაშინ უცოლოები სულ თავპირახ-ვეულები იქნებოდენ.

მეოთხე გამოსვლა

სამსონ და სალომე

ს ა ლ ო მ ე – (მიუახლოვდება მშეიდობიანად) ჩემს ქმარს უნებებია, რომ მოგელაპარაკოთ, და რა გაქვსთ სათქმელი? არ შეიძლება გვიბ-დანოთ?..

ს ა მ. – (ვითომ შეწუხებით) ჭეშმარიტად, ის უსიამოვნო ამბავი, რომელიც ჩემგან უნდა გაიგონოთ, ისე მანუხებს, რომ სიტყვის თქმა მეძნელება, მაგრამ რა გაეწყობა. ეს პირველი არ არის მარტო თქვენ-ზედ, და, მასთანაც, რისიც გასწორება აღარ მოხერხდება, ის კაცმა მოთბინებით უნდა მიიღოს!..

ს ა ლ. – (ჯდება) თუმცა მაგგვარის ბოდიშებით, როგორცა სჩანს, სასიამოს არას მექადით, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მზადა ვარ მოვ-ისმინო! ბძანეთ.

ს ა მ. – აი, აქედან გაიგებთ! (აძლევს წიგნს) ჯერ წაიკითხეთ!

ს ა ლ. – (კითხულობს) ჰმ!..

ს ა მ. – არ გიკვირსთ?

ს ა ლ. – სულაც არა! ეს ასე უნდა მომხდარიყო!.. ეს ბოლო აუცილებელი იყო!.. ისიც დიდია ჩემი ქმრის გულწრფელობისაგან, რომ ამდენს ხანს დაუფარავს და არა უთქვამსრა... დიახ! მაგრამ მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ სამოციქულოდ გაუხდია საქმე: როდესაც ჩვენ სიყვარული გამოვუცხადეთ ერთმანეთს და ცოლ-ქმრობაზედ პირობა დავსდევით, თუკი მაშინ არ დაგვჭირვებია შუაკაცი, დღეს რაღა საჭირო იყო? განა არ შეეძლო პირად ეთქვა ის, რასაც ამ წერ-ილით მატყობინებს, და ან თქვენის პირით რად მიცხადებს?..

ს ა მ. – კაცი საზოგადოდ თავმოყვარეა: სასიამო ტვირთს თვი-თონ ეწევა და უსიამოსა კი სხვასა ჰკიდებს.

ს ა ლ. – მიკვირს, რომ თქვენ გიკისრნიათ მაგვარი ტვირთი!..

ს ა მ. – მეგობრობას ვეღარ წაუვედი!..

ს ა ლ. – თქვენ?! საუცხოვოა! ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

ს ა მ. – რას დამცინით?..

ს ა ლ. – დაგცინით?! რასა ბრძანებთ? ვის შეუძლიან დასცინოს იმას, ვინც არა თუ ერთი ვინმე მეგობარი, საზოგადოთ მეგობრობაც უარჲყო საქმით და სიტყვითაც კი დასცინის?

კინტო

ს ა მ. – მე მეუბნებით მაგას? ჰმ... რა გაეწყობა, უნდა მოვით-ბინო!.. მაგრამ იყო დრო კი, რომ მაგგვარს ვერას გამიბედავდენ!..

ს ა ლ. – უთუოდ, როცა არც თქვენ აძლევდით მიზეზს.

ს ა მ. – ჰმ... მართალს ბრძანებთ! კაცი რომ ჭკუას დაპკარგავს, დაბალი ღობე გახდება: ყველა გადააბიჯებს...

ს ა ლ. – და სინდისს რომ დაპკარგავს, ამალლდება?

ს ა მ. – გააგრძეთ! გააგრძეთ. მემართლებით... ყოლიფრის ღირსი ვარ დღეს, როდესაც ჩემი ქართველური გულწრფელობა ყიზილბაშობაში გავსცვალე, გავბოროფდი, გავშმაგდი, ალარ მაქვს ალარც მეგობრობისა და ალარც ამხანაგობის გატანა!.. მაგრამ არ იცით, ვისი ბრალია?..

ს ა ლ. – ვისი?

ს ა მ. – თქვენი!

ს ა ლ. – ჩემი?!

ს ა მ. – დიახ, თქვენი! ერთსა და იმავე დროს მეცა და ილიაც ორნივ ერთად გიდექით გვერდში... არჩევანში იყავით შესული. ის აირჩიეთ და მე დამგმეთ! მაგრამ რისთვის? რითა მჯობდა მე ის? თვალტანათ ვიყავი იმაზედ ნაკლები და ჩემი ახალგაზდობა საზოგადოდ სხვაში რამეში ჩამოუვარდებოდა მისას? რაში მიეცით იმას ჩემზე უპირატესობა?

ს ა ლ. – სიყვარულში.

ს ა მ. – სიყვარულში? ხა, ხა, ხა, ხა! და სად არის ის სიყვარული? რა იქნა?

ს ა ლ. – იყო და აღარ არის.

ს ა მ. – მაშ, ძალიან მოკლე ზღაპარი ყოფილა! ახლა ხომ ხედავთ, რომ თქვენის ნინდაუხედაობით მეც დამტანჯეთ და თქვენი თავიც გააუბედურეთ; ან თქვენს ბედსაც უნდა ემდუროდეთ!

ს ა ლ. – რადა? დიდხანს ვიყავი მე იმასთან ბედნიერი, ღმერთს ვმადლობდი და ბედს ვემადლიერებოდი! ახლა ნავიდა ის დრო!.. რა გაეწყობა!.. მე კიდევ მაინც არ მმართებს უმადურობის გამოჩენა არც ერთზედ! ერთხელ ხომ ბედნიერადა ვგრძნობდი ჩემს თავს!.. და საუკუნო არა არის რა! ყველაფერსა აქვს დასასრული! მადლობა ღმერთს, რა გაეწყობა!..

ს ა მ. – ეგ არის თქვენი აზრი? არა, არა სჩანს, რომ თქვენ ის გყვარებიათ, თორემ ახლა აგრე გულგრილად ვერ დაუხვდებოდით მაგ შემთხვევას; ახლა კი ვხედავ, რომ არც ადრე გწამებიათ მისი სიყვარული.

ს ა ლ. – სცდებით! მჯეროდა და წმინდის გულითაც ვაძლევდი პასუხს. ახლაც რომ მითხოას: დამიბრუნებია სიყვარული, უეჭვოდ მივიღებ! მე კარგად ვხედავდი, რომ მისი სიყვარული ნამდვილი იყო.

ს ა მ. – რაო? იმ კაცის გრძნობა, რომლის სიყვარულსაც ასე მალე მოეკვეცა ფრთები, ნამდვილი იყო... და მე კი, რომელსაც ადრეც მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ და სამუდამოდაც მეყვარები – ვსტყუოდი?!

ს ა ლ. – დიახ, გეჩვენებოდათ!

ს ა მ. – მეჩვენებოდა?

ს ა ლ. – სწორედ. არ იცით, რომ სიყვარული ორგვარია? ხანდახან... ძალიან იშვიათად ჩვენ შევხვდებით ხოლმე ისეთ ადამიანს, რომელიც რაღაც ძალაუნებურად იტყუებს ჩვენს ყურადღებას, გაცნობისთანავე სული იმის მეგობრობას თხოვილობს, გული – სიყვარულს და ჭკუა ორივეზედ თანახმა..... ის სურვილი რაღაც სხვანაირია, გინდა, რომ გიყვარდეს დედაშვილურად, და-ძმურად და ამხანაგურად. იმ დროს ყოველი პირუტყვული გულისთქმა და ვნება მინელებულია. მართალია, ამგვარ სიყვარულსაც საბოლოოდ ალერსი და ხვევნა-კოცნა მოსდევს, მაგრამ ის არის სიყვარულის შედეგი და მიზეზი...

ს ა მ. – ეგ ვინ არ იცის? განა ახალი რამ გგონიათ?

ს ა ლ. – მომითბინეთ! ახლა მეორეც ვნახოთ: ხშირად... ძალიან ხშირად... პირუტყულ გულისთქმის დროს შეეყრებით ხოლმე ისეთ ქალებს, რომელთანაც ალერსი და ხვევნა-კოცნა შეხედვისათანავე მოგინდებათ ხოლმე. თუ მალე, გაუჭირველად დააკმაყოფილეთ ის სურვილი, ხომ კარგი, ის შემთხვევა არაფრად ჩაივლის: თუ გინდა, ერთი ჯამი შარბათი შეგესვასთ! მაგრამ, თუ საწინააღმდეგო რამე გამოგიჩნდათ და მალე ვერ აისრულეთ სურვილი, მაშინ კი კაცის გამხეცებულ თავმოყვარეობას ცეცხლი ეკიდება და უინი სიყვარულად იცვლება; მაგრამ ის სიყვარული, როგორც პირუტყვულ მოთხოვნილების შედეგი, მანამდი ღვივის, სანამ თავმოყვარეობა არ დაკმაყოფილდება... შემდეგ კი უეცრად... ერთთავად ჰქონდა!..

ს ა მ. – არც ეგ გახლავსთ ჩვენთვის ახალი რამ! დიდი ხანია, ვიცით!..

ს ა ლ. – არა! ეგ რომ გცოდნოდათ, ისიც გეცოდინებოდათ მაშინ, რომ თქვენი სიყვარული მეორეგვარი იყო და არის.

ს ა მ. – ილიასი?

ს ა ლ. – პირველი.

კინტო

ს ა მ. – ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! პირველგვარი სიყვარული... გარევნილ ბუნებაში!.. უხასიათოში... სუსტში!..

ს ა ლ. – (უცბად) ვისზედ ბრძანებთ მაგაებს?

ს ა მ. – ილიაზედ.

ს ა ლ. – ჰმ... განა მაგის მიზეზი მოგცათ?

ს ა მ. – მიზეზი?.. განა ცოტაა? ვინ გაჰკიცხა უმიზეზოდ თქვენი სიყვარული, თუ არ იმან?.. ვინ გაგცვალათ უნამუსო დედაკაცებში?..

ს ა ლ. – (წამოდგეპა) გეყოფათ!.. მე ნებას ვერ მოგცემთ, რომ ჩემთან მაგრე ილაპარაკოთ ჩემს ქმარზედ.

ს ა მ. – დაგავიწყდათ, რომ თქვენი ქმარი აღარ არის?

ს ა ლ. – არა, ის ჩემს ქმრობაზედ იღებს ხელს და არა ადამიანობაზე... ვინც უნდა იყოს პატიოსანი კაცი, ჩემთვის ერთია. იმაზედ ცუდის თქმას მაინც არავის შევარჩენ.. ჩემი ქმარი გულწრფელი კაცია და პირდაპირი; მისი ავიცა და კარგიც აშკარაა, მაგრამ თქვენისთანა გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა კაცის საქმე კი სულ სხვა არის. მე თქვენა გთხოვთ, რომ დღეის იქით ჩემსა აღარ გაიაროთ, მით უფრო, რომ ჩემი ქმრის მეგობარი ბრძანდებით!.. (მიდის).

ს ა მ. – (მარტო) გაგონილა!.. მე, რომელიც ისე გათამამებული ვარ ლამაზებისაგან, რომ მათი სიყვარული ჩემი ნება მგონია, უნდა ამას ვითმენდე ამ მაიმუნისაგან? მაშ, კარგი, ვნახოთ, როგორც უნდა სირცხვილის ჭმევა!..

მასუთა გამოსვლა

ისვე და ალეასხანა შემოდის და ახველებს

ს ა მ. – ჰმ?..

ა ლ მ. – ქალბატონმა გაახლათ ჩემი თავი.

ს ა მ. – რაო?

ა ლ მ. – რა მოგახსენო, ბატონო!

ს ა მ. – რად გამოგაგზავნა?

ა ლ მ. – ტყველად, ბატონო! ასე!

ს ა მ. – რავა ასე?

ა ლ მ. – ასე ბატონო! იახელი, რომ კიბეზედ ფეხი არ ჩაცურდესო.

ს ა მ. – რაო?

ა ლ მ. – ფეხიო, ბატონო! ფეხი არ ჩაუცურდესო და ჭიშკრამდინაც მიაცილეო, რომ ფეხში ძალმა არ უკბინოსო!

ს ა მ. – გაჩუმდი! წუ წაგიგდია ენა!..
ა ლ მ. – რა ვენა, ბატონი!.. რა ჩემი ბრალია?! მიბრძანეს, ბატონი, და...
ს ა მ. – ახლა მე გიბრძანებ, რომ გაეთრე შენთვის.
ა ლ მ. – ჯერ სხვას ვახლავარ და, როცა თქვენ გიახლებით,
ბატონი, მაშინ მიბრძანეთ.
ს ა მ. – პოშოლ ვონ!..
ა ლ მ. – ვერა, ბატონი! ჯერ თქვენ პოშოლ და მერე მეც გიახლე-
ბით, ასეა ბრძანება.
ს ა მ. – (მივარდება) ვის უბედავ მაგას! შე წუნკო და წუნკის
შვილო, შენა?! სულ კბილებს ჩაგამტვრევ!..
ა ლ მ. – (გულმოსული) რაო? ვეიპლეჩი!.. ვინ გგონივარ მე შენ?
ლაქია რომ ვარ, თუ? შენისთანა ყაძახები მახლავს იმერეთში!.. რავა
გამლახავ, რომ გამლახავ?! კბილები, რავა, მამიშენისაგან მაქ ნას-
ესხები, თუ?! ვაიმე! რა ყოფილა ეს!.. წაბრძანდი ახლავე, თვარა,
ქალბატონი წუ მომიკვდება, ასე გაგიყვან აქედან, რომ უკანაც არ
მოგახედო!.. რავა გაუვიდა თავს, რომ გოვუზუმდი?.. გაბძანდი! გა!..
(კარებს უღებს და ხელით უჩვენებს).

ს ა მ. – (გარბის გულმოსული) კარგი, კარგი და შენს სეირს გაყურე-
ბინებ, შე იმერელო, შენ!.. (მიდის).

ა ლ მ. – (უკან მისძახის) იმერელო?! შენი დასაწუნარი ვარ, შენმა
სიცოცხლემ, სწორეფ ქვე არ წოუხდა!.. ბრანი შენს საქმეს და ბრანი!..
(ბრანს უგზავნის, ფარდა ეშვება).

მეორე მოქმედება

პირველი სანახავი:

ლეინი პალეი

I-ლი გამოსვლა

ილია, სამსონ, გეო, მანუა, თამაზა და სხვანი სხედან სუფრაზედ
და იმღერიან

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჰარი-არალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარი-არალი,
შემოდგომამან ბახუზი, ჰარ...
საწნახელში ჩააყენა, თარ...

კინტო

ზ ო გ ო ე რ თ ე ბ ო – ჰაზარუუუ!..

ს ხ ვ ე ბ ო – ჰაზბანდარრუუუ!..

გ ე ო – ყმაწვილებო, აბა, აივსეთ! ეს იმის გულისა... ვისიც გული-დან ეს ლოთიანი სიტყვები ამოლებულა! ალლავერდი!

ყ ვ ე ლ ა – იახშიოლ!

მ ა ნ უ ა – იახშიოლო! აი, იმის გულის კუნჭულოს სულის ჭირიმე! უთქომს რაღა!

თ ა თ უ ზ ა – მერე?! უთქომს და ანგრე რიგად!..

ი ლ ი ა – იცით, ეგ ლექსი ვისი ნათქვამია?

თ ა თ. – კარგად კი უთქომს იმ მამაცხონებულის შვილსა და... ლოთიანად!..

ი ლ. – ღენარლის ნათქვამია.

მ ა ნ. – რაო?! ეჱ! ღენარალი კი არა, პოლკოვნიკი არ გინდა!..

ი ლ ი ა – არა გჯერა?

თ ა თ უ ზ ა – ეჱ! ხუმრობ, კნიაზჯან! ღენარალი ამას რად იტყოდა?! განა იკადრებდა?!

ი ლ. – როგორ, განა არ ვარგია?

თ ა თ. – ვინ ამბობს?! ძალიან კარგია, მაგრამ ღენარლის ხელობა არ არის და...

ი ლ. – მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ჰო!

თ ა თ. – დალოცვილო, ღენარალი, გინდა პოლკოვნიკი, ამას იტყვის?.. იმის ხელობა „ნაპლეჩუა“. ეს იმისთანა კაცის ნათქომი იქნება, ლმერთს რომ უყვარს.

გ ე ო – ეეჱე! არ გაათავებ?.. დალოცვილებო, რად აწუხებთ, ვინც უნდა იყოს! უთქომს და მორჩომილა კიდეცა! უცხონდეს მამის სული!.. ტყვილად ჩვენ ჩვენს საქმეს რადა ესცდებით? (იმღერიან)

ნოემ რა ერთხელ ინება, ჰარ...

ყურძნის წვენის გემოვნება, თარ...

თვითონ ნუნუას მიუჯდა, ჰარ...

წყალი პირუტყვს დაანება, თარ...

ზ ო გ ო ე რ თ ე ბ ო – ჰაზარუუ!

ს ხ ვ ე ბ ო – ჰაზბანდარრუუ!

გ ე ო – აბა, ერთიც კიდევ აივსეთ! ჰო, ეგრე, თქვენი კი ჭირიმე!.. როგორც კაცი არ ვარგა უძმაბიჭოდ, უამხანაგოდ, ისე არც სიმღერა ვარგა უსაზანდროდ!.. ქეიფი არ ექნება! ეს მისი სულის იყოს, ვინც

კინტო

საზანდარი მოიგონა და ვინც პირველი ზურნა დაუკრა! ალლავერდი თქვენთან, მეზურნეებო!

ყ ვ ე ლ ა – იახშიოლ! იახშიოლ! იახშიოლ!

მ ა ნ უ ა – (მეზურნეებს) ვა! დაუკარით რაღა! (იმღერიან)

მაშ, მოდით ისევ ლვინითა, ჰარ...

დრო გავატაროთ ლხინითა, თარ...

ქეიფი მაინც მოგვივა, ჰარ...

გოგრითა ვსოთ, თუ ჩინითა, თარ...

როს დავესწრათ გაზაფხულსა, ჰარ...

ველს დავსხდეთ მწვანით მოსილსა, თარ...

ჩვენ წითელს დვინოს ვენაფნეთ, ჰარ...

ვარდი ვანებოთ ბულბულსა, თარი-არალი...

(ამ დროს შორეახლოდან მოისმის შარმანების ხმა)

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი – ვა! ეს ვინ ოხრები მოთრეულან აქა, რომ ქეიფს გვიფუჭებენ?! სხვა ადგილი ველარ მოუნახავთ?!

გ ე ო – (მეზურნეებს) აბა, ასწიეთ ერთი, რომ იმათმა ეშმაკის საჭი-ჭყინომ ხმა ჩაინტევიტოს! ჰო! თქვენი ჭირიმე! ეგრე! ეგრე!

მ ა ნ უ ა – ვა! ვერა ხედავთ, რომ არ ჩუმდებიან? მაინც თავისას არ იშლიან!

გ ე ო – არ იშლიან რომელია? აბა, ერთი წავიდეთ, იმათ ცხრა-ცხრა ლიტრიანები უუჩვენით და თუ არ წავლენ, ვნახოთ!

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი – აბა, ჰე! ერთი მაგათ! (მიაშურებენ, აქ დუდუკი უკრავს. იქ ცოტა ხნის შემდეგ შარმანების ხმა შეწყდება და კიუინა მოისმის) ლაზარე! ლაზარე! ეი! ეი! ლაზარრეეე! (მობრუნდებიან).

გ ე ო – ძლიერ გავლალეთ, ის მამაოხრის შვილები!..

ი ლ. – რას ერჩოდით?

გ ე ო – ჩვენ რას ვერჩოდით?.. ჩვენ კი არა, ისინი გვიშლიდენ ქეიფს...

ს ა მ. – იმათაც ქეიფი უნდათ.

მ ა ნ უ ა – უნდოდათ რომელია? სხვა ადგილი ვერსად მონახეს, აქ რომ მოლიან?!

გ ე ო – იმათი საქმე ოტკა და დუქანია... ჩვენს ბალებში რა უნდათ?.. ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო!

თ ა თ. – მამა უცხონდათ!.. იმ ტუტუცს, იმ ვირსა მოუდევს ზურგზე ათფუთიანი ზანდუკი, ისიც უკურტნოთ და აჭიჭყინებს... თავი მოსწონს, რაღა!

ს ა მ. – მისი ხელობა ის არის.

მ ა ნ. – ხელობა?.. ვა! ხელით ასე ტრიალი ხელობაა? დათვი კი ვერ იზამს მაგისთანა ხელობას?

თ ა თ. – ხელობა?! განა ჩვენი დაფა-ზურნაა, რომ ბევრი რამ უნდოდეს? ბრიყვის ხელობაა!.. განა იმას კარგი რამ ოსტატობა უნდა?!

ს ა მ. – განა ჩვენი ზურნა კი რაღა არის?

გ ე ო – ეჲ! რა ბძანეთ ეგა?! ზურნა და შარმანკა განა ერთია?

ს ა მ. – რატომ არა?

გ ე ო – ერთი ეშმაკისაა და მეორე კი ღვთის. ჩვენი დუდუკი ნაკურთხია.

ი ლ. – ნაკურთხი?

გ ე ო – ვა! მაშ?

ი ლ. – ვის უკურთხებია?

გ ე ო – ვა! ქრისტე ღმერთს, გალილიაში.

ი ლ. – (სიცილით) გალილიაში?

გ ე ო – ვა! დალოცვილო! მაგდენ წიგნებს რომ კითხულობთ, ეგეც არ იცით? ჩვენი წმინდა სახარება მაინც აღარ გაგიგონიათ?..

ს ა მ. – რაო?

გ ე ო – ეგ ამბავი სულ იქ არის ჩაწერილი.

ი ლ. – რასა პპოდავ?

გ ე ო – ვა! ბოლვა რომელია?! მაშ ქრისტე ღმერთი რომ ქორნილში დაესწრო, არ გაგიგონია?

ი ლ. – ეგ კი ვიცი! გალილიაში.

გ ე ო – გალიაში რომელია?! რას ამბობ, კნიაზჯან? გალიაში კი არა, ოჯახში!.. ღვინოც რომ შემოაკლდა მასპინძელს და მაშინ ქრისტე ღმერთმა უბრძანა, ვენაცვალე მის ძლიერებას, ნუ შესწუხ-დები, შენ ხათრი ნუ გაქვსო! და წყალი გადაუქცია კახურ ღვინოდ... აბა, მაშინ გაიმართა ლხინი და გამხიარულდენ სტუმრები.

ი ლ. – (იცინის) ჰო, ეგ ვიცი! ვიცი!

გ ე ო – მაშ, თუ იცი აბა, ვინ იყვენ მაშინ იქ დამკვრელი საზან-დრები?

ი ლ. – ვინ?

გ ე ო – ვინა და მეზურნები!.. მაშინ ღმერთმა აკურთხა საზან-დრების მარჯვენა, დაულოცა თავი და უთხრა: ჯერ, სანამ მე აქა ვარ, თქვენც ამ ქვეყანაში იყავით და მერეები, სადაც უკეთესი ქვეყ-ანა ნახოთ, იქ წადითო!.. ისინიც ადგენ და ჩამოვიდენ ჩვენ ქალაქში, მასუკან სულ აქ არიან!

ი ლ. – (იცინის) მართლა?

გ ე ო – ვა! რას იცინი, კნიაზჯან? ჩემი თავის მზემ!.. სანამდი ქრისტიანობა ქვეყანაზე არ მოისპობა, არც ზურნის ხმა უნდა გაწყდეს ჩვენს ქალაქში, ამიტომ რომ ნაკურთხია! შენ კი, დალოცვილო, შარ-მანკას ადარებ!.. შარმანკა რომელია?! აი, გაწყდეს მისი...

(ხმა მოისმის): ახალი თევზი! ახალი! პა, პა, პა! რა თევზია! რა თევზი!.. (კინტო შემოდის).

მეორე გამოსვლა

ისინივე და კინტო

კ ი ნ. – ახალი თევზი! ცოცხალი თევზი!.. ოჰ, კამპანიას გაუმარ-ჯოს. (ამოილებს ფეშტოლიდამ თევზს და უნძრევს ბოლოს. მერე გადაუგდებს კამპანიას) ვიფ! ლხინი გაამოსთ!..

კ ვ ე ლ ა – გაგიმარჯოს!.. მოდი, დაგვეწვიე!..

კ ი ნ. – კეთილი! (ჯდება).

ს ა მ. – ვინა ხარ, ძმაო?

კ ი ნ. – ვა! ვერა მხედავე?

ს ა მ. – გხედავ, მაგრამ შუბლზედ ხომ არ გაწერია, ვინც ხარ?!

კ ი ნ. – ჩემი შუბლი განა ქალალდი გვინდა, კნიაზჯან?

ს ა მ. – მეც მაგას გეუბნები, რომ არა! გიყურებ მაგრამ რომ არ მაგონდები!

კ ი ნ. – არც მე მაგონდებით, კნიაზჯან.

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი – მართლა, რომ არსად გვინახივხარ...

კ ი ნ. – არც მე, ჩემი თავის მზემ.

ი ლ. – მაშ, სადაური ხარ?

კ ი ნ. – საიდამანაც უნდა ვიყო, ვარ, რალა!

ს ა მ. – კიდეც ეგ არის, რომ გვინდა შევიტყოთ, ვინა ხარ?

კ ი ნ. – მე ვინა ვარ?.. მე ვარ!.

ს ა მ. – პმ! ვინ შენ? რა მოხელე ხარ?

კ ი ნ. – ხელობა?.. ყოლიფერი ხელობა ვიცი! რაც გინდა, ისა ვარ, გინდ, ტერტერაცა ვარ.

ი ლ. – რას ამბობ?

კ ი ნ. – მაშ, გეუბნებით, ყველაფერი ვართქო. კინტო ვარ, რალა!..

ი ლ. – (იცინის) დღეს რაღა ხელობას ადგიხარ?

კინტო

- კ ი ნ. – ახლა?.. პეტრეს შეგირდი ვარ.
ს ა მ. – როგორ თუ პეტრეს შეგირდი?
კ ი ნ. – ვა! ის, რომ პეტრე ჩემი ისტატია!.. მიხვდი?
ს ა მ. – ვინ პეტრეა?
კ ი ნ. – პეტრე მოციქული.
ი ლ. – ჯერ პატარა ხარ, მაგრამ დიდად კი ხუმრობ.
კ ი ნ. – ხუმრობა რომელია?.. ჩემი სიყრმის მზემ, მართალს ვამბიძებ! პირველი მეთევზე განა პეტრე მოციქული არ იყო? ბადე მისი მოგონილია!.. მაშ, მეთევზები ყველა მისი შეგირდები არიან. მეც, ეს ერთი ხანია, თევზებს ვიჭერ.
ს ა მ. – სახელი რა გქვიან მაინც?
კ ი ნ. – აღარა მაქვს, კნიაზჯან!.. მორევში ჩამივარდა, იქ დარჩა!.. ეჰ, კნიაზჯან! ვიყო, ვინც ვიყო!.. მოგიწვევივართ – მეც გწვევივართ; თქვენ მასპინძლები – მე სტუმარი!.. კმარა!.. მე არ გეკითხებით, თუ ვინა ხართ.....
გ ე ო – კარგია, დაანებეთ თავი, ვინც უნდა იყოს... ჯერ ერთი, კარგად სადლეგრძელოები გადავაკვრევიოთ და მერე ამოიდგამს ენას!.. ალავერდი შენთან!.. აბა!.. (მოანოდებს ოთხს ჭიქას ერთად) ჯერ ერთი აზარბარი დალი ჩვენთან, გაგვისწორდი!
კ ი ნ. – (ჩამოართმევს) იახშიოლ! მაგრამ ჯერ მე არც ტოლიბაში ვიცი და არც თქვენი სადლეგრძელო!.. მე მოგსულვარ – ჩემი სალო-ცავებიც თან მომიტანია! ჯერ იმათ მოვრჩები და მერე მეც თქვენთან ვარ. მაშინ, რაც გინდათ, ის მიბძანეთ!.. გაგიგონიათ: სტუმარი მასპინძლის ვირიაო?..
ყ ვ ე ლ ა – კეთილი! კეთილი! მაგრე იყოს.
კ ი ნ. – ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენ კამპანიას ერთობით!.. ალლავერდი, ტოლიბაშო.
გ ე ო – იახშიოლ.
კ ი ნ. – ვა! მეზურნები დაყრუებულან?.. ზურნას ენა რად ჩავარდნია?.. ტოლიბაშო, ალლავერდი! არ გესმის? აბა, მოულხინე ამ სადლეგრძელოს, რაღა!
გ ე ო – არკი გითხარ: იახშიოლმეთქი?!
კ ი ნ. – ვა! მაგის მეტი აღარა ეჭირვება რა? ეგ არის? მაგას ეძახით თქვენში მოლხენას? ადე, ერთი დაუარე! აბა, დაუკარით, რაღა!.. (გეო გადადის და თამაშობს კინტოურს) ჰოო! გიცხონდა მამის სული! გცოლდნია მოლხენა!.. ეგ მიყვარს, აი! ეგრე უნდა, ლოთიანად! (გეო ათავებს ლეკურს, თავს უკრავს და ჯდება) ეს ღმერთმა გაუმარჯოს

კინტო

თქვენ საყვარლებს! (ილიას) ალლავერდი თქვენთან, კნიაზჯან! აბა, ინებეთ ერთი თქვენც მოულხინეთ ამ სადღეგრძელოს!

ი ლ. – იახშიოლ! მაგრამ რომ არ შემიძლიან?

კ ი ნ. – ფეხები გტკივა?

ი ლ. – არა, მაგრამ არ ვიცი.

კ ი ნ. – ეჰ, არ ვიცი რომელია?.. თქვენი საყვარელი განა ცოცხალია, კნიაზჯან! მკვდარი ხომ არ არის?

ი ლ. – როგორ თუ მკვდარი?

კ ი ნ. – მაშ, თუ ცოცხალია, განა შენისთანა კაცი შეუყვარდება?.. (მანუას) მაშ, შენთან ალლავერდი! ადე, ერთი მოულხინე კნიაზის საყვარელს! უკაცრავად, კნიაზჯან, არ გეწყინოს კი! ლხინია! (მანუ თამაშობს).

მ ა ნ. – კამპანიას გაუმარჯოს! (ჯდება).

კ ი ნ. – ცხონებული კაკაბუა იტყვოდა ხოლმე: „კარგი კაცის დალოცვა მადლია, მაგრამ ცუდი კაცის დაწყევლაც არ არის ცოდვაო“. ეს ლმერთმა დასწყევლოს, შეაჩვენოს ის კაცი, ვინც მეგობრის გატანა არ იცოდეს!.. ვინც ძმაბიჭის გულისათვის ან ცეცხლს დაერიდოს, ან წყალს და ან პოლიციას შეუშინდეს! (სამსონს) ალლავერდი შენთან, კნიაზჯან!

ს ა მ. – იახშიოლ! (თათუზას) აბა, ერთი შენ დაუარე ჩემ მაგიერ!

კ ი ნ. – არა, კნიაზ, ამისთანა სადღეგრძელოს მოლხენა კი არა, თვალში ნაცარი უნდა! ნუ ირჯებით!.. ეს ლმერთმა დასაჯოს, შეურცხვევნოს ნამუსი და პირი იმას, ვინც მეგობრის ცოლს არშიყობა დაუწყოს. (სამსონს) კიდევ თქვენთან, კნიაზჯან, ალლავერდი!

ს ა მ. – ეჟ! რას ამიტყდი?! ჩემს მეტი ვეღარავინ დაინახე?

კ ი ნ. – ნუ გეწყინება, კნიაზჯან! შენ მომიხვედი ისე ნიშანში!.. ჰე, მე მოვრჩი! ეხლა თქვენ იცით!.. მეც თქვენს ნებას ვეღარ წაუვალ!..

გ ე ო – მაშ, ეს ლმერთმა გაუმარჯოს შენ საყვარელს! ალლავერდი!..

კ ი ნ. – იახშიოლ!

მ ა ნ უ ა – გყავს კი საყვარელი?

კ ი ნ. – მაშ?

თ ა თ. – ეგრე პატარას?

კ ი ნ. – „დიდი და ახმახიო, პატარა და ჩახმახიო“, არ გაგიგონია?

გ ე ო – აბა, ერთი შენიც ვნახოთ, როგორ იცი საყვარლის მოლხენა.

კ ი ნ. – სულ ანჩისხატურად, რალა!.. (იმღერის)

საყვარლისა ეშხზედა
ლვინო დამილევია!

კინტო

მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!

ყ ვ ე ლ ა - ჰადანდანი, დანდანი,
დარინანა, ნი-ნა-ნი!

კ ი ნ. - მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია:
დღედღეობით მზე არის,
ღამდამობით მთვარია!
ადანდანი და სხ.

მისი ცეცხლი ამ გულსა
აროდეს არ ნელდება;
თუ იმას არ ვუყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.
ადანდანი და სხვ.

კ ი ნ. - მაშინ ვკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვსტირი მე!
სანამ არ მანუგეშებს,
იმისი კი ჭირიმე!
ჰადანდანი და სხვ.

საყვარლისა ეშჩედა
ლვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია...

ზ ო გ ო ე რ თ ე ბ ო - (შეუქაქანებენ) ჰაჯან! ჰაჯან!..

გ ე ო - გფოდნია საყვარლის მოლხენა!.. ბარაქალა!.. ეს შენი
სადღეგრძელო იყოს, პეტრეს შეგირდო! ერთი გვითხარ: სადაური
ლოთი ხარ, და?!

კ ი ნ. - (იმდერის) ერთი ვინმე კინტო ვარ,
საყვარელი მეცა მყავს!
ის სულ სხვა ვარდი არი:
სხვის საყვარელს არა ჰგავს!..

ყ ვ ე ლ ა - ჰაჯან, ჰაჯან, შენი სულისა!

კინტო

კ ი 6. – შავგვრემანი, შავთავალა,
ეშხის ცეცხლით მწველია!
ბაიყუში ქმარი სძულს,
ჩემი საყვარელია!..

ს ხ ვ ე ბ ი – აი, შენი კი ჭირიმე! ჰაჯან, ჰაჯან!..

კ ი 6. – საცა წავალ-წამოვალ,
მაგონდება სულ ისა!
იმას კი ვენაცვალე,
ჰოი, მისი სულისა!

ყ ვ ე ლ ა – ჰაი, შენი სულისა, ჰაჯან!..

კ ი 6. – ფალამდება თუ არა,
მელის გულის ძგერითა;
მე ჩაუვლი კარდაკარ
თარითა და მღერითა.

ყ ვ ე ლ ა – ჰაიჰა! ჰაიჰა!.. შენი გულისა!

კ ი 6. – თუ რომ დრო აქვს, შემიხმობს,
ალარ უნდა ვედრება.
ვფიცავ, ჩემს საყვარელსა
სხვისი ვერ შეედრება!

ჭირიმე, ჭირიმე, ჭირიმე!
შავგვრემანის ჭირიმე!
ჭირიმე, ჭირიმე, ჭირიმე!
შავთვალ-წარბას ჭირიმე!

ყ ვ ე ლ ა – ჰაი, ჰაი, ჰაი, ჰაჯან, ჰაჯან! შენი კი ჭირიმე!.. შენი სულისა!..

ზ ო გ ო ე რ თ ე ბ ი – პროშტი, პროშტი, პროშტი გაამოს!..
პროშტი, მოდი და!..

კ ი 6. – პროშტი?! ძალიან კარგი! (ილიას) ალლავერდი შენთან!
პროშტი გაამოს! (პკოცნის) რას მოგიწყენია, ვა! თითქო ცოლ-შვილი
დაგუარგოდეს, გამხიარულდი და!.. (ბეჭებში ხელს ჩაჰერავს).

ზ ო გ ო ე რ თ ე ბ ი – პროშტი, პროშტი, რიგით! დაუყევი და!..

კ ი 6. – მოვდივარ. მოდი, აბა! (სამსონს მიჩერებია, ჯერ ვითომ
კოცნას უპირებს და მერე კი ხელსა ჰკრავს) გაზი იქით! ვა!.. რა მუნიანი
ყოფილა!.. ამასთან პროშტი ძალლის პროშტი სჯობია!..

კინტო

ს ხ ვ ე ბ ი – აჲ, აჲ, ეგ არ იქნება! ეგ არ შეიძლება!.. საერთო პროშტი!
კ ი ნ. – არ იქნება? ვა! პროშტიც ჩემია და ქეიფიც ჩემი! არ მინდა!
ვის რას შევეპუები?..

მ ა ნ. – რას იმადლები, ეეე? შეინახე, თორემ, შენმა მზემ, დედო-
ფალს მიუტან!..

კ ი ნ. – ვა! ჩემი საყვარელი დედოფალიც არის და დედოფლების
ბატონიც! იმისი კი ჭირომე!

თ ა თ. – კარგი ვინმეც იქნება!..

კ ი ნ. – ეი! რაში მოგეწონება? ჩულურეთელი კატუა ხომ არა
გგონია? ან და ავლაბრელი კეკელა?..

გ ე ო – მაშ, შენმა თავის მზემ, დიდი ვინმე კნეინა იქნება! ყოშე-
ბიანი!..

კ ი ნ. – მაშ! არ იცი, რომ კნეინაა?!

მ ა ნ. – ეეე? რას ამბობ? მართლა?! მამა გიცხონდა, აბა, სადა
დგას? კნეინების უბანში?

კ ი ნ. – ვა! გეუბნებით და ჩემი სიყრმის მზემ, რომ კნეინა! იცით,
სოლოლაკში რომ ერთსართულიანი სახლია, წინ პატარა აივანიცა აქვს...
გ ე ო – ეი, ეი! გაჩუმდი და... შენთვის შაინახე... რად ამჟღავნებ!..

კ ი ნ. – ვა! განა მომიპარავს, თუ?..

ს ა მ. – არა უშავსრა! სთქვი, სთქვი!

კ ი ნ. – იქ ერთი შავგვრემანი კნეინაა...
ი ლ. – შავგვრემანი?

კ ი ნ. – დიახ, შავგვრემანი ხოლმე! იმას კი ვენაცვალე! ის არის
ჩემი საყვარელი!

გ ე ო – ცხადად, თუ ძილში?

კ ი ნ. – ძილში რომელია? ჩემია! გათავებულია და მორჩომილი.

ს ა მ. – (გაიხმობს ილიას განზე და ეჩურჩულება) არ გესმის?

ი ლ ი ა – ეს რა ამბავია! რას ამბობს?

ს ა მ. – ყური უგდე! (კინტოს) დიდი ხანია იცნობ?

კ ი ნ. – შენზედ ადრე! რაში გეკითხება?

ს ა მ. – (ილიას) შენ ცოლზედ ამბობს.

ი ლ. – რა ხუმრობაა!.. როგორ დავიჯერო!..

ს ა მ. – ნუ დაიჯერებ, თუ გიყვარდე!.. არ გეუბნებოდი?
გამოვკითხოთ, ნალვინევია, ყოლიფერს გვეტყვის. (კინტოს) ქმრიანია?

კ ი ნ. – ერთი პატარა შვილიცა ჰყავს და...

ი ლ. – ცხადია, იმაზედ ამბობს...

ს ა მ. – რა ეჭვია?!

მ ა ნ. – ხშირად დადიხარ იმასთან?

კ ი ნ. – როცა კი დრო მაქვს.

მ ა ნ. – როგორ ტყუბილობ ხოლმე?

კ ი ნ. – ერთი ტუტუცი იძერელი ბიჭი ჰყავს...

ი ლ. – რა ჰქვიან იმ ბიჭა?

კ ი ნ. – აღმასხანა. ვა! რად გაგიკვირდა? განა სახელიც ტუტუ-ცია? ის კი ძალიან ტუტუცი რამ არის...

ს ა მ. – ახლა?

ი ლ. – ვერა ჰქედავ? ეს რაები მესმის, ნუთუ?..

გ ე ო – მერე ქრმის არ გეშინია?

კ ი ნ. – ქმარი?.. მე არც კი მინახავს. ის ერთი ვინმე ტუტუცია თურმე; სულ საქმეებზედ დაეთრევა, შინ კაცი ვერც კი ნახავს. იმან რა იცის, თუ იმის თავზედ რა ამბებია?.. ისე კი სძულს ჩემ სალომეს, იმისი კი ჭირიმე, რომ ბაიყუშად მიაჩინა, მაგრამ სხვანაირად კი აჩვენებს თავს. ატყუებს... იმისთანა ოხერს ისე მოუხდება!

ი ლ. – ჰმ, რათა? რა დაუშავებია?

კ ი ნ. – ის ოხერი, რათ ირთავდა მისთანა ქალს? იმისთანა ლობიობ რა იცის, რა გაეგება ეშხიანი სიყვარულის? ის ქალი კი ცეცხლია. ერთი გიური ვინმეა! ლოთიანი! ერთხელ მაგრად ვერ ვაკოცე და ასეთი ალიყული მითავაზა, რომ თქვენი მოწონებული; დღესაც მეწვის ყურის ძირი... ნამეტანია და...

ყ ვ ე ლ ა – (იცინან) ეჱ, მართლა?

კ ი ნ. – მართლა, ჩემი თავის მზემ! ერთი სიტყვით, არის რაღა!..

ი ლ. – (სამსონს) აჲ, ეს ჩემ ცოლს არა ჰგავს! სხვა ვინმე იქნება, თუ მართალია.

ს ა მ. – შენ აგრე გეგონოს.

კ ი ნ. – იმის ქმარს ერთი საძაგელი მეგობარი თურმე ჰყავს და ის ეარშიყება ჩემ სალომეს... აი, ერთი შევხვდებოდე სადმე, მე ვუჩვენებდი იმას არშიყობას!..

გ ე ო – მართლა? შენი საყვარელიკი რალას ეუბნება?..

კ ი ნ. – გააგდო!.. ძალლადაც არ ჩააგდო!.. ამდენი გვიცინია იმ ღამეს, რომ...

ს ა მ. – ეს ვიღაც გიურა!.. ანდა დათვრა და აღარა გაეგებარა... ჰპოდავს. კარგი, ძმაო, გეყოფა მაგდენი ტყუილი.

კ ი ნ. – რაო? ტყუილი რომელია? მტყუანს რა უთხრა?..

ს ა მ. – ნუ შეგვანუხე ტრაბახით! გეყოფა მაგდენი!..

კინტო

კ ი ნ. – თქვენ რაო, კნიაზვან, რომ სწყრებით? გნებავსთ, ერთი ლათაია გითხრათ:

გულში სწყრებით!
თავში მწყრებით.
ერთს დაგაზელთ და
დასცხრებით!..

ს ა მ. – ეი, ეი! ნამეტან ნებას აძლევ შენს თავს! არ იცი, სადა ხარ? ვის უბედავ მაგას?

კ ი ნ. – ვა! განა აქ ბატონია ვინმე? გაბედვა რომელია?!

ი ლ. – დაანებე თავი! როგორ გეკადრება მაგის აყოლა?!.

ს ა მ. – წაეთერ შენთვის, ვიღაც მოთრეულხარ!.. შე, ვირო! ოხერო!..

კ ი ნ. – ეჲ!.. კნიაზვან! ვირიცა ხართ და ვირების უსტაბაშიც!.. მოთრეული რომელია?!

ს ა მ. – (მიიწვეს) ვის უბედავ მაგას? ვინა გგონივარ (იჭერენ სამსონს).

კ ი ნ. – ეჲ! კარგია, მამა გიცხონდება!.. სამფუთიანი არ გამომტყუო! ეგებ უზიარებელიცა ხარ და...

ს ა მ. – რაო? რაო? გამიშვით! ერთი გამიშვით!

კ ი ნ. – (შუაზე ჩერდება, თან სიცილს იჭერს) აბა, გაუშვით, მოვიდეს! ერთი დავაკერო მაგას ჩემებურად, ჰა!

(ფარდა ეშვება)

მესამე მოქმედება

პირველი სანახავი:

ისევ ის ოთახი, რომელიც პირველ მოქმედებაში იყო

I-ლი გამოსვლა

ალექსანდრე და ილია შემოდიან

ი ლ. – ახლა?! რაღას იტყვი?..

ა ლ. – იმას, რომ ეგები ყველა დიდი სისულელეა!..

ი ლ. – არა გჯერა?

- ა ლ. – ჩემის თვალითაც რომ ვნახო, მაშინაც არ დავიჯერებ.
ი ლ. – მაგას ხომ კერპობა ჰქვიან?!
- ა ლ. – მაშ, როგორ გგონია შენ? მაგისთანა საქმეს დიდი დამტკიცება უნდა.
- ი ლ. – განა ეს კი არა კმარა?
- ა ლ. – რას ამბობ?! ერთი ვიღაც გინახავსთ და აჟყოლიხართ. ჯერ ისიც არ იცით, ვინ იყო და საიდამ? ეგებო მტრებისაგანაც იყო შემოჩენილი.
- ი ლ. – რა ბრძანებაა!... ვერ გვიცნობდა და ვერ ვიცნობდით!.. მხოლოდ შემთხვევა იყო.
- ა ლ. – რა ვქნა? მე მაინც არა მჯერა!.. ულაყბია რაღა!..
- ი ლ. – მართლა? მაშ კარგი! (მიდის).
- ა ლ. – (მარტო. იცინის) რა თავმოყვარე პირუტყვია კაცი!.. გუშინ არ ურჩევდა სალომეს: მომშორდი და ვინც გინდა, ის შეიყვარეო?!
- დღეს რაღად იკლავს თავს? აკი აღარ მიყვარს ჩემი ცოლიო და თავს აწებებდა!

გეორგი გამოსვლა

ისვე და ილია, რომელსაც შემოჰყავს ალმასხანა

- ი ლ. – ვნახოთ, ახლა რაღას იტყვი?
- ა ლ. – რა ამბავია?
- ი ლ. – ამას ჰკითხე და გაიგებ!.. (ალმასხანას) აბა, სთქვი: ვინ დაი-არება?
- ა ლ მ. – ყველა, ბატონო, ვისაც კი ფეხი აქვს.
- ი ლ. – მაგას არა გყითხავ. აქ ვინ დადის?
- ა ლ მ. – ვინც დაიარება, ბატონო!
- ი ლ. – (გულმოსული) ოჳ! რა ტუტუცია!.. კინტო დადის აქ, თუ არა?
- ა ლ მ. – რა კვინტოა, ბატონო?
- ი ლ. – შეხეთ ამ იმერელს! რანაირად ისულელებს თავს!.. იმასა გყითხავ, რასაც დღეს დილასა გყითხავდი!.. გაიმეორე ის ახლაც, რაც მაშინ მითხარი!..
- ა ლ მ. – მე არაფერი მომიხსენებია, ბატონო!.. (მიჩრებია ალექსანდრეს).

კინტო

ი ლ. – როგორ თუ არაფერი?! სთქვი, თორემ ეხლავ პოლიციაში გაგაგზავნი.

ა ლ მ. – რათა, ბატონო? რა დაშიშავებია, შენი ჭირიმე?.. (მიჩერებია ალექსანდრეს).

ი ლ. – ამას რას მიჩერებიხარ?

ა ლ მ. – რაცხა შინაურობაში მოგახსენე, რა საუცხოა, ბატონო?!

ი ლ. – აქ უცხო არავინ არის... თუ იტყვი, საჩუქარს მიიღებ და, თუ არა, ციხეში ამოგაყოფიებ თავს.

ა ლ მ. – რა ვქნა, ბატონო!.. მეშინია!..

ი ლ. – რისა გეშინიან?

ა ლ მ. – ვაითუ, არ იგარგოს და რამე ამიტყდეს, რომ ვსთქვა?

ა ლ. – არა, სთქვი, ნუ გეშინია. არა აგიტყდებარა.

ა ლ მ. – სულერთია, ბატონო, ქალბატონს რომ რამე აუტყდეს ჩემი ბარობით?

ა ლ. – არც იმას!.. იცოდე, რომ ჩვენში დარჩება.

ა ლ მ. – აბა, ბატონო, უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია.

ა ლ. – რა არის მართალი?

ა ლ მ. – რაც ამათ მოვახსენე.

ა ლ. – რა მოახსენე?

ა ლ მ. – ის, ბატონო.

ა ლ. – რა ის?

ა ლ მ. – მე ნუღა მათქმევინებთ, შენი ჭირიმე!.. ამათ იციან!..

ი ლ. – არა, შენა სთქვი, თორემ არ დაიჯერებს.

ა ლ მ. – აბა, ქვე მაინც ნუ გამამხელთ! ჩემად ნურსად იტყვით და სწორეფ დადის... ვეღარ დავფიცავ.

ა ლ. – ვინ?

ა ლ მ. – ის, ბატონო.

ა ლ. – ვინ ის? არ იტყვი?

ა ლ მ. – ის, ბატონო!.. კვინტუა, ბატონო!

ა ლ. – ვინ კინტოა?

ა ლ მ. – რა მოგახსენოთ, ბატონო! ქალბატონმა იცის.

ა ლ. – ვისთან დადის ხოლმე?

ა ლ მ. – ქალბატონის ოთახში კი შედის და, რა მოგახსენო, ეგება ძიძასთანაც დადიოდეს.

ი ლ. – როგორ შეგყავს ხოლმე?

ა ლ მ. – რა ვქნა, ბატონო?.. რა ჩემი ბრალია?! ვერ წაუვალ ქალბატონის ბდანებას...

ი ლ. – მაგას არა გყითხავ. რანაირად შემოგყავს ხოლმე?

ა ლ მ. – რავა, ბატონო, და ასე: საღამ-საღამობით ის ჩვენი სახლის წინ დადის თარით და ბლავილით; თუ სმა არ გევეცი, უნდა იცოდეს, რომ დრო არ არის, და კუდამოძუებული წავა ხოლმე შინ.

ა ლ. – და თუ დრო არის?

ა ლ მ. – მაშინ, ბატონო, მეც აქედან უუმღერებ ხოლმე და ის, რავაც კაი ბატონი, ისე შემობძანდება ხოლმე, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს.

ა ლ. – დიდი ხანია, რაც დაიარება?

ა ლ მ. – რა მოგახსენო, ბატონო!.. მე რომ გიახელით, დამხვდა!.. კმარა, ბატონო, მეტს ნუღა მათქმევინებთ, თვარა წამცდება რამე და არ ევარგება!..

ა ლ. – ჰმ! მაგაზე მეტი რაღა უნდა წაგცდეს? (სიცილს იჭერს).

ი ლ. – ახლა მანც რაღას იტყვი? კიდევ არა გჯერა?!

ა ლ. – ჰმ!.. აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს!.. უთუოდ ეს ბიჭიც მოყიდულია.

ა ლ მ. – ეჱ, არა, ბატონო! მოყიდული რავა ვარ?

ა ლ. – სტყუი! და არც შეგრჩება ეგ მოგონება.

ა ლ მ. – რავა ვტყუი, შე დალოცვილო!.. დღეს დეიგვიანა, თვარა აქა-მდინაც უნდა მოსულიყო... ჰე, ბატონო! ეჱ!.. არ გესმისთ? მისი თარია ბეჯითად, ა, ბატონო! ახლავე ბლავილს მოჰყვება. (ისმის სიმღერა)

„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები“ და სხ.

ა ლ ე ქ. – აჱ! ეს, მართლა, რა ამბავია?

ი ლ. – არაფერი!.. ნახავ, რაც ამბავია!.. ჩვენ, ა, იქ შევიდეთ!.. აბა, ალმასხანა! თუ შენი ბედნიერება გინდა, შემოიყვანე ეხლავ და... არ მიგიხვდეს კი, რომ აქა ვართ! (შედიან განის ოთახში).

ა ლ მ. – კი, ბატონო. (სიმღერა თავდება. ალმასხანა იმღერის)

ორის ოდელია, დელა,
ოდელია, დელი, ნანინაო და...
კატუნიაო, კატაო!
რას შემოგვჭყავი კარსაო?
გაბედე, ფეხი შამოდგი,
არავინ გეტყვის ვარსაო.
ორის ოდელია და სხ...

კინტო

მარტოა შენი ციცუნა,
მოგელის მამალ კატასო!
კრუტუნით გეტყვის მაყრულსა
და წინ დაგიდებს ქადასო!
ორის ოდელია და სხ...
ქოფაკი სხვაგან წასულა,
ის აღარ არის შინაო;
ციცუნი, ციცო, ციცუნი!
მოდი! რამ შეგაშინაო?
ორის ოდელია და სხ...

მესამე გამოსვლა

ისინივე და კინტო

- კ ი ნ. – გამარჯობა! შინ არის?.. (სიცილს იჭერს).
ა ლ მ. – შინ არი, მარა ფთხილად! ფთხილად! ფათარაკი არ მოგი-
ვიდეს! შედი, მარა „მალულო, ფთხილად იყავ!“ მე ჭიშკართან მოგ-
იცდი და, თუ ვინიცობაა მოვიდა ვინმე, სიმღერას დევიწყებ და მაშინ
შენ იცი!.. შენებურად შევარდი ლოგინქვეშ.
- კ ი ნ. – კეთილი! აი, ესეც კიდევ შენ! (აძლევს ფულს და შედის
საწოლში).
- ა ლ მ. – ჰო, ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს! კაი ხარ, მარა
კაი ყოფაშიდაც ხარ!..

მეოთხე გამოსვლა

ისვე, ალექსანდრე და ილია გამოდიან

- ი ლ. – ახლა ხომ დაინახე?.. არც ახლა გჯერა? კიდევ მე მამ-
ტყუნებ?
- ა ლ. – გასაკვირალია!.. ახლა კი მჯერა, მაგრამ გამტყუნებით
მაინც შენ გამტყუნებ. სულ შენი ბრალია მისი გაფუჭება: მიანებე
ყმაწვილ ქალს თავი და... მაგრამ რას ცხარობ, შენ ხომ დიდიხანია,
ხელი აიღე იმ ქალზედ? ახლა რაღა გინდა?

ი ლ. – რაღა მინდა? ჰმ! ის, რომ საქმე გამოაშვარავდეს; მე პირ-შავად ალარ ვჩინდე... ეგ დასაზოგავი ალარ არის!.. ვერ გაიგონე, რომ ჩემზედ უმალ თურმე ისა ჰყოლია და მე კი მატყუებდა. არა, ჩემს გულს ადრევ თურმე უგრძვნია და კი მქონია მიზეზიც იმგვარად მოქცევის, როგორც ვიქცეოდი... ტყვილად ნუღა მამტყუებ და მესავედურები!.. მინდა, რომ კანონითაც მოვიშორო ეგ მოლალატე.

ს ა ლ. – ოჳ, შენ კი გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ! რად იცი ჩემი ტანჯვა? რად იგვიანებ ხოლმე? ლამის შენს ლოდინში სული ამომხდეს! (მოისმის კოცნის ხმა).

ი ლ. – გესმის?.. აჳ!.. როგორ მოგწონს ეს ამბავი?! ხა, ხა, ხა, ხა, ხა! არა გჯერა?!

კ ი ნ. – საქმე შემემთხვა და იმან შემიშალა ხელი, სულოჯან! შენი კი ჭირიმე... შენი! (კოცნა) როდის იქნეს, რომ სულ ერთად ვიქერთ და გადავურჩეთ იმ შენ ბაიყუშ ქმარს?..

ი ლ. – ყური დაუგდე!.. ხელალებული რომ არ ვიყო, უნდა ერთმანეთზედ დავაკლა ეგენი.

ა ლ. – (სიცილს იჭერს) ოჳ, შენ მამა-პაპურ ჰაზრებზედ გადადიხარ? აკი წება მიგიცია! რაღასა სთხოვ?

ს ა ლ. – ოჳ, ვინ მოესწრება მაგ ბედნიერ დღეს! შენ კი გენაცვალოს ის ოხერი და ის ბაიყუში!.. იმან რა იცის სიყვარულისა?!.. იმას მისი ცივი, თავმოყვარული ალერსი სიყვარული ჰყონია... განა მე იმას დავჯერდები?.. მე მინდა მისთანა სიყვარული, რომ მის ცეცხლში ვიწოდე, ვიდაგებოდე, ვიხრუკოდე, და ამას ვინ მომიტანს, თუ არ შენ?! ოჳ, ჩემო მშვენიერო! ჩემო ბედნიერება! (კოცნა).

ა ლ. – ვა, ვა, ვა, ვა! რაები მესმის?!

კ ი ნ. – თუ მეტყვი, შენი კი ჭირიმე, გადაგარჩენ: სულ გორიდამ ჩამოვიყვან ძმაბიჭებს, მერე მისთანებს რო, რო, რო, ჩემთვინ ცეცხლში ჩავარდებიან! ერთი სადმე შევხვდებით იმ შენს ქმარსა და გათავდება!.. ხუთი მუშტით ისე გაგისივებთ, როგორც დიდ რუმბს, რომ ხუთმა ხურომ ხუთ დღეს კუბო ვერ გაუთავოს!..

მეცნობელი

ისინივე და სამსონ, გეო, თამუზა და მეზურნეობი შემოდიან

ს ა მ. – აჳ, აქა ხართ? საქეიფოდ მოვდივარ და ჩამოგიარეთ. არ წამოხვალ? ის კინტოც ხომ აქ არის... მაჩუბარი კინტო?.. თვალი მოვჰკარით, რომ აქ შემოვიდა. ისიც წავიყვანოთ!..

კინტო

ი ლ. – კარგ დროს შემოგვასწარით. დიახ, ისიც აქ არის, მაგრამ ჩემთან კი არა! აი, იქ!..

ს ა მ. – სად იქ?

ი ლ. – სალომესთან! მართალი გამოდგა, ჩემო სამსონ!..

ს ა მ. – მე კი არ ვიცოდა! იმას ტყუილი არა უთქვამსრა!..

ა ლ. – არც მეგობრის შესახებ?

ს ა მ. – ეგ არაფერია!.. სალომეს მოუტყუებია. ქალებმა საზოგადოდ მაგრე იციან საყვარლის მოტყუება: ვითომ და სხვებიც ბევრი მეარშიყებიანო, მაგრამ შენ კი არც ერთში არ გაგცვლიო!..

ი ლ ი ა – მადლობა ღმერთს, რომ ამ შემთხვევამ თვალები ამიხილა! ახლა კი უნდა გამოაშკარავდეს, ვისიც ბრალია!

ა ლ. – რას აპირებ?

ი ლ. – იმას, რომ, დეე, ქვეყანამ შეიტყოს, თუ რაც ბრძანებულა ჩემი ცოლი.

ა ლ. – ეგ ცუდკაცობა იქნება შენის მხრით!

ს ა მ. – მაშინ გამოჩნდება, ვინც არის მტყუანი. საძაგლობა დიახაც უნდა გამოაშკარავდეს.

ა ლ. – შენ არავინა გკითხავს! (ილიას) შენ არ დაანებე თავი თვითონ მაგ ქალს? შენ არ ურჩევდი, რომ სხვა ვინმე შეეყვარებია? შენ არ შეიძულე?.. და ახლა რაღას ამბობ?

ი ლ. – მე ყველაფერი წინდანინ შევატყობინე და ეგ კი თურმე მატყუებდა. ამას მე ვერ მოვითმენ!..

ს ა მ. – არც მოსათმენია! (თავისთვის) ზოგი ახლა ნახოს, სირცხვილის ჭმევა თუ კარგია!..

ა ლ. – თქვენი ნებაა, მაგრამ ბოლოს კი სანანებლად არ დაგირჩესთ.

გ ე ო – (ამხანაგებს და მეზურნეებს) ჰე, წავიდეთ! აქ ჩვენი საქმე აღარ არის!

ი ლ. – არა, არა! მოითმინეთ! გთხოვთ, რომ მოწმედ დაგვესწროთ!..

თ ა თ. – დალოცვილო, ჩვენ რა, პოლიცია ვართ?

მ ა ნ. – ეე! წავიდეთ ერთი და... ხათაა!..

ს ა მ. – (კარებს ჰკეტაგს) არ შეიძლება თქვენი გაშვება!

გ ე ო – ეჲ! არ შეიძლება რომელია?! შენ რა ჩხუბის თავი ხარ!..

მ ა ნ უ ა – ჩემმა მზემ, აქ რომ ერთი რამ ხათა მოხდეს, მაშინ!..

ი ლ. – არა, ჩემო ძმებო! განა არ მიცნობთ?! მაგისთანას არას მოვახდებ!

თ ა თ. – მაშ, რა გინდა ჰქენა? ჩემმა მზემ, ჩვენთან რომ იმ ბიჭს ხელი ვინმებ ახლოს, აქვე თავებს დავიხოცავთ! ცოცხალი აღარ გვინდა!..

ი ლ. – რას ამბობთ? განა გიუი ვარ?!?

გ ე ო – აბა, რა გინდა ჰქენა?.. ცოლი გინდა, შეარცხვინო? ჩვენთან რათ არცხვენ, კნიაზჯან? გაგვიშვით თორემ, ჩემი თავის მზემ, სულ ფანჯრებს დავამტვრევთ! ხელი აიღეთ ჩვენგან, და!

მექვსე გამოსვლა

ისინივე და სალომე

ს ა ლ. – ქა, რა ხმაურობაა?! ოჳ, სტუმრები!..

ი ლ. – დიახ, სტუმრები... თქვენ გეგონათ, რომ მარტო თქვენა გყავსთ სტუმრები?

ს ა ლ. – რასა ბძანებთ, ბატონო?.. რაზედ გარჯილხართ?

ი ლ. – არაფერზედ!.. საქეიფოდ მივდიოდით და ერთი ვინმე დაგვაკლდა. თუ შეიძლებოდეს, უთხარით გამოვიდეს, იმასაც წავიყვანთ.

ს ა ლ. – რას ამბობთ?

ი ლ. – კარგია! დაფიცვის დრო აღარ არის! გვიჩვენეთ თქვენი მშვენიერი არშიყი!..

ს ა ლ. – უი! ქა! ეს რა მესმის?! დამთვრალხართ? (ალექსანდრეს) მთვრალები არიან?

ს ა მ. – აქ ჯერ მთვრალი არავინ გახლავსთ!.. ეგებ ერთი კი იყოს ვინმე მთვრალი, მაგრამ ისიც მხოლოდ ეშხით და არა ღვინით!..

ს ა ლ. – ქა, რა ხუმრობაა?!

ი ლ. – კარგია! რაც აქამდის მოგიტყუებივარ, ისიც კმარა! უთხარი, რომ ნებით გამოვიდეს, ნუდა იმალება.

ს ა ლ. – ვინა, ყმანვილო? ქა, მიშველეთ, გაგიუებულა! ექიმს დამიძახეთ, თქვენი ჭირიმეთ! (ალექსანდრეს) ვაიმე, ეს რა მომსვლია?! მიშველეთ!..

ი ლ. – ვიცით! ვიცით! გიუი ვართ?.. მაშ, კარგი, ახლავ შეიტყობენ! (შევარდება საწოლ თთახში და ცოტა ხნის შემდეგ შეშინებული გამოვარდება) აჲ! ეს რა ამბავია? რა იქნა? სად გაქრა? იქ აღარ არის!.. ამ კარებშივე უნდა გამოსულიყო, სხვაგვარად რომ ვერ წავიდოდა?!

ს ა ლ. – რა ვქნა?! ვის ეძებთ? ვინ გაქრა?..

კინტო

ი ლ. – კინტო! შენი საყვარელი! რა იქნა?

ს ა მ. – ეჲ!.. ვერ დაგითვალიერებია! სადმე მიმალული იქნება! მე მოვნახავ! (შედის).

ს ა ლ. – რა ამბავია! ეს ხალხი რას დაუგიშებია?!

ს ა მ. – (გამოდის) მართლა რომ იქ არ არის!.. სჩანს, რომ იქ არ შესულა! სხვაგან სადმე იქნება!..

ი ლ. – კაცო! გეფიცები, რომ პირდაპირ იქ შევიდა და აღარც გამოსულა. აი, თუ გინდა, ამათა ჰკითხე! (ალექსანდრეს) იქ არ შევიდა?

ა ლ. – ვინ შევიდა? რას ამბობ?

ი ლ. – ის! კინტო!..

ა ლ. – რას ამბობ? ვინ კინტო? გაგიუდი?

ი ლ. – კინტო! სალომეს რომ ელაპარაკებოდა... ჰკოცნიდა!..

ს ა ლ. – უი, დამიდგა თვალები! რაებს ამბობს?!

ა ლ. – ხა, ხა, ხა, ხა! საუცხოვოა! გაგიუძულა, თქვენმა მზებ.

ი ლ. – კაცო! როგორ თუ გავგიუძულვარ? შენ მაინც რაღას იტყვი, ალმასხანა?

ა ლ. – რა უნდა მოგახსენოთ, ბატონო?

ი ლ. – შენ ხომ მაინც ნახე?

ა ლ. – კი, ბატონო, ვნახე!.. სწორეთ ჩემის თვალით ვნახე!..

ი ლ. – უჲ! მაღლობა ღმერთს!.. აი, ბატონო, თუ არა! სად ნახე? და როდის?

ა ლ. – კიბის ქვეშ, ბატონო! დილას...

ა ლ. – კიბის ქვეშ? მარტო?

ა ლ. – არა, ბატონო, ცხრა ერთად!..

ა ლ. – რას ამბობ, ბიჭო? რა ნახე კიბის ქვეშ?

ა ლ. – ლეკვები, ბატონო!.. იქ მოუგია ჩვენ დიდ მურას!.. დილას ქალბატონმა მიბძანა, ნახეო და ვნახე... ცხრა, ბატონო! ცხრა!.. ჯერ თვალი არ ახელიათ!..

ი ლ. – მაგას ვინა გკითხავ! კინტოზედ გელაპარაკებით!..

ა ლ. – ვინ კვინტოა, ბატონო?

ი ლ. – შენ რომ შეუძეს და შეიყვანე საწოლ ოთახში.

ა ლ. – ჰმ!.. ხუმრობთ, ბატონო, თუ?!

ი ლ. – როგორ თუ ვხუმრობ? განა არ იცი?..

ა ლ. – იმე! ჯვარი აქაურობას! წმინდა არს! წმინდა არს! გაგიუძულა!..

ი ლ. – შენც გაგიუდი?!

ა ლ. – იმე! მე კი არა, თქვენ ვეღარა ხართ ფარცაგათ, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! სიცხე თუ გაბოდებსთ, თვარა, აპა, რას ბძანებთ უცნაურს?!

ი ლ. – ვა! გაგონილა ამისთანა ამბავი? მეჩვენება?! როგორ თუ მეჩვენება? განა გავგიუდი? რამ გამაგიუ?! სალომე, შენ მაინც მითხ-არი, თუ ნამუსი გაქვს: რა იქნა ის კინტო?

ს ა ლ. – (სიცილით) კინტო?

ი ლ. – ხომ ნახე?

ს ა ლ. – დიახ! როგორ არ ვნახე?!

ი ლ. – სად არის?

ს ა ლ. – (გულზედ იდებს ხელს) აი, აქ.

ი ლ. – რაო?!

ს ა ლ. – მე ვარ ის კინტო!

ი ლ. – შენ?!

ს ა ლ. – (კინტოურად) მოდი! მოდი! შე პლუტო, შენ! დიდი ხანია, აღარ მიკოცნია... ერთი ლოთიანად ჩაგპროშტო!.. მოდი, რალა!..

ი ლ. – სალომე! ჩემო!.. ჩემო... ლირსი არა ვარ შენი სიყვარუ-ლის!.. მრცხვენიან.

ს ა ლ. – არა უშავს რა, მოდი და, ის კინტო ნუ მოგიყვდება.

ი ლ. – (მიდის და ეხვევა) ჩემო სიცოცხლევ!.. ჩემო სალომე!..

ა ლ. – მიაგენი კინტოს? ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

გ ე ო – (ამხანაგებს) ვა! ე რა შტუკაა?!

მ ა ნ. – ხედავთ, ვინ ყოფილა კინტო?!

თ ა თ. – ჩემმა მზემ, გული მეუბნებოდა რაღაცას, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი და!.. ნამდვილი იყო და!.. ვა, გაგონილა ამისთანა?

ი ლ. – ჩემო სიცოცხლევ! ჩემო სალომე!.. დღეს ვიბადები!.. დღეს ამეხილა თვალები!

ს ა ლ. – მაშ, ნებას აღარ მაძლევ, რომ, ვინც მინდა, შევიყვარო? არც ის კინტო? რად გინდებვარ ესეთი ცივგული, უსიყვარულო და ცოცხალ-მკვდარი? აკი არაფერი გრწამდა გუგულივით მშვიდობიან ქალებისა?!

ს ხევაში გამცვალე!

ი ლ. – შენ?! შენ გაგცვალო?! არა, ქვეყანა შენ გენაცვალოს! მე აღა-რავის დავეძებ: დღეს იქით ჩემი ლხინი ჩემს გულში იქნება!.. წადით!.. მომშორდით, ყმანვილებო! მე თქვენი აღარა ვარ! ხომ ხედავთ?!

ს ა ლ. – არა, მოითმინეთ! მეცა მაქვს სათქმელი: ჩვენს ქვეყანას ბევრი ჭირი მოდგომია კარზედ, ბევრჯელ ყოფილა განსაცდელში, მაგრამ ქართველს გული მაინც არ მოკვდომია!.. მისი გული ხშირად

კინტო

ლხინს ნდომილობს და უპასუხოდ დაგდება არ ივარგებს... ჩემი ქმარიც ქართველია, სულითა და გულით ქართველია! იმას არ შეუძლიან, რომ ქეიფი უდროოდ მოიკლას. უთქვენოდ, ვიცი, ვერ გასძლებს, და მე თქვენა გთხოვთ, ხანდახან არ მოაკლოთ ხოლმე ჩემს ქმარს თქვენი სტუმრობა. მოილხინეთ და მოალხინეთ ხოლმე. ვინც უნდა იყოს ჩემი ქმარის მეგობარი, რა წოდებისაც უნდა იყოს, თუკი სულითა და გულითაც ქართველია, ჩემიც სასურველი სტუმარი იქნება. მაგრამ უსინდისოებს კი არ ექნებათ ბინა ჩემს ოჯახში! (მისჩერებია სამსონს).

ა ლ. მ. – (სამსონს) თუ მიბრძანებთ, კიბეზე ჩაგაცილებთ, რომ ფეხი არ დაგიცურდესთ!

ს ა მ. – სახლიდან მითხოვთ?

ი ლ. – არა, მაგრამ არც შენთვის იქნება სასიამოვნო დარჩენა და...

გ ე ო – ოლონდაც, ჩემმა მზემ!.. ძალიან პირშავად გამოდის და...

მ ა ნ. – მე და ჩემმა ღმერთმა, იმასთან პურის ჭამა ჰარამი ყოფილა.

თ ა თ. – ჩვენგან კი ხელი აიღოს და, სადაც უნდა, იქა სჭამოს!..

ს ა მ. – მაშ, კარგ! მადლობას მოგახსენებთ (მიდის).

ა ლ მ. – ჯოხი, ჯოხი, ჯოხი!

ყ ვ ე ლ ა – რად გინდა? რად?

ა ლ მ. – არაფრად, ბატონო! ძალლის მოსაგერებლად! იმას მივართმევ, რომ ეზოში ძალლმა არ უკიბინოს.

გ ე ო – ჰე! მაშ ჩვენც მარშით გავაცილოთ ეს კნიაზი. დაუკარით რაღა! (მეზურნეები უკრავენ, მიდიან. ფარდა ეშვება).

[1880 წლის იანვრის დასაწყისი]

კურუნგი-ხანუმი

სამმოქმედებიანი ისტორიული დრამა

მეთექვსმეტე საუკუნის ცხოვრებიდამ აკაკი წერეთლისა
მოქმედება ხდება ოსმალეთის საქართველოში

მოქმედი პირები

მაპმუდ-ფაშა – ოსმალეთის საქართველოს ვალი
ნახირ-ფაშა – ქართველი გვარის თავადი
კუდურ-ხანუმ – მისი ცოლი
ელენე – დისტული კუდურ-ხანუმის
არჩილი – ახალგაზდა სოხტი, ელენეს მეგობარი
ჯამალ – მოურავი
ესმა – გამდელი
ხათუნია – მოსამსახურე გოგო
და ექიმი

მესამე მოქმედება ხდება ერთი წლის შემდეგ.

პირველი მოქმედება

პირველი გამოსვლა

(ნახირ-ფაშა ტახტზედა ზის, მუთაქაზედ გადმოწმლილია და იცინის. ჯამალ-მოურავი მის წინ დგას და სცდილობს, რომ თანდათან უფრო და უფრო გაამხიარულოს)

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – არა!.. მე ნუ მოგიკვდები, მართალს ამბობ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ ა ვ ი – მართალს!.. შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ტლინკავს?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – იმე!.. ტლინკავს, მარა რავარს ტლინკავს? ურც გინახავს ჯორი!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ხა! ხა! ხა! ხა! მაშ წამხდარა შენი საქმე?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – ისემც ღმერთმა მტერი წაგიხდინოს, ბატონი!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – უნდა ხელში გეჭიროს, ჩემო ჯამალ.

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – ხელში მეჭიროს?! რას ბძანებ, ღმერთი გადლეგრძელებს? ეშმაკის გაჩენილს მანგრე ჰალა-ჰალათ ვინ დაიჭ-ერს ხელში? დილიდამ სალამომდე რომ ასე გყავდეს მომუჭნული, მაინც ვერას გააწყობ, ბატონო: გამოგისხლტება ხელიდამ ის ეშმაკის მანქანება... ერთს გადაგიბრუნებს და მერე სალამომდინ დილამდი სულ ასე გაგხდის... ასე დაგიჭერს ხელში, ჰა...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ვე, მოურავო! დაუბრიყვებიხარ...

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – რა გაეწყობა, შენი ჭირიმე... მოდი და ნუ დააბრიყვებიებ თავს: მანდილოსანი თუ გაჯინდა, ბატონო, და შეჯდა ეშმაკის ჯორზედ, ვინდა გადმოახტუნებს?! აჲ!.. უკაცრავად პასუხია და ერთი ფინიალ დედაკაცი ლომივით ვაჟკაცს შეაწუხებს!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – როგორ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – ჰერამს, ბატონო, წიხლს და მიაგორებს იქით და მერე, სულ მგელივით რომ იზუვლოს, მაინც ალარ გასცემს ხმას... ზედაც არ შეხედავს... არ მომიკვდე!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – უნდა როგორმე შეაშინო.

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – აჲ, არ შეუშინდე მტერს!.. რა ბძანებაა! სამასასამოცდახუთი წმინდა გიორგიც ვერ გასჭრის იმაზედ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – აბა, რას შვრები ხოლმე?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – მარა, თურმე, მართალი ნათქვამი ყოფილა: თავთავის მომათვანიერებელი ანგელოზი ყველასა ჰყავსო. ვენაცვალე თქვენს დიდყაცობას, თქვენი სახელი სჭრის ძალიან!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა, თუ გიყვარდე?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – არ გაგონილა, ბატონო... არ...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მე ნუ მოგიკვდები?!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – კი, შენ ნუ მოუკვდები ამ ჩემს თავს... რავარც კი ვუხსენებ ხოლმე თქვენს დიდებულ სახელს, მეტი აღარ ეჭირვება, მოთვინიერდება ხოლმე ის აშარი.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – როგორ, აბა, ჩემო ჯამალ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – ერთს ვეტყვი ხოლმე: დედაკაცო, ის ჩვენი მწყალობელი ბატონი, ნახირი, ნუ მოგიკვდებათქო, და კმარა... მეტი აღარ უნდა!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მოდის?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – როგორც მიმინო საქნიელზე.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – შელოცვაც იცის?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – თქვენის გულისათვის რას არ იზამს, ბატონო? რას!.. ყოველიფერს მოახერხებს: მგელს კი არა, ეშმაკს შეკრავს!.. ახლა, ბატონო, ფეხზედ აღარ იდგომება სიხარულით, რომ გაიგებდა თქვენს ბედნიერებას.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ასე მალე? ვინ შეატყობინებდა?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – რა შეტყობა უნდა? თქვენი ამბავი, მაგ-სისხო კი არა, ერთი ბენვაც რომ იყოს, მაინც შურდულივით გარბის სოფლიდამ სოფლამდი... სულ ცეცხლივით მოედება ხოლმე მთა და ბარს. ახლა? რა ბრძანებაა... დუნიაზედ ეცოდინებათ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – კაი დაგემართოს!.. მაშ აწ, სადაც არის, შემო-საწევარიც მოგვივა. ჯერ მეძღვნე ხომ არავინ გაჩენილა?

ჯ ა მ ალ-მ ო უ რ. – ახლომახლოდამ კი დაიწყეს და ჯერ შორე-ბელი კი არსადა სჩანს. გაჩნდებიან ისინიც... ახლა იმათაც ექნებათ გაგებული.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – თუ გიყვარდე, იამებათ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – იმე!.. ვინც ერთგულია, აბა რა დაემართება? მე რომ გავიგე პირველად, ვენახში გახლდი, მუშებს ვადექი თავს,

კუდურ-ხანუმი

გამოვიქეცი გახარებული, გამოვდევი სარს თქვენი წყალობა ჩოხა და სულ პრინინ-პრინინით ჩავიტანე ძირამდი. შენი მტერია, მე ახლა ამ გახეულ ჩოხით იმ ჩემ დედაკაცს ვეღარ მიუვალ შინ!.. მაშინვე ყრონ-ჭმი მეცემა: „ვინ გაგიხიაო?“ ატყდება და ხომ ალარ დამიჯერებს!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - აბა, მაშინ გაზუვლებს, აჲ?! ხა! ხა! ხა!..

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - მაზუნებლებს კი არა, სულ ლეკვივით მანუ-ნკუნებს, თუ არა მოვახერხერა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - განუნკუნებს?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - მანუნკუნებს, შენ ნუ მომიკვდები!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - ხა! ხა! ხა! ხა!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ბატონო, ახლა იჯინჯილებს ხომ გამოიცვლით?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - რასაკვირველია!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - მაშ, ჩოხაც უნდა გამოიცვალოთ.

(კუდურ-ხანუმის ხმა გარედამ კარგბთან) - ესმა!.. ესმა!.. ნუ აგიშვია გოგოები და ნუ დაარბენინებ აქეთ-იქით უსაქმურად!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - ბატონიშვილი!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - ბატონიშვილი! (ერთად შეშინებულები სწუხდებიან. კუდურო-ხანუმ შემოდის).

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - (ახველებს) დიდი ბელელი სავსეა პირამდი. წითელი ბელელიც შუამდი მოვჰყარეთ. სამოციანი გადავალებიე, მარა კობიტქვეშ რომ ჭური გახდათ, იმისთვის კი მიუცია ხელი... ცოტა უკბენია, მარა არა უშავრა მუშისათვის ივარგებს.

მეორე გამოსვლა

ისინივე და კუდურ-ხანუმ

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - მობძანდი, ბატონიშვილო! ღვინო გადაგვ-ბრუნებია.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - რა გაეწყობა! ან კი რა გასაკვირვალია? ამისთანა არეულ-დარეულობაში, როგორიც ჩვენ ოჯახშია, ღვინო კი არა, რატომ ტვინი არ გადაბრუნდება. ჯამალ-მოურავო!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. - ბატონო, შენი ჭირიმე!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ამ ანგარიშებით კარგია, მაგრამ უფრო სხვა დროს... ხომ იცი, რომ დღეს მეჯლისი გვაქვს და წვეულებას ვიხდით, თვითონ ვალია დაპატიჟებული.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – იცის, ბატონიშვილი, როგორ არ იცის?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – მაშ, სამზარეულოს, სახაბაზოს და სხვ. ყურის გდება უნდა, საკლავები მსუქნები გამოდგენ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – (ყოყმანობით) ჰო, არც ისე და არც ასე.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – როგორ თუ არც ისე და არც ასე? ჭრელ ძროხას განა სიმსუქნე აკლდა?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – აღარ დამიკვლევინებია, შენი ჭირიმე, ფეხზედ გახლავსთ. დღეს თუ ხვალ უნდა მოიგოს.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – თეთრი უშობელი?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – თქვენ რომ გინახავსთ, ის არ გახლავსთ... ამ ერთის კვირის წინათ ნიშა-ხარს დაჭიდებია და რქა მოუტეხია.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ჩვენ რქები რათ გვინდა, მოურავო? მოი-ტეხოს... მაინც ხომ დასაკლავია?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – ძალიან შეუწუხებია ტკივილსა და გამხდარა. სოფლიდამ გამოვაყვანიე... მეტი გზა აღარ იყო.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ვერა ხარ, მოურავო, კარგი ფერის: ძროხები რქებს იმტვრევენ, იყარებიან, თხებს მგლები იტაცებენ, ქათმებს მელიები აწყალებენ, ინდაურებს და ბატებს ჭირი ემართება, ღვინო ბრუნდება და პური ფრინდება!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – რა ვქნა, შენი ჭირიმე?! ღმერთმა მკითხოს და გადამახდევინოს, თუ მე თქვენი ოჯახის ერთგულება მაკლდეს, მაგრამ რა ვქნა, რო...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – კარგი, კარგი! ახლა მაგის დრო აღარ არის. მიიხედ-მოიხედე, ყველგან თვალი გეჭიროს!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – კი, შენი ჭირიმე, გიახლებით!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართალს ბრძანებს ბატონისშვილი: მიიხედ-მოიხედე, ყველგან თვალყური გეჭიროს!

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ. – ბატონი ბძანდებით! (მიდის).

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ბატონისშვილო! აბა, შენ იცი ახლა თადარიგი, გამომაჩინე შენებურათ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – აბა, თუ თქვენს იმედით დადგა კაცი... (ცოტა ხნის სიჩუმე) ეს ყველა კარგია, მაგრამ შენ რაღას უზიხარ აქ? გადი, გაიარ-გამოიარე ჰაივაზზედ. ხალხს დაენახვე, ალერსიანთ ეჩვენე და, თუ მოგილოცოს ვინმემ, დაუმადლე. ნურც ძალიან მხიარულად უჩვენებ ვისმეს თავს და ნურც მოწყენილად. ზომით დაიჭირე თავი! შენებურათ ღლაბუცობას ნუ მოჰყვები!.. ბევრჯერ

კუდურ-ხანუმი

მითქომს და ახლაც გირჩევ წინდახედულობას: ეცადე, რომ შენზედ უგუნურებთან თავი ჭკვიანათ გამოიჩინო, შეფერებით იყავი და ჭკვიანებთან კი ახირებულობა, თავის გასულელება გამოიჩინე, ნუ გენალვლება!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რათა, ბატონისშვილო, ეგ რაღა საჭიროა?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ალბათ საჭიროა!.. ბრიყვი მალე მოტყუ-
ვდება და ჭკვიანად მიგილებს და ჭკვიანი კი, სისულელის მოგონებას
რომ შეგნიშნავს, მერე ნამდვილ სისულელესაც ალარ დაგიჯერებს,
იფიქრება: იგონებსო, ანგარიში რამე ექნება და იტყუებსო.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ჰო, შენ კი გენაცვალე მაგ ჭკუაში, ჩემო
სიბრძნის ბოლოზო! (ჰკოცნის).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჰო, კარგია! კარგი! ნუ ახუნტრუცდები!
ახლა მაგის დრო არ არის.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ჰო, შენი გულისა, ჩემო სიბრძნის ბოლოზო!..
ბოლოზო! ბოლოზო!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ატყდი?.. არ შეიძლება, რომ ცოტა ხნით
შესცუროთ ზღვაში, ჩემო ბედნიერების ცეცხლის გემო? მიბძანდით
და შორს კი არ შესცუროთ და, თუ ვინიცობაა, ზღვა აგილელდესთ...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – შენ მოგაშურებ, ჩემო ბოლოზო, შენ... (ჩემეტს)
ბოლოზო!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – უბძანეთ ვისმეს, რომ ესმა აქ შემომიგ-
ზავნონ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ბატონი ხარ! (მიდის) ბოლოზო, ბო...ლო...ზოოო.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (მარტო) ჰე, ვაი ჩვენი ბრალი, რომ ქალებს
პირადობა არა გვაქვს!.. ცოლების პატივი ქრმების ლირსებაზედ
არის დამოკიდებული! გინდ სწორულოვარიც იყო ქალი, თუკი ქმარი
ცხოვრების საფეხურთან გდია, მიდი, ამოუჯექი გვერდით და, გინდა
თუ არა, გაიზიარე მისი ვიგინდარაობა, და, თუ ქმარი სათავემდი
ასულა, მაშინ კი შენც, ქალო, გინდ ულირსიც იყო მოდი, ამოუდექი
გვერდში და მოიკრიფე პატივი და დიდება! მაშ, ვის რაღათ უკვირს,
რომ ჩვენ ვცდილობდეთ ჩვენის ქრმების ამაღლებას და მისთვის
ხშირათ უკადრისსაც ვკადრულობდეთ! რაღასა სთხოვს იმას საზოგა-
დოება, ვისთვისაც თვითონ უსამართლოდ პირადობა ჩამოურთმევია?
ნება აქვს, რომ ესაყვედუროს? ჩემგან ამაღლებულ ქმარს მევე უნდა
ვემონო? ეჰ, უგუნურების სვეტზედა დგას დედამინა!.. რა გამოვა,
რომ ვიჩივლოთ? უმჯობესია, ქალებმა ნამოვიკიდოთ ზურგზედ ჩვენ-

ჩვენი ქრმები და შეუდგეთ აღმართს. მაგრამ შესაბრალი ის არის, ვისაც იმისთანა გოდორი შეხვდება, როგორიც მე!.. ჰმ!.. მობძანდი და გოდორი უთხართ!.. კაცი გამოჩენილი, ამაღლებული, მდიდარი და გვარისშვილი, რომელსაც დიდებულმა სულთანმა დღეს ფაშობაც კი უბოძა. (დაფიქრდება) ამ რამოდენიმე წლის წინეთ, როდესაც ჩემი ქმარი უბრალო ჩაუში იყო, განა მოვიფიქრებდი ამ ბედნიერებას? დღეს კი თითქოს კმაყოფილიც არა ვარ... კიდევ მეტს ვეძებ!.. კაცის გული ხარბია და გაუმაძლარი!.. ვინ იცის, სადამდი მიმიყვანს ჩემი ბედი? ჰმ, ბედი-თქო?! რა ვთქვი ესა? ბედი რას მიქვიან? ხერხი!.. ხერხი! ცდა, შრომა და თავდაუზოგაობა!.. (დაფიქრდება) სანამ ეს გარყვნილი ვალი, რომლის სიტყვაზედაც დიდებული ხონთქარი დაიარება, ხელშიდა გვყავს, კიდევ ბევრს უნდა ველოდეთ!.. თუ ეს უკანასკნელი პირობაც შევუსრულე... მაგრამ ელენე... ჰმ... ელენე?.. ახირებულია კაცის საქმე: იმ შეჩვენებულს მშვენიერი თამარი მოსწყინდა და ელენესათვის გიუდება?! უინი! იტყვიან: „თვალიაო“, მაგრამ თვალიც ხომ ისევ ის უინა?! ეჭ, რაც უნდა იყოს... რაც უნდა მოხდეს, ოღონდ მე კი ჩემი საქმე გავირიგო და... (დაფიქრდება) არა, შეუძლებელი არა არისრა! თავს არ დავზოგამ და ელენეს კი დავითანხმებ როგორმე.

მესამე გამოსვლა

ისვე და ესმა შემოდის

ე ს მ ა – ქალბატონო, მე მიბრძანებდით?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – დიახ, შენ, მაგრამ რომ აღარ გვეკარები?

ე ს მ ა – რა ვქნა, ქალბატონო, რომ აღარა მცალიან?! ხომ ნახეთ მაგ თქვენის მშვენიერი თვალებითაც, თუ რას ჩადიან გოგოები? გაუნამუსდენ, შიში აღარავისი აქვთ და მორიდება.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – მოჰყევ კიდევ შენებურათ?

ე ს მ ა – უიმე, გენაცვალე, განა უნდა დავჩუმდე? შენი ოჯახის ორგულობა განა უნდა მოვითმინო? გაუნამუსდენ ქალბატონო, აღარ ეშინიათ... აღარ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – დაანებე, გველო თავი! რას ჩაცივებიხარ?

ე ს მ ა – თავი რომ დავანებო, მერე ხომ აიკლებენ აქაურობას? დააქცევენ, ქალაბატონო, ოჯახს... დააქცევენ!.. ღმერთს არ შეხედვენ ის უნამუსოები! გაიანეს დღეს კრუხი დაემნყვრია და წინილები

კუდურ-ხანუმი

კი გარეთ დაეტოებია... საცოდავათ წიაქობდენ, თუ მე არ მივსწრებოდი...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – დღეს მაინც დაანებე თავი მაგაებს, გამდელო! რამდენჯერ მითქმის, რაც შენი საქმე არ არის...

ე ს მ ა – უიმე! როგორ თუ ჩემი საქმე არ არის, გენაცვალეთ?.. ხომ გასწყდებოდენ?..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – გაწყვეტილიყვენ!

ე ს მ ა – არც ცხვრები გამოეშვათ: უწყლობითა კვდებოდენ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – დახოცილიყვენ!..

ე ს მ ა – უიმე, დამიდგა თვალები! მაშ, ამოვარდეს ოჯახი?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – მაგით ოჯახი არ ამოვარდება.

ე ს მ ა – ჭიმე, დამიდგა თვალები, რა დრო შემოვიდა!.. მაშ, აღარც მტერი გინდათ და აღარც მოყვარეს ეძებთ? ვინ დიდყაცი და ვინ აკლებული ოჯახი, ნაოხარსავით გაშვებული?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – თუ მართლა აგრე გული გეწვის, ეგ სხვებს უბძანე ხოლმე და შენ კი სხვა საქმეს შეუდები!

ე ს მ ა – რა ვქნა, რომ აღარავინ მიჯერებს, ქალბატონო! გოგუები გაუნამუსდენ, ღვთის აღარ ეშინიათ და კაცებს აღარ ერიდებიან. ერთი რომ ვუთხრა, ასს მეტყვიან... ადრინდელი ხათრი და მორიდება სადღა არის? ელენე ნუ მომიკვდება...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (აწყვეტინებს სიტყვას) კმარა, გამდელო, კარგი! თუ მოჰყევი, ხომ ვეღარ გაათავებ?

ე ს მ ა – უიმე, აღარ ვიღაპარაკო? თუ მეც აღარა დავეძიე, ვინდა მოხედავს შენს ოჯახს! ვინდა უგდებს ყურს? გოგოების იმედი ჩემს მტერსა ჰქონდეს... აღარაფერს ეძებენ...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ვაი, შენ და შენს გოგოებს! მორთე ჭიანური? მე საქმისათვის შემოგიხმე და შენ კი აქ რაღაცას მეობროდები.

ე ს მ ა – რა ვქნა, გენაცვალე... შენი ოჯახის ერთგულება მაღა-პარაკებს, წაყრუება არ ვარგა, უნდა გაუწყრეთ... შეაშინოთ. მათ ხანში ჩვენც გვაშინებდენ ბატონები!.. უმისობა როგორ იქნება?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – კარგი! კარგი! ეს სხომის იყოს... ახლა ეს მითხარი, ელენემ გამოიღვიძა?

ე ს მ ა – დიდი ხანია, მაგრამ ჯერ პირიც არ დაუბანია. აბა, ისე კი არ იქცევა, როგორც თამარი იქცეოდა ხოლმე: ის ჯერ ხელ-პირს დაიბანდა დილაადრიან, მოიკაზმოდა, მოირთოდა და მერე სადილო-ბამდინ სარკის წინ თავის მშვენიერ სახეს ეკობწიავებოდა, ესიყვარულებოდა ხოლმე, ისე, სწორედ, როგორც რიგია და როგორც შეშვე-

ნის დიდებაცის ქალობას. და ეს კი წიგნების კითხვაში ათენ-ალამებს. სხვა არა იყოს რა, მარტო მეშინიან, რომ ვაითუ, თვალები გაიფუჭოს.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მეც მაგას გეუბნები, გამდელო, რომ წინილების და ცხვრების დევნას, იმ შენს გაზდილს რომ ყური უგდო ხოლმე, ის ემჯობინება.

ე ს მ ა – რა ვქნა, რო ჩემი აღარა სჯერარა!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მაინც რას გეუბნება?

ე ს მ ა – თქმით არაფერს!.. ძალიანაც მიტკება, მარა, რაც უნდა ვურჩიო კი, იცინის, მეტს არაფერს მეტყვის ხოლმე.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – სოხტები ხომ აღარ დაიარებიან?

ე ს მ ა – რაღაი ის ერთი ურჯულო დაატუსალეს, მერე ვინდა უბედავდა მოკარებას?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მაშ წიგნებს სად შოულობს?

ე ს მ ა – რა ვიცი, ქალბატონო? იმ პატარა ძიძის შვილს, ხათუ-ნიას, აგზავნის ხოლმე სადღაც და იმას მოაქვს...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რატომ არ გამოჰკითხავ და არ გამოტეხ იმ გოგოს?

ე ს მ ა – უიმე, ეშმაკია, გენაცვალე!.. იმას ვინ გააპრიყვებს?.. სულ იმის ბრალია, რომ გაზდილმა შემიძულა!.. რაც საიდუმლო აქვს, იმას ანდობს... მე ძალლადაც აღარ მაგდებს. ძალიან უყვარს, წიგნ-საც ასწავლის.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – გუშინ ხომ ურჩიე ელენეს, რაც გითხარ?

ე ს მ ა – მოვახსენე, შენი ჭირიმე.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მერე?

ე ს მ ა – საცინლად ამიგდო, იმას კი ვენაცვალე.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რა გითხრა?

ე ს მ ა – შაირებით გამკიცხა: „მაგ რჩევისთვის, გადია, ადეგ, კარში გადია!“ ასე მიპასუხა. იმისგან კიდევ ისე არ მეწყინა ეს გაკიცხვა, როგორც იმ პატარა გომბიოსაგან: იმ უნამუსომ შიგ ცხვირ-პირში მომაყარა სიცილი.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მაშ, იმედი არა გაქვს, რომ დაიყოლიო? თავის ბედნიერება არ ესმის!

ე ს მ ა – როდი მიაჩნია ეგ, გენაცვალე, ბედნიერებათ!.. იმ შეჩერებულმა სოხტებმა გული უცვალეს, ქალბატონო!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მაშ, შენა გგონია, რომ მაგგვარათ არა გამოვარა?

ე ს მ ა – არა, ქალბატონო!

კუდურ-ხანუმი

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – მაშ, კარგი, აწ ნულარას ეუბნები!.. ახლა კი სთხოვე, რომ აქ შემობძანდეს ჩემთან.

ე ს მ ა – კი, ბატონო! გაიხლებით, მაგრამ გოგოები კი ნუ დაგვი-წყდებათ, ჩემო ხელმწიფე! გაუჯავრდით და შეაშინეთ, თორემ თავი აიშვეს: ლვთის აღარ ეშინიათ და...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჰო, კარგი! კარგი!..

ე ს მ. – (მიდის ბუტბუტით) თქვენი ნებაა, მე კი მოგახსენებთ და...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (პირზედ ხელებს მიიფარებს, დაფიქრდება და მერე უცბათ) არა, სხვა გზას უნდა დავადგე! ეჱ, სად ხარ, ჩემო სიყმან-ვილე!.. სხვასთან საქმეს აღარ დაიჭირდი მაშინ! დაჭენა! დაჭენა ის მშვენიერი სახე (ხელს იკიდებს ლოყებზედ), მაგრამ დამჭენარ სახ-ესაც შეუძლია ძალა იჩინოს. (მიდის სარკესთან) აბა, ჩემი სახე როგორ უნდა ეჩვენოს კაცს მხიარულად მაშინ, როდესაც გულში მწუხარე-ბასა ჰმალავს? ასე? (იცინის) და როდესაც მხიარულებას არ იჩენს? ასე? კმარა! კმარა! ვნახოთ! ვეცადოთ! (დაჯდება ტახტზედ, მიიფარებს პირზედ ცხვირსახოცს და მოჰყვება ტირილს).

მეოთხე გამოსვლა

კუდურ-ხანუმ და ელენე

ე ლ ე ნ ე – დეიდავ?! ამას რასა ვხედავ?! ეგ ცრემლები მწუხ-არების არიან, თუ სიხარულის?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (ცრემლებს იწმენდს) ჭკუა-გონება ახალი დგმის ხვედრია და გამოიცან.

ე ლ ე ნ ე – სიხარულის ცრემლები მზეში წვიმასა ჰგვანან და თქვენი სახე კი მოღრუბლულია.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – არ სცდები, შვილო!..

ე ლ ე ნ ე – მერე, რას ნიშნავენ, მაშინ, როდესაც დლევანდელს ბედნიერებას წვრილმანი მწუხარებაები უნდა დაევიწყებინებია თქვენთვის?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რაც სიხარული მქონდა, სწორეთ ამ დლევან-დელმა ბედნიერებამ გამიღანტა.

ე ლ ე ნ ე – ვერ მივმხვდარვარ!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ჯერ ყმანვილი ხარ!.. შენა გკითხავ: როგორა გგონია შენ, შენდა თავად მხიარულება გმართებს დლეს, თუ მწუხ-არება?

ე ლ ე ნ ე – რაღა თქმა უნდა, რომ მხიარულება!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – სტყუვი, შენმა გაზდამ!.. ეგ შენი ჰაზრი არ არის... მაგას არა პფიქრობ... და შენგან ტყვილს კი არ მოველოდი.

ე ლ ე ნ ე – მე თქვენ მოგვევით თქვენს ჰაზრზედ და იმის შედარებით წარმოვიდგინე, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი გულის მოძრაობა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (ამოხვნეშით) მართალი ხარ, შვილო! რასაკვირველია, მანგრე უნდა მიცნობდე შენ. შენ რას მიხვდები, ჩემს გულში რა ამბებია?..

ე ლ ე ნ ე – დღეს როგორლაც სხვაგვარ გუნებაზედა ხართ, დეიდავ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რა ვქნა?.. „კაცი ჭირსა მალამს, ჭირი კი თავს იჩენსო“. ველარ შეიძლო გულმა ამ საიდუმლო ტვირთის მორევა. მე ის მატირებს, რომ გული ვერავისათვის მიმინდვია და უიმედოთ დატვირთულს დღე მაკლდება. მხოლოდ ერთს გულთამხილავს შეუძლია კაცზედ სწორი ჰაზრი იქონიოს... შენ პირველათ ჰედავ ჩემს ცრემლებსა და გიკვირს, მაშინ როდესაც მე კი საიდუმლოთ ბევრჯერ მიღვრია ცრემლები, იმავე მიზეზისა გამო, რომლის გამოც თავი სახალხოდ მხიარულად მიჩვენებია. დღესაც ლხინი მაქეს: სახალხოდ ვდღესასწაულობ ჩემის ქმრის ბედნიერებას!.. დიდებულმა სულთანმა ფაშობა უბოძა ჩემს ქმარს... (იცინის) ხა! ხა! ხა! რა დიდი ბედნიერება არის!.. ფაშობა უბოძა. ვის? იმ გამოჩენილ გვარის საქართველოს თავადს, რომლის წინაპრებიც ოსმალოს მოსისხერები იყვნენ... რომელთაც ოსმალო სახსენებლათაც კი ეზიზლებოდათ... დიახ, იმ დამლუპველი მტრის ხელიდამ მიიღო ჩემმა ქმარმა ჯილდოდ ფაშობა და მე, მთავრის კახაბერის ასული, მტარვალისა და ჩვენის ქვეყნის დამპყრობელისაგან ბოძებულ წყალობას უნდა შევხაროდე? ვმხიარულობდე?! განა? აჲ, რატომ არ გასქედები, გულო? (სტირის).

ე ლ ე ნ ე – (გაკვირვებით) დეიდავ, ეს რა მესმის თქვენგან?! უქე-იფოთ ხომ არა ხართ?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – აპა, ერთი გაიხედე გარეთ, რა ამბავია?! ხალხი მოდის და მუხლზედ კოცნით ულოცავს ჩემს ქმარს ბედნიერებას! ლმერთო, როგორ დაეცენ სულით. ერთი უბრალო ნიშნის გულისათვის ძმა ძმას გასწირავს და მამა შვილს გაპყიდის!.. ნუ დაივინწყებ, რომ ეგენი იმ ქართველების ნაშიერები არიან, რომელნიც მამულისათვის წამებულან.

ე ლ ე ნ ე – დეიდავ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ვინ არის მაგათი დაცემის მიზეზი? მართებულობა! ვინ მოუკლა მაგათ პატიოსანი სული? ოსმალოს პოლიტიკამ,

კუდურ-ხანუმი

ნანგარიშებმა და გამრყვნელმა... (ხელს წაავლებს ელენეს და ანჯლევს) შურისძიება, ელენე!.. შურის!

ე ლ ე ნ ე - მაშ, თქვენც მისთვის გეზიზლებათ ეს ხალხი?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - დიახ, არ დავფიცავ, მეზიზლება, მაგრამ მებრალება კიდეცა.

ე ლ ე ნ ე - გებ...რა...ლებათ?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - მებრალება!.. ამიტომ, რომ მაგათ ბრალი არა აქვსთ! ეკალში დათესილი და გაუმარგლავი ბრინჯი ქერზედაც უარესია, მაგრამ კარგ ნიადაგზედ გადატანილი იგივე თესლი ნაყოფს გამოიბრუნებს... ამ ხალხსა თავისი მომავალი ექმნება კარგი და იმაზედ უნდა ვიფიქროთ, ის უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

ე ლ ე ნ ე - ხუმრობთ!.. თქვენ, განა, ის მომავალი არ გაშინებსთ?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - მე?!

ე ლ ე ნ ე - მაშ, რაღათ სდევნით იმათ, ვინც მაგ აზრისანი არიან?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - ვის?

ე ლ ე ნ ე - ახალთაობას. სოხტები ბიძიამ არ ჩაასმინა მართებლობას?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - სტყუი!.. ბიძაშენს რჩევა ჰერთეს, რომელიც ბრძანებაზედაც უმტკიცესი იყო, და იმას რაღა გზა ჰქონდა, რომ დასტური არ მიეცა...

ე ლ ე ნ ე - მაშ, თქვენც ხომ ამართლებთ ბიძას?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - ვამართლებ! მისთვის, რომ ანგარიში იყო... დიახ... დიდი ანგარიში.

ე ლ ე ნ ე - მჯერა!.. საპირადო...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - სცდები... საზოგადო.

ე ლ ე ნ ე - ჰმ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - გიკვირს? დედამ რომ შვილი გაიმეტა, ხომ გაგიგონია?

ე ლ ე ნ ე - არ მაგონდება.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. - მონგოლები რომ ქართლს იკლებდენ, მაშინ, საზოგადო მუსრის დროს, ლანგ-თემურმა უბრძანა ერთს დედას: „შენის ხელით მოჰკალ ერთი შვილი და სხვებს გაპატივებო“. დედამ ვერც ერთი ვერ გაიმეტა და ყველა მის თვალწინ დაულიტეს, სხვა დედებსაც ამგვარივე ბძანება მისცეს და თანაც მიუშვირეს ქვა, რომ-ლითაც უნდა გაეტეხათ თავი შვილისათვის; ერთმა მათგანმა სიმწრით მოავლო ქვას ხელი, დაჰკრა ერთს შვილთაგანს და გადმო-ანთხევია ტვინი... ამით სხვა შვილები, ყველა გადაარჩინა სიკვდილს.

ე ლ ე ნ ე – (ხელებს იფარებს ზიზღით პირზედ) ოჰ, შეჩვენებულმა!.. როგორ გაიმეტა?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – დიახ, შეჩვენებულმა!.. როცა პირველ დედაზედ ვიფიქრებთ, მაშინ ის გვებრალება და გულში თანაგრძნობა გვებადება, და მეორეს რომ წარმოვიდებით, მაშინ კი ზიზღით გვიღელავს გული... და რათა?.. ჭკუას რომ დავეკითხოთ, ყოველთვის მეორეს გაამართლებს. საზოგადო საქმეში, ხშირათ, გულის აყოლა მავნებელია, ელენე! მე ის სათუთი დედა არ მომწონს, რომელმაც მისის გულჩილობით ყველა შვილები გასწირა! მე უფრო მეორე დედა მიმაჩნია სამაგალითოდ. დიახ, აუცილებელ საჭიროების დროს ჩემს ხელთ გავწირავ იქ ერთს, სადაც კი მითი ასასა და ათასს გამოვიხსნი.

ე ლ ე ნ ე – მთელი ახალ დგმის განირვით ვინ გინდათ იხსნათ?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – არ მესმის!

ე ლ ე ნ ე – თქვენ ხომ ახალი დგმა საზოგადოთ გეჯავრებათ და სოხტებსა სდევნით?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ელენე!.. დღეს მე ვლალატობ ჩემს თავს და ჩემი გულგახსნილობა არ დამანანო შენის წინდაუხედაობით!.. მმართებლობას არ უყვარს ისინი.

ე ლ ე ნ ე – და თქვენც მისთვის სდევნით?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – დიახ! გარეგნათ, დასანახავათ, რომ მათი მტრის გული მოვიგო, მოვინდო და მერე... მერე... ოჰ, ნუდა მათქმევინებ, ელენე!..

ე ლ ე ნ ე – ნუთუ მართლა, დეიდავ?! მაში, ისინი, ვინც მაგ გრძნობითვე არიან გამსჭვალულები...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რაღათა მძულს?

ე ლ ე ნ ე – დიახ, ეგ მინდოდა მეთქმ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ვინ გითხრა?.. არ იცი, რომ მე ისინი მიყვარს და იმათ ვაფასებ?

ე ლ ე ნ ე – გიყვარსთ?! თქვენზედ გულდაკლებული და თქვენი მგმობელი ახალგაზდები?!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – სწორეთ! იმათ არ იციან ჩემი საიდუმლოება, მაგრამ როდესმე დრო შეგვარიგებს ჩვენ.

ე ლ ე ნ ე – მაში, რათ უფარავთ მაგაებს ყოველივეს თქვენ თანამოაზრებს?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ძნელია მინდობა, წინდაუხედაობით საქმე სდება ხოლმე. მათი წინდაუხედავი პირდაპირობის მეშინია... იმათ წინდათ, რომ უაიარალოთ ძლიერ მტერს ებრძოლონ და უნავოთ ზღვა

კუდურ-ხანუმი

გასცურონ. მე კი მინდა, რომ ჯერ იარაღი ჩავიგდო ხელში და ნავი შევიძინო.

ე ლ ე ნ ე – არჩილმა მაგის მეტი რაღა დააშავა, რომ პატიმ-რობაში იღრჩობა.

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – არაფერი... მაგრამ გამოცდილება ეჭირვება!.. ელენე!.. არჩილი ჩემი იმედი და ნუგეშია, იმისაგან მე ბევრს მოველი.

ე ლ ე ნ ე – როდის? როდესაც ციხე დააჭერობს და გააქრობს?

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – არა, გამოსცდის და გაამტკიცებს! რკინისა ცეცხლი აფოლადებს და კაცს განსაცდელი.

ე ლ ე ნ ე – ატანა ძნელია.

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – მეჭურჭლე თიხის ჭურჭლებს თორნეში ჰყრის გამოსაწვავად და, რომელიც ვერ აიტანს გამოწვასა და გასკდება, იმაზედ ალარ ნალვლობს: „მაინც არ ივარგებდა სახმარადაო“, ანბობს... ეჰ, ელენე, ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ! თქვენა გგონიათ, რომ მხოლოდ თქვენ გიყვარსთ და თქვენა ჰფიქრობთ ჩვენს ქვეყ-ანაზედ... ჩვენ კი რაღა დაგვიშავებია? განა ქვის გული გვაქვს?..

ე ლ ე ნ ე – „ლმერთი საქმით იცვნესო“, ნათქვამია.

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – „და არა გარეგანის შეხედულობითო!“ საქმეს დრო გამოაჩენს, თქვენ უფრო თქვენი თავი გიყვარსთ და არა მამული.

ე ლ ე ნ ე – ჩვენ?!?

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – დიახ, თქვენ... გინდა, დაგიმტკიცო ხელდახელ, რომ შენ არ გიყვარს მამული?.. მხოლოდ გეჩვენება... გგონია!..

ე ლ ე ნ ე – უკაცრავად!.. ეგ არ ეთქმის იმას, ვინც მზათ არის, რომ სამშობლოს თავი უმსხვერპლოს.

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – მხოლოდ მისთვის, რომ თავი გამოიჩინოს.

ე ლ ე ნ ე – საიდუმლოთაც.

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – თუ ტანჯვა მოკლე ხანს გასწევს... ხან-გრძლიობას გაუდრკები.

ე ლ ე ნ ე – მაშ, ახლანდელი ჩვენი ცხოვრება ხანგრძლივი ტანჯვა არ არის? რასა ვხედავთ სანუგეშოსა და სასიხარულოს საზოგადოდ?

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – სურვილი გაქვსთ, მაგრამ საქმე კი არ შეგი-ძლიათ, დიდი ხანია, რაც ქართველებს ძველი სული მოუკვდათ... შენ იმას ვერ შესძლებ, რასაც ძველათ ქართველი ქალები შეიძლებდენ.

ე ლ ე ნ ე – გადიოდენ ბრძოლის ველზედ!

კ უ დ უ რ-ს ა ნ. – ეგ არაფერია! სულსაც კი მსხვერპლად სწი-რავდენ სამშობლოს: სარწმუნოებაზედ ხელს იღებდენ და ცოლებათ მიჰყვებოდენ იმათ, ვისიც ზიზღი გულში ედოთ: სულთნებას და შახებს. ნამდვილს გრძნობას გულში იკლავდენ და მოჩვენებულის

გრძნობით ისე ხიბლავდენ სიყვარულით გაშმაგებულებს, რომ საქართველოს შესახებ მტრობას მოყვრობათ უქცევდენ.

ე ლ ე ნ ე – მაშინ ის დრო იყო... შემთხვევა ჰქონდათ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – განა დღეს კი არ არის შემთხვევა? ეჭ, შენს ადგილზედ ვიყო და მაშინ დავამტკიცებდი, თუ როგორ მიყვარს სამშობლო.

ე ლ ე ნ ე – ჩემს ადგილზედ?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – დიახ! ვერა ხედავ, რა გაგიჟებით გეტრფის ვალი?

ე ლ ე ნ ე – მერე?!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რომ შენ განზედ არ უდგებოდე და გინდოდეს, რამდენს კეთილს საქმეს აქნევინებდი ჩვენის ქვეყნისათვის, ხელში რომ გეყოლებოდა!..

ე ლ ე ნ ე – ფუ!.. საზიზლარი და...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ჰო, ფუ!.. მაშინ ის დედები, მტრებს რომ მიჰყვებოდენ, უგულობი იყვნენ შენის აზრით? არ ეზიზლებოდათ?

ე ლ ე ნ ე – ეგ სულ სხვა არის!.. მაგას ჩემი გული ვერ შესძლებს!.. მაგდენი ძალა არა მაქვს, რომ მაგვარი რამ ავიტანო... ბრრრ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ბრრრ!.. მე კი არც ვიცოდი... ბრრრ! მიტომ ბრრრ, რომ მამულის სიყვარული გაკლია; ის ისეთი რამეა, რომ თავისთავათ აჩენს ძალას... სისუსტე არ იცის, რა არის... შენ არ შეგიძლია? სჩანს, არ გიყვარს!.....

ე ლ ე ნ ე – სიკვდილი უმჯობესია მაგვარად თავის დამდაბლებაზედ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ჰო, მაშინ მაგრე სთქვი, შვილო: თავი მიყვარსთქო!.. ქვეყანას რაღას ამაღლით?! ძველებური ქალები კი თავსა სწირავდენ და შენ კი იმგვარივე შემთხვევაში უბრალო ალერსსაც უკადრისობ... იმადლები... აბა, იფიქრე, შვილო, რამდენს კეთილს საქმეს აქნევინებდი შენის ქვეყნისათვის, ხელში რომ გეყოლებოდა?! რას ჩაფიქრდი? რისი შეგეძინდა, შვილო?.. ასე ვამბობ, თორემ მეც სუსტი ვარ... განა მე კი შემიძლიან, რომ შენი თავი გასაქენჯნავათ იმას ჩაუგდო ხელში? უიმე, მაშინ კი დღე დაუბნელდეს დეიდაშენსა! მაგრამ შენს ადგილზედ ვიყო, იმედს არასოდეს არ გამოვუცვლიდი იმ ბებერს გულიდამ; ხელში მეყოლებოდა დაჭერილი, ასჯერ ჩავიყვანდი წყაროზედ და წყალს კი არ ვასმევდი; და როდესაც გამოვაშრობდი, მაშინ ან ძალითა და ან ნებით უკუვაგდებდი.

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – გული უნდა, დეიდავ, გული!.. განა ყველა შესძლებს!
კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ვინც კი მოინდომებს, შეყვარებული კაცი და
ბარგის ვირი ერთია.

ე ლ ე ნ ე – ქვეყანა...
კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ვისაც საქმის გაკეთება უნდა, ქვეყანას არ
დასდევს. აი, თუ გინდა, მე: რამდენსა მოანდლვენ უსამართლოდ!
რას არ ამბობენ სოხტები ჩემზედ... შემიძლიან, რომ იმათ ჰაზრი
შევაცვლევინო, მაგრამ მეშინიან: საქმე არ წამიხდესთქო და ყურებში
ბამბას ვიცობ... .

მეუთე გამოსვლა

ისინივე და ესმა

ე ს მ ა – ქალბატონო, თქვენ მაინც უბძანეთ რამე, თორემ
გამგონი კაცი აღარსად არის. ბიჭები საღლაბუცოთა ხდიან საქმეს
და გოგოებს კი კაცმა ხელი ველარ მოჰკიდა... .

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – გამდელო, რა დაგმართნია? რა ამბავია კიდევ?
ე ს მ ა – გენაცვა, მეტი რაღა ამბავი უნდა იყოს, რომ თავი აიშვეს
გომბიოებმა და აქეთ-იქით ძროხებსავით გარბი-გამორბიან.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – საქმე ექნებათ...
ე ს მ ა – რა საქმე უნდა ჰქონდესთ, ბატონისშვილო! ტყვილა-
უბრალოდ დაძუნდულობენ და ჩემი არა ესმისთრა, ნამუსი იმათ
აღარა აქვსთ და პირის წყალი. ასე გამოცვლილი დრო არ გაგონილა!
სწორეთ მეორეთ მოსვლის ნიშნებია, ქალბატონო!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ოჳ, რაღაი მოჰყვები, ხომ აღარ გაათავებ!..
სულ ერთი და იგივე, სულ და სულ!..

ე ს მ ა – უიმე, დამიდგეს თვალები! აბა, ხმა არ გამოვილო?
გულგრილათ ვუყურო შენის ოჯახის ააოხრებას და გატიალებას?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რა აოხრებას?! გეჩვენება.
ე ს მ ა – გენაცვალეთ, როგორ თუ მეჩვენება? ააბზიკეს კუდები
ხბოებმა და აქეთ-იქით გადაცვინდენ. გარბი-გამორბიან, თვითქოს
კორტიზი შეჯდომოდეთ, სარზედ გადაეხევიან და მიმხედავი კაცი კი
არსად არის.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – რა ცოდვამ ააბზეკიათ კუდები?
ე ს მ ა – დაფრთხენ, ქალბატონო... ცხენოსნების შეეშინდათ...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ვინ ცხენოსნები?

ე ს მ ა – სტუმრები გიახლენ სადილათ, სტუმრები!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – სტუმრები? ვალიც მობძანდა?

ე ს მ ა – დიდი ხანია, ქალბატონო... ბაღში სხედან ვაჟბატონთან.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (წამოვარდება ზეზე) მერე და ვერ შემატყობინეს? (მიდის სიჩქარით).

მეტვეს გამოსვლა

ელევ და ესმა

ე ს მ ა – აი, ბატონო! დიდი და პატარა ამ ოჯახში ყველა ჯინზედ მიდგება. ისე მტერი ამოვარდეს, ჩვენი ოჯახი ამოვარდეს და გაფუჭდეს, თუ ასე იქნა!.. ხბოების ჯავრი არა აქვს... და იმ ძროხებს რომ მალ-მალ თხოულობენ დასაკლავათ, თუ ხბოები აღარ იქნებიან, საიდამ მიერთმევათ? (მიდის ელენესთან, რომელიც თავჩალული ზის და პირზე ხელები აქვს მიფარებული) რას მოგინყენია, შვილო, შენ კი გენაცვალოს შენი გადია? ქალბატონმა ხომ არ გაგაჯავრა? როდი უნდა რამე გენყინოს დეიდასგან, გენაცვალე: დედის ადგილი უჭირავს, გული შესტკივა შენზედ. მოითმინე ცოტა კიდევ და, რომ გათხოვდები, მაგაებს ყველას გადარჩები, შვილო.

ე ლ ე ნ ე – რაო? რას ამბობ, გამდელო?

ე ს მ ა – გათხოვდითქო, გენაცვალე!

ე ლ ე ნ ე – არ ვიცი, რა ჩამცივებიხარ, გადია!.. ჩემის გათხოვებით შენ რა სურვილს იკლავ?

ე ს მ ა – თან წამოგყვები, გენაცვალე... როდი მოგმორდები, ამდენს უპატიურობას მეც გადურჩები.

ე ლ ე ნ ე – მერე რა უნდა გამიკეთო?

ე ს მ ა – როგორ თუ რა? წინილებს გამოგიზდი, ხბოებს მოვუვლი, ცხვრებს მივხედავ, სალაროს შეგინახავ და ოჯახს ყურს ვუგდებ. მტერს არ გავაცინებ შენზედ და მოყვარეს გავახარებ...

ე ლ ე ნ ე – რომ არ გავთხოვდე?

ე ს მ ა – უიმე! უიმე! ღმერთმა ნუ ქნას!.. განა გინდა, რომ მტრები გააცინო და მეზობლებს ათქმევინო, „დარჩაო“? შვილო, ეგება მისთანა ვინმე გიყვარდეს, რომ შენი საკადრისი არ იყოს და ის განუხებდეს... მალავდე?

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – რას ამბობ, გადია?! ხომ არ გაგიუდი?

ე ს მ ა – კი, გენაცვალე, სიყვარული გიშია! გარჩევა როდი იცის. თვითონ ჩემს თავზედ გეტყვი, გენაცვალე: ჯერ კიდევ გამდელი არ ვიყავი, მარამ მოახლობა კი ხელში მეჭირა, რომ ეშმაქმა მაცლუნა და ერთი უბრალო თხის მწერის შემაყვარა, მაშინ როდესაც დარბაისლები მეარშიყებოდენ.

ე ლ ე ნ ე – (იცინის) მართლა? მერე?

ე ს მ ა – მერე? რა მერე? რომ გაეგოთ, ხომ თავი მომეჭრებოდა, მაგრამ ისე გადავრჩი, რომ არც მწვადი დავსწვი, შვილო, და არც შამფური.

ე ლ ე ნ ე – არა, გადია, ნუ გეშინიან, მე მაგისთანა არავინ მიყვარს.

ე ს მ ა – მაში, რატომ არ გათხოვდები, გენაცვალე, თუკი არავინ გიყვარს?

ე ლ ე ნ ე – ჰო, თუკი არავინ მიყვარს?

ე ს მ ა – რა საჭიროა?.. ქმარი და შეყვარება ვის გაუგონია?! ქმარი პატრონათა თქმულა და საყვარელი გულის მეფეთ.

ე ლ ე ნ ე – მერე რომ შემიყარდეს, გათხოვების შემდეგ?

ე ს მ ა – შეგიყვარდეს, გენაცვალე... მე იქ არ გეყოლები?

ე ლ ე ნ ე – შენ რა ჩემ მაგიერობას იზამ?

ე ს მ ა – მოგინამუსებ.

ე ლ ე ნ ე – რაო?

ე ს მ ა – შენს საყვარლებს სულ ჩურჩხელასავით დავმალავ სკივრში!..

ე ლ ე ნ ე – რომ არავინ არის, რომ მე შემირთოს?

ე ს მ ა – როგორ თუ არავინ არის? ვალი შენის გულისათვის არ გიუდება? ოღონდ შენკი დაეთანხმე და ყველა ცოლებს განაცვალებს... პირველობას შენ მოგცემს (ჭამალის ხმა მოისმის).

ჯ ა მ ა ლ – ესმა! ესმა! გამდელო!.. სად წათრეულა ის სასიკვ-დილე?.. სად ჯანაბაშია, რომ კაცმა ველარ ნახა?..

ე ს მ ა – თვითონ სასიკვდილე, რა გაღრიალებს... რა?.. (ელენე შედის მეორე ოთახში).

ჯ ა მ ა ლ – (შემოდის) შე გამოყრუებულო, არ გესმის, რო გეძახიან?

ე ს მ ა – რა ცეცხლი გაგჩენია?

ჯ ა მ ა ლ – ცეცხლიც გაგჩენია და ნამთიც!.. სალაროს გასაღები სად არის?

ე ს მ ა – რად გინდა? (ეძებს) უიმე, აკი დამკარგვია... მოზვრებს რომ დავდევდი, სწორეთ მაშინ გამვარდნია და დამდგომია თვალები!..

კულტურა-ხანუმი

ჯ ა მ ა ლ – ჰე... მერე... ახლა რაღა ვქნათ?.. მაინც რომ ვეღარ მოშორდი ამ მოზერებს... ჯერ ისინი დაგდევდენ და ახლა შენ დასდევ...

ე ს მ ა – ეს სულ იმ შეჩვენებული გოგოების ბრალია: დაუნამუს-დენ... ადამიანის შვილის აღარა ესმისთვა... რომ აღარ მეპოებიან.

ჯ ა მ ა ლ – უნდა გავტეხო სალარო, მეტი გზა აღარ არის!

ე ს მ ა – უი, ქა! ვინ გაგატეხიებს? შენ რა ხელი გაქვს სალა-როსთან? ბელლები არ გეყოფა? ისინიც გინდა აიკლო შენებურათ?

ჯ ა მ ა ლ – გაჩუმდი, ნუ ნაგიგდია ენა! შენი საქმე არ არის!.. გა... სა... ღები...

ე ს მ ა – როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? ამ ოჯახის გაოხრება რომ ვინაღვლო, ჩემი საქმე არ არის?..

ჯ ა მ ა ლ – დაბერდი და გეჩვენება!.. ან ნახე გასაღები და ან ახლავე გავტეს სალაროს!

ე ს მ ა – მეჩვენება? წუხელ, საღამოს ერთი საპანე ღვინო რათ გაგზავნე შინ... თუ შენ ფარცაგი სული იყო?..

ჯ ა მ ა ლ – გაჩუმდი, ბებერო ძალლო! შენ არავინა გყითხავს.

ე ს მ ა – ვის ეკადრება შენგან ეგ?! შე ბეღლის ღორო, შენ!..

ისინივე და ნახირ-ზაშა შემოდის

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რა ამბავია? რას ჩხუბობთ? თქვენი ყვირილი ბალში ჩამოდის.

ჯ ა მ ა ლ – ჩამცივებია, ბატონო: ერთი მიჩქმიტეო და რაღა დროს ჩქმეტაა, რომ სიბერით ძვლისა და ტყავის მეტი აღარა შერჩენიარა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა?.. ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. გადია, როგორ გეკადრება სიბერის დროს!..

ჯ ა მ ა ლ – ერთობ ახუნტრუცებულა, ბატონო... ილაჯს მიწყვეტს.

ე ს მ ა – უიმე, უიმე, უიმე! ცრუ! ცრუ! უნდა, გადააფუჩეჩოს. წუხელი...

ჯ ა მ ა ლ – (სიტყვას აწყვეტინებს) წუხელი შუალამისას ჩამცივე-ბოდა და ახლაც აღარ მეშვება...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ხა, ხა, ხა, ხა!.. რავა გეკადრება, გადია! გადია... რაღა დროისაა?..

ე ს მ ა – უიმე, დამიდგა თვალები!.. ეგ კი არა, წუხელი შუალამისას...

ჯ ა მ ა ლ – უჳ, დიდი საქმეა! სიზმარი უნახავს, ბატონო!

ე ს მ ა – ერთი დიდი საპალნე ღვინო...

ჯ ა მ ა ლ – დაიქცაო და რა ვუყოთ მერე?.. დაუჯინია, ბატონო, რომ სისხლი დაიქცევაო და არის ერთს ყოფაში! რას ჰბოდავს, თვი-

კუდურ-ხანუმი

თონაც აღარ იცის... ნუ უგდებთ, ბატონო, ყურს, სადლაც ჭაშნიკი უნახავს და შეზარხოშებულა.

ე ს მ ა – უიმე!.. უიმე!.. სტყუის! სტყუის! წვეთიც არ დამელიოს, ის ჩემი ელენე არ მომიკვდეს და იმაზედ არ გავმწარდე!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ხა, ხა, ხა, ხა, ხა! მართლა, გადია, რავა გეკადრება? ვე! ვე! ვე!.. ელენე, გამოდი, ყმაწვილო, რაღას აკეთებ, რას იგვიანებ ამდენ ხანს?..

ისიცვე და ელენე

ე ლ ე ნ ე – აი, მზათ გახლავართ!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ყმაწვილო, ამდენ ხანს კოპნიაობა როგორ იქნება? იქ დეიდაშენი სწუხს... საჩქაროდ გამომგზავნა: ელენე მომგვარეო. სადილი თვითქმის თავდება და შენ კი აქვე ხარ!.. მაგრამ ძალიან კი მორთულხარ... პო, პო, პო, პო!.. ძალიან ხარ!.. ძალიანი! ჩაკოპნიავებული ხარ... ჩა... თვალი კი არ გეცეს... თვალი. ტფუ! ტფუ! ტფუ!.. პო, პო, პო!.. ელენე!.. ელენე.

ე ლ ე ნ ე – წავიდეთ, ბიძია! მზათ გახლავარ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – წავიდეთ! წავიდეთ! პო, პო, პო, პო!.. ჩახატული ხარ... ჩა... (მიდიან ხელიხელგაყრილი).

მევიზე გამოსვლა

ესმა და ჯამალ

ჯ ა მ ა ლ – თვარა მანგრე?.. ჰმ!.. დაბეზლებაზედ არის საქმე? ზოგი ან ჩემგანაც იყითხე, თუ კარგია დაბეზლება.

ე ს მ ა – შენმა სიცოცხლემ, ლეჩაქი არ გადამახიო თავზედ!

ჯ ა მ ა ლ – შენ კი, შენმა სიცოცხლემ, ყურებზედ ხახვი არ გადამაჭრა... რა მოიგე მაგ შენი ენატანიაობით? რა გამოგივიდა? ხბოს თავი!

ე ს მ ა – არაფერია, ჯერ მოვახსენო ყველაფერი ქალბატონსა და მაშინ ნახავ, რაც გამოვა!..

ჯ ა მ ა ლ – ჰაი, შე ბებერო ქოფაკო... შენ ქოშებით შეხვალ ჯოჯოხ-ეთში! მაგ ენაში კი გაგიყრიან შამფურს: დააწყებიებენ შუშეუნს.

ე ს მ ა – მანამდი ნუ გაიხაროს მაგ შენმა გვერდებმა!..

ჯ ა მ ა ლ – ჩუმათ!.. ხმა გაიწყვიტე!

ე ს მ ა – უი, ქა! ვის ეკადრება ეგა? ვის აწყვეტიებ ხმას? შენ თვითონ ქოფაკო და ქოფაკზედაც უარესო!.. მაცადე, თუ ყველაფერი არ მოვახსენო ქალბატონს...

ჯ ა მ ა ლ – მე თვითონ მოვახსენებ ქალბატონს შენს უსაქცი-ელობას! (მიდის).

ე ს მ ა – გაეთერი... გაეთერი... შე... შე...

ჯ ა მ ა ლ – (მობრუნდება) რაო? რაო? ვეპუ! შენს საქმეს!.. ბრანი და ბრანი შენ ზედიზედ!.. (მიდის).

ე ს მ ა – კარგი, კარგი, ეგ არ დაგავიწყდეს! მაგას მოგაგონებ, თუ ქალი ვარ! ვერ ჰედავთ ამ ბეღლის ლორს, როგორ აიშვა თავი?.. კიდეც რომ მემუქრება პირაქეთ! ეს რა დრო მოვიდა: დაფასება სადღა არის? მე, რომელიც ამ ოჯახში ამდენი ხანია, ორმოცდაათი წელი-წადია, დილიდამ სალამომდი ჯარასავითა ვტრიალობ და მოსვენება არა მაქვს: წინილებს მე ვზდი, ცხვრებს მე ვუვლი, ხბოებს, ინდ-აურებს და ბატებს! ეს მეკადრება ვინდაც გუშინდელ შემოთრეულ ყაზახისაგან?! გამდლობით მაინც უნდა მცემდენ პატივს, თუ სხვით არა... ელენეც რომ აღარ მიგდებს ყურს!.. გამოუყარა ხელი-ხელში ბიძამისს და მე ზედაც არ შემომხედა, ვითომდა არაფერი ამბავი ყოფილიყოს... წავიდა თავისთვის!.. იპ, მართლა რომ ცუდი დრო მოვიდა! ადრე რომ ქალი და კაცი ხელი-ხელში გაყრილი ენახათ, რას იტყოდენ!.. ახლა უმისოთ სიარული ქალებს კიდეც დაავიწყ-დათ! ვინც უნდა იყოს, გინდ მტერი, გინდ მოყვარე, თუ კი გვერდში ამოუდგათ, მაშინვე სტაცებენ ხელს და ის არის... გასწევენ!.. აირია გზა და კვალი!.. დიდიკაცის შვილები კი არა, ახლა გოგოებიც ვეღარ დაამაგრა კაცმა: თავაშვებულები დატრახუნობენ იქით-აქეთ... (ჯდება) იპ, ნეტავი იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ ჩემი ელენე ვალის ისე ეპონიაკებოდეს მკლავზედ!.. რამდენს გაუშრება პირი ჯავრით... თვალები გამოუშტერდებათ შურით!.. მეც სულ სხვა გადია ვიქწები მაშინ. ეგ ესმა ალარ ვიქწები! დიდი სახლის გამდლობა ხუმრობა ხომ არ იქწება?! მაშინ ნარიგვლი გულზედ გასქდება სიხარბით, ჯან-ვერდი ჭლექში ჩავარდება და ყარდაშვერდის გააცივებს! გამდელი ყოველთვის გამდლის მტერია... მაგრამ მე რა მენაღვლება?.. მე ისინი რაღას დაამაკლებენ?.. რაც უნდა სთხოვოს ჩემმა ელენემ, იმას კი ვენაცვალე, მის ქმარს, ყოვლიფერს აუსრულებს. ერთი თქმის მეტი არა დაჭირდებარა... მეც შევახვეწებ, რომ ერთი კარგათ ჯამალი შეახურვონ, მისი ჯავრი ამამაყრევინონ... მერე გამომიგზავნოს ხბოს თავი და ქოშებით შემიყვანოს ჯოჯოხეთში, ფეხის გულზედ რომ

კუდურ-ხანუმი

ტყავსა აართმევენ!.. (ბალიდამ დაირისა და ზურნის ხმა მოისმის) ჩუ!.. ლეკური... აი, ბეჩა! ჩემს ელენეს ქორნილში კი არ იქნება კიდევ ერთი გახურებული ლეკური და ტაშისკვრა, იმას კი შემოვევლე თავზედ, იმას კი ენაცვალის მისი გადია!.. რანაირ ლეკურს დავუვლი მაშინ, ამ სიბერის დროს!.. ძველებურათ დაგზიალდები, აი, ასე, სულ ასე... სულ ასე გავშლი ხელებს, აჲ! ახლანდელმა ქალებმა ლეკურიც აღარ იციან. საცოდავათ ხრუკვენ ხელებს, თითქო სიცივე უჭერსთქო!.. სადღა არის ხელგაშლილი გადავლა ლეკურში? (თამაშობს).

გერვა გამოსვლა

იგვე და ხალენია შემოვარდება სიჩქარით

ს ა თ უ ნ ა – გამდელო! გამდელო!

ე ს მ ა – (შეკრთომით შეჩერდება) ვუი, შენ და შენს თავს!..

ს ა თ უ ნ. – გამოიხედე, გამდელო, რა ამბავია!

ე ს მ ა – რა ამბავია, რა?

ს ა თ უ ნ. – ლეკურია გახურებული!.. ქალბატონმა დაუარა და ახლა ელენე გამოჰყავთ.

ე ს მ ა – მერე? გამოდის?

ს ა თ უ ნ. – ეპირება.

ე ს მ ა – უიმე, იმას კი ვენაცვალე, რამდენი ხანია მისი ლეკური აღარ მინახავს! წავიდე ერთი, შევხედო! (მირბის).

ს ა თ უ ნ. – (მარტო) შეხედე! ვერ უყურებ ამ ბებრუცუნას?! ჩვენ რომ გამხიარულებული გვნახოს, აქაურობას აიკლებს და თვითონ, თურმე, ჩუმ-ჩუმათ კიდეც კუნტრუშებს... მაცადოს მე იმან, თუ ახლავ ყველას არ უთხრა! (მიდის).

მეცხრე გამოსვლა

შუაკარებიდამ დაღალული შემოდის ელენე და დივანზედ ეეცემა. უკან მოსდევენ ვალი და ნახირ-ფაშა

ე ლ ე ნ ე – უჲ! რარიგათ დავიღალე! ასე ძნელია გადაჩვევა!..

ვ ა ლ ი – ბარაქალლა, ბარაქალლა, ელენე! ეგ თქვენი ლეკური სწორეთ სამოთხეში ნასწავლი უნდა იყოს!.. გმადლობთ, რომ გვასია-მოვნეთ.

ე ლ ე ნ ე – როგორ გეკადრებათ ჩემი გაკიცხვა?! მეც ვიცოდი, რომ ჩემი ლეკური გამოსაჩენი არ იქნებოდა, მაგრამ რა მექნა, რომ თქვენს თხოვნას ვეღარ წაუვეძი?

ვ ა ლ ი – გაკიცხვა?! განა ჩემთვის შეგინიშნავსთ როდისმე სიცრუვე და პირფერობა?

ე ლ ე ნ ე – არა, მაგრამ კარისკაცებს ტკბილი საპირფერო სიტყვები ზნეთა გაქვსთ გადაქცეული, ასე, რომ ხანდახან უნებურათ წაგცდებათ ხოლმე.

ვ ა ლ ი – ამ შემთხვევაში კი მხიარულათ მართლის გულით ვალი-არებ! (ნახირ-ფაშას) გთხოვთ, მიბანდეთ და განკარგულება უბოძოთ, რომ ჩემის მიზეზით ლხინი არ მოიშალოს, იმხიარულონ და შეექცენ!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შა – თქვენ კი აღარ მობძანდებით?

ვ ა ლ ი – თუ ნებას მომცემთ! (ჯდება) თქვენი ლეკური სწორეთ თქვენის მშვენიერების შესაფერი და საკადრისი იყო!..

ე ლ ე ნ ე – სასაცინო?

ვ ა ლ ი – ელენე, მაგას რისთვის ბრძანებთ?! განა თქვენი მსგავსი ქვეყანაზედ კიდევ მოიპოვება რამე? ყოვლისფრით სრული და...

ე ლ ე ნ ე – კმარა!.. მადლობა ღმერთს, რომ არც ისე სულელები ვართ ქალები, როგორც გგონიათ კაცებს, თორემ...

ვ ა ლ ი – რასა ბრძანებთ?

ე ლ ე ნ ე – კაცებს ხშირათ ხუმრობა გიყვარსთ და იმას კი აღარ დაექებთ, თუ მაგ ხუმრობას ხშირათ რა მოსდევს?.. კარგი, ახლა ეგ თქვენი ხუმრობა რომ სიმართლეთ მივიღო, მაშინ მოულოდნელი სიხარული ხომ ამიტაცებდა და... კარგი, რომ ეგ სიტყვები ნასა-დილევს მესმის.

ვ ა ლ ი – განა კვლავ აღარ მომიხსენებია?! პირველი ხომ არ არის?

ე ლ ე ნ ე – დიახ, მაგრამ ყოველთვის ხუმრობთ!

ვ ა ლ ი – (აღტაცებით) განა მე ვხუმრობ? მე ვსტყუვი?.. გეფიცე-ბით დაუსაბამოს, ჩემს ხანში ტყუილი ჯერ ცოდვაა და მერე არც საკადრისია.

ე ლ ე ნ ე – ვიმეორებ, რომ ტკბილი სიტყვა დარბაისლების წესია!

ვ ა ლ ი – დამერწმუნეთ, რომ არა! ენდეთ ჩემს სიტყვას, რომ მე ჯერ თქვენი მსგავსი არა მინახავსრა!

ე ლ ე ნ ე – თქვენ, რომელიც სასახლის კარზედ გამოზდილხართ, სადაც ყოველის კუთხიდამ მშვენიერებს თავს უყრიან?.. თქვენ განა ჩემთვის მიაცლიდით გონებას?

კუდურ-ხანუმი

ვ ა ლი – ჩემი გონება, დიდი ხანია, თქვენის მშვენიერების ტყვეა, მაგრამ თქვენ კი ფიცითაც ვერ დაგარწმუნებსთ კაცი...

ე ლ ე ნ ე – (კეპუცობით) ფიცი სიტყვაა!

ვ ა ლ ი – და სიტყვა – პატიოსნება.

ე ლ ე ნ ე – „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა: შუა უზის დიდი ზღვარიო“, – რუსთველმა სთქვა.

ვ ა ლ ი – საქმეს ვინ ექცევა? განა მზათ არა ვარ?

ე ლ ე ნ ე – საქმე დროს თხოულობს.

ვ ა ლ ი – დე, მოითხოვოს! ტკბილ იმედით შეკაზმული დრო სიჩქარით გარბის.

ე ლ ე ნ ე – ვნახოთ!

მათე გამოსვლა

ისინივე, ნახირ-ზაშა და კუდურ-ხანუმ

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ბატონო ვალო! ლხინი მოგწყინდათ და მიგვა-ტოვეთ?

ვ ა ლ ი – უკაცრავათ! მინდა, ცოტა შევისვენო და ჩემის ბრობით ლხინი კი არ დაიძალოს!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – თქვენმა ნელანდელმა მოლხენამ ყველანი გაამხიარულა. სტუმრები ალტაცებულნი არიან. შეექცევიან და იმდე-რიან. არეული მხიარულებაა, (სხვადასხვა სიმღერები ერთიმეორებული მოისმინა: იმერული, ქართლური, მეგრული და სხვ.).

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – თქვენ მაგიერ ბძანება მივეცი, რომ მომ-ლერლები ცალ-ცალკე დასონ და რომ ერთმა მეორეს აცალოს სიმ-დერა და ერთმანერთს ხელი არ შეუშალონ (მოისმის „ოდელია“).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – აი, ეს გახლავსთ იმერული „ოდელია“.

ვ ა ლ ი – სასიამოვნო არის, რომ მიხვეულ-მოხვეული არ იყოს... რას ნიშანავს ეგ ლექსი „ოდელია“?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ოდელია ბალახი გახლამსთ, რომელსაც ქალები მხლათ ჰკრეფენ, საჭმელი ბალახია. მის მოკრეფის დროს ქალები იმდერიან ხოლმე და აქედამ გაჩნდა „ოდელიას“ სიმღერა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ეგ არ უნდა იყოს ნამდვილი!.. ელენესა ვკითხოთ: მაგვარები იცის.

ვ ა ლ ი – თქვენ როგორდა ბძანებთ?

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – მე მგონია, რომ ბიძიამ კარგათა ბძანა, მაგრამ მე კი სულ სხვანაირად გამიგონია.

კ ვ ე ლ ა ნ ი – როგორ?

ე ლ ე ნ ე – ეგ სიმღერა ძველი დროიდამ არის საქართველოში დარჩენილი: მაშინ, როდესაც ქართველები კერპთმსახურები იყვნენ და ცეცხლს მსახურებდენ, ყოველგვარ ნათელსაც სცემდენ თაყვანს, სხვადასხვა გალობაები ჰქონდათ, უგალობებდენ მზეს, მთვარეს, დილას, ალს და სხვ. „ოდელია“ ძველებურათ „ოჳ დილასა“ ნიშნავს.

კ ა ლ ი – ჭეშმარიტათ საგულისხმოა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ელენე მაგგვარებში განაფულია, კითხვაში და სწავლაში აღამებს.

კ ა ლ ი – კეთილი და პატიოსანი. ეს რაღა სიმღერაა?

ე ლ ე ნ ე – ეს კახური „ჰარი-არალო“, ესეც ალს ნიშნავს, ისე როგორც „მზეშინა“ მზის გალობას.

კ ა ლ ი – საუცხოვოა! საუცხოვო!..

ე ლ ე ნ ე – ძველი ქართული სიმღერები მარტივის ხმათ არ გამოითქმოდა. ყოველთვის სხვადასხვა ხმებით იყო ხოლმე შეწყობილი.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – აი, ეს მეგრულია და პირველათ რომ იმღერეს, ის გურული იყო; აქ მხოლოდ ვაჟკაცური კიუინაა, სხვა არაფერი.

კ ა ლ ი – კეთილი! კეთილი! ელენეს ბრძნულ და გონივრულ ახსნის შემდეგ ამ სიმღერებსაც ჩემ თვალში ფასი მოემატა!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ბატონი ვალო, ან კი დრო არის, რომ მაგ ძველებურ ხმებს ბოლო მოედოსთ და უფრო ტკბილს ერთს ხმაში გამოიხატონ ყველანი, რომ მათ უმეტესი ძალა და ხანგრძლივობა გამოიჩინონ. (ჩუმათ კუდურ-ხანუმს) ხომ სრულათა ვსოდვი? ხმა არ დამვინებიარა?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – როგორც იქნა! (ვალს) დიალ, გულისწმიდით მოგახსენებსთ.

კ ა ლ ი – ეგ რაღა ხმა არის?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – აი, ეს (მოისმის თათრული ბაიათი).

კ ა ლ ი – (ქმაყოფილი) აფერუმ! ქვეყნისათვის კეთილი გსურსთ და კეთილიც მოგენიჭებათ! მაგრამ, როგორც გამიგია, ელენე კი არ უნდა იყოს მაგის თანახმა?

ე ლ ე ნ ე – როგორ ბძანეთ?

კ ა ლ ი – (სიცილით) თქვენ თურმე თათრულ კილოთი სიმღერა გეჯავრებათ?

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – ტყუვილი მოუხსენებიათ! თავთავის ადგილზედ ყველაფერი კარგია.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ნუ დაიჯერებთ!.. ელენეს თვითონაც ძალიან უყვარს ბაითები. ასე გასინჯეთ, რომ ხშირათ საიდუმლოთ თვითონაც კი იმღერის ხოლმე.

ვ ა ლ ი – მართლა? თქვენს ღირსებებს ახალი აღარა ეჭირვებარა, მაგრამ ეგ კიდევ მაინც ახალი ღირსება მესმის.

ე ლ ე ნ ე – ნუ დაუჯერებთ დეიდას! ჩემის სიყვარულით დაბრმავებულს. რასაკვირველია, ჩემი სიმღერაც მართლა სიმღრათ მოეჩვენება... მაგრამ... სხვისთვის კი მოსაწონი არა იქნებარა...

ვ ა ლ ი – არც დაბრმავებულებისათვის? არ შეიძლება, რომ გაგვაძენიეროთ და გაგვაგონოთ თქვენი ხმა?!?

ე ლ ე ნ ე – ისიც მეტი იყო ჩემგან, რომ თქვენთან ლეკური გავტედე, უარი ვეღარ მოგახსენეთ, თორემ სიმღერას როგორ გავამხელ?!

ვ ა ლ ი – დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სიმღერაც განსხვავებული იქნება.

ე ლ ე ნ ე – მოსტყუვდებით.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ელენე, იმღერე, შენს გაზდას! რაღა დროს შენი მორცხვობაა, მაგოდენა ქალის! (ვალს) საკვირველი მორცხვია და ამით ბევრსა ჰყარგავს.

ვ ა ლ ი – არა, მორცხვობა დედაკაცის ერთი შვენებათაგანი არის საზოგადოთ. მაგრამ ახლა კი იმედია, რომ ელენე ჩემს თხოვნას პატივს დასდებს და სამაგიეროს ჩვენც...

ე ლ ე ნ ე – (იცინის) სამაგიეროს?

ვ ა ლ ი – დიახ, რასაც კი მოითხოვთ... მზათ ვიქნები ავასრულო!

ე ლ ე ნ ე – ბეგარასა მპირდებით!.. რა იცით, რას მოვითხოვ?

ვ ა ლ ი – რაც უნდა იყოს! მზათა ვარ, არ შეგიშინდეთ!

ე ლ ე ნ ე – მართლა?

ვ ა ლ ი – მართლა!

ე ლ ე ნ ე – არა ხუმრობთ?

ვ ა ლ ი – არა!..

ე ლ ე ნ ე – მაშ, კარგი, ბოლოს არ შეინანოთ კი! მე ვიმღერებ, მაგრამ ნება მომეცით კი, რომ ჩემს ოთახში შევიდე და იქიდამ ვიმღერო!..

ყ ვ ე ლ ა ნ ი – თანახმა ვართ, თანახმა! (ელენე შედის მეორე ოთახში).

კუდურ-ხანუმი

ნ ა ხ ი რ-ფ ა შა – რა მოუვიდა ელენეს? ასე გამხიარულებით ჯერ მე არაოდეს მინახავს.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – უთუოთ სასიამო რამ შეუტყვია, ან მოელის რამე სასიხარულს და ვერ მალავს, ყმაწვილია!

ვ ა ლ ი – (ქაყაფილების ნიშნად წვერებზედ ხელს ისვამს) უთუოდ აგრე იქნება! ღმერთმა ნუ მოუშალოს მხიარულება.

(ელენეს სიმღერა მოისმის)

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა:
რომ ძალით ვერ აშინებდენ...
ვერც ნებით უხვევდენ თვალსა!

მინდა, რომ მისი სახელი
გაითქვას ძველებურათა
და მისიანი ყველანი
ერთად სცხოვრობდენ ძმურათა!

მინდა, რომ მისსა დიდებას
დამღერდეს რუსთველის ქნარი,
რომ იღვიძებდეს მის ხმაზედ
ტაშისკვრით ხალხი მძინარი.

მინდა, რომ... მაგრამ... ეჲ, კმარა!
ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა,
თორებ რა მოჰკლავს უფსკრულსა
მამულისშვილის წყურვილსა?!

ვ ა ლ ი – აფერუმ! აფერუმ! (აღტაცებით) ბულბულის დამ-
ჩაგვრელო! სამოთხის შვილო!.. (მიდის კუდურ-ხანუმთან) ეტყობა, რომ
თქვენი გაზრდილია! მაგალითი არა ჰყავს!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (იცინის. ჩურჩულით) თქ...ვე...ნია!

ვ ა ლ ი – (ხელზედ ჰყოცნის) მომილოცავს თქვენი ქრმის ბედ-
ნიერება!

(დასასრული პირველი მოქმედებისა)

კუდურ-ხანუმი

მეორე მოქმედება

პირველი გამოსვლა

ნახირ-ფაშა და ვამალ-მოურავი

ჯ ა მ ა ლ – (შემოდის ოთახში და თან თეფშით ხაჭაპურები შემოაქვს) ჰო... ჰო... ჰო... ჰო... რა ცხელია... რა ცხელი... ა!.. რად წაბ-ძანებულა ის დალოცვილი?! (შეიხედავს მეორე ოთახში, საიდამაც ხვრინვა ისმის) ეჲ... ეჲ, ბატონო!.. წამოპლაკულა და ბაყბაყ-დევი-ვითა ხვრინამს! მეტი რა საქმე აქვს?! გამოილვიძებს – სტამს, გაძ-ლება და დაიძინებს... მე მოგახსენებთ, ჯავრი რამ აწუხებს, რომ ძილი გაუტეხოს და მადა დაუკარგოს!.. ცხრა ხაჭაპური ამ დილაზე ჩასანსლა და ახლა ეს მეორეა, რომ მიჰყო ხელი. იმედია, სადილო-ბამდი ამასაც გადააკონდახებს! რა უჭირს? მეტი რა საქმე აქვს! ზევით ღმერთი სწყალობს და ქვევით ხელმწიფე. მართალი ნათქ-ვამია: „ვისაც მისცემს, მისცემს და მიცემს“.

ნ ა ხ ი რ ი ს ხ მ ა – (მეორე ოთახიდამ) ეეე!..

ჯ ა მ ა ლ – ბატონო!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ვინ მისცემსო? რას ამბობ მანდა?

ჯ ა მ ა ლ – ღმერთი, ბატონო!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ვის?

ჯ ა მ ა ლ – თქვენ, შენი ჭირიმე.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რასა?

ჯ ა მ ა ლ – ყოველივე სიკეთეს, ჩემო ხელმწიფე, რომ თქვენი რისხვა ამხდოდეს და წყალობა არ მომშლოდეს!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რა ამბავი იცი, ჯამალ?

ჯ ა მ ა ლ – მშვიდობა, შენი ჭირიმე... ხაჭაპურები!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მოიტანე?

ჯ ა მ ა ლ – მოგართვით!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ცხელია?

ჯ ა მ ა ლ – სულ ორთქლი ასდის!.. ჭიჭინ-ჭიჭინი გაუდის.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – (გამოდის) მართლა? ჭიჭინობს?.. ჭიჭინობს!.. ჭიჭინობს!.. პო-პო-პო-პო!.. მოიტა! მოიტა! ვნახოთ.

ჯ ა მ ა ლ – მიირთვით, შენი ჭირიმე, ნუდა გააცივებთ!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ვიშ! ვიშ! ვიშ! ვიშ! საუცხოვოა!.. საუცხოვო!

ჯ ა მ ა ლ – ღმერთმა შეგარგოსთ: შაქრათ და ჯულაბათ.

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – ვიშ! ვიშ! ვიშ! საუცხოვოა... რა! თუ გიყვარდე, ამ ხაჭაპურებს ნუ გამიპნევ! გამომიზოგე.. ვიშ! ვიშ! (ჰყლაპავს).

ჯ ა მ ა ლ – კი, შენი ჭირიმე, მაგაზედ რალა თქვენი ბძანება მეჭირვება?.. თქვენს მეტი სხვა ვინ ოხერი და წუნკი გაპპედავს მაგის შეჭმას?..

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – ბევრი დარჩა?

ჯ ა მ ა ლ – სამი ცხრა კიდევ გახლავსთ! ხვალ გეყოფათ და ზეგ კვირაა: ღმერთი მოწყალეა, ან აქიდან გაგვიჩდება და ან იქიდამ; მოვა ვინჩე მეძღვნე...

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – აბა, შენ იცი, ჩემო ჯამალ! ვიშ! ვიშ! საუცხოვო რამ არის! რომ ამდენხანს ბატონიშვილი არ დაბრუნებულა? სადილს თუ ვეღარ მოიგონებს, როგორ იქნება?..

ჯ ა მ ა ლ – უთუოდ საქმეს შეჰყვებოდა, შენი ჭირიმე, უმისობა არ იქნება.

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – კი, მაგრამ სადილსაც თავისი დრო აქვს, თუ გაგვწყვეტს შიმშილით, როგორ იქნება!

ჯ ა მ ა ლ – რა გაეწყობა, შენი ჭირიმე, ხან ასე იქნება და ხან ისე! უნდა გაიჭირვოთ და ცოტა კიდევ მოიცადოთ... მეტი გზა არ არის.

მეორე გამოსვლა

ისინივე და ხათუნა შემოდის, თეფშით მაწონი მოაქვს

ს ა თ უ ნ ა – გამდელმა მოგართვათ: თქვენი საკადრისი კი არ გახლამსთ, მაგრამ ეგებ ჩემეულათ გიამოსთო!

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – ნახე, ჯამალ, რა არის?!

ჯ ა მ ა ლ – მაწონი გახლამსთ ჩინებული და კოვზიც თან ახლავს!

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – კაი, შენ მადლი უთხარი: ღმერთმა გაცხონოს-თქმ (ხათუნა მიდის).

ჯ ა მ ა ლ – ნუი, შენი ჭირიმე... მაგას ნუ შეუთვლით, თვარა ეწყ-ინება: ის ქალი გათხოვებას ფიქრობს და თქვენ ცხონებას უთვლით!

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – მართლა, მე ნუ მოგიკვდები? ხა! ხა! ხა!..

ჯ ა მ ა ლ – კი, შენი რისხვა ნუ მომეცება!.. ხელის დადება ფერუ-მარულს იდებს პირზედ. ბატონო, ეგება ცოტა მაწონი ინებოთ.

ნ ა ს ი რ-ფ ა შ ა – ვითომ ვჭამო?

ჯ ა მ ა ლ – რას გაწყენსთ, ბატონო, კიდეც მოგიხდებათ: მადას მოგგრისთ.

კუდურ-ხანუმი

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მაშ, კარგი! მიჩვენე! ვიშ! ვიშ! საუცხოვო ყოფილა, კამბეჩის უნდა იყოს.

ჯ ა მ ა ლ – არა, შენი ჭირიმე! გუშინ რომ მიირთვით, ის იყო კამბეჩის, ეს ძროხის გახლავსთ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – საუცხოვოა! ნეტავი, საიდამ შოვილობს გამდელი ამაებს?

ჯ ა მ ა ლ – მოუდის!.. სოფელი თვალყურიანია, შენი ჭირიმე: რაღაი გაიგეს ელენეს ამბავი, გამდელს პატივი მოემატა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა? როგორ იფერებს? წინილებს ალარ დასდევს?..

ჯ ა მ ა ლ – აჲ, თქვენც არ მომიკვდეთ! აღარც წინილები ახსოვს და აღარც ხბოები. შეიგდო ყურთმაჯები, შედგა ქოშებზედ და ცივ ნიავს ალარ ჰერიტულობს, სულ ყენის თავის მზეს ფიცულობს!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – შენ ემტერები, ჯამალ!.. (ათავებს მანონს). საუცხოვო იყო! ვიშ!..

ჯ ა მ ა ლ – ღმერთმა შეგარგოსთ!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ნეტავი, რათ დაიგვიანა ბატონისშვილმა? დავწყდით შიმშილით, შენი მტერია!

ჯ ა მ ა ლ – უნდა მოიჭირვოთ, შენი ჭირიმე, კუჭი როგორმე ცოტათი გაიმაგროთ, მეტი გზა არ არის!.. საქმეს შერჩებოდენ...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – უდროვოთ არც საქმე ვარგა!.. მოურავო!.. შენ და გადია ვერ შერიგდით? კიდევ კინწლაობთ?

ჯ ა მ ა ლ – კაია, შენი ჭირიმე, ნუღა მიბრძანებთ!.. ყოველიფერს აქვს თავის შესაფერი წამალი და იმას კი არაფერი მოუხერხდა! ჯოჯოხეთს მოაბრუნებს კაცი და მის გულს კი ვერა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ვერა ცდილხარ კარგათ.

ჯ ა მ ა ლ – რა ბძანებაა? ცდა არ დამიკლებია, მაგრამ, რომ ვერას გავხდი! მოფერება და ქალაჩუნობა არ გამომადგა, საჩუქარმა და ძლვენმაც ტყვილა ჩამიარა... ბოლოს ნათლიადაც მოვიკიდე, მარამ ვერც არა იმან მიშველარა... იმას გაუწყრეს ჩემი გამჩენი! ვეღარ გაძლა ჩემი მტრობით... ვეღარ!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ხა! ხა! ხა! რაო? რას ამბობს?

ჯ ა მ ა ლ – ჰმ... რას არ ამბობს? იმას თუ დაუჯერა კაცმა, თქვენი ოჯახის ამომგდები მე ვარ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რა გენაღვლება, სთქვას! ვინ დაუჯერებს?..

ჯ ა მ ა ლ – თქვენ კი ყველაფერს მიხვდებით, შენი ჭირიმე, წვერი გაქვსთ და ულვამი, მაგრამ ქალბატონს კი სჯერა და მირისხდება.

ახლა მაინც ასე უბძანებია ჩემზედ: ნუდარ დამენახვება, დაიკარგოს ამ ჩემი ოჯახიდამაო.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა?.. რათა?

ჯ ა მ ა ლ – რალაი მონავარდისა მე გადვიბრალე თქვენის გულისათვის, მერე აღარ იქნა, აღარ მოუბრუნდა ჩემზედ გული.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – თუ გიყვარდე, მართლა?.. ხა! ხა! ხა! მართალს ბძანებს ბატონიშვილი... მოურავო, რავა გეკადრება სამოახლოში შეძრომ-გამოძრომა? არა, რა ხელი გაქვს მოახლესთან! რალა დროს შენი ეგ არის, თმაში თეთრი გირევია... ხა! ხა! ხა! ხა!

ჯ ა მ ა ლ – იპ, კაია, შენი ჭირიმე! თქვენ გეცინებათ და მე კი მაჩაბლის საქმე მემართება!.. რალაი უბძანებია, ვიცი, აქ მე აღარ დამედგომება. უნდა დავიკარგო და ის არის!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – არაფერია!.. ქალია, მალე მოიბრუნებს გულს და შენ მანამდი, აი, რა ჰქენი: მაინც მოსაკრებია ღალა, წადი სოფ-ლებში და ერთ-ორ კვირას შემდეგ მოდი ისევე, მანამდი ქალბატონ-საც გადავიწყდება...

ჯ ა მ ა ლ – სად შემიძლია, შენი ჭირიმე? მუხლები აღარ მივარგა და ქვეითად სახლამდინაც თუ გავლოდდები.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ქვეითი? ცხენი რა უყავ? სადა გყავს?

ჯ ა მ ა ლ – მისთანა თქვენს მტერს ჰყავდეს, მე ისა მყავს.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რა? რა დაემართა?

ჯ ა მ ა ლ – იმას კი ეყოფა, რაც დაემართა!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რას ამბობ?

ჯ ა მ ა ლ – ამას წინეთ შევჯექი ზედ, შენი ჭირიმე, და მარჯვნივ რომ მიმყავდა – მარცხნივ გადაუხვია, მარცხნივ რომ გავდენე, მარჯვნივ წავიდა; უჭირე მათრახი, შევხტუნე და გავაქანე პირდაპირ... წამოჰკრა ორივე ფეხები ქვას, წამომექცა და კიტრივით გამაგორა ტალახში.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა? მე ნუ მოგიკვდები? ხა! ხა! ხა! ხა!..

ჯ ა მ ა ლ – კი, შენი რისხვა არა მაქვს! ისე ამოვითითხნე ღაფში, როგორც ღორი. ვთქვი: რა ემართება ამ ოხერს? ნალები ხომ არ აჰყოიათქო? და დავათვალიერე. აჲ, რა შუაშია?! ვამბობ, ბიჭოს, რა ღმერთი უწყრება: ხორცათ კარგათ არის და ნალებიც არ დაცვე-თია ჯერ და თვალნაცემი ხომ არ არისთქო? შევხედე თვალებში და, მისთანა თქვენს მტერს, მაშინ კი მივხვდი: ორივე თვალზედ ბინდი გადაკვროდა... ველარაფერს ხედავდა თურმე.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ეჲ... გადიამ თუ შეულოცა შენი მტრობით?

კუდურ-ხანუმი

ჯ ა მ ა ლ – არც ეგ იქნებოდა მისგან გასაკვირვალი, მაგრამ, არა, შენ არ მომიკვდე, ვინმე ღვთის მტერი და ღვთის რისხვა ჰკრამდა თვალებში ჩხირს და მისგან არის...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ეჭვი გაქვს ვისმეზედ?

ჯ ა მ ა ლ – რომელ ერთს უნდა დავაბრალო, შენი ჭირიმე? ნათქ-ვამია: „თვალებმა სთქვესო, რომ ცხევირი არ გვიშლიდეს, ერთმანეთს ამოვჭამდითო“, მისი არ იყოს, ქვეყანა ხარბია... ბევრი მტერი მყავს.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რაო! რას გემტერებიან, ჯამალ?

ჯ ა მ ა ლ – რა ვიცი, შენი ჭირიმე! მე არავისთვის არა დამიშავე-ბიარა და... აქაოდა ბატონი რათ არის შენი მწყალობელიო, გულზედ სქედებიან... და ან შენ რათ ხარ მისი ერთგულიო? აღარ მასვენებენ, მაგრამ მე არას ვიტყვი, ღმერთი გასცემს ჩემ მაგიერ პასუხს და თქვენს ერთგულებაზედ მაინც ვერ ამაღებიებენ ხელს!.. ერთი ცხენი გამიფუჭეს?! სანამ თქვენ მწყალობელი მეყოლებით, მეორეს ვიშოვნი.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – სად გყავს ახლა ის ცხენი?

ჯ ა მ ა ლ – გუშინ ჩემი ბიჭი გამოერია სასახლეში და იმას გავ-ატანე. თუ მოარჩინეს, ხომ კარგი, და თუ არა – საპალნეში მაინც ივარგებს: ავშარაში მოუკიდებს კაცი და წინ წაუძღვება...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მაშ, სოფლებში როგორლა ნახვალ?.. უნდა ვიქირავოთ!..

ჯ ა მ ა ლ – თქვენი ნება გახლდესთ! ვიქირაოთ. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ახველებს) ჰმ!.. მართლა, დალახვროს ღმერთმა, სულ გამოვჩერჩეტდი... კინალამ დამავიწყდა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რაი, ჯამალ?

ჯ ა მ ა ლ – მეჯოგე გიახლოთ გუშინ და იმან მოგახსენათ, რომ ლურჯა-კვიცს მუნი დამართნია!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მერე?

ჯ ა მ ა ლ – მერე, თუ არაფერი უშველეთ, სულ გადაედება მთელ ჯოგს.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა!.. ნეტავი, რა აჩენს მუნს?

ჯ ა მ ა ლ – მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, სოფლის ბახები აშვებ-ულები არიან, მინდვრათ დაეხეტებიან; ერთი მათგანი მუნიანი წაუხ-ახუნებს სადმე ხეს, მერე ჩვენი ჯოგის ლურჯაც იმავე ხეს წაეფხანე-ბოდა და გათავდა, გადაედებოდა... მეტი აღარ ენდომებოდა!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა! მანგრე გაჩნდება ხოლმე ე მუნი?

ჯ ა მ ა ლ – კი, თქვენ ნუ მომიკვდებით!.. სხვებსაც გადაედება და საფრთხილოა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მაშ, რა უნდა ვუყოთ ახლა იმ კვიცს?

ჯ ა მ ა ლ – თუ მიბძანებთ, სოფელში წავიყვან: იქ ექიმებს ვნახავ და ვაქიმებინებ.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – არის კი წამალი? გაეწყობა რამე?

ჯ ა მ ა ლ – გახლავსთ! სოფლური რაღაცა: ძმარში გალესილი მჭვარტლი, თუ ცერცვის წახარჩში, თუ სხვა რაღაც-რაღაცაები...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – დოქტორს რომ დაუძახოთ... ქინაქინა რომ ასვას, არ მოუხდება?

ჯ ა მ ა ლ – სადოქტოროთ თუ გახდა, რაღა გადაარჩენს, შენი ჭირიმე, განა არ მოგეხსენებათ?.. წასულა ჩვენი ხელიდამ და ის არის. შენი მტერი გატყაულა, ის გაატყავონ!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ჰმ... ეგ კი იქნება! მაშ, როგორც იცოდე... წაიყვანე და ააქიმებინე.

ჯ ა მ ა ლ – ბატონი ბძანდებით!.. აპა, ბატონო, ცხენს ალარ ვიქირავებ... ტყვილაუბრალო ხარჯში რათ შევიდეთ? ამ კვიცზედ შევჯდები ბარემ და ისე გიახლები.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – კარგი!.. (თვლემავს) მარამ, მუნი რომ გადაგედვას?

ჯ ა მ ა ლ – არა, შენი ჭირიმე! ცხენის მუნი კაცს არ ედება!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მაშ, კარგი! როგორც იცოდე! როგორც სჯობდეს!..

ჯ ა მ ა ლ – ტფუ! კინაღამ არ დამავიწყდა: იმ საძაგელ ჩემ შვილს ცხენი რომ წაეყვანა, უნაგერიც თან გაეყოლებია და ახლა უუნაგიროთ გახლავარ!.. თუ მიბძანებთ, თქვენ ძველ ანჩალს დავადგამ იმ კვიცს?!

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – (თვალს ახელს) აპ, მერე მუნი რომ გადაედვას?

ჯ ა მ ა ლ – არა, შენი ჭირიმე!.. რა ბძანებაა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მაშ, კარგი დაგემართოს! წადი, სადილი დააჩქარებინე და ნასადილევს დაადექი გზას.

ჯ ა მ ა ლ – ბატონი ბრძანდებით! ნამუშავარში რომ ფული მოგვცენ გლეხებმა, ნაკლებს დავჯერდეთ ვითომ?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ჰა? (თვალს ახელს) რასაკვირველია, ფული აჯობებს!..

ჯ ა მ ა ლ – თქვენი ნებაა. აბა, გიახლებით! (ჯამალ მიდის და ნახირს კი დაეძინება).

ნახირ-ფაშა და კულტურ-ხანუმ (შემოდის)

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - უჲ, რა საშინლად დავიღალე. (შენიშნავს
მძინარე ნახირს) ეჲ, ეგ არის! მეტი ნუღა გინდარა!.. ვიშ, საყვარელო!..
არიქნა, მარჯვეთ იყავი: არ წაგივიდეს! არ გამოგეპაროს, არ...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - (წამოვარდება) აჲ!.. რა არ წამივიდეს!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ძილი არ გაგეპაროს, ხუმრობა ხომ არ
არის!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - აბა, რა ვქნათ, ბატონიშვილო, რომ არ
დავიძინოთ?.. თქენს ლოდნში შიმშილმა დაგხხოცა და...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - დიახ, ეგ არის, სულ ჭამა და ძილი უნდა
გახსოვდეს... მეტი აღარა გვეჭირვებარა... აშენდება ოჯახი!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - ეეე!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ვის უძახის? რა გნებავსთ?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - სადილს დაუძახონ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ვაი, შენი ბრალი!.. ნუ მიგდის სული!..
კიდევ მოესწრები. ჯერ ყური დამიგდე... საქმეა!..

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - რა საქმეა მაგისთანა? ნასადილევს არ შეი-
ძლება, ბატონისშვილო?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ვალის როგორ აეშალე გულდაგულ?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - ისე, როგორც შენ დამარიგე.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - აბა, როგორ?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - შევედი მის ოთახში; ხალხი ზალაში იდგა, მე
ვითომ არ შემიტყვია მისი გამოცვლა, მიზეზი მოვუნახე და დავუწყე
ხმამაღალი ლაპარაკი.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - მერე?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - გამოვედი, ვითომმც გაჯავრებული. მომცვინ-
დენ, მყითხეს: რა იყოვო? და მე ასე დავიჩემე ყველასთან, რომ კაცი
აღარ ვიქნები, თუ პირდაპირ ხვანთქარს არ მივსწერო და მაგის თავი
არ გამოვაცვლევინოთქო.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - მერე იცი, რა გამოვა მანდედამ?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა - შენ უკეთ არ იცი განა, ბატონიშვილი!.. ამ
დღეებში რომ შეიტყობენ მაგის გამოცვლას, ჩემგან გამოგდებული
ეგონებათ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ვინ გითხრა, რომ სვცლიანო? ნამდვილათ
იცი?

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ნამდვილად, უსუფ-ბეიმ მითხრა, მისმა საიდუმლო მდივანმა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – მოუტყუებიხარ!.. ეგ არის შენი კაცობა, რომ ეგეც ვერ შეგიტყვია, და მე ხომ სულიწმინდა არ ვიყავი, რომ გამეგო.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – (შეშინებით) როგორ თუ არა?! განა ტყუილია? არა სცვლიან?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – სცვლიან კი არა, ახალი მინდობილობაებიც მოსვლია.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – (უფრო შემქრთალი) ტყუილი იქნება!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ნამდვილათ ვიცი. უსუფ-ბეის მოუტყუებიხარ... ის ახალგაზდა კაცია, სოხტების კუდია. შენ რათ გაგიტანდა?.. როგორ დაუჯერე იმას?.. მე მეგონა, თუ სარწმუნომ ვინმემ გითხრა.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – მართლა?! მაშ დავღუპულვართ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – შენს თავს დააბრალე! არც უმისობა იქნება.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ბატონიშვილო, ალარაფერი მოგვეხერხება?!?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – რა უნდა მოგვეხერხებოდეს? შენ წადი, ჭამე და იძინე; მაშინ კი მოხერხდება.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – შენ თუ მოინდომებ, მოუხერხებელი არა დაგირჩებარა...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – აბა, შენის იმედით თუ დავრჩი...

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – ჰო, შენი ჭირიმე!.. აბა!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – გასნი ახლავ ვალთან, შედი საიდუმლო ოთხში და არ იცი, რომ აღარა სცვლიან, და შეწუხებულათ უთხარი: გავიგონეთ, ვითომიც გვტონებდეთ, არ უთხრა, თუ გცვლიანთქო, და ნუ გვიზამთ ამ საქმეს, ოხრათ ნუ დაგვყრითქო!.. თხოვნას ვაგზავნით ხვანთქართან: რამოდენიმე ათასმა კაცმა ხელი მოაწერათქო და თქვენ კი საწყენათ არ დაგირჩესთქო.

ნ ა ხ ი რ-ფ ა შ ა – რომ მკითხოს, მიჩვენე, სად არის ის ქალალდი და ან ვინ მოაწერა ხელიო?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჯერ არ გათავებულა ხელის მოწერა, კიდევ ანერენთქო. და, ვიზედაც გულნაკლებათ იყო, ჩააბეზლე... ახლა გაქვს დრო, ამან და ამან არ მოაწერა ხელი და ცალკე საჩივარიც გაუგზავნიათ თქვენზედათქო. და მეც მიტომ დაგიწყეთ გუშინლამ ხმამაღლალი ლაპარაკი, რომ ხალხისთვის დამენახვებია და ამგვარათ შემეტყო, თუ ვინ არიან თქვენი წინააღმდეგებითქო. ერთი სიტყვით, უნდა მოახერხო... დრო გაქვს!

კუდურ-ხანუმი

ნახი რ-ფაშა – მერე, ბატონისშვილო, ხომ მეტყვის მე არსად გადავდივარო?

კუდურ-ხ-ანუ მ – ეგ კიდევ უკეთესი! შენ გამხირულდი და დაეშურე წამოსვლას, რომ მივახარებ და ელენეს გულს მოვუბრუნებთქო. ელენესი თუ რამ გკითხოს, უთხარი... ჰო, რამდენი ხანია, ვალს აღარ გაუვლია ჩვენთან?

ნახი რ-ფაშა – ხუთი დღე.

კუდურ-ხ-ანუ მ – მაში, ოთხი დღეა, ელენე კარდაკეტილში ზის და რაღაცაზედ სწუხსთქო.

ნახი რ-ფაშა – კარგი, ბატონისშვილო, მაგაებს ყველას მოვახერხებ.

კუდურ-ხ-ანუ მ – რომ გამოხვიდე და ხალხში გამოიარო, შენთვის წაილაპარაკე, ეგ სხვა არის! მაგ პირობით თანახმა ვართქო და სხვანი...

ნახი რ-ფაშა – მერე რა გამოვა მანდედამ?

კუდურ-ხ-ანუ მ – იიძო!.. ხბოს თავი!.. მაგდენიც არ იცი? შენგან რომ ვერას შეიტყობენ, დაიწყებენ კითხვას აქეთ-იქით... ქვეყანაა... და მე მაშინ ასე დავაყრევინებ ხმას, რომ ვალმა ბოდიში მოიხადა, ყველაფერზედ დაეთანხმა ნახირ-ფაშასა და ნახირმაც შეი-რიგათქო. ახლა ხომ მიხვდი? შენ თუ ვინმემ გკითხოს, მაგაზედ სულ ნურას იტყვი და უფრო დაიჯერებენ.

ნახი რ-ფაშა – აი, შენ კი გენაცვალე, ჩემო სიბრძნის კოლოფო! შენ რომ არა მყოლოდი, რა მეშველებოდა?..

კუდურ-ხ-ანუ მ – მადლობა ღმერთს, რომ გამოტყდი!.. კარგი, კარგი! აბა, გასწი მალე!..

ნახი რ-ფაშა – სადილი?

კუდურ-ხ-ანუ მ – ვაი, შენ და შენს სადილს!.. მოესწრები... მო... რა დროს ჭამაზედ ფიქრია ამისთანა დროს?.. განა ვერ ხედამ, რომ ერთი წამის დაკარგვაც ძნელია... საშიშია?!

ნახი რ-ფაშა – (მიღდის) მივდივარ! მივდივარ, ბატონიშვილო! ნუ გაჯავრდები!

კუდურ-ხ-ანუ მ – (მარტო) ახლა ხელის შეშვება აღარ ივარგებს! ვალი დაგვიკირდება, აზრს აიღებს... ჰმ!.. სიფრთხილე გვმართებს, თორემ ყოველიფერი მუქთად ჩაგვიცლის. ელენეს მოქმედებასაც უნდა ბოლო მოელოს... ის შეჩვენებული არჩილიც გამოუშვიათ... და მე ვიცი, ხეირს არც ის დაგვაყრის: გადამირევს ელენეს! იმ დალოცვილმა ვალმა არ დაუჯერა ჩემს ქმარს და მაინც გამოუშვა ციხიდამ ის შეჩვენებული სოხტი, აქაო-და ელენეს იამებაო! (ჩაფიქრდება).

კულტურ-ხანუმი და ესმა (შემოდის მთელი ქათიბით, ქოშებით)

ე ს მ ა – ქალბატონო, აქა ბძანდებით?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – რაო, გამდელო! რა გინდოდა?

ე ს მ ა – მე არაფერი, გენაცვა, ელენემ გამომგზავნა, შეიტყვე, ოთახში თუ ვინმე არისო და ან ქალბატონი თუ შინ ბძანდებაო!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – თვითონ ელენე სადლაა?

ე ს მ ა – ყველანი ბაღში არიან და ელენეც იქ გახლავსთ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – სტუმრები ხომ არ არიან?

ე ს მ ა – არა, შენი ჭირიმე. მხოლოდ არჩილ გიახლოთ. გამოუშვიათ.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჰმ! როგორ მიიღო ელენემ?

ე ს მ ა – ვერაფრათ. ერთმანეთს მიესალმენ და მერე აღარც კი შეუხედნიათ ერთმანეთისათვის... ისე ისხდენ, ცალყბა ნაცნობებსავით.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჰმ!.. მერე?

ე ს მ ა – მერე, ელენე ადგა, დაამთქანარა და აქ გამომგზავნა, წადი, შეიხედე ოთახში, თუ ვინმეაო და ან ქალბატონი თუ შინ ბძანდებაო!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჰმ!.. კარგი, კარგი, გამდელო. მოდი, ჩამოჯეპი ტახტის პირზედ, აგერ...

ე ს მ ა – უიმე, მე რა ღირსი ვარ, გენაცვალე, თქვენს სიახლოვეს ჯდომისა?!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – რას ანბობ, გადია? ამ ოჯახის შენოდენი ნამსახური ვინ არის, რომ ტახტზედაც არ დაისვენო ხოლმე?

ე ს მ ა – უი, ვენაცვალე თქვენს სამართლიანობას და დიდკაცურ მოხდომას! (ჯდება) უკანასკნელი წინილებიც კი ჩემი ხელით გამოზდილია ამ ოჯახში, თორემ ეხლანდელი გომბიოები...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (სიტყვას აწყვეტინებს) ვიცი... ვიცი... განა არ ვიცი?.. ახლა მაგის დრო არ არის. შენ ეს მითხარი, დაძებნე?

ე ს მ ა – სულ გადავაბრუნე საკუჭნაო, მაგრამ ვერაფერი ვნახე იმის მეტი, რაც მოგართვით.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (ამოილებს ჯიბიდამ ქაღალდში გამოხვეულ ფშვნილს) ამის მეტი?

ე ს მ ა – დიახ, ეგ გახლამსთ, ქალბატონი!.. მაგან შემაშინა და გადამრია.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - რა იცოდი, რომ საწამლავი იყო?

ე ს მ ა - უცბათ მოვატანე თვალი, შაქარი მეგონა და თითის დაწებას უპირებდი, ელენე მომვარდა და მომიძახა, რას შვრები, რას ჩადიხარო, თაგვის შაქარიაო, თაგვების მოსაწამლავთ მოვატანინეო!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ჰმ!.. ანგრე იქნებოდა სწორეთ... უნდა ისევ ჩაუდვა, საიდამაც ამოიღე, თორემ, თუ გაიგო მოგიპარავს, არ იამება...

ე ს მ ა - ძლივს შემირიგდა და მაშინ სულ გამაგდებს! შემიძულებს, იმას კი ვენაცვალე...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - მაშ, ისევ იქვე ჩადევ, რომ აზრი არ აიღოს!..

ე ს მ ა - უიმე, გენაცვალე! ეშმაკს თვალი არ უჩანს! მეშინიან, მოწამლულმა თაგვმა რომ მოცუცნოს რამე თაროში, მერე ხომ ჩვენც მოვინამლებით? უნდა სხვა რამე მოვახერხოთ, ქალბატონო.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ნუ გეშინიან! (ამოიღებს ჯიბიდამ მეორე ქალალდს) ამას ხომ ხედავ, გამდელო! აი, ეს ჩაუდე მაგიერად!

ე ს მ ა - ეგ რა არის, გენაცვალე? ეგეც ხომ ამისთანა არა არის რა? ჰგავს...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - არა, ეს უბრალო სამხურვალო წამალია.

ე ს მ ა - უი, გენაცვალე, როგორ თუ სამხურვალო?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - (იცინის) სიყვარულის მალამოა. რამდენიც უნდა სჭამო, არ გაწყენს. დანაყილი შაქრის ყინულია, გადია.

ე ს მ ა - უიმე, გენაცვალე, მერე თაგვებმა რომ სჭამონ, აწყენსთ მართლა?!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - შენ რა გენალვლება?

ე ს მ ა - აქაურობას ეკვლებენ ხრაგუნით... ოჯახს წაბილწვენ!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - შენ რა თაგვების მოძლვარი ხარ! კარგი ერთი, კი ნუ ხუმრობ!.. წაიღე ახლავე ეს ფშვნილი და იქვე ჩადევ, საიდამაც ამოგილია... გამდელო, თუ შენი ელენეს სიკეთე გინდა და ელენეს ბედნიერებაც გსურს, ენას კბილები მოუჭირე.

ე ს მ ა - უიმე!.. სადღა მაქეს კბილები, შენი ჭირიმე?.. ამდენ ოჯახის...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ნუ დაიწყებ აქეთ-იქით უთავბოლოთ ლაპარაკს და ამის გარდა კიდევ... კიდევ რაღაცა მინდოდა მეთქვა... და სულ მავიწყდება... ჰო!.. ამ სიცხეში რომ ქათიბით დადიხარ, არ გაწუხებს?.. როგორ გეკადრება, უბრალო გამდელი ხომ არა ხარ!

ე ს მ ა - ო, ვენაცვალე თქვენს სამართლიანობას! დიდი კაცი ხარ და ყოველიფერი დიდკაცურად გესმის... მანგრე აღარ მაფასებენ სხვები... გოგოები...

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ჩემი თალხი შალი მიჩუქებია შენთვის...
ახლა წადი და უთხარი ელენეს, არავინ არისთქო, გესმის?

ე ს მ ა – მესმის, ჩემო ხელმწიფე, და ღმერთმა ნუ მოგაკლოს მისი
წყალობა! (მიდის).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (მარტო) ჰმ!.. ავათ თუ კარგათ, დღეს უნდა
გადაწყდეს საქმე, თორემ, მე ვიცი, ის ყმაწვილი საქმეს გაგვიფუ-
ჭებს... უნდა ვაცნობო ვალს (მიდის).

მეცნიერებელი

არჩილ და ელენე (შემოდიან)

ა რ ჩ ი ლ – რა წინდაუხედავი რამა ხარ!.. მე კი გული გადამი-
ტრიალდა და...

ე ლ ე ნ ე – რა ვქნა?! რისი შეგეშინდა? ხათუნია იყო.

ა რ ჩ ი ლ – სხვა რომ ვინმე ყოფილიყო?

ე ლ ე ნ ე – რა მენაღვლებოდა?

ა რ ჩ ი ლ – რა გენაღვლებოდა?! ჩემი მტერი ჩავარდეს აქაუ-
რების ყბაში!

ე ლ ე ნ ე – რა იქნებოდა?

ა რ ჩ ი ლ – თვითონ კი არ იცი, რომ მეკითხები? ბნელაში საიდუმ-
ლოთ რომ ვისმეს ხანჯალი აძგერო, იმაზედ ხმასაც არავინ ამოილებს
და კოცნაზედ კი ქვეყანა აყაყანდება.

ე ლ ე ნ ე – განა შენც მაგრე სამალავათ მიგაჩნია სიყვარული?
მამ ცოდვა რამ ყოფილა?

ა რ ჩ ი ლ – ისე, როგორც ლოცვა: ერთიცა და მეორეც კერძო
საქმეა და საქვეყნოთ მათი გამოტანა ფარისევლობა იქნება.

ე ლ ე ნ ე – (ალერსიანათ) ოჳ, არჩილ! ვინც შენ არ გიცნობს, რა
უნდა სთქვას, და გაცნობა კი ძნელია: რაც შენ გულში გაქვს, ძვირათ
ვისმეს უჩვენებ და ხშირათ მთისა ბარში გადაგაქვს...

ა რ ჩ ი ლ – ჩემი ბრალია? განა ბევრს შევხვდებით მისთანას, რომ
ღირსი იყოს, ჩვენი გული გაუხსნათ?

ე ლ ე ნ ე – მაშ, კაცი უმეტეს შემთხვევაში გულგაუხსნელი იყოს?
მაგნაირათ გაფრთხილებული კაცი მეგობრებს ყოველთვის მოკლე-
ბულია.

ა რ ჩ ი ლ – და მაგითი ვითომ რას წააგებს?

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – განა მეგობრობა აღარა გწამს?

ა რ ჩ ი ლ – მეგობრობა, დიახ, მწამს, მაგრამ მეგობრები კი არა... ვისაც ჰელინია, რომ ბევრი მეგობრები ჰყავს, იმას, იცოდე, არც ერთი მეგობარი არა ჰყავს... მოტყუფებულია.

ე ლ ე ნ ე – მაშ, შენც მიტომ არ ეძებ მეგობრებს?

ა რ ჩ ი ლ – შეიძლება... ეჲ, მეგობრები არც მყოლიან და არც მეყოლებიან.

ე ლ ე ნ ე – (სიჩქარით) მეგობარი?

ა რ ჩ ი ლ – ეგ შენ უნდა გკითხო. როგორა გგონია? (ალერსით შეჰყურებს თვალებში. ცოტა ხნის სიჩქარი) აჲ? რაზედ განითლდი?.. შენ თვალებში ვკითხულობ პასუხს... ენას ნულა გარჯი, ჩემო ელენე, ჩემო...

ე ლ ე ნ ე – (ხელს უჭერს. ცოტა ხნის სიჩქარის შემდეგ) იცი, რა გითხორა, არჩილ? ხომ მოველოდი, მაგრამ მაინც, პირველათ რომ შემოგხედე, კინალამ თავს ვულალატე და, თუ გადიას არა, ცუდათ იყო ჩემი საქმე... მერე კი ისევ მოვიბრუნე გული. და შენ კი არაფერი... თითქოს მე იქ არა ვყოფილვიყო... არც დაგენახო...

ა რ ჩ ი ლ – აგრე გგონია შენ! (სიჩქარი) რაო? რაზედ გაგიხმო? რას გეჩურჩულებოდა?

ე ლ ე ნ ე – შენზედ მეუბნებოდა, დაუკვირდიო! თუ იმას ოდესმე ჰყვარებოდე, განა მაგრე მოიქცეოდა ახლაო. საბრალო, ძალიან დაგ-კვირვებოდა, მაგრამ ბევრი ვერა გამოიტანარა.

ა რ ჩ ი ლ – მართლა? ჰმ... როცა ავ-კარგისა და მართალ-ტყუილის გარჩევაზედ მივარდება საქმე, მაშინ ბევრი გადიები გამოჩდებიან ჩვენში, ჩემო ელენე...

ე ლ ე ნ ე – ყველანი ძალიან გიკვირდებოდენ, თვითქოს უნდო-დათ, რომ თვალიდამ ბენვი ამოელოთ, მაგრამ, მგონი, ბევრს ვერას გახდენ. შენ სახეზე ისინი კი არა, ემმაკიც ვერასა წაიკითხავდა.

ა რ ჩ ი ლ – თუ წაეკითხათ, მათმა სიცოცხლემ, სიბრძნეს შეიძენ-დენ! გატენიდენ ჭირის ბოხჩას და დაინუებდენ იქით-აქეთ უთავბო-ლოთ წანწალს. სხვა რა გამოუვიდოდათ? (სიჩქარი).

ე ლ ე ნ ე – (ჟალერსება) ჩემო არჩილ! ასე მგონია, სიზმარშიდა ვართქო!..

ა რ ჩ ი ლ – მე კი ვიცი, რომ ცხადია, მაგრამ მაინც, ცოტა არ იყოს, ჩემო სიცოცხლე, მეც კი მითამაშობს გული... გესმის?.. თითქოს ბამბას პენტვენო.

ე ლ ე ნ ე – ჩემო არჩილ! შენ კი გენაცვალოს ელენე!.. ნუთუ მართლა სიზმარში არა ვართ?

ა რ ჩ ი ღ – (კალთაში უდებს თავს) არც ახლა გჯერა?

ე ღ ე ნ ე – (ალელვებით) იცი, რა გითხრა! ჩემს დღეში არა მცოდნია და შენ კი მიმაჩვიე სიხარბეს: წელან, სხვებთან რომ ლაპარაკობდი, გული მწყდებოდა... მე მინდოდა, რომ მარტო მე გამეგონა შენი სიტყვები და მხოლოდ მე მეცქირნა შენთვის... მიტომაც მოვიგონე თავის ტკივილი.

ა რ ჩ ი ღ – მეც კი მიგიხვდი მაგ კუდიანობას...

ე ღ ე ნ ე – არა, სულ ტყუილიც არ ყოფილა: თავი თუ არა, გული ხომ მტკივილა, და ერთის მაგიერ მეორე ესთქვი... შენც ხომ ისე იცი ხოლმე, საზოგადოთ?

ა რ ჩ ი ღ – მერე, მაგითი რა დაშავდა? განა არ იცი, რომ მათ-თვის სულერთი იყო, თავი გეტკინებოდა, თუ გული, და ჩვენ კი სურვილი აგვისრულდა: აი, მარტოკა დავრჩით ახლა.

ე ღ ე ნ ე – მაშ, ახლა კი მომიყევი, სანამ დრო გვაქვს: რას შვრებოდი ამდენს ხანს და როგორ იყავი?

ა რ ჩ ი ღ – ოო!.. ძალიან ქეიფში ვიყავი, სულ ზურნას ვუკრამდი.

ე ღ ე ნ ე – არა გრცხვენიან! მე მართლა გკითხამ და შენ კი საცინლად მიგდებ.

ა რ ჩ ი ღ – აბა, რა საკითხავია? განა ისე კი არ იცი, რა უნდა მექნა საპყრობილები? ის არა სჯობს, რომ ჯერ შენ მიანბო, თუ როგორ სარგებლობდი შენის თავისუფლებით?

ე ღ ე ნ ე – რათ გიყვარს ჩემი გაჯავრება? განა შენ კი არ შეგიძლია, წარმოიდგინო, თუ რა ყოფაშიც ვიქნებოდი? რათ არ იცი, რომ უშენოთ, როცა შენ საპყრობილები მეგულებოდი, ჩემს თავისუფლებასაც არაფრათ ვაფასებდი. მართალია, შენ საპყრობილები იყავი, მაგრამ მაგიერათ მაგ საპყრობილე ჩემს გულში იყო. ნუ გგონია, რომ ჩემთხედ მეტად ტანჯულ იყო!..

ა რ ჩ ი ღ – რას ამბობ?! შენ სასმელ-საჭმელი მაინც გქონდა.

ე ღ ე ნ ე – ჰმ!.. უგემური.

ა რ ჩ ი ღ – წმინდა ჰაერსა სუნთქამდი.

ე ღ ე ნ ე – მონამლულს.

ა რ ჩ ი ღ – ხალხსა ჰხედამდი... მათი სიტყვა-პასუხი გესმოდა.

ე ღ ე ნ ე – მართალია, იმათ შევჩერებოდი, მაგრამ შენ კი გიყურებდი; იმას ყურს ვუგდებდი, მაგრამ შენი ხმა მესმოდა, ჩემთ სიცოცხლევ... ოხ!.. არჩილ, რამდენჯელ მინატრია, რომ მეც შენთან ვყოფილიყავ საპყრობილები.

ა რ ჩ ი ღ – (მწუხარე ლიმილით) ერთად? არ იცი, რომ ეგეც აკრძალულია?

ე ლ ე ნ ე – არა, გინდ მარტო... ოღონდ კი იმავ საპყრობილეში, ერთს სახლში, ერთს ჭერქვეშ... გეფიცები, რომ მაშინ უფრო მოს-ვენებით ვიქებოდი.

ა რ ჩ ი ლ – არა, ჩემო ელენე, რომ არ გამოგიცდია, მიტომ ამბობ მაგას!.. მეც მანგრე მეგონა, მაგრამ ბოლოს კი დავრწმუნდი, რომ კაცი სუსტი რამ ყოფილა და ყოველთვის თავის გრძნობას ვერ ეპა-ტრონება! წარმოიდგინე პატარა, ბენელი და მყრალი ოთახი, სადაც ვერც არავის შენსას აგონებ და არც სხვისი ხმა გესმის, ხარ მარტო. არ იცი, როდის გათენდება და როდის დაღამდება, დღეების ანგარიში გეკარგება, დრო გეპარება და რიცხვები გავიწყდება... მაგრამ ესეც კიდევ არაფერი! უფრო ძნელი ის არის, რომ ტანჯვის ტვირთს ვერა-ვის უზიარებ და ვერავის შესჩივლებ!.. ხანდახან მხოლოდ სარკმელში შემოიჭვრებს ხოლმე მცველი, მაგრამ ისეთის თვალით შემოგხედავს, თვითქოს დედ-მამა მოგეკლას მისი და ან ცოლ-შვილი შეგეჭამოს. ოჟ, ელენე, გეფიცები, რომ რეინის გალიაში დამწყვდეული აფთარი ისე შესაბრალისი არ არის, როგორც ადამიანი საპყრობილები. მე იმან უფრო შემანუხა, რომ წიგნის კითხვის ნებას არ მაძლევდენ. ღმერთო ჩემო! რამდენჯერ მინატრია სიკვდილი და მომინდომებია, რომ თავი კედელზედ მიმესრისა! მაგრამ იცი, ვინ მიშლიდა ხელს?

ე ლ ე ნ ე – (შუბლზე ჰერცინის) ეს.

ა რ ჩ ი ლ – არა, შენ, ჩემო სიცოცხლევ!.. სასოწარკვეთილების დროს ანგელოსივით წარმომიდგებოდი ხოლმე და მეუბნებოდი, არა გრცხვენია, სულმოკლეობისაო? და ეს საკმაო იყო ხოლმე, რომ გულს გადამყროდა, შენი სახე ჩემ წინ იყო გაუყრელად... მოვიგონებდი ხოლმე შენს მიხვრა-მოხვრას, შენს სიტყვა-პასუხს, შენს ალერსს და ეს მიმოკლებდა ხანგრძლივ ტანჯვას და მიმსუბუქებდა მძიმე ტვირთს. არა, ჩემო ელენე, ვინც მარტობაში არ ყოფილა, იმან ამხანაგობის ფასი არ იცის!.. ვისაც მტერი არა ჰყოლია, მეგობარს ვერ დააფასებს!.. (ხელს უჭერს) ამ ბოლო დროს კი, როდესაც ყოვე-ლის კუთხით გზა შემიკრეს და შენს ანბავსაც ველარ ვტყობილობდი, მაშინ კი წარმეკვეთა სასოება და არ ვიცი... არ ვიცი, თუ როგორ გათავდებოდა საქმე, თუ არ ამ მოულოდნელ შემთხვევას...

ე ლ ე ნ ე – ჩემსას აღარ იკითხამ?.. ყოველგვარი ცდა და საშუ-ალობა რომ გამიცუდდა და რომ ველარას გაეხდი, მწუხარებამ ისე წამილო, რომ თავის მოკვლა მოვინდომე, ხანჯალიც ვიშოვნე, რომელიც დღესაც თავქვეშ მიძევს, მაგრამ ვერ გავბედე კი მისი ხმარება... ბოლოს თაგვის შაქარი ვიყიდე, რომ თავი მომენამლა, მაგრამ ღმერთმა უშველოს დეიდას.

ა რ ჩ ი ლ – დეიდას?

ე ლ ე ნ ე – დიახ, იმისი ბრალია, რომ დღეს ცოცხალი ვარ და შენც გამოშვებულსა გხედავ.

ა რ ჩ ი ლ – რაო?!?

ე ლ ე ნ ე – განა არ იცი, ვისი ბრალია, რომ გამოგიშვეს?

ა რ ჩ ი ლ – რა მოგახსენო!.. მე მგონია, ვინც დამიჭირა, მისივე.

ე ლ ე ნ ე – არ იცი, რათ გამოგიშვეს?

ა რ ჩ ი ლ – შენმა გაზდამ, არა ვხუმრობდე!

ე ლ ე ნ ე – მაშ, მართლის გულით ანბობ?

ა რ ჩ ი ლ – რასაკვირველია!

ე ლ ე ნ ე – მარ...თლა?

ა რ ჩ ი ლ – რაი მანგრე გაგიკვირდა?.. ჰმ! ნუთუ მართალია, რასაც ანბობენ?!

ე ლ ე ნ ე – რას ანბობენ?

ა რ ჩ ი ლ – იმას, რომ ვითომც შენ და დეიდაშენი უერთმანეთოთ წყალსაც აღარ აქცევდეთ.

ე ლ ე ნ ე – (ლმილით) სწორეთ.

ა რ ჩ ი ლ – მაშ, ისიც მართალი იქნება!.. მაგრამ არა, გენაცვალე, ელენე, გეხუმრები. განა არ ვიცი, რომ ჭორია.

ე ლ ე ნ ე – რა?

ა რ ჩ ი ლ – საზოგადოების სისულელე: ვითომც ვალი ყოველდღე აქ დადიოდეს.

ე ლ ე ნ ე – ეგეც მართალია.

ა რ ჩ ი ლ – კი, მაგრამ იმათ ასე ჰეონიათ, თუ შენთან დადის.

ე ლ ე ნ ე – რასაკვირელია, ჩემთან!..

ა რ ჩ ი ლ – რაო? რას ანბობ, გეთაყვანე, ელენე? სიზმარში ხომ არა გვინდია თავი? ვინ შენ და ვინ ვალი?! საერთო თქვენში რა უნდა იყოს? შენ ხუმრობ და ხალხი კი ამტკიცებს, რომ ვითომც პირობაც მიგეცეს ვალისათვის ცოლქრმობაზედ!

ე ლ ე ნ ე – ეგ კი ტყუილია, მე სიტყვა არ მიმიცია, მაგრამ არც იმედი გამომიცლია მისთვის გულიდამ. თუ ასე არ მექნა, ის დღეს ხელში არ მეჭირებოდა და ვეღარც შენ გნახამდი განთავისუფლე-ბულს.

ა რ ჩ ი ლ – (შეშფოთებით) რაო!.. ხელში გიჭირამს?! როგორ თუ ვერა გნახავდი? რას ანბობ?

ე ლ ე ნ ე – დიახ! მე ვსთხოვე ვალის და გამოვაშვებიე შენი თავი... ამაებს ყველას განა მე ჩემით მოვახერხებდი, თუ დეიდას არ ესწავლებია?

კუდურ-ხანუმი

ა რ ჩ ი ლ – შენი ჭირიმე! შენ გენაცვალე, ელენე, ნუ მცდი!.. ვიცი, ხუმრობ, მაგრამ მაგისთანა ხუმრობაც საზიზლარია.

ე ლ ე ნ ე – (შეშფოთებით) რა ვქნა?! რაი მანგრე აღელდი?! გეფიცები, რომ მართალს გეუბნები და, თუკი მომისმენ, შენც..

ა რ ჩ ი ლ – არც ის მცოდნია, რათ დამიჭირეს და არც ის ვიცი, თუ ახლა რათ გამომიშვეს. ჩემთვის არც ერთი არ უკითხამთ.

ე ლ ე ნ ე – მე კი ვიცი: დეიდასი!..

ა რ ჩ ი ლ – დაჭერა, თუ გამოშვება?

ე ლ ე ნ ე – გამოშვება! თუ არ ის, დღესაც იქვე იქნებოდი.

ა რ ჩ ი ლ – ჰმ!

ე ლ ე ნ ე – გიკვირს? რომ გვეგონა, იმისთანა არ ყოფილა თურმე დეიდა.

ა რ ჩ ი ლ – რაო?

ე ლ ე ნ ე – ერთხელ შენც ჩემსავით გამოიცვლი იმაზედ ჰაზრსა.

ა რ ჩ ი ლ – რომელ დეიდაზედ ანბობ?

ე ლ ე ნ ე – რომელი მყამს იმ ერთის მეტი?

ა რ ჩ ი ლ – კუდურ-ხანუმ!?

ე ლ ე ნ ე – დიახ, ის!

ა რ ჩ ი ლ – რას ანბობ?! (წამოდგება) განა შეიძლება, რომ მგელი ცხვრათ გადაიქცეს?

ე ლ ე ნ ე – სიტყვაც ის არის, რომ, თურმე, უსაფუძვლოთ გვეჩვენებოდა მგლათ.

ა რ ჩ ი ლ – იჳ, მეც რომ მართლა ყურს გიგდებ!.. იმნაირი სახით დასცინი, რომ მართალი ეგონება ეგ შენი სიტყვები, ვინც არ იცის...

ე ლ ე ნ ე – სწორეთ რომ მართალია.

ა რ ჩ ი ლ – (თვალებზედ ხელს იფარებს) კმარა! კმარა!.. ეჴ!.. უმჯობესი იყო, იქვე მოვმკვდარიყავ საპყრობილები და ეს კი არ გამეგონა! ელენე, რა გიქნია ეგა? ან შენი თავი რათ დაიმდაბლე მანგრე და ან რათ გამიცხე? არ იცოდი, რომ შენი თავის დამდაბლება ჩემთვის თუ რა იქნებოდა?

ე ლ ე ნ ე – (შეწუხებული) კი, მაგრამ... სამუდამოთ დაღუპვას ისევ ის ვარჩიე.

ა რ ჩ ი ლ – რალა სიცოცხლეა დამდაბლებული... ნამუსდამხობილი სიცოცხლე? მაგას დაგეთანხმა დეიდაშენი!?

ე ლ ე ნ ე – იმან მირჩია და შენმა სიყვარულმა მეც დამათანხმა.

ა რ ჩ ი ლ – მჯერა, სიცოცხლევ! შენ სიყვარულს შეუცდენიხარ, მაგრამ დეიდაშენს კი რალა უნდოდა?

კულტურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – ისიც შენს გამოხსნასა სცდილობდა. იცი, რანაირათ უყვარხარ?

ა რ ჩ ი ლ – ვიცი! ვიცი! (დაცინებით).

ე ლ ე ნ ე – ესეც რომ არ ყოფილიყო, მარტო ჩემი გულისათვის არ დაიზოგავდა თავს!..

ა რ ჩ ი ლ – როგორ, განა ისე საშინლათ უყვარხარ?

ე ლ ე ნ ე – მეტი აღარ შეიძლება.

ა რ ჩ ი ლ – ხა! ხა! ხა! ხა! ასე ძნელია გამოუცდელობა!.. თვალთმაქცობა ნამდვილად მიგილია და ის არის, გატყუებს! გატყუებს, ჩემი კარგო!

ე ლ ე ნ ე – რა ვქნა, რა მოგება აქვს, რომ მომატყუოს?

ა რ ჩ ი ლ – ის, რომ შენი ხელში ჩაგდება უნდა! სხვებსავით რომ მალე იქით ვერ გადაგიყოლია, ახლა პირაქეთ გადმოგყვა, მხოლოდ მისთვის, რომ მიგინდოს და როგორმე მახეში გაგაბას!

ე ლ ე ნ ე – მე? რომელიც ისეთ რიგათ ვუყვარვარ?

ა რ ჩ ი ლ – დიახ, შენ! ჰმ... განა თამარ შენზედ ნაკლებ უყვარდა? განა სხვები კი სძულდა? მაგალითები არ გიდევს წინ? უყვარხარ! დიახ, ისე უყვარხარ, როგორც მსხვერპლის შემწირველს ზვარაკი შეწირვამდი! იმას თავის ხელობა უყვარს და სარგებლობა! ჰმ... (დადის) იმას უთუოდ შენი მახეში გაბმა უნდა! დიახ. აქ რაღაც მანქანება არის! სიფრთხილე გმართებს. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჯერ ვერ აუსრულებია იმას თავისი პლანი. ჰმ...

ე ლ ე ნ ე – არჩილ! გეთაყვანე... ნუ მაშინებ! რაღაც უცნაურ ეჭვებში გყვევარ! ნუთუ მართლა დეიდას...

ა რ ჩ ი ლ – რაღა თქმა უნდა! რაღა თქმა უნდა!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ ი ს ხმა (მეორე ოთახიდამ) – ელენე! ელენე! მანდა ხარ, შვილო? არ შეიძლება, რომ ცოტა ხნით აქ შემოხვიდე?

ა რ ჩ ი ლ – ეგ შეჩვენებული საიდამ გაჩდა? რა დროსი იყო! არ მინდა, ვნახო. ახლა ნავალ და ისევ მალე მოვბრუნდები! მერე უფრო გულდამშვიდებით მოვილაპარაკოთ. რათ მოინყინე მანგრე, გენაცვალე?.. ჰმ! (ძალათ, ღიმილით) რა გაეწყობა? რაც მომხდარა, მომხდარა! შეიძლებოდა, რომ უარესიც მომხდარიყო. მშვიდობით, გეთაყვა! მალე დავბრუნდები, მალე!

ე ლ ე ნ ე – (მარტო) ეს რაები მესმის? ნუთუ მართლა დეიდა მიბრი-ყვებდეს? ნუთუ მართლა თავი გავიკიცხე?! ღმერთმა ხომ იცის, რაც მე ტანჯვა გამოვიარე არჩილის გულისათვის! განა მე კი არა მტან-ჯამდა ამდენი მოგონება და თვალთმაქცობა?.. რისთვის ავიტანდი

ამდენ თავის დამდაბლებას, თუ არ არჩილის სიყვარულის გულისათვის! და რა გამოდგა ბოლოს? ის, რომ მე იმას ვაწყენინე!.. გული ვატკანე და ჩემი თავიც დავიმიტირე მის თვალში! ვაითუ, ჩემზედ ცუდი რამ იფიქროს!.. მაგრამ არა, ცუდს როგორ იფიქრებს?.. (უფრო და უფრო ლელავს, თავს ჩაჰეთებს და ხელებს იფარებს; ცოტა ხნის შემდეგ თავს აიღებს) ვაიდამ მინდოდა გამოვსულიყავ და უიში ჩავვარდი!.. თვალდათვალ დამანახვა არჩილმა ჩემი შეცდომილება! ეხლა მეც ვატყობ, რომ დეიდა მატყუებდა!.. იპ, სიკვდილი არა სჯობს ამისთანა სიცოცხლეს?! ვიღას უნდა ენდოს კაცი?! (თავს ჩაჰეთებს და დაიწყებს ტირილს, მერე ისტერიკათ გადაექცევა).

მექვსე გამოსვლა

ისვე და კულტურ-ხანუმ და მერი ესმა

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (შემოვარდება) ვინ ტირის? ელენე?! რა დაგ-მართნია, ჩემო სიცოცხლეები?! რა ამბავია? რა?! (ელენე ტირის) ბიჭო! გოგო! არავინა ხართ? მოგვხედეთ!..

ე ს მ ა – (შემოიჭრება) რა ამბავია, ქალბატონო?.. უი, შენს გადიას! ელენე ტირის?! ვინ ამიტირა ამისი თავი? ახლა არჩილ აქ არ იყო? ნუთუ იმან გაწყენია რამე? დამიდგა თვალები! როგორ გაგიბედა იმ არაკაცის მზგავსმა?! უიმე! უიმე! რა იქნა? სად წავიდა? მაცალოს მე იმათ! (გამოუდგება გარეთ).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – შე შეჩვენებულო, რა დროს ეგ არის? წყალი!.. აი, აგერ ყოფილ! (ასმევს ელენეს, ელენე გულამომზღვარი სლოკინობს) გენაცვალე, ელენე, გული მოიბრუნე! რა დაგემართა? რა იყო? რა მოგივიდა: ავათ ხომ არა ხარ?

ე ს მ ა – (შემოვარდება დაფეთებული) უიმე! ქალბატონო, მიშვე-ლეთ! რა მომივიდა!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (გაჯავრებით) შე შეჩვენებულო, შენ მაინც რაღამ გადაგრია?

ე ს მ ა – ის შეჩვენებული არჩილ მეგონა... ვალი მობძანდებოდა და ქოში ვარტყი გულზედ... რაღა მეშველება! ვაიმე! ვაიმე!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – ვაი, შენ და ღვთის რისხვა! ვალი მობძანდება? (ელენეს) ჩემო სიცოცხლე, შედი ჩემს ოთახში, გული მოიბრუნე! თვალები ამოიწმინდე და, თუ გინდა, ისე გამოდი მერე. ხელი მოჰკვიდე, გადია!.. (მიდიან).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (მარტო) ეს სულ იმ გამოჩერჩეტებული ვალის ბრალია! ახლა მის თავს დააბრალოს! არ დაუჯერა ჩემს ქმარს და მაინც გამოუშვა არჩილი. კი ვიცოდი, რომ არჩილ ხეირს არ დაგვაყრიდა! ჰე, ახლა კი აღარ ვარგა დროს დაკარგვა! დღეს უნდა გადაწყდეს, თორემ უქმათ ჩაივლის ამდენი ნაცადი! ან „ჰო“ და ან „არა“!..

მეშვიდე გამოსვლა

კულტურა-ხანუმ და ვალი

ვ ა ლ ი – (სიცილით შემოდის) სალამო მშვიდობისა, ბატონიშვილო! ქართველების ზრდილობა ყოველთვის გათემული ყოფილა და მეც გამიგონია, რომ ძველათ საპატიო სტუმარს ვარდის კონებით მიეგებებოდენ ხოლმეო, და მე კი თქვენი გამდელი ქოშით დამიხვდა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – უი, ქა, რას მიძანებთ?!

ვ ა ლ ი – დიახ! კინაღამ კიბეზედ გადამაგდო.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – უი, დამიდგა თვალები! ხომ არ გატყინა რა?..

ვ ა ლ ი – არა!.. ვხუმრობ, ბატონიშვილო!.. მე იმაზედ უფრო მეცინება, რომ ის დაფრთხა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ის შეჩვენებული, ჯერ ისეც გამოყრუებულია სიბერით, ახლა კიდევ ელენეს უქეიფობამ სულ გააგიუა.

ვ ა ლ ი – როგორ თუ უქეიფობამ?! განა ელენე ავათ არის?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – როგორდაც ვერ გახლამსთ თავის გუნებაზედ ეს ოთხი-ხუთი დღეა. თვითონაც არ იცის, თუ რას მიზეზობს! თქვენი მტერი იყოს, იმან ჩვენ გუნებაზედ დაგვაყენა და მისი გამდელი ხომ რაღა! აღარ იცის, რას ჩადის.

ვ ა ლ ი – ქოშებს ისვრის? (იცინის).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – (იცინი) არა. ეგ თუმცა განგებ არ უქნაა, მაგრამ სამართლიანად კი მოხდა, რადგანაც, ცოტა არ იყოს, თქვენცა გაქვსთ ბრალი ელენეს უქეიფობაში.

ვ ა ლ ი – როგორ, ბატონიშვილო?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ. – ახლა მაგაზედ აღარას მოგახსენებ, თვითონ თქვენ და ელენე მორიგდებით, ერთმანეთში, მაგრამ მეკი ჩემდათავად უნდა გისაყვედუროთ, რომ ამდენი ხანია დაგვივიწყეთ.

ვ ა ლ ი – განა მაგაში მე ბრალი მაქვს?.. თქვენმა ქმარმა ისეთი დიპლომატობა გამოიჩინა, რომ მისი, სხვების დასანახავათ გამო-

კუდურ-ხანუმი

გონებული აშლა, მე ნამდვილად მივიღე და აღარ ვიცოდი, თუ რა მექნა?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ეგ უფრო სამწუხარო კიდევ!.. მმართებლობის ერთგულებამ და თქვენმა ერთგულებამ რომ ჩემს ქმარს მოუხერხებელიც მოახერხებიოს, დიდი გასაკვირი არა არისრა; მაგრამ, თქვენ რომ არ გიხმარიათ ჩვეულებრივი გამჭრიახობა და ვერ მიმხვდარხართ, ის კი კარგი ნიშანი არ არის ჩვენთვის: სჩანს, რომ აღარა გვწყალობთ!..

კ ა ლ ი - მაგას რას ბძანებთ, ბატონიშვილო?.. სანამ სული მიდგას, მე თქვენი პატივიცემა და სიყვარული არ დამავიწყდება. აი, ახლაც ისეთი ერთგულება გამოიჩინა თქვენმა ქმარმა მმართებლობის და თანაც ჩემი მეგობრობა, რომ ღირსი შეიქნა სამაგალითოდ დაჯილდოებისა.

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - ის მაგგვარათ თავის მოვალეობას ასრულებს!.. თუმცა, მართალი უნდა მოგახსენოთ, მეკი ყოველთვის ვენინაალმდეგები ხოლმე.

კ ა ლ ი - მმართველობის ერთგულებაზედ?

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - დიახ!.. მაგითი ის ბევრს მტრებს იკიდებს და, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ხალხი რა არი? ადრე თუ გვიან ხეირს არ დაყრიან ჩემს ქმარს მაგ ერთგულობისათვის... უმისოთაც ქვეყნის მოღალატეს ეძახიან.

კ ა ლ ი - მაშინ ჩვენც აღარ ვიქნებით, მაშ, ქვეყანაზედ?!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - სანამ თქვენ აქ ბრძანდებით, მეც გული დამშვიდებული მაქვს, მაგრამ... ვინ იცის, რომ ხვალ თქვენ უფრო მაღალ ადგილზედ არ მიგინდებენ აქედამ? მაშინ, ჩვენგან შორს მყოფს, დრო აღარ გექნებათ მოგვიგონოთ და ამგვარადა მფარველს მოვაკლდებით.

კ ა ლ ი - დარწმუნდით, ბატონისშვილო, რომ სადაც უნდა ვიყო, თქვენი ხსოვნა და პატივისცემა ჩემი გულიდამ არ ამოვა. და, რაც შეეხება ახლანდელს მტრებს, დღეს თქვენმა ქმარმა წარმომიდგინა მათი სია და მეც უმაღლესად წარვადგინე, რომ ისინი, როგორც ქვეყნის ორგულნი და მართებლობის წინააღმდეგნი, სამაგალითოდ ქვეყნის დასანახავათ დაისაჯონ და თქვენი ქმარი კი დაჯილდოვდეს!

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ - გმადლობთ! თქვენი მოწყალება დაუფასებელია!.. ჩემი ქმარი თვითონ ეცდება, რომ გაამართლოს ეგ წყალობა და გემსახუროსთ, მაგრამ მე და ელენე კი მაგით მაინც ვერ შეგირიგდებით!.. ჩვენ ქალები ვართ: პატივმოყვარეობას იმდენათა არ

კულტურ-ხანუმი

დავსდევთ, რამდენათაც გულს ავჭყვებით ხოლმე!.. თქვენმა ამდენი ხნის უნახაობამ გული გვატყინა!

ვ ა ღ ი – მზათ გახლავარ, რომ საკანონო მოვიხადო! (თავს უკრავს).

ვ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (ლიმილით) ვნახოთ! პირველი, ეს ჯერ რომ უნდა მარტო დაგტეოთ, რადგანაც ცოტა ხნით მეზობლისას უნდა გადავიდე და, თუ ნებას მომცემთ, ჩემ მაგიერ ელენეს გამოგიგზავნით ჩემს მოსვლამდი.

ვ ა ღ – თქვენი ნება იყოს!

ვ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – და თუ რამე დაიკარგა ამ ოჯახში, თქვენ უნდა მიზღოთ, რადგანაც თქვენ ორის მეტი ამ ოჯახში აღარავინ იქნება, ასე გაშინჯეთ, რომ მოსამსახურეებიც აქეთ-იქით არიან გაგზავნილი.

ვ ა ღ ი – ბატონი ბრძანდებით!.. მესმის!..

ვ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (ჟმაკურის ლიმილით) მოითმინეთ! ეს კიდევ არა კმარა! რომ მე გული უფრო დამშვიდებული მექმნეს, კარებს გარედამ გადაგიკეტ და დროებითად ჩემი ტყვე იქნებით!

ვ ა ღ ი – (ხელზედ ჰერცინის) რა გაეწყობა, ბატონიშვილი! მით უფრო, რომ ბევრჯერ ჩაგიგდივარ ამისთანა ტყვეობაში და არც ერთხელ სანაწყრათ არ დამრჩენია.

ვ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – მშვიდობით! ელენე გიახლებათ!.. შერიგდით, შერიგდით! თორემ, ვინ იცის, რა გამოვა შემდეგ... არ მოიწყინოთ უჩემოთ! (გადის).

ვ ა ღ ი – (მარტო) რა დედაკაცია! ეს რომ ვაჟი ყოფილიყო, დიდებულ სულთანს ულვაშებს მოაპარსვინებდა!

ვალი და ელენე (მემოდის დაღონებული)

ვ ა ღ ი – ჩემ სიცოცხლე ელენეს ვახლავარ! როგორა ბძანდებით? დეიდათქვენმა მიამბო თქვენი უქეიფობა და ძალიანაც...

ე ღ ე ნ ე – (მშვიდობიანათ) ტყუილი მოუხსენებია!

ვ ა ღ ი – ვხედამ, გულდაკლებული ბძანდებით ჩემზედ, რომ ამდენი ხანია აღარ გამივლია, მაგრამ ჩემს უსირცხვილობას ნუ მიაწერთ. მიზეზი სულ სხვა იყო...

ე ღ ე ნ ე – დარწმუნდით, რომ ეგ ჩემთვის ერთი იყო! ჩემთვის არაოდეს არ ჰქონია მნიშვნელობა არც თქვენს მობძანებას და არც წაბძანებას.

კუდურ-ხანუმი

ვ ა ლ ი – ვე! ახლა კი ვხედავ, რომ მიჯავრდებით!.. თუმცა უნებურათ, მაგრამ დანაშაული კი გახლავარ, მაგრამ მიტევება თქვენი ვალია!

ე ლ ე ნ ე – თუ ინებებთ, რომ მართალი გაიგოთ, დანაშაული მე მაქვს თქვენთან და ბოდიშსაც მე ვითხოვ.

ვ ა ლ ი – თქვენ?

ე ლ ე ნ ე – დიახ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სინდისის წინააღმდეგ გექცეოდით.

ვ ა ლ ი – როგორ თუ?..

ე ლ ე ნ ე – დეიდაჩემის შეგონებით ამოდენი ხანია, თვალს გიხვევდით და გატყუებდით, თორემ არც მყვარებიხართ და არც მიყვარხართ!

ვ ა ლ ი – მართალს ბძანებთ? მაში თქვენი ქცევა და სიტყვები.

ე ლ ე ნ ე – თვალთმაქცობა იყო, რომ ხელში ჩამეგდეთ ისე, როგორც დეიდა მირჩევდა.

ვ ა ლ ი – ჰმ! არა მჯერა ეგ არც თქვენგან და არც თქვენის დეიდისაგან! და ან თქვენ როგორ შესძლებდით ისე ხანგრძლივ თვალთმაქცობას?

ე ლ ე ნ ე – არჩილის სიყვარულმა შემაძლებინა... რომელსაც ისე უსამართლოთ ალპობდით საპყრობილები.

ვ ა ლ ი – არა ხუმრობთ?

ე ლ ე ნ ე – გარნებუნებთ!

ვ ა ლ ი – ჰმ... თორემ ეგრე?!

განა არ იცით, რომ მე შემიძლია, ისევ დავაჭრინო არჩილი და უარესი სატანჯველიც გაუნესო?

ე ლ ე ნ ე – ეგ თქვენი ნება არის... მაშინაც შევსცდი, რომ თავი დავიმდაბლე და გთხოვეთ მისი გამოშვება.

ვ ა ლ ი – მერე და გეკადრებოდათ განა ჩემი მოტყუება და გაკიცხვა?

ე ლ ე ნ ე – მეც ეგ მაწუხებს. მინდა, შევინანო და მართალი შეგატყობინეთ.

ვ ა ლ ი – (სიჩუმეა) ჰმ!.. ვსწუხვარ! ვსწუხვარ! მადლობა ღმერთს, ვეცდები, რომ მერე მაინც შეგაყვარო თავი!

ე ლ ე ნ ე – თავი შემაყვაროთ?

ვ ა ლ ი – დიახ! შერთვის შემდეგ.

ე ლ ე ნ ე – მე კი განა უსიყვარულოთ წავჰყვები ვისმეს?! არა, ეგ არ იქნება და ნურც იფიქრებთ.

ვ ა ლ ი – როგორ?! მაშ, მე უნდა გაყიცხული დავრჩე?.. მაშინ, როდესაც ქვეყანამ შეიტყო? არა, თქვენ, მგონია, მცდით!.. ხუმ-რობთ... ანდა, სწორეთ, მართალი მითხრა დეიდათქვენმა, გუნებაზედ არა ხართ და მიზეზობთ.

ე ლ ე ნ ე – სტყუის დეიდა!

ვ ა ლ ი – არა, მართლა ამბობ, რომ ჩემს ცოლობაზედ ხელს იღებთ?

ე ლ ე ნ ე – როდის გქონდათ ხელი მოკიდებული?!?

ვ ა ლ ი – სიტყვა არ მომეცით?

ე ლ ე ნ ე – ხომ გითხარით მიზეზი.

ვ ა ლ ი – ეჲ, კარგია ერთი, თავი დაანებე მაგდენ ხუმრობას. (უახლოვდება, ელენე შორდება) როგორ დავიჯერო, რომ ჩემი სიყვარული თქვენ გაჰკიცხოთ (მოხვევნას უპირებს).

ე ლ ე ნ ე – (ხელს ჰკრავს) არ შეიძლება, რომ თავს პატივი დას-დოთ, დამშვიდდეთ?

ვ ა ლ ი – განა, სიყვარულისაგან გაშმაგებულს, დამშვიდება შემიძლია? (ხელს სტაცებს).

ე ლ ე ნ ე – (სასტიკად) ხელი!

ვ ა ლ ი – გვიანდა არის... ვეღარ წამიხვალთ! ჩემს ცოლობაზედ ვეღარ აიღებთ ხელს.

ე ლ ე ნ ე – ვის უბედავთ მაგას? ვინა გგონივართ? ხელი! ხელი!.. (გაექცევა და მივარდება კარებს) აჲ! ეს რა ამბავია?! ეი! ვინა ხართ მანდა? კარი გამიღეთ, ეი! არ გესმით?!

ვ ა ლ ი – (დაცინვით) აბა, რასა შფოთავთ? როგორ გეკადრებათ? განა არ იცოდით, რომ შინ არავინ არის?! უბრალო ყვირილით მაგ მშვენიერ ხმას ნუ გაიფუჭებთ! ვერავინ გაგიგონებს. რისა გეშინიანთ? ჩემთან ხარ გალიაში, ჩემი გვრიტო! არა, სჯობია, რომ შენს ბედს დაემორჩილო! იცოდე, რომ სიკვდილამდე ჩემი ხარ!

ე ლ ე ნ ე – (აღშფოთებით) რა გნებავსთ?!

ვ ა ლ ი – ნულა მეწინააღმდეგებით; იქნება სჯობს, სადაც ძალა აღარ გავა.

ე ლ ე ნ ე – განა მაგდენზედაც მიაწია დეიდაჩემმა?! ეგ ეკადრება თქვენს ხანს, თქვენს ლირსებას?

ვ ა ლ ი – მე მინდა, რომ ცოლათ შეგირთო, აქ რა არის უკად-რისი? (მიიწევს).

ე ლ ე ნ ე – გაფიცებთ პატიოსნებას და ან რაც გეფიცებათ, მიმ-იღეთ მამაშვილურათ და აიღეთ ჩემგან ხელი! დაიმშვიდეთ გული!..

კუდურ-ხანუმი

ვ ა ლ ი – (მიუახლოვდება) გეფიცებით, რომ სიყვარულისაგან გრძნობადაკარგული ვარ და კიდეც უნდა დავამტკიცო, რომ ჩემი იქნები და არა სხვისი! მე ამ შემთხვევას ვერ დავჰქარგავ!

ე ლ ე ნ ე – ოჳ, ღმერთო ჩემო! (ჩამოჯდება მდივანზედ და თვალებზედ ხელს მიიფარებს).

ვ ა ლ ი – ჩემი სიყვარული განა ხუმრობა გეგონა? დამათვრე ალერსით... გამაგიუე... ცეცხლი მომიკიდე სიყვარულით და ახლა გინდა, გაკიცხული დამაგდო? არა! ვფიცავ ღმერთს, რომ შენს თავს, არ თუ ქვეყნიური, ზეციური ძალებიც ვერ დამათმობინებენ! არ იცი, რომ სიყვარული სწორება და სიგიურა?.. ჩემი სიყვარული უზო-მოა!.. სიცოცხლეს კი დავსომობ და შენ კი ვერა... ვერ შეგელევი... ვერავის დავუთმობ შენს თავს უსიკვდილოდ... ჩემო ბედნიერებავ! ჩემო ხვედრო! ჩემო სიცოცხლევ, ნუ მეკრძალვი, ნუ მერიდები!.. მომენდვე და ჩემსავით სხვა ვერავინ დაგაფასებს, ვერ შეგიყვარებს! რათა სტირი? ნუ იფარებ მაგ მშვენიერ სახეზედ ხელებს! ნუ! ნუ! (ხელებს მოახსნევინებს).

ე ლ ე ნ ე – ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ვ ა ლ ი – ააა!

ე ლ ე ნ ე – შენ კი გენაცვალოს ელენე! განაგრძე, განაგრძე ეგ ალერსიანი სიტყვები! მაგის გაგონება არ მოყირჭდება შენს ელენეს!.. აქამდი ეჭვი გქონდა და არც დეიდას უჯეროდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ გყვარებივარ!.. სხვებსავით განსაკიცხავთ არ გდომებივარ: თუ არ ნამდვილი სიყვარული, ეგრე სხვა ვერაფერი გაამჩატებდა შენი-სთანა დარბაისელს, ჩემო სიცოცხლევ! გცდიდი და ნუ გეწყინება, ჩემო საყვარელო! ქალები ეჭვიანები ვართ (ეხვევა).

ვ ა ლ ი – (აღტაცებაში მოსული) მცდიდი?! მე კი გულზედ გამხ-ეთქე და!.. ელენევ, დაუსაბამოს გეფიცები, რომ შენის სიყვარულით დაბრმავებული ვარ, შენი მონა ვარ და ვიქნები. რას მეტყვი, რომ არ აგისრულო?

ე ლ ე ნ ე – მართლა? მაშ, ჯერ-ჯერობით ახლა გული დაიმშვიდე და დამიმტკიცე, რომ მართლა ცოლად გინდებვარ და არა...

ვ ა ლ ი – მზათა ვარ, ჩემო მშვენიერებავ!

ე ლ ე ნ ე – მაშ, ახლა დამანებე თავი! სიტყვას გაძლევ, რომ შეგირთო!

ვ ა ლ ი – რომ მიღალატო?

ე ლ ე ნ ე – არა.

ვ ა ღ ი – მაშ, შემომფიცე! რას გაჩუმდი?! აა!.. კიდევ გინდა მომატყუო?

ე ღ ე ნ ე – ახლა ისე მოულოდნელათ მომექეცით, რომ არ შემიძლია, რამე გადავწყვიტო.

ვ ა ღ ი – ჰაა! მაშ, კიდევ გინდოდა, მოგეტყუებიერ?.. წავიდე... და რა დამტკიცებას მატან, რომ მერე აღარ მიღალატებ? არა, უნდა დამნებდე!.. (ცეკიდება).

ე ღ ე ნ ე – მაშ, კარგი! ასე ნდომებია ჩემთვის ბედს!.. შემომფიცე, რომ მერე აღარ აიღებ ხელს ჩემს ქრმობაზედ!

ვ ა ღ ი – ღმერთი იყოს თავდები!

ე ღ ე ნ ე – მაშ, ვენდობი შენს სინდისსა და, თუ მომატყუო, მაღალმა ღმერთმა გკითხოს საიქოს... კარგი! შემობძანდით! (შეიჭრება სანოლ ოთახში).

ვ ა ღ ი – აი, დედაკაცი! მოდი და იცანი! რაც უნდა გამაგრდეს, ბოლოს მაინც ის არის.

ე ღ ე ნ ე – (ოთახიდამ) ახლა კი მზათა ვარ! სირცხვილს სიკვდილი სჯობია, მაგრამ იეფათ კი არ დაგიჯდება ჩემი სიკვდილი (გამოდის).

ვ ა ღ ი – (შეშინებით) რას აპირობით?!

ე ღ ე ნ ე – შენს სიკვდილს. (მიაღერს ხანჯალს) გეგონა, რომ ჩემზედა ისე ინადირებდი, როგორც სხვებზედ გინადირნია ამ ოჯახში? ახლა კი გეყოფა ამდენი გარყვნილება! (დაუპირებს ხანჯლის ჩაკვრას).

ვ ა ღ ი – რას შვრებით! რას შვრებით! გაგიუდით? (გარბის და ელენე მისდევს).

ე ღ ე ნ ე – არა, შენი აღსასრულის დღეც მოვიდა!

ვ ა ღ ი – ვაიმე! მიშველეთ! ეი! ეი! კარი გამიღეთ! არავინა ხართ? მიშველეთ! (სკამით იგერიებს).

ე ღ ე ნ ე – (შუაგულზედ დგება და ხარხარებს) აჲა, გადატრიალდა ჩარხი! ახლა ჩემ ხელშია ძალა! რატომ აღარ დამცინი? მაშ, ნუღარც შენ ელი შებრალებას! ტყვილა ნუ შფოთავ, ჩემთ ძლიერო მიმინო! შინ არავინ არის, ვერავინ გაგიგონებს... ხმას რათ იღალამ? ხა! ხა! ხა! ხა!

ვ ა ღ ი – მიშველეთ! (აწვება კარებს).

ე ღ ე ნ ე – ეს რა მემართება?! აჲ! ეს რა ამბავია? (ხანჯალს აგდებს ხელიდამ, გულზედ იდებს ხელს და ჯდება) ამას ვისა ვხედავ? არჩილ? (მისჩერებია ვალის) ოჲ, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლევ? რა კარგ დროს მომესწარ!.. მოდი მალე!.. მოდი!

ვ ა ღ ი – (სულელივით მისჩერებია) ვაჲ! ეს რა ამბავია?!

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – (ხელებს უშვერს) მოდი, ჩემო ბედნიერებავ! მოდი, მოგხებიო! არ იცი, რომ სიკვდილამდე შენი ვარ?! სხვას ვისლა ავირჩევდა? წამიყვანე აქედამ შენთან! შენთან ერთად, ჩემო ნუგეშო! მალე! მალე! ამ გარყვნილ ოჯახიდამ.

ვ ა ლ ი – ვაჲ! კიდევ ხუმრობდა?! მეკი საუკუნოდ დამიკარგა სიყვარულის სურვილი და!.. (მიუახლოვდება და ელენე წამოვარდება და გულზედ ეკვრის).

ე ლ ე ნ ე – წამიყვანე აქედამ... ნუ დამტოვებ! ოჲ, ოჲ, რა ბედ-ნიერი ვარ! (შეჰყავს მეორე ოთახში) შენ გენაცვალოს ელენე, ჩემო სიცოცხლე... ჩემო! ჩემო...

არჩე გამოსვლა

არჩილ (შემოდის სიჩქარით)

ა რ ჩ ი ლ – ეს რა ამბავია? კარები გარედამ გადუკეტიათ! აქ რაღაც ხმაურობა იყო და კი არავინა სჩანს! (დაინახამს ხანჯალს) აჲ, ეს რაღა არის?.. ამას რა უნდა აქა?! (იხედება აქეთ-იქით. მეორე ოთახში შეიხედავს) აააა! ღმერთო ჩემო! ამას რასა ვხედავ? (გამობრუნდება) თურმე ხალხის ხმა აკი მართალი ყოფილა! ახლა კი მჯერა, თუ თვალები არ მატყუებენ, აჲ!..

ე ლ ე ნ ე ს ხ მ ა – არჩილ, შენ გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ! წამიყვანე... ნუ დამტოვებ, არჩილ!..

ა რ ჩ ი ლ – (შეკრთება) აჲ, არჩილო? მე მეძახის? აქ უთუოთ რაღაც ამბავია! კარგათ ვერ შევხედე! ძალადობა! ააა... ახლაკი (გაექანება ხანჯლით, შეიხედავს და ისევ შეჩერდება. გამობრუნდება) არა, არა!.. დამცინის! დამცინის! ჰმ!.. ჰმ!.. აქ ძალადობა აღარ ყოფილა!.. ეხვევა, ჰკოცნის, ესიყვარულება!.. და, მაშ, მე რა ნება მაქვს?.. ვინა ვარ, რომ იმათ ტრიფიალს ხელი შევუშალო?!

პე! ახლა კი მშვიდობით! მე აქ დასადგომი პირი აღარა მაქვს, სადაც ტანჯვის მეტი არა მინახავსრა და სადაც დღეს უკანასკნელი ოცნებაც კი მენამლება! მშვიდობით! ქვეყანა განიერია! (დააგდებს ხანჯალს და გარბის).

(დასასრული მეორე მოქმედებისა)

პირველი სცენა

ღარიბი ოთახი ფლიგელში

პირველი გამოსვლა

(ექიმი ათავებს წერას და მერე ზარს აწეარუნებს ხათუნია შემოდის
მეორე ოთახიდამ)

ე ქ ი მ ი – გამოილვიძა?

ს ა თ უ ნ ი ა – არა, ბატონო! ჯერ კიდევ არა!.. ძილის გუდათ
გახლავს მიგდეული... ზარბაზანიც ვერ გამოალვიძებს.

ე ქ ი მ ი – ჰმ!

ს ა თ უ ნ ი ა – ან კი რა გასაკვირველი გახლამთ, რომ წუხელ
მთელი ღამე მის თვალს რული არ მოკიდებია, ისე შფოთავდა.

ე ქ ი მ ი – ეგება გააჯავრეთ?.. ან აწყენიეთ როგორმე?..

ს ა თ უ ნ ი ა – არა, ბატონო! რა ბძანებაა?!

ე ქ ი მ ი – სასმელ-საჭმელს ხომ არაფერს უკრძალავთ?

ს ა თ უ ნ ი ა – რაღაი თქვენ ბრძანეთ, ვინდა მოუშლიდა!

ე ქ ი მ ი – კარგი გიქნიათ... რაც აიჩემოს, შეძლებისადაგვარად
აუსრულეთ ხოლმე! იმას ანი აღარაფერი აწყენს.

ს ა თ უ ნ ი ა – კი, ბატონო, მაგრამ ეს ორი დღეა, რაც მისთანას
აღარას თხოულობს.

ე ქ ი მ ი – მაშ, წუხელი რაღა აშფოთებდა?.. ხომ არა სტკიოდარა?

ს ა თ უ ნ ი ა – არა, ბატონო! რაღაი არჩილის დაბრუნება გაიგო
და თქვენი პასუხიც მოუვიდა, გუნება ეცვალა: ისე გახდა, რომ ჭუუ-
ვაშეშლილს დაემგზავსა. ხან თუ ბავშვიით ატყდებოდა ხოლმე, რომ
კიდევ ვთხოვ ჩემს არჩილსაო... მერე ისევ მოინყენდა და მოჰყებოდა
ხოლმე ტირილს: „ნახვით ვნახამ, მაგრამ მე რომ კი ისევ ადრინ-
დულათ ველარ დავუხვდებიო?“ ჩვენ, რაც შეგვეძლო, დავაკავეთ,
მაგრამ ვერა გავაწყეთრა... ისე იშფოთა მთელი ღამე.

ე ქ ი მ ი – ხველა აღარა ჰქონია?

ს ა თ უ ნ ი ა – ხანდახან! გათენებისას კი მოიხედა, დამშვიდდა...
საჩქაროთ ხელ-პირი დაიბანა, მოირთო-მოიკაზმა, ერთი სტაქანი
ჩაიც დალია და ლოყებიც ისე წამოუწითლდა, რომ გეგონებოდათ,

კუდურ-ხანუმი

მის დღეშიაც არა სტკენირარა... გაიარ-გამოიარა, მიეყრდო მუთაქა-ზედ და თვალები კი კარებისაკენ ეჭირა, სანამ არ ეძინა.

ე ქ ი მ ი – ჰმ!.. იყოს!.. ნუ გააღვიძებთ!

ს მ ა (კარების უკანიდან) – რას დაგდებულხარ აქ, შე სულწყმ-ედილო, ნაგაზივით რა ფეხებში ებორძიკები გამვლელს და გამომვ-ლელს? კინალამ დამცი... ნაეთერი აქედან!.. ნუ აგდიხარ აქა!..

მეორე გამოსვლა

იგინივე და პერალ-მოურავი (შემოდის, ხანჯალზედ ხელს დაიბჯენს, გაჩერდება და ისე შეჰყურებს ექიმს, რომელიც უცდის. ჯამალ მხოლოდ ახველებს)

ე ქ ი მ ი – რა გნებავსთ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ ა ვ ი – თქვენი კარგათ ყოფნა, შენი ჭირიმე!

ე ქ ი მ ი – გმადლობთ! ჩვენ კარგათ გახლავართ!..

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ ა ვ ი – ისემც კარგი დაგემართოსთ და ღმერ-თმა ნუ მოგიშალოსთ!.. (შეჩერებიან ერთმანეთს).

ე ქ ი მ ი – ბატონო, მეტს ალარას გვიბძანებთ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ ა ვ ი – თვითონ ბატონო და თვითონ გვიბ-ძანებთ, შენი ჭირიმე!

ე ქ ი მ ი – რა გნებავსთ?

ჯ ა მ ა ლ-მ ო უ რ ა ვ ი – მე არაფერი, შენი ჭირიმე.

ე ქ ი მ ი – მაშ, ისე დასახედავათ მობძანდით?

ჯ ა მ ა ლ – არა, შენი ჭირიმე! ბატონმა გაახლოთ ჩემი თავი.

ე ქ ი მ ი – ვინ ბატონია?

ჯ ა მ ა ლ – ქალბატონი... კუდურ-ხანუმი, ბატონო.

ე ქ ი მ ი – რაო?

ჯ ა მ ა ლ – (ახველებს) მოგახსენათ, შენი ჭირიმე, თქვენ არ შეგანუხებდითო, მაგრამ ჩვენი ექიმი ვალის გაჲყოლია სადღაცაო და სხვა ექიმი კი თქვენს მეტი ხელათ ალარავინ დაგვრჩაო...

ე ქ ი მ ი – რა მინდაო?

ჯ ა მ ა ლ – თამარ გახლავსთ ცოტა უქეიფოდ და...

ე ქ ი მ ი – რა ემიზეზება?

ჯ ა მ ა ლ – ცოტა თავის ტკიცილი აჲყვა და გუნებაზედაც ვერ გახლავსთ.

ე ქ ი მ ი – გუნებანაქცევათ ხომ არ არის?

ჯ ა მ ა ლ – ჰმ! თქვე დალოცვილო!

ე ქ ი მ ი – არა უშავსრა! ძილი დააკლდებოდა. მოახსენე, რომ
ჯერ არა მცალიან; მძიმე ავათმყოფი მყავს და იმას უცდითქო.

ჯ ა მ ა ლ – ეწყინება, შენი ჭირიმე.

ე ქ ი მ ი – მოახსენე, რაც გითხარ!

ჯ ა მ ა ლ – იჲ, არ ივარგებს, შენი ჭირიმე, ბატონისშვილი გაჯა-
ვრდება.

ე ქ ი მ ი – ცივ წყალში დაასველოს ხელსახოცი და თავზედ
შემოიდვას! არგებს ტკივილს!

ჯ ა მ ა ლ – თქვენ კი არ წამოპრძანდებით?

ე ქ ი მ ი – არა მცალიან! ვერ გაიგე?!

ჯ ა მ ა ლ – მშვიდობით ბძანდებოდეთ, ჰო, ბატონო! (მიდის.
კარებს უკან მისი ხმა) აქავე ხარ?! აქავე ხარ, შე ქოფაქო?! ვერ გაიგე,
რაც გითხრეს? აეთერ აქედან! აქ ნუ აგდიხარ!..

ე ს მ ა ს ხ მ ა – არა, აქ უნდა მოვიკლა ჩემი თავი, აქ უნდა
ამომხდეს სული და კი არსად წავალ.

ჯ ა მ ა ლ ი ს ხ მ ა – ქალბატონის ბძანებაა, რომ სულ ფეხის
თრევით წაგილონ აქედან.

ე ს მ ა ს ხ მ ა – მე აქ ვეგდო ჩემთვის, ვის რას უშავებ? თქვე
უღმერთოებო! თქვე სასიკვდილოებო! ისემცა დაიმხოს და ამოვარ-
დეს თქვენი ოჯახი, როგორც ჩემი ელენეს გულ-ლვიძლი თქვენ
ამოჭამეთ, ღვთის რისხვებო, თქვენა!..

ე ქ ი მ ი – რა ამბავია? ვის ეჩეუბებიან?

ხ ა თ უ ნ ი ა – არავის, ბატონო! მოურავი უჯავრდება გადიას:
ნებას არ აძლევს, რომ კარებთან იწვეს.

ე ქ ი მ ი – ვინ გადიას?

ხ ა თ უ ნ ი ა – ელენეს გამდელი გახლავსთ!.. აქ აღარ უშვებენ
ელენესთან და კარებთან ზის... აღარ შორდება.

ე ქ ი მ ი – რატომ არ უშვებენ? ელენეს არა ჰსურს?

ხ ა თ უ ნ ი ა – არა, ბატონო!, ელენემ ორჯერ-სამჯერ კიდევაც
მოიკითხა, მაგრამ ასე მოვახსენეთ, რომ გადია სოფელში წავიდა და
ჯერ არ დაბრუნებულათქო.

ე ქ ი მ ი – მაშ, რათ აუკრძალეს აქ შემოსვლა?

ხ ა თ უ ნ ი ა – ქალბატონი გაწყრება.

ე ქ ი მ ი – რათა?

ხ ა თ უ ნ ი ა – მიტომ, ბატონო, რომ ამას წინეთ წასულიყო
სალოცავზედ, დაეგრიხა წმინდა სანთელი და ისე სახალხოთ გადაეცა

კუდურ-ხანუმი

ქალბატონი, რომ ჩემი ელენე იმან მომიკლა, იმის ბარობით დამის-ნეულდაო.

ე ქ ი მ ი – მაგის მეტი ხო არა დაუშავებიარა?

ხ ა თ უ ნ ი ა – არა, ბატონო!

ე ქ ი მ ი – ელენეს ხომ არ ეწყინება, რომ შევიდეს ხოლმე იმას-თან?

ხ ა თ უ ნ ი ა – როგორ ეწყინება? მისი გაზდილია!

ე ქ ი მ ი – მაშ, კარგი, უთხარი, შემოვიდეს, ექიმი გიბძანებსთქო (ხათუნია გადის).

გ ა დ ი ა – (დაგლეჯილი ტანისამოსით, ფეხშისველი შემოვარდება გიჟივით და ექიმს ეხვევა მუხლებზედ) ამას კი ვენაცვალე! ამას კი შემოვევლე თავს! ამის ჭირიმე!

ე ქ ი მ ი – რა ამბავია? რა გატირებს, გამდელო?

გ ა დ ი ა – უიმე! როგორ თუ რა მატირებს? რაღა სასაცინო პირი მაქვს, შენ კი გენაცვალე? ჩემს ელენეს დღე ელევა, მე კი თვალითაც აღარ უნდათ მიჩვენონ.

ე ქ ი მ ი – ვის შეუძლია, რომ დაგიშალოს?

გ ა დ ი ა – უიმე! ვის არ შეუძლია? ვინ არის, რომ მე ძალლი-ვით არ მიტატანებდეს? ამ ოჯახში დღეს ყველასაგან გასაკიცხ-ავი და სათრევი შევიქენი... აქამდი კი ყოველიფერი მე ვიყავი... უკანასკნელი წინილებიც კი მე დამიზდია. მაგრამ მე ჩემს თავს როგ-ორღა ვინაღვლი, რომ ჩემი მშვენიერი ელენე ისე გამიუპატიურეს! მომიკლეს! მომიკლეს! შეულლოცეს!.. გული და ლვიძლი ამოუჭამეს!.. ცოცხლად გამიღალეს! ზეზეულად დამიღვნეს, იმას კი ვენაცვალე... იმას კი შამოვევლე!

ე ქ ი მ ი – კარგია, კარგი! ახლა რა გინდა? რა გსურს?

გ ა დ ი ა – მინდა, რომ ერთი შამოვევლო თავს და მისი ჭირი მე ნავიღო.

ე ქ ი მ ი – მეტი არაფერი?

გ ა დ ი ა – ცოტა ხანს ფეხთით დაუუჯდები, თუ ნებას მომცემთ, იმას კი ვენაცვალე, ფეხზედ ხელს წავუსვამ... ბუზებს მოვუგერებ, იმისი ჭირიმე!..

ე ქ ი მ ი – ეგენი არც ერთი საჭირო არ არის! ისე კი შეგიძლია შეხვიდე და იქ იყო. არ გამოაღვიძო კი!

გ ა დ ი ა – უიმე! არა, შენი ჭირიმე... არა!

ე ქ ი მ ი – ტირილს ნუ მოჰყვები, თორემ გამოაღვიძებ!

გ ა დ ი ა – არა, გენაცვალე! სულს გავნაბავ... ხმას გავიკმენდ... გავქვავდები, ოლონდ კი იმას ვუყურო, იმას კი შემოვევლე!..

ე ქ ი მ ი – მაშ, კარგი!.. წაიყვანე გოგო და შედი ელენეს ოთახში (გადიან).

გ ა დ ი ა – (გამობრუნდება) თავს რომ შემოვევლო და შევულოცო, ხომ არ გამიჯავრდებით? თქვენს წამლობას ხომ არას აწყენს?

ე ქ ი მ ი – არა, არა! შეგიძლია, მაგრამ არ გამოაღვიძო კი როგორმე.

გ ა დ ი ა – არა, ამისი ჭირიმე! ამას კი ვენაცვალე (ხელებზედ ჰკოცნის. შედიან).

ე ქ ი მ ი – (მარტო) საპრალო! სრული დარწმუნებულია, რომ, თავს თუ შემოვევლო და შეულოცა, ფეხზედ წამოაყენებს! მეტი აღარ უნდა! ჰე.. გამდელსაც პატივი ახდია!.. ანგარიში... ყველაგან ანგარიში! სხვა ვალი და სხვა ლამაზი! სხვა მიმინო და სხვა ჩიტი! წაგიდა ძველი ვალი და გათავდა ელენობაც. მოვიდა ახალი ვალი და შეიქნა ისევ თამარობა!.. ქვეყანა ჩარხია! ტრიალებს! თამარ ახლა სასახლეს აშვენებს და ელენე კი აქ ფლიგელში გდია ყველასაგან მიტოვებული და დავითყებული, ვიღას რაღათ უნდა?.. მისი დრო წავიდა, აღარ მობრუნდება! მოკვდება და გულის შემატყივარიც არავინა ჰყავს!.. (არჩილ შემოდის) ააა! კარგ დროს მოხვედი! ეხლა შენზედა ვფიქრობდი.

ა რ ჩ ი ლ – გამარჯობა! ჩემზედ ფიქრობდი?

ე ქ ი მ ი – დიახ, მაგრამ დაიგვიანე! აკი თორმეტ საათზედ მოვალო?

ა რ ჩ ი ლ – (იქით-აქეთ იხედება. ჯდება) ჰმ!..

ე ქ ი მ ი – რაო? ვის ათვალიერებ? ჯერ ვერა წახავ! სძინავს.

ა რ ჩ ი ლ – (სიჩუმის შემდეგ) კინალამ სასახლეში შევედი! როგორ მოვიფიქრებდი, რომ ერთს დროს სასახლის სამკაულს დღეს სამოახლოში გადმოიტანდნენ... სძინავს?.. დღეს როგორლა არის?

ე ქ ი მ ი – ჯერ არ მინახავს... ამბობენ, რომ მოხედვით არისო, მაგრამ...

ა რ ჩ ი ლ – მაგრამ?!

ე ქ ი მ ი – განა არ იცი?.. გუშინ არ გითხარ?! მოიხედავს თუ არა, ერთია: დიდი ხნის სიცოცხლე მაინც აღარა აქვს! კარგი ქენი, რომ მოხვედი სანახავათ და გულში არ ჩაარჩინე...

ა რ ჩ ი ლ – სრულ გრძხობაშია?

ე ქ ი მ ი – რასაკვირველია. ეს იმისთანა სნეულება!.. (სიჩუმე) პაპიროსს არ მოსწევ?.. რა გემართება, ხელი გიკრთის? ავათ ხომ არა ხარ?

ა რ ჩ ი ლ – არაფერია! წუხელის არ მძინებია და...

კუდურ-ხანუმი

ე ქ ი მ ი – თვალებიც გემლვრევა? ეჲ! ვინ შენ და ვინ ეგეები? გაგულჩილებულხარ!

ა რ ჩ ი ლ – ყველას თავისი დრო აქვს და ადგილი, სიხარულსაც და მწუხარებასაც.

ე ქ ი მ ი – მესმის!.. მესმის!.. სჩანს, რომ სიყვარული ისევ გიტრი-ალებს გულში!.. ვერც დროსა და ვერც სიშორეს ვერ გამოუნელებია.

ა რ ჩ ი ლ – მე რომ არ გითხრა, განა თვითონ კი ვერ მიხვდები? გამომწელდა კი არა, იმ დიდ სიყვარულზედ დღეს სიბრალულიც ზე დაერთო და ის მიწუხებს გულს.

ე ქ ი მ ი – არ გამტყუნებ! უნდა გამოგიტყდე, რომ ელენე ყოველთვის საყვარელი ადამიანი იყო და არის!.. შეუცდომელი ქვეყანაზედ არავინ არის და არც შენ უნდა მიგეტეხა ისე ჩხირი და არ უნდა გადაკარგულიყავ; მით უფრო, რომ, როგორც თვითონვე ამბობ, სიყვარული არ გაგქრობია!.. ეჲ, რაც მოხდა, მოხდა, რალა გაეწყობა!.. განა სხვებს კი არ დაჰკარგვიათ სატრფო?

ა რ ჩ ი ლ – ჩემსავით?..

ე ქ ი მ ი – შენ რაო, ვითომ?

ა რ ჩ ი ლ – ის, რომ მაშინ ის ელენე დავჰკარგე და მომიკვდა, რომელიც სულს უყვარდა და სწამდა ამდროის ქართველ ქალის იდეალად, და დღეს ისიც კი ჰქონდა, რომელიც მხოლოდ გულს შერჩა, როგორც ქალი მარტივად.. ჩემი მწუხარება ორკეცია! ჰე, რა გაეწყობა! რა გამოვა, რომ ვიჩივლო?!

ე ქ ი მ ი – ეგ არი!

მესამე გამოსვლა

ისინივე და ხათუნია

ს ა თ უ ნ ი ა – ელენემ გამოიღვიძა და გამოსვლას ნდომულობს... შეიძლება, გამოვიყვანოთ?

ე ქ ი მ ი – ხომ არ გითქვამსთ არჩილის აქ ყოფნა?

ს ა თ უ ნ ი ა – არა, ბატონო, ჩვენ არც კი გვცოდნია!

ე ქ ი მ ი – მაშ, კარგი! არაფერი უთხრათ! ჩემი კი მოახსენეთ, რომ გიცდისთქო! კარგ გუნებაზედ წამოდგა?

ს ა თ უ ნ ი ა – უკეთესი აღარ შეიძლება! გადიას ნახვაც იამა (მიდის).

ე ქ ი მ ი – მეშინია, თუ უცბათ შენს დანახვაზედ ნამეტანმა ალელვებამ აწყინოს! არ შეიძლება, რომ ცოტა ხნით გახვიდე ამ ოთახიდან? აი, იქ შედი, იმ ოთახში, სანამ არ დაგიძახო!

ა რ ჩ ი ლ – ბატონი ხარ! (გადის ნელ-ნელა).

ეძიმი და ელენი (გამოჰყავთ გადიასა და ხათუნიას ხელმოკიდებული და დივანზედ აწვენენ)

ე ქ ი მ ი – (მიუახლოვდება) როგორა ბძანდები, ელენე? ხომ კარგათ გეძინათ?

ე ლ ე ნ ე – ოჳ, დილა მშვიდობისა, დოქტორო! დიდი ხანია, აქა ხართ? უკაცრავათ, რომ გაცდევინეთ! დღეს ძალიანაც კარგადა ვარ.

ე ქ ი მ ი – ღვთით თანდათან უკეთესობაში შეხვალთ, რომ გაზაფ-ხულდება.

ე ლ ე ნ ე – (ნაღვლიანის ღიმილით) ჰო! იმედი მაქვს, რომ მანამდი მოვრჩე!.. კარგია, ექიმი, ნუგეში, მაგრამ მისთანასთვის, რომელსაც სჯერა, როცა ატყუებენ... განა მე თვითონ ვერ ვატყობ ჩემს თავს?! მაგრამ ისიც კარგი ღვთის წყალობაა, რომ ჯერ კიდევ კარგათა ვარ... დოქტორო! დღეს აღარ გინახავსთ? თვითქო მოსვლას აპირებდა?

ე ქ ი მ ი – უთუოთ მოვა, მაგრამ მე კი მეშინია თქვენი! ვაითუ, ვერ აიტანოთ და...

ე ლ ე ნ ე – რა ვერ ავიტანო?

ე ქ ი მ ი – ვაითუ, ალელდეთ მის დანახვაზედ და არ ვარგებსთ.

ე ლ ე ნ ე – სიტყვას გაძლევ, რომ თავი შევიმაგრო. მაგრამ ეს კი მითხარი, კიდევა აქვს ჩემი ხსოვნა? ნებით მოინდომა ჩემი ნახვა, თუ თქვენ შეაბრალეთ ჩემი თავი?

ე ქ ი მ ი – გარწმუნებთ, რომ თქვენს სიყვარულს მოჰყავს... მისი დაბრუნების მიზეზი თქვენს გარდა სხვა არა ყოფილარა... მაგრამ ახლავე რომ შეფოთავთ, მერე რაღა იქნება... როგორ მოვიყვანო?!

ე ლ ე ნ ე – არა... არა მიშავსრა!.. არ ავჭოოთდები, ოლონდ კი დამენახოს.....

ე ქ ი მ ი – მაშ, კარგი! დიდი ხანია, ისიც აქ გიცდის! არჩილ! არჩილ! (არჩილ შემოდის და მიინევს ელენესაკენ ძალდატანებულის ღიმილით) მადლობა ღმერ...

ე ლ ე ნ ე – (შეჰქივლებს და წამოვარდნას დააპირებს) არჩილ!..

ა რ ჩ ი ლ – (მივარდება) ელენე!..

ე ლ ე ნ ე – კიდევ შენა გხედავ?! არჩილ, შენა ხარ? (უნდა, რომ მოეხვიოს და ბოლოს ვითომც ხელსა ჰერავს) არა, არა!.. მე შენი ელენე

კუდურ-ხანუმი

აღარა ვარ!.. დამავიწყდა, რომ... ის ელენე!.. ის... (დაიწყებს ტირილს და ხველას).

ე ქ ი მ ი – არ გითხარით?! განა მაგას ჰქევიან თავის შემაგრება?.. წყალი, წყალი! რა ყმაწვილობა არის?! ხომ იცით, რომ გაწყენსთ ეგ აღტაცება და აღელვება? (ხათუნიას მოაქვს სტაქნით წყალი).

ე ლ ე ნ ე – (სვამი) დოქტორო, ეს ცრემლები გულს მიმძიმებდენ.. დიდხანს მეგუბიან ნაღვლათ. ადრე თუ გვიან უნდა გადმონთხეული-ყვნენ... აი, ახლა უკეთა ვარ (სცდილობს, რომ გაიღიმოს).

ა რ ჩ ი ლ – ელენე! განა მაგრე უნდა შეხვდენ ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი მოყვრები? ნუთუ ჩვენის ძველ მეგობრობიდამ აღარა დარჩენილარა, რომ სიახლოვესაც აღარ მიკარებ?

ე ლ ე ნ ე – ეგ თქვენ უნდა გვითხოთ და ჩემგან კი განა სხვაგვარი შეყრა მოითხოვება თქვენი ბარათის შემდეგ?

ა რ ჩ ი ლ – გულისწყრომის დროს ნამოქმედარი სასაყვედურო არა არისრა! მართალია, იმ გახურებულ გულზედ გზიდამ მოგნერე მცხარე წიგნი, მაგრამ მერმე კი შევინანე და იმ შენანებას შენც მიხ-ვდებოდი შემდეგის წერილებიდამ.

ე ლ ე ნ ე – როგორ თუ შემდეგის? განა იმ გულსაკლავ ბარათის გარდა სხვებიც მომწერე?

ა რ ჩ ი ლ – რამოდენჯერმე, და არც ერთხელ კი პასუხი აღარ მიმილია.

ე ლ ე ნ ე – მართლა?

ა რ ჩ ი ლ – ელენე, განა არ იცი, რომ ვინც უყვართ და ვისაც პატივსა სცემენ, არ მოატყუებენ?

ე ლ ე ნ ე – ჩემმა ბარათებმა მაინც ვეღარ მიგახვედრეს, რომ შენი წიგნები არ მომსვლია?

ა რ ჩ ი ლ – საქმეც ის არის, რომ მეც არ მომდიოდა! სჩანს, რომ სასტიკი ცენზორი გვყოლია ორივეს!.. აქაც დეიდაშენის მანქანებას უმუშავნია, ეტყობა.

ე ლ ე ნ ე – რასა მწერდი?

ა რ ჩ ი ლ – განა არ იცი! რას მოიწერებოდა მეგობარი? (სიჩუმე).

ე ლ ე ნ ე – არჩილ! ვიცი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ამას შენც კარგათ ჰქედავ და გებრალები... მაგრამ შებრალე-ბით ნუ მეტყვი, როგორც შენს სინიდისს ეკადრებოდეს, ისე მითხარ პირდაპირ, დაუფარავათ, კიდევ გიყვარვარ!

ა რ ჩ ი ლ – გარწმუნებთ!

ე ლ ე ნ ე – ადრინდულად?

ა რ ჩ ი ლ – სიყვარულით? თუ არ მეტათ, ნაკლებ არა!

ე ლ ე ნ ე – სიყვარულითო? ჰმ! პატივისცემაც ძველებურათა გაქვს?

ა რ ჩ ი ლ – (ყოყმობს) რა დროს მაგაებზედ ლაპარაკია?.. მიყვარხარ და...

ე ლ ე ნ ე – არა, პატივისცემა ისევ ადრინდული გაქვს? ჰაა? რას გაჩუმდი! მითხარ და გაათავე!.. მივხვდი... მივხვდი, რასაცა გრძნობს შენი პატიოსანი გული! (გაჩუმდება) გმადლობ, არჩილ, რომ არას მეუბნები. „ვინც უყვართ და ვისიც პატივისცემა აქვსთო, იმას ტყუილს არ ეტყვიანო“ განა? (ხელს უშევერს) გმადლობ, სჩანს, ჩემი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია... მადლობა ღმერთს, ახლა კი შემიძლია, რომ ისევ გულგახსნით მოგელაპარაკო ბევრს რამეზედ (ახველებს).

ე ქ ი მ ი – კრარა! ეგ ალელვება ძნელია თქვენთვის, თორემ მაგდენს ვეღარ აიტანთ! ცოტა შეისვენეთ! განა შემდგომში ვეღარ მოესწრებით ერთმანეთთან საუბარს?

ა რ ჩ ი ლ – ელენე, გეთაყვა, ახლა მაგის დრო არ არის. განა მერე ვეღარ მოვესწრებით, სულ ერთად არ ვიქნებით?!

ე ლ ე ნ ე – არა, სანამ ჩემს აღსარებას არ გეტყვი, მოსვენება არ შემიძლია! დატვირთულია ჩემი გული და ვეღარ შეიძლებს სიმძიმის ატანას, თუ ეხლავ არ გავხსენი გული და არ შევიძსუბუქე ის ტვირთი...

ე ქ ი მ ი – ცოტა მაინც შეისვენეთ, თორემ ვერ აიტანთ, მეტად დასუსტდით და...

ე ლ ე ნ ე – არა მიშავსრა!

ა რ ჩ ი ლ – მართლა, შეისვენე ცოტა! დამშვიდდი და მერე...

ე ლ ე ნ ე – არა, არა! ან ახლა და ან ალარაოდეს! (ახველებს) რაი შენ მომშორდი, მის შემდეგ ბევრი უსამართლო გაკიცხვა, დევნა და ტანჯვა მოვითმინე... ბევრი რამ იჭორეს ჩემზედ, მაგრამ ხმას არავის ვსცემდი: ჩემთვის ერთი იყო, ვისაც რა უნდა ეთქვა, მათთან თავის გამართლება ჩემი თავის დამდაბლება იქნებოდა. მხოლოდ შენ იყავ ერთი, ვისთვისაც უნდა გამეხსნა გული, მაგრამ შენც შორს მეგულებოდი და მეგულებოდი გულგრილათაც ჩემზედ. ახლა კი, რაღაი ბედმა ისევ შეგვყარა, ამთავითვე უნდა გიამბო ყოველიფერი.

ე ქ ი მ ი – მშვიდობით ბძანდებოდეთ! (გადიას და ხათუნას) აქ, მგონი, ალარც თქვენ იყოთ საჭირო.

ე ლ ე ნ ე – არა, დოქტორო! მე თქვენ გთხოვთ, რომ დარჩეთ. მისთანა საიდუმლო არა მაქვსრა, რომ სახალხოთ მისი გამოთქმა შემრცხვეს. მე მსურს, რომ თქვენც აქ დაგვესწროთ!..

ე ქ ი მ ი – (ჯდება) თქვენი ნებაა!

ე ლ ე ნ ე – წყალი მომეცით! (სვამს).

ა რ ჩ ი ლ – მაშ, რადგანც ალარ იშლი, ჯერ მე გიამბობ ჩემ თავგადასავალს, ჩემს მოგზაურობას... მანამდი შენც შეისვენებ და მერე უფრო კარგათ იტყვი, ჩემო ელენე!

ე ლ ე ნ ე – არა, არა! არა მიჭირსრა!.. (აშფოთებული ამბობს და თან ახველებს).

ე ქ ი მ ი – მე გთხოვთ, რომ ცოტა შეისვენოთ!

ა რ ჩ ი ლ – მართლა, რა ჯინია? რა სულნასულობაა!.. ხომ არსად მივდივართ?

ე ლ ე ნ ე – ვიცი! ვიცი! აი, ახლა კარგათა ვარ. აი, ხომ ხედავთ, არა მიჭირსრა! დამშვიდებული ვარ... (ახველებს). გახსოვს ის შავი დღე, როდესაც შენ თვალები ამიხილე და მოშორდი?.. შენს შემდეგ ბევრი ხანი ალარ გასულა, გაჩდა ვალი. მე მივედი და ყველაფერი ვუთხარი, რაც გულშიდა მქონდა დაუფარავად... განრისხებულმა ვალმა ჩემზედ ძალა მოინდომა. მაშინ მომაგონდა შენი სიტყვები... მივხვდი და გაქცევა დავაპირე... თურმე დეიდაჩემის ჩვეულებრივ ვერაგობას თავდარიგი მიეღო: კარები გარედამ გადაეკეტა და მოსამსახურებიც აქეთ-იქით გაეგზავნა. (ახველებს) დავრჩით მარტო, ვალთან ერთათ, ოთახში დამწყვდეული, როგორც ჩიტი გალიაში. ოჰ, რო იცოდე, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი და რა მემართებოდა!.. არც რჩევა, არც ვეღდრება, არც მუქარა, არც ფიცი და არც მოტყუება არ გამივიდა იმ ბინძურთან (ახველებს).

ე ქ ი მ ი – ცოტა შეისვენეთ!

ა რ ჩ ი ლ – ვიცი! ვიცი! სხვა რამეზედ ვიმუსაიფოთ! ახლა მაგის დრო არ არის!..

ე ლ ე ნ ე – მომითმინეთ! ერთილა საშუალობა დამრჩა და ბოლოს იმას მივმართე: შევვარდი ჩემ საწოლ ოთახში, სადაც ხანჯალი მეგულებოდა, დავატანე იმას ხელი და მოვინდომე გამხეცებული ვალის მოკვლა... მაგრამ, მეც რომ მის მოკვლის შემდეგ სატანჯველში არ ჩამეგდო თავი, წინდანინ საწამლავი დავლიე...

ე ქ ი მ ი – საწამლავი?!

ა რ ჩ ი ლ – საწამლავი?!

ე ლ ე ნ ე – დიახ!.. ხანჯალი რომ დაინახა იმ გარყენილმა, გაქცევა დააპირა, მაგრამ, ვაი რომ კარები იმასაც ჩემსავით დაკეტილი დაურჩა... მაშინ გული მირჩევდა, რომ მომეკლა, მაგრამ მიუჩვეველი ხელი კი აგვიანებდა. ამასობაში მეც რაღაც უცნაური გრძნობა

მომაწვა გულზედ, სურვილი შემეცვალა: თბილმა და ტკბილმა ურიან-ტელმა დამიარა მთლათ გვამში... სწორმხედველობა დავჭკარგე... ასე მეგონა, თუ მაღლა, სადღაც ედემში, დავჭრინავთქო!.. რაღაც უცნ-აური მემართებოდა... მხოლოდ შენ გხედავდი იმ დროს, შენ გეალ-ერსებოდი და შენს ტკბილს ხვევნაში ვიყავი. დიდხანს თურმე ვიყავ გრძნობადაკარგული და, რომ გამოვფხილდი, ვნახე, რომ დეიდა-ჩემი საზიზღარის ღიმილით მეაღერსებოდა და ნუგეშს მაძლევდა... მაშინ მომაგონდა... მივხვდი, თუ რაც გადამხდა და დანამთენი კი შენმა ბარაომა შემატყობინა.

გ ა დ ი ა - (უცბათ იყივლებს) უი! დამქოლეთ მე სულწაწყმედილი და მომჭერით ეს დასამინებელი ხელები! შვილო! შვილო!.. აკი მე ვყოფილვარ შენი დალუპვის მიზეზი?!

ყ ვ ე ლ ა ნ ი - რაო? რა დაგემართა?

გ ა დ ი ა - უი! მე სასიკვდინეს! რაღა რა დამემართა!.. საწამლავი კი არა, სიყვარულის წამალი დაულევია... იმას გადაურევია! უიმე! უიმე!..

ე ქ ი მ ი - რას ამბობ! ხომ არ გაგიუდი?

გ ა დ ი ა - ნეტავი მართლა გავგიუებულიყავ და ამ დღეს კი არ მოსწრებოდა ჩემი წაწყმედილი სული!.. ვიცოდი, სადაც ჰქონდა ჩემს ელენეს შენახული საწამლავი... და ქალბატონმა გამომაცვლევინა და მაგიერად სიყვარულის წამალი ჩამადებია. სამსურვალო შექრის ყინულის ფშხვნილი. უიმე! შვილო! შვილო! (ყველანი გაკვირვებით მისჩერებიან).

ე ქ ი მ ი - ჰმ, ახლა კი ცხადია, რაც ამბავი ყოფილა! გესმის, არჩილ?..

ა რ ჩ ი ლ - განა ეს შესაძლებელია?

ე ქ ი მ ი - ვერა ხედავ, თუ რა ყოფილა? ჰმ!..

ა რ ჩ ი ლ - (ხელსა ჰკიდებს ელენეს, რომელიც უცნაურათა ჰლელავს) ელენე, გესმის?..

ე ლ ე ნ ე - (თავის ქნევით) გვიანდა არის!

ა რ ჩ ი ლ - (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ელენე! წელან რომ მეკითხებოდი, „გაქვს თუ არა კიდევ ჩემი პატივისცემაო“, შემიძლიან, ახლა გიპასუხო? (ელენე თავს უქნევს). აბა, იცოდე, რომ ერთიორად მეტი, ჩემი სიცოცხლევ! მაგრამ მაგიერად მე კი ჩემი თავი შემძულდა... ოჟ, რა დანაშაული ვარ შენთან, ჩემო ელენე!.. ვერ დავიმორჩილე ჩემი უგნური თავმოყვარება და უგნურად შემოვიტანე შენზედ ეჭვები!.. არა, არა, ელენე! ახლა კი გხედავ, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ შენთან მეგობრობის ღირსი!..

კუდურ-ხანუმი

ე ლ ე ნ ე – (თვალცრუებულის ღიმილით) ნუ!.. ნუ! მაგას ნუდა იტყვი, ჩემო არჩილ! განა შეიძლება, რომ მოყვარემ მოყვარეს გული არ ატ... (ახველებს) უჲ!.. (ცოტა ხნის შემდეგ) ატკინოს (ხელსა ჰეიდებს).

ე ქ ი მ ი – არჩილ! შენ მაინც ურჩიი, რომ ცოტა თავი შეიმაგროს!..

ე ლ ე ნ ე – არა, დოქტორო! ან მე აღარა მიჭირსრა. ტვირთი მომცილდა... იმედია, რომ ან აღარ მოვყედები?

ე ქ ი მ ი – ბუნება ძლიერია!..

ე ლ ე ნ ე – დიახ, მრნამს! ჩემი არჩილ ისევ ჩემია! უნდა... უნდა დიდხანს ვიცოცხლო!.. რა ნება მაქვს, მოვჲკვდე?.. განა, არჩილ, აღარ მოვჲკვდები? განა? დიდხანს... დიდხანს ვიცხოვრებთ ერთად და კიდეც მოვესწრებით იმის... იმის...

ა რ ჩ ი ლ – დარწმუნებული ვარ!.. (თავისთვის) თურმე კი ყოფილა მისთანა შემთხვევაც, როდესაც, ვინც უყვარსთ და ვისაც პატივს სცემენ, კიდეც ატყუებენ...

ე ლ ე ნ ე – ჰო?.. გაზაფხულზედ ზღვის პირათ სადმე წავიდა დეთ... მერე უცხო ქვეყნებში, მე თანდათან გამოვჯობინდები და... (სუსტდება).

გ ა დ ი ა – (წუწუნით) შენ კი მორჩები, გენაცვალე, მაგრამ მე კი უნდა წავილო მაგიერად შენი ჭირი: ხუთჯერ-ექვსჯერ ვარ თავშამოვ-ლებული და შენი ჭირნანაღები, შენ კი დაგენაცვლოს შენი გადია!

ე ლ ე ნ ე – (ანიშნებს, რომ წყალი ასვან) ხხხ...

ე ქ ი მ ი – (აწოდებს წყალს) არა უშავსრა, არა! არაფერია!..

ე ლ ე ნ ე – (ხელს უბოტინებს არჩილს, არჩილ აძლევს ხელს. ელენეს დიდხანს უჭერია მისი ხელი და შეჩერებია) იცი, რა გითხრა... როცა... რო... (დააწყებინებს ხრიალს და მოკვდება).

ა რ ჩ ი ლ – (ხელს ადებს) გათავდა!

ე ქ ი მ ი – კიდევ იცოცხლებდა რამოდენიმე დღეს, რომ ასე არ აღელვებულიყო.

გ ა დ ი ა – მომიკვდა? უი! (დაეცემა გულშემოყრილი. ხათუნია გავარდება კარში).

ე ქ ი მ ი – ჰე, ყველას ეს ბოლო მოგველის! (მიდის და სცდილობს, გადია მოაბრუნოს. არჩილ გაშტერებით დასჩერებია ელენეს).

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (შემოიჭრება თმაგაშლილი) უიმე! ეს რა მეს-მის?! მართალია?! ჩემი მშვენიერი ელენე აღარა მყავს!.. მომიკვდა?! უი! უი! გამნარებულ დეიდამისი! ელენე, ჩემო ბედნიერებავ! მაგას მოველოდი შენგან? შენს მშვენიერ ხელებს უნდა დაეყარა ჩემს გულ-ზედ შავი მიწა და შენ რა გიქნია ეს? რათ მომასწარ შენ სიკვდილი?

კულტურ-ხანუმი

აკი გეუბნებოდი, შვილო, ჩამოეთხოვე იმ ურჯულოებს... იმ სოხუმის, თორემ კარგს არას დაგაყრიანთქო? ვიცოდი!.. ვიცოდი, რომ მაგრე დაგემართებოდა, მათ გადამკიდეს!..

ა რ ჩ ი ლ – ბატონისშვილი! კმარა ამდენი თვალთმაქცობა!.. ეყოფა, რაც სიცოცხლით გაპკიცხეთ ეს საბრალო!.. ან მაინც მოასვენეთ და ნუდა ბლალავთ ამ წმინდა გვამს ფარისევლურის ცრემლებით!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – (გულმოსული) რაო? შენ ვინა ხარ, რომ ჩემს ოჯახში მბძანებლობ და ჩემის სისხლისა და ხორცის ტირილს მიკრძალავ? არ იცი, რა იყო ეგ ჩემი?

ა რ ჩ ი ლ – მსხვერპლი! სხვა არაფერი! საერთო სხვა რა უნდა ყოფილიყო თქვენში? არა, ბატონისშვილი! შეგიძლიათ, სხვები მოატყუოთ და ჩვენთან კი ეგეები აღარ გამოდგებათ!.. თუ ელენე თქვენი ყოფილიყოს, მაშინ ეს დღეც აღარ დაადგებოდა. ესეც იმ გარყვნილების მორევში, რომელსაც უმეტესობა შენატრის და მიაჩნია ცხოვრების იდეალათ, ისეთი მომცურავი სირინოსი იქნებოდა, როგორც ბძანდებიან დღეს სხვები, თქვენგან განვრთნილ-გამოზღილები! მაგრამ, ჩვენი რომ იყო, მიტომაც შეიქნა უდროვო მსხვერპლი!.. ეს პირველი მსხვერპლი ხომ არ არის თქვენის ძლიერებისა? თქვენთან ბრძოლაში ამისთანეებს ჯერ კიდევ ბევრს დავჭკარგავთ, მაგრამ უფრთხილდით კი მომავალს!..

კ უ დ უ რ-ხ ა ნ უ მ – რაო? რაო? ბძანეთ! ბძანეთ! აღარ გადათქვათ კი მერე, რომ მთავრობის წინააღმდეგობას ჰქადაგობთ სახალხოთ!..

ა რ ჩ ი ლ – (ძალდატანებულის სიცილით) ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ეგ კარგი იარაღი გიჭირავსთ ხელში! ეგ არის თქვენი ძლიერება! ხლმა-თაც გარგიათ და ფარათაც... მაგრამ აქ კი, ამ შემთხვევაში, გამოუდეგარია. (ზურგს შეაქცევს და მოუბრუნდება) მშვიდობით, ჩემთ ელენე, შენ კი გადარჩი ამდენ საძაგლობას, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც შენის დაკარგვით მწუხარება გაუორკეცდა?.. მშვიდობით! (დაიჩოქებს და ფარდა დაეშვება).

(დასასრული)

[1880]

କ୍ଷେତ୍ରପତ୍ର

ବ୍ୟାମରନବା 1 ମନ୍ଦିରରେବାଟ

მოქმედი პირი:

რეჟისორი
სცენარიუსი
რეკვიზიტორი
ახალი აქტრისა
ამისი ქმარი
და ყველა აქტიორ-აქტრისები

მოქმედება 1

სცენა 1

მოქმედება სწარმოებს სცენაზე

მოთამაშეებს რეპეტიცია აქვთ. ზოგი სარკის წინ პრანქიაობს, ზოგი – ხელსა ჰშლის, ზოგი – როლს ამბობს, თითქოს გიუები არიანო. ამაობაში თითო-თითო წმინდგება წინა და თავიანთ რეპერტუარიდან უკეთესს როლებს ამბობენ; სამი მოთამაშეთაგანი გაბუტულები სკამზე ზის თავჩალუნული: პირველი დრამატიული აქტრისა – მარჯვნივ, პირველი კომიკური აქტრისა – მარცხნივ და პირველი კომიკი – შუა ადგილას სკამშებრუნებული. სამივენი იძღვირებიან.

გამოსვლა 1

კ ი ნ ტ უ ა შ ვ ი ლ ი – (შემოვარდება გიუივით. ოხრახუში, ტარხუნა, კიტრი და ყველი შემოაქვს) ლაზათ! ლაზათ! შენი ქრისტეს ჭირიმე, რა გემრიელია. (სჭამს) ვის უნდა ახალი ყველი, ტარხუნა და სხვა წვანილი! იფ! იფ! იფ! ლაზათ!

რ ე კ ვ ი ზ ი ტ. – შე იხერო, შენა! რას ჩადიხარ?.. შენი შიშით რეკვიზიტი ვეღარ შეგვინახავს... დამშეული თუ სარ, მითხარი და პურს გაჭმევ! აპა! მორჩა და გათავდა!..

ს ც ე ნ ა რ ი უ ს ი – რა გაღრიალებს? თითქოს ცეცხლი გაჩე-ნილიყოს?

რ ე კ ვ ი ზ. – აი, ცეცხლიც გაგიჩნდეს ე მაგ თავში და ნავთიც!.. კ ი ნ ტ. – ჰა... მოვიდა მუშტი!

რ ე კ ვ. – მუშტი?.. მე კი მკვდარი ვარ რალა!.. მე კი ხელები არა მაქვს?

კ ი ნ ტ. – სუ-მეთქი, ხმა ჩაიწყვიტე (მიაყრის პირში წვანილს).

რ ე კ ვ. – აი, ხმაც ჩაგინყდეს და სიცოცხლეც... შე ლოთო, შენა! (ჰერეფს წვანილს)

ს ც ე ნ. – რაო? რა დაგემართათ?.. არა გრცხვენიანთ!..

რეპეტიცია

კ ი ნ ტ. – ღმერთმა ნუ იცის ამის თავი და ტანი! ჰყითხეთ ერთი.

რ ე კ ვ ი ზ ი ტ. – ჰყითხეთ, რომელია, ე მაგის შიშით რეკვიზიტი ველარ დამიმალამს!

ს ც ე ნ ა რ. – ან შენ რაზედ იხეთქ გულსა და ან ჩვენ რათ გვაწუხებ ორი შაურის გულისათვის?

რ ე კ ვ ი ზ ი ტ. – ეჲ, დალოცვილო, აქ განა ორი შაურის ანგარიშია! მანეთს მივცემ ოლონდ თავი დამანებონ! დღეს ამ წვანილის გულისათვის სამჯერ მომივლია იარმუკა!.. მარტო ჩექმები აღარ შემრჩა! ღმერთი არ არის?.. განა მაგის მეტი საქმე აღარა მაქვს? საცაა წარმოდგენა დაიწყება და რეკვიზიტი კი არსად არის!.. მერე მევე გამამტყუნებთ, თუ ასეო!

ს უ ფ. – ნუ ჯავრობ, კაკო! ვერა ჰედავ, წარმოდგენა აღარ იქნება.

რ ე კ ვ ი ზ. – რაო? როგორ თუ აღარ?..

ს უ ფ. – მაშ, ვერა ჰედავ იმათა? უარზედ არიან!.. სალომეს ვერა ხედავ, როგორ ჩამოსტირის ცხვირ-პირი? (შეახედებს დრამატიულ აქტრისაზედ)

რ ე კ ვ ი ზ. – სალომეს? მაგან ხომ აგრე იცის! არა უშავს-რა, გულს მოიპრუნებს. განა პირველია ეგ ამბავი.

ს უ ფ. – არა მგონია! კეკეც რომ გაბრაზებულია. (მიახედებს კომიკურ აქტრისისაკენ).

რ ე კ ვ ი ზ. – კეკეც? ვა! მაგასაც მოუარეს!.. მაგრამ არა უშავს-რა, ქარი-მარი გაივლის და მორჩა, წავიდა!.. ჰა-ჰა! განა პირველია.

ს უ ფ. – მე კი ჩემი მემართება და! ეგენი გინდა მოიპრუნებენ გულს, მაგრამ აი იმას ვერა ჰედავ, იმ გიუ-მოზვერასა, როგორ აპრიალებს თვალებს?

რ ე კ ვ ი ზ. – მაგას რაღა დაემართა?

ს ც ე ნ. – ხატმა უწია!.. და ნუღარც მიეკარებით სიახლოვეს!

რ ე კ ვ. – ელაპარაკეთ?

ს უ ფ. – შეჯდა წმინდა გიორგის ჯორზე და შენღა გადმოახტუნებ ახლა?

რ ე კ ვ ი ზ. – ეჲ, მაშ წარმოდგენა უნდა გადაიდოს რაღა! მერე რა კარგა იყიდებოდა ბილეთები. ჯერ ამისთანა შემოსავალი არა გვქონია.

ს უ ფ. – რეჟისორი მოვიდეს, რაც უნდა ისა ჰქინას!.. აი, ფეხის ხმაც ისმის, მგონია ის უნდა იყოს!..

რ ე კ ვ. – მე რომ მაგის ადგილზე ვყოფილვიყავი, არ ვიცი თუ რას ვიზამდი.

რეპეტიცია

ს ც ე ნ. – რას იზამდი? ხახვი არ გადააჭრა ყურებზე.
რ ე კ ვ. – ამდენს კი არ გავაბედვინებდი და!..
ს უ ფ. – მამა გიცხონდა!..

გამოსვლა 2

იგინივე და რ ე ჟ ი ს რ ი

რ ე ჟ ი ს. – საღამო მშვიდობისა! რა ამბავია, რომ გაჩერებულხართ? რეპეტიცია გაგითავებიათ?

ს უ ფ. – გაგვითავებია კი არა, ჯერ არც კი დაგვიწყვია.
რ ე ჟ. – რატომაო?

ს ც ე ნ. – ზოგიერთები აღარ აპირებენ თამაშს. ბევრი ვეხვენეთ, მაგრამ არ იქნა, არ დაგვთანხმდნენ.

რ ე ჟ. – რა ლვთის რისხვა მოსვლიათ! კიდევ გააფრინეს მწყრები? კეკესაც მოუარა? მაშ მაგას ახლა შეჰყრია ეგ სენი!

ს უ ფ. – ეგ უარესსა სჩადის!

რ ე ჟ. – მაშ, კარგი, მოგვშორდით აქედან!.. კეკე, არ გესმის, ქალო?!?

კ ე კ. – რა გნებავთ?

რ ე ჟ. – თუ შეიძლებოდეს, აქ მობრძანდით ერთ წამს ქალო, შენც დაიწყე?

კ ე კ. – მე რაო! განა მე სხვებზე ნაკლები ვარ! კიდეც ეგ არის, ხმას რომ არ ვიღებ, გროშათ აღარავინ მაგდებს!..

რ ე ჟ. – რაო? რაებს ამბობ მაგას? ვინ რა გაწყენინა?

კ ე კ. – სალომე თავს იკლავს, თუ როგორ მოგცეს ეს როლიო? შენი შესაფერი როლი არ არისო, შენ მასხარა ხარო, და სამასხარო როლები უნდა ითამაშოვო. იმას ყველა ექომაგება და მე რომ პატრონი არა მყავს, იმიტომ თავს არავის არ დავაჩაგვრინებ.

რ ე ჟ. – ეგ არის რაღა, მეტი არაფერი? მერე და თქვენ რომ ერთ-მანეთში ჩხუბი გქონდეთ, ჩვენი, ან საზოგადოებისა, რა ბრალია?

კ ე კ. – არაფერი, მაგრამ გუნება წამიხდა და თამაში აღარ შემიძლიან.

რ ე ჟ. – მაშ, აღარ ითამაშებ, გადაწყვეტილია?

კ ე კ. – გამინიჭეს ღმერთი და მომიკვდეს გულით საყვარელი, თუ ვითამაშო.

რ ე ჟ. – ეგ ადრე უნდა გეთქვათ! ახლა უდროვოა!

კ ე კ. – რა გაეწყობა, განა არ შეიძლება ავათ გახდეს კაცი? მეც ადამიანი ვარ, ავათა ვარ!.. თუ გინდათ, ექიმს დაუძახეთ. აი, თუ გინდათ, ენაზე დამხედეთ, სიცხე მაქვს (ენას უჩვენებს), არ შემიძლიან.

რ ე ჟ. – კარგი, ბატონი ბრძანდებით! დღეს გადავდებ წარმოდგენას და შემდეგისათვის კი, სანამ სხვა აქტრისას ვიშოვიდე, თქვენი როლები უნდა სალომეს გადავცე, ეგება როგორმე მოახერხოს... მაინც დიდი ხანია იხვენება, მათამაშეთო... (მიდის).

კ ე კ. – სეირი არ იქნება, რომ მართლა ჩემი როლები იმ უნა-მუსოს გადასცეს! იმან ჩემ როლში უნდა ითამაშოს და საზოგადოებამაც ტაში დაუკრას! როგორ არა, რაღა მიქნია. (რეჟისორს) მობრძანდით აქა.

რ ე ჟ. – რა გნებავთ?

კ ე კ. – მართლა იმ ურცხვს გინდათ გადასცეთ ჩემი როლი?

რ ე ჟ. – რა ვქნა?

კ ე კ. – არა ხუმრობთ?

რ ე ჟ. – ხუმრობა რას ჰქვიან?

კ ე კ. – (ტირილით) მერე!.. არა გრცხვენიანთ! ჩემ როლებს ის როგორ ითამაშებს ჩემსავით?

რ ე ჟ. – განა არ ვიცი, მაგრამ რა ვქნა, რომ მეტი ლონე არ არის!..

კ ე კ. – ისევ მე რომ ვითამაშო?

რ ე ჟ. – ვინ გიშლის!

კ ე კ. – მაშ, კარგი, მე ვთამაშობ...

რ ე ჟ. – დღეს რა იქნება? შენ ეგრე ავათა ხარ! გატყობ, რომ ვერ ითამაშებ. უნდა იმას გადავცე. თურმე სცოდნია კიდეც ეგ როლი.

კ ე კ. – დღეს ჯერ კიდევ ბევრი დრო არის, ეგებ საღამომდე მოვრჩე!

რ ე ჟ. – არა მგონია! ცუდ ფერზედა ხარ, ნუ შეიწუხებ თავს. დაე, იმან ითამაშოს.

კ ე კ. – კარგათა ვარ, განა მართლა ავათა გგონივართ?!

რ ე ჟ. – ახლა ნუ ხარ ჭირვეული, განა ვერ გეტყობა! ფერი შენ ალარა გაქვს, ტუჩები გაგთეთრებია. თამაშობის დროს რომ გული შეგინუხდეს, კარგი იქნება? არა, სწორედ ვერ მოქცემ ნებას!..

კ ე კ. – თუ [არ] დამიჯვერებთ როგორ იქნება?! მე უფრო უკეთ არ ვიცი ავადა ვარ თუ არა. სახეზე ყვითელი პუდრი მაყრია და ენაც შაბმა გამითეთრა.

რ ე ჟ. – მაშ, ითამაშებთ?

კ ე კ. – ვითამაშებ.

რეპეტიცია

რ ე ჟ. – მოდი ერთს გეტყვი: თუ ვინიცობა სალომემ აღარ ითა-
მაშა, შენ გადაათვალიერე იმისი როლი! დარწმუნებული ვარ, რომ
შენ შეიძლებ მის თამაშს! (ჩურჩულობენ).

ს ა ლ. – ნეტავი რას ჩურჩულობენ? ის ურცხვი სწორედ ჩემზედ
ელაპარაკება!.. (წამოდგება და მიდის ნელ-ნელა).

რ ე ჟ. – მაშ კარგი, მაგას თუ იზამ, ძალიან კარგი იქნება. (კუკ მიდის).

ს ა ლ. – რას გელაპარაკებოდათ კეკე?

რ ე ჟ. – არაფერს! თქვენ მართლა აღარ აპირებთ თამაშს?

ს ა ლ. – დღეს არ შემიძლიან და რა ვქნა! ისეთ გუნებაზე დამაყ-
ენა მაგ უსინდისომ, რომ თამაშის გული აღარა მაქვს.

რ ე ჟ. – მაშ, როლი მიბოძეთ, უნდა კეკეს გადავცე!..

ს ა ლ. – მერე კეკეს როლი?

რ ე ჟ. – სხვას მივცემ, რადგანაც უბრალო როლია.

ს ა ლ. – ბარემ ჩემი როლი გადასცეთ სხვას.

რ ე ჟ. – სახუმრო როლი ხომ არ არის, რომ სხვას გავაფუჭებინო.
კეკე კი ძალიან იმედს მაძლევს, სალომეზე ნაკლებ არ ვითამაშებო!
ზეპირადაც სცოდნია.

ს ა ლ. – იმისმა თავის გახეთქამ... კაი შვილიც იქნება.

კ ე კ. – კეკე ყურს მოჰკრავს) ვითომ რატომაო?

ს ა ლ. – იმიტომ, რომ სამასხარო როლი არ გახლავთ.

კ ე კ. – ვნახავთ თუ ძნელია! მე კი შემიძლიან შენი როლები ვითა-
მაშო და შენ კი ჩემსას ვერ მოახერხებ. (დაცინვით ეუბნება).

ს ა ლ. – თქვენმა მზემ, ძალიან ბევრი რამ უნდა გრეხასა და
პრანჭიაობას.

კ ე კ. – თქვენ თუ სცენაზე წრიპინს მოჰყევით, სწორედ ტრალე-
დია იქნება რალა! მე გაწევენ, როგორც უნდა დრამატიულ როლების
თამაში, შენსავით წუნუნს კი არ მოვყვები.

ს ა ლ. – ი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავში. რაც შენ ის ვერ ითამაშო
და მე კი, თუ ქალი ვარ, შენი როლებით საზოგადოება ავალელვო.

კ ე კ. – გინდა, შენი თამაში ეხლავე დაგანახო?

ს ა ლ. – შენ კი ვერა და მე კი წარმოგადგენ.

კ ე კ. – აბა, ჰა!.. აბა, ჰა! (ერთმანეთის როლებს თამაშობენ).

რ ე ჟ. – მოდი ერთს გირჩევთ: როლები შესცვალეთ დღეს და ისე
ითამაშეთ.

კ ე კ. – უკაცრაოთ, მე ჩემ როლს თვითონ ვითამაშებ, არავისაც
არ დაუთმობ.

ს ა ლ. – ვერც მე მოგართმევთ ჩემ როლს, თვითონ ვითამაშებ.

რეპეტიცია

რ ე უ. – მაშ, თამაშობთ რაღა?

ო რ ი ვ ე ნ ი – ვთამაშობთ.

რ ე უ. – მაშ რაღაზედ გვაწვალებთ, დალოცვილებო. (თავისთვის) ძლივს არ მორჯულდნენ ეს შეჩვენებულები... ახლა უნდა მივიდე იმ გიუ-მოზვერასთან. (მიდის) გიგო! გიგო! არ გესმის, კაცო?!

გ ი გ. – (თავს აიღებს) ჰა! რა გნებავთ?

რ ე უ. – მართლა ალარ აპირებ დღეს თამაშს?

გ ი გ. – ერთხელ მითქვამს და გამითავებია! არამც თუ დღეს, სულაც ალარ მინდა, რომ ვითამაშო, ჩემ ადგილზე სხვა მოძებნეთ!

რ ე უ. – რათაო?.. რა მიზეზია?

გ ი გ. – ის მე ვიცი.

რ ე უ. – კი, მაგრამ, ჩვენც უნდა ვიცოდეთ.

გ ი გ. – სრულიად საჭირო არ არის.

რ ე უ. – ეს ადრევე უნდა გეთქვა!

გ ი გ. – ადრე რა ვიცოდი, თუ პარიკმახერი გამაჯავრებდა.

რ ე უ. – იმას როგორ შეუძლიან შენი გაჯავრება?

გ ი გ. – გამაჯავრა და მორჩა, ულვაშებს ზედ შუბლზე მიკეთებდა და წარბებს კიდე ნიკაპზე! შევნიშნე და იმანაც სიტყვა შემომიბრუნა.

რ ე უ. – მერე ეგ რა ჩვენი გადასახადია?

გ ი გ. – ჩემი კი არის? მე არტისტი ვარ, ჯამბაზი კი არა ვარ! გუნება წამიხდინეს!

რ ე უ. – არ შეიძლება, რომ გული მოიბრუნო?

გ ი გ. – არა, მითქვამს და გამითავებია. არა ვთამაშობ.

რ ე უ. – კაცო, რაღა დროსია, ხალხი გროვდება!

გ ი გ. – როგორც მოვა, ისე წავა.

რ ე უ. – მაშ მიზეზსაც გამოვაცხადებინებ.

გ ი გ. – რა მენაღვლება, მე კი ალარ მინდა რომ აქტიორად ვიყო და...

რ ე უ. – მაშ კარგი, შეგიძლიანთ მიბრძანდეთ. (მიდის)

ს უ ფ. – გიგო, არა გრცხვენიან?! ეს ერთიც ითამაშე და მერე წადი!

გ ი გ. – გამეცალე და დამეკარგე აქედან, შენი საქმე არ არის.

რ ე უ. – (რომელიც კინტუაშვილს ელაპარაკებოდა ჩუმად) მაშ ეს მომიხერხეთ, თორემ სხვა ვერაფრით ვერ მოვარჯულებთ.

კ ი ნ ტ. – ბატონი ბრძანდებით. თუ მაგანაც არ გასჭრა, მერე გადავდოთ წარმოდგენა. (ყველას) ყმაწვილებო! წარმოდგენა ხომ ალარ იქნება და მოდი ერთი სიმღერა გავმართოთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი – კეთილი, კარგი. (ფერხულს აბამენ. გიგო ნელ-ნელა უგდებს ყურს, ეშხში შედის და ბოლოს უნდა ფერხულში ჩაერიოს)

რეპეტიცია

- კ ი ნ. – შენ სად მოდიხარ, რა გინდა აქა?!
გ ი გ. – ჩოქშ! რა მინდა რომელია?!.
კ ი ნ ტ. – შენ ხომ ჩვენი ამხანგი აღარა ხარ?
გ ი გ. – ვინ მოგახსენათ...
კ ი ნ ტ. – აკი აღარა თამაშობო!
გ ი გ. – რას მიჰქარავ, თამაშიც ჩემია და ქეიფიც! აი, ეხლა მომი-
ვიდა ქეიფი, რომ ვითამაშო და კიდევაც ვთამაშობ.
კ ი ნ ტ. – მართლა?
გ ი გ. – მაშ, შენ გათამაშებ ჩემ როლს, შენმა თავის გახეთქამ!
ყ ვ ე ლ ა ნ ი – მართლა? მართლა?
გ ი გ. – მაშ არა და... რას ტუტუცობთ, უჩემოდ სიმღერაც ვერ
მოგიხერხებიათ.
ყ ვ ე ლ ა ნ ი – მოდი, ჩაეპი ფერხულში. (მღერიან).

გამოსვლა 3

იგინივე, რ ე ჟ ი ს ო რ ი და ახალი აქტრისა ნინო

რ ე ჟ. – ოჟ, გიუ-მოზვერა გამხიარულებულა. საქმე კარგათ
არის! აღარა გვიჭირს-რა, გაუფრენია მწყერები და მორჩომილა!
ყმაწვილებო, გთხოვთ იცნობდეთ ახალ აქტრისას. დღეს უნდა
გამოვცადოთ. აბა, თქვენ დასხედით აქეთ-იქით და ყური უგდეთ!
თქვენც, ქალბატონო, წარმოიდგინეთ, რომ აქ მშვენიერი ბალია
ყვავილებით შემჯული, მთვარე, ვარსკვლავები, ბულბული და სხვანი
და სხვანი. თქვენ სიყვარულითა ხართ გამსჭვალული, ელით საყვა-
რელს და სევდიანი ოცნებობთ!.. აბა, ჯერ გაიარ-გამოიარეთ, ხან-
დახან ამოიოხრეთ ხოლმე, თვალები მაღლა ააპყრეთ, ჰო, სწორედ
მაგრე და მოჰყევით ნელ-ნელა თქვენს როლს... ნუ დაივიწყებთ,
ერთბაშად არ ვარგა როლში შესვლა.

ახ. აქტ.. – ვიშ ამ საღამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა,
რა უცნაურათ,
მაღლით, ციურათ
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,
რომ საიდუმლო
სასიქადულო
კაცსაც ბუნების შეატყობინოს,

და სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს.
აპა, ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა,
ავსილი რაღაც ძალით საგრძნობით,
და ეს ქვეყანა,
ყოველგნით, ყველგანა
თავს უყრის შემქმნელს მადლით საგრძნობით.
შეხეთ ამ მთვარეს,
სხივმომფინარეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა, –
მოკაშკაშენი,
მოჭიკვიკენი,
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.
ძალთა დიდება,
შექმნათა ქება
არს საიდუმლო მათი სიმღერა,
ქვეყნით ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანა – მის გულის ძერა.
ყვავილთა ენა
არს სუნელთ ფშვენა,
საგალობელად ალმაკმული,
წყალთა ჩქრიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული,
ბუნების მაყრულს,
საქორწინოდ სრულს,
ეკავშირება, ზე ემატება,
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოთ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება.

(დადის ჩაფიქრებული) რამ გამოაღვიძა ჩემში ეს, გარემოებისა და
სოფლის უკუღმართ ბრუნვისაგან მიძინებული, ღვთის ხატება? ვინ
ამამაღლა და მიმაწვდინა ამ გრძნობამდე? ვინ? ვინ და უცნაურმა
ძალმა, სამოთხის მოციქულმა, უკვდავების წყარომ... სიყვარულმა!
მაგრამ ეს სიყვარული ვინდა აღძრა? ვინ არის ამის მიზეზი? ის, ის,
ჩემი უფალი და იმავე დროს ჩემი მონა! ჩემი სათაყვანო და ჩემივე

რეპეტიცია

თაყვანისმცემი... სად არის ამდენ ხანს, რომ არ მოდის! რათ დაიგვიანა?.. მაგრამ ჩუ! (ბულბული სტვენს) ბულბულმაც ახლა დაუსტვინა, ახლა აღიძრა და უთუოდ ახლა აფეთქდა ვარდიცა. სჩანს, რომ დრო ეხლა მოჰსელია სიყვარულს, ეხლა მისი ლოცვის უამია – ეს კარგათ იცის ბუნებამ... ამას უტყუურათ გრძნობენ ვარდი და ბულბული! აი ეხლა იწყება... ჩემი სატრფოც მალე გამოჩნდება!.. (ყურს უგდებს ბულბულის ხმას) რა გულსაკლავათ დასტვენს, რა უცნაურათ ჰყეფს... ნეტავი იმას, ვისაც ბულბულის ენა ეყურება!.. რაღა ნეტავი, აი, მეც მეყურება, და მეყურება იმისთვის, რომ შეყვარებული ვარ. გაჩუმდა. აბა, ერთი მეც დაუძახო:

ბულბულო, შენმა ჭიკჭიკმა
მომტაცა ჭკუა-გონება;
გალმერთებულმა არსებამ
უარჲყო ყოვლი ქონება,
იქმარა ტრფობა სიმდიდრეთ,
იკისრა მისი მონება.

(ისმის ფეხის ხმა) ჩუ, ეს იმისი ხმა არის! მოდი ერთი, გავებუტები, რათ დაიგვიანე-მეთქი! და რომ შესწუხდება, მერე კი მოვეხვევი. (საჩქაროთ ჯდება სკამზე, ჩაახველებენ). ის არის, ნიშანს მაძლევს, არ გავცემ ხმას, ვნახოთ რას იზამს?!

გამოსვლა 4

ს ა ყ. – (იყურება აქეთ-იქით) სად დაკარგულა? აკი უნდა აქა ყოფილიყო. (დაინახავს) სუ – აი სად არის! მანდ რას უზიხარ, ჩემო სიცოცხლეეგ? (მიაშურებს. ნინო სკამს მიაბრუნებს) ვა, რა დაგმართებია, ჩემო ნინო?

ნ ი ნ. – საიდანაც მოსულხართ, იქვე წაბრძანდით! ჩემთან რა გინდათ?

ს ა ყ. – რას ამბობ, ნინო, შენ გენაცვალე, უქეიფოთ ხომ არა ხარ?

ნ ი ნ. – არა, გამწყრალი ვარ.

ს ა ყ. – ვისზე?

ნ ი ნ. – შენზე.

ს ა ყ. – ჩემზე? რათაო?

ნ ი ნ. – იმიტომ, რომ აღარ გიყვარვარ.

რეპეტიცია

ს ა ყ. – ღმერთო ჩემო, რაებს ამბობ! ეს რა მესმის?

ნ ი ნ. – დიახ, თუ გიყვარდე, ამდენ ხანს არ დაიგვიანებდი. ერთი საათია გიცდი.

ს ა ყ. – (საათს შინჯავს) მე ერთი საათით ადრე მოვედი დანიშნულ დროზე.

ნ ი ნ. – მე კი ორი საათით, მაშ სჩანს, რომ მე ერთი საათით მეტათ მყვარებიხარ, შენ კი – ნაკლებით.

ს ა ყ. – ქალო, საათობით სიყვარული ვის გაუგონია!

ნ ი ნ. – როგორ არ გაგონილა! ვისაც უყვარს, სულ უყვარს; საათობითაც, დღეობითაც, კვირაობითაც, წამობითაც, თვეობითაც, წლობითაც და საუკუნობითაც. შენ ეს არ გესმის? მაშ არა გყვარებივარ.

ს ა ყ. – ღმერთო ჩემო, ეს რა დაგმართნია, რომ არ მესმის!

ნ ი ნ. – (ჭითომ ტირის) მე შენის სიყვარულით გაგიჟებული ვარ და შენ კი მღალატობ. აღარ გიყვარვარ, უბედური ვარ... წყალში გადავ-ვარდები...

ს ა ყ. – ქალო, ხომ არ გაგიჟდი?

ნ ი ნ. – ჰო, დიახ, გიჟი ვარ შენი ჯიბრით, ავათა ვარ. აბა, მოდი, მაჯა მინახე (უჭერს ხელს) ხელი რათ გიკანკალებს?

ს ა ყ. – ხელი კი არა, მეც მთლად ვკანკალებ! ეს რა მესმის?

ნ ი ნ. – შეგეშინდა განა! აბა, მოდი ახლა უურში რა გითხრა, დაიხარე! (მოეხვია უცბათ) მოგატყუე! მოგატყუე! (დაუწყებს კოცნას). ეს მინდოდა, ეს, ეს, ხა! ხა! ხა! ხა! (ეხვევა და ჰკოცნის).

ს ა ყ. – აი, შე კუდიანო, ხომ მოკალი!

ნ ი ნ. – მოგტყუე.

ს ა ყ. – აი, შე ეშმაკო!.. დამაცადე და კაცი არ ვიყო, თუ მაგიერი არ გადაგიხადო (ეხვევიან ერთმანეთს).

ა ქ ტ. – (ქმარი თეატრის ქანდარიდან) ეი! ეი! ეი! რას შვრები შენ, ვიღაცა ოხერი ხარ? როგორა ბედავ, რომ მაგ ქალს მაგრე სახალხოთ ეხვევი და ჰკოცნი?

პ ა რ ტ ე რ ი დ ა ნ –(აქა-იქ ჩამომსხდარი აქტიორები) სსუ! სუ! შშ! შ!..

ქ მ ა რ. – თქვენ რაო, რომ ბატებივით სისინებთ?

ა ქ ტ. – შ! შ! გაიყვანეთ! გააგდეთ გარეთ! სად არის პოლიცია?

ქ მ ა რ. – როგორ თუ გამიყვანონ? განა პოლიციამ მაჭანკლობაც დაიწყო?

ა ქ ტ. – შ! შ! გაიყვანეთ, გაიყვანეთ!

რეპეტიცია

ქ მ ა რ. – გამიყვანონ რომელია! ბატონებო, ეგ ქალი ჩემი ცოლია. მე მაგისი ქმარი ვარ, მაგას სხვები უნდა ეხვევოდნენ, ჰკოცნიდნენ და მე აქ ცოცხალი უნდა ვიყო?.. გამიშვით! გამიშვით! (გამოიქცევა).

რ ე ჟ. – ვინა ყოფილა ის გიჟი?

ნ ი ნ. – ჩემი ქმარია.

რ ე ჟ. – მერე რა აღრიალებს?

ნ ი ნ. – მე რომ მეხვევიან! საბრალო მეტად ეჭვიანია! აი, აგერ მორბის. (ზალას გადმოირქებს და შევარდება სცენაზე).

რ ე ჟ. – სად მოდიხარ, სად, ხომ არ გაგიუბულხარ!

ქ მ ა რ. – გავგიშებულვარ რომელია? ეგ ქალი დამანებეთ. ერთი აქედან წავიყვანო, დედაკაცო, წამოდი, თორემ არ ვიცი რას გიზამ!..

რ ე ჟ. – ჩემი ძმაო, გონს მოდი, ვიღაცა ხარ, როგორ თუ წაიყვან! მერე, ვინ დაგანებებს აქტრისას?

ქ მ ა რ. – რაო? ფიე! ეს კარგი ამბავია! ჩემს ცოლს მე არ დამ-ანებებენ?!

რ ე ჟ. – შენი ცოლი როცა შენ სახლშია, მაშინ იქნება! აქ კი სცენაზე...

ქ მ ა რ. – თქვენი ცოლია ეს განა?

რ ე ჟ. – აქტრისაა.

ქ მ ა რ. – დღეიდან ალარ მინდა, რომ იყოს აქტრისა! ჯანი თქვენც გაგვარდეთ და აქტრისობასაც! ალარ მინდა.

რ ე ჟ. – თქვენი ნებაა, შეგიძლიანთ, მზოლოდ ასი თუმანი კი უნდა გვიბოძოთ!

ქ მ ა რ. – რომელი ასი თუმანი?

რ ე ჟ. – რომელი და ჯარიმისა. მაშ, პირობას ვინც დაარღვევს, ჯარიმა არ უნდა გადაიხადოს?

ქ მ ა რ. – ეგ რაღა მიქარვა?<..

რ ე ჟ. – აი, კონტრაქტი შენის ცოლისაგან ხელმოწერილი.

ქ მ ა რ. – დიახ, მაგრამ კონტრაქტში სადა სწერია ჩემ ცოლს მეეხვიეთ და ჰკოცნეთო. მანდ მარტო თამაში სწერია.

რ ე ჟ. – მაგდენიც არ იცი, რომ მაგეებს პირობაში არავინ ჩაუნ-ერს. აქტრისამ ის უნდა აასრულოს, რაც როლში სწერია.

ქ მ ა რ. – ბეჩა! ბეჩა! ბეჩა! კაი ყოფილა! ნეტავი ჩემ გვერდებს.

რ ე ჟ. – მაგასთან, განა, ყოველთვის აკოცებენ, ეგ ათასში ერთხელ მოხდება ხოლმე, როდესაც საარშიყო როლსა თამაშობს.

ნ ი ნ. – მერე და რაო, რომ მაკოცნ, სცენაზე კოცნა როდი რამეა.

რეპეტიცია

ქ მ ა რ. – რაო? რაო? დახეთ, ჯერ ფეხი არ შეუდგამს სცენაზე და ეხლავე გაურცხვებულა!

რ ე უ. – თავს რაზედ იწუხებთ ბევრის ლაპარაკით. თუ არა გნებავთ, რომ თქვენი ცოლი აქტრისათ დარჩეს, მიბრძანდით და ასი თუმანი ჯარიმა კი გადაიხადეთ.

ქ მ ა რ. – გიუი! სადა მაქვს, რომ გადაიხადო? გაგონილა, გინდა თუ არა ან ცოლი მოგვეცი, ან არა, ასი თუმანი გადაიხადეო! გამაბრიყვეს, გამაბრიყვეს! თორემ როგორ მოვაწერდი ხელსა, ახლა კი ვიღუპები. (დაფიქრდება) ბატონო რეჟისორო, არ შეიძლება, რომ, სადაც საკოცნელი როლებია, მე ვითამაშო ხოლმე ჩემ ცოლთან.

რ ე უ. – როგორ, განა აქტიორად შემოსვლა გინდათ?

ქ მ ა რ. – მეტი რაღა გზა მაქვს. აბა ცოლს ხომ ვერ დავკარგავ?

რ ე უ. – თანახმა ვარ, მაგრამ ნიჭი კი გაქვს?

ქ მ ა რ. – ვა, ნიჭი როგორ არა მაქვს. ამისთანა ოხერს როგორ ვერ ვაჯობებ კოცნაშო.

ა ქ ტ. – შენ როგორ შეგიძლიან ჩემი როლები ითამაშო?

ქ მ ა რ. – რატომაო?

ა ქ ტ. – ვერ მოახერხებ და მიტომ.

ქ მ ა რ. როგორ თუ ვერ მოვახერხებ! შენ გინდა, რომ ჩემ ცოლსა ჰკოცნო ხოლმე? აბა ვნახოთ! ბატონო რეჟისორო, ოღონდ ეს ოხერი კი გააგდეთ, ვიღაცა არის, და მე ვითამაშებ მაგის ადგილზედ, ჯამაგირსაც ნაკლებ დაგჯერდები! ნახევარს... მეოთხედს... სულაც არასა გთხოვთ, – უფლებოთ ვითამაშებ.

რ ე უ. – მოახერხებ კი? აღელვება შეგიძლიან?

ქ მ ა რ. – ვერ მატყობთ? ამაზე ძალიან შემიძლიან ავღელდე! სულ ზღვათ გადავიტცევი ხოლმე.

რ ე უ. – თუ გაანჩხლება გაქვს როლში, ცეცხლს ვერ მოიკიდებ?

ქ მ ა რ. მეტსაც ვიზამ, მეტსაც, გინდ ქვეყანას გადავწვამ!

რ ე უ. – მაშ, კარგი, ეხლავ გამოგცდით... თქვენ მიბრძანდით პატარა ხანს, როცა დრო იქნება, მაშინ დაგიძახებთ. რაც სუფლიო-რმა გითხრათ, ის გაიმეორეთ ხოლმე, ვნახოთ! ვნახოთ!

ქ მ ა რ. –ძალიან კარგი, ბატონი ხართ. (მიღის).

რ ე უ. – (ნინოს) ახლა მეორე მოქმედება უნდა დავიწყოთ. თქვენ ჩაგვარდნიათ ბარათი თქვენ საყვარელთან სხვისგან მოწერილი! იცით, რომ საყვარელი გატყუებთ, ჯერ ისე აჩვენებთ თავსა, ვითომ არა იცით-რა, და ბოლოს, როდესაც ალერს მოგნდომებთ, მაშინ საკადრის პასუხებს ეტყვით... ეხლა შებრძანდით თქვენც და როდე-

რეპეტიცია

საც საყვარელმა გიხმოთ, მაშინ გამობრძანდით (ნინო ოთახში შედის, ქმარი შემოდის).

რ ე ჟ. – აბა, რაც გითხრათ სუფლიორმა, ყური უგდეთ და ის გაიმეორეთ. (სუფლიორის ნათქვამს იმეორებს).

ქ მ ა რ. – სად დამიკარგავს ის ოხერი ბარათი! ვაი, თუ ცოლმა ჩაიგდო ხელში! ნინო! ნინო!

ნ ი ნ. – რა გნებავთ? (გამოდის)

ქ მ ა რ. – ბარათი ხომ არა გინახავს-რა?

ნ ი ნ. – რა ბარათი, გენაცვალე?

ქ მ ა რ. – უბრალო რამ, მეგობრის მოწერილი იყო! სადილათ მეპატიუჯებოდა.

ნ ი ნ. – არა! არა მინახავს-რა!..

ქ მ ა რ. – უჰ, მადლობა ღმერთს! (ნინოს) მოდი, აქ დაჯექი, მინდა შენი ცქერით გავძლე.

რ ე ჟ. – აი, ყოჩალ! ეგრე, ეგრე! კარგათ გამოდგები აქტიორად.

ქ მ ა რ. – (კმაყოფილი) აკი მოგახსენეთ! ჯერ სად არის! ზოგი მერე ნახეთ.

რ ე ჟ. – ბარაქალა! ბარაქალა! აბა, შეწუხდი, უფრო შეწუხდი!

ქ მ ა რ. – მოდი, ჩემო სიცოცხლევ! ჩემო მტრედო, და შენი ალერ-სიანი ღიმილით სევდა გამიქარვე.

ნ ი ნ. – შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი, მართლა ეგრე გიყვარვარ?

ქ მ ა რ. – მიყვარხარ რომელია? ვგიუდები, ვკვდები, განა ვერ მატყობ?

ნ ი ნ. – მჯერა! მჯერა, ჩემო სიცოცხლევ! ეს კი ალარ ვიცი, კვლავაც ასე გეყვარები თუ არა?

ქ მ ა რ. – სიკვდილამდე, ჩემო მშვენიერებავ.

ნ ი ნ. – რომ ვინმე შეიყვარო და მე მიღალატო, მაშინ?

ქ მ ა რ. – მაშინ – აჲა მე და აჲა შენ.

ნ ი ნ ო – (სილას გააკრავს) მაშ, აჲა მე და აჲა შენ. შე ურცხო, მოღალატევ, რა არის ესა? (უჩვენებს ბარათს).

ქ მ ა რ. – (წამოხტება ზეზე) გაგიუდი, ქალო! ვის უბედავ მაგას?..

რ ე ჟ. – მაგისი რა ბრალია, თამაში მოითხოვს! როლშია მაგრე!

ქ მ ა რ. – რაო? ძალიან სულელური როლი ყოფილა. განა იმას თხოულობს, ქმარი გაღაერო და უცხოებს კი აკოცნინეო?!

რ ე ჟ. – აქტიორობა თუ გინდა, ყველაფერი უნდა იკისრო.

ქ მ ა რ. – ჩემს ცოლს სხვა ეხვევა ის არ კმარა, რომ მეც არა მცემონ? რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ!.. რატომ წელან იმ ოხერს...

რეპეტიცია

რ ე უ. – ამიტომ, რომ ის პირველ მოქმედებაში თამაშობდა, სადაც კოცნაა და ეს მეორე მოქმედება არის.

ქ მ ა რ. – არ შეიძლება, რომ პირველი მე ვითამაშო, სადაც კოცნა არის, და მეორე – მაგან?

ნ ი ნ ო – როგორ იქნება! სულ ერთმა უნდა ითამაშოს.

ქ მ ა რ. – სულ ერთმა?... აბა, ახლა იმან ითამაშოს მეორე მოქმედება.

რ ე უ. – დრო აღარ არის გამეორებისა, სადაც არის ხალხი თავს მოიყრის, წარმოდგენა უნდა დავიწყოთ.

ქ მ ა რ. – დამაცა, შე უსირცხვილო, შენ სეირს გაყურებინებ აღარ მოხვალ შინ?

ნ ი ნ ო – ჩემი რა ბრალია, რასაც ის მეუბნება, მეც იმას ვასრულებ.

ქ მ ა რ. – ვინ ის! აი ის ვიღაც, საფლავიდან რომ თავი ამოუყვია! ეი, შენ, ვიღაც ოხერი ხარ, ფრთხილათ იყავი, თორემ, დღეის იქით რომ ვინმემ ჩემს ცოლს აკოცოს, შენ გიჩივლებ. სადაც კოცნა ენეროს, შენ იქ ასწავლე ხოლმე, რომ ყბაში გაარტყას, შენ რა დაგაკლდება? მერე მე ვიცი შენი სამსახური, შენი ჭირომე, შენ გენაცვალე! თუ ძმა ხარ, ასე ქენი! და მე კი აღარ მინდა თქვენი აქტიორობა, მე დასამტვრევი ყბები არა მაქვს... აი, მისი ოჯახი ამოაგდოს, ვინც თავდაპირველად კომედიები მოიგონა!

რ ე უ. – თუ შეიძლებოდეს, გაბძანდით, ნულარ გვაცდენთ!

ქ მ ა რ. – მერე და, ჩემი ცოლი?

რ ე უ. – თქვენი ცოლი დღეს ჩვენ გვეკუთვნის. ითამაშებს და თუ ჭკუა გაქვთ, თქვენც წადით თეატრში, დაჯექით სადმე და ტაში დაუკარით.

ქ მ ა რ. – მეტი რაღა გზაა, მაგრამ თუ ვინმემ აკოცა, ვეღარ მოვითმენ და ერთ აყალ-მაყალს ავტებ.

ს ც ე ნ ა რ. – რა დაგემართათ, თქვენ აქ აყალ-მაყალი აგიტებიათ და იქ ხალხი იცდის, იქაურობას ამტვრევენ, რათ დაგვიანდა წარმოდგენაო?

რ ე უ. – ეხლავე! ეხლავე! ჯერ ერთი დასამშვიდებელი ზარი დაურეკეთ!.. (ანკარუნებენ) აბა, ახლა კი ფარდა აპხადეთ! (ფარდას უშვებენ).

ფ ა რ დ ა

[1882 წლის 4 მაისამდე]

မြန်မာ
ပုဂ္ဂနိုင်တော်

„ყოვლად პატიოსანო მეგობარო, ჩემო ალმასხან!

შენზე კიდევ არის დარჩენილი ხუთი ფიცი. შაბათს, ამ თვის ოცდაცხრას, ერთი მსხვილი საქმეა, რომლის მოგებაც შენს ჩვეულებრივ მოხერხებულს მოწმობაზედ არის დამყარებული. თუ მოვიგე, მაშინ მე და შენ გაქვითებული ვიქენებით და ხელახალ ანგარიშს დავიწყებთ. წინა დღით გელი.

მარად და მარად შენი დარისპანი“.

ასე მისწერა ერთმა ადგილობრივმა ადვოკატმა ერთს მარად მოწმეთაგანს და თერთმეტიც კიდევ ამისთანა ბარათი სხვა მის ვალდებულ მოწმებს გაუგზავნა. დანიშნულ დღეს, უეზდის მომრიგებელ-მოსამართლემ ძალიან ადრე გახსნა სამსჯავრო, იმ იმედით, რომ შორეული მოხოვნელები ჯერ კიდევ არ იქნებიან მოსულნიო. ფაცა-ფუცით იწვევდა მომჩივარ-მოპასუხებს და, რადგანაც არ იყვნენ მოსული, ზედიზედ სპობდა საქმეებს. იმ დღეს გასარჩევად დანიშნულ სამოცდაათის საქმისაგან მხოლოდ ხუთიღა დარჩა, და ისინიც იმისთანები, რომლის გარჩევაც წინადღით კერძოდ აღუთქვა მსაჯულმა, ერთს ანუ მეორე მხარეს. მოჰკიდა ხელი ერთ მათგანს და გამოუძახა ორივე მხარეს. მომჩივრად გამოვიდა ერთი ლრმა მოხუცებული, შესვეულის თავით და მობასუხედ კი ახალგაზრდა; როგორც ეტყობოდა, განათლებული უნდა ყოფილიყო დრო და ადგილის საკადრისად.

მ ს ა ჯ უ ლ ი – მომჩივარი ხარ?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – გახლავარ.

მ ს ა ჯ უ ლ ი – რა გაქვს სათქმელი?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ გამგონი სად არის?..

მ ს ა ჯ უ ლ ი – აბა, მოჰკევით!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – (ახველებს) მეფე სოლომონი რომ გადავარდა სათათრეთში და რუსები შემოვიდენ ჩვენში, მაშინ თორმეტი წლისა ვიქენებოდი.

მ ს ა ჯ უ ლ ი – მაგას არავინა გკითხავსთ.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – მახსოვს, სხვა წესები რომ შემოიღეს ჩვენში, პირველად, რასაკვირველია, გვეძნელა, მაგრამ მერე კი მივეჩიეთ

ახალი სასამართლო

ნელ-ნელა, მეტი რაღა გზა გვქონდა? მასუკან ბევრმა წყალმა ჩაირბინა. ბევრი ვარანცოვები გვყავდა! უფრო მეტი კიდევ კულუბიაკინები!.. ერთს რომ სცვლიდენ, მეორეს აყენებდენ ხოლმე. გვყავდენ მდივანბეგები, ზასედატლები, ნაჩალნიკები, და ვინ გინდა ვინარაები, მაგრამ დღეს რომ ამ ახალი სამართლის ხელში გვემართება, ამისთანა არც ერთხელ არ გადაგვჭედია-რა.

მ ს ა ჯ უ ლ ი - გთხოვთ, ნუ გადუხვ-გადმოუხვევთ და იმისთანაზედ ნუ ილაპარაკებთ, რომელიც თქვენს საქმეს არ შეეხება.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - ახლა, ბატონო, ერთის მაგიერ ათასი სხვადასხვა სასამართლოები გვაქვს და არ ვიცით, რომელს მათგანს როდის უნდა მიემართოთ. სანამდი ჩვენით გავიგებდეთ, დრო გარბის და ბორჯი გვეკარგება საჩივრის და, თუ სხვებს დავეკითხეთ, რჩევაში ისე გვატყუვებენ, რომ სულისა და ხორცის მეტი აღარა გვრჩება-რა.

მ ს ა ჯ უ ლ ი - კიდევ გაგიმეორებთ, რომ საქმეზედ ილაპარაკოთ. ეგ წვრილმანი რამეებია.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - ჩვენ კი ამ წვრილმანმა გადაგვიტანა-და.

მ ს ა ჯ უ ლ ი - ეგები ყველა აქ უადგილოა.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - თქვენი ნებაა, აღარას ვიტყვი. ახლანდელ დროში აღარც საკუთრება აქვს ვისმეს და აღარც პირადი რამ უფლება.

მ ს ა ჯ უ ლ ი - რაებს ამბობ?!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - შეიძლება, რომ მონიჭებული კი გვქონდეს, მაგრამ რომ ვეღარ დაგვიფარავს თავი სხვებისაგან?..

მ ს ა ჯ უ ლ ი - (გულმოსული) მაგას არა გვითხავენ! შენ რასა სჩივი?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - როგორ რასა ვსჩივი? შიშით ცოლთან ვეღარ მივდივართ, თუ არ დავეკითხეთ იმ შეჩვენებულ კაცებს, ადრე რომ აგაზაკებს ეძახდენ და ციმბირში გზავნიდენ და დღეს... დღეს კი ადვოკატებს უწოდებენ და პატივსა სცემენ.

მ ს ა ჯ უ ლ ი - თუ სულ მაგრე ილაპარაკეთ, აქედან გაგაყვაინებენ!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - რადა, შენი ჭირიმე!.. ვათავებ ეს არის.

მ ს ა ჯ უ ლ ი - დროც არის!.. აბა!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი - ადრე საჭირო იყო, რომ ყოველ კაცს ღმერთი სწამებოდა და დღეს კი მგონია ახალი სამართალი წინააღმდეგია ამისი.

ახალი სასამართლო

მ ს ა ჯ უ ლ ი – ახა, ღმერთო! კიდევ...

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – აი, ბატონო! ამ ვაჟბატონს (უჩვენებს მოპასუხეზე) ოლქის სამსჯავროში ასამართლებდენ და მე მოწამედ ვიყავი დანიშნული. რამოდენიმე დღის წინად ამან მომიგზავნა მოცი-ქულები და მთხოვა მიმოწმეო. ასი მანათიც შემომაძლია, მაგრამ მე, ჩემო ბატონო, ძველი დროის კაცი ვარ, ახლანდელი განათლებისა არა ვიცი-რა და ვერ გავბედე ქრისტე ღმერთის გაყიდვა. ამაზედ, ბატონო, გადამემტერა და ერთხელ შემხვდა გზაში, დამეძგერა გიუ-ვით, ჩამიდვა ქვეშ, იმდენი მცემა, სანამ სულ-ზედ არ მიმაგდო...

მ ს ა ჯ უ ლ ი – ბარემ მანდედან დაგეწყო!.. შენ ახლა მაგას გალახვას უჩივი?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – აი, ბატონო! თავი მაქვს მაგისგან ქვით გატეხ-ილი. მოკვლას მიპირებდა, მაგრამ ღმერთმა უშველოსთ, სხვებმა გადამარჩინეს.

მ ს ა ჯ უ ლ ი – ბ. მოპასუხე, გესმისთ? რას იტყვით?

მ ო პ ა ს უ ხ ე – მე არაფერი არ ვიცი, ბატონო, ვერცარას მოგახ-სენებთ! გთხოვთ, რომ ჩემს მაგიერ ის ალაპარაკოთ (თითს უშვერს დარისპანზედ, რომელიც იქვე დგას თორმეტის მოწმით მომზადებული და მათ რიცხვში ალმასხანი იჯგიმება. მსაჯული განჩინებას ადგენს, რომლის ძალითაც დარისპანი გამოდის დამცველად).

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ბატონო მსაჯულო! მე მაგას ვერ ვიცნობ! არც მინახავს და არც არას ვედავები!..

მ ს ა ჯ უ ლ ი – ეს მოპასუხის მაგიერად ილაპარაკებს.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – კი, მარა რა უნდა სთქვას, რომ იქ არა ყოფილა და იმ საქმისა არა იცის-რა?

მ ს ა ჯ უ ლ ი – კანონი ნებას აძლევს (დამცველს) ხომ გესმოდათ? რას იტყვით?

დ ა მ ც ვ ე ლ ი – (ბრიყვად) ტყუილს იგონებს! ცილსა სწამებს! თვითონ გამოუდგა ჩემს მრწმუნებელს... მოკვლა უნდოდა, მაგრამ მოგხედა ღმერთმა, ფეხი აუსხლტა და დაეცა ქვაზე! თავიც მაშინ გაიტეხა...

მ ს ა ჯ უ ლ ი – რამ დასცა, მთვრალი ხომ არ ყოფილა?

დ ა მ ც ვ ე ლ ი – არა, ბატონო! ბებერია, ძლივს დალოლავს და რომ აჩქარდა... გამოეკიდა, ფეხები ალარ უვარგა... მაგრამ შეიძლება მთვრალიც კი იყო. მოგეხსენებათ, ბერიკაცებს, საზოგადოდ, ძილი უტყდებათ ღამდამობით და დროს მოსაპარავად ნელ-ნელა ნუნუას ყლაპავენ და გათენებისას გამობრუმულნი არიან ხოლმე.

ახალი სასამართლო

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – რაო? რაო? აი შენ კი გაგიხმეს ეგ საძალლე ენა!..

დ ა მ ც ვ ე ლ ი – ბატონო მსაჯულო! მე გთხოვთ, რომ ჩასწეროთ: იგინება!..

მ ს ა ჯ უ ლ ი – ხომ გესმისთ... ცუდი სიტყვებისათვის პასუხის-გებაში ჩავარდებით!..

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – მაშ ეგ რაღათ მარცხვენს ამდროულ კაცს? არა, როდის გინახივარ მთვრალი, ჰა?

მ ს ა ჯ უ ლ ი – კმარა! დასცერით! მომჩივარო! მოწმები გყავს? აბა, სად არიან, დაუძახეთ!.. (გამოდის ორი მონამე).

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ესენი გახლავან, ბატონო!

დ ა მ ც ვ ე ლ ი – ბატონო მსაჯულო! გთხოვთ, ეგ მოწმები გადაყენოთ, რადგანაც ჩემს მრწმუნებელთან დავა აქვსთ, ერთს – გზის თაობაზე და მეორეს – ძალლის მოპარვას უჩივის ჩემი მრწმუნებელი.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – სულ ტყუილია, ბატონო! გადაყენება უნდა.

დ ა მ ც ვ ე ლ ი – საქმე აქვე წარმოებს!

მ ს ა ჯ უ ლ ი – (მოელაპარაკება სეკრეტარს) უფიცრად უნდა ეყითხოსთ. თქვენ, ბ. დამცველო, გყავსთ მოწმები?

დ ა მ ც ვ ე ლ ი – თორმეტი!.. აი, ეგერ გახლავან!

მ ს ა ჯ უ ლ ი – (მომჩივარს) მოწმების შესახებ ხომ არაფერი გაქვსთ?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – არა ბატონო! მაგრამ თუ ხვალამდის გადადებთ საქმეს, მეც მანამდი ავუტეხ რამეს და გადავაყენებ.

მ ს ა ჯ უ ლ ი – მაგათ უნდა ფიცით აჩვენონ.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ფიცით! ძალიან ენაღვლებათ! ფიცი მაგათი პურია!.. მე გეტყვი, ძალიანა სწამთ...

დ ა მ ც ვ ე ლ ი – გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ აძლევთ მოწმებს.

მ ს ა ჯ უ ლ ი – დაჩუმდით!.. მღვდელი აქ არის? აბა, დააფიცეთ! ადექით ზეზე. (ხალხი ზეზე დგება. მოწმები თამამად აპირობენ დაფიცებას. მომჩივარი უბეში იყოფს ხელს და რაღაცას ეძებს. მსაჯული უყურებს, სწილდება და სეკრეტარს უჩვენებს. სეკრეტარი ანიშნებს მომჩივარს მივიდეს იმსთან, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს. ხატს იღებს უბიდან და სტოლზე ასვენებს ერთად ჯვართან და სახარებასთან. მოწმები ხელებს დაბლა იღებენ. მღვდელი შეკრთხა. ადვოკატი აშფოთდება და ხალხი იცინის).

მ ს ა ჯ უ ლ ი – რა ამბავია?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – არაფერი, ბატონო! თაგვი გამოვუხტუნე!

ახალი სასამართლო

მ ს ა ჯ უ ლ ი – რაო?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ხატი დავუდევი ცხვირწინ. წმინდი გიორგის ხატი! აბა, ახლა დაიფიცონ ტყუილზე თუ გულს ერჩისთ.

დ ა მ ც ვ ე ლ ი – ბატონო მსაჯულო! კანონით დადებულია ჯვარზე და სახარებაზე ფიცი რუსულად.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – კი, მაგრამ რა გენალებათ ჩემი ხატიც მონამედ დაესწროს, ვენაცვალე მის ძლიერებას!

დ ა მ ც ვ ე ლ ი – ეს ქართული იქნება და არ არის კანონი! მმართებლობის წინააღმდეგობა გამოვა! ბატონო მსაჯულო, გთხოვთ ქართული ფიცი ნუ იქნება. უკანონოა! უბრძანეთ, აიღოს ხატი!..

მ ს ა ჯ უ ლ ი – აიღეთ!..

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – რადაო? ვის რას უშლის?

მ ს ა ჯ უ ლ ი – ბევრს ნუ ლაპარაკობ... აიღე!..

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – (იღებს) სულერთია! ხელში დავიჭერ!..

დ ა მ ც ვ ე ლ ი – უბრძანეთ რომ უბეში ჩაიდვას. კანონი არ არის, ქართული ფიცი წინააღმდეგობაა, ბატონო მსაჯულო!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – აპა! შეგიფუცხუნათ? ჯერ სად არის!..

დ ა მ ც ვ ე ლ ი – უბრძანეთ... კანონი არ არის!..

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – თქვენ რა გინდათ ჩემ ხატან! ისიც ჩემია და ხელებიც ჩემია, მინდა დავიჭერ და მინდა არა... თქვენ ხომ არ იღალებით?

მ ს ა ჯ უ ლ ი – კმარა! მეტს ნუღარ ლაპარაკობთ. ჩაიდევით უბეში!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – მე მინდა, ბატონო მსაჯულო, რომ ჩემმა ხატმა, ვენაცვალე მის სახელს, კიდეც უყუროს და კიდეც გაიგონოს, თუ რას იტყვან მოწმები?

მ ს ა ჯ უ ლ ი – გთხოვთ, დასცხეთ!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – არა, სახუმრო ხატი არ არის, ძალიან სჭრის...

მ ს ა ჯ უ ლ ი – დასცხერით! ხელს ნუ მიშლით!..

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – გამოცდილი ხატია!.. მაგარია... მაგარი... აფართხალებს, ვენაცვალე.

მ ს ა ჯ უ ლ ი – ვუბრძანებ, რომ გაგიყვანონ გარეთ და უთქვენოდ გავარჩევ საქმეს.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – თქვენი ნებაა, მაგრამ იცოდეთ კი, რომ სას-ნაულთმომქმედია ეს ჩემი ხატი... ბევრი გაუგორებია ცრუ-მოფიც-არი! დიდება მის მადლის!

მ ს ა ჯ უ ლ ი – უკანასკნელად კიდევ გიორჩევთ!..

ახალი სასამართლო

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ი შუბს რომ უგმირავს ხოლმე უხილავად გულში... ვენაცვალე იმას... და სისხლით გახეთქავს!

მ ს ა ჯ უ ლ ი – ბ. პრისტავო! გაიყვანეთ მომჩივარი გარეთ! (მომჩივარი გაჰყავთ. მოწმები თამამად ფიცულობენ და მოპასუხის სასარგებლოდ ანბობენ ერთხმად. შემოჰყავთ ისევ მომჩივარი. მსაჯული განჩინებსა სწერს, რომლის ძალითაც მოპასუხე გამართლდება. (მომჩივარს) თუ კმაყოფილი არა ხართ, შეგიძლიათ იჩივლოთ ოლქის სამსჯავროში, ორი კვირა ვადა გაქვს.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – იქაც ასე ასამართლებენ, ამ კანონით?

მ ს ა ჯ უ ლ ი – რასაკვირველია!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – მაშ, გმადლობთ, კმაყოფილი გახლავართ. რაღა შორს ვეთრიო?!(მსაჯული რამოდენიმე წამით გადის სამსჯავრო-დან. მომჩივარი გაშტერებული სდგას შუაში).

დ ა მ ც ვ ე ლ ი – (მიდის მომჩივართან) რა მოიგე, შე კაი კაცო! ჰი? აბა, ზოგი ახლა ჩვენც გვიყურე! ახლა ჩვენ გიჩივლებთ, რომ სიკვდილი გინდოდა ჩემი მრნმუნებელისა!.. ვნახოთ, როგორ გადარჩები!..

ერთი მაყურებელთაგანი მიდის მომჩივართან და ხელს უჩვენებს: ამას ჰედავ?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – „სხვისა ჭირი, ლობეს ჩხირიო“... განა რას დამცინი?..

მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ ი – კი არ დაგცინი, ჭკუა მინდა გასწავლო სიბერის დროს! ხომ ხედავ ამ თითებს? ხუთივეს?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – მერე რაო?

მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ – ის, რომ დიდი თითი თვითონაა, ეს თითი – ადვოკატი, შუა თითი – პრისტავი და დანარჩენი ორიც – მთელი კანცელიანია და ყველა ერთად, როცა უნდათ, ასე შვრებიან, ა! ვერც ახლა მიხვდი?!. ჯერ უკანა კარებიდან უნდა მოიარო და მერე შემოხვიდე წინა კარებში!..

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი – (იცინიან) მართალია! მართალი!..

[1884 წლის 20 მაისამდე]

ახალი გმირი

დრამა 4 მოქმედებად

მოქმედი პირი:

დათიკო სირაძე – რედაქტორი

არჩილ კახიძე – ექიმი

ხოსრო (იგივე ქაიხოსრო) გირკანელი – გამომძიებელი }
ნიკო ჩიხელი – სოფლის მასწავლებელი } თანამშრომელი

ქეთო ჩიტაძისა – ახალგაზრდა ქალი

მარო რაზმაძისა – შემდეგში ქაიხოსროს ცოლი

ნენე – მაჭანკალი

ბალდასაარ ბუდალოვი

ზაქარა – მსახური

მოქმედება პირველი

სცენა პირველი

(დარიბულად მორთული პატარა ოთახი. მარჯვნით სტოლთან ზის დათიკო და სწერს; მარცხნივ დივანზე, მუჟთაქაზე მიყრდნობილია ქეთო წიგნით ხელში. იმის წინ დგას ხოსრო და რაღაცას აღტაცებით ესაუბრება. განის კარები ღიაა, ოთახის ერთი მხარე მოსჩანს).

გამოსვლა პირველი

დ ა თ ი კ ო, ხ ო ს რ ი, ძ ე თ ი დ ა მ ი ღ ა რ ჩ ი ლ.

ა რ ჩ ი ლ ი ს ხ მ ა მ თ ა ხ ი დ ა მ – დათიკო! ჰაა, დათიკო! არ გესმის, ყმანვილო?

დ ა თ ი კ ო – (თავს აიღებს) ჰმმმ! რა გინდა?

ა რ ჩ ი ლ – რა დღეა დღეს?

დ ა თ ი კ ო – შაბათი.

ხ ო ს რ ი – პარასკევი.

დ ა თ ი კ ო – შაბათია! შაბათი!

ხ ო ს რ ი – არა-მეთქი, პარასკევია!

ა რ ჩ ი ლ – (კარებზე მოდგება) რომელ ერთს უნდა დაგიჯეროთ?

დ ა თ ი კ ო – თუ დაიჯერებ, შაბათია.

ხ ო ს რ ი – აბა, საკედლო კალენდარს შეხედე!

დ ა თ ი კ ო – ეგ ხომ გუშინდელია.

ხ ო ს რ ი – არა-მეთქი, პარასკევია! დღეს დილით ჩემი ხელით ავაგლიჯე ფურცელი.

დ ა თ ი კ ო – გუშინდელი გახსოვს!

ხ ო ს რ ი – მე უკეთ არ ვიცი?

დ ა თ ი კ ო – გეშლება, გუშინ იყო.

ა რ ჩ ი ლ – დაგებნათ დღეები?

ქ ე თ ი – მე კი პარასკევი მგონია.

ა რ ჩ ი ლ – „მგონიაობა“ ხშირათ შეგვაცდენს ხოლმე.

დ ა თ ი კ ო – თქვენ რომ პარასკევი თვალსა და ხელს შუა გამოგებაროსთ, ჩემი რა ბრალია? (იცინის) დახედეთ, აი, ამ საათს, შუალამე გადასულია...

ა რ ჩ ი ლ – (დაცინვით) მაშ თქვენ კატის პარასკევი ხომ არ გაგ-ონდებოდათ.

ახალი გმირი

ს ო ს რ ო – კატის პარასკევი რომელიდაა?

ა რ ჩ ი ლ – ძეხვს რომ ვერ შესწოდა და მაინც „პარასკევიაო“, ამბობდა.

ს ო ს რ ო – (წყენით) მაგისთანა პარასკევები თქვენს უბანში მოიკითხეთ.

ა რ ჩ ი ლ – თქვენსაში კი სულ აღდგომა და შობაა? (ქეთოსკენ) მაში, გაფრთხილდი, ქალო, რომ დიდი პარასკევი არ დაგიდგეს!.. (შებრუნდება. დათიკო წერას მოჰყვება)

ს ო ს რ ო – (ქეთოს) ე რა გესლიანი ვინმეა!

ქ ე თ ო – რაო? მე ვერა გავიგე-რა!..

ს ო ს რ ო – არცა ღირს!.. (შეხედავს და რომ დაინახავს დათიკოს თავჩაღუნულს, მიუჯდება ქეთოს გვერდში). რას ჰკითხულობ მაგას?

ქ ე თ ო – აი, რასა!.. (წიგნს მიიფარებენ)

ს ო ს რ ო – საუცხოვო ადგილია! (ჰკოცნის)

ქ ე თ ო – (თვალით ანიშნებს დათიკოზე) მაგდენიც არაფერი. (დათიკო თვალს შეასწრობს და თავს ჩაღუნავს). მოცლილი თუ წაიკითხავს, თორემ ახალი აქ არა არის-რა!..

ს ო ს რ ო – ახალი არა არის-რა, მაგრამ ისეთი რამე კია, რომ კაცს თავის დღეში არ მოსწყინდება!.. განა?

დ ა თ ი კ ო – (ახველებს) ჰე, გავათავე! ამაზე უფრო მეტი დამახინჯებაც აღარ მოხერხდება. გამიგონია, ძველათ ერთმა ახალგაზდა შეყვარებულმა თავის სატრფოს ცალი თვალი წათხარა, რომ, ეგება, მტერმა აღარ წამართვას და ცალთვალი მაინც დამრჩესო... სწორედ ისე გვემართება ჩვენც...

ქ ე თ ო – აბა, დრო ის ყოფილა და სიყვარულიც მაშინ ცოდნიათ.

დ ა თ ი კ ო – დროისი რა მოგახსენო და სიყვარული კი სწორეთ სცოდნიათ.

ს ო ს რ ო – (ულვაშების გრეხით) კაცებს!..

ქ ე თ ო – ქალებს კი არა?

ს ო ს რ ო – მაგალითი არ გადმოუციათ.

დ ა თ ი კ ო – როგორ თუ არა?! მაშინ გულთამზის ამბავი არ გაგიგონია?

ს ო ს რ ო – მომიკრავს ყური ცალი ყბით, მაგრამ გულში ჩასარჩენი კი არა ყოფილა-რა.

ქ ე თ ო – მე კი პირველად მესმის. ვინა ყოფილა?

დ ა თ ი კ ო – ჯაფარიძის ქალი. დიდი და პატარა ყველა თურმე იმას ეტრფოდა და არჩევანიც მის ხელში ყოფილა.

ახალი გმირი

ს ო ს რ ო – ჰაი გიდი, ქალო!

დ ა თ ი კ ო – მოტრფიალთა რიცხვში ერთი ახალგაზდა გოცი-რიძეც რეულა, გარდა სილამაზისა, ყოვლად სრული, გამოჩენილი და სახელოვანი.

ს ო ს რ ო – მაგრამ მაინც კაი მასალა კი ჰკლებია.

დ ა თ ი კ ო – გულთამზეს გონება თურმე მისაენ უჭრიდა, მაგრამ გრძნობა კი სულ სხვას ეუბნებოდა.

ს ო ს რ ო – აბა, რა! ქალი არ იყო, თუ?

ქ ე თ ო – დაგვაცა ერთი და...

დ ა თ ი კ ო – გული თავს ეურჩებოდა, მაგრამ ქალი მაინც კიდევ დროს უცდიდა და ცდილობდა, რომ როგორმე თვალი შეეჩინა!

ს ო ს რ ო – აი სწორეთ ქალური ახირებულობა!

ქ ე თ ო – მერე, მერე?

დ ა თ ი კ ო – ასპინძის ომში, სადაც დიდძალი იმერლობა დაე-სწრო, გოცირიძემ ჩვეულებრივად სახელი ნახა, მაგრამ ძვირად კი დაუჯდა ვაჟაცობა: მძიმეთ დაჭრეს და, სხვათა შორის, სახეზედაც რამდენიმე ჭრილობა დაღად დააჩდა.

ს ო ს რ ო – (სიცილით) „არ ვარგოდა ძმარიო და მიემატა წყალიო“.

დ ა თ ი კ ო – როცა მორჩენილი დაბრუნდა იმერეთში, გულთამ-ზემ ნახა და იცით, რა მოუვიდა?

ს ო ს რ ო – ჯერ სიცილი აუტყდა, სახეზე რომ შეხედა, და მერე კი შეებრალა.

ქ ე თ ო – (აღელვებით) ნახა და შეუყვარდა!

დ ა თ ი კ ო – სწორეთ! შეუყვარდა და ქმრათაც აირჩია.

ს ო ს რ ო – შეუყვარდა? ეგ შეუძლებელია!

ქ ე თ ო – სრულიადაც არა.

ს ო ს რ ო – მაშ მეტიჩრობით მოსვლია.

ქ ე თ ო – ჭეშმარიტის გრძნობით.

ს ო ს რ ო – უფრო ფარისევლობით.

ქ ე თ ო – წრფელის გულით.

ს ო ს რ ო – ეგ ბუნების ნინაალმდეგია!.. უშვერებას გული კარს ვერ გაუღებს.

ქ ე თ ო – მაშ თქვენი თვალწამოთხრილი სიყვარული რაღა მაგ-ალითი იყო?

ს ო ს რ ო – ის სულ სხვა არის! რაღაი-კი ერთხელვე გულში დაისადგურებს სიყვარული, მერე გრძნობა ყოლიფერს აიტანს... მანამდი კი...

ახალი გმირი

დ ა თ ი კ ო – (გაიძახის) არჩილ! არ გესმის?

ა რ ჩ ი ლ – (გაიძახის) ყურს ვუგდებ და მეცინება. (გამოდის) რაო, რაო? მახინჯი გრძნობაო... თვალწამოთხრილი სიყვარული კიდევ რაღაა?

ხ ო ს რ ო – ვერ გაიგონე?

ა რ ჩ ი ლ – როგორ არა! (დაცინვით) კაცს ისე თურმე ჰყვარებია, რომ ქალისათვის თვალი წამოუთხრია... საუცხოვოა!

დ ა თ ი კ ო – განა ცუდი დამტკიცებაა?

ა რ ჩ ი ლ – ვინ ანბობს? მაგრამ თავისი თვალი რომ წამოეთხარა, მაშინ-კი უფრო სარწმუნო იქნებოდა.

ხ ო ს რ ო – (თვალების ქაჩით და ულვაშების გრეხით) მაგ მაგ-ალითში სიყვარულის თავგანწირულება იხატება... ამფერ, კაცო!..

ა რ ჩ ი ლ – სხვისი თავის განწირვა ძელი არ უნდა იყოს!

ქ ე თ ო – (აღტაცებით) მე მესმის ეგ გმირობა!..

ა რ ჩ ი ლ – მართლა?! მაშ ამას როგორლა გაიგებთ: ბატონს მოეწონა ყმის ბედაური; ყმას შეეშინდა: „არ წამართვას“ და ძუა-ფაფარი დააკვეცა: „ეგებ ბატონმა აღარ წაიყვანოს და მე საბარგოთ მაინც გამომადგებაა“?!.

დ ა თ ი კ ო – (თავისთვის) რა ახირებული მაგალითები იცის!

ქ ე თ ო – (ზიზღით) ფუ! სიყვარული და გაკრეჭილი ცხენი! რა მოხდენილი და მიმსგავსებული შედარებაა?!

ა რ ჩ ი ლ – რატომ? იქაც პირადი სარგებლობის ანგარიშია და აქაც.

ხ ო ს რ ო – მაშ გულთამზის მაგალითი ხომ სულ...

ა რ ჩ ი ლ – (სიტყვას ჩამოართმევს) არა, ეგ კი სწორედ შესაძლე-ბელია.

ხ ო ს რ ო – შესაძლებელია?

ა რ ჩ ი ლ – რასაკვირველია!.. გაკერპებულ ადამიანს ბევრი რამ წარმოუდგება, ბევრი რამ მოეჩვენება და მაშინ ადვილად დააჯერებს გრძნობა-გონებასაც.

ხ ო ს რ ო – ნეტავ, გულთამზეს რა ჰქონდა გასაკერპებელი? ვინ გააკერპა?

ა რ ჩ ი ლ – უთუოდ საზოგადო მოვლინებამ!.. მაშ, ვინ გააკერპა ჩვენი დედები, ის ოჯახის შვილები, ქვეყნის მტრებს რომ ცოლებათ მიჰყვებოდენ და რჯულზედაც კი ხელს იღებდენ, მხოლოდ იმ გან-ძრახვით, რომ ჩვენი სამშობლოს მტრობა სამოყვროთ შევაცვლევი-ნოთო!

ახალი გმირი

ს ო ს რ ო – ეგ სხვა არის. მანდ განძრახვა მოსჩანს და არა გრძნობის გატაცება...

ა რ ჩ ი ლ – თანახმა ვარ! მაგრამ იმ დროში რომ ქალს რომელიმე გმირის ჭრილობა მშვენიერების ბეჭდათ და გვირგვინად ჩვენებოდა, განა შეუძლებელი რამ იქნებოდა?

ქ ე თ ო – არა თუ იმ დროში, ეგ დღესაც შესაძლებელია.

ა რ ჩ ი ლ – მაგისი კი რა მოგახსენოთ!

ქ ე თ ო – ვითომ რატომა?

ა რ ჩ ი ლ – იმიტომ, რომ დღეს გულთამზეები აღარსად გახლავან და მხოლოდ თვალის ჩინები ბრძანდებიან.

ქ ე თ ო – (წყენით) როგორიც გოცირიძეები თქვენა ბრძანდებით, მისთანა გულთამზეებიც ჩვენ გახლავართ! ჯერ გოცირიძეები უნდა გამობძანდებ ცხოვრების სარბიელზე და მაშინ გულთამზეებიც გამოჩნდებიან.

ა რ ჩ ი ლ – რა იცით, რომ გამოჩნილიც არ არიან?

ქ ე თ ო – ვინ? გოცირიძეები? როგორ არა... უთვალავი გყავსთ!

ა რ ჩ ი ლ – თვითო-ოროლა ხომ ურევია?

ქ ე თ ო – თქვენს ახალგაზდობაში?

ა რ ჩ ი ლ – დია!

ქ ე თ ო – ხა! ხა! ხა! ხა! ხა! მაშ რაღათ იმალებიან! და სად არიან?..

გამოსვლა მეორე

ისინვე და 6 ი კ ო შემოდის ღარიბულად ჩაცმული

6 ი კ ო – (ქეთოსა და ხოსროს რომ ერთად დაინახავს, შეკრთება. დათიკოს) სტამბა მომცდარია და მასალა კი აღარსად არის.

დ ა თ ი კ ო – აი, გეთაყვა, წაილე და ააწყობინე! სხვები ხომ სულ ააწყვეს? გაასწორე?

6 ი კ ო – მოვრჩი! (ხოსროს) თქვენი საკვირაო ფელეტონი კი დაა-კავეს.

ს ო ს რ ო – მართლა? ახირებულია, თუ აზრიანს აღარას დაგვაწერინებენ!..

ქ ე თ ო – რაზე იყო?

ს ო ს რ ო – კაცის ხასიათზე და მის მოვალეობაზე.

ახალი გმირი

ა რ ჩ ი ლ – უჳ, მაღალი ფარდისა ყოფილა!..

ქ ე თ ო – სულ დაიჭირეს, თუ გამორიცხეს რამ?

ნ ი კ ო – მაგდენი გამოსარიცხავიც არა ყოფილა-რა. (მიდის)

ა რ ჩ ი ლ – (ქეთოს) მაგ ყმაწვილს იცნობთ?

ქ ე თ ო – ვისა? ნიკოს? ყოველდღე არა ვხედავ?!.

ა რ ჩ ი ლ – არა, დაახლოვებით! ეგ გახლავს გოცირიძე.

ქ ე თ ო – გვარათ, თუ მოქმედებით?

ა რ ჩ ი ლ – საქმით.

ქ ე თ ო – ხუმრობთ.

ა რ ჩ ი ლ – არა, გარწმუნებ, რომ ერთი მათგანია.

ხ ო ს რ ო – ფხეხული!.. (იცინის)

ა რ ჩ ი ლ – რას იცინი?

ხ ო ს რ ო – ბევრი არა ნდომებია-რა თქვენს გოცირიძობას: საკ-მაო ყოფილა მიყრუებულ სოფელში სადმე ბავშვებს ანა-პანა გაუკვე-თოს და მოცლის დროსაც სტამბაში იჩხერკედელაოს.

ა რ ჩ ი ლ – მაშ როგორ გგონია! ეგეც არ იცი?

დ ა თ ი კ ო – ჩანს, ვერ გიცვნიათ ეგ ყმაწვილი! არც სწავლით, არც ნიჭით და არც შრომისმოყვარეობით არავის ჩამოუვარდება.

ა რ ჩ ი ლ – და პატიოსნება კიდევ მეტია!

ქ ე თ ო – მაშ რათ დაუჩაგრავს მანგრე პედს?

ა რ ჩ ი ლ – დრო და უამსა ჰკითხეთ!..

ხ ო ს რ ო – სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი წარმომადგენელია ძველი გმირების!..

ქ ე თ ო – (იცინის) მეც მანგრე მგონია!

ა რ ჩ ი ლ – დროს საკადრისად და გარემოების შესაფერად, დიახაც გმირია.

ხ ო ს რ ო – მაშ ვერ ყოფილა სახარბიელო ჩვენი დრო!

ქ ე თ ო – მეტად ამცირებთ.

ა რ ჩ ი ლ – (ქეთოს) სულაც არა!.. ძევლად გარეშე მტრებს ვიგერ-იებდით და დღეს შინაგანს ვეპროვით. მაშინ სისხლის თხევა იყო საჭირო, – დღეს ოფლის ღვრაა და ფარ-ხმალიც განსხვავებულია.

ხ ო ს რ ო – ნიკოს ფარ-ხმალი?

ა რ ჩ ი ლ – პირადობაზედ ხელის აღება და საზოგადოსათვის თავის განწირვა.

ხ ო ს რ ო – სიტყვაა!!! ვინც თავს ვერას არგებს, ის სხვას რას გამოადგება?

ა რ ჩ ი ლ – ხალხის ჭეშმარიტებაც ეგ არის... მანგრე ამბობდენ მოციქულებზე და პირველი საუკუნის ქრისტიანებზე კერპები.

ახალი გმირი

ს ო ს ო – ხალხსაც თავისი შეხედულობა აქვს.

ა რ ჩ ი ლ – მაშ, ჩვენმა ყმაწვილკაცობამ ჯერ უნდა თავის თავზე იფიქროს: დაიწყოს ადვოკატობა და ხალხს ტყავი გააძროს, რომ იმისვე სათაყვანო გახდეს; ანდა მიჰყოს ხელი ექიმობას, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ფულები პერიფოს და სასაფლაოები ასუქოს; და ან კიდევ ხელჯოხისანობა იკისროს და ქვეყნის განირვით იდლესასწაულოს! მაშინ ხომ მათზე ძვირს ვეღარავინ იტყვის?! და ჩვენი ქალებიც წყალობის თვალით შეჰედვენ... განა? ხა! ხა! ხა!..

ქ ე თ ო – ეგეც უკიდურესობაა და ისიც! უკიდურესობა ხომ ყველას არ მოეთხოვება?.. განსაკუთრებით ქალებს!

ა რ ჩ ი ლ – მაშ, გულთამზის ამბავმა წელან ისე რათ აგიტაცათ? თქვენ არა ბრძანეთ: გულთამზეობა ახლაც შეიძლებაო?.. დალოცვილო, თუკი უწინდელ ქალებს სახის დამასახიჩრებელი ჭრილობა მშვენიერების გვირგვინად და ბეჭდათ ეჩვენებოდათ, თქვენ რაღა გემართებათ, უკეთეს ყმაწვილკაცებს თვალს არიდებთ მხოლოდ მიტომ, რომ ლარიბები არიან და კოსტურათ ვერ იმსებიან!.. მაგრამ, ეჲ!.. ღირს კი ამაზე ლაპარაკი?.. რისი გულთამზე და ვისი გულთამთვარე! სად არიან?..

ქ ე თ ო – (ხოსროს) ხომ არა შეუტყვია-რა?

ს ო ს ო – არაფერი!.. მაშუალივით კი ესარჩლება იმ ყმაწვილსა და!..

ქ ე თ ო – იჲ, გამოესარჩლოს, თორემ გული არ შემიცვალოს!

ს ო ს ო – (ალერსით) ვინ იცის?

ქ ე თ ო – (ალერსით) გრცხვენოდეს! (საათს ამოიღებს) უჲ! პირველი საათია... გამაცილებ?..

ს ო ს ო – ღამე მშვიდობისა, ყმაწვილებო! სხვა ფელეტონი ხომ არ დავწერო?

დ ა თ ი კ ო – არა, მზათა გვაქვს მეორე.

ს ო ს ო – არჩილის?

დ ა თ ი კ ო – არა, ნიკოსი.

ს ო ს ო – ნეტავ რაზედა სწერს?

დ ა თ ი კ ო – სიყვარულზე.

ქ ე თ ო – სიყვარულზე? (არჩილს) თქვენი გოცირიძე სწერს?

ა რ ჩ ი ლ – დიახ, ჩემი გოცირიძე სწერს, რომ თქვენმა გოცირიძემ წაიკითხოს.

ს ო ს ო – (ხელს აშვერს არჩილს) თუ ბატონი დოქტორის მონაფეც არის, კარგათ კი ეცოდინება სიყვარული და რიგიანადაც ახსნის.

ახალი გმირი

ა რ ჩ ი ლ – სიყვარულს მხოლოდ გრძნობა უნდა და, თუ ცოდნა იყოს საჭირო, მაშინ ნიკო შენ მოგებარებოდა მოწაფედ და არა მე... სიტყვების რახარუხი ეცოდინებოდა.

ხ ო ს რ ო – უსიტყვო გრძნობა ხომ პირუტყვებსაც აქვსთ.

ა რ ჩ ი ლ – მაგიერში უგრძნობელ სიტყვებსაც ვერ მოახერხებენ და ამით ზოგიერთ მეტყველზედ უპირატყესობა აქვსთ.

დ ა თ ი კ ო – კარგია, ახლა აღარ გაათავებთ? სადაც არის გათენება მოატანს.

ქ ე თ ო – (ლიმილით) გვითხოვ?

დ ა თ ი კ ო – თუ მანგრე შეჰყევით, პარასკევი კი არა, კვირაც გამოგებარებათ.

ქ ე თ ო – მშვიდობით! მშვიდობით! მართლა რომ დროა. (მიუბრუნდება არჩილს და თავს დაუკრავს მძიმეთ) მშვიდობით ბძან-დებოდეთ!.. თქვენს გოცირიძეს მოკითხვა გადაეცით! (მიდიან)

ა რ ჩ ი ლ – თქვენი გოცირიძე მანდერ გახლავსთ! (ხელს აშვერს ხისარის)

ხ ო ს რ ო – (შეჩერდება) მე რალას გადმომწვდი? არ შეიძლება გვიპასუხოთ?

ა რ ჩ ი ლ – დიდის სიამოვნებით!.. მაგრამ ახლა დრო აღარ არის! ჯერ ეგ თქვენი გულთამზე გააცილეთ!..

ქ ე თ ო – წავიდეთ, წა!.. ხომ ხედავ, რა გუნებაზეა?

ხ ო ს რ ო – (გაჰყება) იღრინება ჩვეულებრივად. (კარებთან რომ მიაწევენ, დაბრუნდება) დათიკო! თუ ღმერთი გწამს, ძილს წუ გაატესინებ არჩილს, თვარა ხვალ ცუდ გუნებაზე დადგება და მტერსა და მოყვარეს გაურჩევლად მოშეამავს... ჯერ ახლაც მოლესილია. (მიდიან)

გამოსვლა მესამე

დ ა თ ი კ ო და ა რ ჩ ი ლ

დ ა თ ი კ ო – რა არის, რომ მაგ კაცთან გულგრილად ლაპარაკს ვერ ახერხებ?

ა რ ჩ ი ლ – მეჯავრება.

დ ა თ ი კ ო – არც მანგრე ამოჩემება ვარგა! ჩვენი აზრის კაცია, ჩვენი რაზმისა და ჩვენი მომხრე.

ახალი გმირი

ა რ ჩ ი ლ – მხოლოდ დრომდე... ჩვენი რაზმი მაგისთვის კიბეა და ხიდი სხვაგან გადასაყვანი... ცოტა გვინახავს მაგისთანები?.. სანამდინ თავს იჩენდენ და ზურგს გაიმაგრებდენ, ჩვენ გვეკედლებიან... ჩვენთან არიან... ვითომ ერთგულად და გაბედვით ვაკეთებთ საქმესაო... თვითო-ოროლა რამესაც დასწერენ და მერე-კი...

დ ა თ ი კ ო – შორს და მშვიდობითა?

ა რ ჩ ი ლ – მაგასაც კი აღარ გვაჯერებენ: შორს და კისრის ტეხითო! პირველ მტრებთაგანი გვიხდებიან ხოლმე.

დ ა თ ი კ ო – ხოსროს მაგგვარი არა ეტყობა-რა.

ა რ ჩ ი ლ – აი, ვნახოთ, თუ არა!.. გახსოვდეს ჩემი სიტყვა, თუ მაგან ის ქალი არ გააუბედუროს.

დ ა თ ი კ ო – მერე ჩვენ რა?

ა რ ჩ ი ლ – ის, რო ჩვენი სირცხვილი იქნება: ჩვენს წრეში შემო-სულა, წრფელის განძრახვითა და სასოებით მოგვენდო და ერთმა ჩვენგანმა, ანუ ცრუ ჩვენთაგანმა, უნდა საუკუნოთ გააუბედუროს?

დ ა თ ი კ ო – ჩვენ ხომ აპეკუნები არა ვართ?! ყმაწვილი აღარც ეგ არის.

ა რ ჩ ი ლ – ქალი სიყვარულში სიკვდილამდე მცირენლოვანია.

დ ა თ ი კ ო – ვითომ რატომა?

ა რ ჩ ი ლ – იმიტომ, რომ კაცზე უფრო წრფელი და ბუნებათანაზი-არია... ადვილათ მოტყუვდება... ეს საზოგადო კანონია... და ქეთოს ხომ უფროც ეჭირვება გაფრთხილება.

დ ა თ ი კ ო – ქეთო რაღა არის?

ა რ ჩ ი ლ – ქეთო ჯერ კიდევ ყმაწვილია, ნიჭიერია... მაგისაგან შეიძლება კარგი რამ გამოვიდეს... მაგრამ ატაცებული ბუნებისაა ისე, როგორც ყოველი ნიჭიერი, და ვაი თუ...

დ ა თ ი კ ო – მაშ გვიანდა არის მაგის მოხმარება!

ა რ ჩ ი ლ – როგორ? განა შეუტოპავს?

დ ა თ ი კ ო – რასაკვირველია! უყვარს!..

ა რ ჩ ი ლ – ჰე, ეგ კი არ მიამა....

დ ა თ ი კ ო – არც მე მიამა, მაგრამ რა გაეწყობა? (ხელებს შლის)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მორი

სცენა პირველი

ქეთოს ოთახი. მ ა რ ო ზის სავარძელში და წიგნს ჰკითხულობს. ქ ე თ ო მეორე ოთახიდან გამოდის შლიაპითა და ქოლგით.

გამოსვლა პირველი

ქ ე თ ო – ახლა კი მზადა ვარ.

მ ა რ ო – (მოუბრუნდება) მიდიხარ?

ქ ე თ ო – დიახ, ჩემი ძმა ჩამოსულა და სასტუმროში დავუბარე-ბივარ საქმეზე.

მ ა რ ო – მაშ მეც წავალ.

ქ ე თ ო – შენ რაღად?

მ ა რ ო – როცა მასპინძელი სახლიდან გარბის, სტუმარი რაღა მოხელეა?

ქ ე თ ო – დიდი ხანია სტუმრობა დაიწყე ჩემ სახლში? მარო არ მომიკვდეს, შენ შინ არავინ გაგიმვას. დღეს, შეიძლება, ჩვენმა ყმაწვილებმა აქ მოიყარონ თავი და უშენობა განა მოხერხდება?.. მით უფრო, რომ არ ვიცი, რამდენ ხანს დამაგვიანდება ძმასთან. შენ იმასპინძლე ჩემ მაგიერ (ხელს მოჰკიდებს და დაჯენს). დაბრძანდი! დაბრძანდი! აი, ასე!.. მშვიდობით. (მიდის, მერე ისევ მობრუნდება) იცი, ქალო, დღეს ერთს ვისმეს გაიცნობ.

მ ა რ ო – ვისა?

ქ ე თ ო – ნიკო ჩიხელს.

მ ა რ ო – ვინ ჩიხელია?

ქ ე თ ო – „სიყვარულის“ ავტორი.

მ ა რ ო – მართლა?.. ვნახოთ! ძალიან ატაცებული ვინმე კი უნდა იყოს.

ქ ე თ ო – სულაც არა! ეგ ერთი დუშაში მოუვიდა და ისიც ჩემის მიზეზით.

მ ა რ ო – როგორ თუ შენით?

ქ ე თ ო – შეყვარებულია.

მ ა რ ო – შენ უყვარხარ?

ქ ე თ ო – ჩემდა საუბედუროდ.

მ ა რ ო – გამოგიტყდა კიდეც?..

ახალი გმირი

ქ ე თ ო – რაღა გამოტეხა უნდოდა? განა ისე კი ვერ შევატყობდი?.. მოცლის დროს იმასა ცდილობს, რომ სულ ჩემს მახლობლად იყოს... დაჯდება ჩემს გვერდით მუნჯივითა, ვითომ და აქ არაფერი ამბავია, ხმას არ იღებს, მაგრამ მისი გულის ძეგრა კი იქიდან აქამდე გეს-მის. ნერწყვს ნერწყვზედა ჰყლაპავს... ალბათ პირი უშრება ხოლმე. თანაც საცდილობს, რომ ქურდულად მიჭვრიტოს და, როცა თვალს შევასწრებ ხოლმე, თავსა ღუნავს.

მ ა რ ო – ერთი სიტყვით, ეგ ყველა ნიშანია ახალგაზრდა შეყვა-რებულის. მომილოცავს!..

ქ ე თ ო – იპ, ნეტავი შენა! რაში მეკნაჭება მისი სიყვარული!

მ ა რ ო – შენ რაღას ეუბნები?

ქ ე თ ო – მე რა უნდა ვუთხრა?! არც კი შევიმჩნევ ხოლმე. ფლავი წინ მედგას და ლობიოს გამოვუდგე?

მ ა რ ო – მერე და არ გეცოდება?

ქ ე თ ო – თუ მაგრე გეცოდება, შენთვის დამითმია! (ჰკოცნის) მშვიდობით! მშვიდობით! დამაგვიანდა! (გარბის)

გამოსვლა მეორე

მარტო მ ა რ ო (გააყოლებს თვალებს)

მ ა რ ო – რა ატაცებულია?! მართებს კიდეც: სიყვარულმა გული აუფქრიალა და მიმოფრენს... როგორც სიზმარში! (წამოდგება და დადის) შემცდარია დათიკო, რომ ქალებს უპირატესობას აძლევს კაცებზე ცხოვრებაში!.. მართალია, ჩვენ უფრო გულეეთილები ვართ... უფრო თავგანნირულები და ყოველ შემთხვევაში სამსხ-ვერპლოდაც მზა, მაგრამ სიყვარულში კი... იმ ერთ საგანში უკი-დურესობაა ჩვენი კანონი: ჩვენთვის ალარც მშობელი, ალარც ნაშობი და ალარც მეგობარი!.. მზადა ვართ შევწიროთ წამიერ გულისთქმას ცის და ქვეყნის კეთილდღეობა. (დადის. მივა და დაეყრდნობა კამოდს. პირი პუბლიკენ აქვს) ჰმ!.. აი, ჩემი სიყრმიდანვე თანშეზრდილი მეგობარი და დაზე უტკბესი ქეთო! იცოდა, ვინც მიყვარდა... გუშინ არ იყო, რომ მანუგეშებდა და იმედს მიქადდა? დღეს ამოუგლეჯია მოლალატობით მისი გულიდგან ჩემი სიყვარული, თვითონ უხელთე-ბია მისი თავი და მესაიდუმლოეთაც მე მხდის. ალარ ესმის, რომ მისი ყოველი სიტყვა ეკალია და ისრათ მესობა გულში. ავიწყდება, რომ

ახალი გმირი

მეც ქალი ვარ და სიყვარულის გამო შურისძიება ქალის უკიდურესი მახვილია... არა!.. ადვილად ვერავის დავუთმობ ჩემს ბედნიერებას! (თავს ჩაჰედებს და თვალებზე ხელს მიიფარებს)

გამოსვლა მესამე

ისინივე და 6 ი პ მ შემოდის და შუაზე შეჩერდება

მ ა რ ო – ოჭ, რა ძვირფასი ნიჭია სილამაზე. კაცების მომხიბლავი და მათი თვალების ამხვევი!.. რატომ მეც არა ვარ ლამაზი?.. რათ მინდა ჩემი სიმდიდრე? იმის სილამაზე არ მერჩია? ახლა ვინც უნდა შემიყვაროს, ფულის თაყვანისმცემელი მეგონება და იჭვი გულში კბენას დამიწყებს. (ნიკო ახველებს. მარო მობრუნდება)

ნ ი კ ო – ქეთოსთანა ვარ.

მ ა რ ო – შინ არ არის.

ნ ი კ ო – მაშ, უკაცრავად. (მიდის)

მ ა რ ო – სად მიბრძანდებით?

ნ ი კ ო – აქ რაღა გავაკეთო?

მ ა რ ო – ქეთომ გთხოვათ, რომ მოიცადოთ, მალე დაბრუნდება.

ნ ი კ ო – ქეთომ? მერე და რა იცოდა, რომ მოვიდოდი?

მ ა რ ო – საზოგადოდ დაიბარა, ვინც მოვიდესო.

ნ ი კ ო – კეთილი. (მიდის კუთხეში, ჯდება)

მ ა რ ო – აქეთ მობრძანდით. მაგ სიშორეს სად მიდიხართ!

ნ ი კ ო – არა მიშავს-რა.

მ ა რ ო – თქვენ ნიკო ხომ არა ხართ?

ნ ი კ ო – ნიკო სხვაც ბევრია.

მ ა რ ო – (იცინის) მე თქვენდათავად გეკითხებით.

ნ ი კ ო – დიახ, ნიკო მქვიან.

მ ა რ ო – ჩიხელი?

ნ ი კ ო – ჩიხელი.

მ ა რ ო – „სიყვარულის“ ავტორიც თქვენა ხართ?.. ჰმ, მაშ, ეხლა კი გიცნობთ ცოტათი.

ნ ი კ ო – მე კი ჩემ დღეშიაც არ მინახავხართ.

მ ა რ ო – ამ ხუთი წლის წინეთ, თქვენ რომ ჯერ ისევ მოსწავლე იყავით, დათიკო სირაძემ მოგიყვანათ ჩემ საცოდავ ძმასთან.

ნ ი კ ო – თქვენი ძმა ვინ გახლდათ?

მ ა რ ო – ალექსანდრე რაზმაძე... უნდა გცოდნოდესთ.

ახალი გმირი

ნ ი კ ო – ალექსანდრე? როგორ არა... იმას ვინ არ იცნობდა? კარგი რამ იყო! მაში, თქვენ და ბრძანდებით!

მ ა რ ო – სად დავბძანდები?

ნ ი კ ო – არა... მისი და თუ ბძანდებით-მეთქი?.. ახლა კი მეც გიცნობთ (მოდის და ხელს აძლევს). ჰმ... მაში თქვენ მარო უნდა იყოთ. (ჯდება)

მ ა რ ო – სწორედ.

ნ ი კ ო – ამდენ ხანს ძმაზე გაცვიათ შავი?

მ ა რ ო – არა, ამ სამის თვის წინად მამაც მომიკვდა.

ნ ი კ ო – უჳ, აქამდი ცოცხალი იყო?

მ ა რ ო – (წყენით) განა მაგრე მოხუცებულათ გეჩვენებით, რომ გაიკვირვეთ კიდეცა? (თავისთვის) ე რა ხეპრე ყოფილა!

ნ ი კ ო – (შეტკრთალი, ყოყმობს) არა... ეგ... რა ბრძანებაა? მე იმაზე მოგახსენეთ, რომ შვილს დაუსწრია...

მ ა რ ო – დაუსწრია რა... დანაძლევებული კი არა ყოფილან.

ნ ი კ ო – არა... ვითომ... მამა რომ... ერთი სიტყვით, მე მიტომ ვამბობ, რომ საზოგადოდ მამები ახლა დიდხანს ვეღარა სძლებენ... ადრე კვდებიან. (თავისთვის) ფუ! სულ არ ავირიე!

მ ა რ ო – (ნიგნს ჩასჩერებია. სიჩუმეა. ნიკო ფეხაკრეფით იპარება) სად მიდიხართ?

ნ ი კ ო – (ჩაჯდება) არსად! არ მინდა, რომ კითხვა შეგიშალოთ.

მ ა რ ო – არა, მე არას მიშლით. (ახველებს)

ნ ი კ ო – (თავისთვის) ე რა ჭირში ჩავარდი. (მაროს) მართალია, რომ ალექსანდრე კომიტეტში გაცივდაო?

მ ა რ ო – არა! ანევრიზმა იმსხვერპლა.

ნ ი კ ო – გული გაუსქდა? საკუირველია, რომ ჩვენი ყმაწვილები სულ მაგრე კვდებიან.

მ ა რ ო – ალბათ მძიმე ტვირთი აძევსთ და ვეღარ აუტანიათ.

ნ ი კ ო – რასაკვირველია. მე მგონია, რომ ჩვენც ყველას ეგ ბოლო მოგველის, გარდა არჩილისა...

მ ა რ ო – ის რაღა არის? ექიმი რომ არის, მიტომ?

ნ ი კ ო – არა... სულ სხვა ბუნების კაცია, რკინის გული აქვს, თორემ რატომ აქამდის სულ ნაფლეთ-ნაფლეთათ არ ექცა?!

მ ა რ ო – ამბობენ, რომ იმას გული სულაც არა აქვსო!

ნ ი კ ო – მაგას მხოლოდ ქაიხოსრო ამტკიცებს, მაგრამ იმას კი ერთ-ნახევარი აქვს, მისმა თავის ხეთქამ!

მ ა რ ო – ხოსრომ კიდევაც დაამტკიცა და...

ახალი გმირი

- ნ ი კ ო – ქეთოს რომ ატყუებს, მითი?
- მ ა რ ო – როგორ თუ ატყუებს?
- ნ ი კ ო – მაშ არა და სიყვარულით თავი უცხელდება! აბა, ფული
ნუ ექმნება ქეთოს, თუ ან სიახლოვეს მიეკაროს...
- მ ა რ ო – განა მაგისთანაა?
- ნ ი კ ო – რა ბრძანებაა! სიმდიდრეს დაეძებს... მისთვის სილამაზე
არაფერია. აბა, გამოჩნდეს ვინმე ქეთოზე უფრო მზითვიანი!..
- მ ა რ ო – (აჩქარებით) გინდა ულამაზოც?
- ნ ი კ ო – რა თქმა უნდა!.. მაიმუნიც რომ იყოს, მზეთუნახავად
მოეჩვენება.
- მ ა რ ო – ეყვარება კიდეცა?
- ნ ი კ ო – სანამ ფული არ გამოელევათ, რა დაუშლის?
- მ ა რ ო – ჰმ!.. ქეთოს მაგრე არ არწმუნებს! ცალი თვალი რომ
ნამოითხარო, მაშინც მეყვარებიო.
- ნ ი კ ო – ცალი თვალი კი არა, აბა, ცალი ჯიბე მოიჭრას ქეთომ,
თუ მაშინვე განზე არ გაუდგეს!
- მ ა რ ო – ეგ კაი ხუმრობაა!! თუ მაგრე დარწმუნებული ხართ,
რატომ მაგაებს ყველას არ ამხილებ ქეთოს?
- ნ ი კ ო – დამჯერე ვინ იქნება?! ადამიანს რომ ვინმე შეუყვარ-
დება, ჭკუა-გონებას გირაოდ აძლევს თავის სატრფოს... და როგ-
ორლა შეუძლია გაარჩიოს ტყუევილი და მართალი? (სიჩუმეა)
- მ ა რ ო – ეგ კი მართალია.
- ნ ი კ ო – ქეთოს მეგობარი ბრძანდებით, მგონია?
- მ ა რ ო – დიდი.
- ნ ი კ ო – მაშ, თქვენ რომ ეტყოდეთ, არ იქნება ურიგო.
- მ ა რ ო – განა ჩემგან კი შეიგონებს?!
- ნ ი კ ო – არა, იმას კი ნუ ეტყვით, რაც ახლა ვთქვით! ურჩიეთ,
რომ ქორწილი დააჩქაროს, თორემ, თუ ერთხელვე ხელიდან დაუსხ-
ლტა, მერე კი, მშვიდობით, გაუბედურდება ქალი! ჯერ დღესაც ვერ
უყურებენ ქეთოს კარგის თვალით და მაშინ ხომ დედამინასთან გაას-
წორებენ და ცოდვაა...
- მ ა რ ო – მაგას რატომ თვითონ თქვენ არ ურჩევთ, თქვენიც ხომ
კარგი ნაცნობია?
- ნ ი კ ო – ჩემგან არ ივარგებს.
- მ ა რ ო – რატომ?
- ნ ი კ ო – მიტომ.
- მ ა რ ო – მიზეზია რამე?
- ნ ი კ ო – ცოტაოდენი.

ახალი გმირი

მ ა რ ო – მაინც? საიდუმლოა?

ნ ი კ ო – დიდი არაფერია, მაგრამ...

მ ა რ ო – მაშ, არ შეიძლება გავიგოთ?

ნ ი კ ო – მე რომ ვურჩიო, ვაი თუ იფიქროს, რომ თვითონ ვუყვარვარ და მიტომ მირჩევსო, უნდა ცუდათ დამანახოს ქაიხოს-როს თავიო.

მ ა რ ო – ეგ ხომ ჩემზედაც შეუძლია იფიქროს, ჩემი საქმრო უყვარსო.

ნ ი კ ო – ეგეც კი შეიძლება.

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და ხ მ ს რ მ შემოდის

ხ მ ს რ მ – გამარჯობა! ააა! ვისა ვხედავ?! მარო! მარო! როგორა ბრძანდებით? როდის ჩამოხვედით?

მ ა რ ო – გმადლობთ!.. დღეს მეორე დღეა.

ხ მ ს რ მ – ამდენ ხანს სოფელში რამ გაგაჩერათ?

მ ა რ ო – ასე მოიტანა გარემოებამ.

ნ ი კ ო – მამა გადაცვლია.

ხ მ ს რ მ – როგორ? მამათქვენი?

მ ა რ ო – დიახ, ეს სამი თვეა, რაც მიიცვალა.

ხ მ ს რ მ – ოჟ, რა მოუვიდა განსვენებულს?

მ ა რ ო – შვილის მწუხარება ველარ აიტანა!.. მოგეხსენებათ, ძნელია ერთადერთი შვილის დაკარგვა.

ხ მ ს რ მ – როგორ? მეტი ვაჟი ალარ დარჩენია?

მ ა რ ო – ალარც ვაჟი და ალარც ქალი... ჩემს მეტი.

ხ მ ს რ მ – ჰმ... (დაფიქრდება) როგორც გამიგონია, კარგი მამულები ჰქონდა მამათქვენს.

მ ა რ ო – სხვებზედ მეტი თუ ჰქონდა, თორემ ნაკლები არა.

ხ მ ს რ მ – თუ პრიკაზის ვალიც აპატივეს...

მ ა რ ო – პრიკაზში არა გვქონია-რა!

ხ მ ს რ მ – მართლა? ეგ იშვიათია ჩვენში! (თავისთვის) რანაირად უხდება შავები!.. (მაროს) კერძო ვალი უფრო უარესიც არის, დიდი თაოსნობა ეჭირვება.

მ ა რ ო – მამაჩემს ვალი კი არა, ფულებიც დარჩა, ბარე ოთხიათას თუმნამდე.

ახალი გმირი

ს ო ს რ ო – (თავისთვის) რა მოხდენია სოფლის ჰაერი!.. (მაროს) გყავსთ ვინმე მისთანა, რომ ყური უგდოს?

მ ო რ ო – ჯერჯერობით ბიძაჩემს მივაწდვე.

ს ო ს რ ო – იცის კანონები? შეუძლიან ანარმოვოს საქმე, საჩივარი რომ დასჭირდეს?

მ ო რ ო – საჩივარი რათ უნდა დასჭირდეს?

ს ო ს რ ო – ვინიცობაა გასესხებული დროზე ვერ აიღოს... ვექსილები... დავა... დარაბა... ათასი რამეები შეიძლება გამოტყვრეს მოულოდნელად.

მ ო რ ო – სავექსილო არა დაგვრჩენია-რა!.. ფულები ბანკში ჰქონდა შეტანილი.

ს ო ს რ ო – (თავისთვის, ულვაშების გრეხით) ლამაზი არ არის, მაგრამ ძალიან ეშვიანი კი არის... ამ შავებში მაინც... (მაროს) მაში თქვენ დიდხანს ალარ დარჩებით აქა?

მ ო რ ო – დიახ, დროებით ჩამოველ! ოჯახსაც ყურის გდება უნდა.

გამოსვლა მახუთა

ისინივე და ე ე თ ო (შემოვარდება გახარებული)

ქ ო თ ო – ოპ, მოსულან კიდეც? უკაცრავათ, დამაგვიანდა! (ნიკოს) სალამო მშვიდობისა! (ხოსროს) შენთან ორი რამ მაქვს სამახარობლო: გეტყვი, თუ სამახარობლოს მომცემ.

ხ ო ს რ ო – რა არის? არ შეიძლება გვიბძანოთ?

ქ ო თ ო – გვიბძანეთო! ეგ რა არის, რომ მანგრე გულცივად დამიხვდი?

ხ ო ს რ ო – ცივათ რა... ცეცხლს ხომ ვერ გავაჩენ? ნეტავი ყმაწვილი არ იყო!.. გვითხარი, აბა რა იცი?..

ქ ო თ ო – გითხრა?

ხ ო ს რ ო – ჰო!

ქ ო თ ო – სამახარობლოსაც მომცემ?

ხ ო ს რ ო – ბატონი ხარ!

ქ ო თ ო – იცი, რას მოგთხოვ სამახარობლოს?

ხ ო ს რ ო – ჰო, კარგი! რაც გენებოს, ოლონც კი სთქვი და გაათავე!

ქ ე თ ო – ჩემ ძმას იჯარაში ზარალი უნახავს, რაც ფულები
ჰქონდა, წაუგია და ჩემი ფულებიც თან მიუყოლებია... გაკოტრებ-
ულა.

ხ ო ს რ ო – მერე და ეგ რა გასახარელია?

ქ ე თ ო – არა... ძმა კი მეცოდება, მაგრამ მე კი ჩემდათავად
ძალიან კმაყოფილი ვარ.

ხ ო ს რ ო – (შემკრთალი) რა ხუმრობაა?!

ქ ე თ ო – ახლა მე უმზითვო ქალი ვარ!.. შენც ხომ ეს გინდოდა?
მ ა რ ო – გეთაყვა, მანდ სასიხარულო რა არის?

ქ ე თ ო – ეს სულ იმას მეუბნებოდა: „ნეტავი შენ მზითვი არა
გქონოდა; ჩვენ ჩვენის შრომითაც შეგვეძლო თავი გვერჩინაო; ახლა
რომ მზითვიანი ხარ, შეიძლება შენცა და სხვებმაც ბევრმა გაივლოს
გულში, რომ ფულისათვის მიყვარხარო“. მე, რასაკვირველია, ეჭვი
არ მომივიდოდა, მაგრამ ზოგიერთები კი სხვაგვარად ჰყიქრობდენ
და ახლა ხომ დარწმუნდებიან! განა, ხოსრო?

ხ ო ს რ ო – (გამოვხიზლდება) ჰმ!.. რაო? ჰო, რასაკვირველია!
რასაკვირველია! (ელიმება ძალატანებით)

ქ ე თ ო – ეგ კიდევ არაფერი! მეორე კიდევ უფრო სასიამოვნოა,
მაგრამ აქ არ გეტყვი. მაჩვენე ყური. (ეჩურჩულება. ხოსრო შეკრთება)
გზაში ვიგრძენი... ხომ გიამა?.. ა?.. მაგრე რათ გაშტერდი? თითქოს
ეწყინაო!.. (მაროს) ვიცი, ვიცი... მივხვდი, ამან ასე იცის... ვითომ და
არ მიამაო! სამახარობლო უნდა შეირჩინოს... განა? მე ჩემი სამახ-
არობლო უნდა ავილო!

(მივარდება და ჩამოეკიდება ყელზე)

ნ ი კ ო – ფხებუუუ!! (აიტეხს სიცილს)

მ ა რ ო – ახლა კი ჩემსკუნ დატრიალდა ბორბალი!

ფ ა რ დ ა

სცენა პირველი

აზიურად, მდიდრულად მორთული ოთახი ხოსროს სახლში.

გამოსვლა პირველი

ხ ო ს რ ო და ზ ა ქ ა რ ო შემოდის

ხ ო ს რ ო – (სტრონგი ზის და სწერს. ცოტა ხნის შემდეგ ზარს რეკავს.
ზაქარო შემოდის) ზაქარო!

ზ ა ქ ა რ ო – ბატონი!

ხ ო ს რ ო – იყავი?

ზ ა ქ ა რ ო – გახლდით.

ხ ო ს რ ო – შეიტყვე რამ?

ზ ა ქ ა რ ო – როგორ არა! ალარავინ ალარ დადის მისას. დამწყვ-
დეულია კარდაკეტილში, მისთვის ალარც მოახლეა და ალარც ძიძა.

თვითონვეა ყოველიფერი.

ხ ო ს რ ო – გადაეცი?

ზ ა ქ ა რ ო – გადავეცი, მაგრამ, რომ ვუთხარი თქვენგან იყო,
ალარც კი გახსნა... ცხვირ-პირში მახალა.

ხ ო ს რ ო – სჩანს, რომ ჯერ კიდევ კარგად არ წვევია გაჭირვება.

ზ ა ქ ა რ ო – განა მეტიღა შეიძლება? შიმშილით ფერი დაპ-
კარგვია.

ხ ო ს რ ო – მაშ, რატომ არ მიიღო?

ზ ა ქ ა რ ო – რა მოგახსენოთ!

ხ ო ს რ ო – მაკლდეს მისი მოწყალებანი. ადრე თუ გვიან დათანხ-
მდება. (დადის დაფიქრებული) ის კაცი, წელან რომ მოვიდა, აქ არის?

ზ ა ქ ა რ ო – აქ გახლავსთ.

ხ ო ს რ ო – უთხარ, შემოვიდეს.

ზ ა ქ ა რ ო – ბატონი ბძანდებით. (ზაქ. მიდის, ხოსრო სწერს)

ს რ ს რ მ დ ა ბ ა ლ დ ა ს ა რ

ს ო ს რ მ – ბალდასარ!

ბ ა ლ დ ა ს ა რ – ბატონო, შენი ჭირიმე!

ს ო ს რ მ – ხომ იცი, ვინა ხარ? რას გაჩუმებულხარ? დაგავი-
წყდა? შენ ხარ ხეჩო ხეჩატურიანი, საკატორლო, ავაზაკი, ციხიდან
გამოქცეული, გესმის?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – ვიცი, ჩემო ბატონო!

ს ო ს რ მ – დღეს ბალდასარ ბუდალოვი ხარ... და ხომ იცი, ვინც
გაგიკეთა ეგ ქალალდი?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – თქვენ, შენი ჭირიმე!

ს ო ს რ მ – მაშ უნდა გახსოვდეს, რომ შენი სული ჩემ ხელშია.

ბ ა ლ დ ა ს ა რ – განა არ ვიცი?

ს ო ს რ მ – ჩემი გულისათვის წყალშიაც უნდა ჩავარდე და
ცეცხლშიაც დაიწვა.

ბ ა ლ დ ა ს ა რ – მზათა ვარ, შენი ჭირიმე... განა თავს ვზოგამ?

ს ო ს რ მ – მაშ, კარგი!.. სატუსალოში იყავი?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – გახლდით.

ს ო ს რ მ – ნახე?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – ვნახე.

ს ო ს რ მ – რაო?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – ორასს იძლევა.

ს ო ს რ მ – რვაასიდან? მიჰექარავს! ორასი თვითონ დაიტოვოს
ხელის მოსანაცვლებლად, რომ მეორედაც კიდევ გაებას... ექვსასი
გამოართვი და გამოუშვებ.

ბ ა ლ დ ა ს ა რ – ვეცდები და იმედიცა მაქვს.

ს ო ს რ მ – სამაგიეროდ ვის ამზადებ?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – ერთი საწყალი სოფლელი გახლავსთ.

ს ო ს რ მ – მთხრობელიც გამოჩნდა?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – მყავს.

ს ო ს რ მ – მოწმებიც?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – მზათ გახლავან.

ს ო ს რ მ – ჩვენება ხომ არ დაეპნევათ?

ბ ა ლ დ ა ს ა რ – როგორც თქვენ ასწავლით, ისე იტყვიან;
პირველი ხომ არ გახლავსთ.

ახალი გმირი

ხ ო ს რ ო – მაშ კარგი, ხვალვე შეუუდგეთ საქმეს. შეგიძლია წახ-ვიდე. (ბალდასაარ მიდის)

ხ ო ს რ ო – (მარტო) არ მიდის ურიგოდ ჩემი საქმე: უფროსები კარგის თვალით მიყურებენ და ანკი რა ძნელია მათი მოტყუება! მერე შენზე ვინც რა უნდა სთქვას, ალარ დაიჯერებენ... დიახ!.. ჩემი გამომძიებლობის სახელი თანდათან განთქმულია... ეს ერთი გამოძიებაც კიდევ სახელს მომიმატებს... მეც ხელცარიელი არა ვრჩები! (ადგება და დადის) „ცოდვაო“ იტყვიან. რას მიქვიან ცოდვა, მადლი? ესეები ყველა უგუნურების შესაშინებლად არის გამოგონებული: კაცობრიობისათვის სულერთი არ არის, პეტრეს იცნობენ დამნაშავეთა და მიახრინებენ, თუ პავლეს?.. ან ერთით რა დააკლდება ქვეყანას?.. (დაფიქრდება) თუ ჩემ საქმესაც მოვრჩი როგორმე!.. ჰმ, ახირებულია ჭეშმარიტად! ბიძამისს, როგორც იქნა, გადავრჩი და ახლა თვითონ ქალი ამტეხია: გინდა თუ არა, ჯერ იმას გაუთავე საქმეო. გააფთრებულ დედაკაცთან საქმის დაჭერას ტარტაროზის ჩხუბი სჯვობია. (საათს სინჯავს) ოჳ, შვიდი შესრულებულა, დრო არის წავიდე. ზაქარო! ზაქარო!..

გამოსვლა მესამე

ისივე და ზ ა ქ ა რ ო

ხ ო ს რ ო – დღეს პოლიციელი ხომ არავინ ყოფილა ჩემთან?

ზ ა ქ ა რ ო – არავინ გხლებიათ.

ხ ო ს რ ო – არც სხვა ვინმე?

ზ ა ქ ა რ ო – ქალი გახლდათ პირბადიანი, მაგრამ გავაბრუნე...

ხ ო ს რ ო – პირბადიანი? ჴო, ვიცი ვინც იქნებოდა! (თავისთვის) მარო უნდა მოსულიყო... გესმის შენ, ზაქარო!.. მე ცოტა ხნით სხვა-გან მივდივარ და, თუ ის ქალი კიდევ მოვიდეს, სთხოვე მომიცადოს! სხვა მის მეტი აღარავინ მიიღო!

ზ ა ქ ა რ ო – (ღრეჯით) ბატონი ბრძანდებით!..

ხ ო ს რ ო – მოიტა შლიაპა! პალტო!.. (იცვამს) ახლა ჯოხიც! აბა, თვალყური უგდე აქაურობას. (მიდის)

ზ ა ქ ა რ ო – – (მარტო) რა ყოჩალი რამ არის ალა! დილიდამ საღა-მომდე სულ საქმეშია ერთავად... რამდენი კაცი და ქალი აქ იმასთან მოდის, ანგარიში არა აქვს! მაგრამ, ის ერთი რომ მოდის, ის ვინდაც პირბადიანი, ის სულ სხვა არი. ამასწინედ ბევრი ვუჭვრიტე გარედან:

ახალი გმირი

რას შვრებიან-მეთქი, მაგრამ არა... ისეთის მოწინებით ემუსაიფე-ბოდა აღა, რომ თითქოს არქიელიაო! ნეტავი, ვინ უნდა იყოს და რათ მოდის? (ისმის ზარის რეკა) ეჰ, ვიღაც გაჩნდა! ეგება ისიც იყოს. (გარბის. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მოისმის) მოპრძანდით! გთხოვთ, მოიცადოთ... მეც მიპრძანა: სხვას ნულარავის მიიღებო, მობძანდი... მო...

გამოსვლა მეოთხე

ქ ე თ ო შემორბის სირბილით, პირბადით

ქ ე თ ო – უჲ, ძლივს მივაღებიე თავი... მომიცადეთო? ნეტავი ვის ელის? იჲ, ვინც უნდა იყოს, ჩემთვის ხომ სულერთია. მე კი დღეს უთუოდ უნდა დავაპოლოვო ჩემი საქმე, ან ავადა და ან კარგათ. (ისმის ზარის რეკა) ვიღაც მოვიდა... იმ ოთახში მოვიცდი. (მედის მეორე ოთახში, გარედან ზაქაროს ხმა) არ შეიძლება! ვერ შეგიშვებთ! ნაბძანები მაქვს, აღარ მიიღოო.

გამოსვლა მეცეთი

(მ ა რ ო შემოდის პირბადით და ზ ა ქ ა რ ო თან შემოჰყვება)

მ ა რ ო – რას ტუტუცობ? ის ჩემზე არ გიპრძანებდა! მე უნდა აქ მოვიცადო და შენ წადი, აღარავინ მიიღო ბატონის დაბრუნებამდე.

ზ ა ქ ა რ ო – თქვენ?! მაში ის ვინდა არის? (მიიხედ-მოიხედავს, თავისთვის) სად მიმალულა? ე რა მასკარადია! (გადის)

მ ა რ ო – რაებსა პბოდავს! ვინ სად მიმალულაო?

გამოსვლა მეექვსე

(ისივე და ქ ე თ ო გამოდის)

ქ ე თ ო – ვინა და მე! ჩემზე ანბობდა. (მარო შეკრთება) მან-გრე რათ შეკრთი? განა ვეღარა მცნობ? (მიუახლოვდება და პირბადეს აიხდის) აბა, შემომხედე!

მ ა რ ო – ქეთო!

ქ ე თ ო – დიახ, ქეთო! შენ კი პირბადეშიაც გიცნობ! მარო, კარგია რომ აქ მაინც შეგვდი.

ახალი გმირი

მ ა რ ო – (აიხდის პირბადეს) რა გნებავს?

ქ ე თ ო – სამჯერ ვიყავ შენთან და არ მიმიღე... წერილებს გიგ-ზავნი და უკანვე მიბრუნებ! რა მიზეზია?

მ ა რ ო – ის, რომ ჩვენის მეგობრობის კავშირი გაწყდა და საერთო ალარა გვაქვს-რა.

ქ ე თ ო – საერთო ალარა გვაქვს-რა, თუ საერთო რომ გვაქვს, მიტომ ვერიდებით ერთმანეთს?

მ ა რ ო – ეგეც შეიძლება.

ქ ე თ ო – კი, მაგრამ მე ხომ საჩხუბრათა და სასაყვედუროთ არ დაგეძებდი?

მ ა რ ო – მაშ, სამეგობროთა და საალერსოთ?

ქ ე თ ო – არც მაგისათვის! საქმე მქონდა: შენგან შემწეობას ვითხოვდი... დახმარებას.

მ ა რ ო – შემწეობას?

ქ ე თ ო – დიახ, როგორც უბედური ქალი ბედნიერისაგან.

მ ა რ ო – მაშ მითხარ, რა გინდა?! (ჯდებიან)

ქ ე თ ო – მარო! შენ ხომ იცი, რომ მე ხოსროს ვუყვარდი?

მ ა რ ო – სწორედ! მაგრამ ესეც ვიცი, რომ დღეს ალარ უყვარხარ.

ქ ე თ ო – არა თუ ალარ ვუყვარვარ, ვეზიზღები და მდევნის; დღეს შენ უყვარხარ და შენის მიზეზით აიღო ჩემზე ხელი.

მ ა რ ო – ისე, როგორც შენი მიზეზით ადრე მე მიმატოვა.

ქ ე თ ო – შეიძლება, მაგრამ შენი მაშინდელი მდგომარეობა და ჩემი ახლანდელი სულ სხვადასხვა არის... მაშინ შენ გიყვარდა ის შორიდან, უფლებამიუნიჭებლად და მე კი დედა ვარ! მისი მოშორებით შენ, გარდა სიყვარულისა, არასა ჰკარგავდი და მე კი ყოველიფერსა ვკარგავ.

მ ა რ ო – რა იცოდი, რომ სიყვარულის დაკარგვით მე ყოლიფერს არა ვკარგავდი?

ქ ე თ ო – გარეგნობა შენი... სახელი... სინიდისი და პატიოსნება, ყოლიფერი, რაც კი ადამიანისათვის საჭირო და ძვირფასია, შეუ-ბლალავი რჩებოდა... მე-კი დღეს ცოდვილი ვარ ქვეყნის თვალში და შვილის წინაც შემცოდე, დღეს ის შიმშილით მიკვდება.

მ ა რ ო – აკი გაძლია ხოსრომ ფულები?

ქ ე თ ო – მე ჩამი თავი განა გასასყიდათა და სავაჭროთ გამოვი-ტანე? მაგას როგორ ანბობ?

მ ა რ ო – (თანაგრძნობით) მაშ, მომეცი შენი შვილი და გაძლევ სიტყვას, ისე მოუარო, როგორც ნამდვილმა დედამ, ისე გამოვზარდო, როგორც შვილი.

ახალი გმირი

ქ ე თ ო – როგორ გეტყობა, რომ არ გამოგიცდია დედობა!.. სხვის კარზე უნდა დავაგდო ის ერთადერთი ჩემი ბედნიერება და ნუგეში გულიდგან ამოვიგლიჯო? არა, არა! ეს შეუძლებელია

მ ა რ ო – მაშ რა ვქნათ, ქალო?

ქ ე თ ო – შენ შეგიძლია, რომ ჩემ შვილს მამა დაუბრუნო და უკანონოს წოდება ააცდინო.

მ ა რ ო – (დაფიქრდება) ხელი ავიღო ხოსროზე? არ შემიძლია!. და, მე რომ კიდევაც მოვიშორო, დავსთმო, რა გამოვა? სიყვარულს მეორეთ მაინც ალარ დაგიბრუნებს.

ქ ე თ ო – მე მაგას არა ვსთხოვ! მხოლოდ ჯვარი დაინეროს ჩემზე.

მ ა რ ო – მერე მე?

ქ ე თ ო – შენ რასა ჰყარგავ? გამოვალთ თუ არა ეკლესიიდგან, ის მისთვის და მე ჩემთვის!

მ ა რ ო – მერე და ნება ალარ ექნება...

ქ ე თ ო – (აწყვეტინებს სიტყვას) მე ჩემს თავზე ალარ ვფიქრობ, მხოლოდ შვილზე ვზრუნავ. (ათროთოლებულის სმით) გაძლევ პატიოსან სიტყვას... გავწირავ ხელმეორედ ჩემს თავს... ვიკისრებ ყოველიფერ საძაგლობას და ჩემის უნამუსობის დამტკიცებას ხელში ჩავუგდებ, რომ კანონიერად გაყრა შესაძლებელ იქნეს... მაშინ... მაშინ... ხომ ნება ექნება შეგირთოს. (ტირის) აი, ამას გთხოვ, როგორც უბედური დედა და საუკუნოდ ბოლომოლებული ქალი. (ტირის).

მ ა რ ო – (ცრემლებს იწმენდს) საცოდავი და საბრალო! ოპ, ღმერთო! რათ გაგიჩენია სიყვარული? (გადაეხვევა) ქეთო! ჩემო ქეთო! რატომ არ შემიძლია, რომ გიშველო რამე!..

გამოსვლა მეშვიდე

ისინივე და ხ ო ს რ ო შემოდის

ხ ო ს რ ო – ჰა, ეს რა ამბავია? მარო! რა უნდა შენთან ცბიერს? როგორ არა გრცხვენიან, მაგ ცრუსა და მატყუარას აპყოლიხარ! (ქეთოს) ვინ მოგცა ნება აქ შემოსვლისა? ზაქარო! ზაქარო!

მ ა რ ო – (მეფიდურად) მე... მე შემოვიყვანე!

ხ ო ს რ ო – (გაკვირვებით) შენ?!.

მ ა რ ო – დიახ, მე! და გაძლევ სიტყვას, სანამ ამას არ გაუთავებ საქმეს, მე და შენი ცოლქმრობა არ მოხერხდება!..

ახალი გმირი

ს ო ს რ ო – მარო! რას ამბობ!.. როგორ თუ...

მ ო რ ო – მითქვამს და გამითავებია! მე ჩემს სიტყვას აღარ შევშლო. მშვიდობით (გადის)

ს ო ს რ ო – (გამოეკიდება) მოითმინეთ... გამიგონეთ!..

მ ო რ ო – არა, არა! უნდა გაასწოროთ საქმე! (გადის).

ს ო ს რ ო – (დადის აღელვებული, მერე მივა და დაადგება ქეთოს თავზე) ეგ გინდოდა რაღა?

ქ ე თ ო – რაც მინდა, კარგად იცი!..

ს ო ს რ ო – დედაკაცო! ქაჯი ხარ, თუ გველეშაპი? მძულხარ, მეზიზლები, არ მიყვარხარ და ვერ გავიგე, რას ჩამციებიხარ? რას მეღობები გზაზე?

ქ ე თ ო – მე შენ სიყვარულს არა გთხოვ, მინდა, რომ მოგაგონო შვილის შესახებ შენი მოვალეობა, როგორც მამას.

ს ო ს რ ო – რა მოვალეობა? გაბარების ნებას არ მაძლევ და ფულს არ იღებ.

ქ ე თ ო – ეგ არის განა მოვალეობა? ადრე მაგრე არ მიხსნიდი.

ს ო ს რ ო – მაშ, რა გინდა?

ქ ე თ ო – მე დამიბრუნე სახელი და შენს შვილს გვარი მიეცი!

ს ო ს რ ო – ხა! ხა! ხა! რა ცოტასა მჯერდები!..

ქ ე თ ო – მერე მივიღებ ჩემს თავზე ყოველსავე მიზეზს, რომ გაგეყარო და შენ კი ნება მოგეცეს ცოლის შერთვისა.

ს ო ს რ ო – ეგ სად დაგარიგეს?

ქ ე თ ო – ამით შენ რასა ჰკარგავ?

ს ო ს რ ო – იმას, რომ მეზიზლები, შენი დანახვაც კი მეზარება.

ქ ე თ ო – შვილმა რაღა დაგიშავა?

ს ო ს რ ო – ვინ შვილია? რას ანბობს? დაგიჯინია: შვილი და შვილი! რა ვიცი, რომ ჩემი შვილია?

ქ ე თ ო – (აღელვებით) ახლა იმასაც უარჲყოფ?

ს ო ს რ ო – საფუძველი არა მაქს, თუ? ქალი რომ ერთს უკანონოდ გაჰყვება, ის სხვებსაც არ უარჲყოფს!

ქ ე თ ო – უსინდისოვ! პირუტყვო!.. მემართლები მაგას?!?

ს ო ს რ ო – გთხოვთ, გაბძანდეთ აქედან!

ქ ე თ ო – ტფუ!..

ს ო ს რ ო – არ გინდა გახვიდე ნებით?.. მაშ კარგი! ზაქარო! ზაქარო! (შემოდის ზაქარო) გაათრიე და დაუკეტე კარები!

ქ ე თ ო – (რევოლვერს ამოილებს, სანამ მობრუნდებოდეს ხოსრო და მიუმიზნებს) ახლა კი უნდა გავსწორდეთ! (დააცემინებს ჩახმახს და არ გავარდება).

ახალი გმირი

ს ო ს რ ო – რას შერები?! (მივარდება და გამოჰვეჯს რევოლუცერს) დაიჭი, ბიჭო! ვერა ხედავ, მოკვლას გვიპირებს?! (იჭერენ).

გამოსვლა მერვე

ისინვე და ა რ ჩ ი ლ შემოდის

ა რ ჩ ი ლ – ეს რა ანბავია?

ს ო ს რ ო – (შეშინებული უშვებს ხელს და ჩამოდგება) ააა! შეთქმულობაა?..

ა რ ჩ ი ლ – – ნუ გეშინიან, შენს მოსაკლავად არ მოვსულვარ. (ქეთოს) ეს რა ამბავია?

ს ო ს რ ო – მოსაკლავად შემომიხტა! აი, დახედე ამ რევოლუცერს.

ა რ ჩ ი ლ – არ გემართლება, თუ!..

ს ო ს რ ო – მაშ, თქვენ დაარიგეთ?

ა რ ჩ ი ლ – – სსსუუუ! ორ ვაჟკაცს გაგიკავებიათ ერთი ქალი და არც კი გრცხვენიათ. ქეთო! ეს რა მოგსვლია?.. აქ რა გინდოდა?.. ვის სახლში შემოგიდგამს კიდევ ფეხი?!!

ქ ე თ ო – (აშფოთებული) მინდოდა შვილის თაობაზე მომელაპარაკნა... და მაგან კი შეურაცხყოფა მომაყენა... მაშ

ა რ ჩ ი ლ – – აკი გითხარი, რომ მე მოველაპარაკები-მეთქი. მაშ მე რაღათ მოვდიოდი, თუ არ მაგ აზრით?

ს ო ს რ ო – ვიცით, რა აზრითაც!.. აი, დამტკიცება.

ქ ე თ ო – უარს ჰყოფს შვილსაც.

ა რ ჩ ი ლ – და შენ კი განა სხვა რასმეს მოელოდი მაგ უსინდისოსაგან?

ს ო ს რ ო – მოწყალეო ხელმწიფევ!..

ა რ ჩ ი ლ – სსსუუუ! შენ არ გელაპარაკებიან!

ს ო ს რ ო – ჩემ სახლში?

ა რ ჩ ი ლ – სსსუუუ! გაწუმდი!.. შენ გინდა, რომ მაგან გვარი დაუმტკიცოს და სახელი მისცეს შენს შვილს? შემცდარხარ! მაგისთანა მამის სახელის ტარებას ყოველგვარი ბიწიერება სჯობია!.. შვილს რათ არცხვენ მაგითი? დეე, ისევ უთვისტომოთ დარჩეს და ღვთის შვილათ!.. ნავიდეთ... ნავიდეთ! აქ შენი ადგილი არ არის! (მიდიან)

ს ო ს რ ო – (გაანჩხლებული გამოუდგება) ნამეტან ნებას აძლევ შენს თავს... მე შენ ვერ დაგითმობ!..

ა რ ჩ ი ლ – (მიუბრუნდება) იქით! შე საზიზლარო! (მიდიან)

ახალი გმირი

გამოსვლა მეცნიერების

ისინივე, გარდა არჩილ და ქეთოსი

ხ ო ს რ ო – (ზარდაცემული დგას დიდხანს. ზაქარო შეჰყურებს) ზაქარო!

ზ ა ქ ა რ ო – ბატონო!

ხ ო ს რ ო – ჰმ, ხედავ რა ანბავია?

ზ ა ქ ა რ ო – ე რა ოხერი ვინმე ყოფილა, შენი ჭირიმე!

ხ ო ს რ ო – (ილებს პორტმანს და ფულებს აძლევს) ზაქარო! აჲა, ეს შენი საჩუქარი.

ზ ა ქ ა რ ო – რათა, შენი ჭირიმე?

ხ ო ს რ ო – სიკვდილს რო გადამარჩინე.

ზ ა ქ ა რ ო – მე, ბატონო?

ხ ო ს რ ო – დიახ, შენ... ქურდულად შემომეპარენ, ზურგზედ რევოლვერი მომადეს და მოკვლას მიპირობდენ.

ზ ა ქ ა რ ო – როდის, შენი ჭირიმე?

ხ ო ს რ ო – მაგრამ იმ დროს შენ მოასწარ თვალი და გადამარჩინე სიკვდილსა. გესმის?

ზ ა ქ ა რ ო – (მიხვდება) სწორეთ მანგრე გახლდათ! შემოვიდა ქალი...

ხ ო ს რ ო – ქალი არა, ტუტუცო!... ის კაცი... კაცი... და, თუ შენ არა, ახლა მკვდარი ვიქნებოდი.

ზ ა ქ ა რ ო – სწორედ, თქვენი რისხვა ნუ მომეცემა... თუ მე არა...

ხ ო ს რ ო – ჰო, კარგი, ახლა ბევრს კი ნულა მოჰყვები! კიდევ მიიღებ საჩუქარს...

ზ ა ქ ა რ ო – გმადლობ, ჩემო ხელმწიფევ!

ხ ო ს რ ო – ახლა ნადი და სხვებსაც შეატყობინე. (დაფიქრდება) ესეც კიდევ ერთი დუშაში!.. გაეხა!.. (მიდის)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

სცენა პირველი

უკიდურესად ღარიბი ოთახი, სარდაფისგვარი. კუთხეში ბავშვის კრაოტი დგას.

გამოსვლა პირველი

ქ ე თ ო – (საკერავი უძევს წინ სტოლზე და თითებზე სულს იბერავს) ნევსს ხელს ველარ ვაკარებ. თითო თითზე ვერ მიმიტანია. უჰ, რა სიცივეა (წამოდგება). მივიდე, ვნახო, რასა შვრება. (მიდის კრაოტთან და დაპყურებს) ფშვინავს... ღმერთო, კეთილად შეარგე ეს ძილი! მაგრამ მარტო ძილით რა გამოვა? ორი დღეა ამის პირში არა ჩასულა-რა. (ცრემლებს იწმენდავს) ზედა სართულში, იქ, მაღლა, ბეჭნიერი ცოლ-ქმარი სცხოვრობენ განცხრომით და ვერა გრძნობენ, რომ აქ, ძირს, მათ ჭერქვეშ, აყროლებულ სარდაფში, უბედური დედა-შვილი სიცივითა და შიმშილით კვდებიან. წავიდე ერთი, საკერავი მოვათაო, რომ ეგება წამლის ფასი მაინც ავილო. (მიდის და მიუჯდება საკერავს; რომ დაიწყებს, ნემსი ეჩხვლიტება ხელში) ჰითი! (თითზე იკენს და შეჩერდება) რა უსამართლოა ქვეყანა! ეს, ვთქვათ, რომ მასავ-ლებლათ სახლში არავინ შემიყვანს, არც არავინ შვილს მომაბარებს, ამას ქვეყნის ფარისევლობა მოითხოვს, მაგრამ საკერავსაც რომ არ მაძლევენ? გადასაწერიც რომ ვეღარ მიშოვნია? თითქოს გადამდები რამე მჭირდეს და ეშინიათ, ჩვენც არ გადმოგვედოსო. ოჸ, ღმერთო ჩემო! მოვიკლავდი თავს, მაგრამ ეს ვის უნდა დავუტოვო? მათხოვ-რობა დავიწყო? როგორ უნდა მოვახერხო, რომ დღე მრცვენიან და ღამე მეშინიან, და ან კი ვინ გამომინოდებს სამოწყალოდ ხელს, ვის შევებრალები? ოხ, ღმერთო! ღმერთო! თუ მე მართლა ისეთი შემ-ცოდე ვარ, მარტო მე გადამახდევინე და ჩემს შვილს ნუ მოჰკითხავ! (თავს ჩასდებს საკერავში)

გამოსვლა მეორე

იგივე და 6 ე 6 ე შემოდის

6 ე 6 ე – ჰა! აქა მშვიდობა! რასა იქ, შვილო! (ჩადრს მოიხდის, მიბრუნდება კუთხისკენ და დადებს).

ახალი გმირი

ქ ე თ ო – (თავისთვის) უჲ, კიდევ მოვიდა ეს შეჩვენებული?

ნ ე ნ ე – (მოპრუნდება) პატარა როგორა გყავს?

ქ ე თ ო – წუხელი მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭავს და დღეს კი სულ ძილათ არის მიგდებული.

ნ ე ნ ე – ჰო, ეგ კარგი ნიშანია! ღმერთმა გაჩუქოს, შვილო, ღმერთმა! სხვა, საკერავიც გიშოვია?

ქ ე თ ო – ვიშოვე, მაგრამ, რომ ველარა ვკერავ, სიცივემ ხელები დამაყრევინა.

ნ ე ნ ე – მერე, ვისი ბრალია, შვილო? რათ იჭირვებ საქმეს?

ქ ე თ ო – რა ვქნა, ასე მოუტანია ჩემს ბედს.

ნ ე ნ ე – ბედს რას აბრალებ: ის კარზე მოგდგომია, მაგრამ შენ კი წიხლსა სცემ.

ქ ე თ ო – თუ ღმერთი გწამს, მაგაზე ლაპარაკს ნუ დამიწყებ.

ნ ე ნ ე – რატომ, შვილო! იმდენი იხარე, რამდენი სული მაგისთანა ბედს შენატროდეს.

ქ ე თ ო – და ღმერთმაც მათ მისცეს.

ნ ე ნ ე – სად არის, შვილო! ბედი ყველას ხომ არ მიადგება კარზე. ათასში ერთათან მიაწყდება და, თუ პირი აბრუნებიეს, მორჩა და გათავდა!.. მეორეთ კი ალარ მიეძალება. აბა, შვილო, კარგად იფიქრე.

ქ ე თ ო – გეთაყვა, კიდევ გაგიმეორებ, მაგგვარ რამეებს თავი დაანებე!

ნ ე ნ ე – ქა, რათაო? გული შემტკივა შენზე, შვილო, და დედაშვილურად მიტომ გირჩევ, თორემ მე რაო? აბა, რა არის შენი ყოფა? შენ, თუ გინდა, შენს თავს ალარ ჰზოგავ, მაგრამ ი შვილი მაინც ალარ გენანება? იმეტებ? ცოდვა არ არის, რომ იმისთანა ანგელოზი უპატრონოთა კვდებოდეს? (ქეთო ტირის) არა, შვილო, შვილსაც უპატრონე და შენ თავსაც გაუფთხილდი. ჰო, ჩემი სულის ცხონებამ!.. ვარდივით გიყვავოდა ეგ ლოყები და ეხლა რასა გევხარ? ზაფრანის ფერი გაძევს! აფსუს, ქალო! ღმერთს კიპაჟის ქალათ გაუჩენიხარ და შენ კი...

ქ ე თ ო – ოხ, ღმერთო ჩემო! მე წამალზედა ვფიქრობ, დოქტორი მენატრება და ეს კი ეკიპაჟებზე მელაპარაკება.

ნ ე ნ ე – მაშინ წამალიც იქნება და დოქტორიც... „თაფლი იყოსო, თორემ ბუზი ბალდადიდანაც მოფრინდებაო!“ ფული იყოს, თორემ დოქტორები რამდენიც გინდა, თვითონ ჯანაოზ ექიმიც წამოდგება საფლავიდან. ჰო, დედაშვილობამ... არა, შვილო, არა! მე შენ ურიგოს არას გირჩევ! ის სულ სხვა კაცია. იცი, კიდევ რას გეტყვი... დედაშვილობამ, თუ თავს კარგად დაიჭერ, ახლა კარგად როგორ? აშკარა

ახალი გმირი

ნურა იქნება-რა, თუ თავს კარგად დაანახვებ, შეიძლება კიდეც
შეგირთოს. ჰო, დედაშვილობამა!

ქ ე თ ო – რაები მესმის და რა უნდა ავიტანო! (ხელებს იმტვრევს)

ნ ე ნ ე – ვინ ანბობს... მართალია, შვილო, ახლანდელ დროში
კაცი ძნელი სანდობია, მაგრამ ის სულ სხვა კაცია! ღვთისნიერი,
პატიოსანი... სული წამინდეს, თუ მე რამე მეთქოს, ისე თავისთავათ
ამოიღო ათთუმნიანი და გადმომცა... შენი სახლის ქირა გამორიცხე
და დანარჩენი იმას მოახმარეო... ჰა, შვილო, ესეც შენი შვიდთუმან-
ნახევარი. (დაუდებს ფულს წინ)

ქ ე თ ო – (ხელსა ჰკრავს ფულებს და განაბნევს) დამანებე თავი! ვერ
შეიტყო, რომ...

ნ ე ნ ე – ქა, ე რა ბიაბრობაა?.. შენთვის თუ მეტია, ჩვენ რაღას
გვერჩი? (ახვეტამს ფულებს)

ქ ე თ ო – უსირცხვილო!

ნ ე ნ ე – ქა!

ქ ე თ ო – უნამუსო!

ნ ე ნ ე – ქა! ქა, უი, დამიდგეს თვალები! ე რა ესმის ჩემს ყურებს?
„უნამუსოო!!“ ვისგან მესმის და ვინ მიბედავს? ვერა ჰქედავთ ამ
ლირფსა და აბარს? თვითონ ნაბიჭვრებით სახლში შემომეჩირა და
მე მეძახის „უნამუსოს!.. ცხონებული ჩემი თათუას მეტს ჩემი გვერდი
თუ ვისმეს ენახოს, ე სული წამინდეს!.. და ე რაები მესმის, ქა, უნა-
მუსოო!

ქ ე თ ო – მაშ რა გინდა ჩემგან, რომ ამტეხიხარ?

ნ ე ნ ე – როგორ თუ რა მინდა? ჩამომესახლე და ქირასაც აღარ
იძლევი?

ქ ე თ ო – ვიშოვნი როგორმე და მოგცემ... ხომ გითხარი?

ნ ე ნ ე – მიშოვნი? თუ არ დაგიშლია, ციდან ჩამოგიყრიან დოკ-
ლათს!..

ქ ე თ ო – დამაცა ჯერ! ან მოკვდეს და ან მორჩეს ეს ჩემი შვილი
და მაშინ მეც ხელგახსნილი ვიწერბი, შეიძლება საქმე გავიჩინო.

ნ ე ნ ე – როგორ არა! ნაჩალნიკობას მოგცემენ შენ ზავედე-
ნიაში! მაგას რომ ვუყუროთ, ვინ იცის რამდენს ხანს გასტანს. ეგება
სულ მანგრე იკნავოს ძალის ლეკვივითა... არა, შვილო, დამიცალე
ჩემი ოთახი! გიუ ვიყავ, რომ აქამდისაც დაგაყენე... ხათრს გინახ-
ამდი... მებრალებოდი, სხვას არ ვაძლევდი... მუშტრები დღენიადაგ
კარზე მადგნენ... ჰმ... უნამუსოო!.. მადლობის მაგიერია... დღესვე
დამიცალე, თორემ ხვალ პოლიციას გავაყვანიებ შენს თავს! (მიდის
გაანჩხლებული) უნამუსოო, საუცხოვოა!..

ახალი გმირი

გამოსვლა მესამე

3 ე თ ო მარტო დგას თავზარდაცემული

ქ ე თ ო – მაგდებს სახლიდან!.. მომაკვდავი შვილი კნუტივით უნდა გადამიგდონ ქუჩაში! არა, არა, მართალი მითხრა იმ შეჩენებულმა: „რა ნება გაქვს, რომ შვილი გაიმეტო?“ რა დროს თავმოყვარეობაა და პატიოსნებაზე ფიქრი?.. არ მინდა კალიასკა, სიმძიდრე, ფული... საცხოვრებელი... მხოლოდ წამლის ფული, წამლის... ექიმის მისაცემი... წავალ... წავალ და დავეთანხმები. (გარბის. მიადგება კარებს, შეჩერდება, მობრუნდება) არა, არა! არ შემიძლიან, არა! (ტირის) ნუთუ სხვა საშუალება აღარა არის-რა? ჰა! (გაახსენდება) მაროსთან ავალ, მაროსთან, იძას დავუჩოქებ!.. მუხლებზე მოვეხვევი, არ შემიბრალებს? (დაფიქრდება) შე... მი.... ბრალებს? ხა, ხა, ხა, ხა! სამოწყალოს მომცემს... ანკი ვინ შემიშვებს იმასთან? ვინ მაჩვენებს? (დაფიქრდება) არც ერთი და არც მეორე! ისევ სიკვდილი, მაგრამ შვილი? ის ვიღას დაუტოვო? ნუთუ ქვეყანაზე მადლიანი ვინმე აღარ მოიპოვებოდეს?.. ეგება ჩემი შვილი აბრკოლებდეს დღეს იმის ბეჭ-საც და, მე რომ აღარ ვიქნე, მაშინ გამოჩნდეს ვინმე და შეიბრალოს... დიახ, ჩემი ბრალია!.. მაშინ კი უპატრონებენ... სიკვდილი! სიკვდილი-ლა ერთადერთი ხსნა. (მიიჭრება კრაოტთან, დაიჩოქებს შვილის წინ და ფეხთან თავს დაადებს).

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და ნ ე ნ ე და ა თ ი კ ო შემოდიან

ნ ე ნ ე – ის ორი ოთახი ხომ მოგეწონათ, ესეც მესამე იქნება... დღეს თუ ხვალ დავაცლევინებ.

დ ა თ ი კ ო – რა შვილია! ეს განა ოთახია?

ნ ე ნ ე – რატომ არა, შვილო, შპალიერი აიკვრის, პოლი გაიწმინდება, მებელი დაიდგმის და სულ სხვა იქნება მაშინ.

ქ ე თ ო – (თავს აიღებს) ეს ხმა!.. (მოიხდავს) დათიკო! (ნამოდგება)

დ ა თ ი კ ო – (შემკრთალი) ქეთო!.. შენა ხარ?

ქ ე თ ო – საიდგან?

დ ა თ ი კ ო – რა დაგმართია? ეს რა ანბავია? შენ აქა ცხოვრობ, ამ ოთახში? როგორ აგიტანია?

ქ ე თ ო – მე კი ავიტანე, მაგრამ პატარა კი მიკვდება.

დ ა თ ო კ ო – შვილი?

ქ ე თ ო – დიახ, მისთვის არც წამალია და არც ექიმი.

დ ა თ ო კ ო – ნუ გეშინიან!.. ყველაფერი იქნება... დაჯე, გული მოიბრუნე. ან ღმერთი მოწყალეა. (დასვამს სკამზე, ბუმაუნიკს იღებს, იქიდან ქალალდას იღებს და სწერს) დედი! არ შეიძლება ეს ვისმეს გაატანოთ, რომ საავადმყოფოში მიიტანოს? აქვეა, ახლოს.

ნ ე ნ ე – აბა, შვილო, ვინა მყავს?!

დ ა თ ო კ ო – ვინც იქნება, აი ეს ერთი მანათი მიეცი და მიიტანს... (აძლევს)

ნ ე ნ ე – ვის ვიცნობ... არა, შვილო! რა გაეწყობა, ისევ მე წავალ... ქრისტიანობაა... განა ურჯულობა, გაჭირვებულს უნდა დავეხმაროთ. (მიდის)

ქ ე თ ო – რამ მოგიყვანა?

დ ა თ ო კ ო – შემთხვევამ: ეს ორი დღეა, რაც დავბრუნდი და თახებს ვეძებ საქირაოთ.

ქ ე თ ო – სჩანს, კიდევ არ განუწირივარ ბედს!.. თუ შენ არ მოსულიყავ...

დ ა თ ო კ ო – (აწყვეტინებს სიტყვას) რა მოგსვლია?.. მანგრეუბატრონოთ!.. როგორ ვერავის შეატყობინე?

ქ ე თ ო – რა მექნა?.. ყველა გამშორდა! შენ იმერეთში მეგულებოდი, ნიკო სოფელში წასულა და არჩილ კი ციხეშია... ისიც კიდევ ჩემის მიზეზით.

დ ა თ ო კ ო – აღარა! რამდენი ხანია, რაც გამოუშვეს... მონმებმა ჩვენება დააბნიეს და გამომძიებელმა მოსასპობლად გადასცა საქმე.

ქ ე თ ო – გმადლობ, ღმერთო!

დ ა თ ო კ ო – იმასთან გავგზავნე...

ა რ ჩ ი ლ ი ს ხ მ ა – აქ შეიძლება ცხვირ-პირი დაიმტვრიოს კაცმა.

ნ ე ნ ე ს ხ მ ა – არა, შვილო, აქეთ წამოდი, აქეთ, მე მომყევ!

გამოსვლა მაცხოვი

ისინივე, ა რ ჩ ი ლ და ნ ე ნ ე შემოდიან

ა რ ჩ ი ლ – ქეთო?! ეს რა ანბავია? სად დამდგარხარ? (ხელს ართმევს) ავათა ხარ?

ახალი გმირი

ქ ე თ ო – არა, მე კი კარგადა ვარ, მაგრამ...
ა რ ჩ ი ლ – მაშ ვინაა ავათ?

დ ა თ ო კ ო – პატარა ჰყავს შეწუხებული.

ა რ ჩ ი ლ – აბა, სად არის?

ქ ე თ ო – აი, იქა სძინავს. დილას აქეთ თვალი არ გაუხელია.

ა რ ჩ ი ლ – ვნახოთ! (მიღის და სიწვამს) ჰმ!..

ქ ე თ ო – რას ატყობ?

ა რ ჩ ი ლ – ფეხები გაცივებული აქვს... დედი, არ შეიძლება ცოტა
ქატო გააცხელოთ პარკით?!

ნ ე ნ ე – სადა მაქვს, შვილო, ქატო?

ა რ ჩ ი ლ – არც აგური? ის მაინც გააცხელეთ.

ნ ე ნ ე – მაგას კი ვიშოვი.

ა რ ჩ ი ლ – შენ წადი, ქეთო, უფრო მალე იქნება... სალფეთქში
გამოხვიე და გამოიტანე. (ქეთო მიღის, ნენეც თან გაჰყვება)

დ ა თ ო კ ო – რას ატყობ? როგორ არის?

ა რ ჩ ი ლ – რალა როგორ არის? ნელჭვეით კიდეც გაცივებულა.
სულთამბრძოლი დედას მძინარე ჰგონებია... აპა, კიდეც სრულდება.

ქ ე თ ო – (მემოაქვს აგური) მზათ არის.

ა რ ჩ ი ლ – საჭირო ალარ არის.

ქ ე თ ო – (შეჩერდება) როგორ?

დ ა თ ო კ ო – მიიცვალა.

ქ ე თ ო – უი! (გააგდებს აგურს, მივარდება და სიწვავს) შვილო,
შვილო! მე მოგვალი ჩემის ხელით! (ტირის)

დ ა თ ო კ ო – ქეთო! (უნდა ხელი მოჰკიდოს)

ა რ ჩ ი ლ – დეე, იტიროს, თორემ უფრო ცუდია. (ამ დროს ზემო
სართულიდან მუზიკის ხმა მოისმის. შეკრთებიან)

ა რ ჩ ი ლ – ოჳ, რა დროსია?!

დ ა თ ო კ ო – ეს ქალი რათ გაჩუმდა, გულს ხომ არ შემოეყარა?
ნახე!..

ქ ე თ ო – (თავს აიღებს ნელ-ნელა და ყურს უგდებს) ჩუ! გესმისით...
იქ, იქ მაროა და მისი ქმარი. წვეულება აქვსთ... ლხინი... (წამოდგება)
ყველანი იქ მიღიან... ულოცავენ; თქვენ აქ რათ მოსულხართ?
უთუოდ გზა დაგბნევიათ... კარგი შეგშლიათ. აქ სილარიბეა, ჭირი
და უბედურება... იქ... იქ კი სიმდიდრე... ლხინი და ბედ... ნი... ე...
რე... ბა... ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! (დათიკო და არჩილი იჭერენ)

ფ ა რ დ ა

[1886 წ.]

გაიძვერები

ხუთმოქმედებიანი კომედია

(მეხუთე მოქმედება ორ სურათად)

მოქმედი პირები:

ხარიტონ კარლოვიჩ – იგივე ხეჩატურ კარაპეტოვიჩ ტუროვი –
რედაქტორი
სერაფიმ გრიგორიჩ ხაზაროვი – გამომძიებელი
იაგორ პავლოვიჩ სვისტკოვი – პრისტავი
თავადი ამირინდო – სახლის პატრონი
მახნევიჩი – გამომძიებელი
პროხორი – რედაქტორის თანაშემწე
კარაპეტა
სოსიკა იმერელი – ამირინდოს მსახური
გოგია გურული
სანდრო – ხაზაროვის მსახური
იაგუნდოვი – ტუსალი, ცრუმიწამე
სოფიო – სოსიკას საცოლო და მერე გოგიას ცოლი
თეკლე – სოფიოს დედა
მკიოხავი
ყარაულები

მოქმედება პირველი

რიგიანათ მორთული ოთახი

გამოსვლა პირველი

(მარჯვენა კარებში შემოდიან ტ უ რ ო ვ ი და კ ა რ ა კ ე ტ ა)

ტ უ რ ო ვ ი – ნამეტანს თხოულობ, ჩემო კარაპეტ!

კ ა რ ა კ ე ტ ა – ახარ, თქვენი საკუთარი რა იხარჯება?

ტ უ რ ო ვ ი – როგორ თუ რა? ჭკუა, გონება, გრძნობა!..

კ ა რ ა კ ე ტ ა – ეჲ, დალოცვილო, ეგ რომ მართალი იყოს, განა აქამდინ ან ერთი შეგრჩებოდათ?

ტ უ რ ო ვ ი – ვისაც მომეტებული აქვს, იმან, რაც უნდა ხარჯოს, მაინც კიდევ საყოფა დარჩება.

კ ა რ ა კ ე ტ ა – ჰომ! ცხონდეს მამათქვენი! საქმეც ეგ არი, რომ მაინც ბევრი დაგრჩებათ და რაღას ნაღვლობთ?

ტ უ რ ო ვ ი – იმას, რომ „ხანდახან სინიდისიც კაი საქონელია“, იცი?

კ ა რ ა კ ე ტ ა – ვა, განა მაგას დიდი ცოდნა უნდა? როცა უსინიდისობას ბაზარი აღარა აქვს, მაშინ სინიდისიც გამოსადეგია... ვაჭრული ანგარიშია.

ტ უ რ ო ვ ი – ვეონებ, მაგ ანგარიშის ბრალია, რომ ამ ბოლოს დროს მეტად გაწუნედი.

კ ა რ ა კ ე ტ ა – ეეჲ! თქვენ-კი გაქართველკუნიაზდით? ფანტავთ რაღა!

ტ უ რ ო ვ ი – ყველაფერს თავისი სასწორ-საზომი აქვს.

კ ა რ ა კ ე ტ ა – მეც მაგას ვადგივარ და!

ტ უ რ ო ვ ი – მიტომ აღარ სჯერდები ათისთავს?

კ ა რ ა კ ე ტ ა – ვე, ათითავი რომელია? თქვენ არხეინათ ბრძან-დებით თქვენთვის, იქნება დღეში ორ საათსაც არ მუშაობდეთ და მე კი დილიდან სალამომდე საქმეში ვარ გაბმული, როგორც ვირი ტაჩკაში.

ტ უ რ ო ვ ი – ეგ ხელობამ იცის: შენს საქმეს ბევრი სხვაც იტვირთებს და ჩემსას კი ყველა ვერ მოახერხებს.

გაიძვერები

კ ა რ ა პ ე ტ ა – ახარ, რომ იტვირთოს, რა გამოვა? ყველა ხომ ვერ აიტანს! ნათელი დაადგეს იმ დიდსოფელს ჩემ დედ-მამას, რომ ასე მაგარი ვინმე გამოუყვანივარ, თორებ ძალლიც ვერ აიტანდა ჩემ-დონობას!.. ცაზე იმდენი ვარსკვლავი არ იჭედება, რამდენიც ცხელი ჯოხი ამ ჩემ ზურგზე გამოჭედილა და მუშტსა და სილას ხომ ანგა-რიშიც არ ექნება!..

ტ უ რ ო ვ ი – ვერ ყოფილხარ ფრთხილი!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჰმ! კურდღელს განა სიფრთხილე აკლია, რომ მუდამდღე იჭერენ? რაც მოსავალია კაცის თავზე, მოვა რაღა!..

ტ უ რ ო ვ ი – თუ მოვა და... შენც უნდა აიტანო.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვინ ამბობს, თუ არა? აკი ვიტან... მაგრამ ცოდვა ვარ, თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩემ გარემოებაში. ნათქვამია. „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო“.

ტ უ რ ო ვ ი – მერე და შენისთანებმაც რომ ღმერთს შეხედონ, ეშმაკს რაღა პასუხი უნდა გასცენ?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ეჲ, დალოცვილო, თქვენ გეცინებათ და მე კი ცრემლები მომდის!.. თქვენ მოგახსენებთ... განა ჩემზე ვამბობ?.. ცოტა რომ მომიმატოთ, რა დაგაკლდებათ... ღვთით ბარაქა მოგდით.

ტ უ რ ო ვ ი – შენ, მგონია, ფულები ქუჩაზე ასახვეტი გგონია! იცი, საიდან მოდის ოქრო და ვერცხლი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – განა არ გამიგონია? ციმბირიდან.

ტ უ რ ო ვ ი – მაშ, იქ წაბრძანდი, იმ სათავეში და მუქთად იქ მოგცემენ.

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო, უთქვენოთ აქ რას ვარგივარ, რომ იქ ვიხეირო?

ტ უ რ ო ვ ი – განა ამ თვეში ცოტა მიგილია? აბა ჩახედე დავთარში.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვინ მამაოხრის შვილს, რაც მიმილია, ორი იმტონი არ დამიხარჯავს!

ტ უ რ ო ვ ი – შენ რომ ფანტვა გიყვარდეს, ვისი ბრალია?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, ეგ რა სთქვით?! გინდათ ბუზები გააცინოთ? უანგარიშოთ განა კაპიკს დავხარჯავ?! მაგრამ საქმეა, ანგარიშია... დალოცვილო, პირდაპირ ოჯახებში ხომ ვერ შეხვალ? უნდა დაბლი-დან დაიწყო: ჯერ მოსამსახურები გაიცნო, დაიმეგობრო... აქეთ წაიყვანო, იქით... ეს სულ ხარჯია.

ტ უ რ ო ვ ი – მაგდენიც არაფერი.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ეგ კიდევ არაფერი, მაგას გაუძლებს კაცი. ახლა სხვა ხათაბალაც მეტია და!.. ამასწინათ კინაღამ სულიც წავიწყმიდე და ხორცითაც დავიტანჯე!..

გაიძვერები

ტუროვი - როგორა?

კარაპეტა - ერთ გოგოს არშიყობა დავუწყე... რა არის, რომ მერე იმისაგან მისი ქალბატონის ანბავი უკეთ გამეგო, ეგებ საგაზეთოდ გამომადგებოდა... თურმე, ნუ ბრძანებ, იმერელი საქმრო ჰყოლია და ისე გამხადეს, რომ ვთქვი თუ ამისთანა დაზელა რომელ აბანოში უსწავლიათ-მეთქი?

ტუროვი - მოგცეს?

კარაპეტა - ვა, მომცეს რომელია? ისე გამხადეს, რომ ძვალი და რბილი გამიერთეს... სააფთეკოთ გადამდეს რაღა!..

ტუროვი - მერე არა გრცხვენიან, რომ მოგერიენ?

კარაპეტა - განა ერთი იყო? ერთი როგორ მომერეოდა, მაგრამ იმერელი ხომ ერთი არ იქნება! სადაც ერთია ცხადათ, იქ ეშმაკივით უჩინრათ ასი კიდევ სხვაცა დგას... მერე რა გამრავლებული არიან ამ ჩვენს ქალაქში!.. იმდენი რწყილიც არ მრავლობს! ერთი რომ დაიძახა იმ ყურუმსაღმა, გამოცვინდენ აქედან, იქიდან: თითო-ოროლა ყველა სახლში იყო თურმე... ქუჩა აივსო, დამეხვივნენ ძალებივითა და გამგლიჯეს!..

ტუროვი - კიდეც გაგელიჯეს?

კარაპეტა - ვა, მაშ! ქამარი მომხსნეს, საათი ამგლიჯეს და ფულიც ჭიბიდამ ამომაცალეს.

ტუროვი - მერე პოლიცია?

კარაპეტა - ეჲ, განა პოლიციას მოუცდიდენ? სტვენა რომ გაიგონეს, აქეთ-იქით გაჟქრენ ეშმაკებივით... საჩივარი შემიტანია და აქამდის არა გამოდის-რა, ამიტომ რომ არ ვიცი ვინ არიან.

ტუროვი - გვარი ვერ შეიტყვე?

კარაპეტა - განა გვარი მათაც აქვთ? ყველას იმერლებს ეძახიან.

ტუროვი - სახელი?

კარაპეტა - სახელი ყველასი ერთია. სამი სახელის მეტი არ იციან: ივანიკა, გოგია და კიკოლა... მორჩა, გათავდა, რომელ ერთს უნდა ვუჩივლო? ვინ გაარჩევს? ისე, თუ სადმე შევხვდი ერთს კი ვიცნობ, მაგრამ, აბა სად მეჩვენება! აი, რა ხათას გადავეკიდე და თქვენ კი, დალოცვილო, ამბობთ, თუ ასე ბევრი ფული მიგაქვსო...

ტუროვი - შენ ხომ მარტო ჩემგან არ იღებ? გამომძიებელი რამდენს გაძლევს?

კარაპეტა - გროშ-კაპიკს! ისე თუ რამეს ჩამოვრჩები, თორემ...

ტუროვი - პოლიცია?

გაიძვერები

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, პოლიციამ განა მიცემაც იცის?! არა, ჩემმა მზემ, რასაც თქვენგან არ ვიღებ, მეტი არავისაგან არა ვიცი-რა და აქიდანაც ხომ აღარა მრჩება-რა...

ტ უ რ ო ვ ი – მაშ კარგი, მაგ სიებს თუ კარგათ შეასრულებ, რაც გერგება, იმაზე კიდევ მეტს მოგცემ.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვეცდები, მაგრამ სია სწორე არ არის, ორგან იალლიშათ მოსულხართ: ალელი ლვთისწყალობა ტყვილათ ჩაგინერიათ.

ტ უ რ ო ვ ი – განა დამჭრევდა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, კურატია, მაგრამ იმას თვითონ დაუჭერია ანკესით მილიონები და შენს ანკესს როგორლა მოედება?

ტ უ რ ო ვ ი – ჩემი ანკესი კალმის წვერია, ზედ ბევრი წამოცმულა ძალაუნებურათ.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ის სულ სხვა ვინმეა! თევზის იჯარა რომ ჰქონდა, თევზის ჭუუაც უსწავლია: პირში წყალს იგუბებს და ვინც რა უნდა თქვას, ხმას არა სცემს. ასე ამბობს გუნებაში, რომ ჩემთვის რედაქცია და გაზეთები ჩემი კანტორა და ვექსილებიაო. დიდი ჭკვიანი ვინმეა!

ტ უ რ ო ვ ი – მაინც არ შეიძლება, ერთხელაც არის ფეხი არ წაჰკრას.

კ ა რ ა პ ე ტ ა – მართალია! აქლემი განა ისე ივლის, რომ არ დაიჩოქს, მაგრამ ისევ თავისთავად ადგება.

ტ უ რ ო ვ ი – კარგი, ამოშალე.

კ ა რ ა პ ე ტ ა – მეიჯარადრე, გორელი იახშიოლოვი, ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც ის გამომძიებელმა საბუდარში ჩასვა და ბატის კვერცხები დაადებინა.

ტ უ რ ო ვ ი – რათა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ერთი იმერელი ბიჭი ეყიდა და მიტომა.

ტ უ რ ო ვ ი – ეყიდა?!?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჴო, განა კუპჩითა და ნატარიუსით? ასე...

ტ უ რ ო ვ ი – არ მესმის!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – ზოგიერთ აფერისტებს იმერეთიდან გადმოჰყავთ პატარა ბიჭები მოტყუებით, თუ ისე მოპარვით, და აქა-იქ ვინმეებთან აყენებენ ჯამაგირში. წინდაწინვე რამდენიმე ფულს იღებენ და მიდიან. პატარა ბიჭები-კი უპატრონოთ რჩებიან. საწყლებმა არც გზა იციან, არც კვალი, სანამ არ მიხვდებიან და გონებაში არ ჩავარდებიან.

ტ უ რ ო ვ ი – მართლა?

გაიძვერები

კ ა რ ა პ ე ტ ა – მაშ არ იცოდით? იმგვარი აფერისტების ახოტ-ნიკი ყოფილა იახშიოლოვიც და ყოველთვისაც შერჩენია, მაგრამ მოგეხსენებათ, „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მიიტანს.“ ამ ბოლო დროს სულ ერთად დაატყდა თავზე. ვიღაც იმერელი ჩამოსულა და უჩივლია: რვა წელიწადია შვილი დამეკარგა, მე მკვდარი მეგონა... ვაწირვინე, გამოვიგლოვე და ის კი თურმე ტყვეთა ჰელოია ამა და ამ კაცსაო და ე რა ალამამადხანობა მობრუნებულაო! განა ქრის-ტიანობა მოსპობილაო! ამ საქმემ მიახნია გამომძიებლამდი და სტა-ცეს ხელი შენს იახშიოლოვს.

ტ უ რ ო ვ ი – მერე?

კ ა რ ა პ ე ტ ა – აბა, ის წაბძანდებოდა იქ, საიდამაც ოქრო და ვერცხლი მოღის, თუ ამქრები არ გამოსჩენოდენ! აქაც ქალაქელმა ვაჭრებმა თავს გამოიდეს: თქვეს, თუ ჩვენც ამის ხელობას არ ვად-გივართ, ჩვენც ისე არ ვიჭერთ მოტყუებით მუქეთად მოჯამაგირეე-ბსო? ის რომ გაგზავნონ და ეს გაგზავნაც კანონით დაიდვას, მერე დიდხანს ხომ აღარც ჩვენ მოგვასვენებენ, ჩვენც გაგვისტუმრებენო. დატრიალდნენ, ბევრიც დახარჯეს და გამოიყვანეს.

ტ უ რ ო ვ ი – იმერლები?

კ ა რ ა პ ე ტ ა – მამა იმერეთშივე გაგზავნა გამომძიებელმა: უბი-ლეთო არისო და შვილი-კი თვითონ დაიყენა თავისთვინ.

გამოსვლა მეორე

(ისინივე და პ რ ო ხ ო რ ი შემოდის მთვრალი. ორივე ხელში წიგნები უჭირავს. იქვე კარებთან ჩერდება შეუნიშნავათ და ყურს უგდებს იმათ საუბარს).

ტ უ რ ო ვ ი – რატომ აქამდი არ მითხარი ეს ამბავი? განა არ იცი, რომ ამგვარი რამ უფრო საინტერესოა მკითხველებისათვის, ვიდრე შენი სულელური ცხობები: „აბა და ამ კაცს გული გაუსკდა და მოკვდა“, ესა და ეს ვაჭარი გაკოტრდა, ამას ცოლი გაექცა, ის გაქურდეს და სხვანი. ამისთანა ამბეჭს მიაჩვია ხალხმა ყური და აღარაფრათ მიაჩნია. შენ იმისთანა რამ უნდა შეიტყო ხოლმე, რომ ქვეყანა აალაპარაკოს!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო, ახლა ეშმაკს ხომ ვერ ვტაცებ კუდში ხელს და რქებით ვერ დავიჭერ!..

პ რ ო ხ ო რ ი – უნდა დაიჭირო!.. უფროსები როცა გიბრძანებენ, ეშმაკიც უნდა დაიჭირო... ან კუდში უნდა სტაცო ხელი, ან რქებში,

გაიძვერები

ეს სულერთია, მაგრამ უთუოდ კი უნდა დაიჭირო, ამიტომ რომ გიბრძანებენ... გესმის!..

ტ უ რ ო ვ ი – პროხორ!

პ რ ო ხ ო რ ო – დიახ, პროხორ! თავიდან ფეხებამდე პროხორ!..
მაქვს პატივი, რომ გამოგემცხადოთ.

ტ უ რ ო ვ ი – ოჲ, შენ კიდევ გახეთქილხარ ასე ადრე!..

პ რ ო ხ ო რ ო – (შემინებით) გავხეთქილვარ?! მერე რატომ მე კი არასა ვგრძნობდი?!.. (იხედება აქეთ-იქით) აბა, სადა?

ტ უ რ ო ვ ი – კარგათ გადაგიცეცხლავს!

პ რ ო ხ ო რ ო – სცდებით! სამი დღეა, ცეცხლი თვალითაც არ მინახავს, ამიტომ, რომ შეშა ძვირია... ფეხის არ ვახურებინებ... ისე ვთბები არაყით ნელ-ნელა... შემციდება – გადავჰკრამ, კიდევ შემციდება – გადავჰკრამ და ამასობაში ნელ-ნელა ვთბები... სიცივე მიდის... ცხრა მთას იქით იკარგება... (შტვენს).

ტ უ რ ო ვ ი – გეტყობა, რომ ენაც მისთვის გაგიყოლებია.

პ რ ო ხ ო რ ო – ენა?

ტ უ რ ო ვ ი – ჰო, ენა, რომ პირში აღარ გიძევს!

პ რ ო ხ ო რ ო – როგორ თუ არ მიძევს?! მაშ ვინ ეშმაკმა წაილო? (კარაპეტას) შენ ხომ არ მოგიპარავს? (სარკეში იხედება).

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა! რა კარგი საქონელი ეგ არის, რომ მომეპარა? მამა გიცხონდება, თუ არ დაგიშლია, ხავერდის ნაჭერია!

პ რ ო ხ ო რ ო – ააა! აგერ ყოფილა! ვინ სთქვა, აღარ არისო? მეც არ გამიკვირდა!.. ჰედავთ? (უჩვენებს ენას) ხე, ხე, ხე, ხე!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – მე და ჩემმა ღმერთმა, კიდევ კარგია, რომ ენა სარკეში დაინახება. ახლა, ერთიც ვნახოთ, ჭკუას ეძებს, ის სადღა ჯანაპაში დაინახოს?

პ რ ო ხ ო რ ო – ჭკუა არ დამეკარგება... რამდენიც უნდა დავლიო, არ დამეკარგება!.. შენ კი... შენ, რაც უნდა სვა, მაინც ვერ იპოვნი, ამიტომ, რომ ხოს თავი ხარ! გესმის?..

ტ უ რ ო ვ ი – პროხორ, არ შეიძლება, რომ ცოტა თავი შეიმაგრო?

პ რ ო ხ ო რ ო – თავი? მაგრათა მაქვს! ცოტათი კი მტკივა, მაგრამ მაინც მაგრათა მაქვს (ანძრევს თავს) უკაცრავათ, რომ ახირებულათა ვარ...

ტ უ რ ო ვ ი – მეც გატყობ და კიდევ ეგ არის, რომ უზომოთ ხარ მხიარულათ.

პ რ ო ხ ო რ ო – ჩემი ბრალი არ არის. მე თქვენი სადლეგრძელო დავლიე, მერე თქვენი დედ-მამის, რომ მაგისთანა შვილი ჰყევხართ,

გაიძვერები

ჩემი მშობლებიც მომაგონდენ და გული ამიჩვილდა... ვიტირე... ბევრი ცრემლი დავლვარე... იმდენი, რომ შემეშინდა, ვაი თუ გავშრე-მეთქი. გვამი საჩქაროთ გავისველე ისევე... ერთი ბოთლი გამოვხუხე... მეტი არა, მაგრამ ჩემი საქმე არ დამიტყებია... ქალალდები გადაწერილია. (მიუშვერს ზურგს) ამოიღეთ, აქ არის უკან ჯიბეში...

ტ უ რ ო ვ ი - თვითონ ვერ ამოიღებ?

პ რ ო ხ ო რ ი - (ხელებს უჩვენებს) ვერა ხედავთ? ამან ამოიღოს! (მიუბრუნდება კარაპეტას).

კ ა რ ა პ ე ტ ა - ვა! ჯიბეში ხელი ჩაგიყო, მერე არ გეშინია, რომ ცოლმა გილალატოს?

პ რ ო ხ ო რ ი - სსსუუუ! აგრე ნუ ახსენებ ჩემ აკულინას, ახლა იმას პატიოსნათ უჭირავს თავი! იქ არის, იქ... ეს ათი წელიწადია... მე კი აქა ვარ მარტო, დაობლებული და მის შესანდობარს ვსვამ ხოლმე...

კ ა რ ა პ ე ტ ა - ღმერთმა აცხონოს!

პ რ ო ხ ო რ ი - ნუ მომაგონებთ, თორემ თავს ველარ შევიმაგრებ და ტირილი ამივარდება. ხომ ხედავთ ხელები დაკავებული მაქვს, ვერ ამოვიღებ წერილს... ამოიღეთ!..

ტ უ რ ო ვ ი - ეგ წიგნები აგერ სტოლზე დააწყვე და ხელაშვე-ბული იქნები.

პ რ ო ხ ო რ ი - ეგ კი მართალია! (აწყობს) ინებეთ, მზათ არის... ნაკითხვა საჭირო აღარ არის, როგორც დაგენიშნათ, ისე ამოვწერე.

ტ უ რ ო ვ ი - კარგი, შეგიძლია წახვიდე.

პ რ ო ხ ო რ ი - არ შემიძლია... ვერსად ვერ წავალ!..

ტ უ რ ო ვ ი - როგორ თუ ვერ წავალ!

პ რ ო ხ ო რ ი - ესე, ვერ წავალ, ავათა ვარ... გულზე მაწვება და მუხლებიც მეკვეთება...

ტ უ რ ო ვ ი - მაშ, აქ ხომ ვერ დაგაწვენ!

პ რ ო ხ ო რ ი - დაწოლა რათ მინდა? დავჯდები, აი ასე!.. და თუ ეშმაკის ამბები არ მომეცით, ფეხსაც არ მოვიცვლი...

კ ა რ ა პ ე ტ ა - ვა! ეშმაკის ამბები?!?

პ რ ო ხ ო რ ი - ჰო, ეშმაკის ამბები, რომ პილატეს ცრემლი შევიძინო... ის ძალიან უხდება ჩემ სნეულებას... მისწრებაა... მისწრება!

კ ა რ ა პ ე ტ ა - აბოდებს?

ტ უ რ ო ვ ი - აბოდებს კი არა, არაყი უნდა.

პ რ ო ხ ო რ ი - ოოო! აკულინას შესანდობარი... აი ჭკვიანი კაცი, რა მალე მიჰხვდა! შენ კი ბრიყვი ხარ, ვერ მიხვდი... სად პილატეს ცრემლები და სად შენი ჭკუა? ხე, ხე, ხე, ხე, ხე!

გაიძვერები

ტ უ რ ო ვ ი – დღეს ეგეც გეყოფა. წადი, ალარ მოგცემ!

პ რ ო ხ ო რ ო – ალარ მომცემ და არ წავალ! უფაიტონოთ ფეხსაც არ გავდგამ...

ტ უ რ ო ვ ი – ოლონდ მოგვშორდი და მე მოვაყვანინებ.

პ რ ო ხ ო რ ო – რათა? მე ვერ მოვიყვან, თუ? შენ მომეცი და მე თვითონ გავიქცევი... გავი... გავიქ... ცევი... (მიეძინება)

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, ე რა ხათა ყოფილა!

ტ უ რ ო ვ ი – ააყენე ერთი, გააგდე გარეთ!

კ ა რ ა პ ე ტ ა – არ წავა.

ტ უ რ ო ვ ი – ფული დაანახვე შორიდან და გამოგიდგება. აპა, ფულიც.

კ ა რ ა პ ე ტ ა – (ალვიძებს) ჰა! ადე! აკულინა გეძახის, წავიდეთო...

პ რ ო ხ ო რ ო – აპ! აკულინა... უთხარი არ შემიძლიან-თქო...

კ ა რ ა პ ე ტ ა – პილატეს ცრემლები ვიყიდოთ, ადე! აი, შეხედე! (უჩვენებს ფულებს)

პ რ ო ხ ო რ ო – აპ! მართლა... მოიტა... ჩემია... (გამოგლეჯს და მიდის ბარბაცით)

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, სულ წაიღო!..

ტ უ რ ო ვ ი – წაიღოს, ოლონდ კი მოგვშორდეს! ჯანაბას მაგისი თავი. შენ ერთი იაგორ პავლოვიჩთან მიდი, მომგვარე, რომ ეს სტატია გადაიკითხოს!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ბატონი ბძანდებით! (მიდის)

ტ უ რ ო ვ ი – (მარტო) აი დასწყევლოს ღმერთმა მათი ჯიში! ვინც არა სვამს – უჭეულა და ვინც კი ჭევიანია, ის სვამს და იმასაც მაინც ჭეუა ეკარგება! აბა ვნახოთ, როგორ ამოუწერია. (სინჯავს წიგნებს და მერე ნაწერს) „რა არის ავაზაკობა? როგორი თვალით უყურებდენ ამ დანაშაულობას სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა საუკუნოებში? რა შედეგი მოჰყვებოდა? და სხვანი. კარგათ ამოუწერია, უმეტნაკლებოთ! ახლა ვნახოთ მეორე წიგნაკი. „საოცარი ავაზაკი სტეფანე გუბასტი და მისი თავგადასავალი“, აქედანაც სრულად ამოუწერია. აბა ახლა გადავაბათ ეს სტატიები ერთმანეთს. შეაში, სადაც ცარიელია, ჩავუმატოთ ჩვენი საკუთარი ფრაზები. აი ასე: ეს მოსაზრება წარმოგვათქმევისა ჩვენ დღეს შემდეგმა შემთხვევამ... ვითომდ და ზემოთაც ჩვენი ნათქვამია!.. (იცინის) ახლა კიდევ, ამას მივაპათ მეორე ამბავი. საჭიროა მხოლოთ, რომ სახელები შეიცვალოს: სტეფანე გუბასტის მაგიერათ ჩვენი ჰუსეინ-ალი ჩავწეროთ. სულერთაა, ვინ შეამოწმებს? ავაზაკების თავგადასავალი ერთნაირია. ტამბოვს

გაიძვერები

თფილისი დავარქვათ და იქაური პრისტავის მარდავცოვის ნაცვლათ ჩვენი თფილისელი სვისტკოვი ჩავწეროთ და გამოვა საუცხოვო მეთაური სტატია!.. (წერს)

გამოსვლა მესამე

(ისინივე და ს ო ს ი კ ა შემოდის)

ს ო ს ი კ ა – აქანეია გაზეთებს რომ ბეჭდამენ? ოჰ, ხეჩო, გამარჯობა შენი! რამდენი ხანია აღარ მინახამხარ! რასა იქ, ჩემო ხეჩო? რას მომჩერებიხარ ხბოსავით? ველარ მიცანი, შე უბედურო, თუ რავა შენი საქმე?

ტ უ რ ო ვ ი – (შეკრთომით) ვინა ხარ?

ს ო ს ი კ ა – იმე!.. რავა თუ ვინა ვარ?! შე კაცო, ვერა მხედამ? თვალები მოიფშვიტე! სოსიყა ველარ მიცანი?

ტ უ რ ო ვ ი – ვინ სოსიყა?! რას ამბობ? შენ, ჩემო ძმავ, სწორეთ ვიღაცას მიმამგზავსე!..

ს ო ს ი კ ა – იმე!.. აპა, ხეჩო არა ხარ?!

ტ უ რ ო ვ ი – რის ხეჩო და ვისი ხეჩო?! ხეჩო ვინ არის? მე ხარი-ტონ კარლოვიჩი მქვიან!

ს ო ს ი კ ა – დასწყველოს ღმერთმა! ეგება მართლა მეშლებოდეს და ის არ იყოს!.. მისი ტყუპის ცალი თუა? აპა ერთი ყურზედაც შევხედო. (შეხედავს). ბეჯითად ის ყოფილა, მარა მატყუებს... რაცხა შთუქებს მიკეთებს! მიდი ერთი, მეც შთუქები გავუკეთო!

ტ უ რ ო ვ ი – (თავისთვის) მიცნო მგონი ამ შეჩვენებულმა!..

ს ო ს ი კ ა – აჲ, უკაცრავათ, შენი ჭირიმე, თვალები ამება და ერთ ჩემ ნაცნობს მიგამგვანეთ... ნუ გამინურებით, შენი ჭირიმე!

ტ უ რ ო ვ ი – (თავისთვის) მადლობა ღმერთს, ველარა მცნობს!.. (სოსიყას) არაფერია! რაზედ მოსულხარ?

ს ო ს ი კ ა – აქლემს დავეძებ, შენი ჭირიმე!

ტ უ რ ო ვ ი – (შეკრთება) რა აქლემს?

ს ო ს ი კ ა – წელან რომ ხეჩოს მოგახსენებდით, იმის სულთამხუთავს.

ტ უ რ ო ვ ი – რას ამბობ, რომ არ მესმის!..

ს ო ს ი კ ა – კი, ბატონო! თათრებში გახლდით ერთად მე და ის ხეჩო. ის უბედური ერთხელ კინალამ ჩამოახჩვეს და რადგანაც ხე არსად იყო იქ, აქლემი ნამოაყენეს და მის კისერზე უპირობდენ

გაიძვერები

ჩამოკიდებას... მარა მე გადავარჩინე, გავაპარე ის უბედური, ახლა მე იმ აქლემს დავეძებ, ეგება აქ შემოვიდა ან ის, ან მისი მგვანი, ისე, რავაც სეჩის მგვანი თქვენ ბძანებულხართ.

ტ უ რ ო ვ ი – საციინათ მიგდებს... მიცნო!..

ს ო ს ი კ ა – აპა, ბიჭო, ვინ გინდა, რომ მოატყუო? შენი ოსტატი ჩემი შეგირდი იყო. მე რომ მემალები, ვერ გიცნობ, ვინცა ხარ? მაგ ჩამოთლილ ყურზე მაინც ვერ შეგატყობდი?

ტ უ რ ო ვ ი – მიცნო ამ შეჩვენებულმა!..

ს ო ს ი კ ა – გიცანი კი არა, მეტიც ვქენი! მაგრამ რა გაწუხებს? მე ხომ პოლიცია არა ვარ? არა, ბიჭო, შენ თუ გინდა, ხეჩი ხარი-ტონათ მოინათლე, მარა ის რავალა მოახერხე, რომ ცხონებულ მამა-შენს – კარაპეტას – საიქიოს კარლი დაარქვი?

ტ უ რ ო ვ ი – (თავისთვის) გადაფიცვა აღარ მოხერხდება!.. (ხმამაღლა) მაშ, მიცანი? ხა, ხა, ხა, ხა! არ მინდოდა გამოგტეხოდი ასე მალე, მერე კი, რასაკვირველია, გეტყოდი... გამარჯობა შენი, ჩემო სოსიკა! რასა იქ?

ს ო ს ი კ ა – იმე და აგრე გექნა ადრევე! რალას შთუქობდი? რასა იქ, ჩემო ხეჩო? როგორა ხარ? შენი აღა სად არის?

ტ უ რ ო ვ ი – ვინ აღა?

ს ო ს ი კ ა – რავა? აღა არა გყავს თუ? აპა, აქ არა ხარ?

ტ უ რ ო ვ ი – აქა ვარ, მაგრამ აღა ვინ უნდა მყავდეს? მე თვითონ აღა ვარ!..

ს ო ს ი კ ა – კაი შენს თავს მოუვა, კაი აღა შენ გყოლია! ნუ მოჰყვები ერთი ხელახლა მასხრობას!

ტ უ რ ო ვ ი – არა, ჩემმა მზემ!

ს ო ს ი კ ა – შენ სწერ გაზეთებს?

ტ უ რ ო ვ ი – რასაკვირველია, მე.

ს ო ს ი კ ა – ჰმ, ნუ მასხარობ, შე კაცო!

ტ უ რ ო ვ ი – არა, მე და ჩემმა ღმერთმა!

ს ო ს ი კ ა – აი, დაგრწყევლოს სამასსამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ!.. ფარცაგი სული არა ხარ!.. არა, ძალიან პლუტი ყოველთვინ იყავი, მარა, თუ ამდენს მოახერხებდი, სწორეფ ვერ ვიფიქრებდი!.. ეს ოხერი, „ვეფხვისტყაოსანი“ ზეპირათ ვიცი და „ყარამანიანი“ ათჯელ მაქ წაკითხული და მაინც ვერ ვპედამ წერას და შენ კიდეც ბეჭდამ და იმასაც რუსულათ!..

ტ უ რ ო ვ ი – ახლა ხომ იცი და სხვასთან ნურა გრჯის-რა! ვაგლახათ არა წაგცდეს-რა!

გაიძვერები

ს ო ს ი კ ა – იმე, სუნელი ხომ არა ვარ? რას დავეძებ, რა ჩემი საქმეა! ვინც გინდა, ის იყავი! თუ გინდა, ყეენი იყავი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მე რა მენალვლება!..

ტ უ რ ო ვ ი – შენ როგორლა ხარ? სადა ხარ?

ს ო ს ი კ ა – ჯერ აქა ვარ, ერთ თავადიშვილთან, მარა ამ დღეებში ცოლს ვირთამ და მივდივარ იმერეთში.

ტ უ რ ო ვ ი – ცოლს ირთავ? მომილოცავს! მზითვიანია?

ს ო ს ი კ ა – არა, მარა ლამაზი-კი ძალუანია! სწორეთ ცაზე მოწყვეტილი მარსკვლავია!.. მზეთუნახავს რომ იტყვიან, ის არის. მარა რათ გინდა? ქალაქი პლურტებით სამსეა და ვინ დაგიყენებს, თუ თავს არ უშველე! უნდა მოვშორდე აქაურობას... ჯერ ახლაც არ ასვენებბენ! ერთი ვინცხა ქალაქელი ვაჭარი აუტყდა, დაუწყო არში-ყობა: ხან დილას აუვლის ბლავილით და ხან სალამოს!..

ტ უ რ ო ვ ი – მერე შენ რას შვრები?

ს ო ს ი კ ა – რა უნდა ვქნა? მოვასწარი ერთხელ და, მოგეცა ლვთის წყალობა, მე იმას კი ოუწვი ზურგის კანი!.. წავართვი თარი და რომ ვსდრიკე თავზე, ზედ კვახივით გადავაფშვენი! წასულა თავსხლაფდასხმული და პოლიციაში გაუმცხადებია: რაზბონიკებმა გამგლიჯესო.

ტ უ რ ო ვ ი – მერე?

ს ო ს ი კ ა – მერე რა? ვიმალები აქეთ-იქით, რომ არსად მნახოს.

ტ უ რ ო ვ ი – გეშინია?

ს ო ს ი კ ა – არა! რისი უნდა მეშინოდეს? გამართლებით-კი გავმართლდები, მოწმები მყავს, მარა, სანამდი გამოძიება გათავდებოდეს, მაქნამდის დამიჭერენ და ამას ვერიდები! (რეკენ ზარს) ჩუ, ვიღაც მოდის ბეჯითად!

ტ უ რ ო ვ ი – დიახ, და შენ ცოტა ხნით იქით მიდექი, ცოტა ხნით.

ს ო ს ი კ ა – კი, ბატონო! მაგას რავა ვერ მოვახერხებ? ახლა ხეჩიო კი ალარა ხარ... ბატონი ხარიტონ კარლოვიჩი ბრძანდებით... ფუსსუ! (მიდის კუთხისაკენ) აპა, შთუქა თუ გინდათ, ეს არის!..

გამოსვლა მეოთხე

(ისინივე და ა მ ი რ ი ნ დ ო)

ა მ ი რ ი ნ დ ო – გამარჯობა! ტატიებს აქა ბეჭვდენ? ოჟი, ბიჭო, შენ აქვე ყოფილხარ აქამდი და მე კი ამ სიცივეში გარეთ მაცდევინებდი?

გაიძვერები

ს ო ს ი კ ა – რა ვენა, შენი ჭირომე, საქმეში ბრძანდებოდა და ხელის შეშლა ვეღარ გავბედე... ვუცდიდი!

ტ უ რ ო ვ ი – რა გნებავსთ?

ა მ ი რ ი ნ დ ო – ე ბიჭიც მიტომ გამოვგზავნე, მინდოდა შემ-ეტყო, რატომ არა ბეჭდავთ ამდენი ხანი იმ ტატიას?

ტ უ რ ო ვ ი – აბა, რა სტატიას?

ა მ ი რ ი ნ დ ო – აი, იმ დღეს რომ სიცრუე დაგეპეჭდათ: ერთი გორის მაზრის მებატონე გლეხებს აწუხებსო, მისი პასუხი რომ გამოვგზავნე.

ტ უ რ ო ვ ი – თქვენ გამოგზავნეთ ისა? მისი დაბეჭვდა შეუძლებელია!

ა მ ი რ ი ნ დ ო – რატომაო?! ტყუილი-კი შეიძლება და მართალი, არა?!

ტ უ რ ო ვ ი – თქვენ რათ მიგილიათ თქვენს თავზე? იქ ხომ არც სახელი ყოფილა ვისიმე და არც გვარი?

ა მ ი რ ი ნ დ ო – – ფიქ! სახელი და გვარი რომ არ იყოს, განა ისე კი ვერ მივხვდებოდით ნიშნეულობით?

ტ უ რ ო ვ ი – მაშ, თუ გენიშნათ, მართალი ყოფილა!

ა მ ი რ ი ნ დ ო – ერიჲაა!.. მე რას ვამბობ და ეს რას მეუბნება!.. მენიშნა-მეტეჯი რომ ვამბობ, განა მოქმედება მენიშნა? მე ის მენიშნა, რომ იმ სოფელში, მანდ რომ დაგისახელებიათ, ჩემს მეტი მებატონე არავინ არის და გლეხებიც იქაური არიან.

ტ უ რ ო ვ ი – ეგ არაფერია, თუ პირდაპირ არ ხარ დასახელებული.

ა მ ი რ ი ნ დ ო – რა? ახლა, დალოცვილო, დედ-მამა რო არ გიხსენო და შენი სახელი და გვარი არა ვთქვა, ისე არ შემიძლიან გამოგლანძლო?

ტ უ რ ო ვ ი – უკაცრავათ! ჩვენ ლანძლვის წერას არა ვართ დაჩვეული! ჩვენ მხოლოთ ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ და ვამხილებთ ხოლმე.

ა მ ი რ ი ნ დ ო – მხილება და სიცრუე გაგონილა?!

ტ უ რ ო ვ ი – ცდებით! ჩვენი კორესპონდენტი სარწმუნო ვინმეა.

ა მ ი რ ი ნ დ ო – სარწმუნოო!.. თუ არ დაგიშლია, მამა გიცხონ-დათ, არქიელი იქნება!.. ვინ არი აბა, გვიბძანეთ!

ტ უ რ ო ვ ი – ნება არა გვაქვს, რომ გამოვაცხადოთ.

ა მ ი რ ი ნ დ ო – ვეუო, რატომა?! თუ-კი ტყუილებს საქვეყნოდა ჰფენთ, ჩვენ ბიაბრუათა გვხდით... თქვენი ვილაც ქორისპატენტი რაღა ნითელი კოჭია?! მაგრამ, შენ თუ არ მითხარ, ისე-კი არ ვიცი? ვიცი ვინც იქნება... აი ქვეყნის წუნკები რომ არიან, ერთი მაგათგანი იქნება.

გაიძვერები

ტ უ რ ო ვ ი – ვინ ქვეყნის წუწკები?

ა მ ო რ ო ნ დ ო – ატუკატებს რომ ეძახიან. ჩვენს სოფელშიაც ერთი ისრეთი ატუკატი დაეთორევა, გლეხებს აბრიყვებს, ის იქნება. წინდანინვე საქმეს არიგებს გაზეთით, რომ მსაჯულებმაც წაიკითხონ, დაიჯერონ და მოტყუდენ!.. მეც მიტომ დავაწერინე პასუხი, შვილოსა, რომ ქვეყანას შეეტყო მისი სიყალბე და სიცრუე. თორემ რა გაზეთისა მცხელოდა? მაგრამ რომ არ დაბეჭდეთ, – გეტყობათ, შვილოსა, რომ თქვენ კუდი კუდზე გაქვთ გადაბმული!..

ტ უ რ ო ვ ი – თქვენ ნება არა გაქვთ, რომ შეურაცხყოფა მომაყენოთ! აქ თქვენი სოფელი კი ნუ გგონიათ!..

გამოსვლა მესუთი

(ისინივე და ს ვ ი ს ტ კ მ ვ ი შემოდის, კ ა რ ა პ ე ტ ა მოჰყვება)

ტ უ რ ო ვ ი – დილა მშვიდობისა, იაგორ პავლოვიჩ! სწორეთ დროზე შემოგვესწარით. გთხოვთ, რომ ეს კნიაზი თავიდან მოგვამოროთ!

ა მ ო რ ო ნ დ ო – რაო?! თავიდან მოგვაშოროთო?!. მამაჩემი ნუ წამიწყდება, ახლავე გაგზავნე დასაბეჭდათ ჩემი პასუხი, თორემ ერთ ამბავს მოვახდენ! მე აქ პოლიცია არ ვიცი!

ს ვ ი ს ტ კ მ ვ ი – მე გთხოვთ, რომ უწესოება არა მოახდინოთ-რა!

ა მ ო რ ო ნ დ ო – როგორ თუ უწესოება?! რას ამბობ შენ, ეი! სიცრუეში რომ კაცი დავიჭირო და გავამტყუნო – უწესოება იქნება?! ახირებულია, თქვენმა მზემ! ქუჩაში რომ ძალლმა შემოგყეფოს და კბენა დაგიპიროს, ნება გაქვს, ქვა ესროლო და ჯოხით მოიგერო; მთვრალი რომ შეგხვდეს, ან ოხერი ვინმე და ლანძღვა დაგიწყოს, იმას პოლიცია მოგაშორებს და აქ კი ერთი ოხერი ვინმე მეგაზეთე თუ გადაგევიდა, ალარაფერი შველა აღარა გაქვს, კანონი ხმას არა სცემს და პასუხსაც არ გიბეჭდავენ!..

ტ უ რ ო ვ ი – უმორჩილესათ გთხოვთ, გაბძანდეთ აქედან, თორემ ვითხოვ, რომ ახლავე აქტი შეადგინონ! (პრისტავი და კარაპეტა ჩურჩულობენ და სოსიკას უცქერენ, სოსიკა თავს არიდებს).

ა მ ო რ ო ნ დ ო – რაო?! შენც ლმერთმა შეგარცხვინოს და შენი აქტიცა.

კ ა რ ა პ ე ტ ა – უფალო პრისტავო, აი ის იმერელია, ჩვენ რომ დავეძებთ!

გაიძვერები

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – სწორეთ ეგ არის? ხომ არ გეშლება?

ს ო ს ი კ ა – ვაიმე! თვალი მომძვრა!.. მიცნო და ბეჯითათ დამი-ჭერენ!.. (მიდის ამირინდოსთან) ბატონი! ბატონი!

ა მ ი რ ი ნ დ ო – რა გინდა, ბიჭო?

ს ო ს ი კ ა – დაჭერას გვიპირობენ ორივეს, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს.

ა მ ი რ ი ნ დ ო – რას ამბობ, ბიჭო, ხომ არ გადარეულხარ?!

ს ო ს ი კ ა – ყური მოვჰკარი სწორეფ! ჯერ მე მიპირობენ დაჭერ-ვას, რომ ვერ მოგეშველოთ და მერე თქვენ!

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – (კარაპეტას) სტაცე ხელი და აღარ გაუშვა! (იქცერს).

ა მ ი რ ი ნ დ ო – რაო?! მართალი ყოფილა? აღარ ხუმრობენ!..

ს ო ს ი კ ა – ბატონი, მე თქვენი ჭირი წამილია, მარა თქვენ კი უშველეთ თავს!

ა მ ი რ ი ნ დ ო – ახა... ვაგლახ მე! ეს რა ამბავია! როგორ თუ დაჭერას! მერედა თავი ცოცხალი რაღათ მინდა! აბა ვნახოთ, ვინ მობძანდება!.. (იძრობს ხანჯალს).

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვაა!.. (გაუშვებს ხელს, გაიქცევა და დივანს ამოეფარება).

ტ უ რ ო ვ ი – ეს რა უწესოება!.. (გარბის მეორე ოთახში).

ს ო ს ი კ ა – მოჰკურცხლე, სოსიყა!.. (გარბის, პრისტავი მისდევს).

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – არ გაუშვათ! არ გაუშვათ! (სტვენს).

ა მ ი რ ი ნ დ ო – აა! ეს რა სიბრივეები! მართებელს არ დაუჭერი-ვარ და ვიღაცა ოხრებს უნდა შევარცხვენინ თავი? ჰოი, დედიჩე-მის ღმერთსა, რომ გაიქცენ, მიიმაღენ... კაცი არა ვყოფილვარ, თუ ეხლავ ღრუბერნატორთან არ წავიდე! ფიე!.. (მიდის)

ტ უ რ ო ვ ი – (კარებს გაალებს და თავს გამოჰყოფს) აღარავინ არის?..

კ ა რ ა პ ე ტ ა – (თავს ამოყოფს) წასულან...

ტ უ რ ო ვ ი – მოდი წახე, კარებზე არავინ იყოს...

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, შენ მიხვიდე? ხაზეინი ხარ (სვისტკოვი შემობრუნდება. კარაპეტა და ტუროვი ისევ მიმაღებიან).

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – გაიქცა ის შეჩვენებული!.. შენ სად მიმალ-ულხარ? რათ გაუშვი ის ბიჭი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, გაუშვი რომელია? თვითონ წავიდა!..

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ხელში რომ გეჭირა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – განა დაბმული მყავდა?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – არ უნდა გაგეშვა!

გაიძვერები

კ ა რ ა პ ე ტ ა – განა ჩემი ნება იყო? ვერ დაინახე, რომ იმ გიუმა კნიაზმა სანჯალი ამოიღო?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – მერქ რაო, რომ ამოიღო?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვაა, ვა! თავი რომ წაეჭრა, დალოცვილო, მერქ ლისტებით ხო ვეღარ მოვიგებდი?!

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ნეტავი ან გვარი ვიცოდე და ან სახელი, რომ საქმე შევაყენო!

ტ უ რ ო ვ ი – თქვენ მაგას ნუ სწუხართ: მე ვიცი სახელიც და გვარიც. (თავისთვის) ეს კარგი შემთხვევაა, რომ სოსიკა სამუდამოთ თავიდან მოვიშორო.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – მაშ, პროტოკოლი უნდა შევაყენო, რომ ავაზაკი დავიჭირეთ და გაგვაშვებინა. თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ.

ტ უ რ ო ვ ი – დიდი სიამოვნებით!

კ ა რ ა პ ე ტ ა – მე როგორ მოვაწერო, რომ კალამს ხელს ვეღარ მოვკიდებ?.. მცირე... მაკანკალებს!..

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – არაფერია, მანამდი გაგითბება თითები.... აბა, უბძანეთ, საწერკალამი და ქაღალდი.

ტ უ რ ო ვ ი – აი, მზათ გახლავსთ! (ხელს მიუშვერს სტოლზე)

ფარდა ეშვება

მოქმედება მეორე

მდიდრულათ მორთული ოთახი

გამოსვლა პირველი

სტოლთან ზის ს ა ზ ა რ ო ვ ი და გაზეთს კითხულობს; ცოტა მოშორებით კრესლაზე ზის ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი და რაღაცას თითებზე ანგარიშობს

ს ა ზ ა რ ო ვ ი – საუცხოვო სტატიაა! საზოგადოთ მშვენიერათ გამოუკვლევია ავაზაკობა: ისტორიულათ, იურედიულათ და ფილოსოფიურადაც!.. მაგრამ დასკვნა კი ყველასა სჯობს: მეტათ მაღლა აუყვანისარ... ქება უკეთესი აღარ მოხერხდება!

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – მანდ, ვგონებ, თქვენთვისაც არა დაუკლია-რა?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – დიახ, მიხსენიებს, მაგრამ თავის თავსაც არ ივი-წყებს. სწორეთ მოხერხებულათ დაუბოლოვებია: „ჩვენ შევიტყვეთ,

გაიძვერები

რომ ის განთქმული ავაზაკი ჰუსეინ-ალი, რომელიც ამდენი ხანია მოსვენებას არ აძლევდა ბორჩალოს მაზრას, ამ დღეებში ტფილისში დაუჭერია ჩვენს ტფილელ ლეკოქს სვისტკოვს“. დაგერქვა რაღა ლეკოქ! (კითხულობს) „ტფილისელ ლეკოქს და ხაზაროვისთვის გადუ-ცია. იმედია, რომ ასეთი გამოცდილი და სახელგანთქმული გამომძიე-ბელი საქმეს კარგათ დააბოლოვებს. ამბობენ, რომ ამ საქმით ბევრი რამ საიდუმლო და შესანიშნავი ამბავი სხვაც აიხსნებაო. გავიგებთ თუ არა იმ ამბებს, ჩვენც მაშინვე ჩვენს მკითხველებს გავუზიარებთ“. ეს უკანასკნელი სიტყვები კი ხელისმომწერლების მოსატყუებლათ ჩაუწერია.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – მაშ არადა! ნათქვამია: „ყველა თავისას გაიძ-ახოდა, მენახირე-კი ბუზანკალსო“.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მართლა, დიდი ხანია უნდა მეკითხნა. შენ როგორ გაიგე მისი აქ ჩამოსვლა.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ვისი?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ჰუსეინ-ალის.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – რას ამბობთ? იმას აქ რა უნდოდა?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ სად დაიჭირე?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – არსად! მე განა ჰუსეინ-ალი დავიჭირე?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – აბა ვინ?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ვინა და ალი-ჰუსეინი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგეც ავაზაკია?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ალბათ უნდა იყოს, რომ მდიდარია! სპარ-სული ნოხები და ქირმანის შალები ჩამოუტანია გასასყიდათ. ძალიან მსუქანს ამბობენ... და, ხომ იცით, ქონდა რა იცის?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რა უნდა იცოდეს?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – გაგიუება... მსუქანი ოთხფეხი პირუტყვიც კი თავში იწევს არა თუ ადამიანი და მადლია მათი ხედნა, რომ ცოტა ქონი ჩამოაკლდეს.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მესმის... მაგრამ ბოლოს ხომ უნდა გამართლდეს?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ბოლოს?.. მაგრამ ჩვენი სასამართლოები სანამ ალი-ჰუსეინს ჰუსეინ-ალში გაარჩევდენ, ცოტა დრო გაივლის? მანამდი თქვენ შეგიძლიათ შეცდომა გაასწოროთ და პატიმარს მად-ლობა ათქმევინოთ!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მართლა რომ ლეკოკი ხარ! რამ მოგაფიქრებინა?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ორივე თათარია, ორივეს ინითა აქვს წვერი შელებილი და ორივე თავმოპარსულია. სიგძე ერთი აქვთ და სიგანე. მასთანაც ალი-ჰუსეინ და ჰუსეინ-ალი... მოდი და ადვილათ გაარჩიე!

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – სწორეთ ლეკოკურია!.. ტუროვმა ხომ არ იცის ეგ ამბავი?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – იმას როგორ გამოვუტყდებოდი? უნდა გითხრათ, რომ მისი თავიდან მოშორება ძალიან კარგი იქნება.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მეც მაგრე ვფიქრობ. ტყვილა ვიხდით მოზიარეთ. ახლა ჩვენ იმდენათ განთქმული ვართ ხალხში და მთავრობას-თანაც შესული, რომ გაზეთები ბევრს ვეღარას მოგვიმატებენ. არა, სწორეთ თავიდან უნდა მოვიშოროთ...

გამოსვლა მეორე

(ისინივე და ტ უ რ ო ვ ი შემოდის)

ტ უ რ ო ვ ი – გამარჯობა! გამარჯობა! ვინ უნდა მოიშოროთ თავიდან?.. უკაცრავათ, თქვენს სიტყვებს ყური მოვჰკარი.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ერთი ვინმე ავაზაკი.

ტ უ რ ო ვ ი – სოსიკა იმერელი ხომ არა?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – დიახ, სოსიკა.

ტ უ რ ო ვ ი – ჰომო! ის კი მართლა მოსაშორებელია. წუხელისაც გეუბნებოდით... იმან ბევრი რამ იცის და საშიშია.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ასე საშიშია, რომ ხელს გვიშლის. აუყოლებია ეს ამდენი იმერლობა და ყველგან წინ გვეღლობება. მისი აქ დატოვება ძნელია.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – თუ ძნელია და წაბძანდეს!.. ბადეც ამისთანა უნდა: გაბმულია თავიდან ფეხებამდე.

ტ უ რ ო ვ ი – არა მგონია, რომ მანდედან გამოვიდეს რამე. მე ვიცი, რომ კარაპეტა სტყუვა და სოსიკას მოწმები ჰყავს, მაგ ბადეს ადვილათ აიცდეს.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – თუ აიცდენს და ჩვენ კიდევ სხვა გვაქვს მოქსოვილი, უფრო მაგარი.

ტ უ რ ო ვ ი – მართლა? ძალიან კარგი! მაშ ახლა მეც უნდა ამაცდინოთ ერთი ბადე.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – რა არის?

ტ უ რ ო ვ ი – ვექსილი. (წინ უდებს) დაუსვით ბლანკი! გუშინ ალარ გამახსენდა, რომ დღეს ბანკში უნდა შემეტანა. რას დაფიქრდი? შენ ხომ არ გადაგხდება?..

გაიძვერები

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ჰო, მაგრამ, ნურაფერს უკაცრავათ, ვერ
მოვაწერ...

ტ უ რ ო ვ ი – რა მიზეზია?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ახლა, ხომ იცით, რომ მე ერთი დაბალი
ხარისხის მოსამსახურე კაცი ვარ, ჯამაგირს გროშობით ვიღებ და
მაგოდენა დიდ აპერაციებს... რომ გაიგონ, რას იფიქრებენ?

ტ უ რ ო ვ ი – ჰმ! მართალია, მაგრამ ახლა მოგაგონდა ეგეები?

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – აქა-იქ კიდევაც გამაგონეს და... აი სერაფიმ
გრიგორიჩი მოაწერს.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მე? სწორეთ რომ ვერა.

ტ უ რ ო ვ ი – ვერც შენ?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ხელთ რომ მქონდეს ფული, არ დაგიჭერდი,
შენც იცი, მაგრამ ხელის მოწერა კი სწორეთ არ შემიძლია. ვისაც
მოვუწერე, ყველას მაგიერ მე გადამხდა და უსიამოვნების მეტი არა
გამოვიდა-რა.

ტ უ რ ო ვ ი – ეგ, ვთქვათ, აგრეა, მაგრამ... მე რომ...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ერთხელვე ფიცი მიმიცია ჩემი თავისათვის და
არ შემიძლია გავტეხო... გეთაყვა, ნუ გენწინება...

ტ უ რ ო ვ ი – ჰმ!.. რა გაეწყობა! რომ თქვენი იმედი არა მქონოდა
ჩვეულებრივათ, დღეს სხვას დავასმევინებდი ბლანკს, მყავდა კაცი...
მაგრამ არაფერია, კიდევ მოვახერხებ თერთმეტ საათამდე.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგ ყველას აჯობებს. ვინ არის?

ტ უ რ ო ვ ი – საიდუმლოა. სადა ვსცხოვრებთ და რომელი საუ-
კუნეა!..

ს ა ზ ა რ ო ვ ი – როგორ?

ტ უ რ ო ვ ი – თურმე ქალაქში ბიჭებს ჰყიდიან.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – როგორ თუ ჰყიდიან?!

ტ უ რ ო ვ ი – სწორეთ, ნამდვილათ! ზოგიერთ აფერისტებს
თურმე გადმოჰყავთ იმერეთიდან პატარ-პატარა ბიჭები მოტყუებით
და აქა-იქ ვიღაც-ვიღაცაებთან აყენებენ და ისინიც, ტყვეებად ჩაცვი-
ნული, თავს ვედარ იხსნიან... ზოგი ირყვნება და ზოგიც კვდება!..

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – ეგ ტყუილია, თორემ როგორ ვერ გავიგებდით?

ტ უ რ ო ვ ი – თქვენ ხომ სალეკოვო საქმეებს დასდევთ და
მაგისთანა წვრილმან რამეს, აბა, რას გაიგებდით!

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – მოუტყუებიხართ! არ შეიძლება!..

გაიძვერები

ტურო – როგორ არ შეიძლება, რომ მაგ საქმის თაობაზე ერთი ვიღაც გორელი მეიჯარადრე იახშიოლოვი კიდეც გაბმულა და თუ გამომძიებელი არ დახმარებოდა...

საზაროვი – ვინ გამომძიებელი?

ტურო – არ არის დასახელებული. ვექსილზე რომ ხელი უნდა მომიწეროს, ის კაცია ძალიან თავგამოდებული: ოლონდ კი ეს საქმე გაზითის შემწეობით გამოაშკარავდეს და არაფერს დავზოგავო, საბუთებსაც წარმოვადგენო. რამოდენიმე კიდეც გადმომცა, აი აქა მაქვს... (ეძებს გულის ჯიბეში). სვისტკოვი და ხაზაროვი ერთმანეთს შეხედავენ) ახ, უკაცრავათ, მეორე სერთუკში დამრჩენია. ამ ამბავის აწერა, დარწმუნებული ვარ, სენსაციას მოახდენს. მშვიდობით, მშვიდობით, დროა წავიდე! ან, სადაც არის, უნდა მოვიდეს ჩემთან ის კაცი.

სვისტკოვი – (თავისითვის) რა არამზადაა!.. ხარიტონ კარლოვიჩ, თქვენ რომ ერთი საქმე დამავალეთ...

ტუროვი – რა საქმე?

სვისტკოვი – აღარ გახსოვთ? იმ დედაკაცის შესახებ. მობძანდით აქეთ, მოგახსენოთ. (ხაზაროვს) უკაცრავათ! (ეჩურჩულება) არ მინდოდა მაგ შეჩვენებულთან რომ მეთქვა, თორემ ხელს როგორ არ მოგიწერ, დიდი სიამოვნებით.

ტუროვი – მეც არა ვთქვი!..

სვისტკოვი – ახლა ხომ გენიშნა? (ხმამაღლა) რას იტყვით? ხა! ხა! ხა!

ტუროვი – ხა! ხა! ხა! ხა! რანაირათ გაპლუტდა ქვეყანა!.. რაც უნდა უწერო, არა გამოვარა!..

საზაროვი – რაო? რა ამბავია?

ტუროვი – არაფერი, ცოტა რამ საიდუმლოა. მშვიდობით!..

საზაროვი – (ჩურჩულით) არ მინდოდა მაგ წყეულს გაეგო, თორემ ბლანკს რად არ დაგისომდი?

ტუროვი – მეც არ გამიკვირდა!.. (ხმამაღლა) საღამოს თუ მოიცალო, ჩვენსკენ შემოიარე. (სვისტკოვს) მიდიხარ? (მიდიან).

საზაროვი – უბძანეთ, რომ კარაპეტა შემოვიდეს. მანდ იქნება გარეთ. ჰმ, რა ღვთის რისხვა ვინმერა ეს შეჩვენებული ტუროვი!.. საჭიროა მაგის თავიდან მოშორება.

გაიძვერები

გამოსვლა მესამე

ისვე და პ ა რ ა პ ე შემოდის

კ ა რ ა პ ე ტ ა – მე მიპრძანებდით?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – დაახ, შენ. ამ დღეებში ტუროვი ხომ არ გინახავს?

კ ა რ ა პ ე ტ ა – როგორ არა, აი ეხლა ვნახე.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – არა, სხვაგან სადმე... იახშიოლოვის ამბავი ხომ არ გითქვამს?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, რა ჩემი საქმეა? მე როგორ ვეტყოდი!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ, ვინ ეტყოდა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ეშმაკმა იცის მთემელიცა და გამგონეც! დალოცვილო, განა ცოტა რამები ვიცი, რომ სხვას ვუთხრა?!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სწორეთ?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჩემი სუფ-სარქისის მადლმა!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ კარგი. ტუსალები მოყვანეს ციხიდან?

კ ა რ ა პ ე ტ ა – აქ გახლავან.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ, იმერელი შემოიყვანონ და შენ შემოჰყევ. (კარაპეტა მიდის) საიდან ტყობილობს ის შეჩვენებული, რომ მისგან ვეღარა დაგვიმალავს-რა!

გამოსვლა მეოთხე

(ისივე და შემოჰყავთ ს ၆ ს ი კ ა. კ ა რ ა პ ე ტ ა თან მოსდევს)

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სოსიყა კიკოლას ძე კორტოხელი შენა ხარ?

ს ო ს ი კ ა – მე გახლავარ, შენი ჭირიმე.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – წინ წამოდექი. საქმეს უნდა შევუდგეთ. (წინ ქალდღე დაიდებს და წერს) შენი სახელი, მამიშენის და შენი გვარი... თქვი!

ს ო ს ი კ ა – არ-კი ბრძანეთ? მანდ არ გინერიათ, შენი ჭირიმე! ასე უცფათ ვინ გამოცვლიდა?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სსუ! შენ ის მიპასუხე, რაცა გეითხო!

ს ო ს ი კ ა – კი, შენი ჭირიმე!.. მოგახსენებ.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ავაზაკობას გენამებიან.

ს ო ს ი კ ა – ვინ, ბატონო?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ვინ და ესა.

გაიძვერები

ს ო ს ო კ ო – თავი ოუგდია ძალუან! ავაზაკს რა მიგავს, ღმერთო
მომკალი!

ს ო ზ ო რ ო ვ ო – სცნობ თავს დამნაშავეთ თუ არა?

ს ო ს ო კ ო – ვის თავს, ბატონო?

ს ო ზ ო რ ო ვ ო – სიტყვებს ბანზე ნუ აგდებ! მაგ შენი პასუხები-
დანა ჩანს, რომ კარგი სული არ უნდა იყო!

ს ო ს ო კ ო – ვინ მოგახსენათ მაგისთანა უცნაური? მე უკეთ არ
ვიცი, რაცხა ვარ? ლაქიობაში ერთი ვერ მჯობია, კაი პოვარი ვარ...
მზარეულობაც ქე ვიცი: კაი ჩახოხბილი კაი აფხაზური ღომით... კაი...

ს ო ზ ო რ ო ვ ო – მაგას არა გყითხავ!

ს ო ს ო კ ო – ქუჩრობა შემიძლია და მებალობა!

ს ო ზ ო რ ო ვ ო – არ გესმის, შენ! მე რას გეკითხები და რასა
პპოდავ? ეგ რა ჩემი კითხვის პასუხია?

ს ო ს ო კ ო – პასუხია, მარა, თუ არ დამაცლი, დალოცვილო, რავა
იქნება! ამდენი ხელობა ვიცი-მეთქი, რომ მოგახსენებ, ამას მიტომ
მოგახსენებ, რომ უსაქმურათ ჩემ დღეში არ დავრჩენილვარ, რომ
გამჭირვებოდეს რამე და გაუჭირველათ კაცი განა იცუდ-კაცებს?

ს ო ზ ო რ ო ვ ო – თუ მაგრეა, მაშ ამ კაცს რა უყავი?

ს ო ს ო კ ო – რა უნდა მექნა?! რა გიყავი, კაცო?

კ ო რ ო პ ო ტ ო – ვა, მეტს რაღას მიზამდი!..

ს ო ს ო კ ო – ჰო, რა გიყავი, აპა, მოახსენე, მარა ისე კი ნუ,
რავაც გუშინ პოლიციაში იმცრუე! მართალი თქვი, აქ ტყუილი არ
გეიძედება.

კ ო რ ო პ ო ტ ო – ვა, მტყუანს რა ვუთხრა, რაც მე სიცრუვით ეს
ჩემი სული არ წავნემიდო!

ს ო ზ ო რ ო ვ ო – სთქვი, რა იცი?

კ ო რ ო პ ო ტ ო – ამ ორი კვირის წინეთ გალუსტ ფოდრაჩიკმა
მითხრა, თუ, კარაპეტ, დღეს ტერტერას სახლობა წვეულათ მყავს და
შენც მოდი, ერთათ ქეიფი ვნახოთ და შენი თარიც თან მოიტანეო.
მეც წავედი და ქეიფი გავწიეთ. მოგეხსენებათ, ცოტა მეტი დავლიეთ:
ტერტერას ხათრი ვეღარ გავუტეხე, სულის მამაა, და მეც შეზარხოშ-
ებული, ლამის ორი საათი იქნებოდა, შინ დავბრუნდი. ბნელოდა. ვან-
ეის ქუჩაზე რომ გამოვედი, ეს მომეპარა უკანიდან და ერთი ისეთი
დამკრა თავზე, რომ მე მაშინვე გული შემიწუხდა და დავეცი. რამ-
დენ ხანს ვეგდე დედამიწაზე არ დამითვლია. რომ მოვბრუნდი და
მივიხედ-მოვიხედე, იქ აღარავინ იყო... შინ რომ მოვედი, ვნახე, რომ
ქამარი აღარ იყო, საათი წაელო იმის ცეპოჩკით და ფულიც ამოე-
ცალა...

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – შენ რას იტყვი ამაზე?

ს ო ს ი კ ა – ტყუილს ამბობს ბატონო! ჩხუბი მოგვივიდა და გავლახე, მეტი არაფერი ყოფილა. კაცს მაგისთვის არაფერი წაურთ-მევია... იგონება, მცრუობს! რავაც პოლიციას მოვახსენე, სწორეფისე იყო.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ, პირში რათ წაგდგომია?

ს ო ს ი კ ა – უსირცხვილო რომ არის, მიტომ! თვითან თქვენ კი ვერ ატყობთ, ბატონო, რავა ბლანდავს სიტყვებს? არ გრცხვენია, მაგრელა კაცი რომ ბავშვივით სიმცრუეს ამბობ? თუ ბნელოდა, თუ უკანიდან წამოგეპარე და ისთვი დაგკარი და შენც მაშინვე გული შეგი-წუხდა, მე რავალა დამინახე, შე კაცო?! ამისთანა უკუდო ტყუილიც იქნება!.. რომ იტყვიან: ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო, ეს არი!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ახარ, გული რომ შემიწუხდა, განა თვალები დავხუჭე? ლია დამრჩენლა...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ჰმ! მოწმეები გყავს?

კ ა რ ა პ ე ტ ა – რალა მოწმეებია საჭირო, რომ ვიცან, ეს იყო რალა!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – შენ?

ს ო ს ი კ ა – გახლამს, ბატონო, გოგია გურული! აქ არის.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვიცი. (ზარს რეკავს) მონამე შემოვიდეს – გოგია.

გამოსვლა მასშით

(ისინივე და გ ო გ ი ა შემოდის)

გ ო გ ი ა – გამარჯვობა!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – გურიელი შენა ხარ?

გ ო გ ი ა – არა, ბატონო! გურიელი თუ ვიყო, აქ რეიზა მოვი-დოდი?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ, სადაური ხარ?

გ ო გ ი ა – გურული გახლავარ.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – სულერთი არ არის?

გ ო გ ი ა – ვინ თქვა მაი? ერთი რათ იქნება! გურიელი მთავარი გამიგონია და გურული კი ყაზილარიც ბევრია. მე კი აზნაურშვილი ვარ.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაგას არ გკითხავ. ნათესავი ხომ არა ხარ მაგისი?

გ ო გ ი ა – ამისი? სავით.

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რაო? რას ამბობ?

გ ო გ ი ა – სავით.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რა ენაზე ლაპარაკობ, რომ არ მესმის?!

გ ო გ ი ა – სავით, ბატონო, ვითამ ნათესავივით, რავარცხა ისე.

მაინცადამაინც ბრევლი არაფელი... კიც და არაც.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მერამდონე ნათესავია?

გ ო გ ი ა – მაი რა ვიცა! ვინ დეითვლის? ოჯახის შვილი ვარ, ცოტა კი არ მყავან ნათესავები!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვერ გაიგე ჩემი კითხვა, ტუტუცო?! შორს ხართ ერთმანეთზე?

გ ო გ ი ა – კაი გვარიან სიშორეზე.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაინც?

გ ო გ ი ა – იმდენზე, რამდენათაც ქუთაისი და ოზურგეთია ერთ-მანეთზე. მე გურული ვარ და მაი იმერელი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ოჟ, რა მხეცია!.. კაცო, მაგას არავინ გეკითხება! მახლობელი ნათესავია შენი თუ არა?

გ ო გ ი ა – მე აზნაურშვილი ვარ კაობით კაი ტაკიძე და მაი კი ყაძახია კანკურაზი!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგეც ხომ ვიცით. ნათესავებს გვითხავთ.

გ ო გ ი ა – აკი მოგახსენე, აზნაურშვილი ვარ და ყაძახი რა უნდა იყოს ჩემი? ძმაი არ იქნება, ბიძაი და ბიძათა შვილი!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაგას გარდა განა ნათესაობა არ იქნება?

გ ო გ ი ა – (თავისთვის გულმოსულათ) ამისთანა ბელასინი გაგონილა! არა-მეთქი და რომ არ დამიჯერა!.. თუ მაინცადამაინც აღარ იშლით, ქე ვართ რაცხა!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ჭო და, მეც მაგ რაცხასა გვითხავ.

გ ო გ ი ა – მოგახსენო?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ახა, ღმერთო! თქვი რაღა, რა არი შენი?

გ ო გ ი ა – დავით ხუცის, კოკოშაძის, გერის ბუშის ნათლი-მამის ბიცოლის რაცხაა მაგი და მეც კიდომ მისი ცხრა მთას იქითო მოყვარე ვარ.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რაო? რაო?

გ ო გ ი ა – დავით ხუცის გერის ბუშის...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – სსუ! ხომ არ გაგიჟებულხარ შენ!.. რას ამბობ?.. რას ნიშნავენ ეგ შენი სიტყვები?

ს ო ს ო კ ა – ეს, ბატონო, ჩვენებურათ რომ იტყვიან „ჩხივი ყვა-ვის მამიდაო, გაფრინდა და წავიდაო“ – ის გახლავსთ.

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეს კიდევ უკეთესი! აი, დასწყევლოს ღმერთმა თქვენი ქაჯური ენა და თქვენც!.. რომ ვერ გავიგე, რა არიან ერთ-მანეთისა!..

ს ო ს ი კ ა – არაფერი, ბატონო, ტყვილა ძმობილები.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგ რასა ნიშნავს?

ს ო ს ი კ ა – არაფერს, ბატონო! ძუძუებზე უკბინეთ ერთმანეთს და დავძმობილდით, სხვა არაფერი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ ეგ ნათესაობა არ არის? ასე გეთქვათ იმ თავითვე, თორემ ვიღაც დავით ხუცესია, რათ მინდა ის? (გოგიას) შენ დაესწარი ამათ ჩეუბს?

გ ო გ ი ა – ბეჭითათ დავესწარი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – როგორ იყო? ტყუილი არა თქვა, თორემ...

გ ო გ ი ა – ტყუილს რეიზა ვიტყვი! წვერ-ულვაში კი არ გამქუცვია!.. მაი მოდიოდა სახლის წინ.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვინ მაია?

გ ო გ ი ა – მაგი ყაზილარი, ბატონო, მაგაზე ვჩივი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – როგორ, შენ უჩივი?

გ ო გ ი ა – არა, ბატონო, ასე ვჩივი, ანბავს მოგახსენებ. დადიოდა სახლის წინ და ბლაოდა. მოვიდა სოსიკაი და უთხრა: ჩემო ძმაო, ვინცხა ხარ, ჩამომეთხოვე, რა გინდა რომ ყოლლამ აქანეი დეეთრევი და ბლავი უშველებელსო! ტყუილათეთი ან ქალს რეიზა სჭრი თავს და ან მე რეიზა მაკუჭანეფო! ეს რო უთხრა, მაგან ხელი უბიძგა.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რა ქნა?

გ ო გ ი ა – უბიძგა ხელი, ასე...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ხელი ჰკრა?

გ ო გ ი ა – ჰო, უბიძგა. მაშინ სოსიკაი მოუბრუნდა და უთხრა: ეგ წუ იქნება, თვარა, ბიძგება შენ ჩემისთანა რავა იციო! იანგარში რომ გიბიძგო, თებერვალს გადაგაცილებ და შიგ კაკალ მარტში მიგარვევინებ თავსაო. მოუვიდათ ჩეუბი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მერე?

გ ო გ ი ა – ბრევლი ანასუნ-ბაბასუნი უთხრეს ერთმანეთს და მერე სოსიკამ წაართვა ხელიდან დიდი ჩანგური და ზე სტკუცა თავზე. იგი შეშინებული გეიქცა და ჩვენც ჩვენდა წავედით.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – საათი, ქამარი, ფული და ან სხვა რამე ხომ არ წაურთმევიათ ამისთვის?

გ ო გ ი ა – აპ, რა თქვენი საკადარისია! ხელი ვის უხლია?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, ჩემ სუფ-სარქისის მადლმა...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – კმარა! (რევავს) შემოიყვანეთ მეორე მოწამე.

გაიძვერები

გამოსვლა მეუავსე

(ისინივე და ი ა გ უ ნ დ ო ვ ი შემოჰყავთ)

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – (სოსიკას) იცნობ ამ კაცს?

ს ო ს ი კ ა – ვერა, ბატონო, სწორეფ ვერ ვიცნოფ!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – (მონამეს) შენ ამას იცნობ? (მიუთითებს გოგიაზე)
ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – ვერა.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ამას? რას გაჩუმდი? იცნობ თუ არა?

ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – (სოსიკას) ვუთხრა თუ არა?

ს ო ს ი კ ა – იმე! თუ-კი მიცნოფ, რატომ არ მოახსენეფ, შე კაი
კაცო?

ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – ვიცნობ.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სად გინახავს? კიდევ გაჩუმდი? თქვი, ნუ დამალავ!

ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – ესეც მოვახსენო? განა დაფიცვა აღარ მოხ-
ერხდება?

ს ო ს ი კ ა – იმე, რა ყოფილხარ შენ?! თუ სადმე გინახავარ,
რა დასამალავია? მე გეტყვი, მუხრან-ბატონის ქორწილში მნახამდი!
მოახსენე, რა დასამალავია!

ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – კარგი, შენი ნებაა! ესეც აქ გახლდათ.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ოცდაოთხ დეკემბერს, ნაშუალამევს სად იყავი შენ?

ს ო ს ი კ ა – რა ვიცი, ბატონო! წლის განმავლობაში რომელ დღეს
სად ვიყავი, რა გამახსენდება? ეგ რომ ვიცოდე, მაშინ კალენდარი
ვიქნებოდ!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ყოველ დღეს ვინ გკითხავს? მე გეკითხები ოცდ-
აოთხ დეკემბერს-მეთქი.

ს ო ს ი კ ა – კორკოტობას?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – კორკოტობა რა არის?

ს ო ს ი კ ა – შობის წინადღე, ბატონო!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ჰო, შობის წინადღეს, ნაშუალამევს.

ს ო ს ი კ ა – შინ ვიქნებოდი, აპა სხვაგან რათ წევიდოდი ქრის-
ტიანი კაცი!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სტყუი! სად ნახე შენ ეგ იმ დროს?

ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – იქ ერთად ვიყავით.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სად?

ი ა გ უ ნ დ ო ვ ი – პოლკოვნიკი რომ გავცარცვეთ.

ს ო ს ი კ ა – ჰმ, რას ამბობ, კაცო, გედეირიე?!

გაიძვერები

ი ო გ უ ნ დ ო ვ ო – თუკი შაუტყვიათ და დაფიცვა აღარ მოხერხდება, მაშ რა ვქნა, რომ მეც არ გამოვტყდე! შენსას ჩემი თავი მიირჩევნია, მაგრამ უნდა ვთქვა, მეტი გზა აღარ არის!..

გ ო გ ო ა – ყბას ხომ არ იქცევს აი დედაგაგლეჯილის შვილი!.. რას ჩივა ამ საჯაყს!..

ს ო ს ო კ ა – აჲ, ტყუუილია, ბატონი! სწორეთ ვინცხას მიმაგვანა... მიცნობ, ვინცხა ვარ?

ი ო გ უ ნ დ ო ვ ო – ვა, განა ერთხელ მინახევხარ?

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – ვინ არის?

ი ო გ უ ნ დ ო ვ ო – ჩვენი სოსიკა კორტოხელია.

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – ეგეც თქვენთან იყო იმ დღეს?

ი ო გ უ ნ დ ო ვ ო – გახლდათ. პირველი ეგ შევიდა და ფეხზედაც ხანჯალი მაგან დაჲკრა.

გ ო გ ო ა – რას ჩივა აი დედაგაგლეჯილი!..

ს ო ს ო კ ა – აჲ რაცხა სხვა ამბავია, თვარა... კაცო!

კ ა ც ი ს ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ – არ შეიძლება!.. არა სცალიან!..

ქ ა ლ ი ს ხ მ ა – უნდა შევიდე... სიტყვა მაქვს გადასაცემი, გამიშვით... შემიშვით!.. (შემოვარდება ქალი).

გამოსვლა მეშვიდე

(ისინივე და ს რ ფ ი მ შემოდიან აშფოთებული)

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – ვინა ხარ და რა გინდა?

ს ო ფ ი მ ა – მე, თქვენი ჭირიმე, ამის საცოლო გახლავარ... მათქმევინეთ სიტყვა... თქვენი ჭირიმე!

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – რა გინდა?

ს ო ფ ი მ ა – ჩემი ბრალია, შენი ჭირიმე... მე ავაგულიანე, ჩემი მიზეზით იღუპება... თუ ეგ გამტყუნდება, მეც დამნაშავე ვიქენები და მეც დამიჭირეთ... მაგასთან ერთად... უმაგისოთ რათ მინდა თავი ცოცხალი...

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – მაშ შენც ამტკიცებ, რომ დამნაშავეა?

ს ო ფ ი მ ა – დიახ, მაგრამ იმდენათ არა, რამდენათაც ენამებიან!.. წალებით არა წაულია-რა, მხოლოთ დაკვრით კი დაჲკრა ერთი.

ს ო ს ო კ ა – რას ამბობ, სოფიო, ჭკუას მოეგე!

გაიძვერები

ს ო ფ ო ო – ვიცი, რასაც ვამბობ... პოლიციაში ვიყავი და იქ
მითხრეს ყოლიფერი... ტყვილია, შენი ჭირიმე! წალებით არა წაულია-
რა... მხოლოდ ერთი კი დაპკრა და...

ს ა ზ ა რ ო ვ ო – შენ საიდამ უყურებდი?

ს ო ფ ო ო – ფანჯრიდან... მე ტყუილს არ მოგახსენებ...

გ ო გ ო ა – რას შვება აა ქალი?! დაია, შენ სულ სხვას ჩივი და აქ
კი სულ სხვაფერაა საქმე!..

ს ა ზ ა რ ო ვ ო – ჩუ! შენ არავინა გყითხავს! გაიყვანეთ გარეთ!

ს ო ს ო კ ა – კი, ბატონო, მარა ამას ჰეონია...

ს ა ზ ა რ ო ვ ო – ხმა ჩაინყვიტე! წაიყვანეთ ეს, სეკურეტში ჩააგდეთ,
არავინ მიაკაროთ და ეს ქალი კი აქ დასტოვეთ, ჩვენება უნდა ჩამ-
ოვართვა. (თავისთვის) რა მშვენიერია!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – შეფრინდა ჩიტი გალიაში!..

ფარდა დაეშვება

მოქმედება მესამე

ოთახი საზაროვის სადგომში

გამოსვლა პირველი

ს ა ზ ა რ ო ვ ო – (სტოლთან ზის და წერს, კარაპეტა კარებთან
დგას. დააგდებს კალამს) ერთი აზრი მეორეზე ვეღარ გადამიბამს!..
ვინ მოიფიქრებდა, რომ უბრალო ხელში ჩაგდების უინი სიყვარულათ
გადამექულდა!.. სად მე და სად ის!.. ვინ მე და ვინ სიყვარული!..
საკვირველია, რომ იმაზე არა სჭრის არც საჩუქარი, არც რისხვა,
არც ალერსი და არც სიყვარული!.. ოჳ, კარაპეტ, კარაპეტ!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – რას მიბძანებ, შენი ჭირიმე?

ს ა ზ ა რ ო ვ ო – აა! შენ აქ ყოფილხარ?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ეს არის, ეხლა გიახელი!

ს ა ზ ა რ ო ვ ო – ეგრე ჩუმათ როგორ შემოიპარე?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ფიქრში ბძანდებოდით და ვეღარ შემნიშნეთ.

ს ა ზ ა რ ო ვ ო – იყავი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – გახლდით.

ს ა ზ ა რ ო ვ ო – რა ამბავი იცი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – მაგდენიც არაფერი.

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – კიდევ არაო?

კ ა რ ა პ ე ტ ა – განა არ მოგეხსენებათ მისი კერპობა? ცოტა ტანჯვა მივაყენეთ, რომ ჩვენს ნებაზე ვერა ვათქმევინეთ-რა?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – კი, მაგრამ ახლა სულ სხვა არის... სიცოცხლე ტკბილია.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ალბათ არ ეტებილება, რომ არა შეიგონა-რა!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – იცის კი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – შეუტყვიათ.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგებ კარგათ ვერ შეაგონე?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა! განა მეტიღა იქნებოდა? რათ გინდა, რომ თავი გაიფუჭო? ეგ შენი ჯეელბა მაინც აღარ გებრალება-მეთქი? შეუთვალე, რომ გამომძიებლის ნებაზე გაიაროს და მორჩა, გათავდა: თავისუფალი იქნები და სიკვდილსაც გადარჩები-მეთქი...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგები არა სჯერა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – შევფიცე, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის: ყველა სიკვდილის შვილები ვართო, თავიდან ვერავინ ვერ ავიცდენთ, ერთხელაცა არის, ყველა უნდა დავემორჩილოთო... ის ლვოის ნებაა, მაგრამ ნამუსი კი ჩვენ ხელშია და ნება არ გვაქვს, რომ დავკარგოთო. ვინც მიყვარს, მისი ლეჩაქით რომ თავი ვიყიდო, მერე რაღა პირით უნდა შევხედო... არ ჯობს, რომ საიქიოს მაინც პირნათლათ შევხვდეთ ერთმანეთსაო!..

ს ა ზ ა რ ო ვ ი – საკვირველია... საკვირველია!.. ერთი უბრალო ვინმე დაბალწოდების კაცი და მაგისთანა აზრები!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვეუბნები, თუ, კაცო, რას გადარეულხარ? თვალი გაახილე, ქვეყანას შეხედე, შენისთანები არიან, რომ ჯვარდანერილი ცოლების წყალობით კეთდებიან-მეთქი? „ისინი რა ჩვენი მისაბაძავები არიანო! იმათ სხვაც ბევრი რამა აქვთ და ჩვენ-კი, საწყალ, დაბალ ხალხს ნამუსის მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ისიც დავკარგოთო!“

გამოსვლა მეორე

(ისინივე და ტ უ რ ო ვ ი)

ტ უ რ ო ვ ი – ააა, გამარჯობა! რა ამბავია? რისთვის დაგიბარებიგარ?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – დღეს ვადაა ბანკისა... ფულია შესატანი.

გაიძვერები

ტ უ რ ო ვ ო – ეჰ, სულ გადამავიწყდა! ერიპა! რატომ აქამდი არ მომაგონე? ხელათ არა მაქვს და ახლა ასე უცბათ სადღა უნდა მოვასწრო?..

ს ა ზ ა რ ო ვ ო – მაშ, რა ვქნათ ახლა?

ტ უ რ ო ვ ო – რაღა გაეწყობა! ეგ ერთიც კიდევ შეიტანე შენ და მერე მე შევიტან შენ მაგიერ. ახა, ღმერთო ჩემო, ეს როგორ მომი-ვიდა... როგორ დამავიწყდა!..

ს ა ზ ა რ ო ვ ო – რომ არც მე მაქვს ხელათ!

ტ უ რ ო ვ ო – არაფერია, შენ უფრო მოახერხებ!.. მეც კი დავ-ტრიალდები. თუ სადმე ვიშოვნე, ხომ კარგი, თუ არა და შენ უნდა შეიტანო, მეტი გზა აღარ არის! წავიდე ერთი, სხვაგანაც ვეცადო. (მიდის, მობრუნდება) მართლა, ციხის გალავანში იქნება პროცესია?

ს ა ზ ა რ ო ვ ო – დიახ, გალავანში.

ტ უ რ ო ვ ო – კარგი მასალა იქნება გაზეთისათვის! ბილეთს ვერ მიშოვნი?

ს ა ზ ა რ ო ვ ო – პოლიცემეისტერს თხოვე.

ტ უ რ ო ვ ო – მშვიდობით, მშვიდობით! არ დაგრჩეს შეუტანელი! მეც ვეცდები, მაგრამ იმედი კი არა მაქვს. (გადის)

ს ა ზ ა რ ო ვ ო – (კარაპეტას) რას იცინი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – რა შტუქარი ვინმეა!.. დღეს ჩვენი იაგორ პავლოვიჩი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, ეგები ფულები ვიპოვნო სადმეო... მაკლიაო, ბანკში უნდა შევიტანოო მაგის მაგიერ. ისიც მოუტყუილებია... ჩაუთრევია რაღა!

ს ა ზ ა რ ო ვ ო – მე კი არ ვიცოდი? უსინდისო ვინმეა!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ი რაღა ბილეთსა თხოულობდა?

ს ა ზ ა რ ო ვ ო – უნდა უყუროს, როგორ ჩამოახრჩობენ ტყვეებს.

კ ა რ ა პ ე ტ ა – განა ყველას ჩამოახრჩობენ?

ს ა ზ ა რ ო ვ ო – შვიდივეს და მათი ცოდვაც შენს კისერზე იყოს!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, მე რა ბრალი მაქვე!..

ს ა ზ ა რ ო ვ ო – შენ ააგულიანე. თუ შენ არ გეთქვა მალიევისთვის იმ პოლკოვნიკის ამბავი და მისი სიმდიდრე, ვინ იცის, იქნება გულშიაც არ გავლებოდათ მისი თავზე დასხმა.

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო! ქვეყანამ იცის, რომ ალელოვი, ჩითახოვი, მანთაშოვი და ბევრი სხვაც მდიდრები არიან. მეც რომ სადმე ვთქვა, ფული აქვთ-მეთქი და იმ ღამეს ისინი გაქურდონ, ჩემი ბრალი იქნება? ალბათ გულში სდებიათ ავაზაკობა, თორემ რატომ სხვაც ვინმე არ წავიდა? ან თვითონ მე რატომ არ წავედი?

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვთქვათ აგრეა, მაგრამ იმერელზე რაღას იტყვი? კ ა რ ა პ ე ტ ა – სოსიკაზე? ვა, ის ვილაზე ნაკლები ავაზაკია? ხ ა ზ ა რ ო ვ ი – შენ რომ გცემა მიტომ? არ იცი, რომ მართალია მაგ საქმეში?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ამ საქმეში და სხვებში?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – აპა რა სხვებში?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვინ იცის? განა არ იქნება, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ? ძველათ ერთ ხელმწიფეს თეთრი ბედაური მოპარეს. გაწყრა. ერთ ფლან ვინმეზე ეჭვი აიღეს და ჩამოახრჩვეს. ბოლოს გაიგეს, რომ ის საწყალი კაცი დამნაშავე არ ყოფილა... იჯავრა ხელმწიფემ და ჩავარდა ლოგინათ. ერთხელ თურმე ბრძანა: რომ ნამდვილ ქურდს ვინმე მაჩვენებდეს, რასაც მთხოვს, მივცემო. მეორე დილას შედის იმასთან ერთი კაცი და მოახსენებს, თუ ასე და ასე გიპრძანებია, მე ვარ ის ქურდი და უნდა მაპატიოთო, ამიტომ რომ ჩემი თავი გიჩვენეთო. ხელმწიფემ თურმე უბძანა: მე კი მიპატივებია, მაგრამ ცოდვა-კი შენს კისერზე იქნებაო. ქურდმა გაიცინა და მოახსენა: შენი მეშინოდა, თორემ ცოდვა როგორ მიწევს, რომ ის კაცი ჩემი ამხანაგი იყო და მართლაც თეთრი ცხენის მოპარვაში არ რეულა, მაგრამ შარშან რომ შენი საჯინიბოდან შავი ბედაური გამოიყვანეს, ის კი იმან მოიპარაო. შეიძლება კაცმა ბევრი რამ აიცდინოს თავზე და ბევრჯელ უსამართლოდაც გამართლდეს, მაგრამ მაგიერათ, ცოდვა იქ წააკვრევინებს ფეხს, სადაც არა ჰერონია და იმაში გამტყუნდება, რაშიაც მართალია, ამიტომ რომ ღმერთი სამართლიანია... არ შეიძლება, რომ ცოდვა არ მოჰკითხოს.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ეგები იმ იმერელს ჯერ კი არა ჩაუდენია-რა ცოდვა!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ცხოვრება განა ისე ატარებს კაცს, რომ ფეხი არ წააკვრევინოს? ეჲ, ყველა ცოდვის შვილები ვართ!.. თუ სოსიკა მართალია, ყველაფერში მართალია, ნეტავი მის სულს, რომ პირნათლათ წადგება მეუფის წინაშე!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – კარგათა სჭრი, მაგრამ ცუდათ კი ჰერავ, რატომ მაგაებს შენს თავზე არ ამბობ?

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო! ახლა რაღა დროს, რომ ცოდვით დატვირთული ვარ... მოუნანებლათ ამ სოფლის მოშორება რა მადლი იქნება?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – აპა, მიტომ დამდგარხარ სინანულის გზაზე? სულ სულის საქმეზე არა ჰერობ!

კ ა რ ა პ ე ტ ა – რა ვქნათ!.. ყოლიფერი ღვთის წებაა: დღეს ასე ბძანებს, ხვალ ისე, სად გაიქცევი!..

გაიძვერები

გამოსვლა გასახა

(ისინვე და ს ა ნ დ რ თ შემოდის, წერილი შემოაქვს)

ს ა ზ ა რ ო ვ ი – წერილი? ვისია?

ს ა ნ დ რ ო – რა მოგახსენოთ! პროკურორის ბიჭმა მოიტანა.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რა ამბავი უნდა იყოს! (კითხულობს) საჩქაროთ
მიბარებს. მე შევალ, ჩავიცვამ და ისე გავალ. ბიჭო! შენ აქაურობა
მიალაგ-მოალაგე. ხომ ხედავ, რომ მტვერი დაჰყურია!

ს ა ნ დ რ ო – ბატონი ბძანდები.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – კარაპეტ, შენ აქვე მომიცადე! საქმე მაქვს,
არსად წახვიდე (მიდის, ბიჭი მებელს წმენდს. კარაპეტა ცოტა ხანს
დაფიქრიებულია).

კ ა რ ა პ ე ტ ა – შეუტოპავს დაუკრეფავში!.. უინი მოსდის,
ვერასა ხდება და იძახის თუ მიყვარსო!.. მე მეუბნება: შენი ბრალიაო!
ვა, ჩემი ბრალი კი არა, მისი დედ-მამის ბრალია, რომ ლამაზი ვინმე
გამოსულა... შენ გამოჩხრიკე პირველათაო!.. გამოჩხრეკა რომელია?
მთვარე რომ ამოვა, ყველა დაინახავს, გამოჩხრეკა რაღა საჭიროა!..
ვერ მოვითმენ, მიყვარსო!.. ვა, მე კი მძულს თუ? მისი გულისათვის
ზურგზე ტყავი ამართვეს, ერთი მისი მოხვევნა ერთ რამეთა ლირს,
მაგრამ ვითმენ... ძალადობა ხომ არ იქნება!.. დალოცვილს გალიაში
ჰყავდა, გამოუშვა და ახლა გაფრენილს დასდევს, ვისი ბრალია? ეჱ,
მახლას!.. (მოიხედავს) ჰა, სანდრო! შენ რაღასა იქ, ჩემო აღდგომის
ბატკანო? იახშიოლოვი ხომ აღარ გინახავს... აღარ გაგონდება?

ს ა ნ დ რ ო – (გულმოსული) ისიც ღმერთმა შეარცხვინოს და მისი
მომგონიც, რაც კარგი სული ის არ იყოს!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჰა! ხომ მოშორდი და მორჩი? ახლა ხომ კარგათა
ხარ?

ს ა ნ დ რ ო – მადლობა ღმერთს!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჰა, მაშ გადასული საქმე როდილა უნდა
მოიგონო, შვილო!

ს ა ნ დ რ ო – შენ მომაგონე, თორემ მე განა მესიამოვნება მისი
მოგონება!

კ ა რ ა პ ე ტ ა – სოფელი ასეა, შვილო, ხან თაფლს აჭმევს კაცს
და ხან ნაღველს ასვამს!.. ზოგიერთები თავის სიცოცხლეში სულ
ნაღველსა სმენ. შენ კი, შვილო, ერთხელ ნაღველი გისომს და ახლა
თაფლსა სჭამ, კიდევ ღმერთს უნდა მადლობდე!

ს ა ნ დ რ ო – აკი არას ვამბობ!

გაიძვერები

კ ა რ ა პ ე ტ ა – არც გეთქმის... იაშმიოლოვთან რომ ის სიმწარე არ გამოგეცადა, ეგება დღეს მაგ ყოფაში არ იქნებოდი. დარჩებოდი იმ შენს იმერეთში სხვებსავით და ერთი ვინმე მხეცი იქნებოდი, ტყიდან გამოვარდნილ ეშმაქს ეგვანებოდი.

ს ა ნ დ რ ო – გეტყობა არ გინახავს შენ იქაურები!

კ ა რ ა პ ე ტ ა – მინახამს, შვილო, განა არა? აბა რომელია შენისთანა? დღეს კაცი ხარ, ადამიანის შვილს გევხარ, სიტყვა-პასუხი გაქეს.

ს ა ნ დ რ ო – თქვენს ხელში რაღა ადამიანობა შერჩება კაცს?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა! ვა! მაგას რას ამბობ, ბიჭო!.. განა ყველა იახშიოლოვია? ბევრი ჩემისთანაც ურევია, ჩემმა მზემ!

ს ა ნ დ რ ო – სულერთია: მგელი ყველა მგელია.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა! ვა! მაგას რას ამბობ? სულს რათ იწყმენდ?! შენ რათ მანგრე ცუდ გუნებაზე ხარ დღეს?!

ს ა ნ დ რ ო – ზოგი სხვებისაც იკითხე, ჩვენებურები რა გუნებაზე არიან?

კ ა რ ა პ ე ტ ა – რა მოუვიდათ? კორტოხი ხომ არ ჩამოუქცევიათ?

ს ა ნ დ რ ო – ანბობენ, რომ ხვალ სოსიკა უნდა ჩამოახრჩონო.

კ ა რ ა პ ე ტ ა – მერე რაო? ის განა თქვენი კათალიკოსი იყო?

ს ა ნ დ რ ო – ის იყო, რომ, თუ იმას არ გამოედვა თავს, დღესაც იახშიოლოვთან ვიქნებოდი... იმერლებისთვინ თავგამოდებული იყო და ცოტა მადლი კი არ უქნია... და დღეს კი თხასავით უნდა ჩამოჰკიდონ სახრჩობელაზე მართალი სული!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – შენ რა იცი, შვილო, რომ მართალია?

ს ა ნ დ რ ო – ერთმანეთის ანბავი ჩვენ უკეთ არ ვიცით? სოსიკა რომ მართალი იყო, ეს ვინ არ იცის და მისი ცოდვა მიეცეს, ვინც ის ტყუილაუბრალოთ დაღუპა!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – რას ამბობ, ბიჭო? შენმა აღამ გამოიძია და განა ეგ იაღლიშათ მოვიდოდა!..

ს ა ნ დ რ ო – ასე კია და... ნამდვილათ ჩამოახრჩობენო!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვინ იცის, შვილო! ეგებ ისე აშინებდენ და სახრჩობელაზე რომ აიყვანენ, მერე აპატიონ... ამისთანა ამბავი ბევრჯელ მოხდება ხოლმე.

ს ა ნ დ რ ო – მერე, რომ აპატივებენ, გაუშვებენ?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ტუტუცო! განა სულ აპატივებენ? მარტო სიცოცხლეს აჩუქებენ და მიწის სამუშაოთ-კი მაინც გაგზავნიან კატორლაში.

ს ა ნ დ რ ო – ეგ კიდევ უარესი! იქ გაგზავნას, აქ სიკვდილი სჯობია: აქ თავის მინაში მაინც დაიმარხება!..

გაიძვერები

გამოსვლა მეოთხე

(ისინივე და ს ვ ი ს ტ პ რ ვ ი შემოიჭრება)

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი - გამომძიებელი შინ არის?

კ ა რ ა პ ე ტ ა - რა ამბავია? ცეცხლი ხომ არ გაჩენილა?

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი - თქვით, შინ არის თუ არა?

კ ა რ ა პ ე ტ ა - პროკურორთან წავიდა და ახლავე მოვა.

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი - პროკურორთან?.. (წასვლას აპირებს)

კ ა რ ა პ ე ტ ა - ვა, არ იტყვი, რა ამბავია?

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი - ტუსალები გაქცეულან.

კ ა რ ა პ ე ტ ა - ვინ ტუსალები?

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი - ვინ იქნებიან, თუ არ სახვალიო!.. (მიღის)

კ ა რ ა პ ე ტ ა - (შემკრთალი) ახარ, მაგრა ვერ შეინახამდენ!..

გაქცევა არ ერჩიათ დახმარებას? რაღათ დაიზოგავდენ თავს!.. წადით ახლა და სდიეთ!

ს ა ნ დ რ ო - რა თქვა? ტუსალები გაქცეულანო? ნეტავი სოსიკაც თუ გაიქცა?..

კ ა რ ა პ ე ტ ა - ვა, ტუტუცო, ის ვიღას მოუცდიდა?!

ს ა ნ დ რ ო - (გახარებული) ღმერთო შენს მადლა! წავიდე ერთი, ჩვენებს შევატყობინო!.. (გარბის)

კ ა რ ა პ ე ტ ა - მართალი ნათქვამია: მგელი არ მოშინაურდებაო. ვერა ხედამთ ამ ტუტუცს, როგორ გაიქცა?!.. მაინც ხომ იმერლებისკენ უჭირავს თვალი!.. (დაფიქრდება) თუ სოსიკაც გაქცეულია... საითაა? ერთიც ვნახოთ, მნახოს სადმე... მერე? ხომ ცოცხალს ალარ გადამარჩენს... უნდა ფრთხილათ ვიყო. სახლიდან არ გამოვიდე!..

გამოსვლა მეხუთე

(ისვე და ს ა ზ ა რ ვ ი)

ს ა ზ ა რ ვ ი - რას დაგილრეჯია მაგრე უცნაურათ?

კ ა რ ა პ ე ტ ა - იაგორ პავლოვიჩი იყო... ტუსალები გაქცეულანო.

ს ა ზ ა რ ვ ი - ვიცი. პროკურორიც მიტომ მიბარებდა. მერე შენ რა?

კ ა რ ა პ ე ტ ა - როგორ თუ რა? ისიც თუ გაქცეულა?

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვინ ისა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – სოსიკა.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – გეშინია?

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო, რა სასაცილოა? მე და ჩემმა ღმერთმა, ორივეს გაგვათავებს!..

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მე არა მიჭირს-რა და შენ კი ვერ მოგივა კარგათ საქმე?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვინ მამაოხრის შვილი სახლიდან გავა, სანამ არ დაიჭერენ!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაგის იმედი ტყუილა ნუ გაქვს: სახლშიაც კარგათ შემოგიხტება! ყოლიფერი შენი ბრალი იყო და შენვე უნდა გადაგხდეს!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა! თუ მანგრეა, მე ყარაულებს ვითხოვ!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – დიახ! შენთვის მოაცლიან ყარაულებს!

კ ა რ ა პ ე ტ ა – მაშ რა ვქნა?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – არაფერი! ახლავე უნდა მის საცოლესთან წახვიდე.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ხუმრობთ? ახლა ხომ სოსიკაც იქ იქნება?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ეგ უკეთესი: დაიჭირე, ჯილდოს მიიღებ!

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო! მე რა დამჭერი ვარ?!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ყოჩალობას კი ძალიან ჩემობ და...

კ ა რ ა პ ე ტ ა – ის ხომ კრივში არ გამოვა? თან ხანჯალი ექნება, მე მუშტით რას გავაწყობ?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – დამშვიდდი, იმას ხვალ ჩამოახრჩობენ.

კ ა რ ა პ ე ტ ა – (გახარებული) მართლა?! მაშ ვინ გაქცეულან?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვიღაც უბრალო ორი თათარი.

ჰკ ა რ ა პ ე ტ ა – შაქარს მიირთმევთ? გული გამიხეთქეთ!.. მე თქვენთვის მეშინოდა... განა ჩემთვის?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ვიცი, რაც შვილი ხარ!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჰმ, ეს რა კარგი ფიქრი მომდის!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რაო კიდევ?

კ ა რ ა პ ე ტ ა – გნებავთ, რომ ის ქალი მოვიყვანო?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რას ამბობ? გაგიუდი?

კ ა რ ა პ ე ტ ა – არა, ჩემმა მზემ!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – აბა რას წამოგყვება?!

კ ა რ ა პ ე ტ ა – განა ნებით?.. მოტყუებით მოვიტაცოთ.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მერე რა გამოვა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჩვენს ხელში ხომ იქნება და მერე თქვენ იცით რაც გამოვა!..

გაიძვერები

გამოსვლა მეუავსე

(ისინივე და ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი)

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი – ამდენი ხანია დაგეძებთ! არესტანტები გაქ-ცეულან... ყარაულები დაუჭრიათ, უნდა წამოხვიდეთ...

ს ა ზ ა რ რ ვ ი – ყარაულები დაუჭრიათ? მაშ ახლავე წავიდეთ.

ს ვ ი ს ტ კ რ ვ ი – წამობრძანდით, ნულარ დავიგვიანებთ... ფაი-ტონი მზათ არის. (მიღიან)

კ ა რ ა პ ე ტ ა – (მარტო) ეს რა კარგი შტუკა მომდის თავში!. ახლა კი ჩავიგდებ ხელში... მართალს ამბობს ხარიტონ კარლოვიჩი: ვისაც აქ ბევრი აქვს, (ხელს იდებს შუბლზე) იმან, რაც უნდა ხარჯოს, კიდევ ბევრი დარჩებაო.

ფარდა

მოქმედება მეოთხე

ძალიან ღარიბი ოთახი. ბუხარში ცეცხლი.

გამოსვლა პირველი

ცეცხლიპირას ზის თ ე კ ლ ე და ართავს. განზე სკამლოგინზე ს ო ფ ი რ ა წამოწოლილი

თ ე კ ლ ე – ჰმ!.. კიდევ!.. ეს მესამეთ ჩავუთქვი და სამჯერვე გაწყდა... ორჯელაც დამიცარა თითისტარი... კარგი ნიშანი არ არის... ღმერთო, შენ აგვაცდინე განსაცდელს!.. (ქუხილი) უჰ! წმინდა არს, წმინდა არს! რა საშინელი ელვა-ჭექაა... თვითქოს ცა და ქვეყანა იქცევაო!..

ს ო ფ ი რ – აი, დაიქცეს ბარემ და ჩაიტანოს დედამიწა!

თ ე კ ლ ე – უი, დამიდგეს თვალები... რას ამბობ, შვილო?! ეგ ხომ გმობაა... ღმერთს რას არისხებ?.. პირჯვარი გამოისახე, შვილო, და თქვი სამჯელ: „შეგცოდე და შემინდევი-თქო“. დამიდგეს ყურები, ეს რა გავიგონე!.. ღმერთო, ნუ მოჰკითხავ, შენი ცოდვილია!.. აგრე იცის, შვილო, შენოდენა ადამიანი რომ უსაქმურად ჩარჩება: ეშმაკი

გაიძვერები

დროს უპოვნის და რას არ ათქმევინებს!.. ადე, შვილო, ადე, დიდი ლამეა გადასული... ვახშმობაა... ვახსენოთ ღმერთი და პირი გავის-ველოთ.

ს ო ფ ი ო – არა მინდა-რა, დედი!

თ ე კ ლ ე – რას ამბობ, შვილო! დღეს შენს პირში არა ჩასულა-რა... ახლა თავს ხომ ვერ მოიკლამ სიმშილით?

ს ო ფ ი ო – რა მევახშმება? ხვალ ის უნდა ჩამოახრჩონ და მე კი უნდა ვილხინო?!

თ ე კ ლ ე – აბა რას ამბობ, შვილო! განა შეიძლება რომ ხორც-შესხმულმა ადამიანმა მაგრე მისცეს თავი მწუხარებას? ეგ ხომ დიდი ცოდვაა, შვილო!..

ს ო ფ ი ო – თუკი მადა არა მაქვა?

თ ე კ ლ ე – თავს ძალა დაატანე და მოგივა.

ს ო ფ ი ო – ვერა, დედი, ვერა! გულზე ცეცხლი მეკიდება!..

თ ე კ ლ ე – ახლა რა ვქნათ, შვილო, რომ გეკიდება! ჭირს გაძლება უნდა. ყოველივე ღვთის ნებაა, ვენაცვალე მის სამართალს!.. ცოლ-ქმრობის უდელი, შვილო, ცაში ბედის ვარსკვლავზე კეთდება და გვირგვინიც მაღლიდან ჩამოდის... ჰო, დედა-შვილობამ! ალბათ არა ყოფილა ღვთის ნება... არა ყოფილხართ ერთმანეთის ნერა... შენ მისი საქორწიე არ დაგყოლია და იმას – შენი... ადე... ადე, გენაცვალოს დედა, თავს ძალა დაატანე!..

ს ო ფ ი ო – გოგიას აღარ მოუცდით?

თ ე კ ლ ე – ვინ იცის, როდის მოვა?

ს ო ფ ი ო – მოუსვლელი ხომ არ დადგება? მალე მოვალო.

თ ე კ ლ ე – კარგი, შვილო, მოუცადოთ. მანამდი მეც ამ სართავს მოვათავებ. (ქუხილი) უჰ! წმინდა არს! წმინდა არს! დღეის დღე იყო... ბარბარობა დღე და სწორეთ ამისთანა უშველებელიც, იმ საცოდავ მამაშენს რომ ალი დაეცა... საბრალო უქუდოთ, სარტყელშემოხსნილი შემოვარდა სახლში... ადამიანის ნიშან-წყალი აღარ ჰქონდა და ჩავარდა ლოგინათ... აღარ გამობრუნებულა, სწორზე სული დალია... (წუნუნებს) სულ წმინდა გიორგის იგონებდა, ვენაცვალე მის დიდ სახელს... მაშინაც თურმე ბევრჯელ ეხსენებია მისი სახელი, მაგრამ გამწყრალი რომ ბძანდებოდა, აღარ მიეხედნა იმ საცოდავისთვის...

ს ო ფ ი ო – ვინ იყო გამწყრალი?

თ ე კ ლ ე – წმინდა გიორგი, შვილო!.. განა არ მითქვამს? ერთხელ ხატობაზე წავიდა ცხონებული თელეთში... ცოტა მეტი დაელია და მთვრალს საყდარზე შემოხვეული ძაფები აეწყვიტა და ის იყო და

გაიძვერები

ის... იმ დღიდან აედევნა მავნე და ალარ მოეშვა ის უწმინდური, სანამ ბოლო არ მოუღო... (ამთქანარებს) შენ ძუძუმწოვარი დამრჩი, შვილო!.. იმ დღიდან არცერთი ბარბარობა არ გამიშვა, რომ თითო სარტყე-ელი არ დამერთოს და ჩემის ხელით არ მიმერთმიოს წმინდა გიორგისათვის, მაგრამ, ვენაცვალე მის სასწაულს, ეტყობა ჯერ კიდევ არ მოუპრუნებია ჩვენზე გული, რომ ჩვენი ბედი სულ ასე უკულმა და უკულმა მიდის!..

ს ო ფ ი ო – (ნამოჯდება) ჩუ! დედი, მგონია კარზე მოდგა ვიღაც!

გ ო გ ი ა – მე ვარ, მე, გოგიე! გამილე კარები!

ს ო ფ ი ო – გოგია? (მივარდება და კარებს ულებს).

გ ო გ ი ა – უჲ! უჲ! უჲ!.. რა თავსხმა! მიაქ მთელი მთა და ბარი (ნაბადს ჰუფენავს). ძალია არ გაიგდება კარში... ძალლა!

ს ო ფ ი ო – რა ჰექნი?

გ ო გ ი ა – რაი უნდა მექნა?

ს ო ფ ი ო – ნახე!

გ ო გ ი ა – ვინ მიგიშვა კაცმა მასთან! რაცლა ალიაქოთია, რომ სიახლოვეს არავის აკარებენ... ყალაურები მოუმატნიათ, ერთი რაცლა ამბავია!.. ტყუილათ ვიყუნცულე!.. მიშვა კოკასავით წვიმამ... ვიფიქრე, დამალბო კაკალი კაცი-მეთქინ და ქე წამოვედი ჩემდა.

ს ო ფ ი ო – მაშ სულ ვერა გაიგე-რა?

გ ო გ ი ა – რეიზა ვერა?!.. შეიტანე ბაზარში ჩიოდენ და დასაჯერი, მართალიც უნდა იყოს, რომ ჩამოხრჩობით არცერთს არ ჩამოხრჩობენ, კარტეუში უკვრენ თავსო.

ს ო ფ ი ო – ღეროტმაც აგრე ბძანოს!..

გ ო გ ი ა – ვაიმე, მაი რა გასახარელია!.. ჩემმა მტერმა იფიქრა საჯაყი!.. კარტეუში რა ფაიდაა, თუ იცი, ჩემო დაია!

ს ო ფ ი ო – ის, რომ მეც თან გავყვები... ალარ მოვშორდები!..

გ ო გ ი ა – ნაგედი კილავ! ნუ ჩივი აბდლურს! ნაყვები რა, შენ ნებაზეა? ვინ გაგიშობს? ნამდვილ ცოლებს აქ ატოებინებენ და შენ, ჯვარდოუნერელს, ვინ შეგიშვებს?

ს ო ფ ი ო – ჩემი ნებით წავალ.

გ ო გ ი ა – აჲ, გაგონილა აი! რაცხა ფარცაგი სული არ ხარ, დაიავ, თვარა, თავის ნებით ვინ ჩაუგდო თავი ეშმაკებს ხელში!.. ნუ იტყვი მაგას! მაი რას ვარგა! შენ სხვა თქვი რამე. ათასი გზაია და ან ერთს გვასტავლის ღმერთი და ან მეორეს...

თ ე კ ლ ე – ჯავრმა გონება წაართო, შვილო, და თვითონაც ალარ გაეგება, რას ამბობს!..

გაიძვერები

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ – გოგია აქ არის, გოგია?
გ ო გ ი ა – ვინ ხარ, ამ დროს რომ კარებს არაკუნებ?!
ხ მ ა – მე ვარ... გამოიხედე კარზე.
გ ო გ ი ა – დედავ! არ იტყვი, ვინ შენ?
ხ მ ა – სანდრო ვარ... სანდრო, საქმე მაქვს!
გ ო გ ი ა – სანდრო? ჰო და მანგრე ვიტყოდი!
ხ მ ა – გამოიხედე!
გ ო გ ი ა – სად გამოვიხედო ამისთანაში? შენ რომ შინ შემოხვიდე, იგი არ აჯობებს! (ულებს კარებს).

გამოსვლა მეორე

(ისინივე და ს ა ნ დ რ ო)

ს ა ნ დ რ ო – რა ერთი ხანია დაგეტებ და ვერ გნახე! ბოლოს ვიფიქრე, რომ აქ იქნებოდი და მოგაშურე.

გ ო გ ი ა – რა ანბავია?

ს ა ნ დ რ ო – ტუსალები გაქცეულან.

გ ო გ ი ა – გაქცეულან? აჲა, იგი იყო, რომ ბუზებივით ირეოდენ ყალაურები!.. ვინ ტუსალებიო?

ს ა ნ დ რ ო – არ ვიცი, მაგრამ სოსიკა კი შიგ ურევია.

გ ო გ ი ა – სოსიკაც? კაი მახარებელი ხარ, შენ პირს შაქარი!

ს ო ფ ი ო – (აღტაცებული) სოსიკა?..

გ ო გ ი ა – ნამდვილს კი ჩივი?

ს ა ნ დ რ ო – ამ სალამოს პრისთავი შემოვიდა ალასთან და უთხრა, რო ტუსალებს ყარაულები დაუჩენიათ და გაქცეულანო, პროკურორმა გიბძანა ახლავე წამოდიო. თან წაიყვანა და მე შენ მოგაშურე.

გ ო გ ი ა – სოსიეც დაასახელეს?

ს ა ნ დ რ ო – ალბათ დაასახელეს, რომ კარაპეტას შიშით კანკ-ალი აუარდა.

გ ო გ ი ა – ისიც იქინები იყო?

ს ა ნდ რ ო – იქ იყო და რომ ვკითხე: რა დაგემართა-მეთქი? სოსიკა გაქცეულა ციხიდან და ვიცი, ცოცხალს აღარ გადამარჩენსო.

გ ო გ ი ა – კაი დაგემართოს! ნათქვამია: ძმა ძმიზაო და შავი დღიზაო!.. ახლა ეჭივრება მოხმარება ჩემ ძმობილს და თუ არ

გაიძვერები

მივეშველე, აღარ მღირებია თავი კინტრად და აგია!.. წავალ და, თუ ულვაში არ გამქუცვია, ერთ კაცათ კი ვეყოფი, საცა უნდა იყოს! სანდრო, აბა, ახლა გმართებს შენც ბიჭობა... თუ რამე შეგიძლია, რაღა დღიზა გინდა?

ს ა ნ დ რ ო – რა ვქნა, რომ აწ, სადაც არის, აღა მომიკითხავს და თუ იქ არ დავხვდი, არ ივარგებს!

გ ო გ ი ა – ჰო და კიდეც მაია!.. წადი და ყური უგდე, თუ რამე ანბავი იქნეს. არ შეიძლება იქ არ თქვან ყველაფერი ამ საქმის ალიან-ჩალიანი, და რომ გეიგო რამე, მაშინათვე იფრინე და შემატყობინე. მე იაგორას დუქანში ვიქნები. ხომ კი იცი შენც იაგორას დუქანი?

ს ა ნ დ რ ო – სოსიკას ნათლიმამის?

გ ო გ ი ა – ჰო, და იქანეი ვიქნები და შემატყობინე. ახლა ქე წევი-დეთ, ნულაფერს დევიგვინებთ. (თეკლეს) შვიდობით, დედა! (სოფიოს) შვიდობით, დაია! თუ ცოცხალი დავრჩით, კი გნახავთ კიდომ. აჰა, კარები დუუგდეთ! (მიდიან, თეკლე დაკეტეტას კარებს და მობრუნდება)

თ ე კ ლ ე – შვილო, ეგრე რამ გამოგაშტერა... ფერი აღარ გაძევს! განა სიხარულიც ვეღარ აგიტანია?

ს ო ფ ი ო – დედი, ვაი თუ დაიჭირონ და მოკლან... ანბობენ, გაქ-ცეულს რომ დაიჭერენ, ცემით მოჰკვლენ ხოლმეო.

თ ე კ ლ ე – კი, შვილო, მაგრამ დაჭერა არ უნდა?

ს ო ფ ი ო – რა ძნელია?.. ციხეში ჯდომით დაფორხებული იქნება...

თ ე კ ლ ე – იჳ, არა, შვილო, არა! აბა რა სათქმელია? ამისთანა დროს ეშმაკი თუ გამოუდგება კაცს დასაჭერათ, თორემ სხვა არა-ვინ... ყარაულებიც ადამიანები არიან, ხორცესხმული... ამისთანაში თავს როგორ გაიმეტებენ, რომ კვალდაკვალ მისდოონ!.. არა, შვილო, არა! შენ გული დაიმშვიდე და ღმერთს შეევედრე...

ს ო ფ ი ო – იჳ, დედაო მღვთისათ! (დაიჩოქებს) შენ წაუმართე გზა და ააცდინე მარცხს... შენი მადიდებელია, ნუ გასწირავ!..

თ ე კ ლ ე – (ხელაპყრობილი) წმინდაო გიორგი თელეთისათ, შენ ასწავლე გზა იმ საცოდავს, რომ ერთი რწყვილი წინდა-ბაიჭი, ჩემის ხელით მოქსოვილი, შემოგავლო და შემოგნირო! უჱ! წმინდა არს, წმინდა არს! რა ზედიზედ ვარდება მეხი!.. შორს და გადალმა! შორს და გადაღმა! წმინდა არს, წმინდა არს!

ს ო ფ ი ო – დედი, მეხი კი არა, კარებს არაკუნებენ.

ს მ ა – კარი გააღეთ!

ს ო ფ ი ო – ვიღაც უცხოა!..

თ ე კ ლ ე – უცხო? უი, დამიდგა თვალები, უცხოს რა უნდა?!.. ვინა ხარ, არ იტყვი?

გაიძვერები

ს მ ა – გამიღეთ და გაიგებთ!
თ ე კ ლ ე – ვინა ხარ ამ დროს?
ს მ ა – რას მიცნობ, რომ გითხრა? სოსიყას გამოგზანილი ვარ.
ს ო ფ ი ო – უ! სოსიყას გამოგზავნილიო? გაუდე, დედი,
გენაცვალე! (მივარდება და ალებს კარებს).

გამოსვლა მესამე

(ისინივე და კ ა რ ა პ ე შემოდის პირშებუდნილი)

კ ა რ ა პ ე ტ ა – გამარჯობა თქვენი! სოსიყა გაიქცა ციხიდან და...
ს ო ფ ი ო – აქ არის... გარეთ?..
კ ა რ ა პ ე ტ ა – აქა? აქ როგორ მოვიდოდა შიშით! ნავთლულში
იმაღლება და მე გამოგზავნა... შამოგითვალა თუ მნახეო. იმერე-
თისკენ აპირებს გადავარდნას და შენს უნახავათ კი ვერსად წავა.
ს ო ფ ი ო – (აშფოთებით) მართლა? ახლავე, აი... ახლავე!..
(მოსასხამს ექცება).

თ ე კ ლ ე – რას შვერები, შვილო? სად უნდა წახვიდე?
ს ო ფ ი ო – ვერ გაიგონე? სოსიყას დაუბარებივარ ნათლულში!..
თ ე კ ლ ე – ქა, ხომ არ გაგიუებულხარ, შვილო? ახლა როგორ
სადმე წახვალ!
ს ო ფ ი ო – არა, დედი, არა, არ შეიძლება, რომ არ ვნახო!..
თ ე კ ლ ე – აბა, რას ამბობ, შვილო? სად უნდა წახვიდე ამისთანა
უშველებელში?!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ჩემ პალტოს მოვასხამ.
თ ე კ ლ ე – უი, ვერა, შვილო, ვერა! მარტომ სად უნდა წახვიდე?
ვერ გაგიშვებ, გენაცვალოს დედა!
ს ო ფ ი ო – მარტო რათ ვიქნები? აი ამას წავყვები.
თ ე კ ლ ე – ვერ გაგატან, შვილო, და რა ვქნა... თუ მაინცადა-
მაინც ალარ დაგიშლია, გოგიას მოუცადე. ის მოვა და თან გიახლება.
ს ო ფ ი ო – მაშ კარგი... მაგრამ მაღლე მოვა კი?
კ ა რ ა პ ე ტ ა – რას ამბობ, დედი, მაგდენი დრო არის? ერთი
წამი, ერთ რათმეთა ღირს!.. აცლიან კა?.. შეიძლება კვალი აიღონ და
დაიჭირონ. დაგვიანება როგორ შეიძლება?
ს ო ფ ი ო – მართალია, დედი... მართალი... წავიდეთ!..
თ ე კ ლ ე – არა, შვილო, ჩემის ცოცხალის თავით ვერ გაგიშვებ!..
(იქერს)

გაიძვერები

ს ო ფ ი ო – გამიშვი, დედი!.. შენ ძუძუებს ვენაცვალე, ნუ, ნუ მიჭერ, უნდა წავიდე!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – გაუშვი ვა, ხათაა! დროს რათ აკარგვინებ მაგ საბრალოს, გაუშვი და!.. (ხელებში სტაცებს ხელს, უნდა რომ გააშვებიოს).

თ ე კ ლ ე – არ შემიძლია!.. ვერ გაუშვებ!.. დავიყვირებ! მეზობ-ლებს შეეყრი... მიშველეთ, მიშველეთ!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – (სოფიოს) შენ წადი და მეც გამოვალ. (ტუჩზე ხელს აჭერს თეკლეს)

გამოსვლა მეოთხე

(ისინივე და გ ო გ ი ა შემოიჭრება)

გ ო გ ი ა – რა ანბავია?! ვინა აი?! გაუშვი, თვარა მოგკლავ, ვინცხა ხარ! (დამბაჩას მიაშვერს).

ს ო ფ ი ო – (ჩამოეფარება) უი! სოსიკას გამოგზანილია, არ მოჰკლა, ცოდვაში არ ჩავარდე... გენაცვალოს სოფიო!..

გ ო გ ი ა – რას ჩივი! ვინ სოსიკაა?

ს ო ფ ი ო – ჩვენი სოსიკა... დავუბარებივარ... უნდა ვნახო!..

გ ო გ ი ა – მერე და სადაა სოსიკა?

ს ო ფ ი ო – ნავთლულში.

გ ო გ ი ა – ვინა თქვა მაი სიმცრუე! თათრები გაქცეულან. სოს-იკე ქე ჯის მისდა ციხეში... ტყუილი გამოდგა!

ს ო ფ ი ო – არ გაქცეულა?.. უი! (დაცემა ტახტზე).

თ ე კ ლ ე – მიშველეთ!.. მიშველეთ!.. (მივარდება სოფიოს) წყალი, წყალი!..

კ ა რ ა პ ე ტ ა – (გავარდება კარში)

გ ო გ ი ა – გაშპა იგი დედაგაგლეჯილი, ვინცხაა! (გამოუდგება) დამრჩი, ყაზილარო, ვეღარ წახვალ!..

თ ე კ ლ ე – შვილო, გული მოიპრუნე! თვალი გაახილე!.. (ასხამს წყალს).

გ ო გ ი ა – (შემოჷყავს დაჭერილი კარაპეტა) რწყილი ვერ წამივა და შენ რავა გამექცეოდი!.. (მოათრევს) აპა, ერთი ცეცხლი, ცეცხლი მიჩვენეთ, ვნახო ვინაა აი დედაგაგლეჯილი! (მიიყვანს ცეცხლთან და ბაშლიყს მოგლეჯს) კარაპეტა?..

ს ო ფ ი ო – (წამოვარდება) კარაპეტა?!

გაიძვერები

გ ო გ ო ა – იგია! ბეჯითად, კარაპეტა! ტყულაი ნუ ფხაკურობ, ველარ წამიხვალ! აპა, ერთი მომებმარეთ: უკანიდან აი თოკი გამოსხენით, რომ ეს ერთი კარგათ გავკოჭო!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, დამახრით გინდათ! ყარაულ! ყარაულ!

გ ო გ ო ა – იბლავლე, სანამდი არ მოგეწყინოს! (ჰკოჭავს).

ფარდა

მოქმედება მეცუთა

სცენა პირველი

ქოხი მკითხავის სახლში

გამოსვლა პირველი

ს ა ნ დ რ ო – (გაკვირვებით შეჰყურებს განის კარებს) დიდება შენს სახელს, ღმერთო! ეს მკითხავი კი არა ყოფილა, – გულთმისანია! ვინ დაუწერა ასე წვრილათ ხელის გულზე ჩემი თავგადასავალი? ჩემი აღის ამბავიც რომ ზედმიწევნით სცოდნია! ცოდვილი კაციაო! მართლაც, მადლიანი რათ უნდა იყოს, რომ მტყუანს ამართლებს და მართლებს ამტყუნებს?.. მაგრამ მე რა? მე კი კარგათ შეპყრობა და კმაყოფილიცა ვარ. (დაფიქრდება) კი, მაგრამ ამ მკითხავმა რომ გამაფრთხილა: ერთხელ შენც გაგწირავსო!.. გცემს და არ გატირებსო... მარილს გაჭმევს თუ წყალს არ გასმევს, სანამ, გაბოროტებულა, შენს თავს შენვე არ გაგამეტებიებსო!.. ეს სწორეთ ასე იქნება, თუ გამიმეტა! უველას ამგვარათ არ ჰდებაგს? მაგრამ ეს ყველა ამ შეჩერებულმა მკითხავმა რა იცოდა!.. მისმა ეშმაკმა თუ უთხრა? გირჩევ, რომ შენვე დაასწრო და დაღუპოვო, თუ შენი თავისითვის სიკეთე გინდაო! ჰმ, მაგის წინააღმდეგობა სხვას ვის გამოადგა, რომ შენ გამოგადგეს! ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ვინ გამაბედვინებს თქმას, ვინ დამიჯვერებს! უფროსებს რომ თვალში ჩაუვარდესთ, ხელს არ მოისმენ! არა, ვიქნები ასე, ასე, როგორც დღემდი ვყოფილვარ! ეგება არც კი ივარგოს, მკითხავს რო ავყვე. განა ყოლიფერი მართალია, რასაც მკითხავი იტყვის? იმან ისიც კი მითხრა, რომ ერთ დიდი ხნის უნახავს მეგობარს შეხვდებიო.

გაიძვერები

გამოსვლა მორე

(ისვე და გ თ გ ი ა შემოდის)

ს ა ნ დ რ ო – (შეჰქორთება) ღმერთო! ამას ვისა ვხედავ!

გ ო გ ი ა – ოპ, სანდრო! გამარჯობა შენი! წავხდი, რას გამო-
შტერდი? გეწყინა ჩემი ნახვა თუ?

ს ა ნ დ რ ო – გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო გოგია! შენი ნახვა
როგორ მეწყინებოდა, მარა აქ სხვა ამბავია!

გ ო გ ი ა – რა უნდა იყოს? მარჩიელი აქანეია?

ს ა ნ დ რ ო – აქ არის და კიდეც იმან გამაკვირვა: შენი ნახვა
მიმთხობლა.

გ ო გ ი ა – დასტურ ჩივი?! რა იცოდა მან?

ს ა ნ დ რ ო – ეგა თქვი და!.. სწორეთ შენზე მითხრა: ნახავო.

გ ო გ ი ა – განა მიცნობს?

ს ა ნ დ რ ო – ეხლა კი მჯერა, რომ მისთვის დამალული არა
ყოფილა-რა!.. დედამიწის ზურგზე ყველაფერს ხედამს და ყოლიფერი
წინდანინვე იცის!..

გ ო გ ი ა – დასტურ ჩივი თუ ტყულათეი ყბას იქცევ?

ს ა ნ დ რ ო – ღმერთს გეფიცები, არა ვხუმრობდე!

გ ო გ ი ა – თუ ბეჭითად მაგისთანაა, მეც იგი მინდა. „ა დათვი
და ა მისი კვალიო“ – ნათქვამია. ვნახოთ!

ს ა ნ დ რ ო – იცოდე, ისეთ რამებს გეტყვის, რომ გაგაკვირვებს.
მაგრამ დიდხანს კი გაცდევინებს.

გ ო გ ი ა – მოვუცდი, მეტი რა გზა მაქ!

ს ა ნ დ რ ო – სხვა, კაცო, სად დაიკარგე? სოსიკა რომ ჩამოახრ-
ჩვეს, იმ დღიდან შენი კაცმა ვეღარა გაიგო-რა.

გ ო გ ი ა – წავედი ოზურგეთს და აი სამი წელიწადია, იქიდან
ალარ გავქანებულვარ. ესაა, ახლა ჩამოვედი. შენ ისევ იქა ხარ, ძველ
აღასთან? რას შერება ის სულკატიანი? არ კვტება?

ს ა ნ დ რ ო – რა უჭირს! ღმერთიც იმას სწყალობს და ხელმ-
წიფეც. ასე ცხოვრობს, თითქო მეფის შვილიაო! რაც მარტო ოქროს
ქსოვილები იმის ოთახებში აფენია, ის კმარა ერთ სიმდიდრეთ...
ოთხი ათას თუმნათ არის დაფასებული!

გ ო გ ი ა – ვის დაუფასებია?

გაიძვერები

ს ა ნ დ რ ო – არ დამეწვასო, დააზღვევინა და სწორეთ ამდენათ დააფასეს. ახლა რომ კიდეც დაიწვას, არას დაჟკარგავს, ფულებს მისცემენ.

გ ო გ ო ა – სტრახშია?

ს ა ნ დ რ ო – ჰო. ორჯელ-სამჯელ კიდევაც ბძანა: ნეტავი დაინდესო. მე მითხრა: ამას რომ მოახერხებდე, გაჩუქებო.

გ ო გ ო ა – – ძამია, ქე უთქვამს შენდა: „დაწვიო“ და იგია!

ს ა ნ დ რ ო – ღმერთმა დამიფაროს! მაინც მითხრა მკითხავმა: უფრთხილდი, თორემ გაგაბამსო.

გ ო გ ო ა – იმან თუ გიბრძანოს, შენ რა გენალვლება! შენ კი აღარ მოგკითხვენ.

ს ა ნ დ რ ო – მშვიდობით!

გ ო გ ო ა – რას გეემურები?

ს ა ნ დ რ ო – მეშინია, ალამ არ მომასწროს. დღეს ამბობდა, რომ მკითხავთან წავალო.

გ ო გ ო ა – რა იცის მან მკითხავი?

ს ა ნ დ რ ო – კარაპეტამ უამბო, ყოლიფერს ტყობულობსო. მან სიცილი აიტეხა და თქვა: მად რაღაც ფოკუსები იქნება და წავალ, შევიტყობ, თუ კაცი ვარო.

გ ო გ ო ა – რაფერ შეიტყობს?

ს ა ნ დ რ ო – მე მივალ სხვაფერათო და თუ ერთი გავაბი როგორმე მახეშიო, მერე მე ვიცი მისი მოწველაო, ის ახლა ფულიანი იქნებაო, ჰა, ახლა კი უნდა წავიდე. რომ მორჩე შენ საქმეს, ჩვენსა ამოირბინე. (მიდის).

გ ო გ ო ა – რა აბდალეია აი კაცი! ქე დოუჯერებია ყველაყაი!.. სოფიო, სოფიო! გამო ერთი პანია ხანს, არავინ არის.

გამოსვლა მესამე

(ისვე და მ კ ი თ ხ ა ვ ი)

გ ო გ ო ა – გითხრა, რა ამბავი შევიტყვე?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – ვიცი, ვიცი. კარებზე ვიყავ მოყურებული და მესმოდა.

გ ო გ ო ა – მერე რას იტყვი?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – იმას, რომ დრო არის თავი დავანებოთ ამ ხელობას, გაგვიგებენ.

გაიძვერები

გ ო გ ო ა – ვერ მიხთი, რა თქვა იმ შეჩვენებულზე სანდრომ?

მ კ ო თ ხ ა ვ ო – ეგ არაფერია, ოღონდ-კი მოვიდეს და ვნახოთ. ჩუ! ფეხის ხმა ისმის!.. ვიღაც მოდგა კარზე.

გ ო გ ო ა – შედი შენდა! მე აქ დავრჩები და თუ ვიცანი ვინცხაა, უკანა კარებიდან შემოვალ და გეტყვი ყველაფერს, თუ არა და მეორიზა დეიბარე. (მკითხავი გადის).

გამოსვლა მეოთხე

(გ ო გ ო ა და ტ უ რ რ ვ ი შემოდის)

ტ უ რ რ ვ ი – მკითხავი აქა დგას?

გ ო გ ო ა – აქ, მარა, რეიზა გინდა? იგი მარჩიელი კი არ ყოფილა, როგაპია და ტარტაროზი!.. დედავ, რაც მან მითხრა!..

ტ უ რ რ ვ ი – რა გითხრა?

გ ო გ ო ა – წავხდი! მეტს რაღას მეტყოდა!.. ჩემი ამბავი მას ჩემზე უკეთ სცოდნია, ვინცხაა!..

ტ უ რ რ ვ ი – ჩანს, ნაცნობი ყოფილა.

გ ო გ ო ა – ნაცნობი რაია! რატომ სხვამაც არ იცის იგი, რაც მან მითხრა?

ტ უ რ რ ვ ი – ალბათ მეტი შეუტყვია.

გ ო გ ო ა – რაი შეუტყვია? გუშინ ოზურგეთიდან ჩამოვედი, მან დღეს ყველაფერი იცის... ეს რავა იქნება? ჩემი ცოლის ამბავი ვკითხე და იმან უფრო გამაყეყჩა!..

ტ უ რ რ ვ ი – იცნობს?

გ ო გ ო ა – რავაც თავის თავს!

ტ უ რ რ ვ ი – უნახაგს?

გ ო გ ო ა – სად უნდა ენახა! რა ვიცი, ტურა-ქალს ეგება წყალში, ან სარკეში კი დაენახოს, თვარა ისე, არ გამიწყლეს ლმერთი, იმას ჩემი ცოლი არ ენახოს და ვერც ნახოს!

ტ უ რ რ ვ ი – ისეთ რამეებს ამბობ, რომ სწორეთ სასაცინოა!..

გ ო გ ო ა – იცინე, ნუ გენალვლება! და თუ მან შენც არ გაგაყეყე-ჩიოს. საჯაყი მითხარი! (მიდის).

ტ უ რ რ ვ ი – ნეტავი ასე რედაქციებს ეხვეოდეს ხალხი! მაშინ ქვეყნის საქმეც კარგათ იქნებოდა და ჩვენიცა. საკვირველი მიმზიდავი ძალა აქვს ამაოთმორწმუნეობას!.. რაც უნდა სწრო, არა

გაიძვერები

გამოვა-რა, მაგრამ ფელეტონი სასაცილო დაიწერება. ჯერ მე ვნახამ ჩემი თვალით და მერე პროსოროვსაც მოვიყვან. (მიადგება განის კარებს და რეკავს).

ს მ ა – ჰაა! ვინ არის? მოვდივარ, მო...

გამოსვლა მახუთა

(ისივე და მ კ ი თ ს ა ვ ი)

ტ უ რ ო ვ ი – მკითხავი შენა ხარ?

მ კ ი თ ს ა ვ ი – რა გინდა, შვილო?

ტ უ რ ო ვ ი – მინდა გაკითხინო, რას იცინი?

მ კ ი თ ს ა ვ ი – სასაცინოთ დაბერდი, შვილო!

ტ უ რ ო ვ ი – როგორაო?

მ კ ი თ ს ა ვ ი – აბა, შვილო, ვინ გინდა მოატყუო? განა არ ვიცი, რომ შენ მკითხაობა არა გჯერა?.. ჰაი, ჰაი, კალმის კაცო! გინდა დავთარში ჩამნერო და გამომბეჭდო... ქვეყანა ჩემზე აცინო?

ტ უ რ ო ვ ი – (შემკრთალი) რა იცი!?

მ კ ი თ ს ა ვ ი – მე და რა ვიცი? მაშ ჩვენი ხელობა რაღა ყოფილა?..

ტ უ რ ო ვ ი – (ხელზე იხედება, თავისთვის) მელანში ხომ არა ვარ გასვრილი?

მ კ ი თ ს ა ვ ი – თითებს რას იშინჯავ, შვილო! მელანი ხომ არ მაცხიაო? ჰო! არა, შვილო, ეგ რა საჭიროა! განა ისე კი ვერ შეგატყობ? შუბლზე გაწერია.

ტ უ რ ო ვ ი – თუ ყველაფერს მანგრე ტყობილობ...

მ კ ი თ ს ა ვ ი – გინდა შენი თავგადასაგალი გიამბო?

ტ უ რ ო ვ ი – სასაცინო ამბავია!.. რაზედ მკითხაობ: ლობიოზე თუ წყალზე?

მ კ ი თ ს ა ვ ი – საქმეს გააჩინია: თუ ადვილია – ლობიოზე და თუ ძნელი – წყალზე. შენთვის კი ლობიოც მეტია.

ტ უ რ ო ვ ი – სამკითხაოს რას იღებ?

მ კ ი თ ს ა ვ ი – რასაც მომცემ. თუ დღეს ბევრი აგილია, მეტი მომეცი და თუ ცოტა, სულ ნურას მომცემ.

ტ უ რ ო ვ ი – ვისგან რა უნდა ამეღო?

მ კ ი თ ს ა ვ ი – კვერცხი ვერავის დაადებიე?

გაიძვერები

ტ უ რ ო ვ ო – (შემკრთალი) მიცნობ?!

მ კ ო თ ხ ა ვ ო – პირველათა გხედამ ამ ჩემი სულის ცხონებამ! ოჂ, ოჂ, რა მატყუარა მეგაზეთე ხარ!..

ტ უ რ ო ვ ო – რა იცი, რომ მეგაზეთე ვარ? (თავისთვის) დასწყევ-ლოს ღმერთმა... ხუმრობაც არ არის!..

მ კ ო თ ხ ა ვ ო – გიკვირს? რათა, შვილო? ბევრი რამ არის ქეყანაზე, რომ გაუგებარია!.. ჯერ კიდევ ბევრი ხანი გაივლის, სანამ შენი წიგნები ახსნიდენ! მოდი, შვილო, აიღე ხელში ლობიოს მარცვ-ლები, სამჯერ უკულმა მოტრიალდი, თვალები დახუჭე და დაჰყარე ჩემ წინ!

ტ უ რ ო ვ ო – კარგი. (თავისთვის) სასაცინოა! ხვალ ამას ყოლიფერს ავწერ და საუცხოვო ფელეტონი იქნება. (ასრულებს მკითხავის სიტყვას).

მ კ ო თ ხ ა ვ ო – (დაჩერებია აქა-იქ დაბნეულ ლობიოს) უი! დამიდგეს თვალები, რომ არა გამოდის-რა!.. „საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“ ნეტავი ამ აქლემს აქ რა უნდა, რომ ეჩირება?

ტ უ რ ო ვ ო – აქლემს?!

მ კ ო თ ხ ა ვ ო – დიახ, აი, შვილო, ერთი აქლემი წამოუყენებიათ სულთამბუთავით და ზედ მის კისერზე ჩამოხრჩობას უპირებენ ვიღაცას... ვიღაც საწყალი კაცია, სულ შენა გგავს!.. ძმა ხომ არა გყავს?..

ტ უ რ ო ვ ო – დალაშვროს ღმერთმა! რას ამბობს!..

მ კ ო თ ხ ა ვ ო – რა საოცრათა გგავს!.. (ბუტბუტებს) დიახ, ვიღაც დიდი კაცია გამწყრალი და ჩამოხრჩობას ემუქრება... აი, ერთი ვიღაც მშველელი გამოუჩნდა იმ საცოდავს და გადაარჩინა, გააპარა... აი, რომ არა გამოდის-რა!.. (აურევს მარცვლებს) არა, შვილო, არა! არა გამოდის-რა!.. ეს მიტომ, რომ არა გწამს მკითხაობა! (თავს ანებებს)

ტ უ რ ო ვ ო – ახა, ღმერთო, ეს რა მესმის!.. გააგრძე, დედი... ნუ გენაღვლება!..

მ კ ო თ ხ ა ვ ო – შენი ნებაა. აბა, ხელახლა დაჰყარე ლობიო. აი, ხედავ ამ ორ მარცვალს, რომ გაცვივდნენ? ეს ერთი შენა ხარ, ერთიც ის შენი მხსნელია. შენ გამოცვლილი და გადაკეთებული ხარ, ის კი ისევ ძველებურათ დარჩენილა. შენ იმას ჰლალატობ და ისეთ მახეში აგდებ იმას შენ და ერთი ვიღაც ბოროტი სული, რომ იჭერენ იმ საწყალს... აი, ახრჩობენ კიდეც და შენ კი სეირს უყურებ მორიდან... იჲ, არა, შვილო, არა... კიდევ არა გამოდის-რა!.. ჯადო მომელალა... აბა, ერთი შევულოცო ახლა მე. (ბუტბუტებს).

ტ უ რ ო ვ ი – საკვირველებაა, (თავისთვის) საკვირველებაა!.. მოდი და ნუ დაიჯერებ!.. ახლა მჯერა... სწორეთ მჯერა, მაგრამ სირცეფილით როგორ უნდა გამოტყდეს კაცი? ხვალ მე უეჭველათ უნდა დაუცინო მათ, ვინც მკითხავებთან დადიან და მე კი თვითონ... მე კი...

მ კ ი თ ხ ა ვ ი – ფრთხილად, შვილო, ფრთხილათ! თუ მარჯვეთ არ იქნი, ის შენი მეგობარი შენც დაგლუბავს... ისეთ მახეში გაგა-ბამს. მეტი არა გამოდის-რა! ხვალ დილას ადრე მოდი, შვილო, და წყალზე გიკითხავ, იქ უფრო ბევრი რამ გამოჩნდება... ჩუ! ფეხის ხმა ისმის.

ტ უ რ ო ვ ი – მოდის ვინმე? სირცხვილია, არავინ მნახოს! დედი, იმ კარებში ვერ გავალ?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – რატომ არა, შვილო! ძალიან ფრთხილათ იყავი! (მიდის) გზა მშვიდობისა! (მიჰყავს, გავლენ)

გამოსვლა მეექვე

(ხ ა ზ ა რ ო ვ ი გლეხის ტანისამოსით და კ ა რ ა პ ე ტ ა შემოდიან)

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – აქა დგას?

კ ა რ ა პ ე ტ ა – აქ გახლავსთ.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – მერე სად არის?

კ ა რ ა პ ე ტ ა – წავიდოდა სადმე. გამოვა.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სადაურია?

კ ა რ ა პ ე ტ ა – კაცმა არ იცის! შორიდან მოსულიაო ამბობენ, ახალციხის მაზრიდანააო. აქ მაგისი მცნობი ჯერ არავინ გამოჩენილა და ეგ კი ყველასა სცნობს, ქვეყნის ამბავი ხელის გულზე უწერია!..

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – აი, ისემც ღმერთი შენ გიშველის! (იცინის).

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო, ჩემი ამბავი ჩემზე კარგათ სცოდნია და ვინ უთხრა?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – შენვე გამოგტებდა როგორმე.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვინ მამაოხრის შვილს. ჩემდა თავად კრინტი დამიძრავს! მე ენა ჩამივარდა...

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ ვინ უთხრა?

კ ა რ ა პ ე ტ ა – ეგა ბძანეთ და... მისმა ეშმაკმა!.. განა მარტო მე?.. მთელი ქვეყანა თავზე ეხვევა და გაკვირვებულია, თუ როგორ ტყობილობს.

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ისინიც შენისთანა ტუტუცები არიან.

კ ა რ ა პ ე ტ ა – დალოცვილო, ტუტუცი რომელია? ისეთი ვინ-მეები დადიან – არც კი დაიჯერებთ! ნაშუალამევს მაინც ეკიპაჟების ტევა აღარ არი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – აქ, სჩანს, სხვა რაღაც ამბავია! უნდა ხელში ჩავიგდო.

კ ა რ ა პ ე ტ ა – პოლიციას ისეთი რამეები უთხრა, რომ პირი დააღებია!..

ს ა ზ ა რ ო ვ ი – შიგ კი არა ჩაუდვა-რა? (იცინის) რათ აგვიანებს? დაუძახე, გამოვიდეს.

კ ა რ ა პ ე ტ ა – (კარებზე მიდგება) დედი! ჰე, დედი! შინა ხარ?

გამოსვლა მეშვილი

(ისინიც და მ კ ი თ ს ა ვ ი)

მ კ ი თ ს ა ვ ი – (კარაპეტას) ქა, შენ კიდევ მოსულხარ? რაღა გაგჭირებია?

კ ა რ ა პ ე ტ ა – მე არაფერი, დედი. გაჭირებული ნათლიმამა მომიყვანია.

მ კ ი თ ს ა ვ ი – აბა, სადაა? ესა?!.. (შეკრთება და შეჩერდება)

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რას შეერთი?.. მიცანი?

მ კ ი თ ს ა ვ ი – აბა, რას გიცნიბ, შვილო, პირველთა გხედავ!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაშ რა გაგიკვირდა?

მ კ ი თ ს ა ვ ი – რაც გასაკვირვალია!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაინც?

მ კ ი თ ს ა ვ ი – ქა, სხვასთან როგორ გითხრა?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – არა უშავს-რა, ეს ჩემი ნათლიაა.

მ კ ი თ ს ა ვ ი – აბა, შვილო, მართალია მაგის სული და ხორციორივე შენს ხელშია, მაგრამ მაინც, რათ გინდა, რომ შენი თავგა-დასავალი შეიტყოს?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – შენ კი ბევრი გეცოდინება, შენმა მზემ!

მ კ ი თ ს ა ვ ი – ვნახოთ! მაგასთან კი არას გეტყვი.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ნათლია, აბა ერთი გადი, რას მეტყვის?

კ ა რ ა პ ე ტ ა – აი ნახამთ, თუ რა გითხრათ მაგ შეჩვენებულმა! სულ სხვა ვინმეა... სული ეშმაკისთვინ მიუყიდნია... (მიდის)

გაიძვერები

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – აბა, ახლა რას მეტყვი?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – მოგიკლავს ვინმე, თუ გაგიცარცვამს?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – როგორ?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – მაშ ეგ სხვისი ტანისამოსი რათ ჩაგიცვამს?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – სხვისი?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – დიახ, გლეხის.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – გლეხი ვარ და გლეხური მაცვია!

მ კ ი თ ხ ა ვ ი – ჰმ, გლეხი ხარ? საიდან?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – მე... მე შორიდანა ვარ... ალიდან... გაგიგონია

სოფელი ალი?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – არა, შვილო, მიჩვენე ხელი! (დასჩერებია) არც
ალიდანა ხარ და არც ცეცხლიდან, მაგრამ ორივეში ჩასაგდები კი
ხარ... შენ აქ კეთილი განძრახვით არა ხარ მოსული!..

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – (შემურთალი) შენ, როგორც გატყობ, შავი ქვა
იცი და ნაცარი ცხელი!.. რას მიედებ-მოედები: გლეხი არა ხარო! თუ
მყითხავი ხარ, მიკითხავ!

მ კ ი თ ხ ა ვ ი – კარგი, შვილო, თუ არ დაგიშლია!.. (მოიტანს
სის ჭურჭელს, დაასხამს წყალს, ირგვლივ წმინდა სანთლებს აანთებს,
ჩააჩერდება და ულოცავს).

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – (თავისთვის) გიუსა ჰეგავს!.. როგორ შემატყო?..

მ კ ი თ ხ ა ვ ი – უი! (უცდათ წამოვარდება) დიდიკაცი გლეხის
ტანისამოსით!.. ქა, სულ სხვა აზრით მოსულარი!.. შვილო, ვერა
ხედავ, რომ ჩვენი ხელობა ჩვენგან არ არის?.. ან ღვთისაგან უნდა
იყოს და ან ეშმაკისაგან... ან ერთს რითა სცდი და ან მეორეს? აი,
შვილო, ჩაიხედე, თუ არა გჯერა!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – აი დასწყევლოს ღმერთმა! (იხედება)

მ კ ი თ ხ ა ვ ი – ხედავ შენს თავს, რა მდიდრული ტანისამოსითა
ხარ?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – რას ამბობ, ბებერო! რაც მაცვია, იქაც ის
მოსჩანს.

მ კ ი თ ხ ა ვ ი – მაშ თვალები აგხვევია ცოდვით! აბა, კარგათ
დააკვირდი. იმ ვარსკვლავსაც ხომ ხედავ მორს, შორს... ცის კიდეში?

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – რა ვარსკვლავებსა!.. სანთლების შუქია!

მ კ ი თ ხ ა ვ ი – არა, შვილო, განა ვერა ვხედავ? აი, ის ერთი
დიდი ვარსკვლავი რომ გიკაშვაშებს, თითქმის თვალს გიქნევს, ის
შენი ვარსკვლავია, შენი ბედია. უჲ, რა ბედი მოგელის!

გაიძვერები

ს ა ზ ა რ ო ვ ი – (ჩაჰურებს) დალახვროს ღმერთმა, სად რასა ხედავს!..

მ კ ი თ ს ა ვ ი – შენც პირდაპირ მისკენ მიდიხარ. სწორე გზაზე დგეხარ, მაგრამ...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მაგრამ რალა?

მ კ ი თ ს ა ვ ი – ქვრივ-ობლების ცრემლებს დაუსველებია ეგ გზა! ღარიბ-ღატაკების ოხვრა გიბერავს გრიგალ ქარივით და უკუ-ღმა გაბრუნებს...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ხომ არ გადარეულხარ?! რეებს ამბობ?!

მ კ ი თ ს ა ვ ი – არა, შვილო, არა! ბედი მოგელის, რომ ის მთა შენ არ გიშლიდეს.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – (შეშინებული) რა მთა?

მ კ ი თ ს ა ვ ი – ზედ შუა გზაზე ამართულია ერთი დიდი მთა, მაგრამ, საკვირველია: არც კლდისაა, არც მინის, სულ სხვა ნივთები-საა. უჱ, ვის მოუგროვებია ამდენი ნოხები, ოქრო-ვერცხლები, შალები, მუთაქები, ნაირ-ნაირი რამები!.. (ალელვებული) ესენი ვინ ჩაგსაფრებიან გზაზე? წინ გელობებიან... სცდილობენ არ მიგიშვან ბედის ვარსკვლავთან!..

ს ა ზ ა რ ო ვ ი – (თანდათან ალელვებული) ღმერთო, ეს რა მესმის, რას ამბობს!..

მ კ ი თ ს ა ვ ი – (კანკალით) თმაგაშლილი დედები... მტირალი ცოლები... მომაკვდავი შვილები... აი მარცხნივ გზაზე – ახალგაზდა ქალი... წყალში თავი ამოუვია და გაშინებს... შენი მიზეზით დაუხრჩივა თავი!..

ს ა ზ ა რ ო ვ ი – (შეშინებული) გაჩუმდი, შე წყეულო!

მ კ ი თ ს ა ვ ი – (ყურს არ უგდებს, შფოთავს) აჸ, სახრჩობელა!.. ზედ ვიღაც უცოდველი, მართალი კაცი ჩამოუკიდებიათ და დამნა-შვე კი იქვე დგას, შენს გვერდით... შენ აფარებ ხელს, შენა...

ს ა ზ ა რ ო ვ ი – აი, დასწყვევლოს ღმერთმა!..

მ კ ი თ ს ა ვ ი – ოჸ, თუ ისინი არ გიშლიდენ ხელს, გზაზე არ გელობებოდნენ!.. მაგრამ ძრიელია შენი ანგელოზი! ქუდბედით დაბადებულხარ! მთას ნავთი მოასხა შენმა ანგელოზმა... ცეცხლი წაუკიდა! ალი ცამდი უწევს, იწვის, იდაგვის, დაიფერფლა... გაქრენ მოჩვენებებიც და გზა გაწმენდილი წინ გიძევს! მიგელის ბედის ვარ-სკვლავი... ჩუ! (წამოვარდება ზეზე გიჟივით)

ს ა ზ ა რ ო ვ ი – რა ამბავია კიდევ?

გაიძვერები

მ კ ი თ ხ ა ვ ი – მამალი ჰყივის.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – რას ამბობ? აქ მამალს რა უნდა?

მ კ ი თ ხ ა ვ ი – შენ არ გესმის... მე მესმის... მკითხაობა აღარ შემიძლია: ძალა მეკარგება... მეორეთ მოდი, მეორეთ, ნაშუალამევს. ახლა კი... აი, მეორეთ იყივლა, მესამეც არ დამასწროს. ფუ! ფუ! ფუ! (აქრობს სანთლებს, წყალში უყოფს თავებს) ახლა კი გზა მშვიდობისა! ჯამი პატრონსა, წყალი ცოდვილსა, ნავლი ეშმაკს, ცეცხლი შენ სულსა, ალმური კუდიანებსა! (შეასხამს ჯამით წყალს და შევარდება გიუივით ოთახში).

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – (შეშინებული) ეს რა ამბავი! რეები ვნახე!.. რეები მითხრა!.. ღმერთო ჩემო, ცხადია თუ მძინავს!.. (გაოცებული დგას)

ფ ა რ დ ა

სცენა მეორე

გამომძიებლის ოთახი

გამოსვლა პირველი

(მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი ჩვენებას ართმევს ა მ ი რ ი ნ დ ო ს. ხ ა ზ ა რ ო ვ ი იქვე ზის და ტუროვს ს ელაპარაკება; ს ვ ი ს ტკოვიდა კარაპეტი ა ფეხზე დგანან და საუბრობენ.)

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – (ამირინდოს) ეჭვი პირდაპირ თქვენზედ შემოაქვსთ! ა მ ი რ ი ნ დო – ვისა?

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – აი, ბ. ხაზაროვს. ამტკიცებს, რომ ცეცხლი ჩემი მტერობით გააჩინაო.

ა მ ი რ ი ნ დ ო – ეგ რომ მექნა, მაშინ მაგის მოყვარე ვიქნებოდი და არა მტერი! მანეთის სალირალი თუმანში აქვს დაზღვეული!

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – პირადი სარგებლობაც გქონდათ?

ა მ ი რ ი ნ დ ო – ნეტავი ერთი არა ხუმრობდეთ! გიუის მეტი ვინ გაიმეტებდა თავის სახლ-კარს დასაწვავათ?

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – ვალები ბევრი გაქვთ?

ა მ ი რ ი ნ დ ო – იმდენი, რამდენიც ეკადრება ჩემისთანა თავადი-შვილს.

გაიძვერები

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – დაზღვეული რამდენში გაქვთ?

ა მ ი რ ი ნ დ ო – იმდენში, რამდენიც საჭირო იყო ბანკისათვის.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ეგ ბანზე სიტყვის აგდება!

ა მ ი რ ი ნ დ ო – შენ კი გაჩერდი, შენი საქმე არ არის, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ, მამაჩემი ნუ წამინდება!.. სისხლი ყელში მომადგა!..

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – დამშვიდით, კნიაზო, და მე მიპასუხეთ. (ხაზაროვს) გთხოვთ სიტყვას ნუ აწყვეტინებთ! (ამირინდოს) ცეცხლი რომ გაჩენილა, იმ დროს ამის სადგომში უნახვიხართ.

ა მ ი რ ი ნ დ ო – მერე რაო! განა ჩემს მეტი არავინ ყოფილა?

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – თქვენ იქ ყოფილხართ იმ დროს, ცეცხლი რომ გაჩენილა და მომსვლელებს მოუსწვრიათ.

ა მ ი რ ი ნ დ ო – ტყუილია! მე რომ შევედი ოთახში, სავსე იყო ხალხით.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – პოლიცია რომ მოსულა და კარები ჩაუმტვრევია, ეგ იქ ყოფილა.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ი – დიახ, პოლიციას ეგ ენახა და მერე მეც შემატყობინეს. მივედი და კნიაზი იქ ვნახე.

ა მ ი რ ი ნ დ ო – რას ამბობ, კაცო?! რომ მოვედი, შენ იქ არ დამხვდი? მაგისთანა გულმავიწყობაც იქნება?! (ხელს მიაჭერს კარაპეტას) აი, ეს კაციც რომ რაღაცას გეჩურჩულებოდა!

კ ა რ ა პ ე ტ ა – მე? მე რომ მოვედი, თქვენ იქ ბრძანდებოდით.

ა მ ი რ ი ნ დ ო – ფეი! ბუზი ხომ არ ვიყავი, რომ ვერავი შემნიშნეთ?! მარა აქა სხვა რაღაც ამბავია!.. გინდათ, რომ დამნაშავე დაამალოთ და მე მომახვიოთ თავზე? არა, შვილოსა, განა არ ვიცი, ვინც არის დამნაშავე?

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – ვისზედა გაქვთ ეჭვი?

ა მ ი რ ი ნ დ ო – ვეულ, რაღაი პირდაპირობაზე მიდგა საქმე, ჩვენც ალარ დავფარამთ! დღეს მკითხავს ვკითხე და იმან მითხრა, ვინ დასწვა.

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – თქვენ, კნიაზო, ისეთ რამეებს ამბობთ, რომ სწორეთ სასაცინოა... მკითხაობით გამოძიება?!

ა მ ი რ ი ნ დ ო – არა, შენ თუ კაი სული იყო, შვილოსა, და გული მართალი გაქვს, რატომ მაგრე გეტკეცა? მე მთხოვნელი კიდეც მომიყვანია. ეი, თქვენ, აქ შემოდით ერთი! აი, მთხოვნელი შემოვა და ჰქითხეთ. მაშინ გამოჩნდება, მე ვარ, თუ სხვა ვინმე დამნაშავე!..

გაიძვერები

გამოსვლა მეორე

(ისინვე და ს ო ფ ი ო შემოდის, გ ო გ ი ა თან მოჰყება)

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ის ქალი!

კ ა რ ა პ ე ტ ა – ის ქალი!

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – ვინა ხარ?

ს ო ფ ი ო – მე, ბატონო, ამის ცოლი გახლავარ (გოგიაზე უჩვენებს)

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – შენ ვინდა ხარ?

გ ო გ ი ა – ქმარი გახლავართ, ბატონო, ამისი.

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – მაგას არა გკითხავ, სადაური ხარ და ვინ?

გ ო გ ი ა – გურული გახლავარ, გოგიას მეძახიან, აზნოურიშვილი.

გვარათ ტაკიძე, ხელზე მოსამსახურე.

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – ცეცხლის გაჩენის თაობაზე იცი რამე?

გ ო გ ი ა – კი, ბატონო, მარა ამ ჩემმა ცოლმა უკეთ იცის. მარა თქმის გვეშინია: დიდი კაცია და რო გაწყრეს, ვერავინ გვიბატიებს.

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – კანონზედ დიდი არავინ არის: სთქვი!

ს ო ფ ი ო – ამან, ბატონო, ეს გახლავთ დამნაშავე. (უჩვენებს ხაზაროვზე)

ა მ ი რ ი ნ დ ო – მე კი არ ვიცოდი, შვილოსა!

ყ ვ ე ლ ა (შეშფოთებით) რას ამბობს!..

გ ო გ ი ა – მეც მაი უნდა მეთქვა, ბეჯითათ მაია!

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – (ლიმლით) მე გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ეგენი მტრები არიან ჩემი, როგორც გამომძიებელის. მახსოვს, ერთხელ მე გამოვიძიე მაგათი საქმე და მას შემდეგ...

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – იცნობთ მაშ ამას? მტრობა გაქვთ რამე?

ს ო ფ ი ო – არა, ბატონო! მაგასთან მტრობა ვის გამოადგება, რომ ჩვენ გამოგვადგეს, განა არ ვიცით, ვანცა ბძანდება!

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – მაშ იცნობთ?

ს ო ფ ი ო – როგორ არა, შენი ჭირიმე, რომ მაგისაგან დედამინას-თანა ვართ გასწორებული: ჩემი საქმრო სოსიკა მაგან უსამართლოთ ჩამოახრჩობინა და დამნაშავე კი გაამართლა, აი ეს კაცი (უჩვენებს კარაპეტაზე).

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, გიუია ოხერი!..

მ ა ხ ხ ე ვ ი ჩ ი – მაგას არა გკითხავ.

ს ო ფ ი ო – მოგახსენებ, შენი ჭირიმე, ყოლისფერს მოგახსენებ! მერე, შენი ჭირიმე, მე აღარ მაძლევდა მოსვენებასა და მეტი გზა

გაიძვერები

აღარა მქონდა, ამ გოგიას გავყევი ცოლათ. გურიაში წამიყვანა და იქ ვიმალებოდი. აქ კი ხმა დაჲყარეს, წყალში დაიხრჩოვო... მეტათ ვერ ვიხსნიდი თავს

ს ა ზ ა რ ო ვ ი – გთხოვთ, რომ მაგაებს ნუ ალაპარაკებთ.

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – ეგ სრულიად საქმეს არ შეეხება!

გ ო გ ი ა – მოგახსენებთ, ბატონო, იმას მოგახსენებთ! თითო კაკლათ გაიგებთ ყველაფერს. ჩქარა თქვი, სოფიო!

ს ო ფ ი ო – დიდი ხანი არ არის, რაც აქ გიახელით და მკითხავთან გახლდით და იმან მითხრა, რომ ცეცხლი ჩემი რჩევით გააჩინა გამომძიებელმაო.

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – ეგ იცი, სხვა არაფერი?

ა მ ი რ ი ნ დ ო – საბუთი არ არის?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – ცხადია, რომ ეგენი კნიაზს მოუყიდნია და სიცრუეს ამბობენ. ჩანს, რომ ეგენიც თანამოზიარე არიან და გთხოვთ დაიჭიროთ. თქვენა გყავთ კიდევ საკითხავი ერთი მონამე, რომელიც აქ არის – ჩემი მსახური. იმას კიდეც მოუსწრია დამნაშავე: პირდაპირ კნიაზზედ უჩვენებს და სხვები ვერ ვიცანიო. უთუოდ ესენი იქნებოდნენ და გთხოვთ უჩვენოთ.

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – შემოიყვანეთ მონამე.

ა მ ი რ ი ნ დ ო – რაო!.. ჩემი ბიჭიო!.. რამდენიც შენ დაგეჯერება, იმდენი ამ შენ მსახურს. ისიც შენისთანა მოხერხებული იქნება, შვილოსა, შენი გაზდილია!

გ ო გ ი ა – ჰმ, მოვიდეს ვინცაა და ვნახო. (იღიმება)

ს ო ფ ი ო – კი, შენი ჭირიმე, თუ გვიცნობს და უნახვივაროთ.

გამოსვლა მესამე

(ისინვე და ს ა ნ დ რ ო შემოდის)

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – შენა ხარ ამათი მსახური?

ს ა ნ დ რ ო – მე გახლავარ.

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – რა იცი იმ საქმის შესახებ? რას გაჩუმდი?

ს ა ზ ა რ ო ვ ი – სთქვი, ნუ დაჲყარავ, ნუ გეშინია!

ს ა ნ დ რ ო – მე გახლავარ...

კ ა რ ა პ ე ტ ა – რას ამბობს!! (თავისთვის) თავის თავზე მიიღო!..

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – შენ?

გაიძვერები

ს ა ნ დ რ ო – დიახ, ბატონო, მე მივასხ-მოვასხი ნავთი.

კ ა რ ა პ ე ტ ა – (თავისთვის) ვა, დაავიწყდა ამ ოხერს, რა უნდა ეთქვა!..

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – რა განზრახვით?

ს ა ნ დ რ ო – რა მოგახსენოთ, ბატონმა მიბრძანა.

ყ ვ ე ლ ა – (შეშფოთებით) ბატონმა!..

ს ა ნ დ რ ო – ბატონმა. ადრეც ბძანებდა: კარგი იქნება, რომ ცეცხლი წაეკიდებოდესო. ნავთი მე მოვასხი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, თუ ცეცხლის წაკიდება უნდოდა საზაფხულოთ გადავდივარ და აქაურობას რჩილი ვეღარ წაახდენსო... მართალი მეგონა...

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – მერე?

ს ა ნ დ რ ო – მე დამითხოვეს მთელი დღით და იქ ბატონი და კარაპეტა დარჩენ. ნავთიც კარაპეტამ იყიდა.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, მე განა მიტომ ვყიდულობ ნავთს, რომ ცეცხლი გააჩინონ?! მე რა ვიცი!

ს ა ზ ა რ ო ვ ი – (ამაყათ წამოდგება) დიდხანს ვუგდებდი ყურსა ამ კომედიას!.. ახლა კი ვხედავ, რაც ამბავია: როგორც მართებლობის ერთგულს, ბევრი მტერი მყავს და ცდილობენ, როგორმე დამღუპონ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ კარგათ!.. ეს ბიჭიც მოყიდულია... გთხოვთ, ესეც დაიჭიროთ.

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – მოითმინეთ, დამშვიდდით! ახლავე გავიგებთ ყველაფერს. (სანდროს) ეგ ამბავი როდის იყო?

ს ა ნ დ რ ო – ცეცხლი რომ გაჩნდა იმ დილას.

ს ა ზ ა რ ო ვ ი – მის დასამტკიცებლათ, რომ მე იმ დღეს კოჯორში ვიყავი და ქალაქში არ ჩამოვსულვარ, აი ეკითხოს უფ. ტუროეს. ესეც იქ იყო ჩემთან მთელი დღით და მეორე დღეს ერთად ჩამოვედით.

ტ უ რ ო ვ ი – სწორეთ, მე შემიძლია ვუმოწმო.

ა მ ი რ ი ნ დ ო – რას ამბობ, კაცო?! შენ იმ დღეს აქ იყავი, აკი გნახე?

ტ უ რ ო ვ ი – სცდებით!

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – მოითმინეთ. აქ თქვენ თვითონ ბძანეთ, რომ კნიაზი ვნახეო?

ტ უ რ ო ვ ი – მე... მე... დიახ, ვნახე! მართალია, ქალაქს გარეთ ვიყავი... სტუმრათ, სალამოს ჩამოვბრუნდი კოჯორიდან დილიუზით.

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – მე თვითონ დილიუზით ჩამოველ, მარამ თქვენ იქ არ მინახევხარ.

გაიძვერები

ტ უ რ ო ვ ო – მე... ე. ი. ეკიპაჟით წამოვედი და ეს კი იქ დავტოვე...

გ ო გ ო ა – მაი ისე ტყუილია, რომ ერთი კაი დიდი უშველებელი აქლემი ვერ ზიდავს.

ტ უ რ ო ვ ო – (შეკრთხბა) აქაც კიდევ აქლემი!..

გ ო გ ო ა – იმ დღეს მეც ქე ვნახე ქალაქში. აბა, გაგახსენო. (მიდის ჩურჩულით): კაცო მკითხავმა რომ გითხრა, გაგაბამს საქმეშიო, – აგია, თუ თავს არ უშველე! იცი, რას გეტყვი? სოსიკაი რომ იყო, მე მისი ძმობილი ვიყავი და შენზე ყველაყაი ქე მითხრა.... თუ მაინცდამაინც მოგინდომებია მაგის დასარჩლება, გაგთქვამ, ბეჯი-თად გაგთქვამ და ისთე კი არას გერჩი, ქე იყავი შენდა.

ტ უ რ ო ვ ო – მეტი გზა აღარ არის!.. (თავისთვის) მართლა, ამ კაცმა მომაგონა. მართლა მე იმ დღეს კი არ ვყოფილვარ მაგასთან წვეულათა... წინა დღეს და ცეცხლი რომ გაჩნდა, იმ დილას ორივე ერთად ჩამოვედით...

მ ა ხ ნ ე ვ ო ჩ ი – მაშ, იმ დღეს თქვენ აქ ბძანდებოდით?

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – სცდება ხარიტონ კარლოვიჩი!

ტ უ რ ო ვ ო – არა, ნამდვილათ ვიცი.

მ ა ხ ნ ე ვ ო ჩ ი – საქმე სხვაგვარად გადატრიალდა. კნიაზო, თქვენ თავისუფალი ბძანდებით, მართალი ყოფილხართ.

ა მ ი რ ი ნ დ ო – ფეი! მე კი არ ვიცოდი!.. მაგრამ ამ ჩემს აბიდას კი ვერ დავთმობ, ახლავე ღუბერნატორთან წავალ. თავადიშვილის შეურაცხყოფა განა ასე ადვილია! შეიტყოს ღუბერნატორმა, მართებლამდი მიაწიოს საქმებ!

ხ ა ზ ა რ ო ვ ო – (შეშფოთებული) აქ შეთქმულებაა და მე ამას ვერ დავსთმობ!.. თქვენც წამეტან წებას აძლევთ თქვენს თავს! წება არა გაქვთ, ჩემს გამოძიებაში შეხვიდე... მე წავალ ახლავე პროკურორს შევატყობინებ!

მ ა ხ ნ ე ვ ო ჩ ი – მოითმინეთ! გთხოვთ აქ დარჩეთ და მე თვითონ დავიბარებ პროკურორს, საჭიროა. უ. სვისტკოვ, გთხოვთ წახვიდეთ და შეატყობინოთ.

ს ვ ი ს ტ კ ო ვ ო – ვინ მოიფიქრებდა! მოდი და ახლა გაამტყუნეთ პოლიცია! (მიდის)

ტ უ რ ო ვ ო – ფუ! განათლებული კაცი და ამისთანა საქმე!.. ვინ იფიქრებდა?.. რაც უნდა სწერო, ხალხი მაინც მალე არ გასწორდება!.. წავიდე ერთი, მკითხველებს შევატყობინო, ეს უცნაური ამბავი. (მიდის)

გაიძვერები

გ ო გ ი ა – სოფიო, წავიდეთ, ჩვენც რაღა გვინდა აქანეი? არ ვჩიოდი: ღმერთი სამართლიანია-მეთქი!.. (მახნევიჩს) ბატონო, შეიძლება წავიდეთ ჩვენდა?

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – შეგიძლიათ (სანდროს) შენ კი მოიცადე!

ს ო ფ ი მ – ვენაცვალე, ღმერთო, შენს სამართალს. (მიდიან).

კ ა რ ა პ ე ტ ა – ერთი წავიდე მეც...

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – არა, მოითმინეთ! თქვენ უნდა ჩვენება ჩამოგ-ართვათ პროკურორის თანადასწრებით.

კ ა რ ა პ ე ტ ა – ვა, ახლა კი გაები, კარაპეტ, ორივე ფეხებით!..

ხ ა ზ ა რ ო ვ ი – ნუ დაივიწყებთ, რომ მე თქვენ დამაკავებთ მაშინ, როდესაც...

მ ა ხ ნ ე ვ ი ჩ ი – (მხრებს აიწევს) კანონი ბრძანებს და ნურაფერს უკაცრავათ!

ფ ა რ დ ა

[1889 წლის 8 ნოემბრამდე].

განთიადი

თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული
სოფლური სურათები 5 მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

კიკოლა – იმერელი გლეხი, ძველებური ტიპის

საყვარლისეული – მისი ცოლი, ნამოახლი

მიხა – დროს შესაფერად გაუკულმართებული

ლექსო – ქართულად გაზრდილი

} მათი შვილები

სპირიდონ – სოფლელი ძველი ტიპის აზნაური

დათიკო – საკნიაზო კლასიდან გამოსული

ნუცა – შინ გაზრდილი ძველებურად

} მისი შვილები

არუთენა – სასტუმროს პატრონი

ივანე – ბუტეტის გამგე

ნიკო – კნიაზი

მიშო – კნიაზი

გრიშა – კნიაზი

ვიკტორ.

დარღუბალ ზახრუმალიჩი – ალაგის მომლოდინე და დროებით

წესიერების დამცველი

სტუმრები და მსახურები

მოქმედება პირველი

სცენა 1-ლი

კრამიტით დახურული სახლის წინ იმერული წმინდა ეზო. შუაში ცაცხვის ხეებია. ხის ძირას ქვა ხოჭეჭას სკამლოგინებია.

გამოსვლა პირველი

კ ი კ ო ლ ა – (ჩამომჯდარია სკამლოგინზე. ურმის გოგორასა სთლის და დაბალის ხმით ურმულს დალილინება):

„აღარრა ეხალისება
ჭალარაშერთულ ბერსაო,
ხელდახელ დათვის დამჭერსა,
რომ ემუქროდა დევსაო.“

ჰაი, ბეჩავ, ჩემო სიყმანვილევ, ცხრა ცულის ტარზე რომ ვხტე- ბოდი! ჰეეე! ახლა ტანმჩატედ კიბის საძირკველზედაც ველარ გადა- მიბიჯებია. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყებს ისევ სიმღერას).

„სიბერე ასე ძნელია,
სიპ ქვასა დაედარება,
დაჯდება, ველარ ადგება,
ადგომა დაეზარება.“

ს ა ხ ლ ი დ ა ნ ქ ა ლ ი ს ხ მ ა – ლექსო, ლექსო! ბიჭო, არ გესმის, შე ყურებდამდგარო! ლექსო! ოი, რატომ შენ არ გაუწყალდი დედაშენს მუცელში, რომ საჭირბოროტოდ აღარ გამჩენოდი!

კ ი კ ო ლ ა – ჰეეე, აქაქანდა, არიქა, ალიონმა არ დაგასწროს! (საყვარლისეული გამოდის და ნელ-ნელა უახლოვდება. კიკოლა ზურგშე- ქცეულია და ვერ ხედავს) „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, ვერ მოიშლის თავისას, ასე უნდა იყეფოს დაღამებამდი.

გამოსვლა მეორე

ისევ და საყვარლისული

ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ე უ ლ ი – (უკმაყოფილოდ) იღიღინე, იღიღინე,
ვითომ და კანდელაკი ხარ! ი შენი ბლიაძე ბიჭიც გვერდში მოისვი და
აშენდება ოჯახი! ჰმ! ასე უნდა იყეფოსო, რომ ბრძანებ, სხვა რაღა
უნდა მჭირდეს შენს გადამკიდეს? გაძაღლებული ცხოვრება ვის არ
ააყეფებს!

კ ი კ ო ლ ა – (განზე) აუკიდა ჭიანური!

ს ა ყ ვ ა რ. – სად არის ი ბიჭი?

კ ი კ ო ლ ა – მეზობლიდან გადმოგვდახეს, თქვენი საქონელი
მეველეებს დაუჭერიათო და იმათ მიაშურა.

ს ა ყ ვ ა რ. – მერე და ი ყმანვილმა რომ გამოიღვიძოს, ვის უნდა
დაასაქმოს, თუ რამე დასჭირდა?

კ ი კ ო ლ ა – ვინ ყმანვილია?

ს ა ყ ვ ა რ. – ვინ უნდა იყოს, მიხა!..

კ ი კ ო ლ ა – (თავისითვის დაცინვით) ჰოო, შენი მიხაილ ნიკო-
ლაიჩი?.. ჰმ!

ს ა ყ ვ ა რ. – რას დუდლუნებ?

კ ი კ ო ლ ა – იმას, რომ „ვისაც ფაფა უყვარს, კოვზიც იმასვე
უნდა ეჭიროს ხელშიო“, რა ვარანცოვი ეგ არის, რომ ბრძანების მეტი
არა უნდოდეს-რა?!

ს ა ყ ვ ა რ. – ი ბიჭი კი რაღას აკეთებს?

კ ი კ ო ლ ა – ლექსო? იმას სხვა საქმეც ბევრი აქვს. ხომ ხედავ,
რომ მე ბევრი აღარა შემიძლია-რა, ის არის მთელი ოჯახი.

ს ა ყ ვ ა რ. – (დაცინვით) ან კი როდის შეგძლებია, რომ ახლა
შეგეძლოს?

კ ი კ ო ლ ა – ჰო-და, მით უფრო. იმასაც რაღა სხვისი სამსახ-
ურისა სცხელა. მერე კიდევ ემსახუროსო, რომ იძახი: ძმა არი, განა
ყმა არი?

ს ა ყ ვ ა რ. – კარგი ერთი, ნუ მოყვები უთავბოლოდ როშვას!
სულაც მაგან გააფუჭა, რომ მაგისთანებს აგონებ.

კ ი კ ო ლ ა – ვაგონებ, თუ არა თვითონ კი ვერ მიხვდება? არა
გაეგება-რა? დედაკაცო, რა არი, რომ ი ღვთისნიერი ბიჭი ამოგიჩე-
მებია გერივით, თითქო დედინაცვალი იყო მისი? ერთხელ ტკბილ
სიტყვას არ გააგონებ. სხვა რომ იყოს, აქ აღარ დაგიდგებოდა, გადა-
ვარდებოდა სადმე, მე და ჩემმა ღმერთმა!..

განთიადი

ს ა ყ ვ არ. – აკი ბრძანდებოდა წასული და რა მოიტანა? რა ისწავლა? გარდა მოშაირობისა და ლაზბანდარობისა?

კ ი კ ო ლ ა – მაგითი ვის რას უშლის? რას აშავებს?

ს ა ყ ვ ა რ. – ეგ არის რაღა, მოუწონე?.. – შენ კანდელაკური ილილინე ხოლმე, იმანაც სტვირი აილოს და მეტი აღარა გინდათ-რა – აშენდება ოჯახი. რაც მამა ხარ, ის შვილია. შენ რომ გგავს, მიტომ ესარჩელები.

კ ი კ ო ლ ა – ჰოდა, მეორე ხომ შენა გგავს გაჭრილ ვაშლივით... ვნახოთ, რა ქვეყანას ააგებთ ან შენ და ან ისა... .

ს ა ყ ვ ა რ. – ვიჲ, რაში მოგეწონება! ერთი შენ და ი შენი მონონებული შვილი ხართ მიღებული თავადაზნაურობაში და მეორე ჩემი მიხა.. თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისმენ, ენაცვალოს იმას დედა!

კ ი კ ო ლ ა – (ნალვლიანად იღიმება) ჰმ! თვალში? ვიცით, შვილოსა, იმათი მოყვრობაც, ი რაღაც ორი გროში ჩამოყოლია ი შენ შვილს, იმას უბოდიშებენ და როცა გამოსცინცლავენ, მერე ვნახავთ, სადაც მიიწვევენ.

ს ა ყ ვ ა რ. – ორი გროში შენც კი გქონია, გლეხის პირობაზე არა გიჭირდა-რა, მაგრამ კარზე ტალახი არავის აუყენებია შენთვის, რომ დიდკაცების ოჯახში გეპატიუჟებიანო.

კ ი კ ო ლ ა – (უკმაყოფილოდ) რომ კიდეც დამპატიუონ, რა მაქვს საერთო, რომ იმათ ავეტორლიალო?.. ბატონებისა, ღვთის მადლით, გადავარდნილია... ჩვენ ჩვენთვის და ისინი მათთვის!..

ს ა ყ ვ ა რ. – გადავარდნილია, თვარამ, შენმა გახარებამ, რაღაი ის მოიშალა, მას უკან სულ ია და ვარდი გეფინება წინ.

კ ი კ ო ლ ა – რათ მინდა, რომ მეფინებოდეს? შენ ხომ მაინც ზედ შხამსა და ნალველს გადასხამდი!.. (თავის ენევით) ნამოახლი ქალი!.. მტრისას... მტრისას!. (ჩოხას იბერტყავს).

ს ა ყ ვ ა რ. – ახლა ამბობ მაგას? (მივარდება) ახლა? მაშინ ხომ კარგი ვიყავი, ხელოსნობა რომ გაშოვნიერ – მარან-ბელელი ხელში ჩაგიგდე და მთელი სოფელი შენს ბედს შემონატროდა.

კ ი კ ო ლ ა – აი, დაიქცეს ის დღე!.. ბატონის ნებას ვეღარ წაუვედი, თვარა ვიცოდი, რაც შესართავი იყავი, შვილოსა.

ს ა ყ ვ ა რ. – შენმა თავის ტკვლეცამ, თუ მე არ შეგერთე, მარიამ დედოფალი წამოგყვებოდა! ვერ უყურებთ ამ უჯიშოს? შენისთანებს ეჭირათ ჩემსკენ თვალი!..

კ ი კ ო ლ ა – რა ეჭირათ... რა ვიცი... მაგრამ გვირგვინს კი არა-ვინ წამოეპოტინებოდა...

განთიადი

ს ა ყ ვ არ. – ვითომ რატომაო?

კ ი კ ო ლ ა – აი იმას ჰქითხე, რატომაო! (თითს მიაშვერს ჭისერის კარებისაკენ, სადაც სპირიდონი გამოჩნდება) ეგეც ბატონთან წამყოფი აზნაუშვილია და ეცოდინება... მგონია, აქ მოდის... (უკმაყოფილოდ) ნეტავი რა უნდა ასე ადრე?

ს ა ყ ვ ა რ. – რა უნდა და შენი სალამი... ალბათ, მიხასთან მობრძანდება, თვარა შენ არც აქამდი შეუწუხებიხარ!.. წავიდე, ერთი იყმაწვილი გავაღვიძო... (მიდის).

კ ი კ ო ლ ა – (თვალს გააყოლებს) მართალი ნათქვამია, „ძალლის კუდი კალაპოტშიაც არ გასწორდებაო“, ნამოახლი რომ არის, კუდიც ბატონებისაკენა აქეს გაშვერილი და შვილიც მისთანა გამოუვიდა... სულ იმ დიდკაცობაში მიუდისთ სული ორივე დედა-შვილს; ვერ მიშვდარან, რომ მათი ფანდის არ არიან, „რაც არ მერგებაო, არ შემერგებაო“, ტყუილა კი არ არის ნათქვამი!.. (ვითომ ვერ ხედავს მომავალ სტუმარს, ურმის თვალს დაუწყებს ჩხიკინს და ლილინობს).

„ჭინჭველს ღმერთი გაუწყრება,
ფრთები მხრებში გამოუვა,
ზეცას ასვლას მოინდომებს,
გზაში სული ამოუვა“.

გამოსვლა მესამე

ისინივე და ს პ ი რ დ ო ნ (მიუახლოვდება ნელ-ნელა)

ს პ ი რ დ ო ნ – ნიკოლოზს გაუმარჯოს!.. ნიკოლოზს!

კ ი კ ო ლ ა – (წამოდგება ზეზე) ოჟ! ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოსთ ჩემო ბატონო, ვაი ჩემს შერცხვენას, რომ ვერ დაგინახეთ!..

ს პ ი რ დ ო ნ – აგრე იცის დაფიქრებულმა მუშაობამ, (ხელს უშვერს).

კ ი კ ო ლ ა – (უკან მიაქვს ხელები) რატომ ირჯებით, შენი ჭირიმე? ჩემი ხელი რა თქვენი საკადრისია?..

ს პ ი რ დ ო ნ – ვეუო, შენი ხელი რა სხვისაზე უარესია! (მხარზე ადებს ხელს) საზოგადოდ კი, მართლა რომ არც მე მიყვარს ოფლი-ანი ხელის ზელა, მაგრამ რას იზამ?.. სად წაუხვალ ქვეყანას? „რა

განთიადი

სოფელშიდაც მიხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეო“, ნათქვამია, დრომ მოიტანა.

კ ი კ ო ლ ა – კაი, შენი ჭირიმე... (სახეს იქმუხვნის) ნეტავი, თქვენის კარგად ყოფნით, არც ეგ მოეტანა და არც ჩვენი წაელო.

ს პ ი რ დ ო ნ – ჩვენი?

კ ი კ ო ლ ა – ჰო, ძველებური ზრდილობა და თავაზიანობა კი აღარ შეგვარჩინეს და... სულ დაგვეკარგა... უფროსს ვიღა აცლის ეხლა სალამს? ვინც უნდა შეგხვდეს, გინდ ერთი ვინმე ვიგინდა-რაც იყოს, პირველად ის გიტუტურებს ხელს... დაბრძანდით, ჩემო ბატონობ.

ს პ ი რ დ ო ნ – (ჯდება ქვაზე, ეპატიუება, რომ გვერდით დაისვას) შენც დაჯექი...

კ ი კ ო ლ ა – გმადლობ, მე აქაც არა მიჭირს-რა, აგერ გიახლებით ჩემთვის. (ჩამოჯდება ახლოს მეორე ქვაზე).

ს პ ი რ დ ო ნ – სხვა? რასა იქ? აღარსა სჩანხარ, ხომ კარგადა ხარ?

კ ი კ ო ლ ა – თუკი სიმართლე ეთქმის სიბერეს, გახლავარ მეც...

ს პ ი რ დ ო ნ – რატომ არა? კარგი სიბერეც კარგია, ჩემო ნიკოლოზ. სხვებმა იკითხონ, თორემ შენ რა გიჭირს? (საყვარლი-სეული გამოდის და სკამები გამოაქვს). ახლა შენ ჩიტივით უნდა იყო გაყმაწვილებული... მაგისთანა გაჩესტიანებული შვილი დაგიბრუნა ღმერთმა... ეგ არის და მთელი ქვეყანა.

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ე უ ლ ი

ს პ ი რ დ ო ნ – ოოო! საყვარლისეულს ვახლავართ! მოგვილო-ცავს შვილის დაბრუნება.

ს ა ყ ვ ა რ. – (მძიმედ თავს დაუკრაგს) გმადლობთ, ჩემო ხელმ-ნიფევ! ღმერთმა თქვენც გაგახაროსთ თქვენი დათიკოსა და ნუცას ბედნიერებით...

ს პ ი რ დ ო ნ – დაბრძანდით! (მიუთითებს სკამზე).

ს ა ყ ვ ა რ. – უიმე! რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო! ჩვენ აგერაც კარგა გიახლებით (მოიფრთხობს იქვე მოლზე).

კ ი კ ო ლ ა – იმ ბიჭს არ შეატყობინე?

განთიადი

ს ა ყ ვ ა რ. – ყმაწვილს? იახლებათ, ახლავე იახლებათ. (სპირდონი-საკენ) წუხელი გვიან გიახლათ; გაღმა გახლდათ მიწვეული თავადიშვილებში. აღარ გამოეშვათ და თითქმის თენდებოდა, რომ დაბრუნდა სახლში.

ს პ ი რ დ ო ნ – ნათლობაში იყო? ჩემი ქალიც გვიან დაბრუნდა.

ს ა ყ ვ ა რ. – პრძანდებოდა?

ს პ ი რ დ ო ნ – როგორც იქნა, გააბედვია ძმამ! ძალის ძალობით, თვარა ჩემ ნუცას არ უყვარს აქეთ-იქით სიარული...

ს ა ყ ვ ა რ. – არ უყვარს ხალისიანობა?

ს პ ი რ დ ო ნ – ხალისი არ აკლია, მაგრამ ოჯახშია გართული... შინ გაზრდილი რომ არის, აღარ ეხერხება სხვაგან აქეთ-იქით სხვებ-სავით ტანტალი... რაღაი დედა მოუკვდა, შინ დამრჩა... ველარ შევ-ძელი გამებარებია და განათლება მიმეცა, თვარა შინაურობაში – ღმერთმა კარგი მოგცეს – კარგი ის იყოს... მისით სული მიდგია...

ს ა ყ ვ ა რ. – ღმერთმა ორივე, ქალიც და ვაჟიც, გვრიტებივით გიბედნიეროსთ... ჩემი ბატონი.

ს პ ი რ დ ო ნ – გმადლობ... ნუცა უფრო დედასა ჰეგავს... ნეტავი იმ ოჯახს, რა ოჯახშიაც ის შევა; ვაჟი კი უფრო ჩემკენ არის.

ს ა ყ ვ ა რ. – „კვიცი გვარზე წავაო“, მოგეხსენებათ.

გამოსვლა მეცნიერების მიერთების და მის მიზანი

ისინივე და მიზანი

მ ი ს ა – (რუსულად ჩაცმული მაღალყელიანი ჩექმებით, მოკლეკალთებიან სერთუკით გამოდის. ყველა წამოდგება, კიკოლას გარდა. მიდის პირდაპირ სპირდონთან და ხელს აძლევს) ზრასტურე, კნიაზ!

ს პ ი რ დ ო ნ – ააა! ზრასტურე, რუსო, ზრასტურე!.. (ხელს უნდრევს) გზაში რომ შემყროდი, ინჯილერი მეგონებოდი ან ვიღაც პოსლედნიკი ჩინონიკი... .

მ ი ს ა – (სიცილით) დაბრძანდით. (მიაწოდებს სკამს, მეორეზე თვითონ დაჯდება).

ს პ ი რ დ ო ნ – არა, მე აქ უფრო მეხერხება ამ მამაპაპურ სკამ-ლოგინზე (ჭდება).

მ ი ს ა – არ გაცივდეთ კი მაგ ქვაზე.

კ ი კ ო ლ ა – ჰმ! ეს, პირიქით, სიგრილისათვის არის გამოგონილი და...

განთიადი

ს პ ი რ დ ო ნ – ვეუო, რა გამაცივებს, ფაფა ხომ არა ვარ?

მ ი ხ ა – თქვენი ნებაა, (სიჩუმე) ანგელოზმა ჩამოიარა.

ს ა ყ ვ ა რ. – ანგელოსმა, ვენაცვალე მის მაღლსა და ძალსა. (აქეთ-იქით იხედება).

მ ი ხ ა – (სიცილით) ასე იტყვიან ხოლმე რუსები, როცა სიჩუმე ჩამოვარდება.

ს პ ი რ დ ო ნ – ჩვენში კი „ენა ჩავარდაო“. (ხმას ისწორებს) ხმ! მაღლობა ლმერთს, რომ მაგრე კარგად მოიარეთ ის შეჩვენებული ქვეყანა. იქითკენ ბევრს აგზავნიან გაუკითხავად, ძალიან ბევრს, მაგრამ რომ ველარავინ ბრუნდება... ასში ერთი თუ გადარჩება და შენ კი აგრე გაბეჭდინერებული დაგვიბრუნდი... ჭეშმარიტად მოხა-რული ვართ ყველა.

მ ი ხ ა – გმადლობთ, კინაზ!

კ ი კ ო ლ ა – ქრისტემ დიდი დღე მისცეს! ღრუბენატორი შეწევია ძალიან.

ს პ ი რ იღ ო ნ – ღუბენატორი?..

კ ი კ ო ლ ა – (თავმომწონედ) დიახ, მოახსენე, შვილო, რაც იყო და როგორც.

მ ი ხ ა – ჩემი გვარი რომ ამოიკითხეს და გუბენატორმა ყური მოჰკ-კრა – რაღაც გაახსენდა და მკითხა: „კიკოლა ცოცხალიაო“? გამიკ-ვირდა და მოვახსენე, ცოცხალი გახლავსთ, მამა არის ჩემი-მეთქი.

კ ი კ ო ლ ა – ის იყო და ის, მერე თურმე ალარა გაჭირვებია რა ამ ბიჭს. მე და ჩემმა ლმერთმა, მართალი ნათქვამია „კარგი საქმე ქვაზე დადევ და რომ დაბრუნდები, ქვაზე დაგხვდებაო“. როდინ-დელი როდის მოჰგონებია იმ ღვთისაგან კურთხეულს და სადაური სად გამოდგომია ამ ჩემ შვილსაც.

ს პ ი რ დ ო ნ – რა ყოფილა, ვეუო, მაგისთანა?

კ ი კ ო ლ ა – მაინცდამაინც ბევრი არაფერი მაგდენი.

ს პ ი რ დ ო ნ – მაინც, მაინც?

კ ი კ ო ლ ა – მოარფაშობის დროს სამეგრელოში ვახლდი ბატონს. მაშინ ბიჭათაც არა მიჭირდა და გულსაც მერჩოდა... ჩვენი მილი-ცია მარჯვეთ იყო, მაგრამ სახელი კი ჩემოდენი და განსვენებული თქვენი ძმის ოდენი მაინც არავის უნახავს. თქვენ ძმას ჯვარი და ტემლაკიც მისცეს... ჯვარი, მე და ჩემმა ლმერთმა, მეც მერგებოდა, მაგრამ ცხონებულმა ჩემმა ბატონმა თავისთვის გამოითხოვა და მე კი დავრჩი ასე ხელცარიელი.

ს ა ყ ვ ა რ. – ჰო! ახლა კი ნუ გააჭიანურებ შენებურად, შვილზე უამბე.

განთიადი

კ ი კ ო ლ ა – (უკმაყოფილოდ) არ დამაცლი?.. მაშინ გახურებულ ომში და სროლაში ერთი დაჭრილი რუსის აფიცარი გადავარჩინე სიკვდილს... ჩხეუბიდან ზურგით გამოვიტანე და თურმე ის ყოფილა ის ღრუბენატარი... წმ, წმ, წმ! აბა, ამაზე არის ნათქვამი, მთა მთას ვერ მოხვდება, თორემ კაცი კაცს კიო.

ს ა ყ ვ არ. – იმას ხელი შეუწევია ამ ყმაწვილისათვის, თვარა ქონება კი არ მიუცია.

მ ი ხ ა – დიახ, ხელი შემინყო და ქონება მერე მე თვითონ შევიძინე.

ს ა ყ ვ არ. – თითონ შეუძენია, ენაცვალოს დედა!

მ ი ხ ა – ერთს ხანს თავის იჯახში ვყვანდი აყვანილი. ხან ერთ საქმეს მომანდობდა ხოლმე და ხან მეორეს. მეც ერთგულებას ვიჩენდი და გამოვიკეთე ჩემი საქმე. ჭკუა თუ აქვს კაცს და მეცადინეობს, დიდი მომგები ქვეყანა ის ირკუტსკი.

კ ი კ ო ლ ა – ყველა ღვთის საქმეა, შვილო, ტყუილა ნურვინ რასმე დაიტრაპახებს, ულმრთოდ არა იქნება-რა, არა!..

ს პ ი რ დ ო ნ – ნურც სულ მაგრე იტყვი, ჩემო ნიკოლოზ! „ნიორმა იერუსალიმი მოიარაო და მყრალი სუნი მაინც კიდევ თან მოჰყვაო“. კაციც არის, კაციც.

ს ა ყ ვ ა რ. – დღეგრძელი ბრძანდებოდეთ! ბედი ყველასთან მიდის, მაგრამ ყველა კი ვერ შეიძნობს!.. იმასაც ჭკუა უნდა.

ს პ ი რ დ ო ნ – ოღონდაც! ოღონდაც! უჭკუოთ არა გაკეთდება-რა...

მ ი ხ ა – მართალია, კნიაზ...

ს პ ი რ დ ო ნ – კნიაზოვო? (იცინის) მე სადაური კნიაზი ვარ, ძმაო? ვინც იყვნენ, იმათაც ალარ აკნიაზებენ ეხლანდელ დროში, თვარა.

მ ი ხ ა – სულერთია!.. არა უშავს-რა, ენა მაქვს მიჩვეული. იქ, ვისაც იჩობით არ იხსენიებენ, სულ კნიაზს ეძახიან.

ს პ ი რ დ ო ნ – თქვენ რას გეძახოდენ?

მ ი ხ ა – მიხაილ ნიკოლაიჩის!

კ ი კ ო ლ ა – ეგ აქ არ გამოგადგება, შვილო... ჩვენში მიხაილ ნიკოლაიჩის მთავარმართებელზე იტყვიან ხოლმე. (სიჩუმე) აგერ ი ბიჭიც მოდის.

(ლექსო გამოჩნდება, შორი-ახლოს გაჩერდება და თავს უკრავს ყველას.

განთიადი

გამოსვლა მეექვსე

ისინივე და ლ ე ქ ს რ

ს ა ყ ვ ა რ. – მადლობა ღმერთს, რომ მოგაგონდა დაბრუნება.
ლ ე ქ ს ო – უსაქმურად არ მივლია, არც ჩემს ნებაზე.

კ ი კ ო ლ ა – რა გითხრეს?

ლ ე ქ ს ო – რაღას მეტყოდენ მეტს, დაუჭერიათ და საბალახოს
ითხოვენ.

ს პ ი რ დ ო ნ – რა დაუჭერიათ?

კ ი კ ო ლ ა – საქონელი.

ს პ ი რ დ ო ნ – თქვენი?

ლ ე ქ ს ო – ჩვენიც და სხვებისაც.

ს პ ი რ დ ო ნ – ჰმ! დაიჭერდენ მა რას იზამდენ, ძნელი ასატანია
ჭირნახულის გაფუჭება! ყველამ თავის საქონელს უნდა მოუაროს.

ლ ე ქ ს ო – კი, ბატონო, მარა ი ჭალებიც რომ გაფოლორცებუ-
ლია! ყანებს ღობე აღარ ავლია და თხრილი.

ს პ ი რ დ ო ნ – ხვადაბუნების შემოღობვა ვის გაუგონია! ჩემს
ნახსოვრობაში აგრე ყოფილან სულ გაშვებული ყანები ჭალებში...

კ ი კ ო ლ ა – მართალია, მაგრამ შიგ მეველებიც იდგნენ ხოლმე,
მეც ბევრჯელ შემხვედრია ბატონყმობის ღროს მეველეობა და პირუ-
ტყვის რომ დავინახავდით მომავალს, არ ვუშვებდით, გადავრეკავდით
ხოლმე – მეველე აპა რისი მეველეა, თუ ამასაც არ იზამს.

ლ ე ქ ს ო – ახლა გადარეკა კი არა, პირიქით, მირეკენ ყანებში.
მეწისქვილე მეუბნებოდა, რომ წყლის დასალევათ ვეღარ ჩამოდის
პირუტყვიო... დაინახავენ თუ არა მეველები, ძალის ძალათი მიდე-
ნიან უმწყესურ საქონელს ყანებში, რომ მერე დიჭირონ და ქირა
აიღონო. ახლაც ისე იზამდენ, თვარა ჩვენ ნახირს რა უნდა იქითკენ?

კ ი კ ო ლ ა – გაუფუჭებიათ რამე?

ლ ე ქ ს ო – ღერი, ნამცეცი!.. რა უნდა გაეფუჭებიათ, რომ ფარ-
საგად ჯერ არც კი ამოსულა-რა...

კ ი კ ო ლ ა – რატომ არ წამორეკე?

ლ ე ქ ს ო – ვინ დაგანება?! საჩებში ჰყავთ დამწყვდეული, სულზე
თითო მანეთს თხოულობენ.

მ ი ხ ა – ვინ არიან ეგ მეველები? ჩაჩნები?

ლ ე ქ ს ო – აღარც ნაკლები! ჩვენი ყმანვილები.

მ ი ხ ა – ვინ ყმანვილები?

განთიადი

ლ ე ქ ს ო – ნაბატონარის შვილები.

მ ი ხ ა – თავადაზნაურები? სტრანნო!

ს პ ი რ დ ო ნ – რას ამბობ?

მ ი ხ ა – გასაკვირვალია.

ს პ ი რ დ ო ნ – ნუ გიყვირს! დრომ მოიტანა, დრომ! (ამოიოხრებს) იმათაც ან კი რა ქნან? მოჯამაგირე გაძირდა... ვიღასა აქეს მათი თავი?.. სიღარიბე და გაჭირვება ძნელია... მეველეობასაც აკისრებიებს კაცს და მეწისქვილეობასაც.

ს ა ყ ვ ა რ. – უი, უი, დამიდგეს ყურები და დამეფსოს თვალები! რა მესმის და რასა ვხედავ. ბატონიშვილები და მეველები! (თავის ქნევით) ახლა რომ დიდი ბატონი წამოაყენა და წამოახედა!. უიმე, დედავ! დედავ! (წუნუნებს).

ლ ე ქ ს ო – მართლა რომ გაუკვირდებოდათ. მათ დროში ვის გაუგონია ან საბალახო და ან ტყის ფასი ჩვენს ქვეყანაში.

ს პ ი რ დ ო ნ – ჰმ! თქვენ კი, შვილოსა, ბატონების რომ გადავარდა, ფეხზე აღარ იდექით სიხარულით და... მაშინ თუ თითო ბატონი გყავდათ, ახლა რომ ასი და ორასი გაზისთ კისერზე?..

კ ი კ ო ლ ა – რაც მართალია მართალია! ერთი ჭირი მოვიხადეთ და ასი გაგვიჩნდა! ახლა არ ვიცით, რომელ ერთს გადაურჩეთ, მაშინ კი, ვისაც ლვთისნიერი ბატონი ჰყავდა, არა უჭირდა-რა... მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ლვთისნიერები აღარსად სჩანდენ და...

ს პ ი რ დ ო ნ – (აწყვეტინებს სიტყვას) ჭირვეული და ცუდი ყველგან გამოერევა, კარგი ბატონის ყმას თითსაც ვერვინ დააწებდა. საზოგადოდ ასე იყო და თუ ზოგიერთებს ცუდათ ეპყრობოდენ, იმიტომ, რომ ორგულ-ერთგულებს არჩევდნენ. ეჱ! რაც იყო – იყო, მორჩა და გათავდა. ძველს ვეღარ დავუბრუნდებით... მაგრამ დღეს კი უკეთესობაა ვითომ...

ლ ე ქ ს ო – მართალია, ვაის გაყრილები უის შევეყარეთ... ერთი მეორეს ვერ ამართლებს, მაგრამ მაინც თავისუფლება და თანასწორობა დიდი ბიჯია ცხოვრებაში.

ს ა ყ ვ ა რ. – ჰმ, „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ ნახირო“, შენ რა გრჯის, რომ ეჩირები?

კ ი კ ო ლ ა – მართალს არ ამბობს, თუ? მაშინ ყოლიფერი ერთი ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული – გლეხის ბედიც და უბედობაც და ახლა კი...

ს პ ი რ დ ო ნ – (სიტყვას აწყვეტინებს) ყველა ბატონია. ყველა გარე-წარი და გადამთიელი... გლეხსაცა და ჩვენც ორივეს თოკი ჩაგვაბეს

განთიადი

და ორივეს სხვადასხვა კუთხისაკენ მიგვრეკავენ, რომ ერთმანეთი დავალრჩოთ. მოდი და ამისთანა დროში ნუ დადგები მეველეთ! ნუ დაიჭერ გლეხის საქონელს! დაუთმე საბალახო! გაბოროტება უნდათ ჩვენი – გაგვაბოროტა დრომ და გადაგვეიდა ერთმანეთს.

ს ა ყ ვ ა რ. – მართალს ბრძანებთ, ჩემი ხელმწიფევ! და უი ამისთანა დროს, რომ ბატონიშვილები მეველებად არიან. გლეხების ხელობას აღარ თაკილობენ... რა დროს მომსწრე ვარ და რასა ვხე-დავ. დამიდგეს თვალები. უიმე! უიმე!

ლ ე ქ ს ო – საქმის გაკეთება რა საუკადრისოა და საძრახისი, დედი. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საქმობის მაგიერ, რაც არ ეკადრებათ, იმას ჩადიან, ცარცვა-გლეჯა რა მეველეობაა.

ს ა ყ ვ ა რ. – სსუ, ნუ გაიგძელე ენა! რაც შენი საქმე არ არის და არც ვინმე გკითხავს.

ს პ ი რ დ ო ნ – არა, შვილოსა, ნურც მაგრე იტყვი. ნათქვამია: „ზოგი თხისკენ და ზოგიც მგლისკენ“... ნურც იმ ყმაწვილებს გავამტყუნებთ, იმათაც რა ქანან, ორი კვალი მინის მეტი აღარა დარჩენიათ-რა და არ მოუარონ? აუშვია სოფელს ამდენი ნახირი უმწ-ყესურად და ლამის ქვეყანა ამოაგდონ.

მ ი ს ა – (სიტყვას ჩამოართმევს) უმწყემსოდ? როგორ თუ უმწყემ-სოდ? ეგ როგორ იქნება?

ლ ე ქ ს ო – (განზე) რა მალე დავიწყებია, თითქოს იქ დაბადებუ-ლიყოს...

ს პ ი რ დ ო ნ – მაშ, იქ, სადაც თქვენ იყავით, როგორლა არის?

მ ი ს ა – რუსეთში? განათლებულად, იქ სოფლის ნახირს ოჩერედით მწყისიან... მუზიკით გარეკენ ხოლმე დილდილაობით და საღამოსაც მუზიკით აბრუნებენ.

ს პ ი რ დ ო ნ – იმე! იმე! მართალს ბრძანებ? რა ყოფილა ეს!

მ ი ს ა – რაუკოს ეძახიან, იმას რომ დააძახებენ, პირუტყვებმა მერე თვითონ იციან თავისი გზა... წასვლისაც და მოსვლისაც...

ლ ე ქ ს ო – ეგ აქ არ მოხერხდება, იქ თვალგაუწვდენელი მინდ-ვრებია საძოვრები და აქ კი ჩვენი მიწები ხელისგულის ოდნად არიან დაფარატინებული და რომ გარეკო, სად უნდა გარეკო?

ს ა ყ ვ ა რ. – შენ რაღა იცი იქაური ამბები, რომ ეწრები სიტყვა-პასუხში? იქ როდის ყოფილხარ?

ლე ქ ს ო – რომ არა ვყოფილვარ, განა აღარ გაგვიგონია და არა წაგვიკითხავს-რა.

ს ა ყ ვ ა რ. – ჩუ! სამოვარი შიშინებს! წადი, შვილო, მიხედე... არ დაინწვას, ჩაიც დაასხი და მოგვიტანე (ლექსო მიდის)

განთიადი

ს პ ი რ დ ო ნ – ახლა რაღა დროს ჩაია, სამხრობამ მოატანა...

ს ა ყ ვ ა რ. – ჯერ არა გხლებია ჩემი მიხა და თქვენც ეგებ
მიირთვათ...

მ ი ს ა – ჩაის, კნიაზ, დრო არ გააჩნია. რუსეთში დილიდან საღა-
მომდინ სვამენ...

ს პ ი რ დ ო ნ – ეტყობა, შაქარი ოხრად უნდა იყოს!

მ ი ს ა – ზავოდები იქ არის და აქაც იქიდან მოაქვთ.

ს პ ი რ დ ო ნ – ეტყობა... ეტყობა, რომ არა ზოგავენ, არ ენანებათ.

მ ი ს ა – იქ ცოტას ხმარობენ. პრიკუსკითა სმენ.

ს პ ი რ დ ო ნ – შაქრით არა?

მ ი ს ა – პრიკუსკით. ესე იგი, შაქარს ცოტას მოკნეტავენ და ჩაის კი ბევრს დააყოლებენ. ერთი ნატეხი თუ გინდა ათს სტაქანს ეყოფა,
დალევითაც სულ სხვანაირად სმენ იქ და გემოც უკეთესი აქვს.

ს ა ყ ვ ა რ. – მართლა, რომ სულ სხვა გემო ჰქონია. ჩემი მიხა რომ სვამს, მეც ისე ვსინჯე და უფრო მეგემრიელა.

მ ი ს ა – ყველაფერს თავისი შესაფერი ჩესტი უნდა. (გამოაქვს პოდ-
ნოსით ჩაი ლექსოს) აი, კიდეც მოიტანეს. მიირთვით კნიაზი... (აიღებს სტაქანს და წინ დაიდგამს. მიხა ფინჯანზე ასხამს ჩაის. მერე ქვეშიდან სამს თითს შემოუყენებს, შაქრის ნატეხი ხელში უჭირავს, სულს უბერავს ჩაის და ისე ხვრეპავს. საყვარლისეული მიჩრებია მიხას. იმასა ჰბაძავს და ისე სვამს) აი, პრიკუსკას ამას ეძახიან. თქვენ თუ ასე არ დალევთ, შაქარი უყავით, უშაქროა.

ს პ ი რ დ ო ნ – უშაქროა? აპ! პრიკუსკა ჩემი საქმე არ ყოფილა. (ბლომად იღებს შაქარს, ყრის სტაქანში) მე სულაც შაქრის გულისთვის ვსვამ, თვარა რა დამალევინებს ცხელ წყალს? ნიკოლოზ, შენ რატომ არ მიირთმევ?

კ ი კ ო ლ ა – მე? თუ ღმერთმა ღვინო არ გამომილია, მაგას რავა მივიკარებ სიახლოვეს... მაგითი ჩავიმდუღრამ სწორედ გულ-
მუცელს, (ლექსოს) შვილო, შენ ახლა მაგდენად საჭირო აღარ ხარ...
დალევით თვითონაც დალევენ, შენ წადი და პირულყვები გამოაშვე-
ბინე, ცოდვა არიან ამდენ ხანს მშერ-მწყურვალნი, წაუღეთ, რაც
ერგებათ, ეგებ ათ შაურს დაგჯერდენ... შეევაჭრე.

მ ი ს ა – მოიცა, ნურაფერს ნუ მისცემ, შენ ჩემს მაგიერად სთხოვე,
გამოუშვან და თუ არ ქნან, მერე მე ვიცი!

კ ი კ ო ლ ა – რავა, შვილო, ჩხუბს უბირებ თუ?

მ ი ს ა – მე ვიცი იმათი ხელი: ერთი არუთენას დუქანში დავპატიუო,
რჯულზე გაუმასპინძლდე და ჩვენსას კი არა, სხვის საქონელსაც კი
შემოვარეკინებ ამ ჩემს ეზოში (იცინის).

განთიადი

ს პ ვ ა რ. – (სასოებით შეჰქურებს. თავისთვის) იჰ, ენაცვალოს დედა!

ლ ე ქ ს ო – (სპირდონს) თქვენი კამბეჩისას რაღას ბრძანებთ?

ს პ ი რ დ ო ნ – როგორ თუ ჩემი კამბეჩისას?

ლ ე ქ ს ო – ისიც იქ ამწყვდევია.

ს პ ი რ დ ო ნ – ვეულ, ჩემ კამბეჩთან რაღა ხელი ჰქონდათ?

ლ ე ქ ს ო – ისიც ყანაში შეუსწრიათ.

ს პ ი რ დ ო ნ – არ ეცოდინებოდათ, რომ ჩემი იყო.

ლ ე ქ ს ო – იქ გახლდათ თქვენი პატარა მწყემსი, ბევრი ეხვენა, მაგრამ არ ქნეს, არ დაანებეს.

ს პ ი რ დ ო ნ – შეურცხვათ კეთილშობილება! ჩვენც აღარ გვზოგავენ, კეთილშობილებს?

ლ ე ქ ს ო – სიცილი დააყარეს: „აზნაურის კამბეჩი რომ არის, იმიტომ სხვებზე უფრო ზრდილი და ჭკუიანი იქნებაო, თუ?“

ს პ ი რ დ ო ნ – მაგას როგორ იტყოდნენ?

ლ ე ქ ს ო – სთქვეს და გაათავეს.

ს პ ი რ დ ო ნ – თავს ლაფი დაესხა იმათ დიდკაციშვილობას, აღარ გვზოგავენ თავადიშვილები აზნაურშვილებს. აი, ბეჩავ, მაგათი მშობლებიც კი [არ] იკადრებდნენ მაგისთანა საქციელს სწორედ.

კ ი კ ო ლ ა – ეჰ, რა ქნან იმათაც, ჭირნახულის გაფუჭება ძნელია.

ს პ ი რ დ ო ნ – ვეულ, რა არის წასახდენი, რომ ჯერ ხეირიანად ჯეჯილსაც არ უჩანს პირი?

კ ი კ ო ლ ა – რაც წელან გახლდათ, ის იქნება ისევ, რასაც ჩვენი ძროხებ-ბბორები წაახდენდენ, იმას არც თქვენი კამბეჩი დააყრიდა ხეირს.

ს პ ი რ დ ო ნ – (გაჯავრებული წამოდგება) ან თქვენი რას წაახდენდენ და ან ჩვენი? ეგ სულ სასუდო კლიაუზნობაა, სხვა არაფერი.

მ ი ხ ა – მოითმინეთ, კნიაზ, ნუ ჯავრობთ! დაბრძანდით! (ლექსოს) სთხოვე ჩემს მაგიერ, რომ ამათი კამბეჩიც გამოგატანონ. (სპირდონს) თქვენ ჩია ინებეთ.

ს პ ი რ დ ო ნ – (ჯდება) მადლობელი ვარ, მადლობელი. ჰმ! ამდენ უსაქმურ კაცის გადამკიდეს ტკბილად ველარც არა გვისვამს და ველარც გვიჭამია-რა.

მ ი ხ ა – არაფერია, კნიაზ, ეგ პუსტიაკი საქმეა. ჰო, იმას მოგახსენებდი, ჩაის სმასაც თავისი ზაკონები აქვს-მეთქი, იქ სულ ისე სმენ, როგორც მე დავლიე.

ს პ ი რ დ ო ნ – სულსაც მანგრე უბერვენ?

განთიადი

მ ი ხ ა – უსუსტრად!

ს პ ი რ დ ო ნ – ახილებული ყოფილა, თქვენმა მზემ, მოიცადონ, ჯერ გაცივდეს და მერე ისე დალიონ, რა ეჩქარებათ, რა სული მის-დით?

მ ი ხ ა – განა სიჩქარის საქმეა, სულს რომ უბერვენ, ცოტა ოდნავ ყელში გრილად მიდის და მუცელში კი ცხლად ჩადის და კიდეც ეს არის, რომ არგებს კაცს.

ს ა ყ ვ ა რ. – შენ გენაცვალოს დედაშენი მაგ სიტყვა-პასუხში, ყველაფერი რომ იცი!

ს პ ი რ დ ო ნ – მერე და რათ უნდათ, რომ მდუღარე ჩაიყენონ გულ-გვამში?

მ ი ხ ა – თბილად ინახავს მუცელს და არგებს... იქ ხომ რუსეთში, დიდი სიცივე იცის.

ს პ ი რ დ ო ნ – მართლა, გამიგონია, რომ გააფურთხებ, კენჭივით ეცემაო.

მ ი ხ ა – სწორედ, ქნიაზ.

კ ი კ ო ლ ა – მაშ, მაგ ჩაისაც მიტომ ისხმენ და ისხმენ მუცელში, არ გაგვიყინოსო?

მ ი ხ ა – სწორედ, სანამ ათჯერ მაინც არ წამოუვათ ოფლი. მაშინ კი ასე გადააბრუნებენ ხოლმე სტაქანს, (გადაბრუნებულ სტაქანს დგამს ფინჯანზე, საყვარლისეულიც ფიქრში გადააბრუნებს საქსე სტაქანს და ჩაის მუხლებზე გადაისხამს).

ს ა ყ ვ ა რ. – (წამოურდება ზეზე) უი, დამიდგეს თვალები, ეს რა მომივიდა!.. (გარბის სახლისკენ, ყველანი წამოცვიდებიან ზეზე)

ს პ ი რ დ ო ნ – მდუღარე გადაესხა, ხუმრობა არ არის, მიხედეთ!

მ ი ხ ა – არა უშავს-რა, მაზი მაქეს... ვაზელინი უნდა (მიდის).

კ ი კ ო ლ ა – გაიფუფქა, შენი მტერი გაფუფქულა, გოჭივით. ი ბიჭი რაღას ჩერჩეტობს, „უნდა ვაზელინოვო“. ჰმ! რავა იქნება ახლა, რომ ზელა დაუწყონ, შენს მტერს გაძრობია, იმას ტყავი გაძვრეს... მართლა არა გაუჭირვონ-რა. წავიდე, მივხედო. (განზე) აზნაუმვილის არც სტუმრობა ვარგა და არც მასპინძლობა! რა მოარბენიებდა ამ ოჯახდაქცეულს? სულ ამისი ბრალია! (მიუბრუნდება სპირდონს), ნურაფერს უკაცრავად, წავიდე, ერთი მეც მივხედო იმ ცოდვის შვილს, (მიდის).

ს პ ი რ დ ო ნ – (იცინის) ახია ამათზე ჯერ ჩვენთვისაც მეტია, კეთილშობილებისათვის, ჩაი, თვარა ამათ რა რჯით წამხედურობას, გლეხმა თუ იშოვოს ღვინო, დალიოს, თუ არა და – კაი ცივი წყალი

ფლურჩოს! მორჩა-გათავდა! ჰმ! ჩაი! პრიკუსკაო! არ იციან, რომ რაც არ ერგებათ, არ შეერგებათ, ახლა უბერონ სული (მიდის ნელ-ნელა სიცილით).

ფ ა რ დ ა ე შ ვ ე ბ ა

მოქმედება მეორე

სცენა პირველი

სასტუმროს ბუფეტი

გამოსვლა პირველი

ა რ უ თ ე ნ ა – (დავთარს სიწჯავს) ერთგვარი მცენარეაო, ამბობენ, ყვავილის გამოლება არ იცისო, მაგრამ ერთხელაც არის – კი უთუოდ მოიტანს ნაყოფსო... სწორედ ქართველების ნისიასა ჰგვანებია განსვენებულის პაპიჩემის ეფრემას ნისია, რომელსაც სამი დავნოსტი გასული ჰქონდა, ამ დღეებში გავინალდე (იცნის), შეურჩიე დრო, კნიაზს ფულები რომ აწუხებდა, და გამისწორდა. ვინ სთქვა, რომ „ნისიაო სხვისიაო“? ჩვენ, ეჩიმაძინის მადლით, ეს არ გვეთქმის. ღმერთს ჩვენთვის ჭუაც მოუცია და ყაირათიც უბძანებია, მაგრამ ბედი კი ჩვენები არ არის: არა გვწყალობს. ჩვენ ვაშენებთ და ვერ აგვიშენებია, ესენი კი აქცევენ და ვერ დაუქცევიათ. მართლა რომ ღმერთი სწყალობს ამ ხალხს. ნატვრის თვალი ხელში უჭირავთ და ეს ქვეყანაც შიოს მარანია. ეს პატარა ქვეყნის კუნძული რომ ხელში ჩაგვივარდეს, ჩვენ ვინდა გვემჯობინებოდა? ქვეყანას ხელში დავიჭ-ერდით. მაგრამ, ეჲ, რასა იქ, თუ ბედიც არა გწყალობს! სად არის? თაგვამა სთქვაო, „თუ ბედიც ხელს შემიწყობს, რკინას გამოვხრავო, თუ არა და ყველიც კბილს მომტეხსო“. ბედია ყოლიფერი, ათასს წელიწადზე მეტია მამა-პაპიდან აქა ვართ... უჭკუოთ სიზმარიც არ გვინახავს და მაინც ვერას გავხდით. მარცვლა-მარცვლა ვაგროვებთ, გროშს გროშზე ვაწებებთ და საწყაული კი მაინც არ ივსება. ესენი კი იქ მკიან, სადაც არ უთესიათ. დღეს რომ გამოელევათ, ხვალ კიდევ რაღაც გამოუჩნდებათ. ადამს აქეთ ქვეყანა შავ ქვას უფრთხის, გაურბის, ესენი კი შავმა ქვამ გამოაბრუნა და თავისას მაინც არ იაშლიან. სულ ლხინი, ლხინი და მრავალუამიერი.

ისე და მის აშენების

მის ა - ჯერ არა გიჭმევია-რა და ეხლავე დავთარს ეპოტინები?
არ უთენა - (ლიმილით) ეს თქვენი არ გახლავსთ, საკინაზოა - „ერთხელაც იქნება“.

მის ა - რა იქნება ერთხელაც? რას ამბობ?

არ უთენა - ეს სახელი გახლავს ამ დავთრის.

მის ა - სახელი?

არ უთენა - ჰო! დავთარი ხომ ყველა ერთნაირი არ იქნება, სხვადასხვაა, და სახელიც თავისი შესაფერისი აქვსთ: ერთს „უეჭვ-ელში“ ჰქვიან, მეორეს - „ერთხელაც იქნება“ და მესამეს - „ვინ იცის?“ „უეჭველში“ თქვენისთანა ნაღდ მუშტრებს ჩავწერთ ხოლმე, მეორეში - კნიაზებს, მესამეში კი - შარლატანებს.

მის ა - მე კი არც ერთში არ ჩაგანერინებ ჩემ თავს, ნისია ვისია არ ვიცი!..

არ უთენა - ეგ უფრო კეთილი.

მის ა - წარმომიღვინე ანგარიში და მიიღე ხელად. მაგრამ ესეც კი იცოდე, რომ თქვენებურად არ მომექცე, თვარა მეც ჩვენებურად გაგიფრენ მწყერებს.

არ უთენა - მერე სასამართლომ უნდა მიუტოვოს მიმინო? (იცინის).

მის ა - სიტყვა-სიტყვაა, შვილოს, ხომ გახსოვს, რაც გვითქვამს. პორცია ნახევარ ფასად და ღვინოებიც ფას ნაკლე. მოტყუების იმედი ნუ გექნება, ბუფეტის ანგარიში მეც ვიცი. გასტინიცები მისთანები მჭერია, რომ მაგ შენ გასტინიცებისთანას ასს ჩაყლაპამდენ. აბა შენ იცი, თუ არ შემარცხვენ. (მიდის).

არ უთენა - (მარტო) დახეთ ბედს! ხედავთ რა გულზეა? ხეირიანად სიტყვასაც აღარ კადრულობს... გუშინ სხვის ღორებს ქილავდა, თითო მუჭა ძაგარი ბაზარში გასასყიდად დაჰპერნდა, სილ-არიბემ გადაჰკარგა, რუსეთში ამოაყოფია თავი და დღეს კი იქიდას სოდაგრად დაბრუნებულა, კნიაზებში ქეიფობს და ზაკაზებსაც მაძლევს. აი რა ვუთხრა იმ ბედს, რომ ჭკუას არ ეკარება. ბედი? ლატარიის კოლოფია. ქვეყნის ჩარხი ტრიალებს, ზოგს მომგებიანი ბილეთი გამოუდის, ზოგს ფუჭი... (ჩაფიქრდება) ჰმ! ზაკაზებსაც მაძლევს.

განთიადი

გამოსვლა მასახე

ისვე და 6 ი კ მ – პრიზი შემოქანება.

ნ ი კ მ – ეგ კი არ გაძლევს ზაკაზს, ჩვენ გაძლევთ. ჩვენი ბრალია. მაგას წყლის პირს უნდოდა სადილი გაემართა, მაგრამ ჩვენ არ დავთანხმდით და შენთან მოვიყვანეთ, გესმის?.. სუფრას სად შლიან?

ა რ უ თ ე ნ ა – გაშლილია ბალში, წმიდა ჰაერმა მადის მოყვანა იცის.

ნ ი კ მ – სტუმრები სად არიან?

ა რ უ თ ე ნ ა – ოთახში თამაშობენ.

ნ ი კ მ – დღეს დიდი სმა გვექნება, ქალები ხომ არ არიან.

ა რ უ თ ე ნ ა – სადაც თქვენ იქნებით, იქ სმას წინ რა დაუდგება.

ნ ი კ მ – მე დღეს სმის გუნებაზე ვერა ვარ. გუშინ, რაც ფულები მქონდა, სულ „ონდოროთში“ წავაგე, და როცა ჯიბე მოწყენილია, გულიც ალარ ხარობს.

ა რ უ თ ე ნ ა – (განზე) ფული უნდა... დავასწრებ (ნიკოს) კნიაზ, თქვენზე ცოტა ნისიაა.

ნ ი კ მ – როდინდელი?

ა რ უ თ ე ნ ა – შარშანდელი.

ნ ი კ მ – რამდენია?

ა რ უ თ ე ნ ა – შვიდი თუმანი.

ნ ი კ მ – მეც არა ვსთქვი... შენ ერთი გააკრუგლე, თუ ჭკუა გაქვს, რომ არ დამავიწყდეს, მოიტა კიდევ სამი თუმანიც და ასი იქნება.

ა რ უ თ ე ნ ა – ცული წყალში ჩამგარდნია და ნაჯახიც თან ჩავაყოლო?

ნ ი კ მ – (წყენით) ჩააყოლო, თვარა დიდ ზარალში ხარ, შენმა მზემ!

ა რ უ თ ე ნ ა – ბარემ ვართ, კნიაზ, მაგრამ ვითმენთ... ხათრია...

ნ ი კ მ – ეგ ნისიები დიდი ხანია განალდებულია. ეგ განა ნამდვილი ვალია?

ა რ უ თ ე ნ ა – ვა, მაშ?

ნ ი კ მ – ეგ თქვენი ჭკუის სარგებელია და ჩვენი უჭკუობის შტრაფი, მაგრამ რაღა გაეწყობა!

ა რ უ თ ე ნ ა – ვა, ვალს გადახდა არ უნდა?.. მაშ ტყუილა ჩამინერია?

განთიადი

ნ ი კ ო – ჩაგინერია?.. რატომაც არ ჩასწერდი, დაგეზარებოდა?.. თქვენი „ვეფხვისტყაოსანი“ დავთარია და სახარება კი – ვექსილი.

ა რ უ თ ე ნ ა – კნიაზ, ვერ გამიგია, რასა ბრძანებთ?

ნ ი კ ო – იმას, რომ ტყუულა გადადიხარ ჩემ წინ მალაყს. ჩვენ ხანდახან ფული გვაკლია ხოლმე, თვარა ჭკუა კი არა. არ ვიცით, რომ ჩვენი ნისია სხვის ნაღდზედ უფრო მომგებიანია შენთვის, თვარა, რა შვილი ხარ, ხათრი დაგვიჭირო. მაგრე ნუ იქნება, თვარა, ხომ იცი, რომ ტოლიბაში მე ვიქნები... ვინ ოხერი შენი გამოვავრებული ან თვითონ დალევს ლვინოს და ან სხვას ასმევს...

ა რ უ თ ე ნ ა – მერე მე რა, კნიაზ?

ნ ი კ ო – შენ ბოლოკი და ხბოს თავი! მაშინ ნახავ – რაც.

ა რ უ თ ე ნ ა – (იცინის) მაშ, რაღა ტოლიბაში იქნები, თუ არც შენ დალევ და არც სხვას დააძალებ? მასპინძელს მაშ როგორ მოულხენ, თუ არც შენ დათვრები და არც სხვებს დაათრობ?

ნ ი კ ო – დია! მასპინძელს მოულხენ, რომ შენ ჯიბე გაისქელო...

ა რ უ თ ე ნ ა – სად ლვინო და სად ჩემი ჯიბე?

ნ ი კ ო – აღუუ, ნეკზე არ მიკბინო, შუა სმამდი სულ კახურ ცოლიკაურსა და ყიფიანის ლვინოს შემოგზავნი და მერე კი, როცა შეზარხოშდებიან, წყალ-წყალას მოაყოლებ და კახურად იანგარიშებ. რა შვილი ხარ?! დღეს ეს ალარ იქნება, მე, ფხიზელი, ძმა-ბიჭებს ვერ უდალატებ, გესმის?

ა რ უ თ ე ნ ა – (განზე) ხედავთ, როგორ გაეშმაკდნენ? (ნიკოს სიცილით) ვინ თქვენ და ვინ ლხინში მოწყენა? რომ არ შეგშვენისთ?

ნ ი კ ო – უფულობა კი შემშვენის?

ა რ უ თ ე ნ ა – თქვენ ნუ მოიწყენთ და ფულს ლმერთი გააჩენს.

ნ ი კ ო – გააჩენს! აბა, შვილო, მე პირდაპირი კაცი ვარ, პირში თქმა მიყვარს: ცოდვა საზიარო იყოს და მოიტა სამი თუმანიც.

ა რ უ თ ე ნ ა – ხელათ არა მაქვს!

ნ ი კ ო – მოიტა რაც გაქვს (ართმევს), შენც სუ და მეც სუ (მიდის).

გამოსვლა მეოთხე

ა რ უ თ ე ნ ა და ვ ი კ ტ რ

ვ ი ქ ტ ო რ – მეც სუ და შენც სუ, არუთენ. ფულებს არიგებ?

ა რ უ თ ე ნ ა – (უკმაყოფილოდ) დასარიგებელი ვინ რა მომცა?

განთიადი

ვი ქ ტ ო რ – მაშ, გემართა ნიკოსი?

ა რ უ თ ე ნ ა – რა მემართა?

ვი ქ ტ ო რ – ფულები რომ მიეცი.

ა რ უ თ ე ნ ა – როდის რა მიმიცია?

ვი ქ ტ ო რ – შენც სუო და მეც სუო, რომ გითხრა, მაშ რა იყო?

ა რ უ თ ე ნ ა – ჰო, შენც სვიო და მეც ვსვამო – მეხუმრებოდა.

ვი ქ ტ ო რ – არ შეიძლება მეც გამირიოთ ხუმრობაში?.. არა
მიგიცია-რა?

ა რ უ თ ე ნ ა – (განზე) ვა, დაუნახავს! ჰო, მობარებული მქონდა
და ის გამომართო.

ვი ქ ტ ო რ – არ შეიძლება, მეც მომცე ერთი ხუთი მანეთი,
ვითომ ჩემიც გპარებია!

ა რ უ თ ე ნ ა – არა მაქვს, ჩემმა მზემ... (განზე) რა შვილია, მია-
ბარე მგელს ბატკანი!.. (ვიქტორს) რომ მქონდეს, არ დაგიჭერ.

ვი ქ ტ ო რ – მართლა?

ა რ უ თ ე ნ ა – მართლა, ღმერთს გეფიცები...

ვი ქ ტ ო რ – მჯერა. (მიდის, თავისთვის ლაპარაკობენ).

გამოსვლა მეცეთი

(შემოდიან მი შო კნ ია ზი და გრი იშა კნ ია ზი. არუთენას ყურ-
ადლებას არ აქცევენ, თავისთვის ლაპარაკობენ).

მი შო – არა, მე ვიზე ნაკლები ვარ, რომ ძალადაც არ ჩამაგდო.
ას მანეთს დავესესხე და უარი მითხრა... თუ ეს ულვაში მსხმია,
დაუსვამ ფასად, მაგრამ ეს სულ ნიკოს ბრალია, ჩაიგდო ხელში და
სხვას ალარ იკარებს.

გრი იშა – რას აპირობ მაინც?

მი შო – ის მე ვიცი... ერთს ჩემებურად რომ შევქეიფიანდები,
სულ ლანალუნს დავაწყებინებ აქაურობას...

ა რ უ თ ე ნ ა – (თავისთვის) ვა, ჩემი პრიბორი? ეს კარგია!

გრი იშა – თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს, არა მოხდეს-რა.

მი შო – რაც უნდა მოხდეს, ერთს კი ჩავაფარებ ფათრეთში,
რომ გულის ჯავრი ამოვიყარო და!.. რას იჭიმება? რაც უნდა იყოს,
მაინც გლეხია...

განთიადი

გ რ ი შ ა – გლეხია თუ რაც არის, ხელები იმასაცა აქვს.

მ ი შ ო – ამას ხედავ? (უჩვენებს ხანჯალს).

ა რ უ თ ე ნ ა – ვა, ვა! (ყმაწვილებს) პრისტავი მოწვეული ჰყავს.

გ რ ი შ ა და მ ი შ ო – (მიიხედავენ მისკენ) რაო, პრისტავიო?

ა რ უ თ ე ნ ა – დიახ, ისიც დაუპატიჟნია.

გ რ ი შ ა – რად მინდაო?

ა რ უ თ ე ნ ა – იქ ასე იციანო, ყოველ შემთხვევაში, რომ რამე მოხდეს, პოლიცია დასველებული გვეყოლებაო.

მ ი შ ო – მამა უცხონდა, თუ დასველება შეიძლება, გაშრობა კი აღარ მოხერხდება?.. ნუ გამაჯავრებენ, თვარა იმასაც თან მივაყოლებ. ერთი ჩვენც ვნახოთ, ის ქვეყანა რა ქვეყანაა (მიდიან)!

ა რ უ თ ე ნ ა – ვა, ვა! აღარ ხუმრობენ, (დაფიქრდება), ბიჭო, ბიჭო, ივანე!

გამოსვლა მეექვსე

ისვე და ი ვ ა ნ ე

ი ვ ა ნ ე – რას მიბრძანებ?

ა რ უ თ ე ნ ა – შენ აქ მარტო ხარ, თუ გეხმარება ვინმე?

ი ვ ა ნ ე – ნაცნობი ბიჭი მოვიხმარე.

ა რ უ თ ე ნ ა – ქირით?

ი ვ ა ნ ე – არა, ისე მეზობლობს.

ა რ უ თ ე ნ ა – მაშ კარგი, შვილო, ახლა წადი და დამტვრეული ჭურჭლები რომ გვიყრია გოდორში, სალაროში რომ დგას, ხომ იცი? აქ მოიტანე. შენ თუ ვინიცობაა, გკითხონ, სულ დღეს დაიმტვრა-თქ.

ი ვ ა ნ ე – კი, ბატონო. (მიდის).

ა რ უ თ ე ნ ა – ძალიან კი ტრაბახობს, „ვერავინ მომატყუებსო“. ვნახოთ! იქ მაგას თუ ვირები უტყავებია, აქ ჩვენ რწყილსაც ვატყავებთ. (ივანეს შემოაქვს გოდრით დამტვრეული ჭურჭლები). ე, ოჟ, მაგრე, მიდგი კუთხეში. დასხდნენ?

ი ვ ა ნ ე – ახლა ჯდებიან.

ა რ უ თ ე ნ ა – დოქები ისე მიაწოდე ხოლმე ყოლიფერი, როგორც მე გითხარი.

ი ვ ა ნ ე – კი, ბატონო!

განთიადი

ა რ უ თ ე ნ ა – ბოთლები არ აგერიოს, მზარეულს ხომ გადაეცი, რომ საჭმელებს მეტი პირპილი უყოს მარილთან ერთად. ტარხუნა-საც ნუ გამოლევთ, ღვინოს ასმევს, იცი?

ი ვ ა ნ ე – ვიცი, ბატონო, განა პირველია?

ა რ უ თ ე ნ ა – თუ რამ გაჩუქონ ან შენ, ან ლაქიებს, ვინ იცის, კნიაზები არიან, მომიტანეთ და ნახევარს თქვენ მოგცემთ.

ი ვ ა ნ ე – კი, ბატონო (თავისითვის) შენ გეტყვით და შენ მოგირბე-ნინებთ სწორედ! (მიდის და თან იღრიჭება)

ა რ უ თ ე ნ ა – კურდლელს კურდლლის ქონითვე სწვენ თვალებსა, მზარეულებიც და მოსამსახურეები მათივე გვარისა არიან... მაგათ რომ ერთმანეთის გატანა იცოდენ, ჩვენ რაღას ვიხეირებდით? ბადეც სხვისია და მეთევზეც, ჩვენ ამღვრეულ წყალში თევზებს ვაჭერინებთ და დღესაც იმედია ორაგული გაებმის. (გვადმოიღებს დავთარს და ათვალიერებს)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მორი

გამოსვლა პირველი

ბალში სუფრა გაშლილია. სადილად სხედან მი ხ ა, ნ ი კ ო, გ რ ი შ ა, მ ი შ ო, ვ ი ქ ტ ო რ, დ ა თ ი კ ო და ს ტ უ მ რ ე ბ ი.

მ ი ხ ა – იმ ერთის თქმისა არ იყოს, „რატომ არ მოილხენო“ და: „კი, ვსჭამო!“ ამ ჩვენს სუფრასაც პირი ჩამოსტირის.

ნ ი კ ო – ასე იცის უტოლიბაშო სუფრამ.

გ რ ი შ ა – როგორც ულორისთავოდ ქორნილი, ისე უტოლიბაშოთ ლხინი არ მოხერხდება ჩვენში.

ე რ თ ი ს ტ უ მ ა რ ი – მაშ, შენი სადლეგრძელო იყოს. მოგვილოცავს ტოლიბაშობა.

გ რ ი შ ა – უკაცრავად! დიაკონმა სწიროს და მღვდელმა გალობა უთხრას? აქ არა გვყავს ნაკურთხი ტოლიბაში ნიკო?

ს მ ე ბ ი – მართლა, მართლა! სიკვდილსაც დავიწყებია! როგორ დაგვავიწყდა. ნიკოს გაუმარჯვოს, ნიკოს! მოგვილოცავს ტოლუმბაშობასც!

ნ ი კ ო – არა, მე დღეს ველარ ვიკისრებ ტოლიბაშობას, რადგანაც ნათლობა გვაქვს დღეს, მოლხენაც არაჩვეულებრივი, სხვანაირი უნდა ტოლუბაშობაც.

განთიადი

მ ი შ ო – როგორ თუ ნათლობა?

ნ ი კ ო – მაშ! ეს ჩვენი ძმა და ამხანაგი მასპინძელი იქ იმ ცივ ქვეყანაში ვოდებით მოუწათლავთ მიხაილ ნიკოლაევიჩად და ახლა აქ უნდა ჩვენ გამოვნათლოთ ღვინით „მიხად“.

ს ტ უ მ რ ე ბ ი – ხა, ხა, ხა,ხა! მართალია, მართალი! ბრავო, ნიკო! ნათლიათაც შენ უნდა იყო და მირონიც შენ სცხო, მოგვილოცავს ტოლუმბაშობა!

ნ ი კ ო – ბატონი ხართ, მაგრამ მხოლოდ ერთის პირობით, პატიო-სანი სმა უნდა იყოს. სასმო პირნმინდად უნდა გაპიპინდეს ხოლმე, ძროში არშია და ქობა არ უნდა გამოჩნდეს, „ეს ბოთლმა მაპატივაო“, ეს „გადამელვარაო“ და სხვა ამგვარი რამ არ გავიგონო. ის შტუკები განგებ რომ აიკანკალებენ ხოლმე ხელებს და ღვინოს ღვრიან, ისე რომ თეფში სტაქნებს აიტივტივებს ხოლმე, დღეს აღარ მოხერხდება: ერთი სიტყვით, პატიოსნება უნდა დავიცვათ... ვისაც არ შეგიძლიათ ამ პირობების ასრულება, ახლავე, ამ თავითვე გამოტყდით.. შენ რას იტყვი, მიხა?

მ ი ხ ა – მასპინძლობა ჩემია და მოლხენა თქვენ იცით.

ნ ი კ ო – შენ, გრიშა?

გ რ ი შ ა – მოკლას ხარი თივამ!

ნ ი კ ო – შენ, მიშო?

მ ი შ ო – მე სხვიმის როდის გავქცეულვარ, რომ ახლა ვისმე ჩამოუვარდე.

ნ ი კ ო – კეთილი, შენ რას იბერები, დარდუბალ, რას იტყვი?

პ რ ი ს ტ ა ვ ი – თანამდებობის კაცი და სმა განა შეიძლება?

ვ ი ქ ტ ი რ – მაშ, მარტო ჭამა?.. ყლაპვით ხომ მეტსაც ყლაპავთ?

ე რ თ ი ს ტ უ მ ა რ ი – ვისაც ჭამა უყვარს, ის აღარც სმას უნდა ერიდებოდეს.

ნ ი კ ო – რაიო, რაიო? აქ თანამდებობას რა უნდა? შენ აქ, როგორც ჩვენი ტოლი და ამხანაგი და ჩვენებური კეთილშობილი, ისე ხარ მოწვეული, თანამდებობა კარზე უნდა იდგეს.

პ რ ი ს ტ ა ვ ი – კარგი, ბატონო, გიახლებით, თუ დღემდე არ მოუკლავარ ღვინოს, მგონია, ვერც დღეს მომერიოს.

ხ მ ე ბ ი – ჰა, ყოჩალ, ყოჩალ! ცხრაჯელ რომ გადაგნათლონ, მაინც კიდევ ჩვენი ხარ!

ნ ი კ ო – შენ რაღას იტყვი?

ე რ თ ი ს ტ უ მ ა რ ა – აბა, რა საკითხავია! ვინ იქნება მისთანა, რომ მამა-პაპას უღალატოს და ქართველობაზე ხელი აიღოს?

განთიადი

ს მ ე ბ ი – მართალია, მართალი! აქ ყველა თავდადებული ქართველები ვართ.

ნ ი კ ო – მაშ ახლა მე ვიცი... მომგვარეთ ხაზიაინი, ხაზიაინ! არუთენ! არუთენ!

გამოსვლა მეორე

იპირივე და ა რ უ თ ე ნ ა

ა რ უ თ ე ნ ა – რა გნებავთ, კნიაზებო?

ნ ი კ ო – შენი გამონაცვალი! რა უნდა გვინდოდეს? შემოგვხედე ერთი, ვინა ვართ და რა ბიჭები!

ა რ უ თ ე ნ ა – ვა, განა არ ვიცი!

ნ ი კ ო – თუ იცი, მაშ ეს რა არის? ეს სათითურები ვინ მოიტანა აქ?

ა რ უ თ ე ნ ა – სათითურს რა უნდა, დღეს აქ ქალს არ გაუვლია. წუხელი თუ ვისმეს დარჩა...

ნ ი კ ო – ვერ ხედავ? (მიუშვერს ჭიქას) ეს რა არის. თუ არ სათითური? გინდა, რომ გადაგვიდეს, ყელში გაგვეხიროს და დავიღრჩიოთ? (დაახლის იქვე ძირს ქვაზე და მიამსხვრევს) ასე დაიქცეს შენი ოჯახი!.. ყმაწვილებო, გადაყარეთ ეგ სათამაშოები. ბავშვები ვგონივართ რომ გვატყუებს? (ქვაზე ამტვრევენ სტაქნებს).

ა რ უ თ ე ნ ა – რათ ამტვრევთ? ჩემი გაკეთებულია, ან თქვენი? მ ი ს ა – (იცინის) არა უშავს-რა, მე მიანგარიშე.

ა რ უ თ ე ნ ა – დალოცვილო, ასე უბრალოდ გატეხა?.. განა მაკარიის საქონელია, გრანიციდან მომიტანია... დუჟინი ექვსი მანე-თია.

ვ ი ქ ტ ო რ – გიცხონდა სული!.. ღვთისიას დუქანში ნაყიდია, თვითონ სამ-სამ კაპიკად.

ა რ უ თ ე ნ ა – ისა და ეს მერე ერთია?

მ ი ს ა – ვიცით რაც არის, გამოვრიგდებით.

ნ ი კ ო – შენ კიდვ აქ წუწუნობ? გასწი, ყანწები მოიტა!

ა რ უ თ ე ნ ა – ერთის მეტი რომ არ გახლავთ?

ნ ი კ ო – არა უშავს-რა, ერთი იყოს და კარგი!

ვ ი ქ ტ ო რ – სანამ ყანწი მორიგისად ჩვენამდი მოაწევდეს, ჩვენ ხახა ამოგვიშრება... ყანწს დიდონი სტაქნებიც მოაყოლოს.

განთიადი

ნ ი კ ო – ჩაის სტაქებიც...

(შემოაქეს მსახურებს სტაქები და არუთენას დიდი ყანი).

ა რ უ თ ე ნ ა – აი, ვერცხლით მოჭედილია! თქვენი საკადრისი.

ნ ი კ ო – ჰო, ეს კარგია!.. (ატრიალებს ხელში).

მ ი შ ო – არა უჭირს-რა... არუთენ, ვის ვალში დაგრჩენია?

ა რ უ თ ე ნ ა – ვითომ გირაოში?.. რასა ბრძანებები!.. ღმერთმა ნათელი დააყენოს იმ დიდ სოფელში მის სულს, ცხონებულმა კნიაზ ალმასხანმა დაანათლიავა ჩემს არშაკას.

ნ ი კ ო – დაიცათ ერთი, რა დროს გამოძიებაა. ვისიც უნდა იყოს, მოიტათ. (გულში იკრაგს და იმღერის)

სუფრას ამშვენებს სოველი დოქი,

ბოთლების მომგონს გაუწყდეს ქოქი!

ნაიღეთ მალე, რათ მინდა ჭიქა?

გასტყდეს, ვეძებდე მე აქა-იქა

მაგრამ ეს ჩვენი ნაკურთხი ყანი,

რამდენიც გინდა ასწი და ასწი.

ვითომც გაგიტყდეს? თქვენც არ მომიკვდეთ,

ოლონდ უბრძანე, ერთი დაასხი...

მაგრამ ყმაზეილებო, ამ თავითვე პირდაპირ ყანით დაწყება არ იქნება, იმასაც თავისი ოჩერედი აქვს. ჯერ უნდა შევულინულილ-დეთ... რუსებმა რომ სადილს წინეთ ზაკუსკა იციან. ჯერ კუთხეში პატარა სტოლიდან დაიწყებენ ცუცნას და მერე დიდ სტოლზე გად-მოდიან. ჩვენც ასე... ჯერ სტაქებით უნდა დავიწყოთ და მერე ყან-ნებზე გადავიდეთ. აბა, აივსეთ ჯერ თითო სტაქანი... მზადა ხართ?

ს მ ე ბ ი – მზადა ვართ, გიცდით!

ნ ი კ ო – როგორც ლოცვებში – მამაო ჩვენო, ისე სადლე-გრძელოებში ეს სადღეგრძელო პირველია, ამიტომაც ერთი სტაქნით არ შეიძლება ამისი ალილუია, თუ თან ყანიც არ მივაყოლეთ. ღმერ-თმა ნუ მოშალოს ჩვენ სამშობლოში ეს მამა-პაპური გულუხვობა, ლხინი და ქეიფი... სანამ „მრავალუამიერი“ არ გადავარდება, ჩვენც არა გვიჭირს-რა: გაუმარჯოს საქართველოს!

ყ ვ ე ლ ა ე რ თ ხ მ ა დ – გაუმარჯოს საქართველოს! (სმენ).

ნ ი კ ო – მორჩით სტაქებს? აბა, ახლა ყანით უნდა ავამდეროთ სულმოუთქმელად, პირიდან მოშორება არ შეიძლება... სანამ ძრო ჭრიჭინს არ დაიწყებს. ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამულიშვილებს, რომელთაც კიდევ ახსოვთ თავისი საწყალი ქვეყანა. არც ყანის ივიწ-

განთიადი

ყებენ, არც აზარფეშას და შუშხუნა მწვადებს კატლეთ-მათლეთებში არა სცვლიან. გაუმარჯოს ჩვენს კამპანიას!..

ყ ვ ე ლ ა - გაუმარჯოს! ვაშა! ვაშა!
(დიდხანს იმღერიან საწრიპინო მრავალუამიერს)

ვ ი ქ ტ ო რ - (წამოდგება ზეზე):

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა,
ერი პურადი, გულადი,
მტერთა მიმცემი რისხვისა“.

აი ამის მთქმელს კი ვენაცვალე ენის კლიტეში. გაუმარჯოს საქართველოს!

ს მ ე ბ ი - გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ვაშა! ვაშა!
(იმღერიან და ცმუტავენ)

ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია,
როცა სმა და ლხინია
არავის გვეშინია,
ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია!
ცივ ლვინოს ვსვამთ,
ცხელ მწვადსა ვსჭამთ
ჩესტნად, არვის გვცხვენია,
ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია!

პ რ ი ს ტ ა ვ ი - (აშფოთებული აქეთ-იქით იყურება) ნუ... ნე უდობნო!..

მ ი შ ო - რა ნე უდობნო?

პ რ ი ს ტ ა ვ ი - რომ ყური მოჰკრან... ნე ხარაშო!

მ ი შ ო - „ნე ხარაშო“, თუ არა ბუნტია!..

პ რ ი ს ტ ა ვ ი - სამსახურის კაცი...

ნ ი კ ო - რასა შფოთავ! შენ ვითომაც არც კი გაგიგონია...

მ ი შ ო - შენ გადაფიცე, არ გამიგონია-თქო და ჩვენც გიმონმებთ.

ვ ი ქ ტ ო რ - ძმა-ბიჭები არა ვართ, გინდა სიზმარსაც დაგიმონ-მებთ... შენ ერთი ბანი გვითხარი.

განთიადი

(იმღერიან)

„ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია“.

პ რ ი ს ტ ა ვ ი – (ყურებში თითს იცვამს და დგება) ნე ხარაშო, ნე
ხარაშო!

ნ ი კ ო – კარგი, კმარა, გაათავეთ, აავსეთ სტაქნები: ეს ღმერთმა
ადლეგრძელოს ის პირუტყვი, რომლის მიზეზითაც დღეს ჩვენ აქა
ვართ მოწვეული. ალავერდი, მასპინძელო.

მ ი ხ ა – ეს როგორ უნდა გავიგოთ, კნიაზ?

ნ ი კ ო – რომ შენი ძროხები არ დაგვეჭირა, ეგებ არც კი
დაგვპატიუებდი.

მ ი ხ ა – რასა ბრძანებთ, კნიაზო, უკაცრავად კი ნუ ვიქნები და
სწორედ არ გამხსენებია პირუტყვები, როცა თქვენა გპატიუობდით.

ნ ი კ ო – გეხუმრები, კაცო! კი ნუ გწყინს. ჯანიოზ ექიმს უთქ-
ვამს, „ხუმრობა მაძლარ კუჭის მალამოაო“! ჩვენც ვხუმრობთ, საჭ-
მელს ვიხელებთ.

მ ი შ ო – იქ კი ნუ გგონია შენი თავი, რომ დაითრობიან და
ტირილს მოჰყვებიან ხოლმე...

გ რ ი შ ა – ზოგი ასი წლის მკვდარს იგონებს, ზოგი ცოცხალს
სტირის...

დ ა თ ი კ ო – ქართული ლხინი ხუმრობა და სიცილია...

ნ ი კ ო – ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ჩვენი ახლად მონათლული
მიხა! ღმერთმა ჩვენ მაგის მასპინძლობა ნუ მოგვიშალოს და მაგას
ჩვენი სტუმრობა... ალავერდი, ყმაწვილებო!

მ ი შ ო – მაგას რუსული „მნოგაია ლეტა“ უფრო იამება (იმღერის)
„მნოგაია, მნოგაია, მნოგაია ლეტა“...

პ რ ი ს ტ ა ვ ი – ოჳ, შენ კი გენაცვალე მაგ ყანცრატოში, მანგრე,
მანგრე. მნოგაია, მნოგაია! ნეტავ ახლა შემოახედა ჩემს უფროსს და
გააგონა... არც ეხლა დაიჯერებს, რომ განათლება შემოდის ჩემს
საპრისტაოში? (ღრიალებს) მნოგაია, მნოგაია, მნოგაია!

ვ ი ქ ტ ო რ – ბიჭოს, შენ აკი არა მღეროდი?

პ რ ი ს ტ ა ვ ი – (იცინის) სემინარიაში პევჩად ვიყავი პირველი
ბასი...

(იმღერის. სხვადასხვა ხმებზე მღერიან ხან წვრილად და ხან მსხვილად)

ნ ი კ ო – კაია ახლა, ნულა წაიღეთ ყურთა სმენა! სინიდისიც
კარგი საქონელია. ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ის მარჯვე მეველე,

განთიადი

რომელიც მოვალეობას კარგად ასრულებს – ვირებს რქებით იჭერს და ძროხებს კუდით. დათიკოს სადლეგრძელოა!

დათიკო – თქვენ რომ ვირსაც და ძალსაც კუდით იჭერთ, ჯერ თქვენი სადლეგრძელო იყოს.

სმები – დათიკო, იცოცხლე! იცოცხლე! გაგიმარჯოს!

დათიკო – გმადლობთ, იმ პირობით კი, რომ მრავალუამიერის მაგიერ სიმღერები ვსთქვათ – მე გადარჯულებული არა მიყვარს-რა... აბა, ერთი ლეჩეუმური, რომ ლხინი გახურდეს...

მიშო – ორპირი სიმღერაა და სმაც ორპირი გავაჩინოთ, თქვენ იქით და ჩვენ აქეთ, გავიჯიბრდეთ.

(იმღერიან ორპირად)

ერთი პირი – დავლიოთ და დავულიოთ, დავლიოთ, დავლიოთ.

მეორე პირი – დალიეთ და დაგვილიეთ, დალიეთ და დალიეთ.

ერთი პირი – თუ დავლევთ ლვინოს კახურსა

არც თვალს გვატკენს და არც ყურსა!

დავლიოთ, დავლიოთ.

მეორე პირი – თუ დალევთ წმინდა კახურსა,

არც თვალს გვატკენს და არც ყურსა. დალიეთ, დალიეთ!..

ერთი პირი – დავლიოთ ლვინო მარგული,

რომ გაგვიმთელოს მან გული,

დავლიოთ, დავლიოთ.

სმები – ჰაი-ჰა, წამოვიდა ჩვენსკენ ლხინი, წამოვიდა.

მეორე პირი – ჭრიჭინ-ჭრიჭინ, საქმე გიჭირთ!

დალიეთ, დალიეთ!

ერთი პირი – თქვენ გიჭირსთ და ჩვენ არ გვიჭირს!

დავლიოთ, დავლიოთ!

მეორე პირი – ჭრიჭინ-ჭრიჭინ, თქვენს საქმესა ჩაუჭრიჭინეთ!

სმები – ლვინო გვწყურია, ლვინო!..

ვიქტორ – ტოლუმბაში სად გაქცეულა? ხედავთ, არუთენას ევაჭრება რაღაცას... სადლეგრძელო მიუტოვებია, წყურვილითა გვკლამს.

სმები – მართლა, მართლა! ტოლუმბაში! უუ!

(იმღერიან)

ტოლუმბაშო ჩანჩალა,

ლვინო გვასვი ჩქარ-ჩქარა!

(იმღერიან და დანა-ჩანგალს აჩხარუნებენ თეფშებზე):

განთიადი

მასპინძელი უხვია,
თუ არ გადაუხვია...
ტოლუმბაშო, სადა ხარ,
აზნაურო ბუაძე,
როდის მოხვალ ჭკუაზე.
ტოლუმბაშო ჩანჩალა,
ღვინო გვასვი ჩქარ-ჩქარა!

ნ ი კ ო (მობრუნდება) ოჰ, ოჰ, ნუ წაიღეთ ყურთასმენა, რა სული
მიგიღისთ, ჯერ ყანწიც კი არ დაგიბრუნებიათ.

ს მ ე ბ ი – დიდი ხანია მოვრჩით...

ნ ი კ ო – ვის გაკლიათ?

ვ ი ქ ტ ო რ – მე მაკლია.

მ ი შ ო – ეგ ხომ დიდი ხანია ვიცით.

ვ ი ქ ტ ო რ – ჭკუა თუ ფული? ის ხომ საქნიაზო დიპლომია და
ზოგი თქვენს უჯრაშიც მოიკითხეთ.

მ ი შ ო – ხუ იცი კნიაზების ხელის წამოკვრა, სხვა რომ არა
იყოს-რა, ნახევრად შენ მათი სისხლი გიდგას – აზნაურიშვილი ხარ,
ბოლიკარტიანი ყაზახი ხომ არა ხარ სხვებსავით (შეხედავს მიხას).

დ ა თ ი კ ო – უხეირო თავადიშვილობას ხეირიანი გლეხობა სჯო-
ბია, მაგრამ აქ ხომ დეპუტატ-სობრანიე არ არის, რა დროს მაგაზე
ლაპარაკია?

ნ ი კ ო – ვიქტორ, სულ შენი ბრალია ამ აყალ-მაყალის ატეხა,
რატომ არა სვამ?

ვ ი ქ ტ ო რ – დავლევდი, მაგრამ მეშინია თევზმა არ მაწყინოს...
უმია...

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი – სად არის თევზი?

ვ ი ქ ტ ო რ – წყალში.

გ რ ი შ ა – სად? რომელ წყალში?

ვ ი ქ ტ ო რ – აი, აქ რომ ჩაუყენებიათ, ყანწი... აბა ნახეთ, მარ-
თალია, მთვრალები კი ვართ, მაგრამ არც იმდენად, რომ წყალი და
ღვინო ვეღარ გავარჩიოთ. არუთენ, მოგვილოცავს ანტექრისტობა!

ა რ უ თ ე ნ ა – ატექრისტე რად ვიქწები, ვა!

ვ ი ქ ტ ო რ – ქრისტემ ლხინში წყალი ღვინოდ გადააქცია და შენ
ღვინოს წყლად აქცევ, აბა ნახე... (მოუშვერს სტაქანს).

ნ ი კ ო – კარგი ერთი, ნუ ხუმრობ, ბოთლიდან არ ჩაგისხეს?

ს მ ე ბ ი – აბა ვნახოთ ეს ბოთლები, ეხლა რომ შემოიტანეს...
(სინჯავენ) მართლა, ეს რა ამბავია? წყალღვინო, ნაქაჩია.

განთიადი

ა რ უ თ ე ნ ა – ვა, ბიჭებო! ეს რა ამბავია? ჩაი აგირევიათ.

ვ ი ქ ტ ო რ – ვითომდა არ იცი. ჩვენ თუ გინდა არად ჩაგვაგდე, მაგრამ ამ თანამდებობის კაცს მაინც როგორ უბედავ მოტყუებას.

პ რ ი ს ტ ა ვ ი – (შეფერებით) პოდლოგ!.. მაშენიჩესტვო! უნდა პროტოკოლი შევაყენ.

ა რ უ თ ე ნ ა – რას ბრძანებთ? რისი პროტოკოლი? რისი მაშენიკობა... შეშლიათ და წყალი შეურევიათ... წაიღებენ და ნამდვილს მოიტანებენ... გნებავს შაფანცკის მოვატანიებ?

ვ ი ქ ტ ო რ – მერე იმასაც მტკვარად გადააქცევ. პირველი კი არ არის, მაგრამ დღეს კი ცოტა ადრე მოგსვლია... ჯერ ისე მოვრალიც არა ვართ... ეს წყალ-წყალა კახურის ფასად გექნება ჩაწერილი დავთარში... აღარა გაგვეგება-რა, გარჩევა აღარ შეგვიძლია და გვატყუებ, რაღა!

ა რ უ თ ე ნ ა – ეგ მაშინ უნდა ბრძანოთ, რომ მართლა ჩამეწეროს.

ვ ი ქ ტ ო რ – აბა, გამოიტანე! გვაჩვენე! (არუთენა გადის).

ნ ი კ ო – რა ვენა, ამ ჩემს ბოთლში კი წმინდა წალიკაურია და...

გ რ ი შ ა – ეგ წინანდელი მოტანილია. აბა, სხვა ბოთლები ნახე.

ა რ უ თ ე ნ ა – (შემოაქვს დავთარი) აბა ნახეთ, რა და რა სწრია.

ვ ი ქ ტ ო რ – ეშმაკმა იცის, რაები არ გინერია! (ამოხევს ერთ ფურცელს და გადასცემს მეორეს) აბა, შეამოწმე ერთი...

მ ე ო რ ე – მართლა, ეს რა ყვავის ბრჩეილებია? (ამოხევს ისიც და სხვას გადასცემს) აბა, შენც ნახე...

მ ე ს ა მ ე – მართლა რომ ეშმაკის პოჩერკია... (ხევს და სხვას აძლევს).

ა რ უ თ ე ნ ა – ვა! ვა! ვა! რას შვრებით, მღუპავთ, ეგ როგორ იქნება?

მ ი ხ ა (იცინის) არაფერია, ნუ გეშინია, გავსწორდებით.

ა რ უ თ ე ნ ა – რასა ბრძანებთ. ეგენი თავიანთ ნისიას ხევენ, განა მარტო თქვენსასა...

მ ი შ ო – არუთენა ვერ გაბედავდა, რომ წყალი ღვინოდ შემოეპარებია, მაგრამ აქ სულ სხვა შტუკებია, მასპინძელი დაარიგებდა.

მ ი ხ ა – კნიაზ, მაგას როგორა ბრძანებთ! რა გამჭირვებია, რომ მაგისთანა რამ ვიკადრო? ეგ ჩვენი ხელობა არ არის.

მ ი შ ო – რა შვილი ხარ, რომ არ იკადრებ? თუ არ დაგიშლია, ის, რაც ჩამოგიტანია, სულ პროფესორობით გაქვს ნაშოვნი, ან გზაჯვა-რედინზე გიშოვნია...

განთიადი

ნ ი კ ო – არა გრცხვენია, მიშო, რომ დათვრები, აღარა გაგეგება-
რა და ყველას უსიამოვნებაზე იწვევ... მიხა, ყურს ნუ ათხოვებ, თუ
ძმა ხარ...

მ ი შ ო – პირში თქმა რომ მიყვარს, მიტომ გეჯავრებით ყვე-
ლას... ვიცი, შვილო, რათ ექალაჩუნებით მაგ ვაჟაფონს, თვარა ეგ
რა ჩვენი ტოლი და ცალია, რომ გვერდში ამოგვისვამს... გლეხის
შვილი... თქვენ რაც გინდათ ის ქენით და მე კი ისე არ დავამცირებ
ჩემს ღირსებას, რომ გლეხს თავი მოუხარო.

მ ი ხ ა – კნიაზ, თქვენი ნებაა, ვინ რა მოგახსენათ, რომ მიწყრებით?

მ ი შ ო – შენა გგონია, ვერ მიგიხვდი საითკენაც გადაჰკარი?..
და ვისა სცემდი გაჭირვებაზე რომ ჩამოაგდე ლაპარაკი? ჩვენ ჩვენს
სილარიბეს არავის უცვლით სიმდიდრეში. ჰმ, „გაჭირვებული არა
ვარ“. აქამ და ორი გროში უშოვნია, თავი მოაქს. მართალი ნათქ-
ვამია: „გლეხი კაცი თუ გვერდში მოისვი, მძახლობას მოგინდო-
მებსო“. (დგება, წასვლას აპირებს).

მ ი ხ ა – კნიაზ, ვინ რა განყენინათ? ღმერთი, რჯული, შემცდარი
ხართ.

დ ა თ ი კ ო – დაანებე თავი, მანგრე იცის ჭირვეულობა, მთვრალია.

მ ი შ ო – (მიუბრუნდება) რაო, რაო? ვინ არის მთვრალი?

დ ა თ ი კ ო – ვინა და შენ! რა დაგემართა, რომ აყალ-მაყალსა სტეს?

მ ი შ ო – შენ რა გინდა? სიკვდილმა ხომ არ გიკბინა?

დ ა თ ი კ ო – ვისაც უკბინა, ის მე ვიცი...

მ ი შ ო – შენ რა თავს გამოიდევ. ვინ რა გითხრა? რა გინდა...

დ ა თ ი კ ო – მასპინძლის გალანძლვა ჩვენი შეურაცხყოფაა და
ყოველთვის კი არ დაგითმობენ უსაქციელობას.

მ ი შ ო – დამითმობ თუ არა, ყურებზე ხახვი არ გადამაჭრა შენი-
სთანა აზნაურუკამ.

დ ა თ ი კ ო – (გულმოსული) შერცხვეს ის აზნაურშვილი, რომ შენ
ჩამოგივარდეს.

ს მ ე ბ ი – (აქა-იქ) ჰა, ჰა, აქ აზნაურობაზე ნუ იქნება ლაპარაკი.

ს მ ე ბ ი – (აქა-იქ) არც თავადიშვილები გახლავან თქვენი ხელ-
წამოსაკრავი.

დ ა თ ი კ ო – ღირს ამის გულისათვის თავის გამოდება? გახეთქ-
ილია!..

მ ი შ ო – მე შენ გაგიხეთქ თავს. (ესვრის სტაქანს).

დ ა თ ი კ ო – (წამოავლებს ბოთლს ხელს და მიაშურებს. სხვები მის-
ცვივდებიან და დაიჭერენ).

მ ი შ ო – (ხანჯალს იღებს) გამოუშვით! მობრძანდეს!

განთიადი

დ ა თ ი კ ო – გამიშვით, რომ ცხვირ-პირი ჩავანაყო. (იწევენ ერთ-მანეთზე, სხვები არ უშებენ, საზოგადო ხორხოზია, სტოლს გადმოაბრუნებენ და ჭურჭლები იმტვრევა).

ა რ უ თ ე ნ ა – მოდი და შეადგინე პროტოკოლი... კიდევ კარგი, რომ წყლიანი ღვინო სვეს... სულ წმინდა რომ ყოფილიყო, ხომ ამოგვნებულები ავდენ. (გარბის ოთახიდან).

პ რ ი ს ტ ა ვ ი – (გარბი-გამორბის) რას შვრებით, რას? ეტო უჟას, უჟას!..

მ ი ს ა – კნიაზებო, როგორ გეკადრებათ, პუსტიაკ საქმეზე...

დ ა თ ი კ ო – არა, მიხა-ჯან, მე შენს გალანძლვას არავის შევარჩენ...

მ ი ს ა – გმადლობ, მაგრამ ეს ხომ პუსტიაკი რამეა! ღვინოში რა არ ითქმის... კნიაზ მიშომ რომ კიდეც გამლახოს ავიტან, არასა ვკადრებ... ჯერ ერთი რომ უფროსია და მეორე კიდევ ცოტა გაჯა-ვრებული არის ჩემზე... არაფერია, მოვრიგდებით.

მ ი შ ო – შენ ამბობ მაგას? მალადეც! კაცი ყოფილხარ და არ ვიცოდი (აგებს ხანჯალს). მოდი, ერთი გაკოცო... დღეის იქით შენც ძმა და მეც ძმა (ჰკოცნის). აი, შე პლუტო, კარგი ბიჭი რომ ყოფილხარ, მიტომაც გიხეირნია იმ ოხერ ქვეყანაში...

მ ი ს ა – აბა, კნიაზ, შენი ძმობის ჭირიმე, ლხინს ნუ ჩაგვმნარებ, შერიგდით შენ და დათიკო. დათიკო-ჯან, თუ ჩემი ხათრი გაქვა... .

მ ი შ ო – ბატონი ხარ, შენი გულისათვის წყალში გადავარდები.

დ ა თ ი კ ო – შესარიგებელი კი არა ხარ, მაგრამ რა უყო (ჰკოცნიან ერთმანეთს).

ს მ ე ბ ი – ბრავო, ბრავო! ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს საქართველოს!

ნ ი კ ო – მე ამ შერიგების თანახმა არა ვარ, თუ ერთი ლხინი, შესარიგებელი, კიდევ არ გადავიხადეთ...

მ ი ს ა – ბატონი ბრძანდებით, როცა გნებავთ!

გ რ ი შ ა – რაღა შორს მივდივართ. ეს ლხინი მაინც არ დაგვიმ-თავრებია... ახალი სუფრა გავშალოთ ხელათ, მორჩა და გათავდა...

ს მ ე ბ ი – ახალი პური, ახალი პური! გაუმარჯოს ახალ სუფრას! ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს საქართველოს!

მ ი ს ა – თქვენი ნებაა, მაგრამ არ ემჯობინებოდა, რომ ადგ-ილი ვიცვალოთ, აქ მაინც ცხელა და წყლის პირს ჩავიდეთ, ჩაი მოვატანიოთ, ზედ ახალი სუფრაც მოვაყოლოთ და გათენებამდის ვილხინოთ.

ს მ ე ბ ი – აგრე იყოს... იქ აჯობებს, იქ! აბა, ხაზეინ.

ვ ი ქ ტ ო რ – სულ სიმღერით ჩავიაროთ ბაზარი. (არუთენა შემოდის).

განთიადი

ნ ი კ ო – აბა, აქაურობა მიაღაგ-მოალაგე და იქ გავშალოთ სუფრა.
ა რ უ თ ე ნ ა – კეთილი, მიბრძანდით და მზად იქნება.

გ რ ი შ ა – მიხა! დუბინუშკა არ იცი?

მ ი ხ ა – მაგის მეტი რაღა გამიგონია, კნიაზ!

გ რ ი შ ა – მაშ, ერთი დაგვიწყე და ჩვენც მოგძახებთ... რა სეირი იქნება... სულ სიმღერით ჩავიდეთ იქმდი. გზაში ვინც შემოგვხვდეს, მიუმატოთ თოვლის გუნდასავით. ისე უნდა ვილზინოთ, რომ მთელი ბაზრელები ავალაპარაკოთ, მტრებს თვალი დაუყენოთ! (ხელი-ხელ გაყრილი მიდიან ბარბაცით, სიმღერით) ეი, ეი, დუბინუშკა, უხნემ. (და სხვანი).

პ რ ი ს ტ ა ვ ი – მეც გავყვებოდი, მაგრამ ნელოვკო. მთავრობა ვარ... მერე, ჩავალ დლია პორიადეუ. ჩუ! (სიმღერას ყურს უგდებს და თვითონაც მღერის). ოი, დუბინუშკა, უხნემ... ზელიონა სამა პაიდოტ – პაიდოტ... (ფეხებს აყოლებს). პადიორნემ, დიორნემ. ჰმ! რაც გინდა თქვი და ძალიან საქმეა გარუ... განათლება... მოდი და შეადარე ჩვენი ოდელია... სამა პაიდოტ – პაიდიოტ... პოდიორნემ, დიორნემ... (ბარბაცობს).

ა რ უ თ ე ნ ა – (შემოდის) გთხოვთ, პროტოკოლი შეადგინოთ...

პ რ ი ს ტ ა ვ ი – პროტოკოლი. ააა...

ა რ უ თ ე ნ ა – ჴო, პროტოკოლი! ან უბრალო რამ მოწმობასავით, რომ დავთრები დამიხიეს და ჭურჭლები დამიმტვრიეს.

პ რ ი ს ტ ა ვ ი – ჴაა, პონიმაო... პლუტ ტი (ცხვირზე ხელს ურტყამს). ზავთრა. შენ შენი პროტოკოლი მოამზადე და მეც ჩემსას მოქცემ.

ი ვ ა ნ ე – (შემოაქვს გოდორი და დგამს).

პ რ ი ს ტ ა ვ ი – ეგ რა არის?

ი ვ ა ნ ე – აქ ძველი დამტვრეული ჭურჭლეულობაა. ახლები უნდა მოვხვეტო, შიგ ჩავყარო და შეურიო.

პ რ ი ს ტ ა ვ ი – პონიმაიუ, ხაზეინმა გითხრა?

ი ვ ა ნ ე – კი, ბატონო, ხაზეინმა მითხრა.

ა რ უ თ ე ნ ა – რას ამბობ, ბიჭო, ეგ ვინ გითხრა?

პ რ ი ს ტ ა ვ ი – ნუ, ბრატ, შენ მაშენიკი ხარ, მაგრამ მეც ვიცი ჩემი საქმე. ახლა კი ვეღარ გადამირჩები პატარა პროტოკოლით, მაგრამ ჯერ არ მცალია, ხვალ იყოს. ფეხები დამიბუჟდა დიდხანს ჯდომით. ცოტა უნდა მოვისვენო. გაქვს წმინდა ოთახი?

ა რ უ თ ე ნ ა – გახლავს, თქვენთვის ყოველისფერს მოვახერხებ.

განთიადი

პ რ ი ს ტ ა ვ ი – ბალიშქევეშ ქალადლიდი ამომიდევი, რომ გამომეღვი-
ძება, ხელათ პროტოკოლს შევადგენ, მაგრამ კატინკას კი გამოატანე,
გესმის? უიმისობა არ იქნება... (მიდის ბარბაცით).

ა რ უ თ ე ნ ა – (თვალს გააყოლებს) მოდი და იცხოვრე ამისთანა
ქვეყანაში!.. ჰმ! კატინკაო... მამა უცხონდა, დიდი ვინძეა, რომ უკა-
ტინკოთ არ დაიძინოს. სხვას კი არ დამჯერდება, ნაკლებს? (ივანიკას)
და შენ კი გაყურებიებ შენს სეირს... გასწი, დამეკარგე!.. ლაქიებს
უთხარი, ყოველისფერი წყლის პირს ჩაიტანონ... მოამზადეთ!.. მანდ
ბუფეტში ვინ გეხმარებათ, ერთი ისიც ვნახო. (ივანიკა გადის).

გამოსვლა მესამე

ა რ უ თ ე ნ ა – (დაჯდება, დაფიქრდება და მერე ლექსო შემოდის.
ვერ ხედავს ლექსოს) მიიღდერიან კნიაზები წყლისაკენ, უნდა ჩავარდენ
რაღა... მართლა, რომ ჭრიჭინ-ჭრიჭინ მაგათს საქმეს! აფსუს! საქა-
რთველო, რა ედემის ბალის ალვის ხე იყავი... და როგორ გიხმება
შტოები?.. ეჲ, ტერასტვაც! ყოლიფერი შენი საქმეა. „ერთი წავა და
სხვა მოვა ტურთასა საბალნაროსაო“, უთქვამს რუსთაველს, მაგრამ
როგორ დავიჯერო, რომ ეს ქართველს ეთქვას. ამას ჩვენი ვინძე
იტყოდა, ზელოქა და ის გადათარგმნიდა... კარგი ნათქვამია. ახლა
ჩვენმა ხემაც გაიხაროს ამ ედემში... (მხიარულად პირველი ინერს)
ღმერთო შენით, ღმერთო შენით! ვგონებ, რომ შორს აღარ იყოს
ის დრო... ესენი კი... (დაცინვით) გულს არ იტეხენ... ნეტავ რისი
პატრონები?.. და თავისას არ იშლიან. იმღერიან ჩვენიაო, ჩვენიაო.
ერთი იმათ ჰყითხოს კაცმა, ვის მაგიერად იმღერიან. იმათ მაგიერ
(გაიშვერს ხელს ოთახისკენ), თუ ჩვენს მაგიერ?..

ლ ე ქ ს ო –(გამოეცხადება და შეჰქვეირებს) ჩვენს მაგიერ.

ა რ უ თ ე ნ ა – (ზეზე წამოვარდება დამფრთხალი) ვინ ხარ შენ?

ლ ე ქ ს ო – მე იმ ხის ფესვი ვარ, შტოები რომ უხმება და თქვენც
ზედ ხორცმეტად აზიხართ! ხომ გაგიგონია: „ვისაც მოუკლავს, ის
მოჰქლავს ნადირსა შავი ტყისასაო“. ბევრჯელ გამხმარა ჩვენზე
ამონაყარი შტოები, მაგრამ მის ნაცვლად სამაგიეროდ ახალს უჩენია
თავი. ნუ გიხარია, არუთენ. ახალ შტოებს თქვენც თან გაჰქვებით და
ამ ედემში კი ისევ ჩვენი ძირი იხარებს.

ა რ უ თ ე ნ ა – ვა!.. რას ამბობს? გიურა? ყარაული, პოლიცია! (გარბის)

ლ ე ქ ს ო – მოიხმარე, ეგეც მოიხმარე, არაფერია, გაგიძლებთ!

ფ ა რ დ ა ე შ ვ ე ბა

სცენა პირველი

მდიდარი გლეხის ოთახი. ტახტზე წამოწოლილია კიკოლი და ყალიონს სწევს. საყვარელი ის ეული იკუთხები სკირს მისჯდომია და ალაგებს.

გამოსვლა პირველი

კიკოლა და საყვარელი ის ეული

კიკოლა – დედაკაცო! ააა, დედაკაცო!

საყვარელი – (პირმოუბრუნებლად) შენი დედაკაცი სოფელში გეყოლება და იქ მოიკითხე.

კიკოლა – (წამოჯდება და ყალიონს ხელის გულზე პფენთხავს) უკაცრავად, უკაცრავად! ქალბატონო, ბატონო, მარიამ დედოფალო, მზეხათუნ ბატონიშვილო! არც ახლა გესმის?

საყვარელი – რა იყო, რა ღმერთი გინწყრება?

კიკოლა – ღმერთი მტერსა და ავს უწყრება!.. რომ გეუბნებიან, არ გეყურება? მართალია, დიდგაცებში ხარ გართული, მაგრამ არც სულ მანგრე ვარგა, რომ ძალადაც აღარ მაგდებ. ძლივს მოგაგ-ონდა ოჯახი და ეხლაც კიდევ ხმის ამოღებას აღარ კადრულობ.

საყვარელი – (მიუბრუნებს პირს) რაო, მოგეწყინა უჩემობა?

კიკოლა – ან აგრე იქნება და ან ისე. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო შეჩერება და „შეჩერებული ჭირიც კარგიაო“, ნათქვამია. ამ სიბერის დროს მარტო ყოფნა ობოლივით რა კარგი გვონია? უჯმა-ჯურა რომ დამეცეს, შემქანებელი არავინა მყავს შინ.

საყვარელი – სად არის იშენი ნებიერი ბიჭი? რატომ არ მოგხე-დავს ხოლმე?

კიკოლა – რომ არ დამიყენე შინ? რაც შენ იმას ეჯუჯლუნე-ბოდი... ვეღარ აიტანა და სანამ არ გამიგდე, არ მოეშვი.

საყვარელი – რა შორს წასული ის არის, ემანდერ არა გყავს კარის ყურზე? მოვიდეს და მოგიაროს ხოლმე...

კიკოლა – ორ ოჯახს სად გაართმევს თავს?.. როცა მოიცლის ხოლმე, კი არ ეზარება, აბა, ისიც რომ აღარ მყავდეს...

საყვარელი – თუ მანგრეა და გამოვიდეს, რას შეყურყუტებს იქ?

განთიადი

კ ი კ ო ლ ა – ჯერ ყავლი არ გასვლია.

ს ა ყ ვ ა რ. – ყავლი თუ არა, ბევრს რამეს კი გამოელის იმათგან!

კ ი კ ო ლ ა – ეგ ხომ მანგრეა, მაგრამ პირს მაინც ვერ გაიტეხს. სიტყვას როგორ ულალატებს?.. კაცია, ულვაში ასხია და ქუდი ჰეურავს...

ს ა ყ ვ ა რ. – ჰოდა, ბრძანდებოდე მანგრე...

კ ი კ ო ლ ა – შენ კი წიხლი უნდა მკრა ამ სიბერის დროს?

ს ა ყ ვ ა რ. – (მოუჯდება გვერდით) მოგენატრა ჩემი თავი?

კ ი კ ო ლ ა – (იცინის) ცოლი მაინც სულ სხვაა.

ს ა ყ ვ ა რ. – ოო, აჲა, მანგრე, იცოდე! ახლა ხომ გაიგე? (ხელს ჩაუფაჩუნებს გულში).

კ ი კ ო ლ ა – მაგას რა დიდი ცოდნა უნდა? ორმოცი წელიწადი ტყუბლა სოკოსავით ერთმანეთს შევაბერდით და ახლა რაღა დროს გაშორება!

ს ა ყ ვ ა რ. – (ალერსით) ვინ გშორდება მერე, შე უსამართლოვ?

კ ი კ ო ლ ა – მა რა არის, ამდენი ხანია სახლისკენ პირი ალარ გიქნია...

ს ა ყ ვ ა რ. – რა ვქნა, გენაცვალე, ის ყმაწვილიც ცოდვაა. მარტოხელია, ახალი მოსახლეა, იმოდენა ოჯახობას, იმდენ სახლვარობას თვალყურის გდება არ უნდა?

კ ი კ ო ლ ა – თვითონ ვერ მოუვლის? გამდლები ეჭირვება?

ს ა ყ ვ ა რ. – თვითონ რომელ ერთს გასწვდეს! მტერს გაუძლოს თუ მოყვარეს. ათასი საქმე აქვს, ენაცვალოს დედა! აქეთ მოდის, იქით მიდის. ახლა კიდევ იმ შავ ქვაში გაება და შენ გინდა ხელი შეუშალო?

კ ი კ ო ლ ა – ღმერთმა ხელი მოუმართოს, მე რა შემშლელი ვარ, მაგრამ ჩვენც ცოდვა ვართ...

ს ა ყ ვ ა რ. – არა გვიშავს-რა... ცოტა კიდევ მოვითმინოთ, მტრებს ნუ გავახარებთ და მერე, როცა ღმერთი მის ბედნიერებას მოგვასწრებს და დაცოლშვილიანდება, ის მისთვის და ჩვენ ჩვენთვის.

კ ი კ ო ლ ა – რავა, ფიქრობს ცოლის შერთვას?

ს ა ყ ვ ა რ. – იმას არა უთქვამს-რა, მაგრამ მე კი მგონია. ვატყობ, ერთი ვინმე მოსწონს, მაგრამ როგორლაც ვერა ბედავს. შენ ვერას ატყობ?

კ ი კ ო ლ ა – თუ ის არის, ვატყობ კი არა, მეტიც არის.

ს ა ყ ვ ა რ. – უი, სტყუი, სტყუი, არ გეცოდინება! აბა, თუ გამოიცნო?

განთიადი

კ ი კ ო ლ ა – რომ გამოვიცნო, რა ნინძლევი?

ს ა ყ ვ ა რ. – ახალუხს შეგიკერავ.

კ ი კ ო ლ ა – რად მინდა შენი ახალუხი, ახალუხები ცოტა მაქვს?

ჯერ ერთიც არ დამიგლევია.

ს ა ყ ვ ა რ. – აპა რა?

კ ი კ ო ლ ა – ერთი მაკოცნიე მაგ კუდიან თვალებში.

ს ა ყ ვ ა რ. – (იმანჭება) იიი, რა გუნებაზე ხარ? რა დროს შენი ეგ არის, შე ბებრუცანა, ალარ მოგწყინდა?

კ ი კ ო ლ ა – რა მჟავე პანტა ეგ არის, რომ მომწყინდეს შენი კოცნა...

ს ა ყ ვ ა რ. – (იცინის, ხუნტრუცით) ბებრუცანა! ბებრუცანა! ბებრუცანა! (ვითომ გარბის) მჟავეა, კბილები რომ მოკვეთილი გაქვს?

კ ი კ ო ლ ა – (ხელს წავლება) სხვა თქვი რამე, თუ არა ტუჩები კი არ გამზმობია, ასეთს გაკოცებ, რომ ტყავი აგართვა (მოეხვევა და ჰკოცნის).

გამოსვლა მეორე

ისინივე და 6 უ ც ა შემოესწრებათ.

6 უ ც ა – დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა! (კიკოლა და საყ-ვარლისეული შეკრთხებიან).

ს ა ყ ვ ა რ. – უი, სირცხვილო და სიკვდილო! დამიდგეს თვალები! შე სულწანყმედილო, რა მიყავი? (ნუცას) წამომეპარა და სირცხვილი მაჭამა.

კ ი კ ო ლ ა – (იცინის) აპა, რას სტყუი? სტყუის, ამ კუდიანმა თვითონ ამაცუნდრუკა, არ მომეშვა.

ს ა ყ ვ ა რ. – ისემც შენ გაიხარე, მართალს შენ ამბობდე!

6 უ ც ა – გაამოსთ, გაამოსთ! ცოლ-ქმარში ალერსი რა დასაძ-რახია?

ს ა ყ ვ ა რ. – შენ კი იხარე, მაგრამ რაღა დროს ჩვენი ხუმრობა-ხუნტრუცობის დროა?

6 უ ც ა – საქმეც ეგ არის, რომ სიყვარული სიბერემდის თან მოგყოლიათ, თვარა...

კ ი კ ო ლ ა – მართალსა ბრძანებთ, მე და ჩემმა ღმერთმა, სიბერე თქვი, თვარა სიყმანვილე უსიყვარულოდაც არ იმადლება ხვევნა-

განთიადი

კოცნას. დაბრძანდით, შენი ჭირმე.

ნ უ ც ა – არა, დასაჯდომად არა მცალიან.

ს ა ყ ვ ა რ. – რაზედ გარჯილხარ, გენაცვალე?

ნ უ ც ა – ლექსო არ დაბრუნებულა ამდენი ხანია და ხომ არა იცით-რა?

კ ი კ ო ლ ა – სად გიახლათ?

ნ უ ც ა – სუდში არ იყო დაბარებული? ამდენს ხანს რას უცდის? დილას აქეთია...

ს ა ყ ვ ა რ. – არ გამოუშვებდენ, შენ გენაცვალე, თვარა სხვაგან სად წავიდოდა.

ნ უ ც ა – ეგება დააკავეს?

კ ი კ ო ლ ა – დაკავებით რომ დაეკავებიათ, როგორ ვერ გავიგებდით? არა? შენ? ისე იციან იმ ოჯახეორებმა, დაბარებით ადრე იპარებენ და საქმის გარჩევას კი გვიან შეუდეგებიან ხოლმე. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „მაძღარ ხუცესს მშიერი დიაკონიც კი მაძღარი ეგონაო“, ისინი საუზმით გამოიტიქნებიან ხოლმე და ხალხს კი სიმშილით სწყვეტენ. მოშორება არ შეგიძლია, უნდა ზალაში უყურყუტო და უყურყუტო, თვარა თუ ერთი წუთი გარედ სადმე გაგიგულეს, მაშინვე საქმეს მოგისპონება და რას იზამ, სადღა წახვალ?

ნ უ ც ა – თუ მოვიდეს, მალე გამოგზავნეთ, სახლი მარტოა, ჩემს ამარად.

კ ი კ ო ლ ა – მამათქვენი სადღა ბრძანდება?

ნ უ ც ა – დღეს ჭიათურაში წავიდა ფულის საქებრად!

კ ი კ ო ლ ა – დათიკო?

ნ უ ც ა – (იცინის) საყვარლისეულს ჰქითხე... სად იქნება, თუ არ მიხასთან! ერთმანეთს ალარ შორდებიან... მშვიდობით, მშვიდობით! (გარბის).

ს ა ყ ვ ა რ. – ვერც ეხლა მიხვდი? ხომ გამოიცანი?

კ ი კ ო ლ ა – რაღა გამოცნობა მინდა, რომ ისეც ვიცი ვინც არის. მე მაშუალიც მომიგზავნეს და...

ს ა ყ ვ ა რ. – (გაკვირვებით) რას ამბობ? ვინა, ვინ არის?

კ ი კ ო ლ ა – ვინ უნდა იყოს, ვინა და შუკაკიძის გოგო.

ს ა ყ ვ ა რ. – (ცხვირის ბზეკით) ირინე? იჳ! მეხი კი დაგაყარე მაგ გამოჩერჩეტებულ თავზე! ეგ არის, გამოვიცანიო? მერე და ის რა მიხას საკადრისია?

კ ი კ ო ლ ა – რატომ? ამ ჩვენს სამამასახლისოში ტოლი არა ჰყავს და გლეხის პირობაზე მზითევიც კარგი აქვს.

განთიადი

ს ა ყ ვ ა რ. – ნეტავი თუ მართლა ამბობ, შე გამოყრუებულო? მერე და მიხა იმას შეირთავს? იმანაც რომ მოინდომოს, გაბრიყვდეს, მე კი შევართვევინებდი ჩემი ცოცხალი თავით? მეტი რალა მიქნია, გახუხულ სოფლის გოგოს წამოვაყუნტებ ქვეყნის სასაცილოდ იმ ხელმიფის სარაიაშიდ – მე სულ სხვა მყავს არჩეული.

კ ი კ ო ლ ა – ირინეზე უკეთესი?

ს ა ყ ვ ა რ. – მაშ არა და...

კ ი კ ო ლ ა – ვინ მაინც?

ს ა ყ ვ ა რ. – ვინ და ის (თითს აშვერს კარებისაკენ).

კ ი კ ო ლ ა – ნუცა? რას ამბობ? ეგ კი როგორლაც არ მომდის ჭკუაში. აზნაურის მოყვრობა რა ჩვენი საქმეა? იმათი ქალი ჩვენს ქოხში არ გამოდგება.

ს ა ყ ვ ა რ. – (უკმაყოფილოდ) მერე და ვის მოჰყავს შენს ქოხში? იმათ თავისი სასახლე ექნებათ და იცხოვრებენ თავისთვის.

კ ი კ ო ლ ა – კი, მაგრამ მარტო შენი სურვილი რომ არ კმარა?

ს ა ყ ვ ა რ. – ისინი კი უარზე დადგებიან თუ? ვერ ატყობ, სტუმ-რობა რომ დაგვიხშირეს და ნუცაც წამდაუნუმ ჩვენსას დაცუნცუ-ლობს, შენ გგონია, უაზროდ შვრებიან? ანგარიში არა აქვსთ-რა?

კ ი კ ო ლ ა – რა ვიცი, რა ვიცი... მაგრამ არა მგონია კი. სხვა თუ რამე აქვთ გუნებაში, თვარა... სპირიდონი სასახლეში გამოთაღ-ლითებულია და, ხომ იცი, შემოდგომის აზნაურის ამაყობა?

ს ა ყ ვ ა რ. – იმას ვინ რაღასა ჰკითხავს? მე დათიკოსთან კიდევ მოვილაპარაკე და...

კ ი კ ო ლ ა – ჰმ! მიხას კი უნდა?

ს ა ყ ვ ა რ. – ნდომით როგორ არ უნდა, მაგრამ ცოტათი ჩაფიქრე-ბულია.

კ ი კ ო ლ ა – ოღონდაც, უმართებს... აზნაუშვილის ქალია... ძნე-ლია... მე კი რომ მყითხოს კაცმა, ირინეს ვარჩევდი.

ს ა ყ ვ ა რ. – (წყენით) იჸ, არჩევდი და გყავდეს! მაგერ არა გყავს მეორე შვილი?

კ ი კ ო ლ ა – მაინც მანგრე უნდა ვენა, მე და ჩემმა ღმერთმა, თვარა ისინი ჩვენ აღარ გამოგვადგებიან, წავლენ ჩვენი ხელიდან.

ს ა ყ ვ ა რ. – მისცემენ კი იმ შენს ლექსოს?

კ ი კ ო ლ ა – რა აქვს დასაწუნარი, რომ დაინუნონ? თვალტანა-დად კარგია და მუშად, წიგნი კარგი იცის და წერა...

ს ა ყ ვ ა რ. – კიდევ ეგ არის მისი უბედურება, რომ წიგნი და წერა იცის. სულაც მაგითი შეაძულა ქვეყანას თავი... ბრუნდსა

განთიადი

და მართალს შაირებით აღარ ასვენებს... ახლაც ერთი ამბავი აქვთ გადაღმა... ასეთი რამ გამოუთქვამს:

„მალე ვნახავთ გლეხეაცები
თავად-აზნაურებსაო,
რომ კარი-კარ დადიოდნენ,
თხოულობდნენ პურებსაო“.

კ ი კ ო ლ ა – იმე, იმე, მაგას როგორ იტყოდა?
ს ა ყ ვ ა რ. – ჩემი მიხაც რომ გამოულანდავს:

„მოვესწრები მიხასაო,
რომ ლოკავდეს თიხასაო“.

მანამდი ნუ გაუხარია, სანამ მისმა ძმამ სამოწყალოდ ხელი არა-
ვის გაუშვიროს და არც არა ლოკოს-რა!

კ ი კ ო ლ ა – რათ წყევლი შვილს? ეგება ტყუილია? მე კიდევ არა
მჯერა. ბევრი ჭორები იციან ჩვენში.

ს ა ყ ვ ა რ. – შენ სულ მანგრე იცი მისი გამოსარჩლება, ის კი
არა, თუ მამა ვარ, დავარიგოვო, ჭკუა ვასწავლოვო.

კ ი კ ო ლ ა – ჩემგან ჭკუის სასწავლებელი იმას არა აქვს-რა
და შენ თუ არ მოგწონს, რატომ არას ეუპნები დედაშვილურად და
სიამტკბილობით, ვითომ არ დაგიჯერებს თუ? რაც იმას შენი ხათრი
და სიყვარული აქვს – მეტი არც კი გაგონილა, მაგრამ შენ რომ არა
ჰქონდა. ბევრი ჰოი, ჰოი ცხენსაც გადარევსო. სულ უჯავრდები, ერთ
ტკბილ სიტყვას არ გააგონებ. კაცია, ისიც ადამიანია.

ს ა ყ ვ ა რ. – ჩემი ჯიგრის ამბავი მე უკეთ არ ვიცი? ეგეც ვცადე,
მაგრამ არა გამოვიდა-რა, ის მაინც თავისას არ იშლის. ღმერთმა ნუ
მისცეს კეთილი მაგის მანგრე გამბრიყვებელსაც და გადამრევსაც!

გამოსვლა მესამე

ისინვე და ლ ე ქ ს ლ შემოდის ქალალდით იღლიაში

ლ ე ქ ს ლ ა – დილა მშვიდობისა! უჰ, რა დავიღალე! (ჯდება)

კ ი კ ო ლ ა – სად ყოფილხარ, შვილო?

ლ ე ქ ს ლ ა – სუდში.

განთიადი

კ ი კ ო ლ ა – სუდში? რად დაგიბარეს?

ლ ე ქ ს ო – შარშანდელ საქმეზე, არუთენამ რომ მიჩივლა.

კ ი კ ო ლ ა – მერე?

ლ ე ქ ს ო – არაფერი, გამამართლეს და გამომიშვეს.

კ ი კ ო ლ ა – ძალიან კი ტრაბახობდა და, უნდა დავკარგოვო.

ლ ე ქ ს ო – არა გაუციდა-რა, თუარა კი არ დაუზოგივარ. თითონვე გაამტყუნეს.

კ ი კ ო ლ ა – მოწმები ვერ იშოვნა თუ?

ლ ე ქ ს ო – ჰყავდა ერთი ორიოდე მოქეიფე ყმაწვილები, მაგრამ ჩვენებმა სთქვეს ჩემს სასარგებლოდ. მოსამსახურეებმა, ვინც კი იყვნენ იქ იმ დღეს, ყველამ მართალი აჩვენა და ივანე ბუფეტჩივმა აჩვენა, სულ მდუღარე გადაასხა მის ცრუ მოწმებს. პოლიციის პრო-ტოკოლიც ყალბად იცვენს.

კ ი კ ო ლ ა – დავასხი თავსლაფი! ეგ რაღა მოგიტანია?

ლ ე ქ ს ო – არაფერი, ბიბლიოთეკაში გამოვიარე და წიგნები წამოუღე ქალბატონს. ეს კი (მიუთითებს) ახალი გაზეთია.

კ ი კ ო ლ ა – მანგრე რას გაუბერია?

ლ ე ქ ს ო – ცოდვას... განცხადებაა, ბანკის მამულები იყიდებაო.

ს ა ყ ვ ა რ. – ჯერ არ გაგვიგონია, არ გამოუცხადებიათ... ვისი იყიდებაო?

ლ ე ქ ს ო – ქვეყნისა... ვიღა დაუტოვებიათ? ყოველ წლობით ორ-ორჯერ სულ ეს ალიაქოთია... ამან დაუკარგა ფერიც და ხორციც მამულის პატრონებს... ჭლექში ვარდებიან.

კ ი კ ო ლ ა – მართლა რომ ჭლექია ეგ შეჩერებული ბანკი! ვისაც გაუყიდის, ხომ მორჩა და გათავდა?.. და ვისაც არა, ისე აწვალებს დიდხანს და მერე კი ერთხელაც არის თავისისა გაიტანს.

ს ა ყ ვ ა რ. – ჰმ! თავადაზნაურობა იღუპება და თქვენც ეგ გიხ-არიანთ, რაღა!..

ლ ე ქ ს ო – როგორ თუ გვიხარია, რას ამბობ, დედი?

ს ა ყ ვ ა რ. – გიხარიან და შაირებითაც შანს უგებ!..

ლ ე ქ ს ო – ვერა გამიგია-რა...

კ ი კ ო ლ ა – გემდურის, შვილო, დედაშენი...

ლ ე ქ ს ო – (გაკვირვებული) მემდურის? დედა შვილს როგორ დაე-მდურება?.. მაგრამ, ალბათ, მიწყრება რაზედმე. დედი, რა ამბავია ჩემს თავზე, რა დამიშავებია, რა მიქნია?

ს ა ყ ვ ა რ. – მეტს რაღას იზამდი, ქვეყანა კი გადაგვიდე და... ქვეყანას შენ არ ასვენებ და ქვეყანა კი ჩვენ შენი გამოისობით... შენმა მოშაირობამ ლამის გადაგვასახლოს...

განთიადი

ლ ე ქს ო- ჩემმა მოშაირობამ? ვის რა დავა აქვს?

ს ა ყ ვ ა რ. – აბა რა დასაწერი იყო ის რაღაც უწმაწური რომ დაგიწერია?

კ ი კ ო ლ ა – ჰო! თუ მართალია. მალე მოვესწრებიო, რომ თავადაზნაურებიო, პურის თხოვნას დაიწყებენო და მათხოვრად კარზე მიადგებიან გლეხეკაცებსო.

ლ ე ქ ს ო – (გულმოსული) შევარცხვინე თქვენს გარდა მაგის მთქმელი! ამას ვიღაც ოხერი, უჭკვო და უსინდისო დასწერდა, თორემ მე რა გამავლებინებდა გულში!.. ჩვენი მიწის შვილი, ვინც უნდა იყოს, განა ასე მემეტება, რომ მისი უბედურება ვინატრო და შანიც მოუგო? ე რა ცოდვაა ჩემს თავზე, დედაჩემო, რომ კარგი ვერა დაგანახვე-რა და ცუდი კი გჯერა.

ს ა ყ ვ ა რ. – მე რომ კიდეც არ დავიჯერო, ქვეყანას ხომ სჯერა.

ლ ე ქ ს ო – მე ქვეყანას რას დავსდევ? დედა რომ ხარ, მე შენი ხათრი და სიყვარული მაქვს და არ მინდა, რომ შენ გეწყინოს რამე.

ს ა ყ ვ ა რ. – ოპ, ოპ, ოპ! ეგ მოქარგული ენა რომ არა გქონდეს...

ლ ე ქ სო – არა, დედა, მოქარგულია თუ რაც არის, გულში ამონალებია და ტყუილად ნუ მიჯავრდები! (ეხვევა დედას).

ს ა ყ ვ ა რ. – მაში, არც მიხაზე დაგიწერია, რომ მთელი ბაზარი იცინის ჩუმჩუმად.

„მოვესწრები მიხასაო,

რომ ლოკავდეს თიხასაო“.

ლ ე ქ ს ო – რას ამბობ, დედაჩემო, მაგისთანა მართლა და ბაზრული შაირები როდის ვისმეზე გამომითქვამს, რომ ძმაზე გამომეთქვა? აქა და დედა ჩემს ვასიამოვნო-თქო, შენი გულისათვის ყმასავით ვემსახურებოდი მიხას, დღესაც პატივისმცემელი ვარ და თქვენ კი ვერა დაგანახვეთ-რა...

ს ა ყ ვ ა რ. – რაში სჩანს ეგ პატივისცემა, რომ თოფის სასროლზე არ ეკარები? ის კი შენზე მაინც კარგი გულით არი... გუშინაც, შენმა გახარებამ, მეუბნებოდა შენზედ: „რად იჭირვებს საქმეს სხვებთან მოჯამაგირობითო, მოვიდეს ჩემთან, ღმერთს ჩემთვინ ბევრი მოუცია. ჩადგეს საქმეში და იხეიროსო... ფულითაც შეუწყობ ხელს და რჩევითაცო. მოჰკიდოს ვაჭრობას ხელიო... დღეს, ვისაც კი ჭკუა აქვს, ყველა იმას მისდევსო“. ასე ამბობს ის ნუ მოუკვდეს დედამისს. მაგრამ მამიშენის არ იყოს, რომ ვერას შეგაგონებსთ კაცი! რაღაც ჯიუტი მოდგმისა ხართ...

განთიადი

ლ ე ქ ს ო – მადლობელი ვარ. განა არ ვაფასებ მაგ სიკეთეს...
მაგრამ არ მინდა, რომ მამა-პაპურ ანდერძს ვუღალატო.

ს ა ყ ვ ა რ. – რა ანდერძს, შვილო?

ლ ე ქ ს ო – გლეხი ვარ და გლეხად უნდა მოვცვდე, მიწის მუშად.

ს ა ყ ვ ა რ. – რომ არა გამოდის-რა მაგ მიწის მუშაობიდან?
ტყუილა ბებერას იჯენთ ხელებზე ნამგალ-თოხის ტრიალით.

ლ ე ქ ს ო – სწორედ მაგ ნამგალ-თოხს ვერ გავსცვლი ლიტრა-
არშინზედ, სამუშავო ხელსაწყოს ტრიალი წმინდა საცეცხლურის
კმევა და მიტომაც ნაკურთხია მუშის მარჯვენა...

კ ი კ ო ლ ა – მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა!

სა ყ ვ ა რ. – მე კი ვერა გამიგია-რა და... სად საცეცხლური, სად
თოხი, რასი ლიტრა და რისი არშინი! რომ არაფერი ჩემი სიტყვის
პასუხია?

ლ ე ქ ს ო – ყური დამიგდე და გაიგებ, დედა. მოჭრით გეტყვი:
გლეხი ღვთის მუშაა და ვაჭარი – ეშმაკის. ღმერთმა რომ კაცი
მიწიდან გააჩინა, მიწა მისცა სარჩოდ, რომ მერე ისიც მიწამ შესჭა-
მოს და რომ სიცოცხლეცა და სიკვდილიც გაუადვილდეს ადამიანს,
ოფლით უნდა რწყოს და ალბოს მიწა.

კ ი კ ო ლ ა – (სიხარულით შეჰქურებს) ჰმ! მოდი და ნუ დაიჯერებ!

ლ ე ქ ს ო – ვინც მიწას მუშაობს, ღმერთს ვერ მოშორდება,
სულ იმის ფიქრსა და ვედრებაშია, რომ ჭირნახული არ გაუფუჭდეს,
აი, ღმერთო, ახლა დარიო, ახლა ავდარიო, სეტყვა აგვაშორეო და
სულ ამგვარები... ვაჭარი კი ეშმაკისკენ იწევს, სულ იმასა ჰვიქრობს,
თუ ყალბი და დამპალი საქონელი მოტყუებით როგორ გავასალოო,
წონაში დავაკლოვო, ზომაში მოვპაროვო, და ვინ მოსთვლის კიდევ
რაები რამ... და ამიტომაც საბოლოო არა არის-რა. სადაც ღმერთი
არ არის და რაზედაც ზეცის ბეჭედი არ დაკრულა, ის ხანგრძლივი
როდია. აბა, თუ უნახავს ვისმე, რომ ვაჭრობა გვარში დიდხანს
გაგრძელებულიყოს? მამის ნაარმი შვილს აღარ შერჩება და საშ-
ვილიშვილოდ ძვირად გადადის.

კ ი კ ო ლ ა – მართლა რომ, მე და ჩემმა ღმერთმა!

ლ ე ქ ს ო – გლეხის ლუქმა კი სულ უკვდავი და გამოულეველია.
ცოტაა, მაგრამ რაც არის, გემრიელია, თუ სხვებრ არ გაინყრომა
იმანაც ღმერთი... ამას გარდაც განა მიწის მუშაობა კი უბარაქოა?
ისიც შრომა-გარჯაზეა დამოკიდებული. ვინც ბევრს იშრომებს,
ბევრს შეიძენს და ბევრიც ექნება სულის გაუყიდლად. არა, დედი,

განთიადი

მიწის მუშა ზეცის მუშაა და მისი შრომა ლვთის სამსახური... მე იმას ვერ ულალატებ.

კ ი კ ო ლ ა – მართლა, მართლა, ეგ მეც ბევრჯელ მიფიქრია, მაგრამ გამოთქმით ვერ გამომითქვამს შენსავით, შვილო.

ლ ე ქ ს ო – კაცია და გუნებაო, ზოგს ერთი იამება და ზოგს მეორე... მე ეს ხელობა მომწონს და სხვას რაც მოსწონს, იმას უნდა დაადგეს... მიხას ვაჭრობა აუღია და ღმერთმა ხელი მოუმართოს! თქვენც იმას შეუწყვეთ ხელი, იმასთან იხარეთ და მე ჩემს გზას ნუ გადამახვევინებთ.

კ ი კ ო ლ ა – როგორც გული გირჩევდეს, ისე მოიქეცი, შვილო. ვიცი, ულმერთოდ შენ არას ჩაიდენ და სადაც ღმერთია, იქ გაჭირვება ადვილი ასატანია. ახლა კი ადექი, შვილო, ნულა იგვიანებ, ნუცა გკითხულობდა.

ლ ე ქ ს ო – ქალბატონი? სად ნახეთ?

კ ი კ ო ლ ა – აქ იყო, დაგეძებდა, შინ არავინ არისო...

ლ ე ქ ს ო – მართლა? (ნამოვარდება ზეზე) მშვიდობით, მშვიდობით, დედი! (მიდის, დიდი ხნის სიჩუმეა ჩამოვარდნილი. ცოლ-ქმარი დაფიქრებულნი არიან).

კ ი კ ო ლ ა – (გამოფხიზლდება) ჰმ! რას იტყვი, ქალო?

ს ა ყ ვ ა რ. – იჲ, მაგას სიტყვას ვინ მოუგებს, მე შენ გეტყვით ვერ დაგაჯერებს!

კ ი კ ო ლ ა – მიტომ, რომ მართალს ამბობს, რაც სოქვა, არ გენიშნა? სულ სახარების სიტყვა იყო.

ს ა ყ ვ ა რ. – კიდეც ეგა მკლავს, ნეტავი მაგისთანა მაინც არ იყოს ეგ საძაგელი, მაგრამ რათ გინდა: ცხოვრება წალმა მიდის და ეგ კი, მაგის ნიჭის პატრონი, უკან ექცევა... ისე თავის უბედურია... ფეხს ვერსად იკიდებს. მოშაირ-მოზღაპრობა რა მაგის საქმეა, მაგრამ იმან გადამირია, იმ ლვთის და ხელმწიფის მოღალატემ!

კ ი კ ო ლ ა – ვინ?

ს ა ყ ვ ა რ. – ვისთანაც იყო და ვისიც ნაკურთხებია!

კ ი კ ო ლ ა – ჴო, კარგი რომ ი ბიჭთან არა წაგცდა-რა მის გამზღელზედ, თუარა თავს მოიკლავდა... ხომ გახსოვს, ერთხელ რა ყოფა დაგვაწია და რაები გვითხრა... თქვენ მშობლები ხართო, სული ჩამიდგით და სიცოცხლე მომანიჭეთო, მაგრამ მონათვლით კი იმან მომნათლა და ჩემს სულსა და გულსაც მირონი სცხო და იმის ძვირს ნუ გამაგონებთო.

განთიადი

ს ა ყ ვ ა რ. – იმას კი რატომ ალარ ამბობ, რომ მოშაირობაც იმან მასწავლა და მეც მასავით ქვეყანა გადავიკიდეო.

კ ი კ ო ლ ა – მართალია, მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, ან ერთი ვის რას უშავებს.

ს ა ყ ვ ა რ. – იმ სხვებს უნდა ჰქითხო... რა ვიცი მე, მადრიღი კი არავინა ჰყავს იმ დალოცვილსა და. ვინ გინახავს მისთანა ამ ჩვენს თავადაზნაურობაში, რომ ემადლიერებოდეს და წუნს არ სდებდეს?

კ ი კ ო ლ ა – მართალია, მაგრამ მისთანაც კი არავინ შემხვედრია, რომ იმ დაწუნების დროს ზედვე არ დაემატებინოს „ასე ყოლიფერი ასეა, რაც ვსთქვი, მაგრამ მაინც კარგია ის შეჩვენებულიონ“. აი, სწორედ ისე, როგორც შენ წაგცდა წელან იმის გაზრდილზედ. იმ შენ შეიღწე – „ნეტავ კარგი მაინც არ იყოსო“.

ს ა ყ ვ ა რ. – განა ვტყულიდი? მართალი არა ვსთქვი?

კ ი კ ო ლ ა – მართალია, მართალი, მაგრამ სხვებიც რომ მართალს ამბობენ და მიტომაც ვერ გამიგია, თუ რას ნიშნავს ეგ „მაინც“. რაღაც ძალაუნებური სიმართლეა მაგ სიტყვაში და მაგას ისევ ლექსო თუ აგვიხსნის, თვარა ჩვენთვის ძნელია.

ს ა ყ ვ ა რ. – (ლიმილით) რაც შვილია, ის მამა ხარ, მოქარგული ენა გაქვსთ ორივეს... ეგ რომ არა გქონდა, რას გამოგყვებოდი, მაგრამ მაგან შემაცდინა.

კ ი კ ო ლ ა – (ქმაყოფილი) ახლა მე ალარა მკითხე... ენაცა მოქარგული გქონდა და სახეც, თორემ რას გამაბრიყვებდი!

ს ა ყ ვ ა რ. – გავპრიყვდი და რაღა დროს! (იცინის).

კ ი კ ო ლ ა – ნანობ? ახლა გვიანდა არის: რომ კიდეც მოინდომო, ვიღა გამოგიცვლის ჩემს თავს?

– ს ა ყ ვ ა რ. – ეჲ, მაინც სადღა არის საცვალი, ბეპრუცანა ხარ, მაგრამ კიდევ შენ სჯობიხარ დღევანდელ ყმაწვილებს და რა გაეწყობა, ისევ შენა მყავდე.

კ ი კ ო ლ ა – (თავის ქნევით) ოჲ, ჲო, ჲო, ჲო! სწორედ ეშმაკის გამოგონილი არიან ცოლები... უნდათ ძმარს გადენენ ცხვირში და უნდათ თაფლს წაგცხებენ ტუჩებზე... აი, ბერა, ჩემო სიყმაწვილევ! ნეტავ კიდევ შემეძლოს რამე...

ს ა ყ ვ ა რ. – (სიტყვას აწყვეტინებს) რას იზამდი?

კ ი კ ო ლ ა – ერთს კარგად მიგბეჭავდი, რომ ალარ გამახელო ხოლმე.

ს ა ყ ვ ა რ. – მერე მე, მე კი ხელცარიელი დაგრჩებოდი თუ?

კ ი კ ო ლ ა – შენ როგორ შეგეძლო, რომ გაგებედა რამე? არ იცი,

განთიადი

რომ ცოლ-ქმარი ერთ ხორცნი არიან და ქმარი თავია ცოლის ღვთის ბრძანებით?

ს ა ყ ვ ა რ. – (სიცილ-ხუნტრუცით) უი, შენ, ჩემო უბედურო თავო! როგორ დამავიწყდა, უი ამ ჩემს თავს, უი ამ ჩემს თავს, უი! (უცაცუ-ნებს თავში ხელს).

კ ი კ ო ლ ა – (წამოდგება ზეზე) რას შვრები, დედაკაცო, გაგიჟდი!

ს ა ყ ვ ა რ. – მე ჩემს თავში შემოვიკრა ხელი, შენ რა გენალვ-ლება? მაშ შენ ჩემი თავი არა ხარ?

კ ი კ ო ლ ა – აი, დაგწყვევლა ღმერთმა! თუ მანგრეა, შენ ხომ ჩემი ფეხები იქნები და ახლა მე ვიცი, რასაც უზამ მაგ ჩემ ფეხებს.

(წამოავლებს ჯოხს ხელს და ვითომ გულმოსული გამოუდგება).

ფ ა რ დ ა ე შ ვ ე ბ ა

მოძრავი მიზანი

სცენა პირველი

ბაღჩა. სპირდონის სახლის წინ

გამოსვლა პირველი

ლ ე ქ ს ო

ლ ე ქ ს ო – (შემოდის პალში და ათვალიერებს) არსადა სჩანს, დილი-დან საღამომდი ფეხზე დფას, ჯარასავით ტრიალებს, სხვებსაც თვალყურს ადევნებს. ის არის და მთელი ოჯახი და რომ დაღამდება, წიგნებს მიუჯდება ხოლმე... ამისთანა ღამეში კი აქ აყოლებს გულს. (ჯდება) მართლა რომ საოცნებო ღამეა, პოეტის თქმისა არ იყოს. (აღტაცებით კითხულობს):

ვიშ ამ საღამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა.
რა უცნაურად,
მაღლით ციურად

განთიადი

სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,
რომ საიდუმლო.
სასიქადულო,
ბუნების – კაცსაც შეატყობინოს,
და სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს.

მართლა, რომ რაღაც ძალი ხიბლავს ყოველ არსებას და:
აპა, ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა,
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით
და ეს ქვეყანა
ყოვლგნით, ყველგანა
თავს უხრის შემქმნელს მადლისა გრძნობით.
დახეთ ამ მთვარეს,
სხივ-მომფინარეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა,

მოკაშკაშენი,
მოთამაშენი,
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.
ძალთა დიდება,
შექმნათა ქება
არს საიდუმლო მათი დიდება.
ქვეყნით ბუნება
ბასს ეუბნება
და ეს ბანია ქებათა-ქება.

დიახ, ქვეყანა ზეცას შეფერადებია, ყოველი არსი, სულიერი თუ
უსულო, თანასწორად გრძნობს ამ ნეტარებას და მადლს უძლვნის
შემომქმედს. აი, როგორ ჰესნის მგოსანი:

ყვავილთა ენა
არს სუნელთ ფშვენა,
საგალობელად აღმა კმეული,
წყალთა ჩქრიალი,

განთიადი

ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული.
ბუნების მაყრულს,
საქორწინოდ სრულს,
ეკავშირება, ზე ემატება,
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვსცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება.

არა სტყუა ამისი მთქმელი, მართლა რომ ღვთის ხატებაა კაცი,
თუ გრძნობა-გონება არ დაუკარგავს და ამაღლებულა (ჩაფიქრდება).
ნეტავი იმას, ვინც არასა გრძნობს და არა გაეგება-რა, მე კი „დედაე-
ნამ“ ენა ამომადგმევინა, „ბუნების კარმა“ გულში ჩამახედა და მგოს-
ნებმა ქვეყნიერება წინ სარკედ გადამიშალეს (მოისმის გიტარის ხმა)
ჩუ, ნუცა გამოსულა. (ყურს უგდებს.):

სიყვარულო, ნიჭო სრულო,
წამ-ტებილო და ხანგრძლივ მწარე,
ჯერ აკვანო სიხარულის,
მერე – კუბოვ და სამარე!
დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ,
უგზო-უკვლოდ მოარული.
სად არს შენი დასაბამი,
ან სადა გაქვს დასასრული?
ზოგი გყვედრის, ზოგი გვედრის,
ყველას კი სურს შენ გემონოს,
ვინ არის, რომ შენსა სიტკბოს
სიცოცხლე არ შეუწონოს?
დიდის ხნობით, მუდმივ გრძნობით
თუმცა არვის არ ახარებ
და წამიერ ნეტარებას
საუკუნოდ წაამწარებ,
მაგრამ მაინც ყველა გეძებს,
სულდგმულმა ვით დაგიწუნოს,
ვინ არის, რომ იმ ერთ წამში
არ გასწირავს საუკუნოს?

განთიადი

ლ ე ქ ს ო – (დიდხანს გაქვავებული ყურს უგდებს და ბოლოს გამოერკვევა) ციური ხმა, მაგრამ სიმართლე კი ჯოჯოხეთური... ნუთუ სიყვარულიც წამიერია და არა დაუბოლოებელი? (ჩაფიქრდება) მართალია, ქვეყნად სამარადისო არ არის-რა, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. უბინო სიყვარული თვით უკვდავებაა, შეყვარებული მიწის შეილი, ამ ქვეყნად ედემში მყოფი ადამია, და ადამი ხომ დღესაც ისევ სამოთხეში იქნებოდა, რომ გულისთქმას არ გადაჰყოლოდა და ხისგან ცნობადისა არ ეგემა. ნუთუ შესაძლებელია, რომ აღმამფრენი სიყვარული ოდესმე დაბლა არ დაეშვას? მაში, რაღათ გვირჩევს მგოსანთ მთავარი: „შორით ჭვრეტა, შორით ბნედაო“. (ჩაფიქრდება. ბულბული სტგენს). ხალხის შეხედულობით ეს პატარა ბულბულიც კი ვარდის ეშით გამსჭვალული მთვარეს შესჩივის თავის ტანჯვებს და შაშვი, ბუდიდან გადმოფრენილი, დილის მნათობს შეჰვითებს სიყვარულს, მაგრამ ადამიანი კი ცხოვრებისაგან გაუკულმართებული, ვერ ერევა გულისთქმას და პირდაპირ ამბობს:

„ვინ არის რომ იმ ერთ წამში
არ გასწირავს საუკუნოს.“

ჰმ! ადამმაც კი იმ ერთ წამს შესწირა სამოთხე და, როგორც მგოსანი ამბობს:

„უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება“-ო.

რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა იმას, რომ ვინც ოცნების საზღვარს გადააბიჯებს და სიყვარულის საიდუმლოებას პირბადეს ახდის, „უმსხვერპლებს“ წადილს სამოთხისა მშვენიერებას და მაინც კიდევ დაიბრუნებს მის ნაცვლად სასუფევლის ნეტარებას“. და ის ნეტარება ქორწინებით შეესისხორცება, იმავე ღვთისაგან ნაკურთხი. ჩემთვის კი ეს მიუწვდომელია... მე ვინა და ის ვინ?.. ჩემი სიყვარულის საიდუმლოებას როგორც აქამდე, ისე ამიერიდანაც ვერ აგხდი პირბადეს, „შორით ბნედა, შორით ჭვრეტა“. მაგრამ შემიძლია კი ავიტანო? ნუთუ ჩიტზე უსუსტესი ვარ და ბულბულ-შაშვის ოდნობაც არ შემიძლია?.. ცხადია, რომ არა... დღეს რომ გავიგონე, „ნუცა უნდა გათხოვდესო“, ჭუუა დამებნა, გონება დამეფანტა და თავის მოკვლა

განვიზრახე... ჯერეც კიდევ გული ვერ მომიბრუნებია (ხელებს მიიფარებს პირზე და ჩალუნავს თავს).

გამოსვლა მეორე

ისვე და ნ უ ც ა (შემოდის პალში)

ნ უ ც ა – აქა ყოფილხარ?

ლ ე ქ ს ო – დიახ, ბატონო, დიდი ხანი არ არის, რაც გიახელი.

ნ უ ც ა – მე კი მკვდრის სულივით დავბორგავ მთელი დღეა; გული აღარაფერზე მიმიდის. ხან დავწვები, ხან ავდგები, ხან ვიცინი და ხან ვსტირი მართლა რომ უკანასკნელი უამია ჩემი სიკუდილ-სიცოცხლისა. ან „ჰო“ და ან „არა“. დაჯექი, რატომ არ დაჯდები?

ლ ე ქ ს ო – (ჯდება) ვინ თქვენ და ვინ ეგ ამბავი? აგრე როგორ მოგერიათ ზაფრა...

ნ უ ც ა – იპ, თავს ზევით რომ ღონე აღარ არის? ბატონმაც დაიგვიანა.

ლ ე ქ ს ო – ეგება ლმერთმა მოგვხედოს და მართლა საქმეს აკეთებდენ?

ნ უ ც ა – ნეტავი მართლა, მეც მაგის იმედი მაქვს, თვარა...

ლ ე ქ ს ო – სხვა საშველი კი აღარა არის-რა?

ნ უ ც ა – არის, მარა ვაი მისთანა საშველს! რაღა ის და რაღა სიკვდილი... უნდა ყველაფერი დაგვეკარგოს...

ლ ე ქ ს ო – რა გაეწყობა, იმისთანას რას დაჲკარგავს კაცი, რომ სამაგიეროს შეძენა ალარ შეიძლებოდეს, გარდა სიცოცხლისა? არ მომხდარიყო, კარგი იყო და რაღაი არა ეშველება-რა, თქვენი ჭირი წაიღოს ამ ადგილ-მამულის დაკარგვამ, სხვას შეიძენთ....

ნ უ ც ა – აქ განა მარტო შეძენისა და შეძლების საქმეა. ნათქვამია, „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბალდადიც იქ არისო“. ყველას თავისი კერა უყვარს და დასაკარგავად არ ემეტება. იმიტომ, რომ დაბადები-დანვე თანმეზრდილი და შესისხლხორცებულია მასთან.

ლ ე ქ ს ო – ეგ მართალია, მაგრამ ქალები რომ თხოვდებიან და სხვას მიჰყვებიან ხოლმე, სახლსა და კარს სტოვებენ და ახალს კერას იჩენენ და ეჩვევიან.

ნ უ ც ა – ეგ სულ სხვაა, მაშინ სულ სხვა ძალა იზიდავს, სიყვარ-ული, რომელიც მამულ-დედულთან კავშირს არ აწყვეტინებს...

განთიადი

ლ ე ქ ს ო – უსიყვარულოდ ვინც თხოვდება?

ნ უ ც ა – მაგას კი ნუდა მკითხავ... კიდეც ეგ არის, რომ... (ჩაფიქრდება) ნეტავი სიცოცხლე მქონოდა დაზღვეული, მაშინ ბევრი საფიქრებელი აღარა მექნებოდა-რა, ვუმსხვერპლებდი თავს და საფლავში ის მაინც ჩამყვებოდა ნუგემად, რომ ჩემი სიკვდილით სხვები გადავარჩინე უბედურებას. ისე თავის გამეტება კი სულით დაცემაა.

ლ ე ქ ს ო – აპა რასა პრძანებთ? ეგ რა უკულმართი ფიქრები მოგდისთ?

ნ უ ც ა – შენ არ იცი, ლექსო, რა ცეცხლში ვარ. ან უნდა თავი მოვიკლა და ან გავსთხოვდე...

ლ ე ქ ს ო – (შეერთება) გასთხოვდეთ?

ნ უ ც ა – (ნალვლიანის ღომილით) უნდა თავი გავიყიდო და წავყვე იმას, ვინც არ მიყვარს... ოჟ, რა საშინელება!

ლ ე ქ ს ო – მაგას მეც მოვყარ ყური, მაგრამ ვერ დამიჯერებია.

ნ უ ც ა – თუ ახლაც ვერა გაარიგეს-რა, ორში ერთი უნდა ავირჩიო. შენ რომ იყო ჩემს ადგილზე, რას იზამდი, რომელს აირჩევდი?

ლ ე ქ ს ო – არც ერთსა და არც მეორეს.

ნ უ ც ა – ეგ ხომ შეუძლებელი იქნებოდა. იცი, რა გითხრა? მე მგონია, რომ არავინ იყიდის, ბანკს დარჩება და მანამდი ჩვენ როგორმე მოვახერხებთ გამოხსნას.

ლ ე ქ ს ო – არა, ბატონო ეგ ტყუილი იმედია, დღეს დილით თქვენი სახლიკაცი ისეთის მუშტრის თვალით ათვალიერებდა აქაურობას, თითქოს პირველად ჰერდავსო, იმან ოლონდ კი ეს ჩაიგდოს ხელში და სულს გაჰყიდის.

ნ უ ც ა – რათ უნდა, აკი აქვს თავისი?

ლ ე ქ ს ო – რომ თვალი დაუყენოს მეზობლებს. ცუდი დრო დაგვიდგა, ქალბატონო, გატანა აღარსად არის, ძმა ძმის მტერია, მოშურნე. კარგიც რომ გინდოდეს ქვეყნისთვის, ველარ ახერხებ, არ იცი, რა უნდა ინატრო მეზობლისათვის, გაკეთება თუ ამოვარდნა: თუ გაჭირვებულია, გაჭირვებით განუხებს და თუ დალხინებულია, მაშინ კიდევ უარესია, მოგინდომებს, რომ დაგჩაგროს და მიწასთან გაგასწოროს, ეს ჩვენში დღეს საზოგადო სენია, სამწუხარო კია, მაგრამ ასეა...

ნ უ ც ა – რატომ ან მე, ან შენ კი არა ვფიქრობთ მანგრე?

ლ ე ქ ს ო – იმიტომ, რომ ჩვენ დედის გაზრდილები ვართ, იმის კალთაში გვდებია თავი და მშობლის ძუძუ გვიწოვია. ისინი კი დედი-ნაცვლის ხელში, ქერით გამოუზრდია ძიძას...

განთიადი

ს მ ა – (გარედან) – არავინა ხართ შინ, რომ ცხენი ჩამომართვათ?
ლ ე ქ ს ო – ბატონი მობრძანდა. (მიაშურებს).

ნ უ ც ა – (მარტო) მოვიდა... მუხლები მიკანკალებს, ადგილიდან
ვეღარ დავძრულვარ. ნეტაი რა ამბავს მოიტანს? ღმერთო, შენ ხარ
მოწყალე.

გამოსვლა მესამე

ნ უ ც ა და ს პ ი რ დ ო ნ

(შემოდის დალონებული და მიუჯდება ნუცას)

ს პ ი რ დ ო ნ – რადა ხარ მანგრე დალონებული, შვილო, ხმას რომ
არ იღებ? ავად ხომ არა ხარ?

ნ უ ც ა – გაარიგე რამე?

ს პ ი რ დ ო ნ – ვერაფერი, შვილო, მპირდებოდენ და მომატყუეს;
ეს სულ დათიკოს ბრალია, თორემ თუ აქამდი გამომიძვრენია თავი,
ახლაც კიდევ მოვახერხებდი რასმე, ან იქით ვეცდებოდი ან აქეთ
და ეს დღე არ დამადგებოდა. სული მეხუთება. ჯერ არ გაყიდულა
და ასე მგონია, ქურდულად შევპარულვარ სხვის სახლში-მეთქი.
ვაი ჩემს გამწარებულს სიბერეს, თვარა თქვენ რა გიშავთ, შვილო.
ყმაწვილები ხართ: თავის საკუთარ კერის ძირში კაცი ყველაფერს
ადვილად აიტანს. დღემდი ასე მეგონა, დედაშენს არც კი გავშორე-
ბივარ, არ მომკდომია-მეთქი... აქ ყველაფერი მის თავს მაგონებდა,
ახლაც ისთე მგონია, თუ მისი სული თავს დაგვტრიალებს და ჩვენი
მწესარების თანამოზიარეა, და მაშინ კი, ეჲ... (თვალებს იწმენდა)

ნ უ ც ა – ნუთუ მართლა საშუალება აღარა არის-რა?

ს პ ი რ დ ო ნ – მის მეტი არაფერი, რაც შენ არ იცი.

ნ უ ც ა – რომ დავთანხმდე?

ს პ ი რ დ ო ნ – შენ იცი, შვილო... მეტი აღარა დაგვრჩენია-რა...

ნ უ ც ა – ოჲ, რა ძნელია უსიყვარულოდ თავის გაყიდვა! (თავს
ჩალუნავს და პირზე ხელს მიიფარებს)

ს პ ი რ დ ო ნ – მე უფრო სირცხვილი მაწესებს, გლეხს როგორ
მივსცე შვილი, თვარა ეგ არაფერია, ქალი რომ გათხოვდება და
ქმარშვილში ჩადგება სიყვარულიც მაშინ იჩენს თავს თავისთავად.
ცხონებული დედაშენი ისე შევირთე, რომ არც კი გვენახა ერთმა-
ნეთი, სანამ გვირგვინქვეშ ერთმანეთს არ შეუჭვრიტეთ ქურდულად.

განთიადი

მაგრამ ნეტავი შენ და შენი ქმარი იქნეთ ისე ბედნიერი, როგორც
ჩვენ ვიყავით და ერთმანეთი გვიყვარდა. უერთმანეთოდ ფეხი არსად
გადაგვიდგამს და პური ცალ-ცალკე არ გვიჭამია.

გამოსვლა ხორთხე

ისინივე და დ ა თ ი კ ო (შემოიჭრება გახარებული)

დ ა თ ი კ ო – აქა ხართ? რას ჩამოგიშვია ცხვირ-პირი?

ს პ ი რ დ ო ნ – რა ქენი, შვილო?

დ ა თ ი კ ო – მოვრჩი, გავათავე, შენ რაღას იტყვი, ნუცა?

ნ უ ც ა – (თავს მაღლა იღებს, ნაღვლაანის ღიმილით) მე რაღა უნდა
ვსთქვა? ჩემს მაგიერათ თქვენ კიდეც გაგითავებიათ და მორჩომილხ-
ართ...

ს პ ი რ დ ო ნ – (სიხარულით) მაშ თანახმა ხარ, შვილო?

ნ უ ც ა – ხომ ხედავთ, თქვენ ხელთა ვარ.

(ბალში, იქვე მახლობლად, გავარდება დამბაჩა)

ყ ვ ე ლ ა ნ ი – (ნამოცვივდებიან ზეზე) ეს რა ამბავია? რა ამბავია?

დ ა თ ი კ ო – (გარბის იქითკენ) ჰეი, ჰეი, რა ამბავია? ვინა ხართ
მანდ?

ნ უ ც ა – (მამას ეკვრის გულზედ) მამა!

დ ა თ ი კ ო – არიქა წყალი! წყალი მალე! ლექსოს დამბაჩა
გავარდნია უცაბედად.

ნ უ ც ა – ლექსო! (დაიკივლებს, გაქცევა უნდა, მაგრამ გული უღონდება,
ნაბარბაცდება და ხელს დაატანს).

ფარდა ეშვება

განთიადი

მოქმედება მაცუთა

მორთულ-მოკაზმული ოთახი სპირდონის სახლში

გამოსვლა პირველი

6 უ ც ა მარტო

6 უ ც ა – (სკამლოგინზე წამოწოლილს ხელში წიგნი უჭირავს და ჩაფიქრებულია). რა კარგი ნათაქვამია (კითხულობს): „სამსხვერპლოდ თავის განწირვა ნებით გოლგოთაზე ასვლაა, სათაყვანო და სამაგალითო“, მაგრამ თავის განწირვაც არის და განწირვაც... ერთი მნიშვნელოვანი და მეორე უმნიშვნელო, უნაყოფო მსხვერპლი კი უგუნურებაა და არ შეშვენის იმ ქვეყნის შვილს, რომელსაც ეს ბრძნული ანდაზა საშვილიშვილოდ გადმოუცია: „ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითერსაო“. ნეტავი თუ გრძნობდა ამის დამწერი, რომ ერთხელ როდესმე ამ სიტყვებით ჩემგან უცნობს, ჩემს უნახავს არსებას სადმე მიყრუებულ სოფელში სიკვდილს გადავარჩენო. ეჱ, სიკვდილს გადამარჩინა, მაგრამ ტანჯვას კი ვერა. ოჱ, რა ძნელია, რომ ერთი გიყვარდეს და მეორეს კი მიჰყვებოდე! ესეც ხომ თავზე ხელის აღებაა, პირადობის განწირვა და გოლგოთისაკენ წასვლა და გოლგოთა ხომ მაცხოვარსაც ეძნელა და ზეციერ მამას შეეკითხა – არ შეიძლება ეს განსაცდელი ამცდესო – სთქვა: „ილი, ილი, ლამახ საბაქთანი“-ო. ღმერთო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამიტევე მერო... ჰმ! მე ვიტანჯები და ისინი კი ბედნიერები არიან. ჩემს უბედურებას დღესასწაულობენ... მაგრამ, ეჱ, იმათი ბედნიერებაც ხომ „მკვდრის მზის“ ოდნად მაინც გამოაშუქებს და ისიც კარგია. მამა ვერ აიტანდა ამ უბედურებას და დათიკო სიღარიბეში რომ ჩავარდებოდა და აღარა ექნებოდა-რა, ვინ იცის, რას არ ჩაიდენდა...

ს პ ი რ დ ო ნ ის ხ მ ა (გარედან) – მობრძანდი, ჩემო მძახალო, ნიკოლოზ, მე და შენ კი ცოტა ხნით ოჯახს მივხედოთ.

განთიადი

გამოსვლა მეორე

6 უცა დასაყვარებლის ეფექტი შემოდის

საყვარებელი არა ვარ, რაღა მეტი მეტირვება?
ჩაგიცვამს?

6 უცა – ჩაცმული არა ვარ, რაღა მეტი მეტირვება?

საყვარებელი უი გენაცვალე! ნიშნობის დღე ქორწილზედ
ნაკლები კი არ არის, უნდა მოირთო და მოიკაზმო...

6 უცა – შინაურების მეტი არავინ იქნება.

საყვარებელი – იმ ყმაწვილს აღარა ჰკითხავ: სად გაგონილა ნიშ-
ნობა და თალხი კაბაო, მერე კიდევ ჩემს მიხას არ მოეშვენ და გადალ-
მაურებიც მოჰყვებიან თან, არ უნდოდა, მაგრამ უარი ვერ უთხრა,
ზოგი მეგობარია, ზოგი კარგი ნაცნობია და ზოგი კიდევ რა. ადე,
გენაცვალოს საყვარლისეული, საცა არის მღვდელიც გამოჩნდება.

6 უცა – უმისობა კი არ შეიძლება?

საყვარებელი – უი, არა, გენაცვალე! რაც წესი და რიგია, როგორ
მოიშლება, წადი, გენაცვალა დედა! (ნუცა მიდის. საყვარლისეული
თვალს გააყოლებს). იმას კი ენაცვალოს ჩემი თავი, რა გოგონაა! აბა,
ახლა დაუდგებათ თვალები ჩემს მტრებსა და მოშურნეებს!.. კარგია,
კარგი, მაგრამ ჩემს მიხასაც არა უჭირს-რა. თვალი დაუდგა გლეხის
შვილობას, თორემ ხელმწიფის ქალიც არ დაეკავებოდა...

გამოსვლა მესამე

იგივე და და ა თ ი კ ო (შემოდის გაჯავრებული)

და ა თ ი კ ო – ოჭ საყვარლისეულს ვახლავარ! როგორ მარტო
დარჩენილხარ?

საყვარებელი – აქამდის სულ აქ იყო ნუცა. ტანისამოსის გამოსაცვ-
ლელად წავიდა.

და ა თ ი კ ო – მოწყენილი ხომ არ არის?

საყვარებელი – უი, არა, გენაცვალე, რა აქვს მოსაწყენი, ღმერთმა
ბედნიერება მიანიჭა და... თქვენ კი როგორლაც ვერა ხართ გუნე-
ბაზე...

და ა თ ი კ ო – მე გაჯავრებული ვარ.

განთიადი

ს ა ყ ვ ა რ. – ვიზე, ჩემო ბატონო?

დ ა თ ი კ ო – ვიზე და იმ უსინდისო იოსებაზე. მამაჩემს უტი-ფრად ულოცავს ბედნიერებას: „დიდი მოხარული ვარ, რომ შენი საქმეებიც კარგად მოაწყე და ქალსაც ათხოვებო“. პმ! დაავიწყდა იმ გაიძვერას. ამას წინედ ჩვენ.ი სახლკარის ყიდვას ფიქრობდა და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

ს ა ყ ვ ა რ. – ეჲ, გენაცვალე, დღეს სოფელი სულ ასეა, ის ძველი დრო გათავდა, ულვაშის ლერშიაც სინიდისი იყო. ახლა სამართალიც უცხოა და ადამიანობაც სხვანაირი.

დ ა თ ი კ ო – ჰო-და, თუ მანგრეა, მაშინ მეც მოვუბრუნებ კეხს და ნახავს თავის სეირს!

ს ა ყ ვ ა რ. – როგორ, გენაცვალე?

დ ა თ ი კ ო – მაშინ რომ ურიისაგან ფული ისესხა ჩვენი სამო-სახლოს სასყიდლად და დაესხა თავს ლაფი, აღარ მოუნდა, ის ფულები შემოეხარჯა და ახლა თვითონ არის ჩავარდნილი ცეცხლში. ვექსილს ვადა გაუდის და მიტომ გვექალაჩუნება ახლა, რომ მიხას-თან გავურიგო და ფული ასესხოს.

ს ა ყ ვ ა რ. – უი, თუკი თქვენი სურვილი იქნება, მიხა უარს როგორ ეტყვის, არა აქვს ღვთის მოცემული თუ!

დ ა თ ი კ ო – ვიცი, ვიცი, ჩემო საყვარლისეულო, მაგრამ ახლა მე თვითონ მინდა, რომ ის ვექსილი ჩავიგდო ხელში. ვიყიდო ურიისაგან და რაც იმას ჩვენთვის უნდოდა, ის დღე იმასვე დავყენო. „მეზო-ბელმა რომ ენა გამოგიყოს, თუ შენც არ გამოუყავი, მერე კბილებს ჩაგამტვრევსო“, ხომ გაგიგონია?

გამოსვლა მეოთხე

ისინივე, ს პ ი რ დ მ ნ და კ ი კ მ ლ ა (შემოდიან)

ს პ ი რ დ მ ნ – ჰა, რას იტყვი, მძახალო?

კ ი კ ო ლ ა – ძალიან უშობელია.

ს პ ი რ დ მ ნ – რაჭიდან ჩამომივიდა, მაგრამ მგონია კი აღარ დამჭირდება. მე მინდოდა, რომ მტრებისათვის თვალი დამეყენებია, საკადრისი ლხინი გადამეხადა, მაგრამ ნუცა არა შვრება შინაურების მეტი ნურვინ იქნებაო.

განთიადი

დ ა თ ი კ ო – აგერ საყვარლისეული ამბობს, მიხას ბევრი მოჰყვებიანო.

ს პ ი რ დ ო ნ – მართლა?

ს ა ყ ვ ა რ. – მართლა, ჩემო ბატონო, არ მოეშვენ ყმაწვილები.

ს პ ი რ დ ო ნ – ჩვენი ყმაწვილები? ეგ არაფერია. იმათთან შინაურათაც იოლად წავალთ: ცხვრებია შინ, ინდაურები, გოჭები და ქათმები.

დ ა თ ი კ ო – იმათი მე ვიცი, ღვინო კი იყოს და სხვა არაფერია.

კ ი კ ო ლ ა – ლხინის გადახდას მერეც მოვესწრობით ღვთით.

ს პ ი რ დ ო ნ – ოლონდაც ი მღვდელმა რად დაიგვიანა? მე ძველი კაცი ვარ და ძველ ჩვეულებას ვერ უღალატებ. ბეჭედი უნდა ჩემს სახლში აკურთხონ.

კ ი კ ო ლ ა – გიახლებათ. სანამ სასიძო არ მოვა, რა მოხელეა? ალბად, იმას უცდის!

ს პ ი რ დ ო ნ – შენ ძალიან გამოპრანჭულხარ, მძახალო. სწორედ შენა ჰეგვარ სასიძოს მაგ მაუდის ჩოხაში. ხე, ხე, ხე, ხე! წვერებიც რომ მოგიპარსავს, გაყმაწვილებულხარ! რას იტყვი, საყვარლი-სეულო?

კ ი კ ო ლ ა – ხე, ხე, ხე, ხე! ჩემმა კნეინამ არ მომასვენა, რაღა დროისთვინ გინდა ეგ შენი ოხერი, თუ დროზე არ მოიხმარო...

ს ა ყ ვ ა რ. – ჰე, ბატონო, მოჰყვება ახლა.

კ ი კ ო ლ ა – რომ მოვყვები, განა ტყუილია? ეს ჩოხა ჩემი ხნის არის, ბატონის სასახლეში რომ ამ კუდიანზე ჯვარი დავიწერე, მაშინ შევიკერე და მას უკან ორჯელ-სამჯერ თუ მცმია და ისიც საუფლო დღეს, დაკეტილში აქვს შენახული ამ ჩემს კნეინას, რომ არ მომაკარებს და რა დაგლეჯდა?..

ს ა ყ ვ ა რ. – ჰაი, ჰაი, მაგეებს რომ ამბობ, რატომ იმას კი არ მოახსენებ, თუ რად დაგიმალე?

კ ი კ ო ლ ა – ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი!

ს ა ყ ვ ა რ. – საეშმაკოზე შენ გიჭირავს თვალი, კაპარეულს რომ გადაეკიდე და მაგ ჩოხაში გამოკვანწული ეტორლიალებოდი, მიტომ დაგიმალეს ეგ ჩოხა, შე სულწანყმედილო...

ს პ ი რ დ ო ნ – ჰაა! ჩემი მძახალო, თუ არა მაგისთანა ადამიანი ყოფილხარ შენ? ხა, ხა, ხა! მე კი მეგონა, რომ ჭიასაც ვერ გააღვიძებდი.

დ ა თ ი კ ო – მართალს ამბობ, თუ გიყვარდე, საყვარლისეულო?

განთიადი

ს ა ყ ვ ა რ. – ჯერ ახლაც არ არის კარგი თვალის, თუ არა ყმაწვილობისას მუსუსი იყო, მუსუსი.

კ ი კ ო ლ ა – (იღიმება) აი, ისემც გაგიძლია! ყური რომ ვიწმებ უცხომ მოჰკრას, ხომ მართალი ეგონება!

ს ა ყ ვ ა რ. – ტყუილია? კაპარეულს არ ეტორლიალებოდი?

კ ი კ ო ლ ა – ვეტორლიალებოდი რომელია, შე მართლა და რჯულზე ხელალებულო! არ იცი, რა არის ის ქალი? ჩემი ნათლიდედაა.

ს ა ყ ვ ა რ. – ნათლიდედა? ახლა შენთვის ყველა ნათლიდედაა და მაშინ კი...

კ ი კ ო ლ ა – ნნუ, ნნუ, ნნუ! ქალი და მერე კიდევ ნამოახლი, რას არ იტყვიან!.. ქართველმა კაცმა მაგისთანა ურჯულობა როგორ უნდა წააცდინოს პირს? მირონის გატეხა სად გაგონილა?

ს პ ი რ დ ო ნ – კარგია ახლა, ხუმრობაში მართლა უკმაყოფილება არ შემოგერიოსთ, მართლა, ველარ გკითხე, ლექსო როგორ გყავთ?

კ ი კ ო ლ ა – გმაღლობთ, ჭრილობამ გაუარა.

ს ა ყ ვ ა რ . – გაკაწრული იყო, მაინცდამაინც დიდი ჭრილობა არა ჰქონია, განზე წასულიყო ტყვია.

ს პ ი რ დ ო ნ – მაღლობა ღმერთს, ჩვენ კი ძალიან დაგვაფეთა და...

კ ი კ ო ლ ა – მართალია თურმე... წელიწადში ერთხელ ი წყეული გატენის ხოლმეო...

დ ა თ ი კ ო – ვინ წყეული?

კ ი კ ო ლ ა – ეშმაკი, ჩემი ბიჭი თურმე მთვარიანში, როგორც მოგეხსენებათ, ჩახმახს უჩხიკინებდა, კაუს უცვლიდა. გატენილი როდი ჰკონებია, ვენაცვალე ლვთის მაღლსა და მის სასწაულს, გადარჩა!

დ ა თ ი კ ო – ხომ სულ მორჩენილია?

კ ი კ ო ლ ა – მორჩენით მორჩა, მაგრამ ზაფრა დასჩემდა და აღარა ეხალისება-რა...

ს პ ი რ დ ო ნ – ეგ არაფერია, დიდი ხნის ლოგინში წოლამ იცის, რომ გაივლ-გამოივლის, აქეთ-იქით თვალსა და გულს გადაყოლებს, გადაუვლის.

ს ა ყ ვ ა რ. – მეც მაგის იმედი მაქვს, ჩემო ბატონო.

ს მ ა (გარედან) – დათიკო, შინა ხარ?

დ ა თ ი კ ო – (გაიხედავს ფანჯარაში) ნიკო, შენა ხარ? რატომ შინ არ შემოხვალ?

განთიადი

ნ ი კ ო – არა მცალიან, შენ გამოდი, სათქმელი მაქვს და აი ესეც გამომატანა შენ გადმოსაცემათ მიხამ. (დათიკო გადის).

ს პ ი რ დ ო ნ – რა უნდა იყოს წეტავი?

ს ა ყ ვ ა რ. – ნიშანს გამოატანდა ჩემი მიხა. მერე თვითონაც მოჰყვება თან.

გამოსვლა მახუთა

ისინივე და დ ა თ ი კ ო (შემოდის აღელვებული, ხელში წერილი უჭირავს).

ს პ ი რ დ ო ნ – ცუდი ამბავი ხომ არა არის-რა?

დ ა თ ი კ ო – დღეს აღარ მოხერხდება ნიშნობა.

ს პ ი რ დ ო ნ – როგორ თუ არ მოხერხდება?

ს ა ყ ვ ა რ. – ვაიმე, ავად ხომ არ გამხდომია, ვენაცვალე!

დ ა თ ი კ ო – უარესიც გვემართება. ვაი თუ სულაც ჩაიშალოს ნიშნობა!

ს პ ი რ დ ო ნ – კი ნუ ხუმრობ, ყმაწვილო!

დ ა თ ი კ ო – რა მეხუმრება, დანა რომ მკრა გულში, სისხლი არ გამომივა.

კ ი კ ო ლ ა – რა მომხდარა მაგისთანა, რა ამბავია?

დ ა თ ი კ ო – რაღა რა ამბავია, ღმერთი რომ გაუწყრება მტერსა და ავს: ვიღაც რუსის ქალი მიდგომია კარზე ორი შვილით, შენი ცოლი ვარო...

ს ა ყ ვ ა რ. – უარეს, ტყუილი იქნება, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! ვინმე უმტრობდა – ეგ სულ მტრობისა და შურის საქმეა.

ს პ ი რ დ ო ნ – იმე, იმე იმე, რა ხუმრობაა!

დ ა თ ი კ ო – აი, ბატონო, თუ ხუმრობაა (უჩვენებს წერილს). თითონვე იწერება... სუყველანი წამოცვივდებიან ზეზე და შემოეხვევიან გარს. აბა ერთი, რას იწერება?.. „ძმაო დათიკო, ვფიცავ შენს მეგობრობას, რომლის უძვირფასესი აღარა დამრჩენია-რა, რომ მე ბრალი არა მქონდეს ამ უბედურებაში, რომელიც მოულოდნელად მომადგა კარზე. კარგად იცი, რომ შენთან დაფარული არა მქონდა-რა და კიდეც მითქვამს, რომ პირველ წელიწადსავე, რუსეთში რომ გადავედი, ცოლი შევირთე. გავპედნიერდი და ცოლმაც გამაბედ-ნიერა. მეხუთე თვეს ვაჟი შემეძინა და მეექვსეს გამაქცა.

განთიადი

აფიცერს გაჰყვა და გადიკარგა. მას უკან ამდენი ხნის განმავლობაში მისი ასავალ-დასავლის ველარა გავიგეთ-რა და მკვდარი გვეგონა, დღეს კი კარზე მომადგა ორი შვილით. შეგიძლია წარმოიდგინო ჩემი მდგომარეობა. სანამ ამას არ მოვიშორებ თავიდან, მეც ხელშეკრული ვარ. რალა თქმა უნდა, არც ჩემს თავს და არც შეძლებას არ დავზოგავ და შენი დახმარების იმედიცა მაქს. „ძმა ძმისთვისაო და შავი დლისთვისაო“. სანამ საქმეს არ გამოვასწორებ, მე გამოსაჩენი პირი აღარა მაქვს და სხვა შენ იცი. მეტს აღარასა გწერ. შენი სიკვდილამდე მიხა“.

ს ა ყ ვ ა რ. – უი, დამიდგეს თვალები! (ჩაჯდება და პირზე ხელებს მიიფარებს).

კ ი კ ო ლ ა – ეეჳ, ესეც შენი მიხაილ ნიკოლაიჩი! უყარეთ ახლა ღომის კაკალი.

ს პ ი რ დ ო ნ – ვაი, დალუპულო ოჯახო! (თავში დაირტყამს ხელს).

დ ა თ ი კ ო – რა იყო, რა დაგემართათ?

ს პ ი რ დ ო ნ – მეტი რალა უნდა დამემართოს, შვილო, წყალს გადავრჩი და ცეცხლში კი ვვარდები... ვაი უსაშველოდ დალუპულო ოჯახო!

დ ა თ ი კ ო – განა არ იცი, რომ თქვენს ოჯახს ერთი გროშიც აღარ ადევს ვალი. ბანკი გასტუმრებულია.

ს პ ი რ დ ო ნ – ბანკი? სხვები რა ხეირს დაგვაყრიან, შვილო!

დ ა თ ი კ ო – ჩემი ვალი თქვენი და თქვენი ოჯახის გადასახადი არ არის, მე და მიხას მეგობრულ ანგარიშში თქვენ ნუ შემოდიხართ, უფრო სხვა რამ იფიქრეთ...

ს პ ი რ დ ო ნ – განა მარტო ეგ არის? ხომ მომეჭრა ქვეყანაში თავი! ი საპრალო ქალიც გავაუბედურე. რალა ვუპასუხო მტრებს და ვინდა გადამარჩენს სირცხვილს?

გამოსვლა მეეჯვე

ისინივე და ნ უ ც ა (შემოდის)

ნ უ ც ა – მამაჩემო, მესმოდა თქვენი ხმაამაღალი საუბარი და გავიგონე, რაც გაშფოთებსთ... მე კი ღმერთს მადლობას ვსწირავ, რომ უარესისაგან დაგვიფარა... ჩემი საქმრო ღმერთმა აბედნიეროს თავის ცოლ-შვილში და მე კი იმას გავყვები, ვინც მიყვარდა, მიყვარს

განთიადი

და მეყვარება... ვისაც მე ვუყვარვარ – ვიცი, თუმცა ის მის სიყვარულს გულში ინახავდა და ენისათვის არ წამოუცდენებია.

ს ა ყ ვ ა რ. – ვაი ჩემს გაგონებას! ახლა კი გავხდი მტრის შანის მოსაგებად...

6 უ ც ა – მაგისი ნურა გეფიქრება-რა. იცოდე, რომ შენს რძლობაზე ხელს ვერ ავიღებ.

ს ა ყ ვ ა რ. – ქრისტემ განუგეშოს და გაგახაროს!

დ ა თ ი კ ო – აბა, შენ იცი, თუ ხელს შეგვიწყობ შენც და სანამ საქმე არ გამოეწყობა, შენც მოგვიცდი.

6 უ ც ა – ეგ კი შეუძლებელია, ჩემი ბედი ამაღამვე უნდა გადასწყდეს.

ს პ ი რ დ ო ნ – აგრე მალე არ მოხერხდება, შვილო, უსინოდოთ არ გათავდება.

6 უ ც ა – სინოდთან რა ხელი მაქვს, მე უნდა ლექსოს გავყვე.

ყ ვ ე ლ ა – ლექსოს!

6 უ ც ა – დიახ. მე მის მეტს ქმრად არ შევირთავ!

ს პ ი რ დ ო ნ – ხუმრობ, შვილო, სად შენ და სად ის?.. არ იცი, შენ და იმას შუა რა დიდი საზღვარია?

6 უ ც ა – მხოლოდ ერთი – გაბედული ნაბიჯი.

ს პ ი რ დ ო ნ – მალლიდან დაბლა. შენ კეთილშობილი ხარ და ის გლეხი – ამათი შვილი, (ხელს აშვერს კიკოლასა და საყვარლისეულისაკენ).

6 უ ც ა – მართლა? მიხა კი ამათი შვილი არ იყო და ლექსო მიხას ძმა?

ს პ ი რ დ ო ნ – კი, მაგრამ ეს სულ სხვაა, ის კაცი გილდის კუპენია, მდიდარი და გამოჩენილი. სხვაც რომ არა იყოს-რა, დედოფალსავით შეგინახავს.

6 უ ც ა – ჰოდა, მაშ აქ ქონებაზე ყოფილა საქმე და არა აზნაურ-გლეხობაზე.

ს პ ი რ დ ო ნ – აპა, როგორ გინდა, ქვეყნიერება ადამის აქეთ ასე მომდინარობს და მარტო ხომ წინ ვერ გადაელობები? შენც რომ კიდეც მოინდომო, ვინ დაგვთანხმდება?

6 უ ც ა – მე თანხმობას აღარა ვთხოულობ, ახლა თქვენც ვალ-დებული ხართ, რომ ჩემი სურვილი აასრულოთ. სიყვარულზე უფრო უტკბესი და უმდიდრესი არა არის-რა. მაგრამ მე ჩემი სიყვარული ვუმსხვერპლე თქვენს ბედნიერებას და მივყვებოდი ცოლად იმას, ვინც არ მყვარებია და თქვენ კი არ გინდათ, რომ თქვენი ფუჭი

განთიადი

და უმნიშვნელო აზნაურული ყოფა დაუმორჩილოთ ჩემს ერთადერთ ბეჭინიერებას! არა, ჩემი სურვილია, ლექსოს წავყვე და ხელსაც ამაზე ვერვინ ამაღლებიებს. შენთან მოვდივარ, საყვარლისეულო!

ს ა ყ ა რ. – უიმე! რასა ბრძანებ, გენაცვალე! ი ბიჭი რა თქვენი შესაფერია. ისევ იმ ყმანვილს მოუცადე, გენაცვალოს ჩემი თავი!

6 უ ც ა – არ გინდივარ რძლად? (გამოტრიალდება) შენ რალას იტყვი, ნიკოლოზ? შენც მწუნობ?

კ ი კ ო ლ ა – მოგიკვდეს დამწუნებელი! ჩემი ოჯახი რა ლირსია, რომ ჩემს ქოხში შემოდგათ ფეხი? ვაი თუ ჩვენმა დარიბმა ოჯახმა ველარ შეიძლოს თქვენი შენახვა.

6 უ ც ა – (სიტყვას აწყვეტინებს) შენახვა? ეგ ტყუილია, ყოველ ოჯახს შეუძლია შენახვა, თუ დიასახლისი უვარგა. მე შეუერთებ ჩემს მარჯვენას ლექსოსას და სადაც შრომისმოყარეობა კეთილ სურვილებთან იქნება შეთანხმებული, იქ სიღარიბე ველარ მიბედავს.

კ ი კ ო ლ ა – (აიხედავს ზეცისკენ, ხელებაშვერილი) “დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენი!” შენი ნაბრძანებია – დაბალი ამაღლდეს და მაღალი დადაბლდეს. იყავნ ნება შენი!

ს პ ი რ დ ო ნ – (დათიკოს) შენ რალას ჩაგილუნავს თავი და გაქვავებულსავით დგახარ? რატომ არას იტყვი?

დ ა თ ი კ ო – აა! (გამოერკვევა) გაუმარჯოს საქართველოს! ვაშა, ვაშა, ვაშა!

ს პ ი რ დ ო ნ – (შეკრთება) ვაიმე, შენც გადამერიე, შვილო?

დ ა თ ი კ ო – ენა მაქვს წაჩვეული. დღემდი ერთი ჭიქა ღვინო ისე არ დამილევია, რომ წარა-მარა ასე არ დამეყვიროს, მაგრამ არც ჩემთვის, არც ჩემისთანებისათვის გიუჯი არავის დაუძახნია და ახლა, როცა მართლა და დროზე კანონიერად წამოვიდახე, სიგიურს მნამებთ? არა, მამაჩემო! ნუცას სიტყვებმა მეც გულში ჩამახედეს, ჩამაგულისხმეს... წაჰყვეს ლექსოს, ეგებ ეგ გზა უფრო სწორი გამოდგეს. მეც დღეიდან ორივეს გვერდში ამოუდგები, რომ მათი ჭირიც და ლხინიც გავიზიარო. დროა მოვიგონოთ ისევ მამაპაპური „მუშური“ და დავიკინყოთ სამასხარო „მრავალუამიერები“, რომ მომავალს მზად დაუხვდეთ.

ს პ ი რ დ ო ნ – ვაი ჩემს დაღუპვას!.. რაებს ამბობ, შვილო? გონებას მოეგე, ვის უნდა დაუხვდეთ?

დ ა თ ი კ ო – განთიადს, რომელიც მოახლოვებულია და სათვალ-დათვალი!

ს პ ი რ დ ო ნ – რატომ ჩვენ არ ვხედავთ და შენ კი.

განთიადი

დ ა თ ი კ ო – იმიტომ, რომ მე უფრო ახლოსა ვარ იმაზე, ვიდრე შენ და ის განთიადი აი იმის შვილია – მომავალი თაობა და როცა ის მოვა, მაშინ, მხოლოდ მაშინ „მზეშინაც“ გვეთქმის და „მრავალუამიერიც“ შეგვერგება.

ს პ ი რ დ ო ნ – აი, ახლა სულ უფრო აღარა მესმის-რა. ვაი ჩემს გაძალებულს სიბერება! (დაეშვება ტახტზე).

ს ა ყ ვ ა რ. – უი, ეს რა მესმის!.. დამეფსოს ყურები და დამიდგეს თვალები!..

კ ი კ ო ლ ა – ჰეე, საყვარლისეულო, ახლა წადი და მიუჯექი იმ შენს რძალს, გირუსულებს და შენც ურუსულე სამაგიეროდ, როცა კი მოახერხო. მე კი გულს ამათკენ მივყევარ (მიაშვერს ხელს დათიკოს და ნუცას. სურათი).

ფარდა ეშვება

(დ ა ს ა ს რ უ ლ ო)

(1903 წ.)

ჰელკია

ოთხ მოქმედებიანი სცენები

მოძრავი პირი:

ვახუშტი ცხვარაძე – სოფლელი თავადი
ბექან ცხვარაძე – მისი ძმა, სამსახურში ნამყოფი
ალექსანდრე – ვახუშტის შვილი
დათია – ვახუშტის მოსამსახურე
იოსებ ლაპაძე – გადამწვარი გლეხი
ფასია ლაშაძე – სოფლელი აზნაური
ნატო – დიდებულიძის ქვრივი
ნინო } მისი ქალები
ელენე
გიგო ბეგლარიძე – ნინოს საქრმო
ოთხი გლეხი

მოძღვანება პირველი

ბუხრიანი ოთახი სოფელში

|

ვაცუპტი მარტო

ვახუშტი – (ბუხარს უზის) დათია!
ხმა – (მეორე ოთახიდან) აქა ვარ! (დრო გადის, არავინ შემოდის).
ვახუშტი – (უფრო ხმამაღლა) ჰმ!.. ბატონი დავით!

||

იგივე და დათია შემოდის
დათია – რა გინდათ?
ვახუშტი – ვახ, რა უნდა მინდოდეს! გეძახი და ხმას არ მცემ!
დათია – რა გინდათ?
ვახუშტი – ვახ, რა უნდა მინდოდეს! გეძახი და ხმას არ მცემ!
დათია – რა გინდათ?

ვახუშტი – მოდი, ერთი, თუ კაცი ხარ, ბუხარში ჯირკი გაასწორე! ვერ არის კარგათ შედებული.... გადმოვარდნას აპირებს.

დათია – (იღრიჭება) მერე და ამას რა დიდი საქმე უნდა? უჩემოთ ვერ გაასწორებ?

ვახუშტი – ვერა, შვილო, რასაც მიჩვეული არა ხარ ყმაწვილობიდანვე, სიბერეში ველარას მოახერხებ.

დათია – (იღრიჭება) ჰმ... სხვა?

ვახუშტი – სხვა არაფერი!.. რომ კიდეც რამე მქონოდა დასასაქმებელი, განა გამიგონებ? წელანდელისა არ იყოს, ათასჯერ უნდა დაგიძახოს კაცმა.

დათია – წელან არ მეცალა,

ვახუშტი – რა ცალი გეკიდა?

დათია – ბეჟანის კალოშებსა ვწმენდდი.

ვახუშტი – ბეჟანის კალოშებს რა უნდოდა აქ?

რეაქცია

დ ა თ ი ა – ალექსანდრესთან ამოვიდა. ძალიან კი ჩაუკრავს ფეხი! ამდენი ხანია ვწმენდ და კიდევ ვერ გავაცალე ტალახი.

ვ ა ს უ შ ტ ი – ახლა ალექსანდრესთან ბრძანდება?

დ ა თ ი ა – იქ არი.

ვ ა ს უ შ ტ ი – კარგი, გაუწმინდე, თუ ძმა ხარ! (დათია გადის, ვახუშტი თვალს გააყოლებს, სიჩუმის შემდეგ ამოიხვნებებს და თავის თავს ეტყვის) აი, ბერია, წინანდელო დროვ!.. ახლა დრო მაგათაი!.. უნდა დავუყვავოთ... ია-ვარდი წინ დაუფინოთ!.. თუ არ სიამტკბილობით, ისე ვეღარას გახდები კაცი! ჰმ, ნუ იჯავრებო, მეუბნება ის ჩემი ახირებული შვილი. მოდი და ნუ იჯავრებო! (ჩაფიქრდება) ბატონყმობას რომ უპირობდენ გადაგდებას, მაშინაც ამგვარი ნიშნები იყო!.. სწორეთ ჩამოგვართმევენ მიწებსაცა და სულ მშრალზე დავრჩებით. ღმერთმა ნუ ქნას ჩემ სიცოცხლეში და მერე მისი ნებაა: „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო“, ნათქვამია. ორი დღე აღარ დამრჩენია, წინ ორი პარასკევი აღარ მიდევს, რად გავიხეთქო წინდაწინ გული? მერე რაც იქნება, ის შვილებმა იკისრონ! მე კი მანამდე, თუ მოვახერხე, ჩემს ნებაზე ვჭამ, ჩემს ნებაზე ვსვამ და ასე მივუჯდები ბუხარს თბილად (უჩხიკინებს ცეცხლს და ლილინებს).

„გამხიარულდი, ბუხარო,
გულჩახვეული ნუ ხარო,
ზამთრისთვის შეშა ბევრი მაქვს
და ნულარაფერს სწუხარო“.

შეშა კი არა, ჯირკი!.. ჯირკი! (უჩხიკინებს)

III

იზივე და პეზან შემოდის.

ბ ე უ ა ნ – ოჳ, საღამო მშვიდობისა. გეტყობა, კარგ გუნებაზე ხარ!

ვ ა ს უ შ ტ ი – ისე შენი მტერი იყო! მაგრამ მინდა, რომ გახურე-ბულ ბუხარს გადავაყოლო გული... ჯავრს თავი წავით წავით როგორმე.

ბ ე უ ა ნ – რა მოგივიდა?

ვ ა ს უ შ ტ ი – სიბერე თავლაფდასხმული და შერცხვენილი! მივჯდომივარ კრუხივით ბუხარს... და ვეღარც იქით წავსულვარ და

რეაქცია

ველარც აქეთ. ზიარება რომ გინდოდეს... მღვდელთან გასაგზან კაცს ველარ შოვილობ. ერთობაო, თანასწორობაო!.. გამგონე ალარვინ არის და თვითონაც ველარ ინძრევი... ვერსად მიდიხარ.

ბ ე უ ა ნ – სად უნდა ნახვიდე ამისთანა დროს? რომ იტყვიან, ძალი არ გაიგდება კარშიო, სწორეთ ის არის! თოვლჭყაპი, ქარი, ტალახი, სიცივე.

ვ ა ხ უ შ ტ ი – მერე და რამ გამოგიყვანა ამისთანა დროს სახლიდან?

ბ ე უ ა ნ – საქმე მქონდა შენს შვილთან და მაინც რა ბევრია ჩემი სახლიდან აქამდე? სულ ორი ბიჯი თუ იქნება... მაგრამ გადამიცდა ფეხი და ტყვლება გავადინე.

ვ ა ხ უ შ ტ ი – უჰ! რა ხუმრობაა! ფეხი ხომ არ დაგისველდა ტალახში? ხომ არ გაცივდი? წამოიწიე ცეცხლისაკენ.

ბ ე უ ა ნ – (მოიჩოჩებს სკამს):

„ბუხარი და ერთი კაციო, ნათქვამია,
თუ გაჭირდეს – ორი კაციო;
თუ მესამეც მიემატოს,
ადექი და კარში გადიო“.

ვ ა ხ უ შ ტ ი – (იცინის) ეგ ახლანდელ ფეჩებზე უნდა იყოს ნათქვამი, თვარა ძველებურ პირლია ბუხარზე კი არა! ამისთანა ბუხარი სუთსაც ეყოფა ჩვენისთანას.

ბ ე უ ა ნ – ტყვილა დასცინიან იმ იმერელს, რომ უთქვამს „ნურც სააქაოს და ნურც საიქიოს ცეცხლი ნუ მომიშალოს ღმერთმაო“. მართლა რომ კაი რამეა ცეცხლი, თუ შენ ნებაზე ანთია.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ხუმრობ თუ? ზამთარში მაინც რა სჯობია გახურებულ ბუხარს? მარამ იმასაც თავისი ხელის შეწყობა უნდა: დაჭრილი შეშით ვერ გააძლებ, თუ ჯირკს არ შედებ. ჯირკი კი, მოგეცა ღვთის წყალობა, მოწყობილი იყოს: საღამოს რომ შეუზიზინებ ცეცხლს, გათენებამდის გააქვს გუზგუზი! სითბო? სითბოს ისეთს იძლევა, რომ ამ ჯუჭუტანებში კარებიდან, ფანჯრებიდან, თუ მაღლა ჭერები-დან რამდენიც უნდა უბეროს ქარმა, სიცივე ვერ შემოპედავს.

ბ ე უ ა ნ – მართლაც რომ მხურვალეა ჯირკი, მაგრამ სად შოვობ ამდენს?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ცოტაა ტყეში? ზაფხულში მოვატანიებ, დავა-გროვებ ხოლმე საზამთროთ და მორჩა და გათავდა.

რეაქცია

ბ ე უ ა ნ – ბევრი უნდება ერთ ზამთარს?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ასი თავს გადადის. (სიჩუმე)

ბ ე უ ა ნ – ამისთანა ლამეში დარჩენილხარ სადმე გარეთ?

ვ ა ხ უ შ ტ ი – მე? ჰმ, ნეტავი პირაქეთ არ წამეკიდებოდეს ფათ-ერავი, თვარა მე რავა შევეჩხირები?.. რათ გავიჭირვებ გაუჭირვალ საქმეს? სხვა რამე თქვი, თვარა იმას ეერ ვიტყვი, რომ ნებიერობა დამკლებოდეს. როცა სიცხეა ზაფხულში, პერანგა ვგორავ ხოლმე ჩეროში და ზამთრობით, სიცივეში, ბუხარს ვუზივარ ასე.

ბ ე უ ა ნ – ნეტავი შენ!.. მიტომაცა ხარ მაგრე შენახული!.. შენ ხომ ათი წლითა ხარ ჩემზე უფროსი! აბა ერთი შემოგვხედოს ვინმემ, თუ მე უფროსი არ ვეგონო!.. ეჱ, ან ასე რათა ვარ, რაც მე წვალება გამომიცდია!

ვ ა ხ უ შ ტ ი – წვალება?!.

ბ ე უ ა ნ – ჰო, წვალება... გაჭირვება!.. შენ რომ ზაფხულში ჩეროში ჰქონავდი და სიო დაგქიქინებდა, მე იმ დროს, ვინ იცის, იმ პაპანაქებაში, რანცმოდებული, მივდიოდი აღმართში და ვიწურებოდი ოფლში!.. იმდენი წელინადი იცოცხლე, რამდენიც მე ამისთანა ლამეში, და კიდევ უარესშიაც, გარეთ ვგდებულიყო მშიერ-მწყურვალი.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ეგ როდის?

ბ ე უ ა ნ – როდის და, სამსახურში რომ ვიყავი.

ვ ა ხ უ შ ტ ი – მაგიერათ, შე დალოცვილო, კაი კაპიტანი ხარ მაგერ!

ბ ე უ ა ნ – რას მიკეთებს მერე ეს კაპიტნობა?

ვ ა ხ უ შ ტ ი – როგორ თუ რას გიკეთებს? ხალხში გამოსული ხარ, პატივცემული და ბევრის ნანახი.

ბ ე უ ა ნ – ნანახი, თვარა მე შენ გეტყვი, რომპაპასთან ვატარებდი დროს!.. ხან იქით და ხან აქეთ დავყიალობდი დაღესტნის მთებში! ვინ უნდა მენახა? მთებს შენც კი უყურებ აგერ.

ვ ა ხ უ შ ტ ი – კი, მაგრამ სამსახურში ყოფნა მაინც სხვა არის.

ბ ე უ ა ნ – რა დაგიჯინია ეგ სამსახური. სამსახური? ოცდაათი წელინადი ვიყიალე, ჭამა არ მქონდა ჩემს ნებაზე და სმა! და რა გამოვიტანე? ნიკრისის ქარები, სხვა არაფერი!

ვ ა ხ უ შ ტ ი – პერცია?

ბ ე უ ა ნ – შვიდთუმანნახევარი წელინადში გინდა ყოფილა და გინდა არა!.. გადამეკიდა ი მამა ოხრის შვილი, პოლკის კამანდირი: ხან აქეთ მიკრავდა თავს და ხან იქით. სულ ტყეს მაჩეხიებდა, თრე-

ვამ წელში გამწყვიტა. ვიფიქრე: აქ დარჩენა ჩემი საქმე აღარ არის-
მეთქი. ჩემი ანგარიშით, საპენსიო ვადა გათავებული მქონდა და
შევიტანე ასტავკა.

ვ ა ხ უ შ ტ ი - მერე?

ბ ე უ ა ნ - მომიდვეს ხრიკი: ორი თვე გაკლია და არ გერგებაო! ვერ მიიღებ სრულ პენსიასო. მაშ შემასრულებიეთ ეგ დანაკლისი ორი თვე-მეთქი!.. მაგრამ ვინდა გამცა ხმა? ასტავკას დაბრუნება აღარ შეიძლებაო. ამომაძუებიეს და გამომისტუმრეს ასე.

ვ ა ხ უ შ ტ ი - კი, მაგრამ ხათრი და პატივისცემა მაინც მეტი გაქვს! რაღა შორს წავიდე? აი, ამ დღეებში რომ დაიარა სოფელი დამსჯელმა რაზმა, შენს სახლში ვერ შემობედა. აგიარა გვერდი და მე კი პირდაპირ მომადგა: „ამ სოფლიდან მოძრაობაში გარეული ორი გვემალება და, რადგან არ გვაძლევთ, უნდა ცეცხლი წაგიკიდოთ, დაგწვათო! ბიჭო! მე რა შუაში ვარ მეთქი? ძალაც თქვენს ხელშია და ბატონობაც მეთქი? წადით და მონახეთ! მე რას მერჩით-მეთქი? მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ვერა შევაგონე-რა, სანამ...

ბ ე უ ა ნ - სანამ?

ვ ა ხ უ შ ტ ი - სანამ იმათი უფროსი მუდრეგ აფიცერი არ გავიხმე განზე და ოცდასუთმანეთიანი არ ვუჩიჩე! მაგრამ, მაინც რომ ველარ მოვიშორე ყე, სანამ ბელელი არ გააღეს, რომ ყველაფერი გამოეტანათ და მარანში არ ჩავიდენ...

ბ ე უ ა ნ - მარანშიაც ჩავიდენ?

ვ ა ხ უ შ ტ ი - ჩავიდენ, მოახდევინეს ოცდაათკოკიანი, მოუსხდენ ქვევრის პირს და სვეს და სვეს! ხელოსანს ორშიმო მიეწოდებია და თავზე გადაემტვრიათ მისთვის: ეგ რათ გვინდაო?

ბ ე უ ა ნ - აბა რით იღებდენ?

ვ ა ხ უ შ ტ ი - გაიძვრეს, თურმე, ი მაღალყელიანი ჩემები რომ აცვიათ, და იმითი იღებდენ, სანამ არ იჯერეს გული. რაც დალიეს - დალიეს, რაც არა და გააუზმინდურეს და გაუდგენ გზას.

ბ ე უ ა ნ - არ გიჩივლია?

ვ ა ხ უ შ ტ ი - მეორე დღეს გადავიდა ჩემი ალექსანდრე უფროსთან და უთხრა ყველაფერი, მაგრამ...

ბ ე უ ა ნ - მაგრამ რაო?

ვ ა ხ უ შ ტ ი - „ბრიყვები არიანო, აბშიკა მოსვლიათო, თვარამ თქვენთან რა უნდოდათო? ვუბრძანებ, რომ აშ აღარ გაბედონო, მინავათ, პოულუსტაო!“ თურმე რომ გადავებუგეთ, მაშინაც ასე მეტყოდენ: „მინავათ, პოულუსტაო!“ და ამითი გამითავებდენ საქმეს.

რეაქცია

ქ ა ლ ი ს ხ მ ა (გარედან) – ცეცხლი! ცეცხლი წაუკიდეს სახლს, (ნამოცვინდებიან) გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი!

ბ ე ჟ ა ნ და ვ ა ხ უ შ ტ ი – სად გაჩდა? სად?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (შემოიჭრება) რა ამბავია, რა ამბავი? ხ მ ა (გარედან) – მიშველეთ, მიშველეთ! ნუ ამხდით ნამუსს!

IV

იგინივე, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ა თ ი ა

დ ა თ ი ა – არაფერია, არაფერი! გადარეული ყვირის!

ყ ვ ე ლ ა – ვინ გადარეული?

დ ა თ ი ა – წვერაძის ცოლია!.. ამას წინათ მივიდნენ ყაზახები, სახლი დაუწვეს და ეგეც იმდენ ხალხში გააუპატიურეს ძალლი-ვით... „გადავარდნილი შვილი რომ გყავს, სად იმალება, რად არ გვეტყვიო...“ გადაირია და მასუკან აგრე დადის გიჟათ. ხან ერთს შეუვარდება ეზოში და ხან მეორეს და სულ მაგრე გაიძახის. აი, დაწყვლის ღმერთიმა, საიდან სად მოსულა აქ?

ბ ე ჟ ა ნ – ჩვენ კი გულები გადმოგვიტრიალდა და!

ვ ა ხ უ შ ტ ი – მეც ისე მგონია, თუ ამ სასახლეს წაუკიდეს ცეცხლი-თქო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ოჳ, უბედური! (დათიას) რა გაცინებს? თუ ღმერთი გწამს, ღამე გაათევინე! ამისთანა ამინდში ნუ გაუშვებ!

დ ა თ ი ა – ბანრითაც რომ დააბათ, გაჩერდება? ეგ სულ მაგრე დაწანწალობს მთელი ღამე. ახლა წასული იქნება... აქ კი აღარ მოიცდიდა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – წადი, ეგები დაეწიო... ნუ გაუშვებ, თუ ღმერთი გწამს!

დ ა თ ი ა – ახლა იმას უნდა გამოუდგე?

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ – ცეცხლი, ცეცხლი!! გამიშვით, თქვე ძალლებო, გა...

დ ა თ ი ა – ეჳ, საიდან იძახის... (ბეჭანს) თქვენსას ჩასულა.

ბ ე ჟ ა ნ – ცოლ-შვილი არ შემიშინოს, ჩაირბინე ერთი!

დ ა თ ი ა – არა, დიღხანს არც იქ მოიცდის. ერთს დაიძახებს და გაუდგება გზას.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – შვილი სადღა არის მაგისი?

დ ა თ ი ა – აფრასიონი? გადავარდნილია, ტყეში იმალება. მოუყრია თავი სხვადასხვა გადავარდნილებისათვისაც და აღარავის ზოგავს: არც მტერსა და არც მოყვარეს.

ვასუ შტი - ასე გაუკითხავათ?

დათია - მე ვინ გამიტოთხა, რომ მე სხვა გავიკითხოვო? სახლი აღარ მაქტს და კარიო, ოჯახი ნამუსახდილია და მეც სასიკვდილოთ დამდევენო.

ბეჟან - შენ რა იცი მერე? სად გინახავს?

დათია - როგორ არ მინახავს? ორჯერ მოვიდა ჩვენ სოფელში, ხარჯი წაიღო.

ვასუ შტი - მერე, ვერ დაიჭირეთ?

დათია - მოდი და დაიჭირე!.. თან ჯარი ჰყავდა დაიარალებული და, მარტოც რომ ყოფილიყო, ხელს მაინც არავინ ახლებდა. გლეხს არც არაფერს ის ერჩის და არც გლეხები ერჩიან! (შორიდან მოისმის წივილ-კივილის ხმა),

ბეჟან - ჩუ, ხმაურობაა სადღაც! (ყველანი მიცვიდებიან ფანჯარასთან და ყურს უგდებენ).

ვასუ შტი - ქალების ხმაა, ალბათ ვინმე მოუკვდათ.

დათია - არა, ამ კვირაში სულ მაგრეა! ვისმეს დაეცემოდენ ასაკლებად, ცეცხლს წაუკიდებდენ და ის იქნება.

ალექსანდრე - მართლა!.. აი, კიდეც მოსჩანს ცეცხლი, ჩვენს პირდაპირ გაღმა იწვის ვიღაც.

ბეჟან - მერე-და ამისთანა დროს როგორ იწვის, ასე ბდლიალბდლიალი რომ გააქეს?

დათია - ხის შენობაა!.. მერე იმათაც იციან ხერხი: მიასხამ-მოასხამენ ნავთს და მერმეთ მისცემენ ცეცხლს; რასაკვირველია, აბდლიალდება.

ვასუ შტი - ცოლ-შვილი? სად უნდა წავიდენ ამ სიცივეში? ზაფხული რომ იყოს, კიდევ ჰო!.. ტყეში მიიმალებიან.

დათია - ცოლ-შვილს რას დაგიდევენ! ისენიც სადმე მეზობლისას შეიფარებენ თავს. ნეტავ ვინ უნდა იყოს?

ბეჟან - (გაიხედავს) უჰ, ეგ ლარაძის სახლია! ვაი, უბედური!

ალექსანდრე - რას ერჩიან?

დათია - გაკეთებული გლეხია და ისენიც ამოარჩევდენ.

ალექსანდრე - რათაო?

ბეჟან - ტყვილა, ისე, რომ ხალხი შეშინდეს! ეჰ, ჩვენც ბევრი სოფელი დაგვიწვავს დაღესტანში.

ვასუ შტი - მოდი და ნუ შეგეშინდება შენ... ესეც შენი ახალი მოძრაობა! (გამობრუნდება თავის ქნევით).

რეაქცია

ოოჯმედება მეორე

ალექსანდრეს კაბინეტი, ალექსანდრე მაგიდას უზის და სწერს. დათია ოთახს ალაგებს.

|

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, დ ა თ ი ა

დ ა თ ი ა – მართალი გამოდგა. ლარაძე ყოფილა, ჩვენი იოსები, რომ დაუწვავთ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – იოსები? ჰმ!..

დ ა თ ი ა – ნაშუალამევი იქნებოდა, რომ მისი ატირებული ცოლ-შვილი ჩვენსა აქ გადმოვიდა, ბოსელში მოვათავსე.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – კარგი გიქნია.

დ ა თ ი ა – დღეს, გათენდა თუ არა, იოსები მოვიდა, ნახვა უნდა თქვენი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – შემოიყვანე. (დათია გადის).

||

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და ი ო ს ე ბ ი შემოდის და განზე გადგება

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – იოსებს გაუმარჯოს

ი ო ს ე ბ ი – (დალონებული) ლმერთმა ნუ მომაკლოს თქვენი სიცოცხლე.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – მოიდგი სკამი, (მიაწოდებს სკამს).

ი ო ს ე ბ ი – არა, თქვენი ჭირიმე, ასეც არა მიჭირს-რა, ფეხზე! მე რა მრჯის თქვენთან ჯდომას!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (იცნის) ნეტავ არ სულელობდე ერთი!.. რა პატივისცემა ზეზე დგომა, რომ ნიფელასავით დამდგომიხარ თავზე?

ი ო ს ე ბ ი – არა, შენი ჭირიმე, არა მიჭირს-რა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – მოდი ახლოს!.. მოიდგი სკამი!..

ი ო ს ე ბ ი – (ჯდება) გადლეგრძელოს ლმერთმა!.. ნუხელის მთელი ღამე ფეხზე გავათენ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – მით უფრო!.. შენი ფეხზე დგომა მე ვერაფერს შემმატებს და შენ კი ისეც გეყოფა დაღალვა. რა ამბავი იცი?

რეაქცია

ი ო ს ე ბ ი – რაღა უნდა ვიცოდე? წუხელის გადამწვეს და გადამხრაკეს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (შეწუხებული) ვიცი, ვიცი! რას გერჩოდნენ?

ი ო ს ე ბ ი – რა ვიცი, შენი ჭირიმე, ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი: „სუდიათ რათ იყავიო?“

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – სუდიათო?

ი ო ს ე ბ ი – ჰო, სუდიათო, შენი ჭირიმე! იმ ახალთაობის დროს, პოლიცია რომ აღარ იყო, სუდია და პოსრედნიკი გააუქმეს და ღუბენატორიც გადადგა, ჩვენ გამოგვიცხადეს: ახალი დრო დადგა და ახლა თქვენ უპატრონეთ თქვენ თავსო! ჩვენც, თქვენი ჭირიმე, რაღა გზა გვქოდა, ავდექით და შევუდექით საქმეს! პოლიციაც ჩვენს ხელში გადმოვიდა და სამართალიც, სოფელმა თავისი სუდიები აირჩია და მათ რიცხვში მეც მოვჰყევი.

III

ისენივე და ვ ა ხ უ შ ტ ი შემოდის, ი ო ს ე ბ ი წამოხტება ზეზე, განზე გადგება. ვ ა ხ უ შ ტ ი ჯერ გაფერთხავს და მერე დაჯდება ნაჯდომ სკამზე

ვ ა ხ უ შ ტ ი – ოჳ, იოსებს გაუმარჯოს!.. კაცო, რა მოგივიდა, რომ ცეცხლი წაგიკიდეს? მეწყინა, მამაჩემი ნუ წამიწყდება.

ი ო ს ე ბ ი – თქვენი თავი ნუ მომიშალოს ღმერთმა! მე რაც მომივიდა, ის თქვენს მტერს, მაგრამ რა გაეწყობა? ალბათ ღვთის რისხვა იყო ჩემს თავზე.

ვ ა ხ უ შ ტ ი – მაინც რა სთქვეს? რათაო?

ი ო ს ე ბ ი – წელანაც მოვახსენებდი ამათ, „სუდიათ რათ იყავიო?“ რა მექნა, შენი ჭირიმე? მე ხომ ჩემი ნებით არ ვყოფილვარ? მიბრძანეს და დავდექი! სოფელს სად წაუხვალ?

ვ ა ხ უ შ ტ ი – მერე-და ახლა გაახსენდათ ამდენი ხნის საქმე? მიზეზი აუკრეფიათ.

ი ო ს ე ბ ი – აგრე იქნება, მაინც ჩვენი სუდიობით რა წავახდინეთ, რაც არა გავაკეთეთ-რა? იმ ცოტა ხანში, სანამდი ჩვენ ვიყავით. ჩვენს სოფელში ცუდი არა გაგონილა-რა!.. თვარამ თქვენც მოგეხსენებათ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – კი, მაგრამ სამართალს როგორ სჭრიდით, რომ კანონების არა გაგეგებათა-რა? (იცინის).

რეაქცია

ი ო ს ე ბ ი – კიდეც მიტომ ადამიანი დაიბადება თუ არა, ავ-კარგის გარჩევა თანვე დაყვება, ღვთით. კანონები გულშია, თუ-კი სინიდისზე გაივლის კაცი! და ჩვენც არა დაგვიკლია-რა ღვთით.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ხალხიც გემორჩილებოდათ?

ი ო ს ე ბ ი – ერთობა იყო და მაშ რა იქნებოდა! იმ ორ-სამ თვეში ამ ჩვენს სოფელში ცუდი არა გაგონილა-რა ყოველიფერი უკულმარ-თობა მოისპოვო, იტყოდა კაცი, დარისპან კობახიძეს – თქვენც კარ-გათ იცნობთ, სოფელმა ვეღარ გაუძლო!. ქურდი იყო მისთანა, რომ თვალში წამწამს გამოჰპარავდა ადამიანს. ორჯერ-სამჯერ კიდევაც დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში, მაგრამ რა გამოვიდა? რომ გამოუშვეს, უარესიც ჩაიდინა. რამდენჯერ გასთევა სოფელმა: „გადაასახლეთ... მოგვაშორეთ“, მაგრამ არ იქნა... ფული რომ მოყვებოდა ხელში, გამოიძვრენდა ხოლმე თავსა, ახლა კი...

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ახლა რაო?

ი ო ს ე ბ ი – სადღაც გოჭი მოეპარა და ჩაგვივარდა ხელში.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – მერე?

ი ო ს ე ბ ი – ჩვენ, შენი ჭირიმე, ჩავაბით ბაწარი ყელში, ისე მარყუფათ ზურგზე ავკიდეთ ცოცხალი გოჭი და ისე დავატარეთ სოფელი. გოჭი ჭყიოდა, რაც შეძლო. დაგვეღვენ ბოვშები სიცილ-კიუინით და ერთი ვაი-უშველებელი იყო...

ვ ა ხ უ შ ტ ი – მერე-და რა ენალვლებოდა იმას, თუ მეტი არაფერი?

ი ო ს ე ბ ი – რატომ ბრძანებ, შენი ჭირიმე? ნათქვამია: „სირცხ-ვილს სიკვდილი სჯობიაო“. ის რომ მაშინ გენახათ, სწორეთ შეგეცო-დებოდათ. ბევრი გვეხვერნა: „ნუ მიზამთ მაგისთანა საქმეს!.. თავს ნუ მჭრით!.. გამიშვით და ფულს მოგცემთო“; ჩემს დღეში მაგისთანა საქმეს აღარ ჩავიდენო“. ქრთამსაც გვაძლევდა, მაგრამ განჩინების მოშლა როგორლა შეიძლებოდა?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ახლა აღარ იპარავს?

ი ო ს ე ბ ი – მას უკან ვინდა ნახა? სად არის? გაუშვით თუ არა, შინ აღარც კი დაბრუნებულა, ისე გადავარდა სადღაც. ალბათ შერ-ცხვა ტოლ-ამხანაგების... მადლობა ღმერთს, ამის შემხედვარე სხვაც ვეღარავინ რამეს ჰერდავს და მოსვენებულია სოფელი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ეგ უკანონობაა! მაგრამ კანონზე უკეთ კი გაუჭრია და! (იცინის).

ი ო ს ე ბ ი – მიქელა სომეხს ქვრივმა რძალმა უჩივლა, „ძალა იხმარაო“. ჩვენც გამოვიძიეთ და, მართალი რომ გამოდგა, ცალი ულვაში ჩამოვპარსეთ და ისე ავატარ-ჩავატარეთ ბაზარში. ბევრი იყვირა: „ვის უბედავთო“, მაგრამ ვინ გაუგონებდა!

ვ ა ხ უ შ ტ ი – არ გიჩივლათ?

ი ო ს ე ბ ი – ვისთან გვიჩივლებდა, შენი ჭირიმე? რა გაუვიდოდა? სამართალი ჩვენ ვიყავით. მასუკან სახლიდან კარში აღარ გამოდის. მანამდი-კი, ვინ იცის, რამდენი რამ არ ჩაუდენია ამისთანები, მაგრამ ვინ გაამტყუნებდა ძველი სამართლით? ფული აქვს და ათასს ცრუ მონამეს იშოვნიდა!.. მე მოგახსენებთ, ატუკატად არავინ დაუდგე-ბოდა? ჩვენ კი ღვთის ბრძანებაზე გაგვყავდა ლარი და ხაზი!..

ვ ა ხ უ შ ტ ი – გაგყავდათ და, აი, ახლა ხომ ჰქედავთ, რა გიყვეს?

ი ო ს ე ბ ი – რა გაეწყობა, (ჩამოვარდება სიჩუმე) ეჳ, ღმერთი რომ ინხებდეს, კიდევ დაგვიბრუნდებოდეს ის დრო და მეც სუდათ ამირჩევდენ. ახლა ხომ ვიცი, რომ არ შემარჩენენ, მომკითხვენ, მაინც იმ გზაზე გავივლი.

ვ ა ხ უ შ ტ ი – იმე! რას ამბობ, კაცო? რა სარგებლობის გულისთვის?

ი ო ს ე ბ ი – ჰმ! აგერ ორმოცდაათი წლის გავხდები და მაშინ-დელის მეტათ, ერთხელაც არ მიგრძენია, რომ მეც კაცი ვიყავი! წამათრევდენ იმ დასაქცევ სუდში; აქ შენი არავის ეყურება და შენ სხვისი... უნდა წამოუყენო შენ მაგიერი და, ის რას ამბობს, ღმერთმა იცის. კაცათ კი არა, ძალლათაც არავინ გაგდებს და ამის შემდეგ ღვთის რისხვით არის, თუ ღვთის წყალობით, თითონვე შენ ხდები სუდიათ! შენ ასამართლებ სხვებს! მოდი და ნუ იტყვი. ახალ თაობის ჭირიმეო!

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჭირიმე და..... მაგრე იცის იმ „ჭირიმემ“! ე სახლი რომ დაგინვეს, მაგერ.

ი ო ს ე ბ ი – თქვენი ჭირი წაიღოს! იმას ხომ მაინც ვეღარ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პირუტყვად გავატარე და ადამიანური არა მიგრძენია-რა-თქო?

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (თავისთვის) აი, ხალხის ფსიხოლოგია!

ვ ა ხ უ შ ტ ი – ეგ ყველა კარგი, მაგრამ ახლა რომ უსახლოთ ხარ?

ი ო ს ე ბ ი – ვეცდები, ან აქეთ ვეცემი, ან იქით და მოვახერხებ რასმეს. ახლაც შემოსახვენად გიახელი თქვენთან: ცოტა წკნელები მიბოძოთ, რომ ფაცხა მოვძაგვო როგორმე ჯერჯერობით, თუ ისიც არ დამინვეს.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჩემი ტყიდან? ჰმ, აკი აჩეხასა და აოხრებას უპირებდით იმ ჩემს ტყეს? ახლა ხომ დაგჭირდა? რომ მართლა აჩეხ-ილიყო, ახლა ან შენ რაღას მთხოვდი და ან მე რაღას გიბოძებდი?

რეაქცია

ი ო ს ე ბ ი – ახალგაზდა ბიჭები გაპრიყვდენ, შენი ჭირიმე, და შექონდათ ცული, თვარა სხვა, ჭკუით მყოფი, ვინ იფიქრებდა მაგას? აკი ჩვენვე დაუუშალეთ და, რაც მოეჭრათ, იმისთვისაც დავაჯარიმეთ!

ვ ა ხ უ შ ტ ი – დააჯარიმეთ?

ი ო ს ე ბ ი – ასი მანათი გადავახდევიეთ.

ვ ა ხ უ შ ტ ი – რა უყავით მერე იმ ფულებს?

ი ო ს ე ბ ი – მქადაგებლებს გადავეცით, შენი ჭირიმე!

ვ ა ხ უ შ ტ ი – ვით! ტყე ჩემი, ჯარიმა გლეხების და ფული – მქადაგებლების.

ი ო ს ე ბ ი – რა გვექნა, შენი ჭირიმე, მაშინ მისთანა დრო იყო.

ვ ა ხ უ შ ტ ი – კარგი, ნულარ მომაგონებ იმ დროს! ბევრი დაგჭირდება წენელი?

ი ო ს ე ბ ი – რაც ერთს ფაცხას მოუნდება... ცოტა საძირკველიც დამჭირდება და სახურავიც.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ბარემ მთელი სახლი გაიტანო, არ გირჩევნია?

ი ო ს ე ბ ი – მაგდენის ღონისძიება ვინ მომცა, შენი ჭირიმე!

ვ ა ხ უ შ ტ ი – არაფერია!.. სოფელი ღონიერია, გამოვრიგდებით, მანამდე შენც იშოვნი, დაგაცდი.

ი ო ს ე ბ ი – (გახარებული) თუ დამაცლით... ღმერთმა შენი წყალობა ნუ მომიშალოს.

ვ ა ხ უ შ ტ ი – რატომ არ დაგაცლი? დიახაც დაგაცლი!. თუ მეზობლობა არ გვექნა – არ ივარგებს! ჩვენ უთქვენოთ ვერ ვიცხოვრებთ და თქვენ უჩვენოთ... ბატონობა სულ სხვაა.

ი ო ს ე ბ ი – ღმერთმა თქვენი ჭირი მომცეს, ჩემო ბატონო! (მიდის გახარებული)

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ჭკვიანი არის ეგ იოსები!

ვ ა ხ უ შ ტ ი – რა გიკვირს, შვილო? ძველი გლეხები სულ მაგისთანები იყვენ! არც ჭკუა აკლდათ და არც ზრდილობა! რომ უნდოდა, ისე ეჭირათ თავი... უმცროს-უფროსობა იცოდენ... ახლა გაფუჭდენ და ისიც თქვენი წყალობით.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – როგორ თუ ჩვენი წყალობით?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჰო, ახალთაობის წყალობით! დაგიჯინიათ: „ძმობა“-ო, „ერთობა“-ო, „სიყვარული“-ო და ამით სულ გადარიეთ ხალხი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ეგ, თუ გინდა, მაგრე იყოს!.. ჩვენ ვამბობთ მაგას... მაგრამ როდის გვითქვამს „უზრდელობაო“?

ვ ა ხ უ შ ტ ი – იმათ კი ასე ჰერინიათ და... კისერზე გვიპირობენ წამოჯდომას.

რეაქცია

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – არაფერია! ეგ ყველაფერი სტიქიონურია!
ვ ა ხ უ შ ტი – რაო?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ჰო, სტიქიონური!.. იშვიათი მოვლინება,
როგორც მიწისძვრა, მეწყერი, ცეცხლის გაჩენა და სხვანი! ყველა
გადამავალია!

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჩვენ კი ველარ მოვესნარით და!..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ყოველ ამგვარ მოვლინებას მოთმე-
ნით უნდა ატანა. აი, კარზე რომ პატარა მდინარე ჩამოგვიდის, ხომ
დასალევათაც კარგია, საბანაოთაც და თევზიც კარგი იცის? მოჩუ-
ჩუხებს ნელ-ნელა, თითქო ამ ატეხილ ჭალებს უმღერისო, თვალსაც
ესიმაოვნება და ყურსაც. როცა მოვარდება ხოლმე, მაშინ კი შენს
მტერს!.. გადმოტეხავს ნაპირებს, ატალახიანდება, ალარც სასმელათ
ვარგა და ალარც საბანებლად და რომ გადარეცხავს კიდეებს,
დაწყდება და თავის კალაპოტში ჩადგება, მაშინ ხომ ერთიორათ
უკეთესია? ხალხიც ასეა, როცა ღელავს, უნდა მოერიდო ცოტა და
დააცალო.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჩვენ კი ვერიდებით და ვაცლით, მაგრამ ისინი
რომ ალარ გვაცლიან? გაწყვეტას გვიპირობდენ ყველას ერთიანათ,
გაუკითხავად!.. ცოტა გამოათხოვეს დაუნაშავებლათ წუთისოფელს?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ეგეც ცხოვრების მოთხოვნილებაა. სიმინდს
რომ ვთხონით, თოხი მიტომ შეგვაქვს ყანაში, რომ ბალახი მოვაშო-
როთ, თორემ შამბი წაიღებს და ამოვარდება მთელი ყანა.

ვ ა ხ უ შ ტ ი – მერე რაო?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ის, რომ მაშინ უცაბედათ კარგი ღერიც
იჭრება აქა-იქ და იმის მოფრთხილებით, რომ შეცდომით კარგი არ
მოიჭრასო, თოხნაზე რომ ხელი ავილოთ, ხომ ამოვარდა მთელი ყანა?
ერთი რომ მოიჭრება, იმითა ათასი სხვა გადარჩება, ასეა ხალხიც!..

ვ ა ხ უ შ ტ ი – ეგ მაგრეა, მაგრამ წარა-მარა რომ შეიტანო თოხი
და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ უპარტყუნო წინდაუხედავათ, რა
თავის გამართლება იქნება?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – მერე, ვის ენამებით წინდაუხედაობას?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ვისა და იმ შენ ახალთაობას! ცოტას მოუღეს
ბოლო, რომ იმათ არც ღმერთან და არც კაცთან დანაშაული არა
ჰქონიათ-რა?..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – წელანაც ვამბობდი: წყალი რომ აიმღვრევა
და მოვარდება, თევზები ნაპირზე გამოჰყავს და იმ თევზებს გველ-
ბაყაყებიც თან მოჰყვებიან ხოლმე! ნამდვილ ახალთაობას რა წილი

რეაქცია

უძევს კაცის კვლაში და ცარცვა-გლეჯაში? ისინი თავსა სდებენ სიმართლისათვის. ზოგი კვდებიან და ზოგი ციხეში ლპებიან. სხვები კი სარგებლობენ დროთი საპირადოთ და, ვინ იცის, რას არ ჩადიან ახალ თაობის სახელით?! გუშინ ხომ გაიგონე, დათიამ რა ილაპარაკა ვიღაც გადავარდნილზე – არავის ზოგავსო! განა ესეც ახალთაობას უნდა დაბრალდეს?

ვ ა ხ უ შ ტ ი – რა ვიცი, შვილო! მოძრაობამდე კი არა ყოფილა-რა და შენ მაინც, მოძრაობა რომ დაიწყო, სიხარულით ფეხზე აღარ იდექი: მაღლობა ღმერთს, გაიღვიძა ხალხმა, თვალი გაახილაო!

ა ლ ე ქ ს ა ხ დ რე – დიახ!.. საუკუნეზე მეტია, რაც სძინავს... მკვ-დრის ძილმა წაილო!.. „რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო“, იტყვიან. „რაღა მკვდარი და რაღა მძინარი“, ვამბობ მეც. მძინარს, როგორც გინდა, ისე დაიმორჩილებ, დღეს ძლივს თვალი გამოახილა ხალხმა...

ვ ა ხ უ შ ტ ი – (ჩამოართმევს სიტყვას) გამოახილა და ჩვენვე დაგვერია!..

ა ლ ე ქ ს ა ხ დ რ ე – (იცინის) ეგეც არაფერია, ცოტათი დაიგეშე-ბიან შინაურებზე და მერე...

ვ ა ხ უ შ ტ ი – ისემც კაი დაგემართოს, მაგრამ ვაი თუ ისე მოგვივიდეს, როგორც ბიძაშენს მოუვიდა.

ა ლ ე ქ ს ა ხ დ რ ე – ბიძაჩემს რა მოუვიდა?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჩადი, ჰკითხე და გეტყვის. ერთი ლეკვი ჰყავდა მწე-ვარი, კატებზე დაგეშა, მერე უფრო კარგათ დაიჭერს კურდლელსო... მაგრამ მისთანა შენს მტერს, როგორც ის გაინვრთნა: გარეთ კურ-დლელს ხმას არ სცემდა და შინ კი კატა არ გაუცდებოდა! (იცინის).

ა ლ ე ქ ს ა ხ დ რ ე – არც მაგრეა საქმე, მასაჩემო! ხალხი ჭკვი-ანია და მალე შეიგნებს, რაც შესაგნებელია, წელან ხომ ნახე იოსები?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ვნახე, შვილო, მაგრამ ის კი არ მომენტონა, რომ გვერდში მოგესავა.

ა ლ ე ქ ს ა ხ დ რ ე – თქვენ აკი წამოგიდგათ ზეზე?

ვ ა ხ უ შ ტ ი – მე რა, შვილო? ჩემი ჰკირი მოჭმული მაქვს, შენთ-ვის ვაჩობ, არ უნდა გაიტოლო! არ უნდა გაათამამო, რომ ბოლოს სანაურად არ შეგეენეს.

ა ლ ე ქ ს ა ხ დ რ ე – არა, ის მისთანა არ არის, რომ გაბრიყვდეს: მე თვითონ აღარ მოვეშვი და ძლივს დავაჯინე.

ვ ა ხ უ შ ტ ი – (წამოდგება) შენ უკეთ იცი, შვილო, ახლანდელი დრო, (მიდის კარებისაკენ, მერე მობრუნდება და რაღაცას გარდას-

რეაქცია

ცემს შვილს) აპა! კინაღამ დამავიწყდა!.. გულში-კი მქონდა... ამას შენც მიუმატე და გადაეცი საცოდავს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (გაოცებული) იოსებს?

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჰო, იოსებს!.. აბა, რითი შესძლებს ყიდვას?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ბარემ ისე გებოძებიათ, უფულოთ.

ვ ა ხ უ შ ტ ი – არა, შვილო!.. ის რომ არ გაბრიყვდეს, სხვები გაბრიყვდებიან... ეგ ფული სულ შენობით გადაეცი (მიდის).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (გააყოლებს თვალს) ძვირათ მინახავს ქართველი, რომ კარგი გულის არ ყოფილიყოს!.. ჰმ... თვალი დაუდგეს დროსა და გარემოებას, თორემ რად უნდა იღუპებოდეს ამისთანა ხალხი?!

ფ ა რ დ ა

მოქმედება მასამა

ვახუშტი მხართეძოზეა წამოწლილი სკამლოგინზე, კრიალოსანს ათა-მაშებს და ხვნეშის. ბეჭან ბარაპანს უკრავს მაგიდაზე და სტვენს. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

|

პ ე ჟ ა ნ ი ღა ვ ა ხ უ შ ტ ი

ბ ე ჟ ა ნ – „დაგილრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!“ ა!.. ვახუშტი! მე ვითომ სოგრატ-ვეზირი ვარ და შენ როსტევან მეფე.

ვ ა ხ უ შ ტ ი – (იცინის) ცოტა გვიკლია ორივეს!.. მარა გარემოება კი ჩემი ჩამოგავს როსტევანს.

ბ ე ჟ ა ნ – და მიტომ ოხრავ? მართლა რომ კაცის გული გაუმაძლარია!.. შენ თუ სახენეში გაქვს, მე რაღა უნდა ვსთქვა? ცოლი არა მყავს და შვილი!.. აქეთ-იქით თრევა-ჯანჯალში დავბერდი ბერკვიცივით, შენ შვილი მაინცა გყავს.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ეჱ, რაღა ყოლაა? განსვენებული მაქრინე რომ მომიკვდა, ეგ პატარა დამრჩა. მას უკან დედაც მე ვარ მაგისი და მამაცა, მზე და მთვარე მაგაზე ამომდის!

ბ ე ჟ ა ნ – მერე?

ვ ა ხ უ შ ტ ი – სხვა ცოლი მე აღარ ვეძიე და შვილი! და აი როგორ მიხდის ამაგს?!

რეაქცია

ბ ე ჟ ა ნ – როგორ? არ გემორჩილება თუ?

ვ ა ხ უ შ ტ ი – რა ბრძანება? მორჩილებით ნამეტანიც არი, მარა იმ ერთ რამეზე ურჩიოს... ვეუბნები, შვილო, ხომ ხედავ დავბერდი, აღარა ვარ?.. დროა, რომ აწ შენ მოეკიდო ოჯახს, ცოლი შეირთე, შვილები გეყოლება, ოჯახს ნუ გამიცივებ; მომასწარ შენს ბედნიერებას-მეტეი და არ იქნა, ვერ შევაგონე. სულ „მაცა“, „მაცას“ იძახის. მე კი ვაცლი, მარა მე რომ აღარ მაცლის სიბერე?

ბ ე ჟ ა ნ – მაგაზე მეც ძალიან მწყდება გული! მე სულ მაგას არ ჩავჩინინებ? ძალიან გულით მინდა, რომ დიდებულიძის ქალი შეირთოს. ოჯახი კარგი, ქალი განათლებული, მშვენიერი, ერთი ვერავინ სჯობია ჩვენში!.. რა აქეს დასაწუნი, რომ დაინუნოს?

ვ ა ხ უ შ ტ ი – მერე რას გეუბნება?

ბ ე ჟ ა ნ – ახლა მაგის დრო არ არის... არეულობააო!..

ვ ა ხ უ შ ტ ი – მაგითო მატყუა სამი წელიზადი. ახლა მაინც ცოტათი დამშვიდებულია ქვეყანა.

ბ ე ჟ ა ნ – და დამშვიდებულიც რომ არ იყოს, მაგას რაი? უცოლობა მაინც არ არგია... დროა, თვარა იმასაც ჩემსავით გამოეპარება დრო თვალსა და ხელს შუა.

||

იგინივე და დ ა თ ი ა

დ ა თ ი ა – ფასია მოვიდა, ლარაძე, ნახვა უნდა!

ვ ა ხ უ შ ტ ი – ვისი? ჩვენი თუ ალექსანდრესი?

დ ა თ ი ა – ხაზეინისო.

ვ ა ხ უ შ ტ ი – მაგას არ გეტყოდა – „ხაზეინისო!..“ ვაჭარი ხომ არა ვარ, ხაზეინი დამიძახოს?

დ ა თ ი ა – კრიაზის ნახვა მინდაო და ის არ უთქვამს, რომლის?

ვ ა ხ უ შ ტ ი – მოახსენე მობრძანდეს.

დ ა თ ი ა – ვეტყვი. (მიდის).

ვ ა ხ უ შ ტ ი – ვერა ხედავ? მამაჩემი არ წამიწყდება, ფასია არც ხაზეინს იტყოდა და არც კრიაზს! ისე უზრდელი არ არის!.. „ბატონიო“ იტყოდა, მარა ეგ როგორ გაიმეორებს? ბატონობა ხომ გადავარდნილია?

ბ ე ჟ ა ნ – დაბრუნების ეშინია.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ახლა მაინც ვეღარ ჰედავენ, რომ არ გაუმართლდათ, რასაც ელოდენ? მიწებს მაგათ კი არ აძლევენ, სხვებს ურიგებენ მადერ... გადმოსახლებულებს.

რეაქცია

ბ ე უ ა ნ – ისინი მაინც თავისას გაიძახიან: ჩვენი დრო ისევ დაბრუნდებაო! გამოვიდეს ჯერ ფოთოლიო.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ფოთოლიო?

ბ ე უ ა ნ – ჰო, ფოთოლი!.. ვითომ გაზაფხულდეს... გაშრეს ქვეყანა, რომ ტყეში დამალვა შეიძლებოდესო...

ვ ა ხ უ შ ტ ი – ჰმ, ვინ არიან, რომ მაგ საწყლებს ატყუილებენ?

III

ისინივე და ფ ა ს ი ა შემოდის

ვ ა ხ უ შ ტ ი – ოჳ, მშვიდობა თქვენი ნახვა!

ბ ე უ ა ნ – ფასიას ვახლაგარ!

ფ ა ს ი ა – (თავს უკრავს) დილა მშვიდობისა!..

ვ ა ხ უ შ ტ ი – რათ დაგვივიწყე ამდენი ხანი, რომ აღარ გვნახე?

ფ ა ს ი ა – ბევრჯერ მოვინდომე, მაგრამ ველარ მოვახერხე, მარტოხელი კაცის საქმე ხომ მოგეხსენებათ? ჯერ იყო და შავმა ქვამ გაგვწყვიტა წელში.

ბ ე უ ა ნ – მართლა, მე და ჩემმა ღმერთმა! ადრივ რომ ხუთ თუმნათ დავიჭრდით ხოლმე მოსამსახურეს, ახლა ოცს არ გვჯერდებიან.

ფ ა ს ი ა – ან მაგას ვინ სჯერდება? ფულითაც რომ აღარ დგებიან?! ჩვენც ბატონობა გვინდაო!.. ნურაფერს გაგვაკეთებინებთო და ვინ ოხერია, რომ ტყვილა გადაყრის ფულებს?

ბ ე უ ა ნ – უსწავლიათ რაღაც „ბოიკოტია“ და მოგვეძალენ.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ზრდილობაც რომ დაკარგეს... ერთი გლახა ბიჭი მიგდია, ქვეყნის ფულს ვაძლევ და მაინც ვერა გამიპედნია, რომ დავსაქმო.

IV

ისინივე და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე შემოდის, თან ი ო ს ე ბ ი შემოპყვება და

ო თ ხ ი გ ლ ე ხ ი გ ლ ე ბ ი და გ ლ ე ხ ე ბ ი განზე გადგებიან

ბ ე უ ა ნ

ვ ა ხ უ შ ტ ი – (გლეხებს) გამარჯვება თქვენი!

გ ლ ე ხ ე ბ ი – (ქუდს იხდიან, თავს უკრავენ) ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი დღეგრძელობა!..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (ხელს ართმევს ფასიას).

ვ ა ხ უ შ ტ ი – (ალექსანდრეს) გაარიგე რამე?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ვერაფერი! ასე მითხრა, მე ყოლიფერი გამოვიკვლიო და თქვენ ნულა გაერევითო.

გ ლ ე ხ ე ბ ი – დავილუპეთ, თქვენი მტერი დალუპულა!..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – სწორეთ რომ შესაბრალისნი არიან, (მიუბრუნდება ფასიას) დრუბეთში ვიღაც დამწვარა და უჩივლია, – გლეხებმა დამწვეს, მოძრაობაში რომ არ ვერიე, მემტერებიანო.

। გლეხი – ახლა ჩვენ მოგვადგენ ოთხს სოფელს, გინდათ თუ არა გვითხარით, ვინ დასწვაო? თუ არა და თქვენ უნდა გადაიხადოთო. კომლზე ოც-ოცი მანეთი შეგვანერეს.

2 გ ლ ე ხ ი – მაინც წელში გაწყვეტილი ვართ და ამოვარდით!

3 გლეხი – ვიცით ვინც დასწვა! განა არ ვიცით? თითონ პატრონმა წაუკიდა თავის ხელით ცეცხლი.

ფ ა ს ი ა – მერე რატომ არა სთქვით?

4 გ ლ ე ხ ი – ვსთქვით, მაგრამ ვინ დაგვიჯერა? გამონახეს ვიღაც გამოსუქინსინებულები და ისინიც იმოწმეს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ვინა?

ი ო ს ე ბ ი – აი ის მანანნალები, თქვენი ჭირიმე, ქალაქელები რომ არიან, წათრევი და აღარც ლმერთი სწამთ და აღარც ხატი.

ბ ე ჟ ა ნ – მართალი წათქვამია: ციხე შიგნიდან გატყდება!

ვ ა ხ უ შ ტ ი – მაცხოვარმა, ვენაცვალე მის ძლიერებას, თორმეტი მოციქული აირჩია მთელ-ქვეყანაზე და იმათშიც კი გამოერია ერთი გამცემელი იუდა... და სოფელში რომ თითო-ოროლა გამოერიოს, რა გასაკვირალია?

ფ ა ს ი ა – ეგ მართალია, მაგრამ თვითონ პატრონი რად წაუკიდებდა ცეცხლს?

გ ლ ე ხ ი – ტრახში ქონდა!.. ჩივილი კი იაკობმა ურჩია, რასაც გადაგვახდენებდენ, ატუყატია და შუა გაყოფენ.

ი ო ს ე ბ ი – მაგისთანა ანი ბევრი იქნება: ვინც არ გვონია, ყველა იქით მიდის. ასე მოგახსენებენ, აფრასიონი იაკობმა გასცაო და სამ-სახურშიაც მიუღიათ.

ფ ა ს ი ა – იაკობი? ჰმ, მოძრაობაში კი პირველი ის იყო.

ი ო ს ე ბ ი – პირველი რავა არ იყო, შენი ჭირიმე? სულ იმას გვიჩიჩინებდა: ნუ დაზოგავთ, თავად-აზნაურები ბეჟუები არიან, ნუ დაზოგავთ და მათი ადგილ-მამულები თქვენ დაგრჩებათო! და ახლა კი იქით გაიძახის.

რეაქცია

ვასუშ შტო - (ბეჭანს) ეს შენზე თუ უთქვამთ: ბეჭანი ხომ შემოკლებული ბეჭუა?!.

იოსები - არა, შენი ჭირიმე, ყველას ასე ეძახდენ, ვისაც კი რამე გააჩნდათ.

ვასუშტო - თქვენ რაღას გეძახიან, რა ხართო?

გლეხი - ჩვენ, შენი ჭირიმე...

ვასუშტო - თქვით, რისი გეშინიათ?

იოსები - (იცინის) პრონეტარიო!

ალექსანდრე - პროლეტარი? მერე და საიდან გახდით პროლეტარი?

იოსები - მქადაგებლებმა გვიპოძეს! მუშა რომ ხართ, პრონეტარი უნდა გახდეთ და მაშინ ყველას ჩამოერთმევა მიწები და თქვენ მოგეცემათ; მიწა, ვინც იმუშავებს, მისი იქნება!

ვასუშტო - გასაკვირველია! როგორ დაბრმავდა ჭკვიანი ხალხი და როგორ დაიჯერა?

ალექსანდრე - ეგ მაგრეც იქნება, მამაჩემო, მიწა ყველას იმდენი უნდა ჰქონდეს, რამდენიც მოუნდება სამუშაოთ.

ვასუშტო - მაგას მეც გეთანხმები, შვილო, უმიწოთ მუშა რას ვარგა? მაგრამ ის ობროფობა, რომ ბატონებს ჩამოართმევენ და თქვენ დაგირიგებენო, როგორ დაიჯერეთ?

ალექსანდრე - (ნალვლიანად ილიმება) გაჭირვებამ აფიქრებინათ!.. აქ მეოთხედი, სახელმწიფო გადასახადი, იქ შკოლა, კანცელარია, დრამა და სხვანი... როგორ უნდა გაძლილოდა ყოლიფერს უადგილმამულო გლეხი?

ვასიანი - ეგ ყოლიფერი მართალია, მაგრამ როგორ ვერ გამონახეს უკეთესი საშუალება, რომ ცეცხლით დამწვარს დუღარე გადასხეს... როგორ არავინ გამოუჩნდათ უკეთესის მრჩეველი...

ალექსანდრე - სხვაგვარ რჩევას დაიჯერებენ კი? კაცს რომ სიცხეს მისცემს და წყურვილი უნდა მოიკლას, ვის უფრო დაუჯერებს იმას, ვინც მნარე წამალს აწოდებს, თუ ცივ წყალს?.. ხალხიც დასწეულებულიყო და წყურვილს იკლავდა, სიცხე მიცემულს, უმიწოდებს, მიწებს ჰპირდებოდენ და მოდი და ნუ დაიჯერებდი და ნუ იქნებოდი პროლეტარი?!

ვასუშტო - გამაგებიეთ, ეგ პროლეტარი რა არის?

ალექსანდრე - პროლეტარი? სხვაგან, დიდ ქალაქებში, ყველგან ქარხნებია. იმ ქარხნებს თავისი მუშები ჰყავს. იმ მუშებს არც სახლი აქვთ, არც კარი, არც ადგილი და არც მამული. მხო-

რეაქცია

ლოთ ხელები აქვთ, რომ იმუშავონ და ცოლ-შვილი დღიურად ასაზ-რდოვონ. თუ სამუშაო დაკარგეს, ხომ შემშილით უნდა ამოწყდენ? ქარხნების პატრონები სარგებლობენ ამითი და აწვალებენ მუშებს. მუშაობით ბევრს ამუშავებენ და ქირას ნაკლებს აძლევენ, აი, ეს მუშები არიან პროლეტარები, რომ ახლა ყველან მოძრაობენ და ეპრძეიან ბურჟუებს.

ბ ე ჟ ა ნ – მერე და ჩვენში ან ქარხნები სად არი და ან მაგისთანა მუშები?

ი ო ს ე ბ ი – ქარხნების რა მოგახსენოთ და მუშები კი ბევრია. იმდენი სიცოცხლე გაქვსთ, შავი ზღვის პირი სულ მოდებულია, სად არ არიან ჩვენები სამუშაოთ წასული, მიწა რომ აღარ ჰყოფნით.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ჰო, მიწა რომ აღარ ჰყოფნით!.. გამოდის, რომ ჩვენში მუშა მიტომ კი არ მუშაობს, რომ პროლეტარია, მიტომ მიდის და მუშაობს გარეთ, რომ ფული შეიძინოს და ადგილ-მამული იყიდოს. და მაშ პროლეტარი კი არა, ისიც ბურჟუა ყოფილა.

ი ო ს ე ბ ი – რა ვიცი, შენი ჭირიმე! ძალან კი მოგვაჯ თავი ამ პროლეტარობით და თუ მაგრეა, ლმერთმა დაგვიფაროს მაგისთანა ჭირისაგან!.. ორი კვალი მიწა მაქვს და იმის ჩამორთმევა რომ ვინმემ მომინდომოს, ზედაც შევაკვდები.

ფ ა ს ი ა – მაშ, მართლები ყოფილან მეორე პარტიაში რომ არიან, ფედერალისტები რომ ქვიათ... და რას ერჩით?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ვინ ამტყუნებს ან ერთს? მაგრამ შეცდომა იქითაც ბევრია!.. რაც ერთს დროსა და ერთს ადგილზე სიმართლეა, ის შეიძლება მეორეზე შეცდომა გამოვიდეს!.. ყველაფერი დროსა და ადგილის ვითარებით უნდა გაიზომოს.

ფ ა ს ი ა – არა, ფედერალისტების პროგრამას მაინც კარგი სარჩული უძევს, „ძმობა“, „თანასწორობა“, „ერთობა“ და სიყვარული! ამას რა სჯობია?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ის, რაც სახარებაშია? კეთილი, მაგრამ იმასაც თავისი სახე უნდა. ვსთქვათ, რომ შენს სახლში უცხოელებს უნდათ შემოსვლა, მოგადგენ კარზე და დაგირეკეს, „ძმობისა“, „ერთობის“ და „თანასწორობის“ სახელით შეგვიშვი სახლშიო!

ფ ა ს ი ა – კარი უნდა გაულო, მეტი რა გზა?!.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – კეთილი! შემოვიდნენ ერთობის სახელით და მერე გეუბნებიან: რადგანაც ყველა ვერ ვეტევით, ჩვენ გადაგვიწყვეტია ხმის უმეტესობით, რომ შენ გაბრძანდე და ჩვენ დაგვიტოვე შენი სახლ-კარიო.

რეაქცია

ფ ა ს ი ა – იმე! მაგას როგორ მეტყვიან?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – გეტყვიან იმიტომ, რომ ეს ხერხი წინდან-ინვე ედვათ გულში და მხოლოდ შენ გიბრიყვებდნენ და თუ შენ არ დაეთანხმები, „შოვნისტს“ დაგიძახებენ და გაშინებენ ამით.

ფ ა ს ი ა – იპ, რაც უნდათ ის დამიძახონ! როგორ დავეთანხმები მაგაზე? „შოვნისტი“ რა? მე კი არ მივდიგარ მის სახლში, ის მოდის ჩემსაში და როგორც სტუმარი, ჩემს ნებაზე უნდა იყოს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – გვიანდა იქნება მაგისი თქმა! ძალა მათ ხელში იქნება... ეხლა შენის სახლის ნაცვლათ ავილოთ ეს საბრალო საქართველო. ფედერალისტების სახელით შემოდიან სხვადასხვა ერები და შენც იძანი ძმობისა და ერთობის სახელით: მოპრძანდით, თქვენთვისაც არის ადგილი და სხვანი... იმათაც ისარგებლეს და შემოვიდნენ, დასახლდენ და მერე გითხრეს: ჩვენ მეტი ვართ და ხმის უმეტესობას დაემორჩილეთ და ან წაბდანდით აქედანაო.

ფ ა ს ი ა – ეგ რა სათქმელია?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – სათქმელია თუ არა, ასე კი მოხდება!.. ეკალი რომ ამოვა და ჩსვლეტას დაიწყებს, გვიანდა არის მასუკან „ვაი“, „ვაის“ ძახილი: როცა ითესება, მაშინ უნდა ხელის შეშლა და არა მისი ძახილი „პრინჯია და ხორბალიო“. ფედერალისტობა მაშინ არის კარგი, როცა სუყველა თავთავის სახლში ზის და იქედან გამოიძახის: „ერთობა“ და „თანასწორობაო“.

ფ ა ს ი ა – ეგ ხომ აგრეა?

ვ ა ხ უ შ ტ ი – აგრეა?! აბა შეხედე: საქართველოს მიწა-წყალი ვის ხელში გადადის? ან რა ხაფანგს უგებენ?

ფ ა ს ი ა – ჰმ! მაშ დავლუპულვართ და ის არის...

ბ ე ჟ ა ნ – ძალაზე თუ მივარდა საქმე, შენი მტერია, ჩვენ ველარა გავარიგოთ-რა!.. ჯერ იყო და იარაღი აგვყარეს! ბრაზიანი ძალლი რომ შემოვარდეს სოფელში, მომგერებელი აღარავინ არის. ერთ თოფიან ავაზაკს შეუძლია მთელი სოფელი ააოხროს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ძალაზე ვინ ამბობს? არ გაგიგონიათ, „ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო“? სადაც მახვილს აღარა აქვს გასავალი, იქ ხერხია საჭირო.

ბ ე ჟ ა ნ – მარტო ხერხით რას გააწყობ ძალასთან?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ხერხიც არის და ხერხიც. მელა ხომ პატარა პირუტყვია... იცით, როგორ იშორებს რწყილებს, ზაფხულში რომ დაეხვევა? პირში ჯღანს დაიკავებს, ჩადგება წყალში, ჯერ მუქ-ლებამდე, მერე მუცლამდე, მერე მთელ ტანს დამალავს წყალში და

რეაქცია

მარტო ცხვირი უჩანს... არის ისე გაჩერებული დიდხანს, სანამ წყალს არ გაატანს ჯლანს და არ გამოვა წყლიდან.

ფაქტი არ არის - ეგ სწორეთ მეც მინახავს ჩემი თვალით, მაგრამ ვერ გამიგია, რა თამაშია?

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე - თამაში კი არა, ხერხია!.. რწყილები ნელ-ნელა მშრალზე გადადიან და მერე ყველა ჯლანზე რომ მოიყრის თავს, გაატანს წყალს... და თუ პირუტყვაც კი აქვს ამდენი მოფიქრება, კაცი რას არ მოახერხებს, თუ ეცდება?

გ ღ ე ხ ე ბ ი - (იცინის) აი, დასწყევლოს ღმერთმა! ტყვილა კი არ ეძახიან ეშმაკს.

ფაქტი არ არის - კი, მაგრამ სად უნდა ვიშოვნოთ იმისთანა ხერხი, რომ საფრთხე ავიშოროთ და ერთობაც მოვიპოვოთ?

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე - ეგ მხოლოდ სწავლა-განათლებით შეიძლება. ის არის, რომ ათანასწორებს ყველას! სხვა ყველაფერი ტყუილია! აი, ჩვენ იმას უნდა მივაწვეთ: ეგ არის ერთადერთი გზა და ვინც წინ გადაგველობება, თავდადებით ვეპრძოლოთ!.. მაგრამ ხერხით და არა იარაღით.

ი ო ს ე ბ ი - არა, შენი ჭირიმე, ჩვენ სულ მაგ სწავლამ დაგვლუპა და დაგვაქცია: ვაშენებთ შკოლებს, ვაბარებთ შვილებს და რა გამოდის; იქ გამოზდილები აღარც შინ ვარგიან და აღარც გარეთ!

1 გ ღ ე ხ ი - ერთი შვილი მიბარია სკოლაში. ამას წინათ აიღო წიგნი ხელში და ხმამაღლა კითხულობდა: მამალო, მამალო, ოქროს ბიბილოვანოვი! (იცინის).

2 გლეხი - მერე სად არის ოქროს ბიბილოიანი მამალი! (იცინის) ნეტავი მართლა იყოს და...

1 გ ღ ე ხ ი - დილ-დილას რათა ჰყივი და ბავშვებს ძილს რას უფრთხობო...

3 გლეხი - ჰმ, მოდი და უყურე შენ?! ღმერთს მიტომ გაუჩენია მამალი, ვენაცვალე მის სახელს, რომ განთიადისას დაიყივლოს ხოლმე და მუშა გამოაღვიძოს და ისინი კი ითხოვენ - რად ყივიო?

4 გლეხი - არა, რასაც აქ ასწავლიან, ის ჩვენ არაფრათ გამოგვადგება. იმათ ოჯახის არა გაეგებათ-რა, იმათ ჩვენი არა ესმით-რა...

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე - მე დღევანდელ მოჯორჯვილ განათლებაზე კი არ გეუბნებით!.. მე მაქვს სახეში ის ეროვნული სწავლა-განათლება, რომელსაც საფუძვლად სახარება უძევს და სახურავათ ზეცის მადლი...

რეაქცია

ვას უშტო – (აღტაცებით) ვაი, ჩემო მაკრინე, სადა ხარ ახლა, რომ არ გესმის, რას ამბობს შენი შვილი?

ბეჟუ ან – მართლა, ჭეშმარიტად!.. მაგრამ ნათქვამია: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსაო“ ერთი მაკრინე თუ წაგვივ-იდა ხელიდან, ღვთის ბრძანებით, მეორე მისთანა და მისი სამაგიერო უნდა შემოვიყენოთ სახლში!.. შენ რას იტყვი, ალექსანდრე?

ალექსანდრე – მე იმის ფიქრში ვარ: რა ვუშველო ამ საწყ-ლებს?

ვას უშტო – რაღა უნდა უშველო, აკი უარი უთქვამთ?

ალექსანდრე – მინდა რომ უფრო შორს წავიდე და ვეცადო.

გლეხები – ღმერთმა ნუ მოგვაკლოს თქვენი მოწყალება, (თავს უკრავენ).

ვას უშტო – იოსებ! უთხარი, რომ უსადილოთ არ გაუშვან ესენი.

ერთი გლეხები – არა, შენი ჭირიმე! ჩვენ ბაზარში გიახლე-ბით!..

ვას უშტო – რავა? ისიც კანონში გიწერიათ, რომ თავადიშ-ვილისას არა სჭამოთ-რა?

გლეხები – არა, შენი ჭირიმე! რატომ იკადრებთ? (გარედან მოისმის თოფის ხმები. ყველანი წამოვარდებიან ზეზე).

ბეჟან – ეს რა ამბავია?!

იოსები – არაფერი, თქვენი ჭირიმე, წელან სტრაუნიკებმა აიარეს ზევითკენ, ვიღაც გადავარდნილს დაეძებდენ და ის იქნება.

ვას უშტო – გაჭირდა, ღმერთმანი, სიცოცხლე.

ფარდა

მოქმედება მეოთხე

|

ნონო სარკის წინ ირთვება, ელენე მაგიდას უზის და წიგნს კითხულობს

ნონო – პრიჩოსკა მიხდება?

ელენე – (თავს აიღებს) კი არ გიხდება, გშვენის!

ნონო – ნუ! გმვენის! (ლილინებს) შაპოჩკა?

რეაქცია

ე ლ ე ნ ე – საუცხოვოა!

ნ ი ნ ო – (კიდევ ღილინებს) ეს? ხარაშო სიდიტ პლატიე?

ე ლ ე ნ ე – (უქმაყოფილოთ) კარგათ, კარგათ!

ნ ი ნ ო – (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბაშმაკები როგორ მოგწონს? (გამოაშვერს ფეხს).

ე ლ ე ნ ე – უჲ! შენ და შენი კოპწიობაც!.. ჩაიხედე სარკეში და მორჩი! ნუ მიშლი.

ნ ი ნ ო – სკაფიტე პოულუსტა! გიშლი! დიდ რამეს ჰკითხულობ!

ე ლ ე ნ ე – (დაცინვით) სანინს!.. ლეონიდ ანდრეევს.

ნ ი ნ ო – პოულუსტა, პოულუსტა!! ჩუუო აგაროდ ნებრო-საი კამნი. რაღაც ქართულ სისულელესა ჰკითხულობ! კაკ ტებე ნე ნადაელო! „ვეფ... ქის... ტკაოსანი“.

ე ლ ე ნ ე – შენ რას დაეძებ, მე რასა ვკითხულობ? მე ხომ შენ არას გიშლი? რაც გინდა, ის იყითხე!..

ნ ი ნ ო – ვა ვსიაკომ სლუჩაე, სისულელეს არ ვკითხულობ.

ე ლ ე ნ ე – რატომ შენ საქმროს არ ეტყვი მაგას?

ნ ი ნ ო – უენიხს? (იცინის) ისიც შენსავით გატაცებულია!

ე ლ ე ნ ე – მაშ რათ ეუბნები, რომ სასწავლებელში გიშლიდენ ქართულს და ახლა შენ მასწავლეო?

ნ ი ნ ო – ჩტობ უგადიო უენიხუ!.. დედამ მირჩია. ჯერ, სანამდე ნევესტა ხარ, ყოლიფერში დაეთანხმებ შენ უენიხსო და მერე, ჯვარს რომ დაიწერ, რაც გინდა ქენიო!.. გუშინ უენიხმა ერთი პატარა ლექსი გადმომცა და მე კიდეც დავისწავლე: „სიქვარულო, ნიჩო სრულო!!“

ე ლ ე ნ ე – სიყვარულო და არა „სიქვარულო“

ნ ი ნ ო –

სიკვარულო, ნიჩო სრულო,

ნამ-ტკბილო და ხანგრძლივ მცარე,

ჯერ აკვანო სიხარულის,

მერე კუბო და სამარე!

ე ლ ე ნ ე – გესმის, რასაც კითხულობ?

ნ ი ნ ო – ამიხსნა გიგუშამ, მარამ ადნავო ვსიოტაკი ნე პონიმაუ: სამარეს რა უნდა აქ? ვედ ეტო გუბერნია ვროსიი?

ე ლ ე ნ ე – (იცინის) სამარე ქართულათ საფლავია.

ნ ი ნ ო – (გაოცებით) სიქვარული და საფლავი! ტოლი დელო? (იპრანჭება სარკის წინ და მღერის).

„ატაიდი! ნე გლიადი!

რეაქცია

სკროისა ს გლაზ ტი მაინ!“.. ვოტ ეტო პანიმაუ!..

ე ლ ე ნ ე – კარგი, კარგი!.. მაგრამ ცოტა ხანს თავი დამანებე, გენაცვა, ნინო!

ნ ი ნ ო – რაო, ნინო? ეტალო ტოლკო ნე დასტავლო! ნინო? მე ნინა მქვია და ნინა დამიძახე! ნინო? თითქო „ბიჩო“, კაკ ბუდტო ია სრედნიალო როდა! რას იტყვიან სხვები, რომ გაიგონებენ?

ე ლ ე ნ ე – ვინ სხვები?

ნ ი ნ ო – ვისში კრუგში სასაცილოდ ამიგდებენ.

ე ლ ე ნ ე – უკაცრავად! ნინა! ნინა! ნინა!..

ნ ი ნ ო – (სიცილით მივარდება და კოცნის) ნე პრავდა-ლი, ბლალო-ზვუჩნეე? დედამ თუ მიკითხოს, წავიდათქო! პრაშჩაი (მიდის).

ე ლ ე ნ ე – რა ყოლიფრათ კარგია, რომ გადაგვარებული არ იყოს! (სიჩუმე) ვიღაც უცხოს შესჩივლა თურმე: „ვწუხვარ, რომ ქართველათა ვარ დაბადებულიო“... და იმანაც, რომ მოშორდა, დასცინა! (დაფიქრდება) მაგრამ განა მარტო ნინოა მაგისთანა, რომ რცხვენოდეთ ქართველობის? სულ ასე არ არიან სხვებიც? დღეს ქართველობა, მათი აზრით, მეტი ბარგია! ამის მაგალითს კაცები გვაძლევენ!.. მაგრამ ჩემი ალექსანდრე კი სულ სხვაა!.. „ის ქართველი, რომელიც პირველყოვლისა ქართველი არ არის, ადამიანად არა მწამს, რაც უნდა იყოს!..“ დღეს უნდა ჩამოვიდეს. (დაფიქრდება) რასაკვირველია, პირდაპირ აქ მოვა!

||

ისინივე და ნ ა ტ ო

ნ ა ტ ო –(კარგებიდანვე იწყებს) რა ამბავია, შვილო? ხმამაღალი ლაპარაკი მესმოდა! კიდევ წაიკიდეთ შენ და ნინო? ნუ აჯავრებ დედაშვილობას!

ე ლ ე ნ ე – არა, დედა! ჩვენ ისე ვლაპარაკობდით.

ნ ა ტ ო – ჰო, შვილო, გენაცვალოს დედა! მაგის მეტი ვინდა გვყავს? დღეს თუ არა, ხვალ საქმრო წაიყვანს და მოგვშორდება.

ე ლ ე ნ ე – მე რას ვუშლი მერე?

ნ ა ტ ო – ჯერ იყო და მის ტოლებს ყველას ეჯავრებოდა: ჩვენზე ლამაზი რად არისო? და ახლა ხომ სუყველა გაჯავრებულია, რომ ამისთანა საქმრო გამოაცალა ყველას ხელიდან, იმას კი ენაცვალოს დედა! სად არის?

რეაქცია

ე ლ ე ნ ე - წავიდა ლაუტენისას სათამაშოდ.

ნ ა ტ ო - მისი ჟენიხიც იქ იქნება უთუოდ!.. შენ რაღას უცდი, შვილო? სადაც არის, ხომ შენი ჟენიხიც უნდა ჩამოვიდეს! კრიაზ ბეჟანი დღეისთვის მოელის, ნადი, შვილო, მოირთე და მოიკაზმე.

ე ლ ე ნ ე - ესეც არა მიჭირს რა!.. იცი, დედა, ის რა აზრისა? ადამიანი მეგობართან ისე უნდა იყოს, როგორც თავის თავთანაო.

ნ ა ტ ო - უი, რას ამბობ, შვილო? კაცი როცა მარტოა თავის-თავთან, ხშირად ტიტველიც რჩება!..

ე ლ ე ნ ე - ჰოდა, როცა მეგობართან ხარ, განა მარტო არ ხარ?

ნ ა ტ ო - უი! რას ამბობ, შვილო? იმას ხომ მამაც თან მოჰყვება და, თუ არ მისთვის, მამამისის გულისთვის მაინც გამოიცვალე კაბა, მოირთე! ნადი, შვილო, ნადი, შვილო! ნუდარ აგვიანებ!

ე ლ ე ნ ე - თქვენი ნებაა! (მიდის).

ნ ა ტ ო - მადლობა შენთვის, ლმერთო, ქვრივ-ობლობის მფარველი ხარ! ორი ქალის მეტი არა გამაჩინია-რა და ორივენი ასე კეთილათ დავაბინავე. ყველას თვალი რჩება გიგოზე და ხელში კი ნინოს მეტმა ვერავინ ჩაიგდო. არც გასაკვირველია! ნინო მისის მშვენიერებით ვის არ მოაწონებს თავს? მე უფრო ელენეს საქმე მაკვირვებს; არც ისე ლამაზია, უსწავლელიც დამირჩა და მაინც კიდევ რა საქმრო შეხვდა კუდრაჭას... ბედია, ბედი!! ვინ იფიქრებდა?..

III

ისინივე და პ ე ჟ ა ნ შემოვა, ყურს უგდებს

ბ ე ჟ ა ნ - მე! და მოფიქრებით კი შენ მომაფიქრებიე; ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“ . შენი სიძობა მე ჩაუდევ გულში. იმდენი ვეჩიჩინე, რომ გავაბედინე ცოლის შერთვა! თვარა ძალიან შორს ეჭირა.

ნ ა ტ ო - ისე შენ იხარე, როგორც ჩემი ქვრივობა შენ დაატკბე!

ბ ე ჟ ა ნ - მე სულ სხვა მქონდა გუნებაში: მე ნინოზე ვფიქრობდი და ის კი მეორემ გაიტაცა.

ნ ა ტ ო - ჰმ, მეც ძალიან გამიკვირდა!.. მაგრამ, მადლობა ლმერთს! ნინომაც საუცხოვო ვინმე ჩაიგდო ხელში, გიგო ბეგლარ-იძე! პირველ საჟენიხოთ ითვლება ჩვენში.

ბ ე ჟ ა ნ - იცი, ეგ ჟენიხობა ვინ გააბედვინა გიგოს? ალექსანდრე და ის თურმე ერთად ყოფილან სასწავლებელში და დიდი მეგობრები

რეაქცია

არიან ერთმანეთის! გამოდის, რომ ესეც ჩემი ბრალია, პირველი გზა
მე გავკვალე! აბა, ნუ იტყვი, რომ „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა
ძველსა მეგობარსაო“ (მოიჩოჩებს სკამს).

ნ ა ტ ო – (კავების გრეხით) შენ კი იხარე, რომ ხუმრობას არ იშლი!

ბ ე უ ა ნ – რაიო? ხუმრობას? ჰაი, ქალბატონო! რატომ მაშინ
არ მეუბნებოდი მაგას, მხრებზე ეპოლეტები, გვერდზე ხმალი რომ
მეკიდა და ულვაშებს ვიგრეხდი? პოლკის კამანდირი შენი გულისთ-
ვის არ გადამეკიდა? პენცია შენ დამაკარგვიე...

ნ ა ტ ო – (მანჭვით) ოცდაათი წლის ზღაპარს იგონებ.

ბ ე უ ა ნ – ზღაპარს? ჰმ, თქვენა ხართ ქალები მანგრე ჭალარა
რომ გამოერევა კაცსა, გინდ ტარიელიც იყოს, გულიდან ამოირეცხ-
ავთ, თვარა ჩვენ, კაცები – არა! სიბერემ, ალბათ, შენც დაგაჩინია
კვალი, მაგრამ ჩემ თვალში, რაც მაშინ იყავი, ისევ ისა ხარ, ახლაც.

ნ ა ტ ო – (მოიჩოჩებს) ვითომე?!?

ბ ე უ ა ნ – ცოლი აღარ ვეძიე და შვილი! და მოყვრობაც მიტომ
მოვინდომე გულით, რომ ახლოს ვყოფილიყვავ (ნატო ხელს აძლევს და
აკოცებს) ჩემი შეძლება ხომ ჩემს ძმისწულზე უნდა გადასულიყო?
ამთავითვე მაგათ დავუტოვებ და შვილები იქნებიან ჩემი!.. ჩემი ძმაც
ძალიან გახარებულია....აღარ ეგონა, თუ მოესწრებოდა შვილის ქორ-
ნილს.

ნ ა ტ ო – შენ გაიხარე, მე ელოს ბედნიერება მიხაროდეს!..

ბ ე უ ა ნ – ძალიან ჩავარდნია გულში. ასე ამბობს: მე იმისთანა
ქალების არა მწამს-რა, ყოლიფერი რომ იციან, მაგრამ თავისი ქვეყ-
ნის კი არა გაეგებათ-რაო!.. ელენე კარგათ არის გამოზრდილი და
ძველ დედებს მოგვაგონებსო! ოჯახში სწორედ მაგისთანა ქალი
უნდაო!..

ნ ა ტ ო – საცოდავი ჩემი ქმარი რომ გადაიცვალა, ეგ უპატრონო
დამირჩა, მეოთხე კლასიდან გამოვიყვანე და, რაც კი შემეძლო, შინ-
აურულად ვწვრთნიდი!.. რა გაეწყობა! დღევანდელ დროს ეგებ არ
ეკადრებოდეს... მისთანა ვერ იყოს, მაგრამ შინაურობაში... ქართველ
ქალად არა უჭირს-რა.

ბ ე უ ა ნ – ჰოდა, მერე ეგ ხუმრობაა?! შენი გაზდილი ცუდი რად
იქნებოდა? არ ვამტყუნებ ალექსანდრეს, რომ მაგისთანა ქალი შეი-
ყვარა. (ხელზე კოცნის).

ნ ა ტ ო – (იცინის) რაღა დროს კომპლიმენტია ბებრის...

ბ ე უ ა ნ – ვინ არის ბებერი? მე, თუ შენ? (აღტაცებით) „ბებერი
ხარის რქაც კი ჰენავსო“. ეგ სხვებს უთხარით და ჩემს თვალში ისევ

რეაქცია

ყმაწვილი ხარ! (კოცნის ხელზე) ახალგაზდა ხარ! (კოცნის მეორე ხელზე). ნინო შემოდის და უყურებს).

ნ ი ნ ო – ტრულია-ლია... (ახველებს).

ნ ა ტ ო – მოხველი, შვილო?!

ბ ე ჟ ა ნ – კნიაუნას ვახლავართ...

ნ ა ტ ო – მაგრე რად მოწყენილხარ, შვილო?

ნ ი ნ ო – მოწყენილი კი არა, გაჯავრებული ვარ: ჩემი ჟენიხი დღეს იქ არ ყოფილა და არც აქ მოდის!!.

ნ ა ტ ო – ჯერ ადრეა, შვილო! როგორ არ მოვა!

ბ ე ჟ ა ნ – (მოუბრუნდება) მაშ, აგრე იყოს!.. დღეიდან ღმერთმა ნუ მოშალოს ჩვენი მოყვრობა!

ნ ა ტ ო – (ხელს გაუშვერს ჩუმათ) ხელზე მაკოცე! (ბეჭანი კოცნის ხელზე და ნატო შუბლზე).

ბ ე ჟ ა ნ – მეც ხომ მამა ვარ ჩემი ძმისნულის? ახლა მძახლები ვართ ერთმანეთის... ახლო ნათესავები!.. ხომ, კნიაუნა?

ნ ი ნ ო – ეტო ვაშე დელო! ვი ლუჩიშე ზნაიტე!..

ნ ა ტ ო – წადი, შვილო! ჩვენთან, ბებრებთან, მოგენყინება... აბა, ერთი შენებურათ ფორტოფიანზე დაუკარი! ჩვენც გაგვართე და შენც თავი შეიქციე... მანამდე უჟიხიც მოვა! (ნინო გადის. ცოტა ხნის შემდეგ ფორტოფიანოს ხმა მოისმის).

ბ ე ჟ ა ნ – მგონია, თვალი მოგვერა?!.

ნ ა ტ ო – არა უშავს-რა!.. ცუდს ვერას იფიქრებდა! (იღიმება) ჩუ, ყური დაუგდე ფორტოფიანოს...

ბ ე ჟ ა ნ – ისეც ცეცხლი მეკიდება და რაღა ეგ მეჭივრება?

ნ ა ტ ო – ნეტავი შენ, რომ არ იშლი ხუმრობას!

ბ ე ჟ ა ნ – ჩვენ დროში სულ სხვა ხმები იყო ფორტოფიანოს! რაღაც კარგი კია, მაგრამ, რომ არ ვიცი, რას უკრავს?

ნ ა ტ ო – სასიმღერო ხმაა!.. მაგას ელენე მღერის ხოლმე, როცა გუნებაზეა! მის საქმროსაც ძალიან მოსწონს. (ხმა ოთახიდან: „ნეტავ მას, ვინც შენს ტკბილ ხმას და სხვანი).

ბ ე ჟ ა ნ – ვუი, ვუი! ქართული სიმღერები პირველად მესმის ფორტოფიანზე!.. ეს ელენეა, რომ იმღერის?

ნ ა ტ ო – დიახ, ელენე!

ბ ე ჟ ა ნ – ყოჩაღ ქალო! ნეტავი მას, მართლაც, ვისაც მაგისთანა ხმა ესმის!.. ჭეშმარიტად ბედნიერია ჩემი ძმისნული! ბრავო, ქალბა-ტონო, ბრავო!!

ნ ა ტ ო – იჲ, რად გააწყვეტინე? (ხელზე დაკრავს ხელს).

რეაქცია

ბ ე უ ა ნ – არა, არა, რას ქვიან გააწყვეტინე? შევეხვეწები, რომ
კიდევ იმღეროს!..
(გიგო შემოდის შეწუხებული).

IV

ისინივე და გიგო

გ ი გ ო – სამწუხარო ამბავი! დიდი უბედურობა!.. ალექსანდრე
მოუკლავთ!! გზაში დახვედრიან... (საზოგადო აღშფოთება. ქალები
წამოიჭრებიან შეშინებული).

ბ ე უ ა ნ – იმე! იმე! რას ამბობ?

გ ი გ ო – დეპეშა მომივიდა სამსონის. აი, რას იწერება. (იძლევა
დეპეშას).

ბ ე უ ა ნ – ვაი ჩემს მოხუცებულობას! ვაი, უბედური მამამისი!
(ხელებს მიიფარებს პირზე და თავს ჩალუნავს).

ნ ა ტ ო – (მემკრთალი) ესეც ჩემი ბედი!.. შვილო, ელენე! (ელენე
ენაჩავარდნილი დგას გაფითრებული).

ნ ი ნ ო – კტო პიშეტ?

გ ი გ ო – სამსონი იწერება. გუშინ მოჰკულესო!..

ე ლ ე ნ ე – გუშინ როგორ მოკლავდენ? დღეს მომივიდა დეპეშა,
მოვდივართო.

V

ისინივე, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და ვ ა ხ უ შ ტ ი შ ე მ ო დ ი ა ნ

ე ლ ე ნ ე – აი, აგერ! (მივარდება ალექსანდრესთან. ყველა გაოცე-
ბულია).

ბ ე უ ა ნ – ააააა!

ნ ა ტ ო – გენაცვა, გული რაზე გაგვიხეთქეს!

გ ი გ ო – კაცო, აკი მოკლესო?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ვინ მოკლესო? რას ამბობ?

გ ი გ ო – აი დეპეშა... ალექსანდრე მოკლესო.

ვ ა ხ უ შ ტ ი – ვინ აიგდონ თავი? მაგისთანა ხუმრობა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – (კითხულობს ტელეგრამას) ჰმ, გვარი დავინ-
ყებიათ, ალექსანდრე რომ მოკლეს... ბეგსიდაშვილი!..

რეაქცია

გ ი გ ო – (აღტაცებით) მაშ შენ ცოცხალი ხარ?! (მივარდება და გადაეხვევა).

ყ ვ ე ლ ა – მადლობა ღმერთს!.. მადლობა ღმერთს!..

ნ ა ტ ო – გენაცვათ, ჩვენ კი გული გაგვიხეთქეს! მობრძანდით! მობრძანდით, კნიაზო ვახუშტი... მოდი, გაცოცხლებულო შვილო!..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ნათქავამია: „რალა მევდარი და რალა შინ მოუსვლელიო“. უნდა მოგახსენოთ, რომ მე გადამიწყვიტეს ორი წლით გაგზავნა და მაშ უფლება ალარა მაქვს ჯვრისწერისა. და თუ მომიცდით?

ნ ა ტ ო – ეგ ელოზეა დამოკიდებული, როგორ არ მოგიცდის?

ე ლ ე ნ ე – არა, მე აქ არ მოვიცდი! (ყველა შეწუხდება) არ მოვ-იცდი იმიტომ, რომ მეც მინდა თან გავყვე. ცოლქმრობის პირობა რომ დავსდევი, მე იმ დღიდან ჩემი ქმრის ჭირიც უნდა გავიზიარო და ლხინიც. თან გავყვები.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – ადრევე დარწმუნებული ვიყავ მაგაზე (ხელზე კოცნის).

ნ ი ნ ო – (მიდის გიგოსთან) ზნაჩიტ ი ნაშა სვადპა სკორო ბუდეტ!

გ ი გ ო – სკორო, მაია დოროგაია! სკორო, მაია კრასავიცა! (ერთ-მანეთს ხელს აძლევენ).

ვ ა ხ უ შ ტ ი – იმე! თქვენ რომ გადაწყვიტეთ, მე ალარა მკითხ-ავთ? მე არა ვარ თანახმა, მამაჩემი არ ნამიწყდეს!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე – როგორ თუ არა ხარ, მამაჩემო?!

ვ ა ხ უ შ ტ ი – არა, მამაჩემი არ ნამიწყდეს, თუ პირობა არ ამისრულეთ, არ გაგიშვათ! ორი წელინადი მალე გაირბენს და იქი-დან რომ დაბრუნდებით, ქოჩორა ბიჭი ჩამომგვარეთ, რომ წვერები მომიწიოს ხოლმე.

ნ ა ტ ო – (იცინის) კარგი პირობაა! ღვთით ეგეც ასრულდება!

ბ ე ჟ ა ნ – კი, მაგრამ მე? მე ვინდა მომწევს წვერებს?

ნ ა ტ ო – ვისაც მოუწევია!..

სურათი

ვ ა ხ უ შ ტ ი – (წამოდგება წინ, მიიხედ-მოიხედავს) ვაი, საბრალო მაკრინე, სადა ხარ ახლა, რომ ვერ ესწრები შვილის ბედნიერებას! (თავს აწევს მაღლა) მაგრამ მრნამს-კი, რომ შენი სული მალლიდან დაგვხარის ახლა.

ფარდა ეშვება ნელ-ნელა

პარიზი, 1910 წ.

სიყვარული

დრამა სამ მოქმედებად

მოქმედი პირები:

თავადი ესტატე ჭიაბრიშვილი

ლევან – მისი შვილი

ელენე – ლევანის ცოლი

სანდრო – მათი შვილი

ვახტანგ – ლევანის ამხანაგი

ვარდისახარ – გამდელი

სცენა 1-ლი

ესტატე და ვარდისახარი

ფარდა აიხდება. ისმის ხანგრძლივი რეკა. განის კარებში გამოდის ვარდ-ისახარ, გაივლის სცენაზე და შუა კარებს აღებს. შემოდის ესტატე

გამოსვლა პირველი

ე ს ტ ა ტ ე – ოოოო! გამარჯობა, ჩემო ვარდისახარ!

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ – ღმერთმა ნუ მოგიშალოს გამარჯვება, ჩემო დიდო ბატონო!

ე ს ტ ა ტ ე – რა ამბავია, რომ ამდენი ხანია ვრეკავ და კარს არ მიღებთ?

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ – შინ არავინ გახლავსთ, ჩემო ხელმწიფევ, ჩემს მეტი და მეც საწოლ ოთახში გახლდით ყმაწვილთან... გვიან გავიგონე.

ე ს ტ ა ტ ე – სად წავიდენ ბატონები?

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ – ვაჟბატონი მთელი დღე არ გხლებიათ შინ და ქალბატონი კი, რომ დაღამდა, მაშინ წაბანდა.

ე ს ტ ა ტ ე – შენ და სანდრო კი მარტო დარჩით. მ... შენ როგორლაც ვერა ხარ კარგ გუნებაზე. სახეზე მოწყენილობას გატყობ!

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ – რა მაქვს, შენი ჭირიმე, სასიხარულო? დათხოვას მიპირებ...

ე ს ტ ა ტ ე – რას ამბობ?! ვინ გიპირებს?

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ – დღეს ქალბატონმა მიბძანა: წადი, სადაც გინდა, ჩემთვის საჭირო აღარა ხარო!..

ე ს ტ ა ტ ე – უხუმრია!.. ან გაგიჯავრებია რამეზე?

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ – უიმე! მე როგორ გავაჯავრებდი?!.. ისე უმიზიზოთ მიბძანა: აღარა ხარ საჭიროო. ძველი დრო გადავიდა, ძველი წესწყობილებაც თან გაჰყვა და ვარდისახარობაც აღარ არის საჭიროო. ჩემ შვილს შენ მაგირად მონა ეჭირვებაო. თითქოს მე კი არ ვიყო მონაცა და მორჩილიც.

ე ს ტ ა ტ ე – (იცინის) არა, ჩემონ ვარდისახარ! მონას კი არ გეტყოდა, „ბონას“. იცი რა არის „ბონა“? ქართულად რომ გამდელს ვეძახით, იმას რუსულად „ბონა“ ქვიან.

ვ ა რ დ ი ს. – რა ვიცი, შენი ჭირიმე! იმათი „ბონაც“ და მონაც ორივე ღმერთმა შეაჩვენოს!

ე ს ტ ა ტ ე – შენ ვერ გაგიგია, თორემ როგორ დაგითხოვენ... აი, შენი გაზდილი მოვა და, რომ გაიგებს, გაჯავრდება.

ვ ა რ დ ი ს. – შენი ჭირიმე! ლევანი ის ალარ გახლავსთ, რაც ადრე იყო... ქალბატონის ნება-სურვილზე დადის...

ე ს ტ ა ტ ე – ეგ ძალიან კარგია, როცა ქმარი ცოლის ნება-სურვილს ეთანხმება, მაგრამ უსამართლოს კი არა!..

ვ ა რ დ ი ს. – რა ვიცი, შენი ჭირიმე, სამართლიანია, თუ უსამართლო, მაგრამ მე კი მითხოვენ და!.. ვაუბატონიც იქ ბძანდებოდა და ხმაც არ ამოულია!.. ან კი როგორ გაბედავდა წინააღმდეგობას?!

ე ს ტ ა ტ ე – რას ამბობ, დედაკაცო?!

ვ ა რ დ ი ს. – მე რომ არ მოგახსენოთ, ადრე თუ გვიან ხომ მაინც გაიგებთ. ნათქვამია: „კაცმა სატყივარი მალა, მაგრამ ჭირმა მაინც თავი იჩინაო!“ ლევან დასწეულდა მაგ ცოლის ხელში და მისი მონამორჩილია. სანინააღმდეგოს ვერას გაბედავს.

ე ს ტ ა ტ ე – მე მაინც ვერა გამიგია-რა! ერთი მუჭა ჩვენ სახლში გოგოთ გამოზდილხარ, მერე განსვენებული ჩემი ცოლის მოახლედ ყოფილხარ, მერე კიდევ ჩემ ლევანს ძიძათ გახდომიხარ... ახლა კიდევ ჩემ სანდროსა ზრდი და ამდენ ნაამაგარს როგორ გითხოვენ სახლიდან, თუ აქ სხვა რაღაც უცნაური ამბავი არ იყოს! არა, არა! რაც უნდა იყოს, ჩემი ლევანი მაინც არ დათანხმდება.

ვ ა რ დ ი ს. – იმას, ვინც თავის გვარზე ხელი აიღო, მე რად დავენანები?

ე ს ტ ა ტ ე – რაო?! როგორ თუ გვარზე ხელი აიღო?

ვ ა რ დ ი ს. – აიღო, ჩემი ბატონი! აქამდი ხომ ჭიაბრისშვილი ბრძანდებოდით მამით, პაპით და ჩამომავლობით! ახლა კი...

ე ს ტ ა ტ ე – ახლა?!

ვ ა რ დ ი ს. – ქალბატონმა ისურვა ჩიაბროვათ გადაკეთება და ჩემი ლევანიც ჩიაბროვად ანერს ხელს... ჩემს ალექსანდრეს, სანდროს ვეძახდით და ახლა „საშაა“!

ე ს ტ ა ტ ე – ვაი ოჯახო დაღუპულო! ჭიაბრიშვილობას აღარ კადრულობენ... სწუნობენ და ჩიაბროვებათ მოაქვსთ თავი?! მერე

სიყვარული

იცი შენ ვინ ყოფილა ჭიაბერი?.. ის ჩვენი წინაპარი თამარ მეფის პირველი ვეზირი იყო. ვეზირობა რომ გაიმართებოდა ხოლმე, იმას ვერცხლის სკამს უდგამდენ! მაშ!.. და დღეს კი მისი ჩამომავლობა გვარის ხსენებასაც ვერა ჰქედავს... ერცხვინება!..

ს მ ა ო თ ა ხ ი დ ა ნ – გადია! ვარდისახარ! ვის ელაპარაკები მანდ?

ვ ა რ დ ი ს. – არავის, გენაცვალე, დიდი ბატონი მობძანდა!..

ე ს ტ ა ტ ე – ჯერ კიდევ არ დაუძინია?

ვ ა რ დ ი ს. – გაჭირვეულდა... ხელ-პირი დავაბანინე!.. ვალოცე, მაგრამ გახდით არ გამახდევონა, ჯერ ადრეაო და რაღაც ნახატებიან წიგნს მიუჯდა... იმას ათვალიერებს. (გადის).

ე ს ტ ა ტ ე – რაებს ჩერჩეტობს ეს დედაბერი?! რაები არ მორომა ჩემ ლევანზე? ქალბატონის მონააო! ვე! ვინ ლევან და ვინ მონობა? როგორც ქვეყნის მოსამასაურეს, მთელი ქვეყანა გადაკიდებული ჰყავს, დიდი და პატარა მისი მტერია და თავს არავის უდებს... ყველას უმკლავდება და მაინც თავის გზით მიდის და ახლა ეს გამოჩერჩეტებული მარწმუნებს, რომ თითის სიგძე ქალს ემორჩილებაო. აჲ, აჲ! აქ რაღაც სხვა ამბავია.

გამოსვლა მეორე

ისე და ს ა ნ დ რ მ შემოვარდება

ს ა ნ დ რ მ – პაპია! პაპია! რა კაი გიქმნია, რომ მოსულხარ! (კალთაში ავლებს ხელს).

ე ს ტ ა ტ ე – (ხელს წაავლებს და ჰკოცნის) გამარჯობა შენი, ბიჭიკო. რა ამბავია, რომ ამდენ ხანს არ გძინავს?

ს ა ნ დ რ მ – ჯერ რა დროს ძილია?.. თვითონ წავიდ-წამოვიდენ, მე შემაგდეს ოთაში და, გინდა თუ არა, დაიძინეო.

ე ს ტ ა ტ ე – არა და უფროსები რომ გეტყვიან, უნდა დაიძინო.

ს ა ნ დ რ მ – იმე! თუ არ მეძინება?.. აი, ახლაც არ მეძინება და რა ვქნა? მოდი შენ დარჩი! არ გაგიშვებ (ჩააფრინდება კალთაში). ერთი ზღაპარი ვსთქვათ... იცი, რისთანა? გუშინწინ რომ მითხარი „კუჭიას ზღაპარი“! მისთანა!

ე ს ტ ა ტ ე – ბატონი ხარ, მაგრამ ჯერ მითხარი: რა გქვია სახელი?

სიყვარული

ს ა ნ დ რ ო – საშა.

ე ს ტ ა ტ ე – რა გვარი ხარ?

ს ა ნ დ რ ო – ჩიაბროვი.

ე ს ტ ა ტ ე – საშა ჩიაბროვს „სერინკი კოზლიკი“ და მისთანა ზღაპრები ეჭირვება და მე რომ არ ვიცი?! მე ქართული, ჩვენებური ზღაპრები ვიცი.

ს ა ნ დ რ ო – მეც ეს ზღაპრები უფრო მიყვარს. მითხარი, ჩემო პაპია.

ე ს ტ ა ტ ე – მაშ კარგი. დაუძახე ვარდისახარსაც, თვარა მოეწყინება მარტო რომ დარჩება იქ.

ს ა ნ დ რ ო – არა! პაპია! არ მოეწყინება. ის ჯერ წინდის ქსოვას დაიწყებს და მერე რომ მიეძინება, ამოუშვებს ხვრინას. ის თავისით ვის იყოს და ჩვენ აქ მოვყენეთ ზღაპარს.

ე ს ტ ა ტ ე – კარგი, შეილო! მაგრამ იმ პირობით კი, რომ გავათ-ავებ თუ არა, შენც მაშინვე წახვალ და დაიძინებ...

ს ა ნ დ რ ო – კი, პაპია. აბა რას ვიზამ?

ე ს ტ ა ტ ე – მაშ, კარგი. მე აგერ წამოვწები მუთაქაზე და შენც გვერდში მომიჯევი...

ს ა ნ დ რ ო – დაწყებით მე დავიწყებ: იყო და იყო, ლვთის უკე-თესი რა ყოფილა-რა...

ე ს ტ ა ტ ე – ერთ პიტალო კლდეზე ციხე-დარბაზი იყო აშენებული, სამი მხრით მიუვალი. მიუვალი იმიტომ, რომ გვერდებიდან ორივე მხრით დიდი უშველებელი გაუვალი ზღვა რწყამდა და უკანი-დან უზარმაზარი, თვალმიუნდომელი მთები ჰქონდა წამოყუდებული. მაშინ... ხომ არც ხომალდები იყო, რომ ზღვა გაეცურა და არც რეი-ნის გზა, რომ მთები გადაელახა (სანდრო მიუწოდება და შეწერებია პირში, თითქო შიგ ჩაძრომა უნდაო), სამ კუთხით მიუვალი იყო, მეო-თხით... აღმოსავლეთისაკენ კი – გახსნილი, მაგრამ ციხის კარები ისე მაგრად იყო ჩაკეტილი, რომ, თუ არ ნებართვით, ისე ძალმომ-რეობით, ვერავინ შევიდოდა.

ს ა ნ დ რ ო – ვისი იყო ის ციხე-დარბაზი?

ე ს ტ ა ტ ე – შიგ ერთი მზეთუნახავი სცხოვრებდა.

ს ა ნ დ რ ო – ეთერი?

ე ს ტ ა ტ ე – არა, მაგრამ ალარც იმაზე ნაკლე... თამარი! ეს, ამ პატარა ციხე-დარბაზის პატრონი, ისეთი მშვენიერი იყო, რომ მისი სხივოსნობა დღითი მზეს ეხარპებოდა და ღამლამობით მთვარეს.

ს ა ნ დ რ ო – უჰ! რა ლამაზი ყოფილა!

სიყვარული

ე ს ტ ა ტ ე – მაშ!.. მაშ!! მისი სილამაზის ამბავი მთელ ხმელეთზე გაითქვა და ყველა აალაპარაკა.

ს ა ნ დ რ ო – მერე რაი, რომ აალაპარაკა?

ე ს ტ ა ტ ე – მოსვენებას აღარ აძლევდენ: სხვადასხვა სახელმ-ნიფობიდან მოდიოდნენ უცოლო ხელმწიფის შვილები და ცოლად თხოვილობდნენ.

ს ა ნ დ რ ო – თხოვილობდნენ? მერე? მერე?

ე ს ტ ა ტ ე – არავის არ გაჰყევა ცოლად. არავის არ გაუღო ციხის კარი და ვინც ძალა იხმარა, ყველა დაამარცხა თითო-თითოდ... ცალ-ცალკე. რომ ვეღარა გააწყვეს-რა, ერთად მიადგნენ შეერთებულის ძალით და მოუნდომეს კარების ჩამტვრევა... საქმე წვაზე მიდგა.

ს ა ნ დ რ ო – ვაი, საწყალი!

ე ს ტ ა ტ ე – მაგრამ თამარს სილამაზესთან ჭკუაც დიდი ჰერონდა: მიდგა სარკმელზე, გამოყო თავი და გადაძახა ხელმწიფის შვილებს: ცოცხალი არც ერთს არ დაგნებდებით და ამ ციხე-დარბაზსაც დავწვავ-დავანგრევ... მე ერთი ვარ და თქვენ ხუთი-ექვსიო. რომელს უნდა დაგრჩეთ, დაგნებდეთ? მე არც ერთს არა გწუნობთ! ყველა კარგი ხართ, მაგრამ მე კარგს უკეთესი მირჩევნიაო. დაეჭიდეთ ერთ-მანეთს და რომელიც გაიმარჯვებს, მეც იმისი ვიქნები, იმას გაცჹვებიო. ეს რომ გაიგონეს, შეეტაკენ ერთმანეთს ხელმწიფის შვილები და მუსრი გაადინეს. რასაკვირველია, ერთი დარჩა გამარჯვებული, სხვები გარეკა!.. მაგრამ ეს გამარჯვებულიც ისე კი დასუსტდა, რომ საძრაობა აღარ ჰერონდა. მაშინ გაიღო ციხის კარები, გამოვიდა მზე-თუნახავის მცირე ჯარი და სულ კუდით ქვა ასროლიეს იმ გამარჯვებულებსაც.

ს ა ნ დ რ ო – თამარმა რა ქნა?

ე ს ტ ა ტ ე – რა უნდა ექნა? დარჩა მოსვენებული თავის კოშკში. დიდხანს ვეღარავინ უბედავდა მიკარებას, ერთხელ ხმა გავარდა, რომ სხვადასხვა ხელმწიფებმა მოილაპარაკეს ერთმანეთთან და შეთანხმდნენ, რომ ერთად მიადგენ მზეთუნახავის ციხის კარებს, შეერთებულის ძალით ჩაუმტვრიონ კარები, გამოიყვანონ მზეთუნახავი, მერე წილი ჰყარონ და ვისაც ბედი არგუნებს, იმას დარჩესო.

ს ა ნ დ რ ო – ვაი, საწყალი!

ე ს ტ ა ტ ე – ამ ამბავმა ძალიან დააღონა მზეთუნახავი. ყოველ დილას მოადგებოდა ხოლმე სარკმელს მზეთუნახავი შეშინებული და გადმოხედავდა ძირს: ჯარი ხომ არ მოდგომია ჯერო. ერთხელ გად-მოიხედა ჩვეულებრივ და დაინახა, რომ ჯარი არსად არის, მაგრამ

დაბლა კარებთან ერთ ვიღაც ჭრომას ახალგაზდას კაცს დაუჩინია და ხელები მაღლა აუპყრია. გაუკვირდა მიზეთუნახავს და შეეკითხა, ვინ ხარ და რა სულიერი? და რას აკეთებ მანდაო? ქარბუქეთის მეფის შვილი ვარო! – მიუგო ჭრომახმა. – შენ ხომ ღმერთი გრწამს, მეც იმავე ღმერთს ვემსახურები და ახლა ვევედრები, რომ განსაცდელ-ისაგან დაგიფაროსო. გავიგონე, რომ ურუჯულოები ძალით მოსატა-ცებლად მოდიან და მე, როგორც შენ თანამერჯულებს, მინდა რომ დაგეხმაროო. შენ მცირე ჯარს მეც ჩემ დიდალ ჯარს წამოვახმარ და ერთად ვებრძოლოთ იმ ურჯულოებსო. ეს რომ მზეთუნახავმა გაიგონა, დაიჯერა და მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ბძანა, გაეღოთ ციხის კარები. ჯერ ჭრომახი შემოიყვანა შინ, მერე ჯარიც შემოაყვანია და უშიშროთ დაუწყო მტრებს მოლოდინი. მართლაც არ გაუვლია დიდ ხანს, რომ მტრები მოადგნენ ციხე-დარბაზს, გამოვ-იდა მზეთუნახავის ჯარი რაც იყო. იმას თან გამოჰყვა ქარ-ბუქეთის ჯარიც და ასე დაამარცხეს მტრები, რომ გაქცეულებს უკან აღარ მოუხედნიათ. მზეთუნახავმა მადლობა გადაუხადა ქარ-ბუქეთის ხელმწიფის შვილს და გამოთხვება მოინდომა; მოინდომა მაგრამ ჭრომახმა უთხრა: ამ დროს ჩვენ ქვეყანაში ცუდი ტაროსია: არ წაის-ვლება. ერთხანობით კიდევ გვისტუმრეო. მადლიერი მიზეთუნახავი, რასაკვირველია, დაეთანხმა.

ს ა ნ დ რ ო – მერე რა ქნეს?

ე ს ტ ა ტ ე – გაჩხრიკეს ციხე. ჩუმათ თავის ნება-სურვილზე მიაწყვ-მოაწყვეს იქაურობა. მიიბირეს ზოგიერთი შინაყმები მზეთუ-ნახავის და მერე თვითონ მოინდომეს გაბატონება. ეს რომ დაინახა მასპინძელმა, ავარდა-დავარდა და მოინდომა წინააღმდეგობა, მაგრამ რაღას გააწყობდა? ციხე-დარბაზი ქარბუქელების ხელში იყო.

ს ა ნ დ რ ო – მერე და ფიცი და რჯული?

ე ს ტ ა ტ ე – პოლიტიკაში არც ფიცია და არც რჯული, შვილო! სტაცეს ხელი მზეთუნახავს და ურჩხობისათვის ცხრაკლიტულში ჩასვეს და დღესაც იქ ზის. (მოისმის რეკა).

ს ა ნ დ რ ო – (წამოვარდება ზეზე) ვაი! დედაა სწორეთ. შენი ჭირ-იმე, პაპა, ნუ ეტყვი, თუ მე აქ ვიყავ. (გაიქცევა. ელენე შემოდის).

გამოსვლა 3-შე

ე ს ტ ა ტ ე და ე ლ ე ნ ე

ე ლ ე ნ ე – თქვენ? ამ დროს?

ე ს ტ ა ტ ე – რომ არ დაგესწრო, მეც მაგისი კითხვა მინდოდა.

ე ლ ე ნ ე – მე სხვაგან ვიყავ სტუმრად! მაგრამ თქვენ ხომ ადრე დაძინებასა ხართ ნაჩვევი...

ე ს ტ ა ტ ე – ლევანთან შემოვედი. საქმე მქონდა და ვუცდი.

ე ლ ე ნ ე – ლევან გათენებისას მოდის ხოლმე. დიდი ხანია იცდით?

ე ს ტ ა ტ ე – დიდი ხანია.

ე ლ ე ნ ე – მოგზუინდებოდათ მარტო.

ე ს ტ ა ტ ე – მარტო არ ვყოფილვარ. ჩემი სანდრო იყო ჩემთან.

ე ლ ე ნ ე – ამ დროს? (უკმაყოფილოდ) არ ეძინა?

ე ს ტ ა ტ ე – ზღაპარი მათქმევია და მერე წავიდა.

ე ლ ე ნ ე – (უსიამოვნოდ) რამდენჯერ შეგეხვეწეო, რომ ზღაპრებს ნუ ეუბნებით! ძილს ნუ უტეხთ-თქო!..

ე ს ტ ა ტ ე – რა უჭირს?.. ბავშვი ზღაპრით უნდა გაიზარდოს. ჩვენც სულ ასე არ დავიზარდეთ?

ე ლ ე ნ ე – მერე რა კარგი გამოვიდა? მიტომაც არიან ქართველები ოცნებას გადაყოლილი და საქმეს კი გაურბიან.

ე ს ტ ა ტ ე – ეგ სულ დღევანდელი ზღაპრების „სერინკი კოზ-ლიკების“ ბრალია, თვარა ჩვენი ზღაპრები გმირებათა სწვრთნიდნენ შვილებს.

ე ლ ე ნ ე – და გამოდიოდნენ ლევანები!.. (დაცინვით)

ე ს ტ ა ტ ე – დასახ, ლევანები... რა აქვს დასაწუნი?

ე ლ ე ნ ე – ახლა მაგაზე ლაპარაკი გვიან არის. სხვა დროისთვინ გადავსდვათ.

ე ს ტ ა ტ ე – მეც ვხედავ, რომ გვიან არის!.. ლამე მშვიდობისა, ჩემო რძალო!

ე ლ ე ნ ე – დოსვიდანია! ესტატე მიდის (ელენე გააცილებს და მალე შემობრუნდება) უჰ, ძლივს არ მოვიშორე!! სანამდი აქ იყო, მე თვითქოს ეკალზე ვიწექი... იმ დროს რომ შემოსულიყო ყმაწვილი, რაღა მეთქმოდა? მადლობა ღმერთს, რომ დაიგვიანა. წავალ, ამ ტანისამოსს გამოვიცვლი. (მიდის და შლიაპას იხდის. სცენა ცალიერია).

გამოსვლა 4-ხე

ვ ა ხ ტ ა ნ გ – (შემოდის, ოთახს თვალს მიმოავლებს) არავინ არის? (ჯდება კრესლობი) უთუოდ ჯერ არ მოსულა. უნდა დავუცადო. ჰეიპე! ჭეშმარიტად, რომ ჩემი თავისა მრცხვენია! სარკეში ვეღარ ჩამიხედნია. ვინ მე და ვინ ეს საქციელი!.. უკეთეს ამხანაგსა და მეგობარს ვღალატობ! (ელენე შემოდის. უკანასკნელი სიტყვები ესმის).

გამოსვლა 5-თხ

ი ს ვ ე დ ა ე ლ ე ნ ე

ე ლ ე ნ ე – სინანულში ხარ?.. გეტყობა, რომ ჯერ კიდევ ვერ აგიცდენია თავიდან ძველებური სისულეელე... (მიუახლოვდება).

ვ ა ხ ტ ა ნ გ – (წამოიჭრება ზეზე და ხელებზე ჰკოცნის) არა, ჩემო ანგელოსო, ამ ნეტარებასთან შედარებით ჩემი სინანული ფარად არ გამოჩნდება. (მოხვევს ხელს და მუხლებზე იჯენს).

ე ლ ე ნ ე – (ჯდება, მაგრამ მაინც) არა! არა! მუხლები გეტკინება!

ვ ა ხ ტ ა ნ გ – შენი ჰეროვნება და ჩემი სიყვარული განა სამძიმოდ მეჩვენება? ჩემო ღვთაებავ! ჩემო ნეტარებავ! (ჰკოცნის).

ე ლ ე ნ ე – დაფარული ნეტარება... ქურდული... როგორლაც მეხიმხება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – მაშ რა უნდა ვქნათ?

ე ლ ე ნ ე – ამდენი მოტყუება არც ჩვენ გვეკადრება და არც იმას! უნდა გამოუტყდე ჩემ ქმარს... ის შეგნებული კაცია, – ახალი აზრის. ხელს არ შეგვიძლის. კიდეც დაეხმარება ჩვენს დაახლოებას.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – მერე? ქვეყანა რას იტყვის!

ე ლ ე ნ ე – რაც უნდა, ისა სთქვას!.. სიყვარული ასეთი რამ არის, რომელიც არც მოითხოვს ანგარიშს და არც არავის აძლევს. ძალაა თავისუფალი და თავისებური სიტკბოება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – ალბათ რომ მანგრე ყოფილა, ჩემო ყველაფერო! (ჩაეხუტებიან ერთმანეთს თავდავიწყებული. ამ დროს შემოდის ლევან და გაოცებული შეჰყურება. ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

ფ ა რ დ ა

სიყვარული

მოქმედება მორჩი

სცენა პირველი

ლევან – (მისა კაბინეტში. ათავებს წერას და ჰერტავს წერილს). ჰე, ესეც ასე!. მორჩი და გათავდა, ეს უკანასკნელი ჩემი ნება-სურვილი რომ ჩაუვარდება ხელში საბრალო მამაჩემს, უეჭველია ეცდება სისრულეში მოიყვანოს და მე კი...

გამოსვლა 2

(შემოდის ვახტანგი დარცხვენილი, ფერმისდილი და უსიტყვოდ გაჩერდება ლევანის წინ. ლევანი დიდხანს გაოცებული შეჰყურებს, ხმაამოუღებლად).

ლ ე ვ ა ნ – შენ?! ჩემთან!!.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – დიახ, მე უკანასკნელად მოვდივარ, ბოდიში მოვითხოვო... შენდობა მივიღო.

ლ ე ვ ა ნ – არის ხოლმე მისთანა შემთხვევა, რომ ბოდიში აღარ ეხერხება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – მესმის... არის ხოლმე დანაშაული, რომელსაც სინანული ველარ შველის... მაგრამ შენდობა მაინც უსაზღვროა. ჩემს სინანულს აღარა ეშველება-რა, მაგრამ შენი შენდობა მაინც ტანჯვას შემისუბუქებს. წუხელისაც გატეხილათ გითხარი და ახლაც უნდა ასე განგიმეორო...

ლ ე ვ ა ნ – რომ ყოლიფერი ეს შენდა უნებურად მოხდა. ბევრს ეცადე, მაგრამ უკუ ვერ აგდე... სიყვარულმა შეგიპყრო, შეგბოჭა და აღარ შეგიძლია უიმისოდ სიცოცხლე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – დიახ! ხელი ამაღლებია ყველაფერზე: ნამუსზე, ამხანაგობაზე და მეგობრობაზე... ცეცხლი მეკიდება და გაქრობა არ ხერხდება...

ლ ე ვ ა ნ – მესმის! კეთილი!.. მაგრამ ეგ გაუქრობელი ცეცხლი მეც რომ მიკიდია?! ერთი ჩვენგანის ცეცხლი უნდა გაქრეს, რომ მეორე მაშინ სიტყბოებით აენთოს ან შენ უნდა დარჩე და ან მე...

ვ ა ხ ტ ა ნ გ – დუელი?!

ლ ე ვ ა ნ – როგორ თუ დუელი?! ამ ჩვენ უნებურ უბედურებას სისულელეც უნდა მივუმატოთ?

სიყვარული

ვ ა ხ ტ ა ნ გ – მაშ რა ვქნათ? შენვე გადასწყვიტე!

ლ ე ვ ა ნ – აი, ამან უნდა გადასწყვიტოს, (ნამოავლებს ხელს რევოლუციას).

ვ ა ხ ტ ა ნ გ – შენი ნება იყოს!.. (მიუშვერს გადაღიალებულ გულს. თვალებს ხუჭავს).

ლ ე ვ ა ნ – (მიადებს გულზე რევოლვერს და გაჩერებულია) არა! არა! შენი სიკვდილით საქმე არ გამოსწორდება! გამაუბედურე და ახლა გინდა, რომ კაცის მკვლელადაც გამხადო?

ვ ა ხ ტ ა ნ გ – მაშ მე თვითონ მოვიკლამ ჩემ თავს. (უნდა გამო-ართვას რევოლვერი).

ლ ე ვ ა ნ – ბოდბელს გაუმარჯოს!.. „მე რომ მოვკვდები, მერე ქვა-ქვაზედაც ნულა ყოფილა! მე რას დავეძებო“. შენც სიკვდილი გინდა, რომ ყოლიფერი თავიდან მოიშორო? შენ როგორდაც არეული ხარ! ველარა სჯი. დაჯექი და დაისვენე (ვახტანგი ჯდება). მაშ, შენ ამტკიცებ, რომ პირველად არ გქონია განძრახვა, რომ ჩემი ცოლისათვის თავი შეეყვარებია და მოგეტაცნა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – ღმერთი იყოს მოწამე, რომ ფიქრადაც არ მომს-ლოდეს. ორი წელინადი ვებრძოლე ჩემს თავს და ვერა გავაწყე-რა!.. ძვალ რბილში გამიჯდა სიყვარული და მძლია.

ლ ე ვ ა ნ – ასე რომ უმისოდაც სიცოცხლე ალარ შეგიძლია?

ვ ა ხ ტ ა ნ გ – სწორეთ!

ლ ე ვ ა ნ – მეც ხომ მაგ ცეცხლში ვარ! განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შენ გიყვარს და იმასაც უყვარარ... მე მიყვარს და იმას კი აღარ ვუყვარვარ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – და მიტომაც მინდა ისე გადვიკარგო, რომ ჩემი ასავალ-დასავალი არავინ იცოდეს.

ლ ე ვ ა ნ – სიყრმიდგანვე თანშეზრდილები ვართ! ამხანაგები! ერთმანეთის უკეთესი მეგობარი ვიყავით და აქამდი არ მცოდნია, თუ მაგისთანა ეგოისტი იყავი, შენი მწუხარებისა და შენი თავის მეტი არა გახსოვს-რა. იმ ქალს ქმარზე ხელი აალებინე... შვილზე... ქვეყნის შეხედულებაზე და ახლა გინდა, რომ იმაზეც ხელი აალებიო, ვინც მისთვის ყველაფერია?

ვ ა ხ ტ ა ნ გ – ვალდებული ვარ, რომ კანონიერ უფლებას მე ჩემი უკანონო გზა დავუთმო.

ლ ე ვ ა ნ – სიყვარულს თავისი საკუთარი კანონი აქვს და საზოგადო ცხოვრების კანონს არ ემორჩილება!.. მე არც შენ გამტყუნებ და არც

ელენეს, რომ ეგ აუცილებელი უცნაური სენი შეგეყარათ. ახლა მეტი ალარა მოხერხდება-რა, სხვა გზით უნდა ანგარიშს გაწევა და დახ-მარება.

ვ ა ხ ა ნ გ – ყურს გიგდებ და ვერა გამიგია-რა!

ლ ე ვ ა ნ – დავივიწყოთ წარსული, ვითომც არც ყოფილიყოს და ვიფიქროთ მომავალზე! შენ ის გიყვარს და იმას შენ უყვარხარ, ისე რომ უერთმანეთოთ ცხოვრება არ შეგიძლიანთ. ჩემი მხრით იმის წინააღმდეგობა და ხელის შეშლა ეგოისტობა იქნება... ქვეყნის მიხედ-ვით სამართლიანი, მაგრამ ჩემის შეხედულობით კი – უსამართლო ძალმომრება! და მე გადავსწყვიტე, რომ თქვენს ბედნიერებას ხელი არ შევუშალო. ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ წინ არ გელობებო-დეთ. შენ მეტი გავალია და სიყვარული გმართებს მისი. მე მიყვარდა ქვეყნის შეხედულების თანახმად და შენ კი – წინააღმდეგ ქვეყნის შეხედულობისა, უკანონოდ. ქვეყნის თვალში ის დღეიდან ათვალ-წუნებული იქნება და შენმა სიყვარულმა უნდა გააქარვებიოს დანა-კარგი. გიყვარდეს შენ თავზე უფრო და ომერთმა გაპედნიეროსთ. ერთ სხვანაირს გადებ შესანდობარს: ელენესთან ერთად თანასწო-რად გიყვარდეს შენი სამშობლოც... იყავ მათი თავდადებული მოსამ-სახურე... ეს შენთვის ადვილია, მით უფრო, რომ ქონებით უზრუნ-ველყოფილი ხარ, სწავლა-განათლება მიღებული გაქვს, ახალგაზდა ხარ, ჯანლონით სავსე და ახლა მაგას ყველას სიყვარულიც დაერთო... ის სიყვარული, რომელზედაც რუსთველი ამბობს: „სიყვარული აღგ-ვამაღლებსო“. ამაღლებულს რომ დაგინახავ, მეც შემიმსუბუქდება ტანჯვა. ახლა კი მშვიდობით. მართალია, აწ ჩვენ ერთმანეთს ველარა ვნახავთ, მაგრამ შენი მეგობრობა გულითადი კი საფლავის კარე-ბამდი მიმყვება. გამოთხოვებით კი მეგობრულათ გამოგეთხოვები, (გადახევევინ ერთმანეთს და ეთხოვებიან. ესტატე შემოდის შეუმჩნევლად და გაოცებით შეჩერებია. ვახტანგი გადის).

გამოსვლა 3-ეთ

ე ს ტ ა ტ ე და ლ ე ვ ა ნ

ე ს ტ ა ტ ე – მადლობა ღმერთს! ტყუილა არ ამოვიხეთქე გული!..
ლ ე ვ ა ნ – მამა?! დილა მშვიდობისა! რა ამბავია? დაბძანდით!
(კლება).

ე ს ტ ა ტ ე – მეც მის შესატყობლად მოვედი. დილას, გათენე-
ბამდი ვარდისახარი მოიჭრა და შემომტირა, რომ წუხელი ვითომიც
დიდი უბედურება მოგსვლოდესთ.

ლ ე ვ ა ნ – დიდი, მამაჩემო!

ე ს ტ ა ტ ე – (შეშფოთებული) უმ!.. რა მოგივიდათ?!

ლ ე ვ ა ნ – ის, რაც ეჭვად მქონდა ალებული და გულს მიღრღნ-
იდა... მაგრამ არ მეჯერა!

ე ს ტ ა ტ ე – იმე!.. რა მოგივიდა მაგისთანა?

ლ ე ვ ა ნ – ელენეს ალარ ვუყვარვარ. ჩემ მაგიერად ის შეყვარებია.

ე ს ტ ა ტ ე – ვინ ის?!

ლ ე ვ ა ნ – ვახტანგი! წუხელი მათი ალერსი ჩემის თვალითა
ვნახე და კიდეც გამომიტყდენ.

ე ს ტ ა ტ ე – (გაოცებული) მერე და აქვე სული არ გააცხებიე ვახ-
ტანგს?! და იქვე არ მიბერტყე შენი ცოლი, რომ მოგერჯულებინა?!

ლ ე ვ ა ნ – აპა რას ამბობ, მამაჩემო? ჩვენი დრო და ცემა-ტყეპა?
მონობის დრო გადავარდნილია. ცოლი ყველასფერში თანასწორია.

ე ს ტ ა ტ ე – იმე! იმე!

ლ ე ვ ა ნ – დიახ, თანასწორია და მიტომაც ჩვენ, ქართველები,
მეუღლეს ვეძახით. ალბათ ალარ შეუძლია ჩემთან ერთად უდელი
სწიოს და თავისი გზით უნდა წავიდეს, ამაზე ჩვენ კიდეც მოვილაპარა-
კეთ და მოვრჩით.

ე ს ტ ა ტ ე – (გაოცებული) მორჩით: ესე იგი ცოლს მას უთმობ.
ეგებ მაყრათაც მიჰყვები? მტერს ეხვევი და ჰერცი... ვერა გამიგია-
რა...

ლ ე ვ ა ნ – ვერც გაიგებ ძველი შეხედულობით!.. თქვენი დრო
გადასულია.

ე ს ტ ა ტ ე – ღმერთმა ნურც გამაგებიოს!.. ჭიაბრიშვილათ
დავბადებულვარ და ჭიაბრისშვილათ უნდა მოვკვდე. თქვენ კი რაღაი
ჩიაბროებად გადაიქცით, გზასაც შესაფერს იკვლევთ. ძველებური
ალარ გინდათ-რა. რჯულსაც კი სტეხავთ.

ლ ე ვ ა ნ – რჯულს?

სიყვარული

ე ს ტ ა ტ ე – დიახაც რჯულს: რჯული გვიპრძანებს, რომ „ქმარი არს თავი ცოლისა, ვითარცა ქრისტე ეკლესიისაო“ და თქვენ კი აღარც თაობას კისრულობთ და ეკლესიასაც იშორებთ!.. ალბად, შენც გიხარია, რომ იშორებ?!?

ლ ე ვ ა ნ – რას ამბობ, მამაჩემო? ჩემ სიცოცხლეში ბევრი უბედუ-რობა გამომიცდია, მაგრამ ამისთანა გულისმწველი ჯერ არ მინახ-ავს-რა!.. რაც არ გადავსწყვიტე, სხვა მეტი არა უხერხდება-რა...

ე ს ტ ა ტ ე – არა უხერხდება-რა? იმიტომ, რომ გადაჩიაბროებ-ულხართ, ჭიაბრიშვილებს კი საკუთარ უბედურებას გარდა საქვეყნო უბედურებაც თავზე აწვათ, მაგრამ უმკლავდებოდენ. „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითერსაო“, ამბობდენ.

ლ ე ვ ა ნ – ალბად სხვა ბუნების ყოფილან... ჩვენზე უფრო ძლი-ერნი.

ე ს ტ ა ტ ე – ამტანიც! და მიტომ, რომ მაღლა ღმერთი სწამდათ და დაბლა შრომა, მოთმინება. შენც რომ იმათსავით ჰეიქრობდე, ეს დღევანდელი შენი სატყივარი (განა ვერ ვხედავ, რომ იტანჯები?) შენი სატყივარი განახევრებული გექნებოდა და ასე მწვავედ ვეღარ მოგერევოდა.

ლ ე ვ ა ნ – მაშ! ნუ მისივებ გულს!.. რალა ეგ მეჭირვება!

ე ს ტ ა ტ ე – არა, შვილო. შენზე ნაკლებ არც მე მეწვის გულ-ლვიძლი, მაგრამ ყოველივე ღვთის ნებაა. წყლული სანამდის დაფა-რულია და პირს იჩენდეს გამოსარწყავად, უფრო მწველია და აუტა-ნელია.

ლ ე ვ ა ნ – ჩემმა წყლულმაც დღეს პირი იჩინა გასახეთქად, მაგრამ ვაითუ მე ვეღარ გავუძლო... მიყვარს ელენე და ვაითუ ვეღარ ავიტანო მოშორება...

ე ს ტ ა ტ ე – ღმერთი ყველაფერს შეგაძლებინებს!.. ვაუკაცად ხარ გაჩენილი, ულვაშები გასხია და ქუდი გხურავს. (ისმის რეკა). ეჲ, ვიღაც მოდის. მე სანდროსთანაც შევალ ცოტა ხნით (გადის).

ე ლ ე ნ ე ს ს მ ა – შეიძლება შემოვიდე!..

ე ს ტ ა ტ ე – უჲ, ღმერთმა მაგის სახე ნუ დამანახვოს!..

ლ ე ვ ა ნ – მობრძანდი!

ე ს ტ ა ტ ე – მე წავალ და სანდროსთან მოვიცდი! (გადის).

ლ ე ვ ა ნ და ე ლ ე ნ ი (შემოდის)

ე ლ ე ნ ე – დილა მშვიდობისა!

ლ ე ვ ა ნ – დილა მშვიდობისა! რას გვიპრძანებ?

ე ლ ე ნ ე – ვახტანგმა ყველაფერი მიამბო, რაც გითქვამს და მეც მოვდივარ მადლობის სათქმელად. მე ადრევე დარწმუნებული ვიყავ, რომ შენ სწორედ მანგრე მოიქცეოდი, როგორც თანამედროვეს შეჰვერის. არ მომხდარიყო, კარგი იყო, მაგრამ ჩვენდა უნებურად მოხდა და ახლა მე რომ სხვა მიყვარდეს და შენ გვერდით ვიყო და გატყუვლო, ეს ჩემი მხრითაც საძაგლობა იქნება და არც შენ გეკადრება... ჩვენ ერთმანეთს უნდა გავშორდეთ.

ლ ე ვ ა ნ – ვხედავ!..

ე ლ ე ნ ე – უნდა გავშორდეთ, მაგრამ ეს მოშორება ჩვენს მეგობრულ კავშირს ვერ გასწყვეტს!.. მით უფრო, რომ შვილი გვყავს. რაც მოხდა, მოხდა. გულში ნუ ჩავირჩენ ერთმანეთის ძვირს. (ხელს უშვერს. ლევანიც აძლევს ხელს, ელენე უცბად ჰქოცნის ხელზე).

ლ ე ვ ა ნ – (შემკრთალი) რას შვრები ამას?! გამოთხოვება გინდა? გამოვეთხოვოთ ერთმანეთს მეგობრულად (გადაეხვევა დადუმებული).

ს მ ა ს ა ნ დ რ ო ს ი – (კარების უკანიდან) არა, შენც უნდა შემოხვიდე, გადია, თვარამ არც მე შევალ! აი, პაპი ხომ დამეთანხმა?!

(გაიღება კარები და შემოდიან: ესტატე, სანდრო და ვარდისახარ. შემკრთალი გაჩერდებიან კარებთან).

ვ ა რ დ ი ს. – (გაოცებული ესტატეს) წუხელი ერთი ამბავი ჰქონდათ და ახლა კიდეც შერიგებულან?!

ე ს ტ ა ტ ე – უკაცრავად, უდროვოდ შემოვედით, მაგრამ სანდრო არ მოგვეშვა: მინდა მამასთან წასვლაო და წამოგვათრია.

ლ ე ვ ა ნ – მობძანდით! მობძანდით! სწორეთ კაი დროს წამოგვეშნარით!.. სანდროს დაბარება გვინდოდა. სანდრო! მოდი აქ! (სანდრო მიდის და არ იცის ვისთან მივიდეს: დედასთან თუ მამასთან). მოდი, შვილო, დედაშენი მიდის... მშორდება... სხვაგან გადადის...

ს ა ნ დ რ ო – (გაოცებული) რათ? ვისთან გადადის?

ლ ე ვ ა ნ – ეს შენთვის ჯერ გაუგებარია.

ს ა ნ დ რ ო – მაინც?

სიყვარული

ლ ე ვ ა ნ – ძია ვახტანგთან. ასე რომ, ჩვენ ერთად აღარ ვიქწებით
და შენ ვისთან გინდა დარჩე?

ს ა ნ დ რ ო – ორივესთან...

ლ ე ვ ა ნ – ეგ მოუხერხებელია!.. ან ერთთან უნდა დარჩე
საცხოვრებლად და ან მეორესთან. მეორესთან შეგიძლია იარო
ხოლმე. ნადი ახლა, წაყევ დედას და ჩემთან იარე ხოლმე.

ს ა ნ დ რ ო – პაპია და ვარდისახარი?

ლ ე ვ ა ნ ი – ისინი აქ დარჩებიან.

ს ა ნ დ რ ო – მერე ზღაპრებს ვიღა მეტყვის? ვინ დამაძინებს
უვარდისახაროთ?

ვ ა რ დ ი ს. – (თავისთვის) შენ გენაცვალოს და შემოგევლოს შენი
გადია.

ე ლ ე ნ ე – რას ამბობ, შვილო? განა ჩვენ კი ვერ დაგაძინებთ,
ვერ მოგივლით?

ს ა ნ დ რ ო – სად? ვისთან?

ე ლ ე ნ ე – ჩემთან!.. ვახტანგისას!..

ს ა ნ დ რ ო – (ცივად) მე ვახტანგთან არ მინდა?!?

ე ლ ე ნ ე – რატომ, შვილო! ის ხომ შენი კარგი ძიაა... ამას ხომ
მამაც გვეუბნებოდა ორივეს?.. იმას ასე უყვარხარ – სულ გეფერება
ხოლმე. კარგი, შვილო! კარგი.

ს ა ნ დ რ ო – ქმარს რომ ცოლს მოსტაცებს და შვილს – მამას,
განა ის კარგი კაცია?

ე ლ ე ნ ე – (წამოვარდება ზეზე გაბრაზებული) ეს სულ პაპიმისის
ჩაგონებულია!..

ე ს ტ ა ტ ე – ღმერთი! რჯული! მე მაგაზე კრინტიც არ დამეძ-
რას. მაგრამ ჭიაბრიშებულიბა ალაპარაკებს!. ტყვილა კი არ ამბობს
ანდაზა: „კვიცი გვარზე წავაო!“ მოდი, პაპია, ჩემთან.

ს ა ნ დ რ ო – არა! ღმერთმანი! პაპიამ კი არა, გადიამ მითხრა.

ე ლ ე ნ ე – (გაბრაზებული შეხედავს ვარდისახარს) აი, ამას ვამბობდი
ყოველთვის, რომ ვარდისახარობა უნდა გადავარდეს-თქო. გადიების
ხელში, აპა, სხვას რას ისწავლიან, რას გაიგონებენ ახალგაზრდები?
(გავარდება კარებში).

ს ა ნ დ რ ო – მამა! ნუ გაუშვებ!.. დაბრუნე!

ლ ე ვ ა ნ – არ დაბრუნდება, შვილო! გაჰყევ თან!

ს ა ნ დ რ ო – (აშფოთებული) დედა!.. დედა!.. ნუ მიღიხარ!.. ნუ!
(გავარდება კარებში) დედა!.. (სხვები ზარდაცემული დარჩებიან და დიდხ-
ანს ხმას ვეღარ იღებენ).

სიყვარული

ლ ე ვ ა ნ – (მუხლზე ისვამს ხელს) ჰე, მორჩია, გათავდა... აღარც ცოლი და აღარც შვილი!.. ვისთვის რაღა საჭირო ვარ?! (ეპოტინება რევოლუციელს).

ე ს ტ ა ტ ე – ხელი!.. რას ჩადიხარ, შე უბედურო?! როგორ თუ აღარავისთვის ხარ საჭირო? მაშ მე ვინ უნდა დამისუქოს უკანასკნელად თვალები და მე რომ კიდე არ ვიყო, ღმერთმა მიტომ გაგაჩინა, რომ შენის თავხედურობით, ნაბოქები სული, უკანვე უმაღურობით დაუპრუნო? არა, შვილო! ჭირს გამაგრება უნდა, განსაცდელს – მოთმინება. შრომა ყველაფერს მოგაქარვებინებს. დაუდევ თავი შენს სამშობლოსა, მოისხი მისი მადლი, ემსახურე ქვეყანას და პირნათლად წარუდევ შენც შენ წინაპრებთან.

ლ ე ვ ა ნ – მამავ, ვერ წარმოიდგენ... (გული უწუხდება, ესტატე მივარდება და სტაცებს ხელს).

ე ს ტ ა ტ ე – წყალი! ვარდისახარ... (ვარდისახარი გარბის. ესტატე მიაწვენს ლევანს მუთაქაზე, ფარდა ეშვება).

ფ ა რ დ ა

მოქადაგა გესახე

რამდენიმე წლის შემდეგ

სცენა პირველი

მდიდრულად მორთული ოთახი

გამოსვლა პირველი

ე ლ ე ნ ე – (კრესლოში ზის და წიგნს კითხულობს. მერე აიღებს თავს, მიიხედ-მოიხედავს დაფიქრებული და ამბობს) გამოცდილება, მართლა რომ გვირგვინი ყოფილა გრძნობა-გონიერის... მაგრამ რაი მერე? სანამდი ყმაწვილი ხარ, ხელს ვერ ჰკიდებ მას და რომ დაბერდები, ველარა მოიხმარ... აღარას გარგია!.. პრაკტიკულად გამოუსადე-გარია (ამოიოხრებს, დაფიქრდება) რაც დღეს ვიცი და ვგრძნობ, ის რომ სიყმაწვილეშივე გამგებოდა, ამ დღეში აღარ ჩავარდებოდი?! გამოუცდელობა, ერთხელ წამოვკარი ფეხი ცხოვრებას, წავიფრხ-

იალე! მაშინ სიყვარულით გატაცებულსა და დამტკბარს არა მიგრძნია-რა და ახლა კი მიწია მაშინდელმა მარცხმა. დღესა ვგრძნობ ტკივილებს, ვინ ვისში გავცვალე?! (კითხულობს წიგნს) აი, გამოცდილი, რას ამბობს (კითხულობს): „სიყვარული სამგვარია: ერთი უბრალო ფხანვა გულის. როგორც ბავშვებისათვის ყვავილი, წითელა და სხვა სახადი, ისე ამგვარი სიყვარულიც შესაყარი და მოსახადია ყველა-სათვის. ადამიანი რომ ასაკში შევა, მხურვალე სისხლი მიეჩქებება გულზე და ეფხანება. იმ დროს ვისაც უნდა შეხვდეს, ის შეუყვარდება. ამგვარი სიყვარული დიდხანს ვერ გასტანს. გადაუვარდება თუ არა გულის ფხანვა, სიყვარულიც თან მიჰყება. რჩება მხოლოდ რაღაც გამოურკვეველი, სიყვარულის სურვილი. მეორე გვარი უინია: შეგი-ყვარდება ადამიანი თვალ-ტანადობისათვის, მხოლოდ სახორციელო მოსაზრებით და თუ მალე ვერ დავიყოლიეთ, მაშინ თავმოყვარეობა წაგკიდებს სიყვარულის ცეცხლს. ამგვარი სიყვარული, რასაკვირველია, უინის მოკვლისათანავე ჰქრება. მესამე გვარი სიყვარული სიმპატიაა! შეგეყრება ადამიანი, რაღაც უცნაურობით მისი ყოლიფერი მოგწონს და გეტკბილება: მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხი, სიცილი, შეჭმუხვნა, ერთის სიტყვით, ყოლიფერი, ასე გასინჯეთ, რომ მისი მახინჯობაც კი მშვენიერობად გერვენებათ, გიყვარს რაღაც მომხიბლავი ძალით და სახორციელოზე არც ჰფიქრობ. ეს სიყვარულიც ხორციელობით თავდება, მაგრამ, როგორც სიმპატიით გამოწვეული, სამარადისოა. ყოფილა მაგალითი: ერთი მეუღლეთაგანი რომ მომკვდარა, მეორე თან გაჰყოლია... სიმპატიით გადაბმული ჯაჭვი არა სწყდება. მაგრამ ვინ გაარჩევს სიყვარულს, თუ რითა გამოწვეული: სიმპატიით თუ სხვაგვარად. მაშინ როცა ძალი ყველასი ერთნაირია“. აი, რას ამბობს ავტორი და ჩვენ კი, ახალგაზრდა ქალებს, ამაზე მოფიქრების ნებასაც არ გვაძლევენ. ვისაც წავაწყდებით, სულ ერთია, გინდა თუ არა, შეიყვარეო... და ჩვენც ვასრულებთ სხვების ნება-სურვილს... თავსაც ვიტყუებთ და სხვებსაც ვატყუებთ.

გამოსვლა 2-რე

ისვე და ვას ფანგ

ვასტანგ – ისევ კითხულობ?

ელენე – მეტი რაღა დამრჩენია?

ვასტანგ – კიდევ ჩამოგტირის ცხვირ-პირი?

ელენე – (ილიმება) ისე, როგორც პირველ ხანებში, ამ თხუთმეტი წლის წინ.

ვასტანგ – ჰმ!

ელენე – შენ ყოველთვის შენის გრძნობის სარკით იყურებოდი და მიტომაც პირველ ხანებში რომ ვარდად გერჩენებოდი. დღეს კი ეკლად, მაგრამ ორივეჯერ გადაჭარბებული იყო.

ვასტანგ – მოჟყევ საყვედურს?! აბა, რა გაკლია?

ელენე – ის, რაისაც დაკარგვას ქალი ვერ აიტანს – სიყვარული.

ვასტანგ – სიყვარული?! ბუნების კანონს ვერავინ ვერ წაუვა? ქვეყნად ყოლიფერი, სულიერი თუ უსულო, ჯერ გაჩნდება, იბადება. მერე იზრდება, ადის ზეით-ზეით, შეჩერდება უმაღლეს წერტილზე და მერე-მერე დაუყვება ისევ დაბლა, ილევა ნელ-ნელა და ბოლოს სულ ჰქება.

ელენე – ასე რომ, მაგ კანონის ძალით, ჩვენი სიყვარულიც გაქრა შენის მხრით და შეუდგა სხვა გზას: სხვა შეგიყვარდა და ირთავ ცოლად? მხოლოდ ჩემთვის გაქრა?

ვასტანგ – არც შენთვის გამქრალა! მხოლოდ სახე იცვალა! მაშინ მიყვარდი ახალგაზიდურ ალფროთოვანებით და ახლა მიყვარხარ მეგობრულად და მიტომაცაა გთხოვ დახმარებას!

ელენე – რომ სადგომი დავუცალო შენს ახალ სატრფოს და გავიდე?

ვასტანგ – ცოლს!.. და გახვიდე. აქ რომ დაუხვდე, არც შენთვის ივარგებს!

ელენე – მართალს ამბონ! მე ეგ უშენოთაც ვიფიქრე. მინდოდა სადმე მეშვენა მასწავლებლის ადგილი და არსად არ მიმიღეს! ასე გასინჯე, რომ ბონობაზედაც უარი მითხრეს. ისე ათვალწუნებული ვყევარ ქვეყანას და ვისი ბრალია?

ვასტანგ – ორივესი... ახლა მაგაზე წუ დავიწყებთ ლაპარაკს! მაგრამ რად იჭირვებ საქმეს, რომ მოსამსახურეთ დგები? მე კიდეც

სიყვარული

დაგიქირავე სადგომი, რომ იქ ღირსეულად და უზრუნველად იცხოვრო.

ე ლ ე ნ ე – მართალია?!

ვ ა ხ ტ ა ნ გ – საღამომდე მიალაგ-მოალაგე შენი რაც იყოს და გადადი! მე კიდევ მალე შემოვალ. (მიძის).

ე ლ ე ნ ე – (მარტო, ჩაფიქრდება) სინიდისი, პატიოსნება, ავი, კარგი, ყველა გრძნობაზე ყოფილა დამოკიდებული. არა ჰგონია, რომ საძაგლობას ჩადის? აქ ცოლი უნდა შემოიყვანოს და მე განზე სამო-წყალოდ უნდა შემინახოს?! (თვალებზე ხელს მიიფარებს).

გამოსვლა 3-ით

ისვე და ს ა ნ დ რ ო სფუძველის ფორმით

ს ა ნ დ რ ო – დედავ! კიდევ ჩაფიქრებული ხარ?

ე ლ ე ნ ე – კი, შვილო! ვფიქრობ ჩემს უბედურებაზე.

ს ა ნ დ რ ო – უბედურებაზე?

ე ლ ე ნ ე – დიახ, ეს-ეს არის ეხლა ვახტანგმა გამომიცხადა, რომ მე სხვაგან გადავიდე და ჩემი ადგილი მის საცოლეს დავუთმო.

ს ა ნ დ რ ო – უსინდისო!

ე ლ ე ნ ე – მაგითი, შვილო, არა გარიგდება-რა! მე უნდა უსათუოდ ავასრულო მისი ნება, რადგანაც აქ ყოლიფერი მისია და იმ საქციელს, რასაც შენ უსინდისობას ეძახი, ქვეყანა კიდეც მოუწონებს!

ს ა ნ დ რ ო – მერე და სად უნდა გადახვიდე?

ე ლ ე ნ ე – თითონ მეც არ ვიცი!.. ვსცადე შრომით მეცხოვრა, მაგრამ არსად მიმიღეს.

ს ა ნ დ რ ო – ჩემთან გადმოდი, დედა!

ე ლ ე ნ ე – შენც ხომ სხვის კარზე ხარ?! მამასთან. დროებით ხარ ჩამოსული ორი თვით?

ს ა ნ დ რ ო – ჩვენთან გადმოდი: ჩემთან, მამასთან, პაპასთან...

ე ლ ე ნ ე – რაღა პირით შევხედო ანკი ერთს?

ს ა ნ დ რ ო – აბა, იცი რას გირჩევ, დედა? მე ხომ ერთი წელი-წადი კიდევ მაკლია გათავებამდე? მამა რომ თვეში ას მანეთს მიგ-ზავნის, იქედან ხუთ-ხუთ თუმანს შენ გამოგიგზავნი და მე ხუთს ვიმყოფინებ.

სიყვარული

ე ლ ე ნ ე – (ცხვევა და ჰეოცის) შენ გენაცვალოს დედაშენი! ეგ შეუძლებელია. შვილს ლუკმა გავუყო და ისიც მამამისის ნამალევად?

ს ა ნ დ რ ო – ნამალევად რათა?! შენ გგონია, რომ ეწყინება?

ე ლ ე ნ ე – კიდეც ეგ არის, შვილო, რომ მიკლავს გულს. ახლა კარგად ვიცი, ვინც არის და რაც არის მამაშენი. მაგრამ რაღა დროს! მე მისი მონობის ლირსიც არა ვარ. დავკარგე ბედი და მოვიპოვე რისიც ლირსი ვიყავი...

ს ა ნ დ რ ო – ჩემო დედა, მითხარი, მამამ რომ გთხოვოს, მიუბრუნდები?

ე ლ ე ნ ე – აღარ, შვილო... რაღა პირით უნდა შევხედო... თუმცა ჩემი სიყვარული მისდამი ახლა უფრო ორკეცია.

ს ა ნ დ რ ო – აბა, რა გინდა ქნა?

ე ლ ე ნ ე – რისიც ლირსი ვარ... უნდა ხელი ავიღო სიცოცხლეზე, რომ ლევანის სიყვარული საფლავში ჩავიტანო.

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და ვ ა ს ტ ა ნ გ შეკრთება.

ვ ა ს ტ ა ნ გ – ოჭ, გამარჯვება შენი, ალექსანდრე! როდის ჩამოხვედი? რასა იქ? როგორ ხარ?

ს ა ნ დ რ ო – (ზიზღით უყურებს, ხელს არ აძლევს) პასუხს ხვალ დილას მიიღებ! (გავარდება კარებში გულმოსული).

ვ ა ს ტ ა ნ გ – ჯერ თავზე სისველე არ გადაშრობია და მემუქრება?! ვნახოთ! (მოუბრუნდება ელენეს) თქვენთვის ყოლიფერი მზათ არის, გადაბანდით და აქაურობა კი...

ე ლ ე ნ ე – სხვის გემოზე მიალაგ-მოალაგებიო? თქვენი ნებაა, მაგრამ ნებით რომ არ გადავიდე?

ვ ა ს ტ ა ნ გ – მაშინ! მაშინა.. მაგრამ, აბა რას იზამ, რომ არ გადახვიდე? თითონ არა სთქვი, რომ სხვა ბინა აღარსადა გაქვს?!

სიყვარული

გამოსვლა ხაუთი

ისინივე და ლ ე ვ ა ნ შემოდის. ორივე შეკრთება, ე ლ ე ნ ე სახეს იფარებს ხელებით.

ლ ე ვ ა ნ – დილა მშვიდობისა! უკაცრავად, რომ დაუპატიჟებელი გიახელი. მაგრამ ჩემმა სანდრომ ყოლიფერი მითხვა რა ყოფაშიაც ხართ და მოგაშურეთ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ – მობრძანდით!

ლ ე ვ ა ნ – კი, მაგრამ დიასახლისი რომ არ მეპატიჟება?! (ელენე შეხედავს თვალცრუელიანი). დიდი ხანია, აღარ მინახევხართ, გამოცვალილხართ და მთელ ჩემ სიცოცხლეში ცრემლებსაც პირველად ვხედავ, ელენე, შენს თვალებზე. (ელენე დაწყებს ქვითის) ჩვენ რომ ერთმანეთს გავშორდით, გახსოვს? მეგობრობის პირობა დავდევით და, აპა, კიდეც ვასრულებ. როგორც უსახლკაროს, დღეს გეჭირვება მეგობარი. როგორც ქმარმა ჩემი სახლიდან დაგითხოვე და ახლა გეპატიჟები, როგორც მეგობარი.

გამოსვლა ხევვე

ისინივე და ე ს ტ ა ტ ე და ს ა ნ დ რ მ შემოდიან

ე ს ტ ა ტ ე – შვილო, ლევან! მოგვასწარი, აღარ მოგვიცადე?..

ლ ე ვ ა ნ – აი, მამაჩემო! ნებას იძლევი, რომ ელენე ჩვენთან დაბრუნდეს შენ სახლში?

ე ს ტ ა ტ ე – ეგ, შვილო, თქვენი ნება! „მიუტევე, რათა მიგეტევოსო“. მარიამ მაგდალინელი ცუდი გზით მიდიოდა, მაგრამ სიყვარულმავე რომ გადაახვევინა სწორი გზისკენ, წმინდათა თანა შეირიცხა.

ლ ე ვ ა ნ – არა, მამაჩემო, ეგ სულ სხვა არის! იქ სადაც დანაშაული არ არის, არც მიტევება შეიძლება! აქ ჩვენ ორივეს წილი გვიძევს შეცდომაში. რომ უნდა, იმდენ ყურადღებას არ ვაქცევდით სიყვარულს გამოუცდელობით. თუმცა ახლა კი ვგრძნობ მაშინდელ სიყვარულს!.. ელენე, მიიღებ ჩემ მეგობრობას?

ე ლ ე ნ ე – ღირსი არა ვარ შენი მეგობრობის, ახლა ყოლიფერსა ვხედავ, მაგრამ გვიანდა არის სინანული...

სიყვარული

ლ ე ვ ა ნ – ელენე, ეხლა შენი ნებაა, ორში ერთი აირჩიო. აქ ეს დიდება, უზრუნველყოფბა და სიმდიდრე. ჩემთან კი მხოლოდ შრო-მის ლუკმა.

ე ლ ე ნ ე – რომელი გიუი გასცვლის ღარიბსა და ტკბილ ლუკმას მწარე მდიდრულზე?

ლ ე ვ ა ნ – მაშ, მოიტა ხელი! (გაუშვერს ხელს, ელენე გაექანება ტირილით, მიეკვრის გულზე).

ს ა ნ დ რ ო – (აღშფოთებული) დედავ! მამავ!.. დღეს ვიბადები!.. (მივარდება და ეხვევა ორივეს).

ე ს ტ ა ტ ე – (ააპყრობს მაღლა ხელებს) „და იყონ იგინი ერთ სულ და ერთ ხორც!..“ წამოდით, შვილებო, ჩემთან. დაივიწყეთ გადასული ყოლიფერი, როგორც სიზმარი და დაუბრუნდით ოჯახს ჭიაბრიშ-ვილებად. (მიჰყავს ყველა ხელჩაკიდებული).

ვ ა ხ ტ ა ნ გ – (თავისთვის) რა ადვილად გადავრჩი!!!

ს ა ნ დ რ ო – (მიტრიალდება უცბად) ხვალამდი!

კარტინა ფარდა ეშვება

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

[1913 წლის 11 დეკემბრამდე]

სცენები

ს მ ხ მ ბ ი

— ხაბარდა! ჩამოდექიო! — მომაყვირეს ქუჩაში. მივიხედე, — მეოჯგიმება. ღმერთმა კაი მოგცეს, კაი ტანადი ის იყო! თავიდამ ფეხამდის გაჩურჩხული! შევხედე — მეცნაურა. შემომხედა — მიცნო და თვალი დამარიდა. იცით ვინ იყო? — ხოხობი!..

ციხისძირზედ რომ მივდიოდით, გახურვებულ სროლაში, როცა ცოცხალი ცოცხალს ვედარ არჩევდა, თვარა კვდარს ვინდა დეექებდა, ერთი რაცხა დეეშვა თავდალმართში და შერგო თავი ბუჩქში ხოხობივით. ვიშვლიჭე ხანჯალი, გვევექნე, მივედი, ვნახე — კაცია შერჭობილი მუხლებამდის! მარტო ფეხები გამოუშეშებია, ვერცხლის დეზებიც მალლა ოუპლაკავს. გამოვწიე ნელ-ნელა, გამოჩირდა! ალარც ფერი ჰქონდა და ალარც ხორცი.

— სად ხარ დაჭრილი-თქვა? ვკითხე.

— აქანაო!.. კვნესით მიიდვა მუცელზე ხელი.

გაგხსენი, გავშინჯვე, რა ბრძანებაა! შიგნიდამ თუ იყო დაჭრილი, თვარა გარედან იმას არაფერი ეტყობოდა! შიშის ქარი ჩავარდნოდა, ყმაწვილო, მუცელში და იმას დაელბო!.. ისე გაეგულკეთილებია, რომ „პოულუსტაო“ მითხრა და ორივე მხრები გადამიკოცნა. ადრე კი მის-გან ჩვენებურ კაცს გინების მეტი არაფერი ლირსებია.

— აა, რუსო-თქვა, ზაჩემ ვჩერა სვინია, დურაკ და ახლა კი მოლო-დეც, პოულუსტა-თქვა? აქანა რო შემძვრალხარ, რას აკეთებ, ჩიტებს ბუდეს ხომ არ უნგრევ-თქვა?

ძალიან დამეჯღანა: — ვოზმი ვსიო, ოდნა გოლოვა ნე ვაზმიო... გაგაკეთებ, თუ გადავრჩიო!

მეც ვაუთხარი: — აპა, აქანა დამალვა არას გარგია-თქვა და ეგერ რო დიდი ტყეა, იმაში შედი-თქვა.....არ მეთანხმა... დამინახავს ვინ-მეო და თავი მემეჭრებაო... მერე ერთი შტუკა ვასწავლე და, მოგეცა სიცოცხლე, იმას ის დაუჯდა ჭკვაში... რადგანაც მე იმისთანა ტანისა-მოსი მეცვა, რომ ქობულეთელიდამ ვერ გამარჩევდა კაცი, გევექეცი და ის გამომიდგა უკან ხმალდახმალ და ორივე შიდ შევარდით აგერ უშველებელ ტყეში!.. ვისაც დეენახა, ეთქვათ: „მალადეც, რა გულადი ყოფილაო, სულ ხმალდახმალ მისდია მტერსო“. ის კი არ იცოდენ, რომ მე მყავდა დამალული ისეთს ადგილას, რომე, მტერი კი არა, ბუზიც ვერ მიეკარებოდა.

ახლა, ბატონო, შეუფერებია ეს ვაჟკაცობა, გაჩურჩხულა თავი-დამ ფეხამდის და დადის გაბერილი! ერთი „ზრასტიც“ ალარ მაკადრა, თვარა საჩუქარს ვინდა სთხოვდა?!

მოდი და უყავი სიკეთე ამ დროში კაცს! მარა, არაფერი, კიდო დავი-ჭერ ხოხობს!..

რეინის გზა

რპინის გზა

(იმერული სცენა)

კოსტია გახლავართ, გთხოვთ მიცნობდეთ და მწყალობდეთ, გნყალობდეთ გელათის ხახულისა ღვთისმშობელი. კაი ღმერთიმა მოგცესთ, კაი გამოჩენილი აზნაური მე ვიყო ჩვენს იმერეთში, – კაათ გამოწყობილი ცხენით, იარაღით, ქორით, მიმინოთი და მწევარ-მეძებრებით!

თვალი დოუდგა უსწავლელობას, თუ არა, თქვენ არ მომიკვდე, თქვენზე ნაკლები არც მე ვიქნებოდი დღეს. არც ჩემი ბრალია: ცხონებულმა მამაჩემმა ჯორი, გაჰყიდა, ერკიდა საგძალი და ქვეითად ჩამომიყვანა ქუთაისს ორი დღის სავალზე.

პირდაპირ გიმნაზიაში მაკრევია თავი... გამევიდნენ ინდოურებსავით გაფუყული უჩიტელები და დამინეს რაცხა პურტყული, ეგზა-მანიათ – მითხრეს... ჯერ მარჯვეთ ვიყავი, მოგეცა ღვთის წყალობა, მარა ბოლოს ქე არ წავხდი... მეითხეს შთო თყ კაკიი და? ამას ქე მივხვდი და მივაძახე: თაკი კაკი-თქვა გეიცინეს – კაკი თაკი-ო კიდო მკითხეს. მეც მივაყოლე ნიჩავი თაკი-თქვა... ეს ვთქვი და მივასვი ფეხი. გაზით ველარ ამომალების მეტი ხმა!.

ჩვენებური რუსული სოფელში მქონდა ნასწავლი. ერთმა ნაციბი-რალმა ყაძახმა მასწავლა. ძან განათლებული იყო... იმის ნასწავლი რუსული სულ მივაყარე და მივაყარე. სიბაკ, დურაკ, სვინია, ვიდკა, როვგა, სვილი... მარა ვერ გაიგეს თუ რაცხა, გული მოუვიდათ და ში გამომიძახეს გარეთ. ერთმა უჩიტელმა უთხრა მამაჩემს, რომ საიდანაც მეიყვანე, იქითკენ წეიყვანე ეს შენი შვილიო, არაფელი არ იცისო... მაგხელა ბოვშმა კი არა, რუსული ახლა დედის მუცელში უნდა იცოდეს სუყველამზ! გაგულისდა ამაზე მამაჩემი; რომ ეკადრებოდა, იმისთანა ბასუხი მისცა: რა ყოფილხართ თქვენო, თუ მაგის მეტი ჭკუა არ ჰქონდათ, ამ სიშორეს რაზე მორბოდითო!.. ნასწავლი თუ ყოფილიყო ჩემი შვილი, თქვენთან, რავა მგელი დამჭამდა, რავა მევიყვანდი – ჩევიყვანდი ფოთში და ფრანცუა უაკოს მივცემდიო.

წევედით ჩვენს სახლში... დავრჩი ასე ჩოჩრათ და დავმუტრუკტი რავარც მიყურებთ, ასე...

ეე... ვიფიქრე მაშვინ... მე ასე დამუტრუკებული იმერეთში აღარ ვარგვარ და ქართლში წავალ, იქინა კი გამოვდგები-თქვა.

დავჭკარ ფეხი და ფხეკა შევადინე ში კაკალ თბილისში! შევხვდი

რეინის გზა

აქანა ჩვენებულ კვირიკეს. კაი მოგცეს ღმერთმა, კაი ის იყოს... ძალუან ნასწავლიც არის, ვორინცოვის პოვრის მეორე პოპოშნიკის პირველი კასრულების მწმენდელია... დავრჩი ერთი წელიწადი ამასთან. კიდო მინდოდა დარჩენა, მარა ხატმა მომითხოვა. ბიჭო კვირიკე-თქვა, რაცხა უცნოური საქმე მემართება – ღამე ეშმაკები მესიზმრება, მაჯლაჯუნა თავზე მანვება-თქვა. – მეც მასე მემართებაო, მითხრა კვირიკემ – უნდა წევიდეთ სახლში!

დავაპირეთ სახლში წასვლა; დავფსკვენით პირობა, დავადექით გზას და გამოვსწიეთ. ალარც იქით გადაგვიხვევია და ალარც აქეთ.

მარა უცნოური გზა კი იყო... შუაში ფიცრები და მერე სიგძეზე სულ რკინები გაყოლილი.... ბიჭო, ვისთვის გაუკეთებიათ ამისთანა გზა-თქვა, რომ ალარც ურმის გზაზე დადის და ალარც შოსიაზე-თქვა? – ეს ჩინოვნიკებისათვის არისო, რო მიწა არ გაუსკდეს და არ სძრიწნოს ქვესკნელში!

მივლაპარაკობთ ასე და მივდივართ ჩვენთვის... გევიხედეთ, მისთანა შენს მტერს სანახავი უნახავს, ჩვენ დევინახეთ: მოდის რაცხა უშველებელი, მარა რა მოდის! იქით-აქეთ შუბლზე ამხელა ცეცხლის თვალები ჰქონდა. მეიკლაკნება, ფშვინავს და ხვნეშის; კვამლი ამოდის პირიდან...

მაშინათვე მივხვდით, რომ ე გველეშაპს რო ეტყვიან, სწორეთ ეს არის-თქვა. წაგხდით, შევშინდით ერთი შეშინება, მარა მერე ვიფიქრეთ: ამას რომ გზა უტიოთ ახლა, მთელს იმერეთს შევარცხვენთ-თქვა და ვარჩიეთ, რომ ფახი მიგვეცა. მოგვასწრო იმან თვალი, ერთი საოცრათ მოგვაკივლა!.. აქედან ჩვენ შევკივლეთ და მევემზა-დეთ საომრათ... ბიჭო კვირიკე, ფიშტო ჰქარ მაგას-თქვა და ვიშვ-ლიჭე ხანჯალს ხელი და გაუელვა... მარა, აპა, ყურიც არ გააპარტყუნა. მოდის და მოდის პირდაპირ წივილ-კივილით. იმე, ამ ყურუმ-საღს სწორეთ არ შინებია ჩვენი-თქვა და მივაძახეთ: გაბრუნდი, შეუწმინდურო, დაგნევლოს ჩემმა სამას სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ-თქვა! წივილით კი ბევრი იწივლა ამ ჩვენს წყევლაზე, მარა მაინც მოდის... იმე... იმე... რა ამბავია, ბიჭო კვირიკე, ეს... თქვა... რაზე გვემართება ამისთანა საქმე თქვა. რაზეო და მარხვისჭამიას სახლში რომ ვიჯექით მთელი წელიწადიო, წევიპილწეთ, ჩვენი წყევლა ალარჭრისო!..

ამასობაში მოდის და ქშინავს ეს გველეშაპი... ძალვან რო გაგვიჭირდა, მივიხედ-მოვიხედეთ, ხომ არავინ გვიყურებს-თქვა, და ში გადავხტენდით, შევრგავით თავები ბუჩქში... მოგვიახლოვდა თუ

რეინის გზა

არა და მშობიარე დედაკაცივით დაგვაკივლა და დაგვაკივლა თავზე, სიკაპასით დორბლი წამოუვიდა პირიდან, მოგვაყარა და მოგვაყარა დორბლი, – მოგვადორბლა და მოგვადორბლა!.. მეტი კი ვერაფელი დაგვაკლო, გაგვიარა კუდამოძუებული და დეეშვა ძირისკენ...

წამოვხტით ზეზე, მივაკივლეთ და მივაკივლეთ ახლა ჩვენ... კვირიკემ ში კუდში მიახალა ფიშტო და მე კაი-კაი ბრანწები მივაყოლე; მარა იმ უნამუსოს ერთხელაც არ მოუხედავს უკან. გამოსწია თფილისისკენ...

– კვირიკე-თქვა, უთხარი, ეს რაცხა გაჯავრებულია და პირდაპირ თფილისში მიდის და, შენი მტერი ჩასანსლურა, რავარც ამან მთელი თფილისი ჩასანსლოს-თქვა.

– შენ რა გენალვლებაო! თუ ჩასანსლა, იქინა ხომ აღარ გაჩერდება, კიდო იქით წავაო და ჩევიდეთ მერე იმერეთიდამ და დევესაკუთროთ მთელ თფილისსო!..

ამ იმედით ჩევედით ქუთაისში... ვისაც ვუთხარით ჩვენი ამბავი, – სიცილი დაგვაყარეს: რეინის გზააო და თქვენ გველეშაპათ მოგჩვენებიათო! აიტ, შეგირცხვათ თქვენ ნაქართლობაო! თუნდა გველეშაპი ყოფილიყო, თფილის რას დააკლებდაო: ჯერ ერთი უბაშპორთოთ იქინა იმას არავინ გააჩერებდა და მეორე, ესეც რო არ ყოფილიყო, ან გააკოტრებდენ, ან ცეცხლს გოუჩენდენ იმ შენს გველეშაპსო!

[1880]

ტუსალი იმერლის ნაამბობი

